

ա յըմանքի է . և զշաճի

III

შოთა რუსთაველის სახელობის
ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

თბილისი
2023

ალექსანდრე ორბელიანი

თხზულებათა სრული პრეპული ცეტ ტომად



ტომი გამოსაცემად მომზადდა და დაიბეჭდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ხელშეწყობით პროექტის „ქართული ეკონომიკის სათავეებთან – ალექსანდრე ორბელიანის თხზულებათა სრული კრებულის ითხოვმეულის გამოსაცემად მომზადება“ (FR-19-7480) – ფარგლებში

ალექსანდრე ორბელიანი

თხზულებანი

ტომი III

დოკუმენტური პროზა
ისტორიული წერილები

1844-1869

თბილისი
2023

სარედაქციო კოლეგია

მაია არველაძე

ჯულიეტა გაბოძე

ნინო ვახანია

ელისაბედ ზარდიაშვილი

როსტომ ჩხეიძე (მთავარი რედაქტორი)

მაია ცერცვაძე

თამაზ ჯოლოგუა

ტომის რედაქტორი

ჯულიეტა გაბოძე

ტომი გამოსაცემად მოამზადეს, სამეცნიერო აპარატი,

შენიშვნები, კომენტარები და საძიებლები დაურთეს

როსტომ ჩხეიძემ და ნინო ვახანიამ

ტექნიკური რედაქტორი და კომპიუტერული უზრუნველყოფა

ნიკოლოზ ჟღერი

ISBN 978-9941-9865-3-6 (ალექსანდრე ორბელიანი. თხზულებანი)

ISBN 978-9941-9865-6-7 (III ტომი)


© შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის
ინსტიტუტი(2023)

ღმერთი



გამომცემება
სამუშაო

თბილისი, რობაკიძის 7; მობ.: 551 95 31 90



სარჩევი

[აღამაშანის შემოსვლა ქ. ტფილისში (1795-სა წელსა სეკტენბრის 11-სა დღესა)].....	7-347
ასპინძის ომი 1770-სა წელსა.....	47-356
პირველი ამბავი მეფის ირაკლის მეორისა.....	56-359
მეფის ირაკლის მეორის მეუღლე დარია ანუ დარეჯან.....	58-360
კაპუცინთა პატრების შეთქმა.....	79-363
შეთქმა მეფეს ირაკლის მეორეზე საქართველოში.....	80-363
ვარანცოვთან ჩემი დაბეზღება.....	86-365
მეფის ირაკლის II-ს ისტორიაზედ.....	91-368
რუსების დასი ქართულები ჩემზედ.....	96-369
1811-ის წლის ჭირი საქართულელოში.....	109-372
საქართულოს მეფის ირაკლის ძე ლევან.....	114-373
1829-სა წელსა არეულობა საქართულელოში.....	123-376
დალისტნიდგან ლეკების გამოსვლა ახალციხეში.....	134-379
მეფის ირაკლის მეორის დროის ცოცოტა ანბები	
ანუ ზოგიერთი მაშინდელი პირნი.....	155-382
თა გივი ამილახვრის გაქცევა ქ. ტფილისიდგან.....	179-384
მამიჩემისაგან ლალატი მეფის ირაკლისა.....	183-385
პლატონ იოსელიანსა.....	197-388
1867-სა წელსა გიორგი მეთორმეტე (თუნდა ახლა ასე ვთქვათ რომ მეფე გიორგი მეთორმეტე იყო) უკანასკნელი	
მეფე საქართველოსი და მისი შეერთება რუსეთთან (ამის მთხველის დუბროვინის მიმართ პასუხი).....	220-393
პირველი ხოლერა აქ ქ. ტფილისში [საქართულელოში].....	276-396
ჩერქეზებში ანდაზად დარჩენილი.....	297-397

უთარილობი

მეფის ირაკლის 2-სა უკანასკნელის ჟამების ამბავი	
აღამამადხანის შემოსვლის შემდეგ საქართველოში.....	299-399
რაც რუსები მოსულან საქართულოში იქიდგან აქამდისინ	
ქართულების შეთქმა წინააღმდეგ რუსეთისა.....	312-399
ხუთი წლის ბატოიშვილი ირაკლი.....	327-405
მეფის ირაკლის სანერელი.....	333-408
მეფის ირაკლის პატარა ჯიბის ბოხჩა.....	334-408
მეფის ირაკლის მეორის სიყვარული ქალისა პირველად.....	335-409
ძველი მოზღუდვილება ქ. ტფილისისა.....	338-410
შენიშვნები, კომენტარები, საძიებლები.....	343
თხზულებათა ანბანური საძიებელი.....	442

[აღამამადხანის შემოსვლა ქ. ტფილისში (1795-სა წლისა სეპტემბრის 11-სა დღესა)]

შესავალი

აღამამადხანის შემოსვლა ქალაქ ტფილისში აღვწერე მე 1844 წელსა და შემდგომ მეფის გიორგის ძის ბატონიშვილის თეიმურაზისაგან დაწერილი ვიშოვე, აღამამადხანის შემოსვლა ქ. ტფილისში, წავიკითხე და გავკვირდი, ამისთვის რომ მცირედი მზგავსება არა იყორა, იმის და ჩემს აღწერაში. როგორც ბატონიშვილი თეიმურაზ აღწერს, თუ იმ დაწყობილობით და იმთენის ჯარით შებმიყვნენ აღამამადხანსა, იმაზე მომატებული ჯარი რომ ჰყოლოდა რაც ჰყვანდა, მაინც ვერას უზამდნენ ქართველებსა ქ. ტფილისის მახლობელ სიმაგრეებში და დარწმუნებული ვარ რომ დამარცხებული დააბრუნებდნენ ყიზილბაშებს, სადაც აქ აღამამადხანის აღწერაში, ყოველი უფრო კარგათ დაინახება, როგორ და ვითარ იყო. ის დალოცვილი ბატონიშვილი თეიმურაზ, იმ საშინელს და საკვირველს ამბებს მოესწრა და რატომ ყველა სწორეთ არ აწერა, უფრო სახარბიელო არ იქნებოდა, მინამ ისე გადაცვლით და ჩაჩქმალული? – განა იმას კუდი ეწოდა რაზედმე? –

ბატონიშვილი ივანე, (ისიც მეფის გიორგის ძე.) უფრო დიდი შრომის მოყვარული იყო, მინამ ბატონიშვილი თეიმურაზ, ისკი მოერიდა იმ ამბების აღწერასა, იცოდა როგორი დალი უნდა დაესო რამდენიმესათვის, ისევ ისე დააგდო ის ამბები: იქნება სიჩუმეში დაიკარგოს გაქრესო. ისიც კი შემცირდია სვინდისთან. იმას უნდა ყველა აეწერა, მინამ ბატონიშვილს თეიმურაზს, იმისთანა ტყუილებით გაეჯიჯგნა ის უებრო და გასაშტერებელი დრო სიმწარისა საქართველოში:

მე ამ შესავალში, ამას იმისთვის არა ვწერ, რომ მე ჩემი დავამტკიცო მეთქი. იმისთვისა ვწერ, რომ ბატონიშვილის თეიმურაზისაგან მწყინს; იმას უნდა დაუფერებლივ, ყველა სწორეთ დაეწერა, რადგან მომსწრე იყო იმ ამბებისა, მინამ ისე გადაესხვაფერებინა.

მართალია ბატონიშვილი თეიმურაზ იმ აღამამადხანის მოსვლის ამბებში შიგ არ იყო, მაგრამ როგორ იქნებოდა, ყველა ნამდვილად არა სცოდნოდა, იმ ამბების დამსწრესა და ნამეტნავად სამეფოს სახლის შვილსა? – ეტყობა, რომ თავის მიზეზების გამო იმ ამბების ჩაჩქმალვა ნდომია: ეგება იმ ამბებისა არავინ არა შეიტყოსრაო, ესეც რომ ჩვენიანებსაც ბევრი ძალიანი საგიებელი სიტყვები მოხვდებოდათო და ამასაც მორიდებია და იმიტომ ისე სხუა რიგათ გადაუცვლია, რომელიცა ყოველი ამგვარი ამბები უთუოთ გულახ-დით, სწორეთ უნდა დაიწეროს და დაუფერებით.

პირველი. თეიმურაზ ბატონიშვილის მამა ბატონიშვილი გიორგი, ჩემიც ბიძა (შემდგომ მეფე.) და ჩვენი სახლის აღმადგენელიც. თავის და დედა ჩემი, იმან შერთო მამაჩემსა, მაგრამ აბა ტყუილი როგორ ვთქჲა? – ის რომ იმ დროს სიღნაღმი იყო და იმთენი შემოყრილი ჯარი, ხელგამომავალი ქართველები, ზოგიერთებმა რომ დაიხოვეს: საჭირო აღარ არის, დაიფანტენით თქვენი სახლები-სკენაო. განა მძიმეთ მიაჩნდა ეს იმას, სწორეთ ეთქჲა, რადგან მამა იყო. მე მეფეს გიორგის არ ვამტყუნებ, მე იმათ ვამტყუნებ, ვინც იმას ატყუებდნენ, თითქმის იმას არა ჰკითხავდნენ, გულწრფელი და სხეულიც იყო და იმის სახელით მოქმედებდნენ, როგორც იმათ თვითონ უნდოდათ. იმათი სახელი აქვე იქნება.

მეორე. აბა იქ ბატონიშვილს გიორგისთან, ის ვინ იყო, მეფის ირაკლისაგან ყურებდასხებილი დალატისთვის? – აღამამადხანის მოსვლის შემდგომ, ბატონიშვილს დავითს რომ შეხვდა, მივიდა იმასთან, წვერი დაუჭირა და მოთმინებით გამოსულმა უთხრა: განა ის მამა ჩემი მოატყუე და საქართველო დააღუპინე? – ამ წვერში ძალლებმა ასე გიყონო. წაკურა გულში და გაიარა. ის დავითიც საქმის გაუჩხრეკელი დაუხედავი და მეტი გულალელებულიც იყო, ისე რომ, როდისაც გაჯავრდებოდა, ბრალანსა და უბრალოს საქმესა ერთმანეთში აურევდა. იმ გულში წაკვრის შემდეგ რომ გაიარა, მასუან კიდევ დადგა და თავის მამას მეფეს გიორგისა ცუდათ ხსენება დაუწყო.

მესამე. ბატონიშვილი თეიმურაზ, იმ თავის დედის ძმისას, თა რევაზ ენდრონიკაშვილის, იმთენს ღალატობას რათა მალავს, როგორ ქვებუდანად ატყუებდა ბატონიშვილს გიორგისა მეფის ირაკლის წინააღმდეგობაზედ და სხუანი¹, რომელიცა ბატონიშვილი დავით იმ თავის ბიძას რევაზს, ყოვლის საზიზღარის სიტყვებითა რყვნიდა, თავის პაპის მეფის ირაკლის ღალატისთვის, რომელსაცა

¹ მეფის ირაკლის მოსაშეელებელი ჯარი იმ რევაზმა არ გამოაგზავნინა გიორგი-ბატონიშვილს: აღამამადხან ირავი ათასი ათასი კაცით მოდის საქართველოზე და ამბავი მამიერიდა მეფე ირაკლიც აყრას აპირებსო, ჩვენც რომ ავიყორნეთ და სიაგრეში დავისიზნეთ კარგი იქნებათ, ამგვარების გაკეთებულობით ატყუებდა ყოველს საქმებში, მოსყიდული სომხებისგან. მეფის ირაკლისგან სამჯერ გაგზავნილი კაცი ბატონიშვილს გიორგისთან: საჩქაროთ ჯარები მაბაშველე, აღამამადხან დაგვიახლოვდა. ის სამივ არც ერთი არ მიუშო რევაზმა, ბატონიშვილი გიორგი არ ენახათ ამ მიზეზით, რომ ბატონიშვილი ავათ ბძანდებაო. აქ ამ აღნერაშიც წაიკითხება, თა აბელ ენდრონიკაშვილი რომ გაგზავნა მეფე ირაკლიმ. ერთი სიტყვით, იქამდისინ იეშმაკა რევაზ ენდრონიკაშვილმა, რომ ბატონიშვილი გიორგიც აჰყარა სიღნაღიდან და ზევით კახეთში გაისტუმრა, თვითონ წამოვიდა მეფის ირაკლისკენ იმის დასაღუპათ. ამ აღამამადხანის აღნერაშია რაც ჰქნა იმან და სხუა ამბებიც ბევრი არის იმის ღალატობა.

ჯერ ბატონიშვილს გიორგისა იმ რევაზის დაი ჰყვანდა ცოლათ და მასუკან იმ თავა გოგია (გიორგი.) ციციშვილისა [ასული]. ბატონიშვილმა დავითმა მომატებული სახელი დაარქვა იმას: ხათა გოგია. რადგან საქართველოს ბევრი ხათა (განსაცდელი.) შეამთხვია, იმაზედ დაარქვა.

და მეოთხე. ბატონიშვილის თეიმურაზის ბიძა (ჩემიც.), ბატონიშვილი იულონ, ქართლში რომ იჯდა და მთელს ქართლსა განაგებდა¹ სამუხრანოდგან ქსან გაღმა მტკვრის გაღმა-გამოლმა, რატომ ათიათასი მეომარი თავის მამას მეფე ირაკლის არ გამოუგზავნა, ადვილათაც შეეძლო? – იმაზედ რა ვთქვათ? – იქ იყვნენ იმ ქართლში ასეთი ღვთის მტრები, რომ არამც თუ ჯარი, მთელი ქართლის ხალხი ეშმაკობით აჲყარეს და სიმაგრეს ტყეებში დაიხიზნენ. როგორცა ბატონიშვილები ალმასხან (ვახტანგ.), დავითი და ივანე ჩამოვიდნენ; კიდევ ივანე მუხრანისბატონი და კიდევ სხუები, რაც კაცები მოახერხეს იმითი, ისე ბატონიშვილი იულონ ჩამოვიდა, განა ის ვერ იშოვნიდა მხედრებს, მეფეს ირაკლისთან სისხლი დაეღვარათ მამულისთვის? – რა უნდა ექნა, დაუჯდომელს ვერ მოშორებოდა, ხელში ეჭირა, ილოცამდა, ეს იყო იმის ხელობა: მხნე იყავ და განძლიერდი – ეს კი დავითწებული ჰქონდა.

საქართველოში სამი დაფარული დასი იყო წინააღმდეგი მეფის ირაკლისა: პირველი დასი სომხებისა, რომლებთანაც სომხების არაჩინურთს (მასუკან ორქივატერი ერმიაძინის პატრიარხი.) იოსებ არღუთიანს შეერთება ჰქონდა რუსეთიდგან. ამ სომხების დასმა ყოველი საქართველოს ამბავი კარგად იკოდა და სამეფოს სახლისა, რომელთაცა ცველგან ჩუმი აგრძები ჰყვანდათ; თვითონ ხომ თავისით საქმიობდნენ და იმ მეფის ირაკლის უკმაყოფილო დასსაც ძალიან ხელს უმართავდა მეფის ირაკლის დაღუპაში (ის უკმაყოფილო დასი აქ მესამედასად არის ხსენებული.). მაგრამ უფრო სწორეს გარკვევისთვის, ჯერ ეს უნდა ვთქვათ, რომ როდისაც მეფე ვახტანგ და ბატონიშვილი ბაქარ (მეფის ვახტანგის შვილი.) რუსეთში გარდაიცვალნენ, მასუკან იმათ მოადგილედ არაჩინურთი იოსებ არღუთიანი იყო საქართველოს დასაღუპად და დაღუპა იმან იმ ზოგიერთის სომხებითა, საფუძვლამდინ.

მეორე დასი იყო, თავა გარსევან ჭავჭავაძისა, მეფის ირაკლისაგან ამაღლებული ყოვლისფრითა, რომელიცა დიდათ ცდილობდა საიდუმლოთ, რომ საქართველო რუსეთის ქვეშევრდომი ყოფილიყო.

¹ დიდი მშვიდობიანი კეთილი და უზომო მლოცავი იყო, რომელსაცა მომატებული ესენი ქვეყანასა ძალიან ავნებს.

და მესამე დასი იყო, უკმაყოფილო დასი მეფის ირაკლისა. ისინი საქართველოში და იმერეთში დადიოდნენ და მეფეს ირაკლის უმტკრებდნენ ხალხსა ეს ქანის ერისთვიანები. სხუების სახელებიც ხომ ზევით გავიგონეთ და სარდალი თავი ივანე ორბელიანიც იყო გარეული თავის ბიძაშვილებითა, რომლებსაცა დიდი ერთობა ჰქონდათ იმ სომხებთან და ესენი ატყუებდნენ იმათ, ყოველს თავის განძრავებში ის სომხები.¹

რა უნდა ექნა მეფეს ირაკლის, ველარავინ ველარ დაესაჯა, ღალატისთვის თვით ის ერისთვიანი დასაჯა, იმის სახლის შვილები ოსმალოში გაიქცენ, იქიდგან ჯარი მოიკვანეს და ქართლში სოფლებს ხდენა დაუწყეს, სადაც ამის გამო მეფის ირაკლის წინააღმდეგობისაგან შეიქნა ლაპარაკი: გავიქცევით და გავიქცევითო. ზოგი ოსმალოსკენ ამბობდა, ზოგი ლეკებისაკენ და ზოგი ყიზილბაშისაკენ. მაგრამ ამ დროს მეფე ირაკლიმ თავის შვილი იულონ ჯარით გაგზავნა ქართლისაკენ და ზედაველაზედ ის გაქცეული ქანის ერისთვიანები ძალიან დაამარცხებინა, რომელმაცა ამან ცოტათ დააჩუმა ის მეფეს ირაკლიზედ მოლაპარაკენი: გავიქცევითო. მაგრამ მაინც მეფეს ირაკლისა ასე ღონე წართმეული ჰქონდა იმ თავის წინააღმდეგებისაგან, დიახ საიდუმლოს საქმობითა, იმ თავის უკანასკნელს დროებში, რომ ველარა შეეძლო რა, მაგთენი აღარა გასდიოდა რა თავის ქვეყანაში, რომელიც იმთენის ომბებისაგან აღარ მოაცალეს საქართველოსათვის კარგი ეზრუნა რამე.

ძლიერს აღელებულს ზღვაში, მაგარი ჩინებული ხომალდი რომ იღუპებოდეს, სწორეთ ერეკლეს მდგომარეობა იმ ხომალდსა გვანდა: იღუპებოდა, მაგრამ მაინც კიდევ შეუპოვრად იბრძოდა თავის უკანასკნელს სულის ამოსვლამდინ, თავის საქართველოს და თავის ქართველებისათვის.

ამ ამბების შემდგომ, რა კარგი მოუვიდოდა მეფეს ერეკლეს, ანუ ერთიან იმის ოჯახს და ბოლო დროს საქართველოს? – უეჭველია, რომ საქართველო ვერაფრით თავს ვერ შეიმაგრებდა, უნდა დამხობილიყო. მაგრამ ამთენი მოსეული საშინელება, მაინც კიდევ ვერას უზამდნენ, ვერც ერეკლეს, ვერც იმის ოჯახს და ვერც საქართველოსა, თუ ის ქალაქ ტფილისის ზოგიერთი სომხები არა ყოფილიყვნენ, რომლებსაცა იმ მეფის ირაკლის წინააღმდეგებსა, თავათ ცეცხლი წაკიდებული ჰქონდათ მეფის ირაკლის სავნებლად და ისინი უფრო კიდევ უბერავდნენ და უფრო აძლიერებდნენ, სა-

¹ მინამ სარდალი თავით არბელიანი მოკვდებოდა, იმის სიცოცხლეში იმათ ვერა გაბედესრა, (ივანე შვილი იყო და ისინი ძმისწულები.) და როდისაც გარდაცვალა, მასუკან დაინყეს იმათ, მეფის ირაკლის მტრობა იმ სომხების ჩაგონებით.

დაც ყოველი წინააღმდეგობა ანუ გაძლიერებული მტრობა, იმათ-გან იყო, რომლებმაცა აღამამადხანიც იმ სომხებმა მოიყვანეს და საქართველოც იმათ დაღუპეს. აი ის სომხები: პირველი მოქმედი არაჩნურთი არღუთიანი, ამის ძმისწული მიმბაში სოლომან, მისკარბაში იოსებ ბებუთაშვილი, ქალაქის მელიქი დარჩია ბებუთაშვილი, მილახვარი ოსეფა ყორღანაშვილი, მდივანბეგი სულხან თუმანიშვილი, ამის ძმა მანუჩარ და სულხანის შვილი შიოშ, იოსებ და ავეტიქა შალბათაშვილები და კვალად არტემ არარაცკი, რომლისაცა ამისი ამბავი ქვემოთ იქნება და ამათი კუდები კიდევ ბევრი არის, რომელბიცა მუშაობდნენ ამათის დარიგებით, საქართველო და ქართველები ძირით ამოილონ.

ბატონიშვილი თეომურაზ, ისე სხუა რიგათ რომ სწერს აღამამადხანის ამბავსა, იქ სხუა მიზეზები არის და რაც მიზეზია, იმას თავის დროზედ აღვნერ, თუ ღმერთი სიცოცხლეს მამცემს და სხვებსაც ბევრსა, ეხლა კი არ შეიძლება.

1850-სა წელსა
ქ. ტფილისს.

წინასიტყუაობა

რამდენის მომსწრე პირებისაგან გამიგონია აღამამადხანის შემოსვლა ქ. ტფილისში, რომელსაცა იმათგან შემიკრებია ეს ამბები და აქ აღმინერია, მაგრამ ზოგიერთის მეფის ირაკლის წინააღმდეგებისაგან სულ სხუა რიგათ გამიგონია, რომ მეფის ირაკლის სწორე და მართალი საქმე დაჰჭიარონ და იმის ლირსება მოსპონ. სხუა ზოგიერთების მეფის ირაკლის წინააღმდეგებისაგან, კიდევ უფრო სხუა რიგად გამიგონია აღამამადხანის შემოსვლა ქ. ტფილისში, ესე იგი იმისი ანგები სულ არაფრად მიაჩნდათ; იმაზედ ავათ იტყყოდნენ, მითამ არაფერი იყო, სულ არც ომი ყოფილიყოს ცარიელი კინკლაობის მეტი: მეფე ირაკლი თავის ქართულებით გაიქცა წავიდაო და ქ. ტფილისი გააოხრებინა. უსვინდისოთაო. დაიჯერებთ ამას, რომ მეფეს ირაკლის, იმისთანა კაცს, რაც უნდა ცოტა ჯარი ჰყოლოდა, აღამამადხანს დაერიდებოდა, ნამეტნავად თავის დედაქალაქის პირში? – აი მეფის ირაკლის მტრების ცრუენანი, რომელთაც რომ უნდათ იმის დამდაბლება, მაგრამ სიმართლე არ დაიმალება.

მეორე ესეც უთქუამსთ: მითამ კრნანისს ყოფილიყოს ომი, იმ მოკუნტულს პატარას ადგილს ბალებით სამსეში? – ძალიან კარგი იქნებოდა ეს კრნანისი და ქ. ტფილისი გაემაგრებინა, მაშინ აღამ-

ამადხან, ველარას იქმოდა, მაგრამ მეფე ირაკლიმ თავის პლანის-ამებრ, სოლალუხის¹ თავის ველში მტკვრის პირზედ მისცა ომი და უკან დიდმინდორში მისწოლოდა ჯარი აღამამადხანისა, სადაც იმერეთის თავადაზნაურობა ორის დღის მოში, გლეხ მეომარს გარდა, ორასი მეტი თავადაზნაური მოკვდა, დაჭრილები კიდევ სხუა იყო და ქართულები ხომ რასაკვრელია... აქ აღნერილობაში უფრო გარკუევით და ნათლად დაინახება სულ ერთიან ის ანბები.

თ ა. ვახ. ძე ჯ. ორბელიანი.
1844-ს წელსა ქ. ტფილისში.

აღამამადხანის შემოსვლა ქ. ტფილისში (1795-სა წლისა სეპთემბრის 11-სა დღესა)

მინამ აღამამადხან მოვიდოდა ოთხი თუ ხუთის წლის წინათა, მეფე ირაკლი ქართლში მიბძანდებოდა ორი ათასი რჩეული ქართულის ცხენიანის ჯარითა, რომელსაცა ამ დროს აღარავინ ჰყუანდა მტერი. იმერეთი და ლეკები გაიერთა, ესე იგი ჭარ-ბელაქანი, ამიტომ რომ ბევრის დევნით დაღალა ისინი და დიდათაც ეცადა იმათ შერიგებას. თუმცა ცოტათ კიდევ კანტიკუნტად მოდიოდნენ, მაგრამ ძალიან სუსტათ. ოსმალოს და ყიზილბაშებს კი არაფრათ აგდებდა. საქმე თავისი ძმები იმერლები და ლეკები იყუნენ, რაკი ისინი გაიერთა, გამხიარულებული მიბძანდებოდა ქართლისაკენ ცოლმვილებით და დედა ჩემიც იქ ხლებია თავის დედ-მამას მეფე-დედოფალსა.

ტირიფონას მინდორში რომ გავიდნენ და იმ მშუენიერს დასტას თუალი გადაავლო მეფე ირაკლიმ, – სიამაყით ბძანა: ათიათა-სი ყიზილბაშის ან ოსმალოს ჯარი შემხვდეს, თუალს არ აგახამხამებინებ, ასე ჩქარა დავამარცხებ. ამასთანვე დასტას დადგომა უბრძანა და ყუელანი წყობით დადგნენ. მოატანინა ჯოხზე ჩამოცმული ქუდი, მინდორში ნიშნათ დაასმევინა, ერთს მხარეს თავის სახლეულობას აყურებინა, თვითონ იმათ გუერდით მოუდგა და რჩეულთ მხედართ უბძანა: „აბა თოფი ესროლეთ და ტყვია მოახუედრეთ მაგას, მაგრამ თუ თქუნ დააცდენთ, მასუკან ჩემი რიგი იქნება და მე უეჭულად მოვახუედრებო.“ ყუელანი მიხვდნენ, რომ თვით მეფეს უნდოდა სროლა და ამისთვის გაუფრთხილდნენ, არ

¹ ესკეი მართალია რომ უნინ იმ ხეობას კრინანისს უძახდნენ და ამის გამო კრინანისის ომათ უთქუამსთ აღამამადხანის ომი და მეფის ირაკლისა, თორემ მომ სწორეთ იქ ყოფილა სოლალუხის თავში ვინრო გზის შესავალის ველზე.

მოვახუედროთო.

ქუდზე კარგათ მოშორებით ერთი ქვის ნიშანი დასდეს; ცხენ გაჭენებული მხედარი იქ რომ მივიდოდა, იქიდგანაც უნდა შეეტყორცა თოფი, და თუ დაეცდინა, მასუკან რიგით ესროლათ, მაგრამ არავინ არ მოახუედრა, მეფეს უთავაზეს.

მეფე ირაკლი, თუმცა მოხუცებული იყო, მაგრამ არც თუალთ აკლდა, არც ყურთსმენას, არ გონებას და არც ენას. თუმცა ყმანვილკაცობის ღონე ალარ ჰქონდა, მაგრამ ჯარიანობას და მდევრობასა კარგათ სძლებდა და არავიზედ ნაკლებ შრომას არა სწევდა.

რჩეულთ მხედართ დასმულს ქუდს რომ ვერავინ მოახუედრა, მეფემ დაიძახა: ახლა ჩემი რიგი არის. ამასთან ოქროთ დარახტული საუცხოვო წითელი ცხენი მოპეგუარეს; მოხუცებულმა და ტანათ მომცრო კაცმა, ხელი სტაცა უნავირის ტახტს და მფრინუელივით მოაფრინდა, უზანგში ფეხი არ გაყო. იმ ბედაურს ცხენზე რომ გენახათ მეფე, ამას იტყოდით: ოცდაათის წლის კაცი არისო, წვერსაც შავათ რომ შაილებავდა, მოხუცებულობა სულ ალარ ეტყობოდაო.

მოედნის თავს რომ მიიყუანა ცხენი და თავის მოედნისას დადგა, მნახული იტყოდა: დახატულსა ჰგავსო. როდისაც ცხენი გაიხტუნა და სრულებით გაიმართა, სწორეთ ფრთებშესხმული გვეგონაო. დანიშნულს ადგილს რომ მივიდა, ასე სწრაფათ მოიმარჯუა თოფი, ყუელანი გაოცდე; ამასთანვე გავარდა თოფი და ტყვიამ შუა გახვრიტა ქუდი, რომელთაცა ყუელამ შეწუხებით დაიძახესო.

– „კოდო არარის, რომ შენ საქართუელოს მოუკვდე.“

მასუკან ცხენი მოიბრუნა და ყუელას სიამოვნით უთხრა.

– „მე მოხუცებულმა გაჯობეთ ყუელას.“

გორის ქალაქში განისუენებდა და ეგრეთუე სამეფოს საქმეს განაგებდა, რომელმაცა ერთს სადილზედ მხიარულებითა თქუა თავის ცოლშვილებში და მახლობლებში.

– „ძლივს ლეკებიც გაგვიერთდენ და ახლა ღვთის მოწყალებით იმედი მაქეს, ყოუელს საქართუელოს საქმეს კარგათ მოვიყუანო, ამიტომ რომ ახლა იმერეთი ქართლს-კახეთს რომ გაუერთდა, ერთი სამეფო საქართუელო შეიქნა ესენი, ამით დიდათ განძლიერდება ეს ქუეყანა. მეორეც ეს ჭარ-ბელაქანიც ახლა რომ გაგვიერთდა და ამას იქით ხომ ბედნიერებაში წავა ეს ჩუენი მშობელი ქვეყანა, რომლებმაცა ამისთვისა ღმერთს მადლობა შევწიროთ ყუელამაო.“

მაგრამ ქართულების დაფარულმა მტრებმა ეს ანბები რომ შეიტყეს, ამ ქვეყნების გაერთება, მაშინვე ღვთის გარეგნობის საქმეს შეუდგნენ და ალამამადხან მოიყვანეს საქართუელოზე. თუ შემთხვევას ვიპოვნი, ვინც ესენი ქნა, უთუოთ იმათ საქმეებსა წვრილად

აღვწერ.

გორის ქალაქში ამის გამძრახუელი: ახლა საქართუელოს საქმეს კარგათ მოვიყუანო, სპარსეთიდგან ამბავი მოუვიდა: აღ-ამამადხანს განძრახუა აქუს საქართუელოზედ წამოვიდეს დიდის ჯარითაო.

ჯერ მეფეს ირაკლის არ იამა და თქუა. – „რა ვქნა როგორ დაგაწყო საქართუელოს საქმე, როდის უნდა მოვიცალო? – ამთენი ხანი სისხლის ლვრა, რით არ მატარა ჩემა ბედმა, რომელიცა ეხლა კიდევ უნდა შევცურდე სისხლში. ღმერთო! რა ანბავია ამ ჩუენ ქართუელების თავზე ამდენი საშინელება, როგორ არ შევვიბრალებ?“ – მასუკან კარგა დაფიქრების შემდეგ. – „რახან აღარ იქნა, დაეხსენ, მოვიდეს ის ხოჯა აღამამადხან, ასეთს საქმეს უზამ, ვეღარც ერთი იმათგანი ვერ გავიდეს საქართუელოდგან.“

მაგდენი ხანი გორს აღარ დადგა, ქალ. ტფილისში ჩამოვიდა და მზადებაში შევიდა, როგორის რიგით დახვდეს აღამამადხანსა.

ჯერ უნდა ითქუას აღამამადხან რათ მოდიოდა საქართუელოზე? – პირუელად აღამამადხნი მეფე ირაკლისა მეგობრობდა და ყოველთვის ცდილობდა მეფე ირაკლის დაახლოებას, მაგრამ როდისაც შეეტყო მეფე ირაკლი რუსეთს დამეგობრებია, დიდათ სწყინოდა და ამასთან თურმე აღარ მოასუნეს მეფის ირაკლის წინააღმდეგებმა: წადი საქართუელოზედ და მეფე ირაკლი დასაჯეო. ამასთან ბევრს ავს ამბავს ეუბნებოდენ მეფეს ირაკლიზედ¹, რომელიცა ბევრის ავის ლაპარაკით იძულებული იქმნა, მაშინუე მზადებაში შევიდა საქართუელოზედ წამოვიდეს, მაგრამ ჯერ მაინც ელჩი გამოუგზავნა, რომ ხელი აიღოს რუსეთზე. ამ დროს ახალი ჩამოსული იყო გორიდგან ქ. ტფილისში. მიმდობი რუსეთის ერთ-მორწმუნეობისა და იმის ძლიერებისა, ცივი პასუხი მისცა ელჩისა და უიმედო გაისტუმრა, მაგრამ მაშინუე მეთუალეები დაადევნა ელჩისა და თვითონ მზადებაში შევიდა, როგორის რიგით დახვდეს აღამამადხანსა. ამ ამბავში გაგზავნილის მეთუალეებისაგან ამბავი მოუვიდა: აღამამადხანს სხუა და სხუა საქმები გაუჩნდა და მინამ არ შეასრულებს, მანამდისინ აღარ აპირებს წამოსვლასაო. ეს ამბავი დიდათ იამა, ამისთვის რომ უფრო გულდადებით მოემზადებოდა. ამაობაში კარგა ხანი გავიდა და ბოლოს 1794-სა წელსა ზაფხულის დროს, კიდევ ამბავი მოუვიდა: ახლაკი უთუოთ განძრახუა აქვს, წამოვიდეს აღამამადხანო.

დაუყოვნად მეფე ირაკლიმ ბატოიშვილები, დიდრონი კაცები

¹ განჯის ხანი ხომ სწერდა წიგნებს აღამამათხანსა და აღელვებდა მეფეს ირაკლიზედ, მაგრამ იქაც იყვნენ იმისთანა შეჩენილი, რომ ისინიც აღელვებდენ.

და პირუელი თათრის აღალარები მოიწვია და იმათთან დაიწყო ეს სიტყუა.

„ჩემი ძმანი ქართულებო! ჩუენი გულოვანი ვაჟკაცობა, ჩუენი მელავის ძალი და ჩუენი ხმალის მჭრელობა, დიდიხანი არის რომ სპარსელებს აღარ უნახამთ, ეტყობათ ეს იმათ დავიწყებიათ, ამისთვისა ეხლა კიდევ ხელი წაუყრიათ და იმათ იმ ჩუენს ახალს მტერსა ხოჯა ალამამადხან, რომელსაცა დაგროვილი სპარსელები მოჰყავს ჩუენზე, ჩუენს დასამონათ. დეე მოიყუანოს, ერთი კიდევ გვნახონ და უკანასკნელად დაიჯერონ იმათ, რომ კიდევ ის ქართულები ვყოფილვართ, ისევ ის უშიშარი უძლეველები. მაშ ამის შედეგომ ვინ რას იტყვით და რომელი რას რჩევას მოგვცემთ ამ თათბირში, როგორ დავხვდეთ იმათ ფუჭსა სიმძლავრესა? – “

აქ ივანე მუხრანისბატონმა დაიძახა: დავხვდეთ ჩუენი ძუელის მაგარისა გულით. ერთიანათ გულალელებულებმა: დავხვდეთ, დავხვდეთ.

მეფე ირაკლიმ.

– „მაშ ახლა რჩევა ბძანეთ.“

ამაზედ ზოგმა რა თქეუა და ზოგმა რა, მაგრამ სამისაგან რომ ითქეუა, იმათმა აზრმა სხუების რჩევა დაპფარა. აი ის სამნი ესენი არიან და იმათი აზრი ასე ითქეა.

პირუელი აზრი.

„ჩემი ხელმიწიევ, ჩემი რჩევა ეს გახლავთ: მთელი ყაზახ-ბორჩალო და შამშადილის ხალხი თავის ცოლ-შვილებით; თქუენის ბძანებით ბირთვიზის სიმაგრეში შევიყუან, იქიდგან ჯარებს გაუსევ და მინამ არეზიდგან გატეხილ ხიდთან ამოვა, რაც ცხენები ეყოლებათ ყიზილბაშებს, ან ჯარები და ან აქლემები, უფროსი ერთს დავატაცებინებ. გარდა ამისა, სადაც სიმაგრე შემხვდება, თვით მე შევებმი და თქუენის ბედნიერებით მალე დავამარცხებ და ჩქარაც დავაბრუნებ.“ ამ უკანასკნელს სიტყუასთან მეფე ირაკლიმ თავის სიძეს სარდალს დავითს (მეფის ქალი ჰყუანდა ცოლათ თამარი.) სიამოვნით შეხედა, მასუებან თავისთან გადიყუანა და სიყუარულით გულზედ მიიკარა. ეს აზრი ყუელამ მოიწონეს, მაგრამ მერე ყაზახის ვექილმა ფანააღამ მოახსენა.

მეორე აზრი ფანააღასი.

„რაც სარდალმა დავითმა მოგახსენათ, დიახ კარგი აზრი გახლავსთ, მაგრამ მეც ერთს აზრსა მოგახსენებთ და მასუებან როგორც თქუენი ნება იყოს, ისე ინებეთ: შამშადილში რომ შამოვა ალამამადხან და ერთს ადგილს ჩამოხტება, იქ რაც შამშადილის, ყაზახის და ბორჩალოს ჯოგებია ფაშატი ცხენების, შევყრი და ერთს გათენებისას სულ ერთიან ყიზილბაშის ურდოში დაურევ. მა-

შინ ნახავთ, რომ ყიზილბაშის შესაჯდომი ულაყი ცხენები, სულერ-თიან დასწუუტები; ჭაკცენებში გაერევიან და ყიზილბაშის ურდოს სულ აურევენ, რომ ყიზილბაშის ჯარი ქვევითი დარჩეს. ამასთან თქუენ თქუენის ჯარებითა დაესხმით ყიზილბაშებს და ასე დავა-მარცხებთ იმათ ჯარსა, რომ ნახევარი ძლიერს წავიდეს.“

ამ სიტყუასთანვე მეფემ და სხუებმაც დიდათ მოუწონეს ეს აზ-რიც. მეფემ კარგი ხალათიც უბოძა, მაგრამ შემდგომ მეფე ირაკ-ლიმა თქუა.

— „ერთს აზრს მეც ვიტყვი და შემდგომ რომელიცა სჯობდეს, იმას შეუდგეთ.“

როგორლაც ეს დაწყობილობა ევროპის დაწყობილობასა მიეგუანება, მაგრამ იმან ევროპისა არა იცოდა რა, მხოლოდ ამის მეტი, რომ ხანდისხან პატრები იახლებოდნენ და ისინი უამბობ-დენ ევროპის ამბებსა. ან ოდესმე ევროპის მოგზაური მოვიდოდა, ისინიც. იქნება როგორმე ცოტაოდნათ შეეწეოდა ის იმათი ამბე-ბი, მარგამ უფრო უნამეტნავესი იმისი ეს იყო, რომ ომების ღერის კაცი იყო, რაც მაშინდელს დროს შეეფერებოდა და მასუკან იმთე-ნის წლებისა, იმთენს უანგარიშოს ომებში გამოცდილი, ის ყოველს საშინელებაში უშიშარი, რომლებმაცა იმთენმა აუარებელმა გამარ-ჯუებამ გაალადეს მტრებზედ.

მესამე აზრი მეფის ირაკლისა.

„მე მინდა ალამამადხან და იმის ჯარი ასე წავახდინო, რომ საქა-რთუელოდგან ერთი მოანბე ყიზილბაში ვეღარ გავიდეს, მასუკან რაც მინდა, სპარსეთს იმას ვაქნევინებ. მე ალამამადხანს არსად არ შევებმი, მოვიყუან სოლალუხს, იქით მინდოში ჩამოვახდენ მტ-კუარის მახლობლად. ამ დროს მეც სოლალუხიდგან მცირეს ჯარს დაგანახუებ, მითამ იმაზე მეტი ჯარი არა მყავს, რომ ალამამადხ-ანის ჯარი უფრო გათამამდნენ, მაგრამ ოთხმოცი ათასზე მეტი ჯარი, ამ ქალაქის მოახლოვოდ ანუ ამის გარეშემო მეყოლება და-ფარულს ადგილებში, რომლებიცა ის ადგილები, ესენი არიან და ან რაერთიც ჯარები იქ იდგებიან, აი ეხდა გაიგონებთ: ათიათასი ჩუენი მეომარი სოლალუხის გალმა ჭალაში იქნებიან დამალული ყარაიაზის მხარეს. ათიათას მეომარსა დიას ჩუმათ მოვატარებ და იაღლუჯის ყელებში გავგზავნი, რომ დრომდისინ იქ იყვნენ დამალ-ულნი. ხუთმ ათასს მეომარსა გატეხილის ხიდისაკენ მალვით გავგ-ზავნი, რომ ანასხლეტი ყიზილბაშის მეომარი იმათ არ გაუშონ. ათიათას მეომარსა სოლალუხის ყელებში დავაყენებ პირისპირ ყიზილბაშისა და მე დანარჩენის ჯარითა და თვრამეტის ზარბაზნი-თა ტაბახმელის გზაზედ გადვივლი თელეთისაკენ და გათენებისას ყიზილბაშის ჯარზედ მივალ და თვრამეტს ზარბაზნებს ერთად

დაუშენ მოუწყეტელათ, რომ ჯერ ამით ზარი დაეცეს ყიზილბაშებს; ოც ათას ჩუენ მეომარსაც შევატევებინებ და მე დანარჩენის ჯარით უკან შეუდგები. ამ დროს იქით იაღლუჯის ჯარი და აქეთი სოლალუხის ყელის ჯარი, სწორეთ ამ დროს გამოვლენ და სამის მხრით გარს შემოვერტყმით ყიზილბაშის ჯარსა, რომ არსაითკენ არა ჰქონდეს გზა, თუ არ მტკვრისაკენ. ყიზილბაშების გაქცეულსა ჯარსა მიყვუბით და მტკუარს მივაყენებთ. ამ დროს უეცრათ, ათიათასი ჩუენი მეომარი გაღმიდგან ცეცხლს მოუკიდებენ ყიზილბაშის ჯარსა და სამის მხრიდგანაც ჩუენ მივანუებით. აქ მე დარწმუნებით ვიცი, ალამამადხანს ან ხელებშეკრულს მოგვცემენ, ან თავის ჯარი მოჰკლავს და ან ჩუენი ჯარი ხელში ჩაიგდებს. ამასაც ვიტყვი, რომ ყიზილბაშის ჯარი თოფ-იარაღს დააწყობს და სულერთიან დაგვმორჩილდებიან.¹ ღვთით იმდედი მაქუს, რომ უთუოთ დაგვმორჩილდებიან. ახლა ამ სამს რჩევაში, რომელიც სამჯობინარო იყოს, თქუენ გაარჩიეთ? – „ყუელამ ერთპირად მეფის ირაკლის რჩევა მოიწონეს და დიდათაც გაიკვირვეს!

ამის სამაგიეროთ მეფის ირაკლის უსირცხვილო მტრებმა, იმ ლაზლაზდარათა ჩუმათ მითქუეს-მოთქუეს: მეფეს ირაკლისთან სხუა ლაპარაკი არა იყო რა, რწყილებზე იყო ლაპარაკი რჩევის მაგიერათ და შეფეს ირაკლის კი სთვლემდაო. მაშინ როდესაც რომ ოცდაოთხს სათმი, სამი საათი ძლიერ ეძინა, სხუა სულ საქმობდა. ამისთანა პირის უნამუსო ჩუმი მტრები ჰყუანდა და კიდევ სხუას რაებს არ უგონებდნენ... რაღა უნდა ვსთქუათ, იმ გაუგებლებზე და იმ გამყიდულს ისეარიოტელებზე? – იქნება ოდესმე შემთხუევა მომეცეს, რომ სულ ავწერო, რაც ვიცი და ან როგორ.

მეფის ირაკლის იმ აზრის შემდგომ, დიდრონმა კაცებმა ჰქითხებს: ამთენს ჯარს რომ ბძანებს მეფე, საიდგან შეიკრებს? –

მეფემ თქუა.

– „მე კიდევ მიცნობებია და ოცდახუთი ათასი ლევის ჯარი მოდის ჩუენს შესანევნელად და მეორედ კაცს რომ გაუგზავნი მაშინვე წამოვლენ². კახეთიდან და ქიზიყიდგან თექვსმეტი ათასი მეორები მოვლენ. იმერეთიდგან ათასათი, ქართლიდგან ათასათი. არაგვიდან და ჩერქეზიდგან ათასათი, ამისთვის ჩემი შვილის

¹ ადრიბეჭანის ხანებსა, დიდათ წოდიმიათ ალამამადხან დაიღუპოს და ამისთვის საიდუმლოთ უგზავნიათ კაცი მეფის ირაკლისათვის. გარდა ამისა, სხუა ბევრი პირობაც ჰქონიათ მეფეს ირაკლის და იმათ ერთმანეთში.

² ჭარბელაქნის და დაღისტნის პირული კაცები წინა მისულან მეფეს ირაკლისთან დიდის ალთემით: ახლაკი გვიმსახურეთ, ჭეუაზედ მოვედითო. რაღა დროს? იყო რომ საქართულო დააქციეს? მანაც რასაკვირველია კარგი იყო. ამ უკანასკნელის დროისათვის, მაგრამ ესეც აღარ მოიხდინეს მტრებმა.

ალმასხანისათვისა (ნათლობის სახელი ვახტანგ.) მიბძანებია ჩერქეზში წავიდეს და როდესაც ჩემი წიგნი მიუვიდეს, მაშინვე იმათი (ყაბართოდგან) ჯარით წამოვიდეს; გამოიაროს და არაგვის ჯარიც თან წამოიყუანოს. ყაზახ ბორჩალოდგან და შამშადილიდგანაც ათიათასი მეომარი მოვა. ესენი სულ კარგი ჯარი მოვა და კარგი ვაჟაცი. ¹ გარდა ამისა, რუსეთის ხელმწიფესა ვთხოვ, ორიათასი რუსეთის მხედრობასა და ექვს ზარბაზანსა; ამაზე მეტი რუსეთის მხედრობა ჩემთვის საჭირო არ არის, ესეც იმისთვის მინდა; ჩუენი ჯარები იმათ რომ წახვენ, უფრო თავს გამოიდებენ, თორემ არც კი ვაომებ მე იმათ. რა ვიცი, ორი ათას მხედრობას და ექვს ზარბაზანს როგორ არ გამოგვიგზავნის? – მე რუსეთის ერთგულებისთვისა მთელი ოსმალო და ყიზილბაში დაუძინებელს მტრათ გადვიკიდე: რუსეთს რათ დაუმეგობრდიო. და რუსეთის ხელმწიფე ამ მცირედით არ შემენევა? – მაშინ როდესაც რომ იმისი ძლიერი ჯარები ამ კავკაზიის მთებს იქით ჩუენს მეზობლათ დგანან, ამისთვის ამ მცირეს შემწეობით რუსეთს არა დააკლდება რა და ჩუენთვის კი დიდი შემწეობა იქნება. ამ ახლოხანში ორს თავადს გაუგზავნი ღენერალ ღუდოვიჩს, (ღუდოვიჩი ამ დროს კავკაზიის ლინიაზე მდგარა ჯარებით.) ხელმწიფესთან მიშუამდგომელოს; ორი ათასი მხედრობით და ექვსი ზარბაზით შეგუენიოს და უთუოთ შეგუენევა კიდეც, ამისთვის რომ რუსეთის ხელმწიფისგან ვინც მოდის, დიდისა დარწმუნებით მპირდებიან რუსეთის ხელმწიფის მაგიერათ: ბევრს კარგს მოელოდეთ ჩემგნითაო. ამიტომ მე, დიდი იმედი მაქს იმისაგან, რომელსაცა ახლა ამაების სამზადისთვის, მე კიდეც მიბძანებია, რომ ოთხსავ კუთხივ ფქვილი და ოთხფეხი პირუტყვი მოვიდეს ამ ქალაქში ჩუენი ჯარების სანუზლედ და იმათ გამოსაკვებად. ამთენს ჯარსა ერთი თვე შევინახამ და მეტი საჭირო ალარ იქნება. როგორც მე ვიცი და ამბავი მამდის ალამამადხანი ჯარით მომავალს წელს წამოვა და ან აგვისტოს გასულს შემოვა და ან სეკტენბრის დაწყებაში. ამისთვის ასე უნდა მოვახდინოთ, რომ ჩუენი ჯარები აგვისტოს ოცში აქ შემოვიდნენ და აქ დაიბანაკონ ამ ქალაქის გარეშემო დრომდისინ, მინამ რომელს ჯარსა საით გავეგზავნი. იმედი მაქსს, ალამამადხანსა ასე წავახდენთ, რომ იმისი მდიდარი ურდო, სულ ერთიან ხელში დაგვრჩეს, რომლიდგანაც ჩუენი ჯარი საშოვრითა

¹ მაშინდელს დროში საქართულოს ხალხი სულ ჩინებული მეომრები იყვნენ, რადგან სულ ამაში იყვნენ და ამის გამო ყუელას კარგი აარალი ჰქონდათ. თათრის სამორაო სოფლები, კარგი ცხენიანი მეომრები გამოვიდოდნენ და ქართულები სამი წილი ცხენიანი გამოვიდოდა და სხუა ქუვითა. ქიზიყიდან და საგარევოს მხრიდგან სულ ერთიან ცხენიანი ჯარი გამოდიოდა. საქართულოს ამ ცხენიანს ხალხსა, ყუელას საუცხოვო ცხენები ჰყუანდათ.

აიმსება, ასე რომ ერთი ჩუენი ჯარის კაცი უშოვარი არ დარჩეს.“

ვინც მეფის ირაკლისაგან ეს დაწყობილობა გაიგონა, ყუელანი გულმოდგინედ კმაყოფილი გამოვიდნენ იქიდგან, მაგრამ ის კი აღარ იცოდნენ, რომ რავდენი მინაზე მძრომი გველი დაცოცავდა მეფის ირაკლის და საქართულოს დასაგესლათ ასეთის გესლით, რომ საქართულო ველარ მორჩებოდა. არამც თუ კარზე დაცოცავდნენ – თვით იქაც ისხდნენ რჩევაში.

მოვიდა ის დრო და ახლა ის ამბავი მოუვიდა სპარსეთიდგან: ეხლა უთუოთ წამოსვლას აპირებსო, მაგრამ ელჩს აწინაურებს თქუებან.

აღამამადხანის ელჩიც მოვიდა და იმის მოსვლის მიზეზი კიდევ ეს იყო. – „რუსეთის ერთგულებაზედ ხელი აიღეთ.“ რადგან ქართულები ერთმორწმუნენი იყვნენ რუსეთისა და ბევრს იმედიანობდენ იმისაგან, ამისთვის ამ პასუხით გაისტუმრა ელჩი მეფემ.

— „არამცთუ მარტო აღამამადხან თავის ჯარითა – მთელი აზის ჯარები რომ მოვიდნენ ჩუენზე, მაშინაც ხელს ვერ ამაღებინებენ რუსეთის ერთგულობაზედ.“ ამასთან ყოვლის მხრიდგან დიდი იმედიანობის ამბები მოუვიდა ჯარებისა, მაგრამ არსაიდგან არ გაუჩნდა; ყუელგან უსულო კუდიანები იყვნენ ჩამდგარნი.

ქიზიყიდვან შეყრილი ჯარი ცხრა ათასი მეტი, სიღნახის ბოლოდვან დაშალეს. ფშავ-ხევსურეთისა, თუშეთისა და კახეთის ჯარი არც კი მოკრიფეს.¹ იმერეთიდვან თვით მეცე სოლომან მოვიდა (მეფის ირაკლის ქალის ელენეს შვილი) მოწინავეთ და სამი ათასი მეომარი მოჰყუა, მაგრამ დანარჩენი შვიდი ათასი კი აღარ მოუვიდა, იქაც ჰყუანდნენ მეფეს ირაკლის მტრები. ათიათასი ქარ-

¹ მეფეს ირაკლის თავის მიმაში თ ა აპელ ენდონიკაშვილი, უკანასკნელად დ კიდევ რომ გაუგაზანია სიღნაღმი: კახეთ-ქიზიყისა და ლევების ჯარი საჩქაროთ გამო- მიგზავნებო. იმ მოხუცებულის მიმაშენდონიკაშვილისაგან გამიგონია, რომ ალარც მე გამამიშუეს და რაც ჯარები იყო შეყრილი, ისიც დაშალეს, არამცუუ სხულბ მოკრიდათო. ამ სიტყაზედ მე კი ითხე.

– „ნიგნი გქონდათ ბაზობიშვილს გიორგისთან მეტის ირაკლისგან, თუ არა? – “

– როგორ არა მქონდა, მაგრამ ბატონიშვილი გიორგი შეუძლოთ იყო ვერა ვნახებ და რეგანაზ მოურავდმ (მამინ ეს ენდრონიკაშვილი მოურავი აღარ იყო, ისე ჩეცულები-სამებ უძხდნენ ხოლმე, ეს ქართულების ჩეცულება იყო). გამამართი: მე მივართ მევ შეუძლოთ არისო.“ (ამის დან, ბატონიშვილის გიორგის ცოლი, იმ დროს მკვდარი იყო.)

- „მაში იმ წიგნის პასუხი არა შეგვატყობინესთან?“

- „ვერაფერი ვერა გავიგერა. ბოლოს რევაზ მოურავდა მითხრა: ბატონიშვილმა

გიორგიმ გიბძანაო, შეის სახლში წადი, იქ იყავ, ნურსად წახვალო, და წავედი,

რომელმაცა ამის შემდგომ გავიკინებ: რევაზ მოურავი თავისი რამდენისამეტ კაცით ჯარში მეტეს ირაკლისთან წავიდა: „ბოლო დროსა იმის ამბავს წაიკითხამ, იმის ეშმაკობას.

თლის ჯარის მოკრეფაც მოშალეს. ჩერქეზის მხრიდგან რომ ბძანა, აღარც ის მოახდინეს. ათიათასი ყაზახ-ბორჩალოსი და შამშადი-ლის ჯარებიც აღარ მოკრიფეს. კავკაზის ლინის ღენერალ ლუ-დოვიჩიდგანაც გადაუწყდა იმედი.

ამ საკვირულის აზრის (პლანის) მამგონი და უეჭუელად მოიმედე, რომ აღსრულებაში მოვიდოდა; დარჩა მეფე ირაკლი ოთხი ათასის თავისის საკუთარის მეომრებითა, სამის ათასის იმერეთის ჯარითა და პატარა მეფე სოლომან იმათში.

მოიმედე მეფე ირაკლი, რომ ოცს აგვისტოს სულ ერთიანად ჩუენი ჯარები ქ. ტფილისში უნდა შეიყარნენო. 23-ი აგვისტოც მოვიდა, არავინ იყო ქალაქში. მეფე წყენას მიეცა და ოთხსავე კუთხივ მსრბოლელები გაგზავნა, მაგრამ ყუელგან ეშმაკები იყუნენ დამკვიდრებულები და ეშმაკურის ცპიერობით მოიშორეს. ამის პასუხები მოუვიდა მეფეს, ზოგი აგვისტოს გასულს, ზოგი სეკტენბრის დამდეგს, რომ უთუოთ ამ ორს-სამს დღეზედ მოვლენ ჯარებიო. ამის იმედით, წავიდა წინ თავის ითხიათასისა კაცით და მეფე სოლომანც სამი ათასისა იმერლებითა.

როდესაც მეფე ირაკლი ყაზახში ჩავიდა ამ მცირედის ჯარით, ესე იგი შვიდი ათასის მეომრებითა, აქ მესამე ელჩი მოუვიდა აღამამადხანისაგან. – „ეს არის არეზში გამოველ და კიდევ ელჩი გამოვგზავნე და მეც თან მოვდევ ელჩისაო. კარგი მეფე ხარ და შენი წახდენა არ მინდა, ოლონდ ის ჩემი სურვილი აღმისრულე და ამის დასარწმუნებლად ერთ-ერთი შენი შვილი და მეორე, ერთი შენი შვილიშვილი გამამიგზავნე მძვლად; მაშინვე გავტრიალდები და წავალ.“ მაინც არ იქნა არ შეურიგდა, ამიტომ რომ ერთმორწმუნეობისა გამო პატიოსანი პირობა დაედო მეფე ირაკლის, რომ რუსეთის ერთგული იყოს და ესეც რომ იმის ძლიერებისაც დიდი იმედი ჰქონდა. ამისთვის აღამამადხანის ელჩი მაშინვე დააჭერინა და ქ. ტფილისში გამოისტუმრა ქალაქ ტფილისის მელიქთან, თა დარჩია ბებუთაშვილთან, რომელიცა იმის დაჭერის მიზეზი ეს იყო: ჩუენი ამბავი არა გაიტანოსრაო. ეს ამბავი ქვემოთ იქნება, უფრო როგორ იყო? –

ის რომ ქალაქში გამოგზავნა, თვითონ ჯარით წაუდგა აღამამადხანსა, რომელმაცა ომი არსად არ დაუწყო. შორიახლოს მოიდევნა; მოიყუანა და მართლა რომ სოდალუხის მინდორში ჩამოხტნენ მტკუარის მოახლოვოდ, ორმოცი ათასი მეტი ყიზილბაში, რომელსაცა მაინც კიდევ ეგონა მეფე ირაკლის: ქ. ტფილისში დიდრონი ჯარები დამხვდებაო. მაგრამ არსაიდგან არა იყორა, არამცუ ჯარი – ერთი მასროლიც არა. აქ კი ეჭვში შევიდა: უეჭველად ღალატია, მაგრამ ვის ღალატობენ, მე თუ მამულსაო? – „თუ

ჩემთანა აქვსთ მიზეზი რამე, მამულს რაღას ემართლებიან?“ მწუხა-
არებითა თქუა.

მეფე ირაკლი ყაზახისკენ რომ წავიდა ჯარით, აქ ქ. ტფილისში
სხუა ამბავი მოხდა. პარასკებს დილა ადრიან ქალაქში ხმა დააგდეს.
– „მეფე ირაკლი და მეფე სოლომან თავიანთის ჯარებით სულ ერ-
თიან წაუხდენია ალამამადხანსა, ასე რომ ყიზილბაშის ჯარი გარს
შემოხვევია ქართულებსა და იმერლებსა და ერთიან დაუღუპამ-
სო.“ თუმცა ამას არავინ იჯერებდა, მაგრამ ფიცით არნეუნებდენ.
თავის დროზე იქნება იმ ბოროტების სახელი და იმათი ანბავი.

ამაზედ ალაიაჩოჩქოლი შეიქნა ქალაქში და პირუელი მოქალაქე-
ბი დარეჯან დედოფალთან შეიყარნენ, სადაც ამ დროს ანტონი ქა-
თალიკოზიც იქ იდგა თავის დედას დედოფალთან და ქალაქის აყრა
სთხოვეს. დედოფალმა ტირილი დაინყო და ანტონი ქათალიკოზმა
არ დაიჯერა: თუ ეგ მართალი იყოს, ამბავი მოგვივიდოდაო.

მოქალაქეებმა. – „როგორ არა, კაცები გიახლნენ, იმათ მოგახ-
სენეს.“

– სად არიან ის კაცები?“ ქათალიკოზმა ჰკითხა.

– „საჩქაროთ შემოაჭენეს ცხენები, ეს გვითხრეს და მაშინვე
გაეშურნენ კახეთისაკენ.“

– ვინ იყვნენ ისინი?“

– „იმ ჩუენი ჯარიდგან გამოქცეული კაცები იყვნენ.“

– იმათ ვერ იცნობთ თქუებ?“

– „რა მოგახსენოთ, გლეხეკაცებს გვანდნენ. არ ვიცით ვინ
იყვნენ.“

– რა ვქნა, რაღაც ტყუილი უნდა იყოს.“

– „მეინჭიმე ბატონო, მაინც აყრა სჯობია. თუ გაუმტყუნდება,
ისევ ჩქარა დავგბრუნდებით, რა ძნელია.“

თურმე ის კაცები რევაზ ენდრონიკაშვილისაგან იყო ჯარიდგან
გამოგზავნილი. იმან კიდევ რა ქნა, შემდგომებში წაიკითხავთ.

ბოლოს დედოფალი ტირილისაგან რომ დასცხრა, გადაწყუე-
ტით უთხრა.

– „თქუენ ყუელას ნება გაქვთ, საითკენაც გინდათ, იქით წა-
დით, მაგრამ მე ვერსად ვერ წავალ. ვინც ჩემი ქმარი დაღუპა, ჩემი
შვილიმვილი სოლომან და ჩუენი ჯარი, მეც იმის ხელით დავიღუ-
პებიო.“

ამ სიტყუაზედ მოქალაქები დიდათ შეწუხდნენ, მაგრამ სი-
ცოცხლე ძვირფასი იყო ყუელასთვის, ამისთვის თავიანთი სახლები
ისე დაყარეს, როგორც იყო და იმ პარასკებს დილაზედვე, თითქმის
ნახევარი ქალაქი აიყარა და ნახევარი ქალაქიც მეორეს დილაზედ
აპირებდა აყრას, რადგან მაინც მოელოდნენ ამბავს რასმე: სწორეთ

შავიტყოთ, იქნება ტყუილი იყოსო. მაგრამ ზოგიერთი პირუელი მოქალაქები, ვინც ქალაქში დარჩნენ და ჯერ არ იყვნენ აყრილი, იმ ლამეს მაინც კიდევ იახლენ დედოფალსა და ანტონი ქათალიკოზსა და დიდის ვედრებით სთხოვეს: მთელი ქალაქი აიყრება და თქუენ მარტო რა უნდა იყოთ¹ აქა? – ამ დროს ანტონი ქათალიკოზმა მოახსენა დედოფალსა.

– „ჩემი ხელმწიფე დედავ, მართალს მოგახსენებენ ესენი. თუ მარტო თქუენის აქ ყოფნით ეშუელება რამე ამ ქალაქსა, ჩუენი უკანასკნელი სისხლი, ვინც აქ გახლავართ თქუენი ჭირის სანაცვლო იყოს, მაგრამ აბა რა ვქნათ, ძალა ჩუენ არა გუაქვს და ჯარი ჩუენ არა გვყავს? – ამისთვის სამჯობინარეა ავიყარნეთ, მთიულეთში გადვიდეთ, იქ ჯარები შევყაროთ და ყიზილბაშებზე მოვიდეთ, ჯერ აღამამადხან აქედგან არ აიყრება და მანამდისინ ჩუენს საქმეს მოვივარგეთ.“

ეს რჩევა ყუელამ მოიწონეს და მაშინვე აყრის თადარიგში შევიდნენ და ქალაქიც მოემზადა ასაყრელად.² მაგრამ მაგთენი ხანი აღარ გამოვიდა, რომ მეფის ირაკლის კაცი მოვიდა ჯარიდგან და მშვიდობის ამბავი მოიტანა, სადაც შეიქნა დიდი სიხარული და დიდი იმედიც მიეცათ ქალაქელებს და მოღალატეებს გმობა დაუწყეს. ის კაცები ბევრი აძებნინა ანტონი ქათალიკოზმა, რომელთაცა ეს ამბავი შემოიტანეს: მეფე ირაკლი ჯარით დაღუპულაო, მაგრამ ვერა გაიგეს რა. ანტონი ქათალიკოზი განცვიფრებას მიეცა: რა უნდა იყოს, რა ანბავია? – სხუანიც ყუელანი გაკვირვებით იკითხა ამდნენ? მაგრამ ვინ რა იცოდა, ვის რა უნდა ეთქუა. ამის გამო ნახევარი ქალაქის ხალხი ცოლშვილებით და დედოფალიც ისევ ქალაქში დარჩნენ, რადგან მეფის ირაკლის დიდი იმედი ჰქონდათ, ნამეტნავათ იმ ჭორის შემდგომ. რომელმაცა მე კი ვიცი, რომ გაძრას იყო ის კაცები გამოგზავნილი მეფის ირაკლის ჯარიდგან ქალაქში და ვისგან? ბოლო დროს შეიტყობა.

მეორე დღის შაფათს შუადღისას, მეფე ირაკლი მოვიდა თავის მცირედის ჯარით სოლალუხის ვიწროებში; კიდევ მოიმედე: ქალაქში რომ მივალ, დიდორინი ჯარები დამხვდებაო. მაგრამ ნაცვლად ჯარებისა, ნახევარი ქალაქის აყრა უანბეს. ერთი ერთმანეთზედ უბედურება უბედურებას მოჰყუა, აი როგორი უბედურება? –

¹ ბეჟანა ბასტამშვილი, იმ დროს ისიც იქ ყოფილა, პირუელათ რომ მოქალაქები მივიდნენ და მეორეთაც. იმისაგან გამიგონია და სხუაც ბევრი.

² სხუათა შორის ბატონშვილი დედაჩემი ამასაც ამბობდა: ასეთი საშიში ხმები შემოგვიგდეს და უკანასკნელდა ესეც: „ეხლავ და საჩქაროდ აიყარენით, რომ სოლალუხის მინდორში მოსულა აღამადხანო.“ ღალატი ხომ ღალატი, ის მეფის სიმდიდრით გატენილი სასახლეც ხელში უნდა დარჩენიდათ მტრებსა.

საზიზღარის მამულისშვილების დაღატით.

ქიზიყის მოურავს ზაქარია¹ ენდრონიკაშვილს, არჩეული ორი ათასი საენდრონიკო თავადნი და გამოჩენილი ქიზიყის მეომრები ახლდნენ თანა (მაშინ კახეთის მართულელად იჯდა ბატოიშვილი გიორგი, შემდგომ მეფე). იმ შაფათს ლამეს, რევაზ ენდრონიკაშვილმა, თავის მხრის თავადები² დაიბარა დიახ საიდუმლოთ და დიდის დაფიცებით შეთქმა მოახდინა მეფის ირაკლის საწინააღმდეგოთ, რომ ჩუენ ალამამადხანის ომი არ შეგვიძლიან; ისევ სჯობია ჩუენს ცოლ-შვილს გაუფრთხილდეთ, თორემ ყიზილბაშები მტკუარში გავლენ და ჩუენს მხარეს სულერთიან წაახდენენო. ბევრი ამგუარის ლაპარაკით მიიბირა, მეფის ირაკლის გულშენირული ერთგულები, ის ორი ათასი პირუელი ვაჟუაცნი იმ ღამესვე დიახ ჩუმათ გაეპარნენ თავის საყუარელს მეფეს; იმისთანა კარგი ვაჟუაცი ნინია ენდრონიკაშვილიც იმაში და სოლალუხის მტკურის ფონში გავიდნენ³, გალმა შამშადილის ცხუარი, მთის ტყისაკენ მიდიოდა სამი ფარა, რომელთაცა დაიტაცეს და ქიზიყში გადარეკეს.

ადრიდგანვე რევაზ ენდრონიკაშვილი ქიზიყის მოურავი იყო და ბატოიშვილის გიორგის პირუელის ცოლის ძმა. მეფე ირაკლიმ იმას მოურაობა ჩამოართო, ორგულობის⁴ შენიშნისთვის და თავის სიძეს ზაქარია ენდრონიკაშვილს მისცა ქიზიყის მოურაობა, რომელსაცა იმ ორი ათასის ჯარის კაციდგან, აღარც ერთი მეომარი აღარ დარჩა თავის მახლობლების და საკუთარის მოსამსახურების მეტი, ასე ოცამდისინ. მეორე დილაზედ, ეს ამბავი მეფეს მოახსენეს და იმათი გაპარვა უანძეს. თუმცა დიდათ ენყინა, მაგრამ მაინც არ შეშინდა და თავის გუარათ გამაგრებული იყო.⁵

მეფე ირაკლიმ ხუთი ათასი ჯარი ასე გაყო. ორი ათასი ქართული და ორი ათასი იმერელი მეფის სოლომანით თავისთან დაიჭირა და დანარჩენი ათასი იმერეთის ჯარი ზარბაზნებთან გამოისტუმრა

¹ მეფის ირაკლის ქალი ელენე ჰყუანდა ცოლათ ნაქვრივარი, სოლომან მეფის დედა არჩილ ბატოიშვილის ნაცოლარი.

² სხუებისგანაც ხომ გამიგონეა ეს ანბავი და თ „ამა ნინია ზალის ძემ ენდრონი კაშვილმაც მიანბო. 1824-სა წელს ს. ქოდალას ჩემის ნათესავის თამაზ ენდრონიკაშვილის ქორნილში. იმთენს იმ ამბებში ის ნინიაც დასწრებია. თუმცა, მიანბობდა, მაგრამ აქეთ-იქით იხედებოდა: არავინ გაიგონოსო. ეს ნინია ჩემი ნათესავიც იყო.

³ ზოგს უთქუასთ: ქ. ტფილის შემოიარესო, მტკურის ხიდზე გავიდნენ და კახეთისენ გასწიესო. მაგრამ არა, სწორეთ სოლალუხის მტკურის ფონში გავიდნენ.

⁴ სხუაგან წვრილად დავნერ მიზეზს, ვინც ჩამოართმევინა.

⁵ ეს ადრითვე ვერა ვთქვი და სულერთია აქ ვიტყვა: ყარაბალის ხანს იპრეიმ ხანსა დიდი პირობა და ერთობა ჰქონდათ მეფეს ირაკლისთან და ამისთვის შეუშის ციხე გაამაგრა და ალამამადხანს თავი არ დაუკარა. ალამამადხანის მეორეთ მოსვლაზედ კი აიყარა და ჭარში გავიდა.

ქალაქის მოახლოვოდ, დამოუწენა რომ არის, იმის ცოტა მოშორებით ხევის სიახლოვეს.

ვის უნახამს სოლალუხის ახლო დასავლეთისაკენ, მტკვრის მახლობლად პატარა მინდორი, სამხრეთიდგან დიდი მთა რომ ადგა? – სწორეთ იქ დადგა მეფე ირაკლი, იმ ოთხი ათასის ჯარით, სადაც კვირა დილაზედ მოვიდა აღამამადხანის რამთენიმე რაზმი და პატარა მინდორზე მოხდა იმი. ქართულ-იმერლები ოთხი ათასი და სპარსი იმთენი.¹

პირუელ სპარსი დათამამდნენ ცოტა ქართულ-იმერლებზე და გულმრდგინედ წამოვიდნენ, ასე ეგონათ ესესარის ჩაყყლაპამთო, მაგრამ ქართულ-იმერლები არ აჩქარდნენ და მეფე ირაკლიმაც ეს სიტყუა უბძანა.

– ჩემო საყუარელო შვილები მხნეონ ქართულ-იმერლებო! როგორიც თქუენის ვაჟკაცობისაგან ვიცოდე, ისეთი ვაჟკაცობა აჩუენეთ ყიზილბაშებს, რომ მაგათ თავის დღეში ჩუენკენ ველარ გაინანანონ. ამასთან ამასაც გეტყვით, რომ მინამ არ გავიჭირდებათ, მე არ მოგეშუელებით და ახლა თქუენ იცით და თქუენმა ვაჟკაცობამ!

მეფე ირაკლიმ, იმ დილის მოადრევოთ, ის ოთხი ათასი მხედრობა ასე დააყენა იმ ვიწროს გზის სიმაგრისა მახლობლად, რომელსაცა პირუელსა ათასას ერთხელ უნდა ეომა, მეორე ათასას შემდგომ, მესამე ათასას მასუკან, და მეოთხე ათასი კი გაჭირებისთვის შეინახა; თვითონ და მეფე სოლომანც იმათში ჩადგნენ, რომლებიცა ხუთას-ხუთასი ქართულ-იმერლები ერთად იდგნენ, ოთხ დასტად, ერთი ერთმანეთის მხარის მიმცემნი.

სადაც ომი იყო, იმ ადგილის მდებარობას მაგთენი სივრცე არა აქუს, მაგრამ მაინც ოთხი ათასი ცხენიანი მეომარი გაიმართება, ანუ მეტნაკლები მტკუარის პირიდგან კლდემდისინ, მახლობლად

¹ აღამამადხანის თავისი დიდი ურდო აღსტაფაზედ დაეგდო და თვითონ სუბუქათ წამოსულიყო ამთენის ჯარით, რაერთიც ითქუა აქა. გარდა ამისა, ვიღამაცა თქუა: მითამ აღამამადხანი შანაბაზაზედ ასულიყოს და ზედ მაზედ კარავი დაედგას და იქიდგან ეჩხრიკეს იმას საქმე. ტყუილის, მომს ნინა დღესა, აღამამადხან შავნაბაზაზედ ავიდა, ქალაქისაკენ გადასახედავთ და როგორლაც მოხდა. რომ ალთაფით ერთის ჯავისაკენ მიეფარა ცხენიდგან გადამხტარი. ამ დილით გათენებისას, ქალაქიდგან ოცდასუთი ბიჭი დაირალებული გამოვიდნენ და შავნაბადის მთაზედ ხეტება დაიწყეს: ეგება ყიზილბაში შეგვხვდეს დავიჭიროთ. ამდროს უეცრათ ზედ წაადგნენ აღამამადხანსა, რომელთაცა მაშინვე თოფები დაუშნეს. აღამამად საჩქარო წამოხტა, აღთაფა აიფარა და ისე გაიქცა. იმ თოფების ხმაზედ და ამ ამბავში, ზევიდგან ყიზილბაში მოეშველნენ, ზოგი დახოცეს და ზოგი წაიყუანეს. აღამამადხანს ასე შეეშინდა, მაშინვე ქუემოთ ჩამოვიდა და ველარც ჯარისკაცები დააყენა იქა, იქიდგან ეთუალიერებინათ ქალაქის მხარე.

ვიწროს სიმაგრისა.

ეს ჩუენი ჯარი ასე წყობით იდგნენ. ვიწრო სიმაგრესა ზურგ მიბჯენილი და შემოტეულს ყიზილბაშებს უცურებდნენ განსუენებულის გულითა, რომელნიცა მინამ ახლო არ მოვიდნენ, ხმა არ გასცეს და როდისაც დაახლოვდნენ, ერთიანათ წააყარეს თოფის ტყვია და თვითონაც ხმლებმოსმულნი დაერივნენ ყიზილბაშის ჯარში და ასე გააქციეს, ვინ წინა და ვინ უკან. წაიყუანეს გაქცეულები და გზის ჩამოსასვლელი გორა რომ არის, იმაზედ მიყარეს. ეს პირუელი ათასი ქართულ-იმერლები, გამოტრიალდნენ და ფეხაკრეფით თავის ადგილს მოვიდნენ. ვისაც უთქუამს, რომ მითამ აღამადხანს ზარბაზნები ჰქონდეს, არა, ტყუილია, ზამბურაკები კი ბევრი ჰქონდა.

ყიზილბაშებმა ამისთანა ვაჟკაცობა რომ ნახეს ქართულ-იმერლებისა, შემოტევება ველარ იყადრეს, გამოვიდნენ, ზამბურაკებისა და თოფისა სროლა აუტეხეს ქართულ-იმერლებსა. თუმცა მეფეს ირაკლის ზამბურაკები არა ჰქონდა, მაგრამ თოფის სროლა ქართულ-იმერლებისა ნაქები იყო მაშინდელს დროსა, რომელთაცა ამაშიაც აჯობეს და ამითიც შეარცხვინეს: ამაობაში აღამამადხან მოვიდა და ჩამოსასვლელს გზის გორაზე გადმოდგა. ქართულ-იმერლებს რომ შემოხედა, თუალში ეფუქსავატა და სიცილით დაიძახა. – „ეს სანცყლები არიან ჩუენი მეომრები?“ ერთმა დიდმა კაცმა მოახსენა – „ესენი გახლავან.“ და სხუა კი აღარაფერი.

აღამამადხანმა ახალს რაზმებს უბძანა შეტევება და მასუკან იმ ხანს უთხრა თავმონონებით.

– „იმ საცოდავებს, სულ მტკვარში გადაჰყრიან.“

მეფე ირაკლიმ იმ პირუელს ათას, ცოტა უკანდანევა უთხრა და ჯგუფათ დადგმა. ასი მეომარი კიდევ მიაშუელა იმ ათასსა ამ სიტყვით – „ქართულებონ და იმერლებო! აღამამადხან გორაზე გადმოდგა და ჩანს, რომ თავის თუალნინა უნდა დაგუაჭერინოს. აბა როგორიც თქუენის გულადობისაგან ვიცოდე, ისეთი ვაჟკაცობა აჩუენეთ აღამამადხანსა.“

აღამამადხანის თუალნინ დათამამებული ახალი დასტები წამოვიდნენ; ეგონათ ცოცხლებს დავიჭროთ, მაგრამ მინამ კიდევ ახლოს არ მოუშუეს, არ ესროლეს თოფი და როცა დაახლოვდნენ, ერთიანათ წააყარეს ტყვია, ამასთანვე ყიზილბაშებში დაერივნენ და წამსვე დააბრუნეს. გაქცეული ყიზილბაშები წაიყუანეს და შუა მინდვრამდისინ მიიყუანეს. აღამამადხანმა ეს რომ ნახა, ცოტა ქართულ-იმერლებისაგან გაიკვირვა, მაგრამ საჩქაროთ სხუა დასტებს უბძანა მიშუელება და მიშუელებასთანვე ეს ჩუენი მეომრები დაატრიალეს და მინამ თავის ადგილამდინ მორეკეს; მეფე ირაკ-

ლიმ ის ცხრაასი დანარჩენი ქართულ-იმერლები მიაშველა. დაბრუნებულთ მიმშველებელი რომ დაინახეს, ისინიც დაბრუნდნენ, შეუტიეს და კიდევ მინდვრის შუამდისინ მირეკეს.

აღამამადხანმა გაკვირუებით დაიძახა. – „როგორიც ქართულების ვაჟკაცობა გამეგონა, იმაზედ უკეთესნი ყოფილან!“ რომელმაცა ახლა სხუა ჯარს უთხრა მიშულება და მიშულებასთანვე ქართულ-იმერლები დააბრუნეს. მეფე ირაკლიმ იმათი გამოქცევა რომ ნახა, მესამე ათასი მიაშულა და, ეგრეთუე დააბრუნეს სპარსელები და კიდევ მინდვრის საშუალამდისინ მირეკეს. ამაზედ აღამამადხან გაწყორა და სხუებს დაუძახა შეუტიეთო, მაგრამ აღარ იქნა, ქართულ-იმერლები ვეღარ დააბრუნეს და ხმლით კაფა შეიქნა. მეფე ირაკლიმ ქართულები შუაყიზილბაშის ჯარში რომ დაინახა და თამამად იმათი ხმლის ტრიალი, მოხუცებულის გული ცეცხლის ალსავით აუპრიალდა და თავის ბაირახტარს დაუძახა. – „აზაგხანის დამმარცხებელი ბაირახი აქ მაიტა.“ და ხუთას ქართულ-იმერლებსა უბძანა უკან მამყევითო. თუმცა მეფე სოლომან ბინაზე დააგდო, მაგრამ გულმა ვეღარ გაუძლო და თავის პაპას შეუდგა.

ერთს მხარეს ბაირახზე გამოსახული ღვთის მშობელი თავის ძითა და მეორეზედ წმინდა გიორგი, რომელსაცა ვეშაპი გაეგმირა შუბით. ამ გაფრიალებულის ბაირალით გაექანა მეფე და უკან ის თავისი მეომრები გულადად მიჰყვნენ მეფე სოლომანითურთ. წარმოიდგინეთ მეფე ირაკლი იმათში არ იყო გარეული ისე იმობდნენ და როცა გაერია, რანი შეიქმნებოდნენ ქართულ-იმერლები? თავის საყუარელი მოხუცებული მეფე რომ დაინახეს, ნამეტნავად იმ გაფრიალებულის ბაირახითა და მეფე სოლომანც იმათში, ასე ეგონათ, მეორე სიცოცხლე მოგვემატაო. რანიც იყუნენ, ერთი სამათ შეიქნენ. ორთავ მეფეს გვერდს მოუდგნენ და ყიზილბაში ზედ დასხდნენ.

ბაირახ გაფრიალებული მეფე ირაკლი ყიზილბაშის პირუელს დასტას მიუხდა და ერთი ყიზილბაშის მეომარი, ბაირალის შუბით ჩამოაგდო და მაშინვე მოკვდა. ქართულ-იმერლებმა მეფის ირაკლისაგან ეს რომ ნახეს, ერთიანათ იჟივლეს; ყიზილბაშების დასტები მაშინვე დაშალეს, წინ ცხვრებსავით წაიყარეს და უკან მიჰყვნენ, აღამამადხან გაიქცა, რომელიცა სადაც აღამამადხანმა თავი მოარიდა თავის დასტით და საჩქაროთ გაეშურა. მაგრამ იმთენი ჯარის შემწეობა კი აღარ ჰქონდათ ქართულ-იმერლებსა, ზევით რომ აუხდნენ, იმ მინდოორზედ მისნოლოდნენ ყიზილბაშებს და სულერთიან თან გაეტანათ. თუმცა გამარჯულებული გამოტრიალდნენ და თავის სიმაგრეშივე მოვიდნენ, მაგრამ ქართულ-იმერლები

ძალიან სწუხდნენ: რაც სხუებმა ღალატი მოახდინეს, იმათ ჯანი წაუკიდეს, ეს რაღა არის, რომ თავის ამხანაგი ძმები, მტერსა პირში მისცენ და თვითონ გაეპარენ. ასჯერ რომ უღალატოს ამხანაგმა ამხანაგსა სხუარივათა, ეს ერთი ღალატი მეტია ასზე. თუ ის ორი ათასი ქიზიყს ჯარი, იმისთანა ხელგამომავალი ვაჟეაცნი, აქ ჩუენ-თან ყოფილყვნენ, დღეს აღამამადხანს ბოლოს მოვუღებდითო. ამასთან ყუელანი ერთპირად, ცუდათ ახსენებდნენ რევაზ ენდრონიკაშვილსა, მეფის ირაკლის მეტი, ის კი მდუმარებდა და ფიქრობდა რომ როგორ მოეგუარებინა კიდევ საქმე.

მეფე ირაკლიმ ქალაქში მახარობელი გამოგზავნა გამარჯუებისა, სადაც დიდი სიხარული მოხდა, რომელთაცა მეფის ირაკლისა ასეთი დიდი იმედი მიეცათ, რომ ყუელანი ამას ამბობდენ: მეფე ირაკლი არც დამარცხებულა და არც დამარცხდებაო. ამასთან დაჭრილები ქალაქში გამოგზავნა და მკვდრები იქვე დაამარხვინა.¹

დამარცხებული და შეწუხებული აღამამადხან გატრიალდა და თავის კარავში ჩამოხტა. თავის სარდლებს რჩევა ჰქითხა: ზოგმა რა თქუა და ზოგმა რა, მაგრამ აღამამადხანმა გადუწყვიტა: ხუალ კიდევ შევებმი და თუ ხუალაც ეს საქმე მიყო მეფე ირაკლიმ რაც დღესა ქნა, მაშინუე ავიყრები და ჩემს ქუეყანაში წავალ.

ომიდგან გამობრუნებულმა მეფე ირაკლიმ, მაინც კიდევ მახლობელს სოფლებში კაცები გაგზავნა და ჯარები დაიბარა, მაგრამ ყიზილაშების მოსვლაზე, იმ ბოროტ გამდრახუელთ შეეშინებინათ: საჩქაროთ აიყარენით, რომ ორასი ათასის კაცით, აღამამადხან მოვიდა ყაზახში, მეფე ირაკლი ერთიანათ ჯარით წაახდინა და ახლა საქართულოზედ მოდისო, რომელებიცა სულერთიან აყრილიყვნენ და ტყეებმი დაფანტულიყვნენ. ქალაქის ხალხი კი არ ვარგოდა საომრათა; მოვაჭრენი იყვნენ და თუ იყო ვინმე მეომარი, მეფეს ახლდნენ თანა.

ყუელას გაუკვირდება, მეფე ირაკლიმ რატომ ზარბაზნები არ ჩაიტანა, სადაც ომობდა და ზარბაზნებით არ დაუწყო ომი ყიზილბაშებსაო, ანუ ქალაქის პირი არ გაამაგრაო? – მაგრამ მეფის ირაკლის განძრახუა სულ სხუა იყო. ჯერ უზარბაზნოთ ქართულ-იმერლების ვაჟეაცობა უნდა ეჩუენებინა აღამამადხანისათვის; მართლა კიდეც აჩუენა, პირუელს დღეს კვირასა და მეორეს დღეს ორშაფათსა, რომელიცა იმ ორი დღის შემდგომ ქალაქის პირის

¹ მეფე სოლომანის დისა; ბატონიშვილის მარიამისაგან გამიგონია: ასე ვაჟეაცათ იყვნენ იმერლებიო, რომ მარტო ორასი მეტი თავდაზნაური დააკლდათ აღმამადხანის ორის დღის ომშიო. როგორც მეც ვიცი, მართლა ასეთი ხელი გამოუდიათ იმერლებსა, რომ ქართულები გაუკვირვებიათ! თვით მაშინდელის ქართულებისაგან გამიგონია.

გამაგრებას აპირებდა, სადაც ზარბაზნები ეწყო იქა.

ეს დღის კვირაზედ, ომი რომ უნდა მომხდარიყო. მაგრამ როდე-
საც კვირას დილაზედ მოხსენდა საენდრონიკოს ჯარის წასვლა,
ქიზიყელების დამარცხება, დაწყობილობა ველარ გამოცუალა,
ყიზილბაშების ჯარები კიდეც მოსდგომოდნენ საომრათა, რო-
მელთაცა კვირის ომით, ამ მცირეს მეომართაგან ასეთი ზარი
დაეცათ ყიზილბაშებს, მეორე დღეს, ესე იგი ორშაფათს, ომი რომ
მოხდა, ყიზილბაშებმა ველარც ერთი იერიში ველარ მოიტანეს და
მხოლოდ თოფის სროლა აუტეხეს შორიდვან. შუაფლემდისინ ქარ-
თუელ-იმერლებმა უთმინეს და მასუკან ყიზილბაშებს შეუტიეს. ასე
შეშინებული იყვნენ წინა დღის ომით, რომ მაშინვე მოშალეს ისინი
და ზევით მინდორზედ არეკეს. ამ ორშაფათ დღესაც ასე გაიმარ-
ჯუეს ქართუელ-იმერლებმა, მაგრამ მაინც ზემო მინდორზედ არ
ავიდნენ და ან რა სარგებელი იქნებოდა? – ეს დღეც ასე, ამ ომით
დასრულდა.

წამკითხუელო, კარგათ გაჩერიკე, იმ ორი დღის ომების შემ-
დგომ, თუ იმ ზარბაზნებთან ომი მომხდარიყო და ის ორი ათასი
საენდრონიკოს ჯარიც იქ ჰყოლოდა მეფე ირაკლის, რა დაემართე-
ბოდა ყიზილბაშებს; იმ თვრამეტს ზარბაზნებს რომ დაუშენდნენ
მოუწყუეტლად და ზედ იმთენი ჩუენი გათამამებული ჯარი მანუე-
ბოდა იმ ვიწროს სოლალუხის გზაში? – დარწმუნებული ვარ, ზოგს
მტკვარში გადაჰყრიდნენ, ზოგი ქართუელ-იმერლების ხელით
მოკლდებოდა და იქით აღამამადხან უნდა საჩქაროთ აყრილიყო
და სპარსეთისაკენ გაეწია. აი მეფის ირაკლის უკანასკნელი დაწყო-
ბილობა ასე იყო.

აღამამადხან ომიდგან გაბრუნებული წავიდა და იმ ღამესვე
თადარიგი წახა, მეორეს დღეს აიყაროს ესე იგი სამშაფათს, ორი
დღის ომის შემდგომ და სპარსეთისაკენ წავიდეს. მეთუალეები-
საგან ეს ანბავი მოუვიდა მეფეს ირაკლის,¹ თორემ იმ ღამესვე
დაბრუნებას აპირებდა თავის ჯარით ზარბაზნებთან და ქალაქის
წაპირების გამაგრებას, რომელიცა ამის გამო იქვე დარჩა, კიდევ
ამბის მომლოდინე, იქიდგან ახლოს იყო. ამისთვის თავის შეილიშ-
ვილს სოლომან მეფეს გადაეხვია სიყუარულით და დიდის მადლო-
ბით დაითხოვა თავის მეომრებით.

– „ჩემო სოლომან! რაც შენ და შენმა იმერლებმა ვაჟუაცო-

¹ ადრიბეჭანის ხანებს უგზავნიათ ჩუმათ კაცი ირაკლისთვის. ამ დროებში იმათთან ერთობა ჰქონდა, გარდა განჯის ხანისა, რომელმაცა თვით იმან წამოიყუანა აღამა-
მადხან საქართუელოზედ.

ბა გამოიჩინეთ, მეტი ვაჟკაცობა აღარ იქნება. მართალია, კარგა იმერლები დაგვაკლდა, მაგრამ საუკუნო სახელი კი დაგრჩათ. ახლა ჩემო სოლომან, შენც დაიღალე და შენის იმერლებით ქალაქში წა-დით, ამაღამ საჭირო აღარახართ, შენის იმერლებით ამაღამ კარგათ დაისუენეთ ქალაქში, ეს შენი დედიდაშვილი ესტატე ციცისშვილი; ეს ოსეფა ყორლანაშვილი და ეს ოსებ შალბათაშვილიც თან იახელ.¹ წადით და ყოუელი ჩუენი ამბავი ქალაქელებს უანბეთ და ბებიაშენს დედოფლალსა, მაგრამ ვინიცვბისათვისა მაინც ამას გეტყვით, რომ ისევ სჯობია ქალაქი აიყაროს და თვით დარევან დედოფლალიცა. რა ვიცი ერთი უბედურობა არამოხედეს რა, როგორლაც ცუდ გუნება-ზე შევიქენ, ამისთვის რომ ჯარი ჩუენ არა გვყავს და რაცა გვყავს, თითქმის ისიც გაგვინახევრდა, ამ ორი დღის ომში. თუმცა ამბავი მამივიდა: აღამამადხან აყრას აპირებს ხუალაო. მაგრამ აგრე ჩქა-რა ვერ ვენდობი მე იმათ, იმათგან ძალიან კარგად გამოცდილი ვარ, ამისთვის უთუოთ გაფრთხილება გვმართებს. ახლა ცხადათ ვხედავ, ბევრი ლალატია ჩემზე და ის ლალატი არ ვიცი საიდგან რა უნდა იყოს, მეტი საიდუმლო რაღაც რამ არის, ვერ მიმხვდარვარ (ლრმათ დაფიქრების შემდეგ.). თუ მართლა ღმერთი ინებებს და აღამამადხან აიყრება, ისევ ჩქარა დავაბრუნებ ჩუენს აყრილებსა ქალაქში და თუ ომი მოგვიხდა და ვერა შევძელით რა, კახეთისკენ გავალ, იქიდგან ხუთს ან ექვს დღეზედ, თორმეტი ათასს კარგ ცხ-ენიანს ვაჟკაცს მოვიყუან და გატეხლს ხიდს შეუკრამ აღამამადხ-ანსა, მაშინ თვითონ შენ გაჩუენებ ჩემო სოლომან, რასაც მე იმას უზამ. დევ ეხლა უხალხო ქალაქი წაიღოს, არაფერია, ამის გამო ხუალ დიღაზედ რაც ჩემი ბძანება მოგვივიდეს, ისე მოიქეც, მზათ იყავ, მაგრამ იმ ზარბაზნთან ის შენი ათასი კაცი რომ დგას, არ წაიყუანო, როგორც დგანან იქვე იდგნენ.“ ამ სიტყვით გამოსწინა და წამოვიდა. მაგრამ არაჩნურთის ოსეფა არღუთოვისაგან იყო ერთი შემოჩენილი რუსეთიდგან არტემ არარაცყი მეფის ირაკლისა და საქართველოს დასალუპად. ბევრი ჩვენი დასამხობი ამბებია იმ არ-ტემასაგან და ერთს კი ახლა ვიტყვი იმის საქმეს ამ ამბავსა შორის, რომ დასახად იყოს, იმისი საშინელი საქმე ჩვენსა წინაპარზედ, კმარა კიდეც იმის გასაცნობად, ის ერთი იმისი მოქმედება, რომელ-

¹ ესტატე ციციშვილი იყო ქ. ტფოლისის მოურავი, ოსეფა ყორლანაშვილის სად-ედოფლო ყმა მამული ებარა და მეფის ირაკლის სალაროც და მიღახუარიც იყო და ოსებ შალბათაშვილი კი სასახლის კაცი, რომელებიცა თსეფა მიღახუარი და ესეც, მეფის ირაკლისა დას მახლობლები იყვნენ, მაგრამ ორნივ მოღალატენი მეფის ირაკლისა და მცდელი საქართველო დასცენ. ოსეფა მიღახუარი შემდგომ გაორ-გულდა, როდესაც სარდალმა დავით ჯ. ორბელიანმა სცემა ძალზედ. ოდესმე იმისი აღწერაც იქნება.

საცა სომხურათ ერქუა იმას: არუთინ არარაციან და რუსულათ არტემ არარაცი შეიქნა. თავის დროზე იმაზედაც ის აღნერა იქნება, როგორც იმან პირველად იმოქმედა აღამამადხანის მოყვანა საქართველოზედ.

პირუელ დამეს ქალაქში რომ შემოიარა მეფე სოლომანმა, პირდაპირ სასახლესთან გადახდა და თავის ბებია დედოფალსა იახლა, სადაც დიდი მხიარულება იყო და დიდი სიხარული იმთენი გამარჯუებისა. იქ დახვდა დარეჯან დედოფლის შვილი, ბიძა სოლომანისა ანტონი ქათალიკოზი და დედა ჩემიც იქ იყო.

რაღა გავაგძელო, როდესაც მეფის ირაკლის განძრახუა გამოუცხადა და წვრილად უანბო მეფე სოლომანმა: ისე გამხიარულებულები ვიყავით და შემდეგ ასეთმა მწუხარებამ მოგვიცო, რომ სულერთიან ჩავითუთქენითო და კარგა ხანი გონებაზედ ველარ მოვედითო. ამსა დედა ჩემი იტყოდა ხოლმე. ამისთვის, რომ ყუელანი დარწმუნებული იყვნენ, მეფეს ირაკლისა შემოსული მტერი ვერას უზამდა და ამის დასამტკიცებლად, ის მეფის ირაკლის სასახლე და სალარო ისე უძრავათ იყო; იმთენი სიმდიდრე სასახლისა ანუ სალაროსი, სულერთიან ისე დარჩათ, რომ ერთი იოტის დანაფასები, ადრითვე არა დაუხიზნამთ რა, ასეთი იმედი ჰქონდათ მეფის ირაკლისა, ამისთვის რომ გამმარჯუებული ბედი მარადის წინ უძლოდა ერეკლესა!

კარგახანის დალონების შემდგომ, ქათალიკოზმა ანტონიმ თავი აიღო და მწუხარებით ბძანა.

— „რადგან უბძანებია, დაყოვნება აღარ უნდა — უნდა ჩქარა ავიყარეთ.“

მაშინვე ძლივს რას ყოფით ორი ტახტრევანდი მოამზადეს, ერთში დედოფალი დარეჯან ჩასუეს, რომელიცა მწარეს ცრემლით იბანებოდა. რაც ახლო მახლოს ძვირფასი ნივთები მოახელეს ანუ ფული, ისიც იქ მიართუეს ბოსჩით შეკრული. მეორე ტახტრევანდში საოფლით ავანტყოფი ბატონიშვილი ალექსანდრე ჩააწვინეს, დედა ჩემი ცხენზედ შეჯდა, გამდლები და მოახლეებიც ეგრეთვე, თავად-აზნაურები ხომ რასაკვირველია და ამათ წინ გაუძღუა ქათალიკოზი ანტონი ცხენით და მთიულეთისაკენ გაემგზავრნენ. ყმაწვილკაცი აზნაური ნიკოლოზ ელიოზისშვილი¹ და უფროსი ერთი მოსამსახურენი ქვეითები გაპყოლიან, რომ ცხენები ველარ მოუხერხებიათ, ისე საჩქაროთ წასულან.

წყალის ალაყაფის კარებთან რომ მივიდნენ და მინამ იმის დიდს კლიტეს გააღებდენ, ამ დროს ერთი ქვრივი დედაკაცი, სომხის მო-

¹ ამის სახელი ბოლოშიაც იქნება, ეს იყო ქათალიკოზის ანტონის ნაზირი.

ქალაქისა მოიჭრა და შენუხებულმა დაიძახა. – დედოფალო, უპატრონო გახლავარ, უქმრო, უშვილო და უნათესაო ქვრივი, რომელიცა თქუების მოწყვალებით ვიზდები. ეხლა ეს არის თქუები აყრა შევიტყე; გიშსავით გამოვარდი და თქუენთან გიახელ. ღმერთი გადლეგძელებს, ნუ დამაგდებთ აქა და ყიზილბაშების ხელში ნუ ჩამაგდებთ, როგორც იყოს მეც თან წამიყუანეთ.

იმ საგსეს ნივთებით ბოხჩას, დიდი ადგილი სჭერია, ასე რომ ტახტრევანდში ადგილი აღარ იყო. იმის სიტყუაზედ დედოფალი თურმე ძალიან შენუხდა და შემდეგ მოსამსახურებს დაუძახა.

– ეს ბოხჩა აიღეთ აქედგან და მაგის ადგილას ეგ დედაკაცი დასვით.

პირუელს გამდელს წყნარისახარს გაებედა და მოეხსენებინა.

– რაც ძვირფასი თვლები და ნივთებია და ან ფული, სულ დაიკარგება.

– რას მეუბნებით, ადამიანის გამოხსნა არა სჯობია ჭიქების შენახუას? აიღეთ თუ ღმერთი გნამსთ, მანდ კედლის ძირში დადევით სადმე, თუ თქუებ ვერ შეიძლებთ წამოღებას, ვინც უნდა წაილოს.

მაშინვე ის ბოხჩა ქათალიკოზმა გაახსნევინა, ნივთები და ფულები აქა-იქ დაარიგა, შემდეგ ის დედაკაცი ჩასვეს ტახტრევანდში და მასუკან გაეშურნენ. იმ დედაკაცსა რქმევია მათუა.

ისინი რომ გაემურნენ, ამ დროს ერთი ამზაზონება ლამაზი ქალი, ორის მუახლით და სამის ბიჭით დედოფალს მოეწივნენ ცხენებზე ამხედრებულები და იმ ლამაზმა ქალმა დედოფალს მოახსენა.

– ჩემო ხელმწიფეო დედოფალო, თქუენი აყრა გავიგონო, მე თქუენ თავს როგორ დაგანებებ, მე თქვენთან ვიქნები განუყრელად.

დედოფალმა მაშინვე ხმაზედ იცნა და უთხრა.

– „ნაბათ ხანუმ, შენა ხარ ჩემო ნაბათ ხანუმ, მოდი ერთათ ვიყვნენ და ერთი გაჭირება გამოვიაროთ.“ იმ ამბებში აღარც მოშორებია. ეს ქალი იყო ალავერდბეგის ედიგარას შვილის ცოლი, ციხელის თათრის კარგი პირველის ოჯახისა. მერე დედოფალმა ჰკითხა.

– ჩემო ნაბათხანუმ, შენი ქმარი ალავერდბეგი სადღა არის? –

– ჩემი ქმარი და მთელი ჩუენი ოჯახობა კაცები, სულერთიან მეფეს ირაკლისთან თავის სისხლსა ლვრიან სოლალუხის მინდორზედა მამულისთვის. დედოფალი ატირდა და ქათალიკოზი ანტონიც. იმ ალავერდას ამბავი აქ ქვემოთ კიდევ იქნება.

მეფის ირაკლის ამბავი ხომ გუახსომს, მეოთუალეებისაგან ამბავი რომ მოუვიდა: აღამამადხან ხუალ აყრას და წასულას აპირებსო? – სწორეთ ასეც მოხდა. სამშაფათი დილა რომ ინათლა, ამბა-

ვი მოუვიდა თავის წინა ყარაულებისაგან. – „აღამამადხან აიყარა და ჩქარა მიდისო.“ მაშინვე მახარობელი გამოგზავნა და ვინც დარჩენილები იყვნენ ქალაქში, ეს ამბავი ახარა, მაგრამ ზევით რომ ვთქვი, აი ის არტემ არარაცყი (არუთინ.) იმ ელჩის გამპარებელი ორშაფათის ღამეს; თვითონ თავის მოსყიდულის სომხის კაცებითა უბელადა ელჩისა და პირიქით თელეთისკენ იმან გადიყუანა იმ ღა-მესვე კოჯორის ქუემოთ დაბალს მთებზე, რომელმაცა დიას კარგათ იცოდა იმის ადგილები გარკვევითა და შემდგომში ისევ ტფილისი-საკენ დაბრუნდა, ახლა კიდევ სხუა ეშმაკობის ცფიერობისთვისა. მეფე ირაკლიმ ქ. ტფილისში, მელიქს დარჩია ბებუთაშვილს რომ გამოუგზავნა ის ელჩი, თან შემოუთუალა: კარგათ გაუფრთხილდი არ გაიქცესო. მელიქმაც ქალაქის შემნახავ კაცებს მიაბარა და თვი-თონ ცოლ-შვილით აიყარა, მაშინ როდესაც რომ პარასკებს ნახე-ვარი ქალაქი აყრილი წავიდნენ, ისიც იმ დროს ქალაქიდგან გავიდა. რასაკვირველია, ისიც მოღალატე იყო, რომელსაცა შემდგომ ლე-ქსიც გამოუტესეს.

„აბა ჩემო მელიქო ფინთაობა დაიწყე,“

ბაგრატიონთ სისხლითა გულმუცელი აიმსე.“ და სხუანი... იმი-სი და სხუების ამბები თავის დროზედ იქნება.

ქათალიკოზი ანტონი თავის დედის დედოფლით რომ აიყარნენ, მაშინ მეფე სოლომანმა, ქალაქში კაცები დაატარა და დანარჩენს ქალაქელებს აყრა გამოუცხადეს: მეფის ირაკლის ბძანება არისო. ქალაქელებმა ყურიც არ გაიბერტყეს: კიდევ გუატყუებენ, მეფე ირაკლი ცოცხალი იყოს, თორემ ქალაქს ფიქრი არა აქვსო.

ამის მერქეს დილის ადრე, თითქმის ნახევარი ქალაქის აუყრე-ლობა რომ მოხსენდა მეფეს ირაკლის, მეფის სოლომონის გაგზავნი-ლის კაცისაგან და ზედატანებით ალამამადხანის აყრაც აცნობეს ყარაულებმა, რომელიცა ზევით გავიგონეთ და ამ დროს მახარო-ბელიც რომ გაუგზავნა ქალაქელებს, ამაზედ უფრო დარწმუნდნენ: აი თუ არ გვატყუებენ? – ამისთვის უფრო უფიქრელად დარჩენენ ქალაქელები ქალაქში და მეფის ირაკლის დღეგძელობას ღმერთსა სთხოვდნენ ყუელანი, მაგრამ მეფე ირაკლიმ ის ელჩი რომ დააჭ-ერინა აღამამადხანისა და ქალაქში გამოგზავნა, როგორც ზევით გავიგონეთ, ორშაფათის ღამეს ქალაქიდგან გააპარა დიას ჩუმათ არტემ არარაცყიმ, თვითონ იმან უბელადა ...ქალაქის გალავნის კედელზედ გადაუშვეს თავისი მოსამსახურები, დასავლეთის მხ-არეს სოლოლაკისეკენ... მთები გადაიარეს და პირიქით მოენია აღა-მამადხანსა. აღამამადხან გაუწყრა: აქამდისინ სად იყავო? – ელჩის თავი გაემართლა, მასუკან აყრილობის მიზეზი ეკითხა ელჩისა. აი აღამამადხანის პასუხი.

— მეფე ირაკლი ნადიოშას გაზდილია, მე იმან ომი არსად არ დამიწყო, მომიყუანა თავის ქალაქის პირში, ორი დღე ძალიანი ომი გვქონდა და ვერა დავაკელით რა; ეტყობა, მეფეს ირაკლის დიდი ჯარი ჰყავს იმ ხევებში დამალული და მე კი განგებ ცოტას მაჩუენებს, თორემ თუ ცოტა ჯარი ჰყუანდეს, ამ საქმეს ვერ მიზავდა.¹ მე ვხედავ მეფე ირაკლი ასეთს საქმეს მიპირებს, თუ არ წავედი ბოლოს ვინანო?

ელჩმა ფიცით დაარწმუნა: მეფეს ირაკლის მაგთენი ჯარი არა ჰყავს რაც თქუნ გინახამთ, იმაზე მეტიო, რომელმაცა არტემ არარაცკის ამბავიც უანბო: იმ ხანის შემნახველი ქალაქის კაცები როგორ მოისყიდა და ან რა ერთი ფული მისცა იმათ, მასუკან როგორ გამოიყვანა ქალაქიდგან, ან როგორ გადმოვიდნენ ქალაქის ციხის კედელზე, ან იმ მთებზედ როგორ გადმოიყვანა, ესენი სულ წვრილათ უანბო არტემ არარაცკის საქმე და ამასთან არტემ არარაცკის დაბარება მოახსენა: ქალაქის ამბავი, იმათი შეშინება და ნახევარი ქალაქის აყრა და სხუანი... ელჩისაგან დარწმუნდა ალამამადხან და მასუკან ისევ იმას ჰყითხა რჩევა: მაშ რა ვქნათო?

— ექვსი ათასი მეომარი მიბოძე, აქეთი მხრის მოკლე გზები ახლა კარგათ ვიცი, ერთ-ერთს მოკლე გზაზედ გადვივლი და მეფეს ირაკლის უკან მოვექცევი, აქედგან თქუენ მიხუალთ, შუაში მოვამწყვდევთ თავის ჯარით და ყათლანს უზამთო.

ეს რჩევა დიდათ მოიწონა, მაგრამ ხუთი ათასის მეომრების მეტი არ მისცა და ამ ჯარით გამოისტუმრა.

ამთენს უბედურებასთან ამ დილით ასეთი ბურუსი მოიხვია, ას ნაბიჯზედ აღარა გაირჩევოდა რა. ელჩი ჯარებით რომ წამოვიდა, პატარა ხანს უკან აღამამადხანც დაბრუნდა და ქალაქისაკენ გამოსწია. მეფე ირაკლის მონინავე ყარაულებმა გაარჩიეს, ყიზილბაშები ისევ დაბრუნდნენ და ეს ამბავი მეფეს აცნობეს, რომელიცა ამ დროს, იმ დილით ახალ გაკეთებულს სანგრებთან იდგა თავის ჯარით იმ ვიწროს სოდალუხის გზებში, ეს უკანასკნელი ამბავი რომ მოუვიდა. რასაკვირველია გუახსომს? — წინა ღამეს რომ გრძნობდა და მეფე სოლომანს უთხრა: როგორლაც ცუდ გუნებაზე შევიქენო? — ამის გამო, ამის მეორეს სამშაფათის დილაზედ, ესე იგი 11-ს სეკტენბერსა, ის ვიწრო გზები, ორს თუ სამს ადგილს ჩაახერგინა, რაზედაც ქუა, კლდე და რაც მოხუდათ ჩააყრევინა შიგა, ვინიცობისათვის: დიდს ჯარს გაუჭირდეს გადმოსვლა, რომ მანამდისინ

¹ აღამამადხანის მოკლის შემდგომ, მეფე ირაკლიმ განჯის ციხე რომ აიღო და ჯავათხან გამოიყვანა და ბოლოდროს კარგათ დაიახლოვა; სხუათა შორის იმას ეთქმ: აღამამადხანსა იმ ორის დღის ომში, ათიათასამდისინ კაცი დააკლდა ჯარსა.

ჩუენი საქმე მოვივარგოთო.

ამ დროს, როდისაც რომ აღამამადხანის დაბრუნება მოახსენეს ირაკლის, დაიძახა: – რასაც ვფიქრობი, ის მოხდა. აბა ახლა საჩქაროთ გავწიოთ და ქალაქის პირში ჩუენ ზარბაზნებთან მივიდეთ. ეხლა ამ ბურუსში მეშინიან, ერთს რომელსამე კოჯირის მთის მხარეს არ გადვიდნენ და ზარბაზნები არ ნაიღონ? – თუ ეს საშინელი ბურუსი არ მოეხვია, ვერც ერთი ყიზილბაში მეომარი ვერ გამეხუენებოდა, საითკენაც უნდა ნასულიყო, არამც თუ ჯარი, მაგრამ ამ ბურუსისა მეშინიან.¹ ამასთან მეფე სოლომანთან კარგი ცხენიანი კაცი გამოაცია: დიახ ჩქარა ზარბაზნებთან დამხვდი შენის ჯარითაო და თვითონაც გამოსწია, როგორც ჯარსა შეეფერება ისე ჩქარა, მაგრამ ყიზილბაშებმა გამოასწრეს და ზარბაზნებს ნამოადგნენ თავზე. ამთენს უბედურებას უბედურება დაერთო. ამ დროს ნისლმაც გადიყრა და ყიზილბაშებმა ზარბაზნები დაინახეს, რომლებმაცა იმ ათასმა იმერლებმა დაიდასტურეს: მეფე ირაკლი თავის ჯარით წაუხდენიათ, თორემ ყიზილბაშის ჯარსა ამ მხარეს რა უნდაო? – ზარბაზნების უფროსი მეფის ირაკლის მაიორი თავიორგი გურამიშვილი რამდენს ეხვენა მცირე ხანს მოცდას: რასაც ფიქრობთ, ტყუილი არისო. მაგრამ არა ქნეს, გამოსწიეს და ქალაქში ეს ამბავი შემოიტანეს, მაშინ როდესაც რომ სოლომან მეფე აბანოების კარზე იდგა თავის ჯარითა და თავის პაპის ბძანებას ელოდა: საითკენ მიბძანებს, იქით წავიდეო. მაგრამ ის კაცი მეფე ირაკლიმ მეფე სოლომანთან რომ გამოგზავნა: ზარბაზნებთან დამხვდიო. იმ კაცს კოჯირის მოწინავე ყიზილბაშის ჯარის კაცები შეხვედროდნენ და იქუე მოეკლათ.

იმ ათასმა კაცმა იმერეთის მეომრებმა, ეს ამბავი მოუტანეს მეფე სოლომანსა: მითამ მეფე ირაკლი თავის ჯარით სულ გააწყვიტეს ყიზილბაშებმაო; ზარბაზნებიც იმათ წაიღესო და ჩუენ ძლივს გადვირჩინეთ თავიო. ყმანვილი კაცი მეფე სოლომან ამ გაუგებელის ტყუილით მოიტაცეს და საჩქაროთ იმერეთისაკენ გასწიეს.

დამშვიდებულებმა თითქმის ნახევარი ქალაქის ხალხმა ერთმანეთი დაარწმუნეს: იმერლებმა გვიღალატეს, თორემ ამ დილით მახარობელი არ მოგვივიდა, რომ აღამამადხან აიყარა და საჩქაროთ წავიდაო?

ამ ამბებში კოჯირის, ანუ ტაბახმელის მთის გზები ბატონშვილს დავითს ჰქონდა შეკრული, რომელიცა მეფე ირაკლი, იმის იმედით იყო, რომ იქით მხარეს მთაზედ არვის გადმოუშვებდა. შემდეგ გარკვევით წავიკითხამთ.

ჰქონდა ბატონიშვილს დავითსა ოთხასის კაცითა და ოთხის ზარბაზნითა, რომ აღამამადხანის მოძრაობა, საითენაც წასულიყო, იქიდგან უნდა ეჩიშრიკა და მეფისათვის ეცნობებინა. ვინიცობა არის თუ ყიზილბაშის ჯარი მთის გზაზედ წამოვიდოდა, მაშინვე ზარბაზნები უნდა დაეცალა და ამით ეცნობებინა: მთაზედ მოდიან ყიზილბაშის ჯარი. და თვითონაც საომრათ დახუედროდა იმათ, რომელიცა ზარბაზნების ხმის გამგონე გამოეშურებოდა; საჩქაროთ ზარბაზნებთან მოვიდოდა თავის ჯარით და მაშინ ყიზილბაშის ჯარი ვეღარას დააკლებდა მეფეს ირაკლის, მაგრამ ყიზილბაშის ჯარმა მთის მოკლე გზაზედ რომ გადმოიარეს, სადაც ბატონიშვილი დავითი იდგა, ერთი მესროლი კაცი აღარავინ აღარ დახვდათ და თავისუფლად გადმოიარეს. თუ ბატონიშვილს დავითს ის მთის გზები არ დაეგდო და არ გამოსცლოდა, ამთენის მესროლით და ოთხი ზარბაზნითა, იმ მთას გაიმაგრებდა და ყიზილბაშებს არ გადმოუშვებდა.

რაღაც უცნაური ხასიათები დასჩემდა ბატონიშვილს დავითსა რუსეთიდგან რომ მოვიდა. აი, იმ აბებში რა ქნა, თორემ სხუებიც არის. ორშაფათს სალამოზედ, ვილასაც საიდუმლოთ მოეხსენებინა, იქნება განგებაც იყო, რომ იმანაც უღალატოს? – რომელსაცა მანამდის თურმე უმაღავდნენ, თავის ბიძის რევაზ ენდრონაკაშვილის დალატსა, რომ ბიძა თქუებში მეფეს ირაკლის უღალატაო და ამასთან ყუელა ეთქუათ, რაც წარსულში გავიგონეთ. აღარც დაფიქრდა, აღარც გული მოისუენა და გაფხუკიანებული წამოხტა; თავის მეომრებში გაერია და ხმა მაღლივ დაიძახა.

– საწყალს პაპაჩემს, მეფე ირაკლის ყუელამ უღალატა; აქ შარტო ჩეუნ რაღა უნდ შევძლოთო?

გააჩჩელებულმა ის ოთხი ზარბაზანი ხევში გადააყრევინა, თვითონ წყნეთის გზაზედ გადიარა, და კახეთისაკენ გასწია: მეტის ჯავრით თრთოლა მოსდიოდა, ლაპარაკი ძლივსლა ესმოდაო.

რა რომ ბატონიშვილმა გიორგიმ (დავითის მამამ.) შეიტყო იმისი კახეთში გადასვლა, მაშინვე დაიბარა, მაგრამ ნაცვლად წასვლისა, ბევრი ავი სიტყუა შეუთუალა, კარგა ხანიც გავიდა აღარ ნახა და თუ ოდესმე ნახამდა, ისიც იშვიათად ცოტას ხანსა. ამის შემდეგ ასე შესძავდა, რომ მამის სახელის ხენებასა დავითთან ძნელად გაბედავდნენ ხოლმე. გიორგი ბატონიშვილი (შემდეგ მეფე.) დამნაშავე არ იყო, ის იყო სწეული კაცი და დიდი ლვთის მოყუარე. ვინც იყვნენ მიზეზნი, დრო ბევრია.

ყიზილბაშის ჯარი მთაზედ რომ ამოვიდა, აქედგან ჩქარა გამოსწიეს და მაღლობზედ გადმოადგნენ ზარბაზნებსა, როგორც ზევითა ვსთქვით, ისე. ნისლ გადაყრილს დროში, ზარბაზნები რომ

დაინახეს, მაშინვე წამოვიდნენ და კრწანისის ბალებთან მოვიდნენ, საიდგანაც კარგათ გაჩერიკეს, ნახეს, რომ ზარბაზნებს ჯარი არა ჰყავს, უთოფეთ თოფჩების მეტი, რომელთაცა დიდათ იამათ და შე-მოსატევად წამოვიდნენ.

დანარჩენსა ქალაქისა ხალხსა რომ უკვირდათ: იმერლებმა გვიღალატესო. ამ დროს ზარბაზნები გავარდა და გავარდა. ამისმა ხმამ უბედურობის ამბავი მიუტანა ქალაქელებს და ყუელანი უბედურობის ზარმა აიტანა.

ზარბაზნების უფროსმა მაიორმა თა გიორგი გურამისშვილმა (მეფის ირაკლის ნათლული იყო.) ამისთანა გაჭირება ნახა, რომ აუცილებელი სიკვდილი მისულიყო იმათზე, ყუელას ხმა მაღლა შესძახა.

— ქართულებო ძმებო! ცხადათ ვხედავთ, აუცილებელი სიკვდილი მოსულა ჩუენზე, მაგრამ ესეც შეგვიძლიან, უნამუსოთ დავნებდეთ ყიზილბაშებს. აბა რომელი გინდათ, სახელით სიკვდილი მამულისათვის და კარგის მეფისათვისა, თუ უნამუსოთ სიცოცხლე? —

ყუელამ ერთპირათ.

— ჩუენ მამაპაპას უნამუსობა არ უქნიათ და ჩუენც იმათი შვილები ვართ. სიკვდილი გვირჩევნია უნამუსოთ სიცოცხლეს.

— გმადლობთ ძმებო, რაც თქუენს კაცობას ეკადრება, სწორეთ იმისთანა გული გაქუსთ, მაგრამ სამი თითით ყუელამ მინა ავილოთ; შევჭამოთ, ეს იყოს წმინდა საიდუმლოს მაგიერი. მასუკან საიქიოს წავდგეთ სახელოვნად.

ყუელამ მიწას დაავლეს სამი თითით და ღვთის ხსენებით შეჭამეს: ღმერთო შეგვინყალე.

ყიზილბაშები რომ ემზადებოდნენ შესატევად, მაგრამ დაშენილმა ზარბაზნებმა შემოფანტა სულერთიან და მოუწყეტლად მიაყარეს ზარბაზნების საფანტი. ამ დროს მეფე ირაკლი სოლალუხის ვიწროებში მოეშურებოდა თავის ქართულებით. ზარბაზნების ქუხილი რომ გაიგონეს, უფრო გამოეშურნენ და რაც შეეძლოთ, წამოვიდნენ.

ზარბაზნების საფანტმა რომ მიფანტ-მოფანტა ყიზილბაშები, ამ დროს შეხედეს, ნახეს რომ ქართულები ვიწროებში მოეშურებოდნენ და ამაზედ ელდა ეცათ, რომელთაცა გადაწყუეტითა თქუეს. — „თუ იმ ქართულებმა ზარბაზნებთან მიგვასწრეს, უთუოთ წაგვახდენენ. რაც დაგვემართოს, უნდა შევუტიოთ.“

ამასთანვე შეუტიეს და ზარბაზნებზე მიყარეს ცხენები ოთხსავ კუთხივ. მანამდისინ თითო კიდევ ესროლეს, ისიც აქა იქა, მაგრამ მაინც კიდევ შიგ შეუხდნენ და შეიქნა ხმლის ტრიალი. თუ სხუა

თოფიანი ჯარი ჰყოლოდათ ზარბაზნებთან იმ მაგარს ადგილებში, შეეძლოთ, რომ ყიზილბაშის ჯარი შეეყენებინათ თოფის ტყვიით, ზედატანებით ზარბაზნების გატენასა მოასწრობდნენ და ყიზილბაშებს აღარ შემოუშვებდნენ. ამაობაში მეფე ირაკლიც მოეშუელებოდა თავის ჯარით და ქართუელების საქმე გაიმართებოდა. მაგრამ როდისაც ყიზილბაშებმა კარგათ გაარჩიეს და ბოლო დროს თამამად დაერივნენ თოფჩებში, მაშინვე ქართუელებმა ხმლებსა ხელი გაიკრეს და თვითონ ყიზილბაში მაინც ჩამოაგდეს, მაგრამ ბოლოს ისინიც განცვიტეს და თუ დარჩა ვინმე, დიახ ცოტა, ისიც როგორმე შემთხვევით. ის მაიორი გურამიშვილი კი გმირსავით დადგა და ხმლით სამი ყიზილბაში ჩამოაგდო და მეოთხეს დაამტკრია ზედა, რომელიცა მაშინუე გამოტრიალდა და ერთს ზარბაზანს გადაეხვია ამ სიტყვით.

— ღმერთ! ოღონდ მეფე ირაკლი მშვიდობით გაიყუანე ამ საშინელებისაგან და მე მამულის ჭირის სანაცვლო ვიყო. გამგელებული ყიზილბაშები მისცვივდნენ და ზედ ზარბაზანზე დაკაფეს. ის სიკვდილის შეუშინებელი, მამულის მოყუარული, მეფის ერთგული, თავის ვალის აღმასრულებელი, რიგის დამცუელი, სრული პატიოსანი და სულით დიდი კეთილშობილი!

მეფე ირაკლიმ და იმისმა ჯარმა ზარბაზნების ხმა რომ ვეღარ გაიგონეს, დაიდასტურეს: ზარბაზნები წაახდინეს, თორემ იმათი ხმა არ განცდებოდაო. ამაზედ სულერთიან გაიფიცნენ: ან წამუსიანათ თავი გავიტანოთ და ან წამუსიანათ დავიხოცნეთო. ამ სიტყუაზედ გამოსწოეს და გამოეშურნენ.

როდისაც ყიზილბაშებმა ზარბაზნები წაახდინეს, მაშინვე ათასი ყიზილბაში სოლოლაკისაკენ გამოგზავნა იმ გაპარებულმა ხანმა, გზის მცოდნე თავის მოსამსახურის ბელადობით და ეს ჯარი უკან ქალაქისკენ ჩამოვიდა დასავლეთის მხარეს, სწორეთ მაშინ, როდისაც მეფე ირაკლი თავის ქართველებით, მტკვრის ხიდზე ავლაბარში გავიდა, მაგრამ იმ ყიზილბაშის ათასი კაცის გამოგზავნის შემდეგ დაინახეს, რომ სოლალუხის ვიწროებში ქართუელებიც მოეშურებოდნენ, რომლებიცა ადრითვე ასე შეშინებული იყვნენ იმათგან იგინი, რომ ეგონათ: რაც ჯარი წინა დღეების ომებში იყო, კიდევ იმთენი ჯარი იქნებაო. უფრო კიდევ ამისი შეეშინდათ, თავიანთი ყიზილბაშის ჯარი არ მოსდევდათ იმათ, ამისთვის კარგა შორსა თავი მოარიდეს და ზევით წავიდნენ, რომელთაცა მოშორებით გამოუარეს შარა გზაზე ქართველებმა და სეიდაბათის ბალების ორლობებისაკენ წამოვიდნენ, თორემ თუ ის ოთხი ათასი ყიზილბაში წინ დახუედროდათ, იმათის ხელით განცდებოდნენ განახევრებული ქართველები და იმთენის შრომისაგან დაღალ-

ულ-დაწყუეტილები. სახელისთვის და პატიოსნებისათვის ესეც რომ ყოფილიყო, ძალიან კარგი იქნებოდა! .. ესეც მეფის ირაკლის უბედურობა.

რა რომ აღამამადხან სოლალუხის სოფელთან მოვიდა ჯარებითა, კიდევ ძალიანი ნისლი იდგა დედამიწაზე, რომლებსაცა ადგილობრივ დადგომა უბძანა, კიდევ ვერ გაპედა ვიწროებისაგან წამოსულიყო, ასე შეშინებული იყვნენ ქართულებისაგან. ამისთვის თავის საკუთარის კაცებითა მტკუარის მდინარეში გავიდა ნათლუხისაკენ და ამ დროს ნისლმაც აიყარა, იმ დროს მტკვარიც ცოტა მოდიდებულიყო. ამისთანა შემთხუევანი, ასე ვვგონია: განგებ არის. თვით განგებისაგან მომზადებული უბედურება – უბედურს ერეკლეზედ, უნამეტნავესი დალატობა და სხუა შემთხვეულება. საიდგანაც აღამამადხანმა სოლალუხის ვიწროებსა და იმის ხევებსა ჩერეკა დაუწყო: მეფე ირაკლი ჯარს ხომ არ მალამსო? – კარგათ გაჩხრიკა, ნახა, რომ ჯარი არსად არ იყო, მეფის ირაკლის მეტი, რომელიცა თავის ჯარით მიერებოდა ვიწროს გზებში და ამ დროს ზარბაზნების ხმაც გაიგონა ქალაქის პირიდგან აღამამადხანმა, რომელმაცა იქიდგან დააძახებინა: ჩქარა ჩამოუდექითო და თვითონაც ჩქარა გამოვიდა მტკუარში, მაგრამ იმ ჩახერგილებმა კარგახანი დაიჭირა ჯარი; მინამ ისინი მიყარ-მოყარეს, მეფე ირაკლიმ ვიწროები გაიარა.

აქ დაუყოვნად აღამამადხანმა, ვისაც კარგი ბედაური ცხენები ჰყუანდათ, ისინი გამოუყენა და ისინიც ასე წამოვიდნენ, რომ შურდულის ქუასავითა, რომლებსაცა ჯარი უკან დაადევნა და თვითონაც ნელიად გამოჰყუა იმათ.

მეფე ირაკლიმ თავის ქართულებით ყიზილბაშებს წინ რომ გამოუარეს, გაშტერდნენ და ინანდნენ: რა ცოტანი ყოფილან, რატომ გზა არ შეუკარით, რომ სულერთიან გაგვენწყვიტა ისინიო. ამასთან საჩქაროთ გზაზედ ჩამოვიდნენ და მოუწყეტელის თოფის სროლით აედევნენ უკან. არც კი ქართულები დარჩნენ ხელცარიელები იმათზე, თუმცა დალალულ-დაწყვეტილებიც იყუნენ.

შუა სეიდაბათის ორლობებში, ის გამოსწრაფებული ყიზილბაშებიც მოეწივნენ და კიდეც შემოუტიეს, ეგონათ, ამითი შევაშინებთ გადავსრესთო, მაგრამ მაშინდელს ქართულებისა გულსა რა შეაშინებდა, ნამეტნავად იმისთანა კაცთან, როგორც მეფე ირაკლი! შემდეგ იმისთანა გამოჩენილი ვაჟეაცი თავად-აზნაურნი გარს ეხვივნენ და რამდენს ომებში იყვნენ გამოცდილი! მასუკან უფროსი ერთი სულ თავის საკუთარი ამალა ახლდა და მერეთ ასორმოც-და ათამდისინ თავის შინაური თათრები, რომელთაცა სული მეფის ირაკლისთვის ჰქონდათ შეწირული და რომელთაცა კიდეც დაამტ-

კიცეს, რომ თითქმის სულერთიან გაწყდნენ იმ ომში და თუ გადარჩა ვინმე, დიახ ცოტა.

გაგულისებულმა ყიზილბაშებმა შემოუტიეს, მაგრამ მაინც ვერა დააკლეს რა ქართულებსა იმ ორლობებში. მეფე ირაკლი თავ-ის თავადაზნაურებითა გაუბრუნდა და ზედ იმათ ჯარზე მიარევეს, რომლებიცა მაშინვე გამოტრიალდნენ და საჩქაროთ წამოვიდნენ. მეფე ირაკლის კიდევ იმერლების იმედი ჰქონდა: აქ სადმე იქნებიანო. მაგრამ იმათი ამბებიც მოახსენეს: წავიდნენო და ბატოიშვილის დავითის ამბავიც ზედ დაატანეს. უბედურმა მეფე ირაკლიმ თავი გადააგდ-გადმოაგდო დალონებულმა და სხუა კი აღარა სთქუა რა, ამისთვის რომ ძალა იმის მეფობისა მოკლული იყო მტრებისაგან, რომლებსაცა ღმერთი სწამდათ და იმისი მტრები კი იყვნენ. ის შავ-გადაკრული უსვინიდისონი.....

იმ შემოტევის შემდგომ, თუმცა შემოტევა ვეღარ გაბედეს, მაგრამ სეტყუასავით ტყვია მოაყარეს ქართულებსა და ქართულებიც უშიშრათა გულს უშვერდნენ და თან ესენიც ესროდნენ, მაგრამ რა გახდებოდა, ერთს ქართულსა ოცი დაქვეითებული ყიზილბაში თოფს ესროდა. ასე ამ ყოფით, უნამეტნავესი ქართულები დაიხოცნენ და იქ დაიგდეს თავი, იმ გაცეცხლებულს ომში, რომ მინამ აბანოებთან ჩამოვიდნენ, სამასი კაცი ძლივს ჩამოჰყუა მეფეს: ჭირი მართალთაო. ქართულები, მართალი იყავით და ჭირიც გერიათ. ეგ თქუენი სისხლი ღმერთთან ღალადებს...

აბანოების ზევით მაღლობს გზაზედ, ყიზილბაშების დასტები მოადგნენ, უნდოდათ, ქართულებისათვის შემოეტიათ, მაგრამ ზედატანებით, ზევით ციხიდგან შეზარბაზნე, თოფჩმა სომეხმა ალალუამ ზარბაზნები დაუშინა ყიზილბაშებს, რომლებიცა შეაყენა, ვეღარ წამოვიდნენ და ამით მეფეს ირაკლის დრო მისცა, რომ თავის ქართულებით გაეარა.

მეფე ირაკლი ავლაბრის ხიდის თავში რომ მივიდა, მოინდომა ქალაქზე დაეკარა და დიღმის გზაზედ წასულიყო, მაგრამ ზევით რომ ითქუა, იმ ალავერდბეგ ედიგარაშვილმა მოახსენა.

- ჩემო ხელმწიფეო, რას შვრებით, ხიდზე გაიარეთ და ავჭალის საგურამოსაკენ წაბრანდით, მე ყიზილბაშებს აქ დავხვდები და მე ვიცი რომელსა გზაზედ გავისტუმრებ იმათ, თქვენ მშვიდობით წადით. თათრის კიკინები ჰქონდა და თავიც მოპარსული, თვითონ თათარიც¹. ამ სიტყუაზე მეფე ირაკლიმ ცხენი გაატრიალა და ხიდი-

¹ როდისაც სპარსელები შემოვიდნენ, ალავერდბეგი იქვე ცხენით დახვდა და სპარსულათ ჰკითხეს.

- შენ ვინა ხარ? -

საკენ წავიდა, მაგრამ იქ შუა ხიდზედ ცხენი მოატრიალა და შენუხებულმა დაიძახა.

– ნეტა სად მივდივარ? – ნავალ და მეც ჩემ შვილებთან მოვკვდები ამ ქალაქის ხალხში და იმათ ვნებას მე ვერა ვნახამ.

მაშინვე ივანე მუხრანის ბატონმა, მეფის ირაკლის ცხენის ჯილდვს ხელი უტაცა, გამოატრიალა, ერთის მხრითაც ბატონშვილი ალმასხან მივარდა, მეორეს მხრით ბატონშვილი ივანე, უკან ცხენსაც ქიზიყის მოურავმა მათრახი დაუკრა და საჩქაროთ გაარბენინეს, გულმოკლული საცოდავი ერეკლე!

იქნება საქართულელოს და ქართულების დამლუპავსა ღმერთმა შეარჩინოს? – იმედი მაქუს, სიმართლე თავისას არ დაჰკარგავს.

როდისაც რომ მახათის ძირში მივიღნენ, იქ საშინელი ხმები მოვიდა ქალაქიდგან, სადაც უნყალო მტერი შეესია და ვაება მოხდა ქალაქში, რომელიცა დადგა და მწარეთ მოთქმა დაიწყო მეფე ერეკლემ.

„ოჟ ღმერთო, რასა ვხედავ და ან რა ხმა მესმის? ჩემო საყუარელო შვილებო, მე თქუენს ამაღლებას ვცდილობდი, მე თქუენის ბედნიერებისათვის ვზრუნამდი, თქუენი მცირე მწუხარება ჩემთვის სასიკვდინო იყო და სიხარული ბედნიერება!.. ნაცვლად თქუენის დღესასწაულისა, დღეს საშინელება ტრიალებს თქუენზე, ნაცვლად თქუენის მხიარულის საკურავებისა, დღეს ატადის კალოს ხმა მესმის თქუენზედ მოსული, ნაცვლად თქუენის უჯავრელის სიმღერისა, დღეს თქუენი მწარე ტირილი ზეცაში დალადებს. რამთენი თმა განენილი დედანი და ქალნი წივიან ეხლა, ის ხმა შენ არ გესმის ღმერთო? – რამდენი კაცი ყელგამოჭრილი ყურებიან ეხლა, ამაებს ვერა ხედავ ღმერთო? – ჩემო ძმებო, ჩემო შვილებო, ჩემო ამხანაგებო, ჩემო საყუარლებო და ჩემო სასურველებო! მე თქუენთვის უნდა მომკვდარიყავ და თქუენ ჩემთვის იხოცებით. აბა რიღას მეფე ვარ, რით დაგიფარეთ?“ ამ მოთქმაში თავისი ქართულები უკან უდგნენ და ცრემლით იღვრებოდნენ. კიდევ თავისი სიძე ივანე მუხრანბატონი მივიდა და დიდის ხვეწინთ სთხოვა დაჩუმებულიყო, მაგრამ მაინც ეს ორიოდ სიტყუა კიდევა თქუა.

„რა განძრახუა მქონდა, იმ დაწყობილობით რომ დავმარცხებულიყავით, ვიტყოდით, ღმერთმა არ ინებაო და ისე შესანუხებე-

იმან სპარსული კარგათ იცოდა, უთხრა.

– მე ჯავათხანის კაცი ვარ.

– თუ იცი, ვალი (მეფე) ირაკლი რა იქნა? –

– აქეთ ამ ქალაქისაკენ წავიდა. და ამ სიტყუაზედ იმათ ქალაქისაკენ გასწიეს. ისინი რომ იქით წავიდნენ, ალავერდბეგმა ცხენს მათრახი ჰქონა, საჩქაროთ ხიდზე გაარბენია და მახათასთან მეფეს ირაკლისა მოენია.

ლი აღარ იქნებოდა. რატომ ღმერთმა გუშინვე ჩემი თავი ომში არ მოაკვლევინა და ეს საშინელი უბედურება მაჩუენა? – რა კარგი ბედნიერი სიკვდილი იქნებოდა ჩემთვის. არ ვიცი ეს ამისთანა უს-ვინდისო ღალატი, საიდგან რა უნდა იყოს, ვფიქრობ და ვერა გა-მიგიარა?“ ამ უკანასკნელს სიტყუასთან, თავი ჩაჰავდა და ღრმათ დაღონდა.

ამ ამბავში ერთი ადრიბეჭანის ხანი მიადგა თავის ჯარით უკან მთიდგან, განგებ საჩქაროთ წამოსულიყო: მეფეს ირაკლის ყიზილ-ბაშის ჯარი არსად მოეწიოს, გავაფრთხილებო. ხანმა შემოხედა და ირაკლის ბაირახი იცნა, რომელმაცა მაშინვე კაცი გამოუგზავნა, ჯერ მოკითხუა შემოეთუალა, მასუკან დიდი მნუხარება იმ უბედ-ურობისათვის და მერეთ მოახსენა: საჩქაროთ წადით, თორემ დი-დრონი ჯარები მოდისო.

ყოვლის ძალისაგან მოსპობილსა მეფე ირაკლისა და საშინელს ღალატში ჩავარდნილსა, რაღა უნდა ექნა? – ამის მეტი ვეღარა მოიფიქრა რა, გატრიალდა თავის ქართულელებით და იმ ღამეს სა-გურამიში ავიდნენ და იქვე დადგნენ, დაღალულ-დაწყუეტილები და მწარეთ შეწუხებულები.

იმ ამბებში ვინც მეფეს ირაკლისთან იყუნენ პირუელი გუამები იმთავიდგან უკანასკნელამდისინ, იმათი სახელი არ უნდა დაიკარ-გოს, იმათი სახელი უნდა დაინეროს აქა.

პირუელი. თვით მეფის ირაკლის ძე ვახტანგ (მომატებული სახელი ალმასხან.), ამას სამასი ცხენიანი აზნაურიშვილები ყუანდა თავიანთი მოსამსახურებით, არაგუელები, რომლებიცა სულ ომში დაიხოცნენ და თავი იქვე დაიგდეს. ამ ბატონიშვილს, არამც თუ სა-მასი მეომარი, შეეძლო სამი ათასი მოეყუანა იმ ხეობაების ოსებით, კარგი ვაჟეკაცნი, მაგრამ იქაც ეშმაკები შეიპარნენ და იმათ ჩაშა-ლეს. მეორეშ. მეფის გიორგის ძე ბატონიშვილი ივანე განუყრელად თავის პაპას ახლდა და ყოველს ომში იბრძოდა, როგორც უსიშა-რი გმირი. ბევრჯელ მეფეს ირაკლიზე და სეტყუასავით ტყვია რომ წამოვიდოდა, ბატონიშვილი ივანე გადუდგებოდა წინა და თავის გულსა მიუშვერდა. მაშინ ამას ქანი ეჭირა, ამასაც შეეძლო, ათასი ცხენიანი კაცი გამოეყუანა, მაგრამ ორმოცდაათამდისინ ძლივსლა ჰყუანდა. აქაც ეშმაკებისაგან მოხდა. მესამე. მეფის ირაკლის სიძე ივანე მუხრანის ბატონი, ზურგს უნახავდა მეფეს და განუშორებ-ლად გუერდით ახლდა და რამდენს განსაცდელიდგან გამოიხსნი-და. ამასაც შეეძლო ათასამდის ცხენიანი კაცი გამოეყუანა, მაგრამ სამოცამდისინ ეყოლებოდა. აქაც რასაკვრელია ეშმაკები იყუნენ, იმ ვაკე სამუხრანოში. არამცთუ ორსა და სამსა ადგილს – მთელს საქართუელოში იყო მოდებული საზიზლარი მოღალატე კაცე-

ბი, ეშმაკებისაგან ეშმაკები. მეოთხე. კუალად მეფეს ახლდნენ მეფე ირაკლის სიძე თა ზაქარია ენდრონიკაშვილი (ეს ზევითაცა ვთქვით.) და თა ივანე აბაშიძე, რომელთაცა ასე გამოიჩინეს თავი იმ ომებში, რომ რომელს მხარეზედაც ეს ორნი შეუტევდნენ თავის მახლობლებით და მოსამსახურებით, მაშინვე გააქცევდნენ, მაგრამ იმათაც მოსამსახურები, ცოტადა დარჩათ, ომში დაიხოცნენ. მეხსუთე მეფის მისკარპაში იოსებ ბებუთაშვილი და იმის სახლის კაცი, ყმანვილი კაცი არსენც პირველს ომში ახლდნენ მეფეს, მაგრამ იმ კვირა ღამეს გაეპარნენ მეფეს; ვერის ხეობას მიმართეს და ხიზნებისაკენ წავიდნენ. თვით არსენისაგან გამიგონია: თვით მეფემ დაგვითხოვთ. მაშ რა უნდა ეტეუა, თავს ამით იმართლებდა, მაგრამ მე კი სწორეთ ვიცი, რომ გაეპარნენ. არსენ ჩემი კარგი მცნობი იყო და ბევრი ამბებიც გამიგონია იმისაგან მაშინდელი. მეექვსე ოთარ ამილახვარიც იქ იმ საშინელს ომებში ახლდა მეფეს ირაკლისა და სხვა თავადებიც კარგა იმთენი, რაც მეფის ირაკლის იმ ორი ათას მეომრებსა შეეფერებოდა, სადაც იბრძოდნენ უკანასკნელს სიცოცხლეზედ თავდადებით¹. და მეექვსე. მომატებული ქება რაღა უნდა? – ის ორიათასი ქართული მეომრები თავის ბატონებით, ერთი ერთმანეთზედ კარგნი იყვნენ, ნამეტნავად მებატონების მოსამსახურებმა უფრო დაამტკიცეს. თითქმის სულ მტრებისაგან დაიხოცნენ და თუ დარჩა ვინმე, დიას ცოტა.

წარმოიდგინეთ, საქართულოში რა ღალატი უნდა ყოფილიყო, რომ მთელის საქართულოდგან, თათრებიდგან, ორი ათასი მეომარის მეტი არა ჰყუანდა მეფეს ირაკლის? – ამისთანა ქვებუდანი, ღვთის გარეგანი ღალატი გაგონილა სადმე? –

საგურამოდგან მეფე ირაკლი და იმისი ქართულები, მეორეს დღეს გაუთენებლივ აიყარნენ და იმ დღეს მთიულეთს მივიდნენ ციხის ძირის სოფელში ანანურს ზევით და იქიდგანაც მეორე დღეს ადრე ბატატანთ კარს მივიდნენ, სადაც მეფის ირაკლის ხიზანი იყო.

დედოფალმა მეფეს ირაკლის რომ შემოხედა და იმისი რკინის-ჟანგიანი ფერი სახე დაიხანა, საშინელი დაიკივლა: ვუი ჩემს თავს, ქალაქი დაღუბილა სააწყალი. და გულს შემოეყარა. წაეზვონენ და ერთს საათზედ ძლივს მოაბრუნეს. მასუკან თავი მოიხადა და მოსთქუა საცოდავის სიტყუებით, სადაც შეიქნა ასეთი ქვითინი, რომ ის ხეობა ხმასაც აძლევდაო, რომ გრგვინუას გუანდაო. უბედური მეფე ირაკლი, მხოლოდ ის ერთი; გულხელდაკრეფილი, გულგაქუაებული იყო კარგახანი. ბოლოს თავი აიღო და ხუენნით უთხ-

¹ თა იოსებ ამილახვრის შვილისაგანაც გამიგონია იმ აღამამადხანის ომის ამბები, ისიც იქ ყოფილა.

რა დედოფალსა.

– ჩემო უსაყუარლესო დედოფალო, მოითმინე შენიჭირიმე.

მასუკან მოჰყუა და როგორც უნდა ამ გუარს შემთხუევაში მოთმინება, იმაზედ ილაპარაკა. მერეთ ამის მეორე დღეს აყრა ბძანა და იქიდგან ბურდულაანთ კარში მივიღნენ.

პირუელად ყიზილბაში ქალაქში რომ შემოვიდა, ამ დროს ალამადხან წართმეულს ქართულების ზარბაზნებთან იდგა, სადაც ამბავი მიუვიდა: ქალაქი ავილევითო. მაშინუე სიხარულით წამოვიდა და მეფის სასახლე ნახა, რომელსაცა დიდათ მოეწონა და თქუა.

– სპარსეთის ხელმწიფე ვარ და ამისთანა სასახლე მეც არა მაქუს.

მასუკან მეფის სალარო ნახა და დიდათ გაშტერდა იმთენის სიმდიდრით. მერე გატრიალდა, სამშაფათის აბანოში იბანა და დღევანდლამდისინ იმ ერთს აუზს უძახიან, რომელშიაც იბანა: შაჰის აუზი. საიდგანაც ნააბანოვი გამოვიდა და სოღალუხში ჩავიდა დიდი ყმაყოფილი. იქიდგან ბძანა: საქართულოზედ თარეში წავიდესო, მაგრამ თუ მცირედი ჯარი ნახოთ სადმე, მაშინვე გამოტრიალდით და საჩქაროთ წამოდით.

თარეშმა ქართლის ტირიფონამდისინ იარა და მეტი ვეღარ გაბედეს, სადაც სოფლები სულ აყრილი იყო, ისინი მიგოხ-მოგახეს, ანუ აიელეს. გზაზედაც ვისაც მოასწრეს, ვინც ხელი გამოიღო, მოკლეს; ვინც არა და ტყუეთ წაიყუანეს. კახეთი კი მშვიდობით გადურჩათ, ლილოს იქით ჯარი არ წასულა.

ცხრადლეზედ მომატებული ვეღარ ითარეშეს და მასუკან ჯარები სულ ქალაქის პირში შეიყარნენ; ალამამადხან იმათში ჩადგა, ქალაქი შემოიარეს – სოლოლაკის მთა გადიარეს და სპარსეთისაკენ გაიმართნენ. ჯავათხანმა ჰკითხა: ასე ადრე რათ მიბძანდებით?

– სჯობია საჩქაროთ წავიდეთ. მეფე ირაკლი ჭკვიანი კაცია და ბევრს ამბებში გამოცდილი. იმან ქალაქი განგებ დაგუანება; უნდა ჩუმათ ჯარები გამოიყუანოს და სულ ერთიან წაგუახდინოს, ამისთვის სჯობია საჩქაროთ გავეშურნეთ. ეს ალამამადხანის პასუხია. თვით ჯავათხანის სიტყუა მეფეს ირაკლისთან და კიდევ ბევრი სხუაცაა.....

ქ. ტფილისისა ასე იყო. დარჩენილი ხალხი სულ ტყუეთ წაიყუანეს, სიკვდილით კი მაგთენი არავინ მოუკლამთ, თუ ხელი არავინ გამოიღო. გარდა ამისა ქალაქის შენობაები აგრე რიგათ ბევრი არ დაუწვამთ, უფრო უკეთესი შენობანი დაწუეს და მეფის ირაკლის სასახლეც.

შემდგომ ამისა, მეფე ირაკლი თელავში გადვიდა თავის ხიზნით, დედოფალი ავანტყოფი იქ დააგდო, შეუძლებლობისა გამო სიცხის

ძლევა დაუწყო და თვითონ ქალაქში ჩამოვიდა ტფილისს, სადაც მწუხარენი დახიზნული ხალხი შეიკრიბნენ და რაოდენ შეიძლებოდა ნუგეშს სცემდა იმათ, რომლებმაცა შენობანი ისევ ისე გააკეთეს მეფის შემწეობით, როგორც იყო, უფრო კი მდარე შენობაები, თუმცა მეფეს ირაკლისაც აღარა დარჩარა მაგთენი, იმ ნივთების გარდა, რაც დედოფლის აყრის დროსა გაიტანეს (ზევითაც ითქუ.), ასე გახრიყა აღამამათხანმა მეფის სასახლე. მაგრამ მაინც მეფე იყო, კიდევ შეეძლო თავის შეძლებითა შემწეობა ხალხისა და კიდეც შეენია.

მეფეს ირაკლის უკვირდა: მე უფრო სხუა რიგათ მეგონა, რომ დიდს უწყალოებას დამართებდა ხალხსა, იმ ტყუეებს ღვთის შეწევნით ჩეარა გამოვიხსნითო. ბოლოდროს ისეც მოხდა, თუ იქ დარჩა ვინმე, დიას მცირე, მაგრამ აღამამადხანისაგან ქალაქის აღება მეფისთვისა მძიმე იყო და ძალიან ფიქრობდა იმაზედ: იმისგან მაშულის ასე ადვილად გაღახუა დიდათ სწყინდა, რომელიცა თავის დღეში არ დამარცხებულა. ბოლოდროს მაინც კიდევ, ხელმეორეთ აამხედრეს აღამამადხანი მეფეს ირაკლიზედ, საიდგანაც სპარსეთით ამბავი მოუვიდა: აღამამადხან კიდევ აპირებს წამოსვლასაო.

მეფე ირაკლიმ მაშინვე დიდი კაცები და პირუელი სახლის შვილები მოიწვია და იმათში ბევრი მამულის სიტყუები თქუა, რომელთაცა ყუელამ შეჰვიცეს.

— გავწყდებით და აღამამადხანს მაგიერსა მივაგებთო.

მეფე ირაკლიმ იმათი გულმოდგინება რომ გაიგონა, უთხრა.

— მაგის დასამტკიცებლად, მაშ ასე უნდა მოხდეს, რომ მთელი საქართულოს ხალხი ჩუენი ცოლშვილებით აქ ქ. ტფილისში ჩამოვიდეთ. არამც თუ კაცებმა, დედაკაცებმაც იარაღი უნდა აიღონ. ეს იქნება სისხლის აღება, რაც ამ ქალაქს უყვეს.

ამაზედაც სულერთიან გაიფიცნენ და მზადებაში შევიდნენ. ბევრი სახლეულობაც ჩამოვიდნენ ქალაქში და მეფის სახლეულობაც რომ წამოვიდა თელავიდგან, ამდროებში ქალაქში მახარობელი მოიჭრა მეფეს ირაკლისთან: აღამამადხან ყარაბაღში მოკლესო.

ამ ამბის მახარობელი იყო ბაიდრის აღმასულთანი, თვით იმან მიანბო.

— ყაზახში ვიყავ, ეს ამბავი პირუელად, იქ შევიტყე. იყო ახალი გათენებული. მაშინვე ცხენზე შევჯექ, ძალიან კარგი ცხენიც მყუანდა, რომელიცა ჩაფრულათ წამოველ და ქალაქში ბატონს ვიახელ სამხრობის დროსა. იმდროს ბატონი თავის დამწუარს ნასახლართან იდგა თავის დიდონის კაცებითა და რაღასაც ლაპარაკობდენ. ცხენი ისე მივაჭენე და ბატონს დაუძახე: ბატონო, გამარჯუება მამილოცავს. და ამასთან ცხენიდგან გადავხტი. ბატონმა შემამხე-

და, მიცნა და მაშინვე ჩემთან მოვიდა, მკითხა: რა ანბავიაო? – აღ-ამამადხან ყარაბალში მოკლეს მეტეი. ბატონს დიდათ იამა, მაგრამ სხუები კი შეწუხდნენ: ესეც ჩუქი უბედურობა არის, რომ მაგირი ვერ მივაგევით ალამამადხანსაო.

თათრისაგან ეს ანბავი ასე მომეწონა და ასე მიამა, რომ იმის პა-ტივისცემისათვისა, იმის მახარობლობა ასე წვრილათ დავწერე. იმ დროებში დიდი ერთგულნიც იყვნენ ქუეშევრდომი თათრები ირაკ-ლისა. მაშინ როდესაც რომ ზოგიერთი სომხებისაგან და ზოგიერ-თის ქართველის თავადისაგან საქართულო დაიღუპა.

მეფე ირაკლიმ მაშინვე დედოფალთან მახარობელი გაგზავნა: აღამამადხან ყარაბალში მოუკლამთო. და ესეც შეუთუალა. ნუღარ მოხუალ, მე ჩქარა მოვალ შენთან, როდისაც აქ საქმეს მოვრჩე-ბიო. მასუკან ყოველს ეკლესიებში სადღესასწაულო პარაკლისები გადაახდევინა და დიდი მადლობა შესწირეს ღმერთსა!

ძალიან კარგი მოხდა საქართულოსთვის, რომ აღამამადხ-ან მოკლეს, თორემ თუ არ მოეკლათ, უფრო საზიზღარი ღალატი იყო მომზადებული, მთელი საქართულო უნდა გაეოხრებინათ. ამ განძრახვით მოდიოდა აღამამადხანი, როგორც დიდი შააბაზ.

აღამამადხანის შემდგომათ, როდესაც მეფე ირაკლიმ განჯის ციხე აიღო, განჯისხანი ჯავათხან გამოიყუანა (აღამამადხანის ნათესავი იყო და მეგობარიც). თვით იმან წამოიყუანა საქართუ-ლოზე.) და ბოლო დროს კარგათ დაიახლოვა; ის უკანასკნელი საქა-რთულოს გაოხრების ამბავი, იმას ეანბო. ვინც მიზეზი ყოფილიყო, ისიც ეთქუა და ბევრი სხუა ამბებიც... ისინი მომავლისთვის შევი-ნახოთ. მაგრამ იმ საიდუმლოს ამბების გაგონებით, მეფე ირაკლის პირმა აღარ გაიღიმა და კიდეც დასწულდა.

ჩემს ყმაწილეკაცობაში, ჯერ რომ ჯუარდაწერილი არ ვიყავ და ახლაკი დავინიშნე, იმ დროს ერთს საღამოზედ, ჩემს სიმამრის სიძ-ეს, იმისი დის ქმარს, თა ელიაზარ ფალავანდიშვილთან ვიყავით (მეფის გიორგის მდივანთან.). თვით ჩემი სიმამრი დავით ბარათ-აშვილი, ჩემი მამიდაშვილის ქმარი, ნინია მელიქიშვილი, ანტონ ქათალიკოზის ნაზირი აზნაური ნიკოლოზ ელიოზისშვილი, მეფის ირაკლის, მეფის გიორგის და იმათი მთელი სახლეულობისა აქიმ-ბაში აზნაური ივანე კარაევისშვილი და მე.

უწინ მაინც ასე იყო, როდისაც ძუელები შეიყრებოდნენ, სულ ძუელს ამბავს უბნობდიან, ნამეტნავად მეფის ირაკლისას, რო-მელთაცა ჩუეულებრივ ირაკლის ამბავი ჩამოაგდეს და თვითოს ასე ამოიხრებდნენ, რომ მართლა მძიმეთ. შემდგომ ნინიამა თქუა მწუხარებით.

– სწორეთ ვიტყვი. თუ მეფეს ირაკლის ის უბედურება არ

შემთხუეოდა, აღამამადხანისაგან ამ ქალაქის აღება, მეფეს ირაკლის წმინდა ნაწილებათ დასჭრიდნენ საქართულოს ხალხი, შესანახად.

ელიაზარ მდივნის პასუხი: – ჩემო ძმაო ნინიავ. მე ყუელაფერი წვრილად ვიცი და ეხლა აღარც დავმაღავ, აქ იმისთანა არავინ არის, რომ დასამალავი იყოს. მეფეს ირაკლის ვინ რას დააკლდებდა, მაგრამ ღალატობას რა გაეწყობა. ამასთან აღალო პირი და რამთენი რაები თქუა...

მასუკან ივანე აქიმბაშმა: – მე ყოველთვის მეფე ირაკლისთან და ბატონიშვილებთან ვიყავი, ეს თქუენც კარგად იცით და კარგათაც გეხსომებათ. მოჰყუა და დიახ ბევრი ილაპარაკა და ესეც დაუმატა: – ამას აქ ვანპობ, თორე სხუაგან პირს მოვკუჭამდი ამაზე.

ჩემმა სიმამრმა: – ძლივს ერთი ადგილი შეგვხვდა, სადაც ყუელას და სწორეთ ვიტყვით. თქუენც კარგათ იცით, რომ იმავ ჩემის ყმაწვილობითვე ბატონიშვილს დავითს ვახლდი და ამის გამო, მეც უნდა ვიცოდე იმათი ამბავი. მერე დაიწყო და ამანაც ბევრი თქუა.

ბოლოს ნიკოლოზ ნაზირმა თქუა: – მართლა, რომ დიახ იშვიათად შეგვხვდება ხოლმე, ასე მეგობრულად სანდო ლაპარაკი. მე ანტონ კათალიკოზის გაზდილი ვარ, თქუენც იცით ესა და თანაც გადავყევ რუსეთში და ქალაქიდგანაც რომ გავიდნენ ორშაფათის ლამეს აღამამადხანის დროსა, მე ქუევითი გაუძებ დედოფალსა და ქათალიკოზსა; ცხენი ვერ ვიშოვე ისე საჩქაროთ წავიდნენ. ბატონიშვილი ამათი დედაც იქ ცხენით მობძანდებოდა (ჩემზედ მოილო ხელი) თავის ძმის ანტონ ქათალიკოზის გვერდით, რომელიცა დიახ ბევრს ლაპარაკში დავსწრებივარ, მეფეს ირაკლისთან და ანტონი ქათალიკოზთან, იმათ საიდუმლოს ლაპარაკში ასე მენდობოდნენ მე ისინი. კარგათაც მახსომს იმათი ლაპარაკი. ამასთან დაიწყო და იმან უფრო ბევრი ილაპარაკა.

მარტო იმათგან ხომ არ გამიგონია აღამამადხანის ამბები, რავდენი კიდევ სხუებისაგან შემიტყვია (ზოგიერთი ამ აღწერაშიაც ჩანს.), რომელსაცა ნახევარიც არ დამიზერია აქ ამ აღწერაში და არც მომატებული საჭიროა, ესეც კმარა.

იმ ძუელის ამბებისა გაგონება დიდათ მიყუარდა ყმაწვილობით და ის ძუელებიც არ მაღავდნენ ჩემთან, არც ჩემს ყმაწვილობაში და არც ჩემს ყმაწვილსეაცობაში. დამისომდნენ გუერდით; მამიუუებოდნენ და თან ამას მეუბნებოდნენ: ნურავის კი ნუ ეტყვი.

იქნება თქუან, ვინც ამას ნაიკითხამს: რათ მაღავდნენ? – რათაცა მაღავდნენ, ჯერ იმას დავეხსნათ. იმათი ნაამბობები ბევრი ადვილათ არ ითქმის.

ასპიცის ომი 1770-სა წელს

ამ წლის ნინათ მოვიდა გენერალი ტოტლებენი რუსეთის მხედრობით საქართველოში, ეკატერინა მეორესაგან, ასამხედრებლად მეფის ირაკლისა ოსმალებზე, რომელიცა იმ დროს შერიგებას აპირებდა მეფე ირაკლი ოსმალებთან და ამაზედ ლაპარაკი ჰქონდათ ერთმანეთში. მაგრამ როდესაც მეფე ტოტლებენმა ნახა, დიას პატივით მოეპყრა მეფეს და ბევრი კარგი დაპირება უთხრა ეკატერინა მეორესაგან. რასაკვირველია, მეფე ირაკლიმაც დიდის მოდგინეობით მიიღო გენერლის დაპირება.

ტოტლებენის და მეფის ირაკლის ნახვის შემდეგ დაწყობილება მოახდინეს, რომ ოსმანებზე გაილაშქრონ. ტოტლებენმა თავის ძლიერის რუსეთის მხედრობითა და მეფე ირაკლიმ თავის რვა ათასამდინ ცხენიანის რჩეულის ქართველებით, სადაც იმ ჯარებით მივიდნენ და აწყურს შემოადგნენ.

ამის მნახველთ ოსმალებმაც თავიანთ ოსმალოს ძალა მოირთვეს და იქ მყოფების ლეკებისა – ლეკების წინამძღოლების კოხტაბელადით, რომლებიცა გაერთებულნი ეს ოსმალ-ლეკები, მოვიდნენ. შეიქნა იმათში ომი და გაგრძელდა სამ დღემდისისინ. ამ დროს, ამ მესამე დღეს აიყარა რუსის ჯარი და ჩქარის სიარულით უკან დაბრუნდა. მეფე ირაკლიმ და ქართველებმა ეს რომ ნახეს, დიდად გაპევირდნენ, არ იცოდნენ, რა მიზეზი იყო; მეფე რამდენიმე კაცით გამოუდგა და სხვა ჯარს უბდანა ომის არ მოშლა. მოწევის უმაღლ ტოტლებენს გზა გადუჭრა, ცხენიდან გადახტა და გაკვირვებით უთხრა:

– მითხარით, რა მიზეზია თქვენი დაბრუნება?..

– ეს არის ეხლა ჩემი ხელმწიფას წიგნი მომივიდა, უნდა დავბრუნდე. – ტოტლებენის პასუხი.

– ამ ომში და ამ სისხლის ლვრაში, რათ უნდა იკადროთ დაბრუნება?

– ჩვენი ხელმწიფა და ოსმალოს სულთანი შერიგებულან.

– მაშ თქვენი და ჩემი კაცი გაუგზავნოთ, რომ მე და იმათშიაც შერიგება მოხდეს.

– რა ვქნა, მე ეგ არ შემიძლიან.

– რატომ არ შეგიძლიანთ, მაშინ როდესაც რომ თქვენის გულისათვის ოსმალო ჩემი მოსისხლე მტერია, თორემ ოსმალოს ჩემთან რა მტრობა აქვს? ვინც რუსეთიდგან მოდიან ეკატერინა ხელმწიფასაგან, დიდის დაპირებით მეუბნებიან: დიდს წყალობას ელოდეთ ეკატერინა ხელმწიფასაგანაო, და ამასთან უთქვამსთ: ქრისტიანობის და ჩვენი სარწმუნოების გულისათვის უნდა გავისარჯეოთ.

აპა, ესეც ქრისტიანობის გულისათვის მოვსულვართ აქ და ხედავთ, ჩემი ქართველები როგორ ომში არიან დღეს?

– თქვენი დიდებულებავ, მომიტევეთ, რომ ჩემი ხელმწიფას ბრძანება უთუოთ უნდა აღვასრულო. იმის ბრძანებისაებრ ეხლავ უნდა გავტრიალდე და საჩქაროთ წავიდე ჩემის ჯარით, თორემ თუ დავიგვიანე, ჩემს ხელმწიფას ეწყინება. ამისთვის, რომ იქ ჩემს ხელმწიფას ბევრი საქმე გასჩენია და ამის გამო უთუოთ ჩქარა უნდა წავიდე.

ამასთან გასწია და საჩქაროდ წავიდა თავის ჯარით. იმ დროს მეფეს ირაკლის თვალზინ წარმოუდგა თავის მამულის დალუპა, ერთის მუხლით დაუწოქა და უკან ვედრებით მისძახა, დაბრუნებულიყო, მაგრამ მაინც კიდევ დიდის ბოდიშით გაეშურა დენერალი.

იქ მყოფთ მოხუცებულებისაგან გამიგონია:¹ ამის გამგონი და მნახველი მეფე ირაკლი ისე წამოხტა, რომ ერთს ადლზე მაღლა შეხტა, თავის ცხენს მოაფრინდა და თავის ქართველებს შემოსძახა:

– ქართველებო! რუსები უკანვე წავიდნენ. ეს იცოდეთ, ჩვენი დაბრუნება უკან არ იქნება, ამიტომ რომ თუ რუსების ჯარსა ოსმალო მოენია, დიდს ვნებას მისცემს და მასუკან გაქეზებულნი ოსმანლეკნი საქართველოს გაგვიოხრებენ, ამისთვის უმჯობესია, ჩვენ აქ გაეწყდეთ. ახლა ამის შემდგომ თქვენ იცით და თქვენმა ვაჟაცობამ, ქართველებო.

ოსმალ-ლეკნი ბევრი იყვნენ და ქართველები რვა ათასამდინ, მაგრამ სამი დღის დაუცხრომელის ომის შემდეგ და ნამეტნავად ტოტლებენის იმ უკანასკნელ დაბრუნების დროსა, იმ ორს სამს საათში, ასე შეაჭირვეს ქართველებმა ოსმალ-ლეკები, რომ გატრიალდნენ და სიმაგრეებში შევიდნენ.²

ამის შემდგომ ამბავი მოუვიდა მეფეს ირაკლის, რომ რუსები სამშვიდობოში შევიდნენ ხეობაშიო. ამ შეტყობის უმალ აიყარა და ასპინძისაკენ წამოვიდა თავის ჯარით. ამ დროს ოსმალ-ლეკებსაც მოემატათ ჯარი და გაუზდათ თხუთმეტი ათასი, რომლებიცა ამით გაგულისებულები გამოეკიდნენ და ასპინძის ხრამის პირე-

¹ იმ მოხუცებულების სახელი ქვემოთ ბოლოში იქნება. თვით ომან ხერხეულიძეც სწორს, მაგრამ რიგიანის გარევევით კი არა: ტოტლებენისათვის ამბები ეზიდოთ მეფე ირაკლისათვის და იმათში შური ჩამოეგდოთ, რომელიც ამაზედ შემოსწორა ტოტლებენი და ამის გამო წამოსულიყოს. იქვე სწორს ხერხეულიძე: მოვიდა მეფე ირაკლი, მრავალს ეხვენა (ტოტლებენს), გარნა მან არა უსმინა და ნეიტრალური თვისისა გამობრუნდაო. მეორე ნაწილი ქართლის ცხოვრებისა, გვერდი 491-ი.

² ამ დროს, იმ სამი დღის ომში ათი ათასი ოსმალ-ლეკნი იქნებოდნენ და შემდგომად ამ სამი დღის ომისა თხუთმეტი ათასი გაუზდათ.

ბი შეუკრეს ქართველებსა. დაუყოვნად იმ ღამეს მეფე ირაკლიმ კაცები გაზიარდა დიახ საიდუმლოდ და მტკვარზე გადებული ხიდი ააყრევინა და აღელებულს მტკვარსა მისცეს, ვინადგან კვალად სხვა ჯარს მოელოდნენ ოსმალისა, ასე უთქვამთ: ოცი ათასზე მეტ-საო! – ეს დრო იყო გაზაფხული.

ასე უშიშრად იყვნენ ქართველები, რომ ამის მეორე დილაზე რამდენიმე ასი კაცი წაგიდნენ სათარეშოთ საშოვართა, რომელთაცა განფანტულს ქართველებს მოასწრეს ოსმალ-ლეკთა, წინ წამოიყარეს და სადაც მეფე ირაკლი იდგა მცირედის კაცებით, ზედ მოარეკეს. მაშინ მხნემ და უშიშარმა ირაკლი შემოსახა თავის თან მხლებელ ქართველებსა, დაერივნენ და მაშინვე გადრიკეს მტერი.¹ დაუყოვნად ოსმალ-ლეკიც წამოვიდნენ თავის სრულის ძალით ქართველებზე თამამათა და უეჭველად ჰგონებდნენ ერთობ ქართველების დანთქმას, მაგრამ მეფე ირაკლი და იმისი მხნე სარდალი თა დავით ორბელიანი გადემატნენ იმ დღეს ვაჟუაცთ ვაჟუაცობას. შევიდნენ ქართველები ძალიანსა ომში, სადაც იყო მოუწყვეტელი თოფთა ცემა ორისავე მხრითა, დალესული ხმლები ბრიალებდა ერთმანეთზე. გაძნელდა ომი ქართველებისათვის, ამიტომ რომ ოსმალ-ლეკი ბევრნი იყვნენ და ქართველები იმათზე ცოტა.

ამ გაძნელებულს ომის დროსა, მეფემ უკან შემოიხედა, წახა, რომ თავისი უფროსი შვილი, ბატონიშვილი გიორგი (შემდეგ მეფე) ერთს სიმაგრეს მიპატჯენია თავის ჯარით და იქ გაუმაგრებია ერთი მაგარი ადგილი.²

მეფე ირაკლიმ ეს რომ წახა, ანტონა ექიმბაშს უბრძანა:

– ახტონა ექიმბაშო,³ ეხლავ საჩქაროდ გასწიე, ჩემს შვილს – ბატონიშვილს გიორგის მოახსენე, რომ საჩქაროდ მამეშველოს თავის

¹ ქართლის ცხოვრება, წანილი მეორე, ფურცლის გვერდი 491-ი, ასპინძის ომი. თვით მეფის ირაკლის მდინინის თა მან ხერხეულიძისაგან არის დაწერილი ისტორია მეფის ირაკლისა, რომელსაცა დიდათ აქებს თავის მეფეს ერეკლესა, მაგრამ რაც აქ სხენებული ჩვენ მოხუცებულთაგან გამიგონა იმ ამბისა, იქ უფრო ცოტათ არის ხახსენები და მოკლეთ დაუწერია. მაანც ყოველი მეფის ირაკლს საქმე და ბრძლა მცირედ მცირედ არის აღნერილი მდინინს თავადის ომან ხერხეულიძისა-გან და არა ისე, რაც მეფის ირაკლის ამბებს შეეფერება.

² ორი ათასზე მეტი ჯარი ჰყუანდა იმ დროს ბატონიშვილს გიორგის. ის გამპედავი მამისბური ვაჟუაციც იყო გულით, მაგრამ იმ დროს მეფის ოჯახიძის მტრებმა მლიქენელისა ენით მოატყუეს და ერთს სიმაგრეში გაამაგრეს: თუ მეფე ირაკლი თავის ჯარით დააბრუნონ, აქ ჩვენ გავიმაგროთ და მასუკან მტერსაც დავმარცხ-ებთო. ისიც გულით წრფელი იყო, დაუჯერა, რომელმაცა იქნება ოდესმე მეფეს ირაკლის ოჯახიძის მტრები და იმათი ამბები აღვწერა, მე სულ წვრილათ ვიცი ის იმათი ამბები.

³ ყარაშვილი, ახლა კარაევი.

ჯარით, ხომ ხედავ რას გაჭირებაში ვართ ეხლა... ყველა ასე მოახ-სენ.

მეფე ირაკლიმ ანტონა აქიმბაში რომ გაგზავნა, თვითონ თავის ჯარსა დაუძახა ამ სიტყვებით:

– გულოვანო მხნენო ქართველებო, ჩემო განუყრელო ყოველს საშინელებაში, ჩემო გულის ძმებო! ეს ამისთანა გაჭირებული ომი ჩვენს თავზედ პირველი არ არის. კარგად გაარჩიეთ, დაინახეთ, რა სიკვდილის ლხინი არის დღესა! ვიომოთ სიკვდილამდინ, ასე სიკ-ვდილამდინ, რომ ჩვენი ზურგი მტერმა არ დაგვინახოს: ეს ჯაბან-თა წესი არის. თქვენ წინ გადაწყვეტით ალვიარებ, რომ დღეს უნდა გამოვესალმნეთ ჩვენს თავს, აქ უნდა გავწყდეთ. ჩვენს ცოლშვილ-ში სირცხვილია დამარცხებით მისვლა, მერე რა პირს დაგვინახვენ ის ჩვენი კარგნი დედაკაცნი? – შავსა დამარცხებულს პირსა, თან გვეტყვიან: ჯაბნებო, წადით, დაიკარგენით ჩვენგნითაო. აბა ჩემო გულის ძმებო, მინამ იმათ წინა ამ სირცხვილით წავდგებოდეთ, გვიჯობს, ჩვენს წმიდას სიკვდილზე თმები ვანენინოთ იმათ, ჩვენს დაქცეულს ჩვენს სისხლზედა, ჩვენის მამულისათვის. გავწყდეთ ქართველებო, მე აქ თქვენში ვიმყოფები ერეკლე!

– გავწყდეთ, გავწყდეთ ერთიანათ. დედა შეერთოს ცოლათ, თუ არ გავიმარჯვეთ, ვინც აქედგან უსიკვდილოდ გავიდეს.

ეს ძველს დროში აუცილებელი ფიცი იყო. ან უნდა გაემარ-ჯვნათ და ან განწყვეტილიყვნენ. ბევრი ამისთანა სიტყვებია ამისთა-ნა გაჭირებულს ომში მეფის ირაკლისაგან.¹

ანტონა აქიმბაშმა საჩქაროდ გასწია და მისვლისთანავე მოახ-სენა:

– ბატოიშვილო, მეფე გთხოვს საჩქაროთ მიშველებას თქვე-ნის ჯარით. თქვენს მზეს ვფიცავ, დიდს გაჭირებაში ბძანდება მამათქვენი მეფე და ქართველები.

ბატოიშვილის გიორგის პასუხი:

– ანტონა აქიმბაში, დამიჯვერე, შენც აქ იყავ ჩემთან. თუ ისინი დააბრუნონ, მასუკან ჩვენს ჯარს ჩვენ დავიჭროთ.

აქეთ იქიდგან მეფის ირაკლის ოჯახობის მტრებმა ანტონას

¹ მეფეს ირაკლის ერთი კარგად გაზრდილი არტილერისტი ჰყვანდა, თავის ანდრონიკაშვილი, რუსეთში ნასნავლი, რომელსაც კარგად გაუმართა არტილერია და რომელთაც – მეფეს ირაკლის და იმას ხშირი რჩევაც ჰქონდათ საქართველოს განათლებაზე. იმისაგან მეფე ირაკლი ევროპიულს სამხედრო საქმეებსაც ისწავლ-იდა და რეგულიარნი ჯარების დაწყობილობაც უნდოდათ, მაგრამ ბოროტგამძრახ-ველები ასე შეუჩნდენ მეფეს და ამდენი ცფიერობა ქნეს, რომ მეფეს დაშლირეს, ამიტომ რომ მეფეს ირაკლის კარგი არა ჰქონდა რა და ყველაფერში მოშლილი ყოფილიყო.

დაუძახეს:¹

– გაიგონე, ბატონიშვილი გიბძანებს, უნდა დაუჯერო.

ანტონამ იმათ ყური არ ათხოვა და კიდევ ბატონიშვილს მოახ-სენა:

– შეინჭიმე, ბატონიშვილო, რას მიბძანებ? მეფე ირაკლი იქ რო დაამარცხონ, აქ თქვენ თავს როგორლა დაიჭერთ, მტერი სულ ფეხ ქვეშ გაგენისთ და ბოლოდროს სულერთიან საქართველოსაც გაა-ოხრებენ. ჩქარა წამობძანდით, შენი ჭირიმე.

– ანტონა აქიმბაშო, გირჩევ შენც აქ ჩემთან დარჩე, მაშინ მი-ვეველნეთ, თუ რომ ჩვენი ჯარი დაგვიბრუნონ.

ამასთან კიდევ აქეთ-იქიდგან დაიძახეს: „აქიმბაშო, დარჩი აქა, გიბძანებს!“

– თქვენ მზეს ვფიცავ, არ დავრჩები, ღმერთი გადლეგრძელებს, წამობძანდით.

– ანტონა აქიმბაშო, დამიჯერე.

კიდევ აქეთ იქიდგან ხმებმა: „დაიჯერე, აქიმბაშო, დაიჯერე!“²

– ჩემო ბატონიშვილო, ვერ დაგიჯერეფ, წავალ, მეც ჩემს მეფეს-თან და ჩემს ძმებს ქართველებთან, ჩემს სისხლს იმათან ერთად დავაქცევ მამულისათვის.

ამ სიტყვასთან აქიმბაშმა ცხენს ქუსლი ჰქონა და მეფესთან მოიჭრა. ამაობაში ქართველები ცოტათ დაეწიათ და წყნარ-წყნარა მოცყვანდათ ომით, რომლებსაცა გულოვანი მეფე ირაკლი და იმის სარდალი დავით განამხნევებდნენ ქართველებსა და მამა-პაპის ვა-ჟუაცობას მოაგონებდნენ იმათ!³

ამ დროს მოხსენდა სიტყვაანტონა აქიმბაშისაგან:

– ჩემო ხელმწიფევ, ვერ დავძარ ბატონიშვილი გიორგი იქიდგან.

ამ სიტყვაზე ერთი შამოიხედა მეფემ, მაგრამ სიტყვის გაცემის დრო ადარ იყო, ამისთვის, რომ იმ უამს ერთს ვიღაზედაც თვალი ეჭირა მეფეს და იმას უმზერდა. ის იყო ლეკების კოხტა ბელადი, რომელიცა გათამამებული მოუქლოდა წინ თავის ლეკებს და ხმალ-ამოლებული მოაქროლებდა ცხენს.

იმ დროს მეფე ირაკლიმ თავის ჯარი თითქმის დამარცხებული

¹ თავადმა რ... ა... და იმისმა დამოკიდებულებმა...

² ბატონიშვილს გიორგის ძალიან ჰყეარებია ანტონა აქიმბაში, მეფეს ირაკლისაც ხომ რასაკირველია, მთელი სახლეულობისა და ოჯახობის აქიმიც ის ყოფილა, რო-მელიცა ყოფილა ფრანგის კათოლიკის სარჩმუნოებისა. დღეს იმის შვილისშვილები ბევრნ არიან აქ.

³ ომან ხერხეულიძის ისტორია თვით იმისაგან იმის ხელით დაწერილი მე მქონდა, რომელიცა იქ ძალიან აქებდა სარდალს თა დავითს ორბელიანს და ახლა ამ დაბე-ჭდილში რატომ არ მოუხსენებიათ იგი, ვერ მიმხვდარვა?

რომ ნახა, მაშინათვე მკვირცხლად მიიჭრა მეფე კოხტა ბელადზე, დასცა თოფი, მოკლა და თავის ქართველებს შემოსძახა ხმამაღლივ, ასე რომ ყველამ გაიგონეს იმისი დაძახება:

— ხმალი ამ წუნკალებს, ქართველებო.

ამ სიტყვაზედ თვითონაც და სულერთიან ქართველებმაც იშიშვლეს ხმლები და მტრის რაზმებში დაერივნენ, თითქმის ერთი სამად მომატებულებში.

ეს აქ, ამ ამბავში გავწყვიტოთ და ახლა სხვას მოვყვეთ.

მეფე ირაკლის რუსეთის ჯარი რომ დაუბრუნდა, ამის რამდენსამე დღეს უკან აქ ქ. ტფილისში ხმა დაავდეს მეფის ირაკლის ოჯახობის მტრებმა, რომლებიც აქაც ბევრნი იყვნენ: მეფე ირაკლი თავის ქართველებით საშინელ ომში დალუპულა სულ ერთიანათაო.

ამას კიდევ ამგვარი სიტყვები დაუმატეს და ამ ამბავმა დარეჯან დედოფლამდინ მიაწია; დარეჯან დედოფლალმა მაშინვე წუდები გაიძრო ფეხებიდგან, ისე ფეხშიშველა წამოვიდა და სიონთა ღვთისმშობლის ეკლესიისაკენ გასწია. ამაზედ მთელი სასახლეც დაედევნა: ქალნი ფეხშიშველანი და კაცები ქუდებმოხდილები თან წამოჰყვნენ დედოფლალსა. ასე დაიცალა მეფის სასახლე, რომ ერთი მცირედი ყრმა აღარ იპოხოდა სასახლეში, არც ქალი და აღარც კაცი — სულ დედოფლალს თან გამოჰყვნენ.

დედოფლალმა და ამის ერთიან სახლეულობამ ბაზარი გაიარეს და სიონთა ღვთისმშობლის ეკლესიაში შევიდნენ. ბაზრის ხალხი ამ ამბავსა იკითხავდა: რა ანბავი მოსვლია დედოფლალსაო? რომლებიცა, რასაკვირველია, ერთი მეორეს მიუთხოვდნენ დიახ საშინელს საქმეში ჩავარდნასა მეფის ირაკლისას თავის ქართველებით. ამაზედ ბაზრის ხალხნი წამოცვიდნენ, დუქნები საჩქაროთ დაკეტეს და ეკელესიაში შევიდნენ, სადაც წამსვე ეს ამბავი მთელს ქალაქს მოეფინა. დედანი ფეხშიშველანი და კაცები ქუდებმოხდილები სიონთა ღვთისმშობლის ეკლესიაში შეინვიეს, მაგრამ ეკლესიაში ხალხი რომ აღარ დაეტია, ქუჩა გაივსო დედაკაცით და კაცებით. ამასთან რაც სამღვდელონი იყვნენ ქალაქში, სულ სიონის ღვთისმშობლის ეკლესიაში შეიყარნენ თავიანთი ეკლესიის პირველის ხატებით და შემოსილნი წინ მიუძღვნენ, სადაც ეკლესიაში ხატების წინ დედაკაცთა და კაცთაგან დიდი ტირილი იყო დაჩოქებულებისაგან ხელგანპყობით და სთხოვდნენ რასმე შემნეობას ღმერთსა!

ამჟამად დედოფლალს დარეჯანსა მოახსენეს:

— მთელი ქალაქის ხალხი, ქალნი და კაცნი სულ ერთიან გარეთ ქჩაში შეიყარნენო.

ეს რომ დედოფლალმა გაიგონა, სიონთა ღვთისმშობლის ხატი და

სხვები კარზე ქუჩაში გაასვენებინა; სამღვდელონი წინ გაუძღვნენ
და თვითონ უკან შეუდგნენ მნარეს ცრემლით. ეს სახე გარეთ ხალხ-
მა რომ დაინახა, ქალებმა და კაცებმა ქვითინით ტირილი ამოუშვეს.

საკვირველი იყო, პარაკლისი რომ დასრულდა, რამდენიმე კაცი
მოიჭრა და დაიძახეს.

— აღელებულს მტკვარსა ოსმალოს მკვდრები მოაქვს და იმათი
ქუდებით.

ამ ხმის გამგონეთა, რაღამაც გადურბინა და ყველანი გაჩუმდ-
ნენ, პატარა ხანს უკან კიდევ დაიძახეს:

— რაღაც ამბავია, რომ აღელებულს მტკვარსა ერთი ერთ-
მანეთზედ მოაქვს ოსმალოს მკვდრებით.

განცვირებით ყველამ ერთპირად იხმაურეს: „ნეტავი შეგ-
ვატყობინა, რა ანბავი უნდა იყოს?“

ამასთანავე საშიშის ხმით დაიძახეს ხალხში: „ოსმალოს ჯარი
შემოგვესია, ოსმალოს ჯარი!“

ამ ხმაზედ ძალიან აღშფოთება მოხდა ხალხში, მაგრამ თან ეს
სიტყვა დაჰყენა: „ქართველები ყოფილან, ოსმალურათ აცვიათ, ქა-
რთველები არიანო.“

პატარახანს უკან, ოსმალურად ჩაცმული, ცხენიანი ქართ-
ველები შემოვიდნენ ხალხში, სადაც აღტაცებული სიხარული მოხ-
და დედაკაცებთა შორის და კაცებში. მეფე ირაკლი კი, ქართულათ
ჩაცმული, ცხენიდგან გადახტა და სიონთა ღვთისმშობლის წინ
პარაკლისი ახდევინა მადლობისა, რომ ჯერ ხმა არავის გასცა. შემ-
დეგ ღმობიერის ცრემლით მეფე და დედოფალი ერთმანეთს გა-
დაეხვინენ, რომლებმაცა ბოლოს ყველამ შეიტყეს ქართველების
თვითეული ამბავი და გამარჯვება.

მართლა ასე გაემარჯვათ ქართველებსა, რამდენიმე ათასი ოს-
მალ-ლეკი აღელებულს მტკვარში ჩაეყარათ, რომ მისწოლოდნენ
და იმათი დამხვრჩვლები ტფილისის წინ ჩამოატარა აღელებულმა
მტკვარმა.

ამ ამბავს მეფე ირაკლიც რომ თან შემოჰყვა, უფრო მომატებუ-
ლი სიხარული კიდევ ეს იყო, რომლებიცა ყველანი ღმერთს ევე-
დრებოდნენ იმის ხანიერ დღეგძელობასა.

იქ რომ გაიმარჯვა მეფე ირაკლიმ, ებძანებინა: „მე ვიცი ქ.
თბილისში ამ ომისა ცუდი ამბები ჩავა და იმ ამბებზე ვიშიშვი, გა-
რეშე ჩვენი მტრები ჩვენზედ არ ასდგნენ. ამიტომ საჩქაროთ უნდა
გავემურო და ქ. თბილისში ჩავიდე, იქიდგან ყველგან კაცები გავგ-
ზავნო და ჩვენი გამარჯვება ყველას ვაცნობოვო“. ამისთვის ის
თავის ჯარი თავ-თავის მხრებისაკენ დაითხოვა. თვითონ რამდენი-

სამე თავის საკუთარის ამალის კაცებით¹ საჩქაროთ გამოსწია მოკლე გზითა. მთელი ის ლამე ეარა და მეორე დღეს, მზე კიდევ მაღლა იყო, შუადღის შემდგომად, რომ აქ ქ. თბილისში მოვიდა, ისე როგორც ზევით გავიგონე.

როდესაც რომ მეფე ირაკლის გაემარჯვა, მაშინვე ბატონიშვილი გიორგი მოსულიყო, მამისათვის მოელოცა გულისწმინდით გამარჯვება და ცრემლით მოხვეოდნენ ერთმანეთსა. თურმე თავის გამართლება მოენდომებინა ბატონიშვილს გიორგის, მაგრამ მეფეს მოესწრო ამ სიტყვით:

– შენმა გაზდამ, ბატონიშვილო გიორგი, ეგ შენი განძრახვა დიახ კარგი იყო, მაგრამ იქამდის ალარ გაგვიჭირდა ლვთის მოწყალებით და ძალიან დავამარცხეთ მტერი.

ზევითაცა ვთქვი და ახლაც ვიტყვი, რომ იმათ ოჯახობას ბევრი დაფარული მტრები ჰყვანდათ, ანუ იმათ ოჯახობაზე ისინი რას ამ-ბავში იყვნენ, იმ საცოდავებმა იმათი სულ არა იცოდნენ რა.

მამიჩემის დროსა და იმის შემდგომაც, ახლად მკვდარი რომ იყო მამაჩემი, ძველი თავადები ხშირად მოვიდოდნენ ბატონიშვილს დედაჩემთან და სხვადასხვის ლპარაკით ატარებინებდნენ დროსა დედაჩემსა. ერთს საღამო ჟამზედ კიდევ მოვიდნენ მეითარი თა სოლომონ თარხნისშვილი, მეფის ირაკლის დივანბეგი ზაალ ბარათაშვილი, მეფის გიორგის (მაშინ ბატონიშვილი) მდივანი, თა ელიაზარ ფალავანდისშვილი და სხვანი. დასხდნენ და ჩვეულებ-სამებრ მოჰყვნენ ძველს ამბებსა. ბოლოს დივანბეგს ზაალს და ელიაზარს სთხოვეს ასპინძის ომის ამბავი ეთქვათ. ორივ ამ დროს ყმაწვილი კაცები იმ ამბავში დასწრებოდნენ (ზაალ მეფე ირაკლის განუშორებლად გვერდით ახლდა, და ელიაზარ – ბატონიშვილს გიორგის). ჯერ პირველად ზაალ მოჰყვა და ის ამბავი დაასრულა, რაც აქ მეფის ირაკლის ამბავი ვთქვით, და მასუკან ელიაზარმა თქვა ისა, რაც ბატონიშვილს გიორგისთან ამბავმა გაიარა.² ბოლოს მეითარი სოლომან მოჰყვა:

– მე იმ დროს აქ ქალაქში ვიყავ და დედოფალს დარეჯანსა ვახლდი სასახლეში, როდესაც ერთი ბატივცემული მოხუცებული მოქალაქის ქვრივი საჩქაროთ შემოვიდა დედოფალთან და გულ-გახეთქით მოახსენა: შენი ჭირიმე, დედოფალო, ჩქარა ავიყარნე, ტყეში სადმე დავიხიზნეთ, მეფე თავის ჯარით დიდს საშინელებაში

¹ ამ ამალის კაცებს ოსმალების გაცრცვილი ტანისამოსი ჩაეცოთ და ისე ხლებოდნენ მეფეს, რომელსაცა ამაზე ბევრი ეცინა.

² შემდგომ ამისა, კიდევ ბევრჯერ იტყოდა ხოლმე იმ ასპინძის ომის ამბავსა ელიაზარ.

ჩავარდნილაო. ეს რომ თქვა, მაშინვე დედოფალი ფეხშიშველა გა-
მოვიდა და სიონისაკენ წავიდა.

ეს ამბავი მეითარმა ასე დაასრულა და ისიც ასე, როგორც
ზევით გავიგონეთ. მერე ბატონიშვილმა დედამ უთხრა:

— ის პატივცემული მოხუცებული ქვრივი, თავადის ბეგთაბე-
გიანთ ქვრივი ყოფილა და არა მოქალაქისა. იმ დროს ისა ახლოც
სასახლესთან მდგარა, ხშირათაც თურმე დადიოდა დედოფალთან
და სასახლეშიც დიდი პატივცემული ყოფილა ის.¹

ამათ გარდა, ის ასპინძის ომის ამბები აი კიდევ რამდენისაგან
გამიგონია: მამიჩემის მამა დემეტრე (ანუ დიმიტრი) იქ მეფეს ირაკ-
ლის ჰელებია ყოველს ადგილას განუშორებლად და მოსამსახურე-
ნი იმ ომის ამბებს ბევრჯელ იტყოდნენ ხოლმე და სხვებს ბევრსაც:
მოხუცებულები დავითა დემურაშვილი, ბერელა კოპახიძე და სოლ-
ომანა ხატულაშვილი. კიდევ იმათ გარდა ყათარჩის (მეჯორეების)
სულეიმანისაგან გამიგონია, რომელსაცა მეფის ირაკლის ბარგის
ჯორები ჰელებია და მეფის საჯდომ ცხენსაც თურმე ის უვლიდა,
სადაც იმ ასპინძის ომში თან მისდევ-მოსდევდა და მეფეს ყველგან
ახლდა, ნაამბობთა და იმათ ყურის მიმგდებლებისაგან ხომ რამ-
თენისაგან გამიგონია, იმ ასპინძის ომის ამბები და სხვებიც ბევრი.

ზალ დივანბეგმა ესეცა თქვა:

— ჩემი დამარცხება შეუძლებელი იყო, ამიტომ, რომ რაც გამო-
ჩენილი ვაჟკაცები იყვნენ საქართველოში: თავადები, აზნაურები
და გლეხეკაცები, იმ დღეს სულ იქ ვიყავით, ამისთვის იმედი გვქონ-
და, რომ უთუოდ გავიმარჯვებდით.

გამარჯვების შემდგომად, მეფე ირაკლიმ სამი დაჭერილი
ლეკების ტყვე ეკატერინა ხელმწიფას გაუგზავნა რუსეთში თავის
წიგნით: ასე გავიმარჯვეთ ასპინძი, რომ სამი იქ დაჭერილი ტყვე
თქვენთვისაც მომირთმევიაო და სხვანი.

თ ა ალექსანდრე ვახტანგის ძე ჭ. ორბელიანი

1845-ს წელსა ქ. ტფილისს.

¹ მაშინ დედა ჩემი ჯერ დაბადებული არა ყოფილა.

პირველი ამგავი მეცნის ირაკლის მეორისა

მეფეს ირაკლის ერთხელ ებძანებინა თავის ცოლ-შვილში, სადაც დედა ჩემიც ამ დროს იქ ხლებოდა თავის მამას მეფეს.

„ჩემს სიყმანვილეში ასეთი საშინელი ამბავი მოხდა საქართველოში, მეტი აღარ შეიძლება, მაგრამ მე ამას გულის წმინდით აღვიარებ ჩემს ცოლ-შვილში; თუ მე არ მოვსწრებიყავ, ერთს ქართველსაც ვეღარ ვიპოვნიდით; ასე რომ სულ გათათრდებოდენ. ქართველების ადგილას სულ გალეკებულნი და გათათრებულნი იქნებოდნენ დასახლებულნი. თავი რომ ვიცანი და საქართველოს თვალი გადავავლე, ვნახე, სომხითი თითქმის გაოხრებული იყო, მთელი ქართლი ციხიდგან და სიმაგრეებიდგან ვეღარ გამოსულიყვნენ კარზე, – ქიზიყი და გაღმა მხარის კახელები სულ-ერთიან გალეკებულნი იყვნენ თავად-აზნაურების გარდა, რომლებიცა აქეთი კახელებიც თითქმის გალეკებას აპირებდნენ. ამისი მიზეზნი იყვნენ ოსმალოელები, ამისთვის რომ ქართლი ოსმალოს ეჭირა და ცდილობდენ დალისტნის აღელვებას საქართველოზე. ამ საშინელების მხილველმა მე ვეღარ მოვისვენე და აღარც რიგიანათ მქონდა ძილი. ამ დროს ფშავში დახიზნულები ვიყავით ჩვენ. სანატრელს მამაჩემს მეფეს ვთხოვე, ნება მოეცა ჩემთვის მახლობელს სოფლებში წავსულიყვავ, მაგრამ განძრახვა ჩემი სხვა იყო. დაუყოვნად ალავერდში ჩავედი ორასის კაცით და გაღმამხრელებს მეტათ იამათ; მე ყმანვილი იმათ ვევედრებოდი, რომ ქრისტიანობაზედვე მოქცეულიყვნენ, არ გალეკებულიყვნენ, ამის გამო გაღმა მხრელებმა ყური აღარ ათხოვეს ლეკებს, ამაზედ ლეკები განრისხდნენ და გაღმამხრელებს რბევა დაუწყეს, რომლებმაცა ქიზიყი დაინდეს. ეს ამბავი რომ შევიტყე, მაშინვე საიდუმლოთ კაცები გამოუგზავნე და მამა-პაპის ვაჟუაცობა მოვაგონე: არასდროს მტრისაგან დაჩაგრული არა ყოფილან და ახლა ასე წამხდარან, ლეკების წუნკალების ყმები შექნილან. ამაზედ დაუყოვნად გაღმამხრელები შეიყარნენ, ანაზდად ლეკებს მიუხდნენ და საჩქაროთ გაიყანეს თავის მამულიდგან. ამის გამგონებ მე, დაუყოვნად ქიზიყელებსაც შევუთვალე ეგრეთვე სიტყვა, რომლებმაცა იმათ ხომ უარესი დამართეს ლეკებს.

ლვთის მოწყალებით კახეთი რომ განთავისუფლდა ლეკებისა-გან, მაშინვე პირველი თავადები გავუგზავნე სანატრელს მამაჩემს მეფეს და კახელების მაგიერათ ვთხოვე მობძანება. თუმცა ჩემ დედ-მამას დიდათ იამათ ეს ანბავი ჩემგნით, მაგრამ უნდოდათ, თავის გვერდიდგან აღარ მოვშორებოდი, ამისთვის რომ მხოლოდ ერთი შვილი გვყავს, რომელსაცა ჯერ დედის რძე ტუჩებიდგან არ

მოუწმენდია და ამისთვის გვეშინიან განსაცდელი არ შეემთხვას რაო. ამ დროს მე თხუთმეტის წლისა ვეღარავინ ვეღარ დამიჭირა; სადაც ლეკის ჯარი გამოვიდოდა, დავუხვდებოდი, და რაც უნდა მცირედი კაცები გვყოლიყო, არ დავერიდებოდი, მაშინვე შევებმოდი და ლვთის განგებითაც ვაოტებდი იმათ ჯარსა. დღე არ გაივლიდა, ლეკებს არ დავხვედროდი; ბევრჯელ ორს-სამს ომსა გადვიხდიდი და ღმერთიც ძლევას მაძლევდა ყოველთვის. ერთხელ ერთს დღეს ოთხჯერ დავამარცხე ლეკები და მეორეთ ხუთჯერ¹.“ დიდათ შევაძრნუნე და შევაშინე. ისინი, რომ ალაზნის გამოღმა ვეღარ იკადრეს გამოსვლა. ზედატანებით ჩვენი უმნეობით ნადირშამ ოსმალოელები გარეკა ქართლიდგან და საქართველომ ქრისტიანობა დაიბრუნა, განთავისუფლდა ლეკებისაგან, თორემ უთუოთ გაათათრებდენ მთელ საქართველოს.

თ ა ალექსანდრე ჯ. ორბელიანი. 1846-ს წელსა. ქ. ტფილისს.

¹ ამას რომ მიამბობდა ბატონიშვილი დედა ჩემი, ესეც ბძანა. – „ჩემს ყმაწვილობაში ჩემი ძმა ლეგან წლისა და ნახევრისა ან ორი წლის მევდარი იქნებოდა. ამ დროს ქალაქში ვიყავით და მე ცოტათ ვშეუძლებლობდი. ერთს დილა ადრიან ამბავი მოუვიდა მამაჩემს მეფეს ირაკლის. ავჭალაზედ ლეკი მოვიდაო, თავის ამალით საჩქაროთ გაემართა, სწრაფათ დამარცხებინა, ასე რომ მუსრი გაევლოთ და გამარჯვებულ შემობძანდ ქალაქში (ქალაქზე ავჭალა მგონია 12-ი ვერსტი იყოს.). შემოსვლის უმალ მეორე ამბავი დახვდა. დილომზე ლეკის ჯარი მოვიდაო. იქაც თავის ამალით სწრაფათ გაიჭრა და იქაც ისე დაემარცხა, ლეკები როგორც ავჭალას (ქალაქზე დილომი 9-ა ვერსტი უნდა იყოს.). ქალაქში რომ შემობძანდა, მე-სამე ამბავი დახვდა. ტაბახმელას ლეკის ჯარი მოვიდაო. ტაბახმელასაც მევირცხლად გაიჭრა და მსვლის უმალ იქაც ისე დაემარცხებინა, როგორც ავჭალას და დილომს (ტაბახმელა ქალაქზე 8-ა ვერსტი უნდა იყოს.) ქალაქში რომ შემობძანდა, მეოთხე ამბავი დახვდა ქარაიაზე ლეკის ჯარი მოვიდა და იქიდგან სოფლების ნახევნას აპირებენო. მეფე ირაკლიმ დარეჯან დედოფლას უბძანა. – დღეს პური არ მიტმია, მაგრამ მინამ იმათაც არ დავამარცხებ, მანამდისინ ჰურს არა ვჭმ, ამისთვის კარგი ვაბაში მამიმზადე, წაგალ, იმათაც დავამარცხებ, შემოვიქცევი და გამარჯვებულ თქვენთან ერთათ ვახშამს ვიგებებ. როგორც ბძანა, სწორეთ ისე აღასრულა, საქართო ჩასულიყო და საღამო უამზე ლეკის ჯარი დაემარცხებინა, იქიდგან გამობრუნებულიყო, შუალამისას თავის სახლში შემობძანდა და ვახშამი ჩვენთან ერთათ იგემა ერთს დღეს ოთხჯერ გამარჯვებულმა (ყარაიაზი ქალაქზე 25-ი ვერსტი უნდა იყოს.)“.

მეცნის ირაკლის მეორის მეუღლე დარია ანუ დარეჯან

მეფეს ირაკლის ჰყვანდა სამი ცოლი: პირუელი თავად ხეიძის ქალი იმერეთიდგან, მეორე თავად აბაშიძის ქალი კახეთიდგან და მესამე დადიანის ქალი მეგრელიდგან. პირველ ცოლთან ჰყუანდა კარგი ვახტანგ (კარგი ვახტანგ იმიტომ რქმევია, რომ მეტი მშვენიერი თვალ-ტანადი ყოფილა). მეორესთან გიორგი და თამარ და მესამე დარია ანუ დარეჯანთან, რამდენიმე მამაკაცი და რამდენიმე დედაკაცი.

როდესაც მეფე ირაკლიმ მესამე ცოლი მოიყვანა, ამის მფარველობას ქვეშ დარჩნენ პირველი ცოლების წვრილი შვილები, რომელიცა დიდს სიყვარულს და ჭირნახულოების ქვეშ ზღიდა იმ ყმანვილთა თავის გერებს, მაგრამ კარგი ვახტანგ თოთხმეტი წლისა გარდაცვლილა და იმის სიკვდილზე დიდი მწუხარება მიუღიათ მთელს სახლეულობას, ნამეტავად დედოფალს დარეჯანსა, რომელსაცა მეტის მწუხარებით რამდენჯერმე გულს შემოჰყურია.

ესენი ხომ ასე გავიგონეთ, ახლა იმას მოვყუეთ დედოფალს დარეჯანსა შეუკდიმი ენანი, ისე ურიგოდ როგორ იხსენებდნენ, ანუ როგორ ეხლაც იხსენებენ?

ამ 1851-სა წელსა რუსულათ დაბეჭდილი წიგნი ვნახე მოგზაურობა მურავიოვისა საქართულელოში და ყურადღებით გადვიკითხე, სადაც იმ წიგნში ნახსენები იყო დედოფალი დარეჯანი, არა კარგად გამოყვანილი. უფალო მურავიოვ, თუ ყოველი თქევნი მოგზაურობა აგრე მართლათ არის ანერილი, სჯობია ბერათ შედგეთ და უდაბნოში სადმე წახვიდეთ, რადგან მლოცავად აჩუენებთ თავს ყუელას¹.

¹ აქ პირუელშივე მე ვალად დავიდებ, ამ სხვლიოში ესა ვთქუა, რომ ეს ყუელას-თან ცხადია, ხელმნიფე ალექსანდრე პირუელი, დიდი მოარშიყე იყო ქალებისა. დარეჯან დედოფალი პეტერბურლში რომ მიიყვანეს, მამაჩემი და თავადი გიორგი ჩილაყაშვილი, როივ დედოფლის სიძეები თან ახლდნენ და მასუკან მეფის ოჯახის აქიმბაში იყანე ყარავიც. დედოფლები თხოვით ისიც დედოფალთან მიიყვანეს პეტერბურლში. მაშინ დედოფალი ან სამოცის წლისა იქნებოდა და ან ცოტა მეტ-ნაკლები, მაგრამ კიდევაც ასეთი თუალტანადობა პირნდა, ოცდაათის წლისა. ალექსანდრე ხელმნიფემ თურმე არშიყობა დაუწეულ და ისეც შეუჩინა, მაგრამ ზედაც არ შახედა. იქმდისინ, რომ ხელზედაც არ მოუშო საკოცნელად. დედოფალი იტყოდა: ჩემი ცხოვრება ჩემს ქმარს მეფეს ირაკლისთან დიდის სიყვარულით გამიტარებია და ქვეყანაზედ წმინდათ ვყოფილებარ და ყოველი კაცი ჩემ ძმათ მგონებია და ეხლა იმის დიდ ხელმნიფობაზედ უნდა შევცდე? მანინ როდესაც რომ ის დიდი ხელმნიფე ალექსანდრე, მეფის ირაკლის კაცობასთან, სულ არა მგონია რა ჭეშმარიტათ. აბა ახლა ამის შემდგომ, რუსების წერილებს, ანუ იმათ მინერ-მონერასა და ანუ იმათ დამოკიდებულებათ კითხეთ, რამდენი ცილის წამებანი არის დედოფალს დარე-

ადამიანი ადამიანზე ბევრს ურიგოს სიტყუას იტყვის და ის ლიტონი სიტყუა გაიღლის, გაქრება, მაგრამ როდესაც ქალალდზე დაინერება, ის საუკუნოდ დარჩება და ველარავინ ველარ მოსპობს თუ არ მართალი კრიტიკა.

უფალმა მურავიოვმა ისე ჩქარა როგორ დაიჯერა დედოფალს დარეჯანზედ ურიგოთ ხსენება, რომ დაწვრილებით გამოკითხვაში არ შევიდა?

როგორც კიდევ ვიცით, ბევრი ურიგო ამბები უანბიათ მურავიოვისთვის დედოფალს დარეჯანზედ, იმა სახლის მტრებსა, მაგრამ იმას კიდევ თავი შეუნახამს, მაგთენი არა უთქუამს რა. არამც თუ მხოლოდ მურავიოვისთვის უანბიათ ტყუილები – სადაც კი თავისუფალს ადგილს იპოვიან, ყუელას არნმუნებენ ბევრს ცუდებსა, მეფეს ირაკლიზედ და დედოფალს დარეჯანზედ; სხუებსა შორის ამასცა: მეფის ირაკლის სასახლე სრულიად გარყვნილი იყოო, მაშინ როდესაც რომ მეფეს ირაკლის და დედოფალს თავის შინაურობა დიახ მაგრა ეჭირათ და მეაცრად ინახავდნენ. იმათ იმ თავის სახლის ამბავი, მცირედიც არ დაემალებოდათ რა, რომლებიცა დანაშაულობის მიხედვით, დანაშაულობის შესაფერად გადაახდევინებდნენ და დაუსჯელს არ გაუშვებდნენ. იმათ სახლში იყო წმიდა ზნეობა და პატიოსნებითი ქცევა მოწინების კრძალულებით.

სხუას ნურაფერს ნურას ვიტყვიით, ეს მაინც მინახავს, რომ მეფის ირაკლის ქალები, დარეჯან დედოფლისაგან დიდის ყურადღებით გაზდილები: ქეთევან, ეკატერინე, ანასტასია და დედაჩემი, ასეთი ლვთიური კეთილი და პატიოსნები იყვნენ, წელიწადები რომ იმათთან გონიერი ადამიანი ყოფილიყო, ერთს მცირედს ნაკლებს ხასიათსა იმათში ვერ უპოვიდა, რომლისგანაც იგი დაწერილი დედოფალს დარეჯანზედ, მურავიოვის ბრალი არ არის, დენერალ ოტინფატერს თავად გიორგის იასეს ძეს ქსნის ერისთოვს და იმის მეგობარს რუსეთის ჩინოვნიკს პლატონს იოსელიანსა უანბიათ და მურავიოვსაც დაუწერია, ასე ჰელონებია: ეს რუსეთის დიდი ჩინოვნიკები ტყუილს არას მეტყვიანო. ესენი სულ სწორეთ კარგათ შეტყობილი გვაქუს ჩუენ.

ჯანზე? ამისთვის, რომ ეგება როგორმე თავიანთი დაპფარონ; ისა რაც უბედურობა საქართულოზედ მოავლინეს, რომ დედოფლის დარეჯანის ნაკლულებანებით ანუ იმის აუგისა ხსენებით, თავიანთამდისინ ალარავის ალარა აფიქრებინონ რა; იმათ კი იციან, როგორ გამართლონ თავი. აქიმბაში ივანე ბევრჯელ მეტყოდა: დედოფალი დარეჯან რომ დამორჩილებოდა ალექსანდრე ხელმწიფესა, უთუოთ საქართულოს დაუბრუნებდოთ. მე გავიცინებდი და ამით გათავდებოდა ეს ჩვენი ლაპარაკი. უნინ სულ ამისთანა მართალი ქართველები იყვნენ და ევროპის პოლეტიკას როგორ მიხვდებოდნენ?

აქ პლატონს იოსელიანზედ ვერას ვიტყვით, აქ იმისთვის ადგილი არა გვაქვს ჩუენ, იმას ცალკე აღვწერთ.

თუ რომ მურავიოვიგამოკითხუაში შესულიყოდა დაწვრილებით გამოეკვლია, მაშინ შეიტყობდა, რომ იმ გიორგის ერისთოვისა, იმათი ერთიანი გვარი როგორ დასჯილი იყო მეფის ირაკლისაგან რამდენისამე ღალატისათვის და სულერთიან ყმა და მამული რისთვის ჰქონდათ ჩამორთმეული, რომლებიც საცხოვრებელს ძლივს შოვობდნენ და აქეთ-იქითგან მოწყალებას უგზავნიდნენ. თუ ესენი სულ სცოდნოდა მურავიოვს, მაშინ სხუას იტყოდა. მოხუცი ოტინ-ფატერი გიორგი, იმ თავის სახლის უბედურობასა კარგათ მოესწრა მეფის ირაკლისაგან და იმის სახლზედ იტყვის რასმე კარგსა?

მეფე ირაკლიზედ ვერას ნაკლულევანებას ვერა იტყვის იმ განთქმულს კაცზედ სახელოვნებითა! ამისთვის დარეჯანს დედოფალსა და იმის სახლსა იმისთვის რყვნიან ყველგან ისინი. ერთ-მანეთის დამქაშები ის გიორგი, იმის ძმა თონიკე, (ეს თონიკე ორის წლის უფროსია გიორგიზედ) და ზოგიერთი ერისთვიანები, რომ ეგება ამით როგორმე მეფეს ირაკლისა აგნონ, რომ იმის სახლზედ ცუდი სახელი დარჩეს და ამით მეფე ირაკლი ხალხის თუალში დამდაბლებული იყოს და ესეც, რომ იმათზედაც ეჭვი ვერავინ ვერ მიიტანოს, საქართულოს რაც ღალატი უყვეს იმათ, რომელმაცა სხუათა შორის აი მე კიდევ რა ვიცი იმ ერისთვიანთ ამბავი. უკანასკნელად რუსები რომ წამოვიდნენ სამარადისოდ საქართულოს დასამკვიდრებლად, ის ზოგიერი ერისთვიანები მოუდლვნენ რუსებს საქართულოში და თავდადებით დაუწყეს რუსებს შემწეობა, რომელთაცა არ იქმარეს ესა, მაშინ კიდევ იმ ერისთავიანთ: თვითონ იმ გიორგიმ, იმის ძმამ ელისბარმა, თონიკემ და კიდევ ზოგიერთებმა რუსის ჩინოვნიკეს კონსტანტინოვს ბევრი ტყუილი აუგები უანბეს დედოფალს დარეჯანზედ, როგორც ზევითა ვთქვი ისე, ეგება თავიანთი ღალატი როგორმე დაპფარონ. ისიც ახალი მოსული კაცი, ახალი ამბავი უნდოდა, იმანაც კალამი აიღო და გაუკითხად გადმოჯდაბა ქაღალდზედ სტრიქონები. იქამდისინ კიდევ ჩუმათ მითქმა-მოთქმა პერნდათ დედოფალს დარეჯანზედ, ახლა ამის შემდგომ, იმ მნერალს რომ ის აუგი დააწერინეს დედოფალზედ, სხუაშიც დამქაშები ბევრი მოიპოვეს თავის აზრისანი და გახადეს ჰაიპა. დრო იპოვეს იმათ მაგიერისათვის და რიღასთვის მორიდება ექნებოდათ, მაშინ როდესაც რომ ძლიერი რუსები იმათი მფარველი და მოწყალენი შეიქნენ, იმ ზოგიერთი ქსნის ერისთავიანთი.¹ როდისაც მე, მურავიოვისაგან დაწერილი წავიკითხე

¹ იმ ოტინფატერს გიორგის და იმის ძმას თონიკეს ჩემი ახლო ნათესავები ჰყუანდ-

დარეჯან დედოფალზე, მაშინვე მინდოდა წინააღმდეგი დამეწერა და ის აღწერილი შემენახა დროისათვის, მაგრამ ვთქვი: უნდა გამოვკითხო, ვის დაურწმუნებია ამისთანა სიცრუე-მეთქი? შეუდექ და ადვილათაც შევიტყე. ქართულებში არცარა დამალულა რა და ვერცარა დაიმალება რა. როგორც ზევით ვთქვით, რასაკვირველია მისახვედრია, რომ ოტინფატერმა და პლატონ იოსელიანმა უანბეს მურავიოვს ბევრი ცუდი მეფის ირაკლის სახლზედ, რომელმაცა თურმე კიდეც დაიკვეხა თავისიანებში ოტინფატერმა: ჰე, კარგათ კი ჩაუწვეთეთ მურავიოვს მეფის ირაკლიზედ, დედოფალსა დარეჯანზედ და მთელს იმათ სახლეულობაზედ, რომელიცა კიდეც დასწერს იმათზე.

მართალია დაწერა, მაგრამ ტყუილებს მოკლე ფეხები აქუს. ვის დააკლო ამისთანებითა ოტინფატერმა, თუ არ თავის მშობელს მამულს? დაპკარ შენცა, შენ პლატონო ქართულებსა, მაინც მოსული არის ჩვენზე ჯოხიანი და უჯოხო, ერთი შენ აკლიხარ იმათ.

გარდა ამისა, ისინი ამასაც იძახიან: რაც დარეჯან დედოფლის ნება იყო, სულ იმის ნების მიმყოლი იყო მეფე ირაკლიო და მილახვარი ოსეფა ყორლანაშვილიც ჰყვარობდაო. აპა დაიჯერეთ, ვისაც გაკეთებული ჭორები გიყვართ. არა, რა სვინიდისი უნდა ჰქონდათ იმ ღვთის გარეგნებს, რომ ამისთანა ჭორებს უგონებდნენ დედოფალს დარეჯანსა? აპა გაიგონეთ. იმ ოსეფა ყორლანაშვილს ასე რიგათ უყარდა პირი, რომ ვინც იმის მოახლოვოდ იდგა ხოლმე, ძლივს ითმენდნენ იმ სუნს. მეფე ირაკლისთან ხომ ახლო ჯდომა არ შეეძლო, შორს უნდა მჯდარიყო და ისე ელაპარაკა. როდესაც დარეჯან დედოფალმა ის შონათლა და რადგან იმის მოახლოვოდ უნდა მდგარიყო მონათვლის დროს, იმ ღამეს მთელი ღამე გული ერეოდა დედოფალსა იმის პირის სიმყრალითა და მეფე ირაკლი კი იცინოდა. თან ამბობდა დედოფალი: ვაი იმ ქალის ბრალი, ვისაც ის ოსეფა ყორლანაშვილი ცოლათ შეირთამსო. ისეც იყო, მცირე ხანს ვერ დაწვებოდა ცოლთან, მაშინვე სხუას ქვეშაგებში უნდა დაეძინა,

ნენ ცოლათ (ის ქალები შეკვდრები არიან). გიორგისა ჩემი ბიძაშვილი გიორგი მეფის ქალი გაიანგ და თონიკები ჩემი დედიდშვილი ბარბარე. ის ბარბარე იყო ივანე მუხ-რანის ბატონისა და ამის ცოლის დედიდის ჩემის ბატონიშვილის ქეთევანის ქალი, რომელსაცა იმ ბარბარეს ძმასავით უყვარდი მე და მთელს ჩუენს სახლეულობას-თან დიდი ერთობა ჰქონდათ: იმის დედას, ბატონიშვილს ქეთევანსა, იმის ოთხს ძეთა, იმის ქალს იმ ბარბარეს და ამის ორს ქალს, ელენეს და ნინოს. ელენე შეირთო რუსს ლენერალმა პაპოვმა და ნინო თამაზის ძემ თავადმი ივანე ორბელიანმა. ჩემს სიძეებს იტინფანტერის თავად გიორგის და ამის ძმას ორნიერესაც ძალიან უყვარვარ მე იმათ და პატივსა მომაპყრობდნენ, მაგრამ რა ვქნა, მართალი მიყვარს, ვერავის მხარე ვერ ვიქნები, ჩემთვის სულ ერთნი არიან, ამისთვის რაც ვიცა, სწორეთ უნდა ვთქუა. პლატონს იოსელიანსა მივანებებ მიდგომასა და უსამართლო ტყუილებსა.

რომ იმის პირის სიმყრალესა ცოლიც ვერ უძლებდა. ოსეფას პირველი ცოლი რომ მოუკვდა და მეორე შეირთო, თურმე ბევრი დასცინდნენ: თავის პირის სიმყრალითა ის პირველი ცოლი, კარგი დედაკაცი ხომ მოკლა და მეორესაც მგონია ჩქარა გამოუყენებს იმას. მე იმის მეორე ცოლს ელისაბედს კარგად მოვესწარ, ის იმისთანა დედაკაცი იყო (ამ დროს ოსეფა ცოცხალი აღარ იყო), რომ არ მალავდა: ჩემი ქმრისთვის მე ჩემს დღეში პირზე არ მიკოცნიებია და არც ერთს ქვეშაგებში იმასთან არ დამიძინია, პირი მეტათ უყარდა. ბატონიშვილს დედაჩემთან ხშირად მოვიდოდა ის ელისაბედ, მე ეს იმისგან გამიგონია და ბატონიშვილს დედასაც უცინია იმის ამ სიტყუაზე. აბა ამაების შემდეგ, მეფის ირაკლისა მტრებო, წინაშე ღმერთთან რა პასუხს მისცემთ, თქუენის საძაგელის ჭორებისათვის?

შეფეც და დედოფალიც ისეთს პატივს კი სცემდნენ ოსეფა ყორლანაშვილსა, რომ მეტი პატივისცემა აღარ შეიძლება, ყოვლისურით დიდათ გაამდიდრეს, ამისთვის, რომ როგორც მეფის სახლისთვისა, ისე სამეფოსთვის დიდი საჭირო კაცი იყო, მაგრამ ბოლო დროს ისიც მოღალატე გახადეს, ამ უკანასკნელს აქ ქვემოთ წაიკითხამთ, როგორც იყო.

გაიგონეთ ოსეფა ყორლანაშვილს რათ სწყალობდა მეფე ირაკლი ისე?

ჯერ პირველი ეს, რომ დარეჯან დედოფლის ნათლული იყო და როგორ უნდათ ეს მიმალონ იმ ღვთის მტრებმა? რა ვიცი, რა ვთქუა მე იმათზე, ლირსნი იქნებიან, მაგრამ დავიდუმებ, ეს სიჩუმეც კმარა იმათთვისა.

აი ოსეფა ყორლანაშვილმა რა შემატა მეფეს ირაკლისა და რათ სწყალობდა ისე, რომელიცა თავშენირული იყო მეფის ირაკლისა ის ოსეფა ყორლანაშვილი და მოუსვენად მსახურებდა შინ და გარეთ.

თითქმის მეფის ირაკლისაგან ყურადღებით გაზდილი ოსეფა ყორლანაშვილი.¹

¹ გაზდილი კი არა, მაგრამ იმ თავის ყმაზვილკაცობითვე მეფეს ირაკლისა მსახურებდა, მეფეს ირაკლისა დარიგების ქვეშ, მაშინ როდისაც რომ მიღავობა მისცა და ან დედოფლის დარეჯანის ნათლული როგორც იყო, ეხლა წავკითხამთ აქა: სტეფანე ყორლანაშვილი და ოსეფა ძმები იყვნენ. უფროსი მეფის ირაკლის დიახ მახლობელი იყო და დიდი თანამდებობის მქონე, მაგრამ სტეფანე თავის ძმას ოსეფასა ძალიან თურმე სჩაგრავდა და გაგდებულსავით დადიოდა აქა-იქა. იქამდისინ გაუჭირდა, რომ ჭარში გაექცა ლევებმი და იქ განიძრახა მაპმადის სარწმუნოება მიიღოს, ცოლიც იქური შეირთოს, კარგი ოჯახის ქალიც აძლიერ და იქვე დასახლდეს. ეს ამბავა მეფეს ირაკლის აცნობეს, ამაზედ სტეფანეს ძალიან გაუწყრა და ამასთან საჩქაროთ კაცები გაგზვნა, საიდგანაც მიიყვანეს და მაშინვე მეფეს ირაკლის წარუდგინეს.

როდესაც რომ მილახვრობა უბოძა, მოკლეს დროში შეჰყარა რამდენიმე ცხენის ჯოგი მეფისათვის, საიდგანაც ჩინებული ცხენები გამოდიოდნენ და მეფის თავლა გამოჩენილის ცხენებით აავსო, საქონელს და ცხვარსა ანგარიში აღარ ჰქონდა მილახვრისაგან მოგროვილსა, ვენახები და ხვნა-თესვა გაამრავლა, სალარო უიმისოთაცა მდიდარი, იმან უფრო დაუმატა: ინდოეთიდგან, კოსტანტინეპოლიდგან და სადაც კი სომხები იყვნენ, ყოვლის მხრიდგან საუცხოვო ფეშქაშები მოსდიოდა მეფეს ირაკლისა და მინერ-მონერა გაუჩინა ინდოეთში მდიდარ შამირ-ალასთან, რომელიცა ეს სომები გადმოსახლებასაც აპირებდა თავის სიმდიდრითა ლორეს ხეობაში და რომელმაც მეფე ირაკლიმ სულერთიან ლორე იმას მისცა შამირ-ალას, ოლონდ მოვიდესო, მაგრამ ალამამადხანი წამოსასვლელად რომ მოემზადა საქართველოზედ, იმის შემდგომ ველარ წამოვიდა, ისევ ინდოეთში დარჩა. აი მილახვარმა ოსეფამ ესები შესძლვნა მეფეს ირაკლისა და მოდი ნუ იქნები მწყალობელი მეფე ირაკლიო ოსეფა მილახვრისა? ეს კიდევ არაფერი, აბა ახლა ესეც გაიგონეთ? მეფეს ირაკლის ურჩია აბრეშუმის გაკეთება, ამისთვის ჯერ პირველად დიდი ციხე გააკეთა მდინარეს ქციის პირზედ (ხრამზედ) დღესაც ქოლაგირად წოდებული, აბა მივიდნენ ნახონ ოსეფა მილახვრის ღვანწლი და მაშინ დაინახვენ, ვითარი სარგებლობა ნდომია, ან მეფის ირაკლისათვის ან ჩვენის სამეფოსათვის, საიდგანაც დიდი ძალი ფული შემოვიდოდა აბრეშუმიდგან, ამისთვის, რომ ქციის გაღმა-გამოლმა მინდვრები, სულ თუთის ხეებით უნდა აევსო და აბრეშუმის თესლი ბევრი ჰქონდა. ფურცელი და აბრეშუმიც კიდევ გააჩინა. აი ნამდვილი ფაკტი. ბატონებო, როცა მიხვალთ და იმ ოსეფას ღვანწლს ნახამთ, იმ ციხესა, სადაც ნდომია

ზოგიერთსა ძველებს დამტკიცებითაც უთქვამსთ: გათათრდაო. მაგრამ არა, მიასწრეს, თორებ ის იყო გათათრდებოდა. რადგან ოსეფა თათრობაზედ ისე მიქცეული შეიქნა, ამისთვის მეფე ირაკლიმ მაინც მაშინვე სომხის ტერტერა მოაყვანინა, იქვე წყალში ჩაუსმელად რაც რიგი იყო, გადაუხადეს. ყველა ლოცვა წაუკითხა ტერტერამა. ნათლობრისა და შიორნის ცხებით დედოფალმა დარეჯანმა მონათლა, როგორც რიგი იყო, რომლებსაცა ამის შემდგომ კარგი ძმობაც ჰქონდათ სტეფან-ოსეფასა და სტეფანეს თხოვით მეფე ირაკლიმ მილახვრობა მისცა ოსეფასა და სადედოფლო სოფლებიც იმას ჩააბარეს, ესე იგი სტეფანემ თავისი თანამდებობა ძმისთვის გამოითხოვა და ცოლიც დაუყოვნებლივ შერთეს, ყოვლისფრით კარგი, ჩინებული შუშანა (სახელია), რომ ეშინოდათ კიდევ ლეკებში არ გაიცესო და ბევრი დასაკლისი არა მოახდინოს რა საქართულოში. ეს დარეჯან დედოფლისაგან მონათლა ოსეფა ყორდანაშვილისა თვით ამ სტეფანეს შვილის აღალუა ყორდანოვისაგან გამოგონის, შემდგომ ამის შვილის, ჩემის ნათლი მამის ზურაბისაგან (ზაქარია) და დედაჩემსაც უთქუამს.

აბრაშუმის გაკეთება, ან იმისგან გამოყვანილს არხსა ქციიდგან და ან გაღმა-გამომა მინდვრებს, თუთის ხეებით რომ უნდა გადაექცია აბრეშუმის ჭიისათვის, მაშინ დაიჯერებთ, რაც სარგებლობა ნდომია მეფისა და სამეფოსათვის, რომლებიცა ბოროტგამძრახველები სულ ბოროტად აჩვენებდნენ ხალხსა იმის ყოველს კეთილს საქმეს. ესა და მითქმა-მოთქმა შექნეს, დედოფალს დარეჯანსა ჰყარობს ოსეფა ყორდანაშვილით. სხვა რომ ვერაფრით ვერა დააკლეს რა, ეს მოიგონეს ცილისმნამებელთა მტრებმა. იქნება იკითხონ: ციხე რაღათ უნდა გაეკეთებინა, რა საჭირო იყოვო? – რადგან მაშინ დიდი შიშიანობა იყო და სხუა ადგილებს გარდა იქით მხარესაც მიდიოდ-მოდიოდა მტერი, ესეც შემოვიდა იმის აზრში, იქ იყოს ციხე, რომ მტერი შეიკავოს იმ ადგილებში, და იქიდგან დააბრუნოს დამარცხებული, რომელსაცა ამით საქართულოს დიდი შვება მიეცემოდა და მიეცა კიდეც. სადაც ოთხი ზარბაზანი და განუყრელად ჯარი შიგ იდგა და აბრაშუმის მიმართულების საქმეც კარგათ წავიდა. იმთენი სარგებლობის მნახველმა მეფე ირაკლიმ დიდი წყალობა დაუწყო სომებს ოსეფა მილახვარსა და სახლეულობით გააკეთა. ამაზედ ბოროტგამძრახველების ჩაგონებით, ბატოშვილებმა და საქართულოს თვადებმა შური იძიეს ოსეფა ყორდანაშვილზე და იმის დამხობა მოინდომეს. კეთილისათვის კეთილი ვის უქნია, მოუჭირე გველოვო (სიბრძნე სიცრუიდგან). ამისთანა საქმე უნდოდათ ოსეფა მილახვრისვისაც იმ საქმის გაუგებლებს. აქ რასაკვირველია მეფის ირაკლის საიდუმლო მტრები იყვნენ ამისი მიზეზი, სადაც შეჩენილებისაგან ყველგან უთანხმოება იყო ერთმანეთში და ძლიერი შური. საწადელსაც მიღწეულნი იყვნენ ისინი, მაგრამ ეს ვედარ შეიძლეს; მეფე ირაკლი ისე რომ სწყალობდა, რაღა მოეხერხებინათ ოსეფასათვის, ამის გამო მეფის ირაკლის უსვინდისო მტრებმა ამის მეტი ველარა მოიფიქრეს რა, რომ ჩუმათ მითქმა-მოთქმა შექნეს: დარეჯან დედოფალს ჰყვარობსო, აი პირველათ საიდგან და რა მიზეზით დაიბადა ეს სიცრუე ჭორი დარეჯან დედოფალზედ, რომელიცა დიახ მცირეს ამბებს ვიტყვი მეფის ირაკლის სახლისას, როგორ მკაცრად ექცეოდნენ მეფე-დედოფალი თავის შინაურებს.

პირუელს ღამეს, მაშინ როდესაც რომ ფეხი მისწყდა, ერთი რომელიმე მოახლე გამოვიდა აღაყაფის კარებამდისინ, სადაც იმ დროს აღარავინ აღარ იყო, ამ დროს მეფე ირაკლიმ დაინახა, ჩამოვიდა და ჰკითხა: – „ვინა ხარ შენ?“ მოახლე შეკრთა და ხმა ვერ ამოილო. მეორეთ: – „მითხარ ჩქარა“.

– „მე გახლავარ ეკატერინე ბატოშვილის მოახლე სამოთხისეული“ (მეფის ირაკლის ქალისა)

– „არამხანის ეზო საკმაო არ არის შენთვის, რომ აქ კაცების ეზოში არ გამოსულიყავ?“

– ალაყაფის კარების სანახავად გიახელი (ახლათ გაკეთებული იყო, საუცხოვო თურმე).

– „ამის მეტად არ გინახავს, რაც ააშენეს.“?

– არა შეინჭიმე, ამის მეტად არ გხლებივარ“.

– „მერე შენს უფროსს დაეთხოვე?“

– „ჩემს უფროსს ეძინა“ (თურმე უდროოთ ეძინა)

– „მაშ დაუთხოვად როგორ გაძედე აქ მოსვლა? ეხლავ გატრიალდი, წადი.“ მასუკან მეფე ირაკლი დედოფალთან შევიდა და ყველა უთხრა. თუმცა საყურადღებო არა იყო რა, მაგრამ დედოფალმა აღარ დააყენა სხვების სამაგალითოთ და იმ დამესვე გაიყვანეს სახლიდგან ის კარგი მოახლე ყოვლისფრითა.

მეორე. ბატოშვილს დედაჩემს სამი მოახლე ჰყვანდა სასახლიდგან მზითევში გამოტანებული. პირველი ლომისახარ (ჩემი გამდელი იყო), მეორე ნაისახარ (ჩემი ძმის დიმიტრის გამდელი) და მესამე ვარდისახარ (ჩემი ძმის ვახტანგის გამდელი). ამათგანაც დიახ ბევრი გამიგონია მეფის ირაკლის სასახლის ამბავი, როგორ ყურს უგდებდნენ ყველას მეფე-დედოფალი, ან როგორ დაკრძალვით ჰყვანდათ ყველანი და თვითონ დიდით პატარამდისინ სასახლისანი, როგორ კრძალულებით და პატიოსნათ იქცეოდნენ ყუელანი, ესენი სულ უამბიათ ჩემთვის იმათ და კიდევ სხუებისაგანაც გამიგონია, იმ თავადიშვილების ცოლებისაგან, რომლებიცა სასახლეში დედოფალთან ხშირათ იყვნენ.

ლომისახარ და ნაისახარ სრულიად უმანკოები დაიხოცნენ ორნივ, ოთხმოც-ოთხმოცი წლის მეტი და ვარდისახარ ბევრი იმათზე ყმანვილი იყო, რომელიცა როდისაც მეფე ირაკლი აღარ იყო და იმის სახლი სრულიად დაეცა, მაშინ დედოფალი დარეჯანი მწარეთ მწუხარეთ, მაშინ თურმე შემცდარიყო ვარდისახარ, უფრო სწორეთა ვთქუათ, შეეცდინათ, რომელიცა არ მალავდა თავის შეცომილებასა, მაგრამ ზიზღით მოიგონებდა და სწყევლიდა ხოლმე თავისთავსა. მიყვარდა მაშინდელი ძველი ამბები და მომსწრენიც მიამპობდნენ, კარგს ამბავსა სიამოვნებით და მწარეს მწუხარებით.

– „მე დიახ ყმანვილი შემამიყუანეს მეფის სასახლეში და დაკრძალვით ვიზდებოდი.“ მოჰყვა ვარდისახარ და მიანბო: – „როდისაც თერთმეტის წლისა შევსრულდი, სიყმაწვილის გამო, ერთს საღამოზე ბანზე ავიარე, იყო ზაფხული და ბანზე ჩემს სოფლურს სიმღერას ვმღეროდი დაბლის ხმითა, თურმე დედოფალს დარეჯანს გაეგონა და ებძანებინა: ბანზე ვიღაც მღერობს, ეხლავ აქ მამგვარეთო. ორმა მოახლემ მიმიყვანეს დედოფლის წინ და ამასთან

ჩემი გამდელიც შეაყვანინა, უბძანა: გამდელო, ეს შენი გაზდილი ბაზედ მღერობდა, გაიგონებს ვინჩე, ასე იტყვიან: დედოფლის სა-სახლეში ასეთი თავისუფლება არის, რომ მეფის სახლის ბანი სამ-ლერლოთ გაუკეთებიათ მოახლეებსა და შეექცევიან. მტრებს იამე-ბათ და მოყვარენი შენუხდებიან, ან როგორ გაბედა, ბანზე ავიდა და თუ ავიდა, სიმღერა რაღა იყო. გეტყობა, შენ მაგას ყურს არ უგდებ, წაიყვანე გააფთხილე ამას იქით. თავის ოთახში შემიყვანა, მამწვდა თმებში და ისე მათრია. ამისთანა სიმკაცრე და დაკარძალ-ულობა იყო მეფის სასახლეში, რომ ერთს მცირედს ვერავინ ვერას გაბედავდა და ყველანი განკრძალულის შიშით იქცეოდნენ, თორემ თუ მომეტებული გაებედა ვისმე რამე, იქნება მოეკლათ”, ახლა ამის შემდგომ კიდევ მიღახვრის ოსეფასი მოვყვეთ და ვთქუათ ესეც.

ერთს დილაზე მეფეს ირაკლისა ახლდა მიღახვარი ოსეფა და მეფემ საჩქაროს საქმეზე გაგზავნა ავლაბრისაკენ, რომელიცა ცხენზე შეჯდა და ნახევარ ჭენებით გაეშურა. ბატონის მოედნის ბოლოში რომ მივიდა, სარდალი დავით ორბელიანი ქვემოთ ბა-ზრიდგან მოვიდოდა დაქვეითებული თავადაზნაურ-მსახურებით და უეცრათ შეხვდნენ ერთმანეთსა, ოსეფა მიღახვარმა ცხენიდგან მძიმეთ თავი დაუკრა და კიდევ ისე გაეშურა, ამ დროს სარდალმა დავითმა დაიძახა.

— „ეგ მამაძალი ცხენიდგან გადილევით. როგორ გაბედა, ცხენიდგან არ გადმამიხტა, დაჰკარით მაგასო.“

— „რას მემართლებით, სარდალო, მეფემ საშუროს საქმეზე გამგ-ზავნა, იმ საქმეზე მივეშურები, თორემ როგორ არ გადავხტებოდი, მაპატიეთ შეინწიმე.“ სარდალმა უფრო ხმამაღლივ. — „დაჰკარით მაგ მამაძალსა, მეფემ მაგას უნდა გვანაცვალოს?“¹

გადილეს და ბევრი ჯოხი დაჰკრეს ბეჭებზე, ასე დააოსეს, ხალ-იჩით შინ წაიღეს. მეფეს ირაკლის რომ მოახსენეს ოსეფა ყორლა-ნაშვილის ცემა დავით სარდლისაგან, დიდათ შენუხდა, მაგრამ, რაკი დავით სარდალი ძალიან საჭირო კაცი იყო მეფის ირაკლისათ-ვის, ამისთვის მოუთმინა, მაგრამ სახლთხუცესობა კი ჩამოართო საგრძნობლად.

ეს ხომ საგრძნობლად უყო მეფემ სარდალს, ამით დიდად გააფთხილა, მაგრამ იმის შემდგომ ოსეფა ყორლანაშვილი დიდი დაფარული მტერი შეიქნა მეფის ირაკლისა, მთელი იმის სახლობი-სა.

და დიდადაც უმტრო როგორც იმათ ოჯახობას, ისე საქარ-

¹ უნინდელი ჩვეულება იყო, რომ უნცროსი უფროსს ცხენიდგან გადმოუხტებოდა, როდესაც ერთმანეთს შეხვდებოდნენ.

თუელოს, რომელიცა გაუერთდა სხუა სომხებსა და საქართველო დაღუპეს. დროს ოდესმე ვიპოვი, იმათ ამბებსაც დავწერ.

კიდევ სხუათა შორის, ის მეფის ირაკლის წინააღმდეგები იმა-საც ამბობენ: დედოფალი დარეჯან ინტრიგანკა იყოვო (ესე იგი შურისმძიებელი). მეფის ირაკლის სასახლის ამბავი ბატონიშვილის დედი ჩემისთანა არავინ იცოდა, რომლებიცა ძველი კაცები ბევრ-ჯელ ლაპარაკში მეტყოდნენ მე: ბატონიშვილი თეკლა მეფის ირაკ-ლის ოჯახობის მატიანე და მართალი დედაკაციც არის, წმინდა სვინიდისიანიო, მე ამას დედიჩემობით არ ვანბობ, სწორეთ ისეც იყო დედაჩემი. იმისგნით ხომ ბევრი გამიგონია თავის მამის მე-ფის ირაკლის სახლის ამბავი, მაგრამ სხვებისაგანაც ბევრი ვიცი, ვინც მეფის ირაკლის შინუალი სახლის ამბავი კარგათ იცოდნენ. მოკლეთა ვთქუათ, აი დედოფალი დარეჯანი როგორი დედაკაცი იყო? – იყო დიდი ღვთისმოშიში და მოყვარე ქრისტიანობისა – იყო მლოცვი, გლახაკთ, ობოლთ, ქერივთ, დაცემულთ და სწეულთ მოწყალე. თვითონ დიას წყნარი და სინმინდის პატიოსნებითა სრული, რომელსაცა სხვებისაგანაც ეს მოსწონდა და სულერთიან სახლეულობასაც ამას ასწავლიდა. ასეც მოაქცევდა ყველას. თავის ქმრისა დიდი სიყვარული ჰქონდა. არავის არ ახსომს, მცირედი მეფის წინააღმდეგი იმას გაებედოს, არამც თუ გარეულიყო. ასე-თი სიყვარული და თავაზა ჰქონდა ქმრისა და დარწმუნებულიც იყო, რომ მეფე ირაკლი დიდი გონიერი არის! როდისაც დედოფალი მეფესთან იყო ხოლმე, სულ თვალებში შეჰყურებდა, მეფის სიმხ-იარულე დედოფლის ბედნიერება იყო და მცირედი შეწუხება მწარე ცრემლი, რომლებისაც ქვეშაგები არ გაყრილა სიკვდილამდინ და მარადის ერთს ქვეშაგებში ეძინათ ტკბილად.¹

ბატონიშვილი დედა ჩემი ბევრჯველ იტყვოდა: „ხუთი ექვსის და შვიდისა წლისას ხანდისხან მიმიყვანდა მეფე ირაკლი მე, თა-ვის ქვეშაგებში ჩამინვენდა, თავისა და დედოფლისა შუა, დედო-ფალი შეეხვენებოდა: შეინჭიმე რათ გინდა, სიყვარულის ალერს გვიშლის, უბძანეთ, წავიდეს ჩემო ხელმწიფეო. ბევრს ამისთანებს

¹ მართალია, მეფე ირაკლის ოცდაოთხს სათში სამ საათზე მეტი ძილი არა ჰქონია, სულ საქმეში იყო ანუ ლოცვის დროსა, ილოცავდა, მაგრამ თუ მეფეს განსხუაებით საქმე არა ექნებოდა რა, დედოფლის დარეჯანისა და თავის სიამოვნისათვის იწუა იმასთან, იქამდისინ მინამ დედოფალი გაიღვიძებდა; არც მომატებით იმას სცოდ-ნია ძილი, ექვს საათზე მეტი არა, მეფეს ირაკლის ასე დაუჩვევია ის, რომლებიცა იმის გაღვიძებისთანავე, ერთმანეთს ტყილად გადახსვეოდნენ და სიყვარულის ალერს იყვნენ. იმათი მოშორებაც შეწუხებით იყო ხოლმე, ყოველმა ცოლქმარმა ღმიერთსა სთხოვონ და იმისთანა ბედნიერი სიყვარული ინატრონ ერთმანეთისა, როგორც მეფეს ირაკლის და დედოფალს დარეჯანსა ჰყუარებიათ ერთმანეთი.

ეტყოდა, მაგრამ მინამ მეფის ნება არ იყო, არ დამითხოვდა. ამაში მე ხან ერთს ვეთამაშებოდი ჩემის ტიტინითა და ხან მეორესა, ისინიც სიამოვნით კასკასებდნენ (იმისთვის ისე ჰყვარებიათ დედა-ჩემი მეფეს-დედოფალსა, რომ მეტი უზომო მშვენიერი ყოფილა იმ დროს ყმაწვილობისას)“.

აქ რომ ესეცა ვთქუათ, მგონია უზდელობა არ იქნება? მეფე ირაკლი ტანზედ მეტი სპეტაკი თეთრი ყოფილა, სახე და ხელები კი მოშაო ჰქონია ინდოეთის სიცხისაგან დამწვარი, მაშინ როდე-საც რომ ნადირშასთან იყო. მაშინდელი აქიმები ბევრსა ცდილან, მაგრამ ვერ გადაუყვანიათ და ისე მოშაოთ დარჩენია. ბევრჯელ მეფე-დედოფალი მეტრდებს მიაწყობდნენ ერთმანეთსა, რომლებ-საცა ერთი სითეთრე და ერთი ფერი ჰქონიათ, ასე თურმე თა-მაშობდნენ ქვეშაგებში ყმაწვილურათ, ასე უზომოთა ჰყვარებიათ ერთმანეთი. კიდევ ბევრი არის იმათი სიყვარულის ამბავი, მაგრამ მეტათ გაგძელდება, ამისთვის ეს ვიკმაროთ გასაგონად და დასა-ჯერებლათაც, ვინც იმათი მტერი არ იქნებით.

აბა, რას ამბობენ მეფის ირაკლისა მტრები, ის მომგონი ჭორუ-კანავები? მეფე ირაკლი, თითემის ნადირშასგან გაზდილი იყო¹ და იმთენი ხანი ყიზილბაშში ნამყოფი, სადაც დედაკაცების იმისთა-ნა დაკრძალულებასა დაეჩვია და მოსწონდა თურმე კიდეც, ამის შემდგომ იმის სახლში რაღა უნდა ყოფილიყო ცუდი? მართალია, გარეთ იმის მტრებისაგან ჩუმი ცრუჭორები დიახ ბევრი იყო, რომ-ლებიცა ქვეშ უთხრიდნენ იმასა და იმის ოჯახს დასალუპად, ოლონდ ენახათ რამე მეფეში, ანუ იმის სახლში თუნდა ბევრიც კარგი, მაინც იმათზედაც მითქმა-მოთქმა ჰქონდათ ქვე ცოცვითა აქა-იქა და ათას სხვასაც უმატებდნენ ზედა, დიდრონ-დიდრონ სიცრუებსა, ისე ესეც დაუმატეს დედოფლის დარეჯანისა და მილახვრის ოსე-ფასი, იმ უსვინდისოებმა, რომ უფრო ძლიერ ავნონ მეფეს ირაკლი-სა და იმისი ოჯახობას. ენეოდნენ კიდეც სანადელსა ქვემდრომები იგი. მტერსა ვერაფერსა ვერას მოაწონებ. მაშ რათ ჰქვიან მტერი? რაც უნდა რომ კარგი გჭირდეს, მაინც იტყვის: ცუდიაო, საზიზდა-რი. ისე მილახვრის ოსეფაზედ ასე იყო. ის ოსეფა ყორლანაშვილი ხომ ნათლულიც იყო დედოფლის დარეჯანისა, მაგრამ მაინც ვერ შეეძლო მისულიყო უდროოთა დედოფალთან, თუ არ დილაზედ წირვებისა შემდგომ. ისიც ამ სახით მივიდოდა განკრძალვით, ჯერ პირველად უნდა მოეხსენებინათ. – „ოსეფა მილახვარი გახ-

¹ გაზდილი კი არ იყო, მაგრამ რადგან იმასთან კარგახანი დაჰყო (ოთხი წელინა-დი) და ბევრს თურმე არიგებდა ნადირშა ირაკლისა, ამიტომ ძველები იტყოდნენ: ნადირშას გაზდილი არისო.

ლავსთ შეინტიმე“ . დედოფალი უბძანებდა „– უთხარ შემოვიდეს“. შემოვიდოდა დიას მოწინებით, მუხლებამდინ თავს დაუკრამდა და განკრძალული დადგებოდა მოშორებით. დედოფალი უბძანებდა მედიდურათ. – „ოსეფა მილახვარო, თქვი რაც საქმე გქონდეს? –“ მოჰყვებოდა და მოახსენებდა.

თუ სუბუქი საქმე იყო, თვითონ უბძანებდა, თუ სამძიმო, მეფეს ირაკლისთან გაგზავნიდა და იმის ნებისამებრ აღასრულებდა. ვინიცობა არის, თუ ხანგრძლივ მოსახსენებელი ექნებოდა, წვრილმანზედაც მოხდებოდა ხოლმე, მაშინ დაჯდომას ეტყოდა, რომელიცაც კიდევ მძიმეთ დაუკრავდა თავსა, ეგრეთ მოშორებით დაიჩინებდა და ისე ილაპარაკებდა. შემდგომ ადგებოდა, კიდევ მუხლებამდინ თავს დაუკრამდა და წავიდოდა, მაგრამ მეფეს ირაკლის კი თითქმის ყოველთვის ახლდა ის ოსეფა მილახვარი შინ თუ გარეთ და მრჩეველიც ბევრში ის ყოფილა მეფის ირაკლისა, რომლისაცა ზევით დავინახეთ იმის გონიერების ლირსება, მაგრამ იმის მოშურნებმა იქ ძლივს დრო უპოვეს ოსეფა მილახვარსა, სადაც შესვდა დავით სარდალს, რომ სარდალი დავით ეშმაკურის ცბიერებით გაანჩხლეს ამ სიტყვითა: ოსეფა მილახვარი ასე გაამაყდა, რომ ცხენიდგან გადახტომას აღარც კი კადრულობს დავით სარდლის წინაა. ჩუმათ წაიჩურჩულეს, წაიტუტუნეს ჩუმად, მაგრამ ასე რიგათ, რომ დავით სარდალმა გაიგონა. ეშმაკურმა ოსტატობამ ასე მოიყვანა ეს საქმე და ასე რიგათ ააღელეს დავით სარდალი, რომ ისე ყოველივეს დაუხედავად იმისთანა უპატივებელი საქმე [დამართა] მილახვარსა. დავით სარდლის გაანჩხლებისათვის. იმის სწრაფსა ხასიათსა ცოტა მიზეზი ეყოფოდა ხოლმე, რომელმაცა დაუხედად ისე გახადა ოსეფა მილახვარი, რომ ერთგულობიდგან მოღალატე შეიქნა მეფის ირაკლისა, მაგრამ შემდგომ დავით სარდალი ინანდა: ეს რა ვქენი, რათ ვცემე იმისთანა ერთგულს კაცსა მეფის ირაკლისას? – ამისთანა დაუხედავი საქმე არ მომსვლია მე ჩემს დღეშიო. მაგრამ ამასკი ტყუოდა, რა კი გაანჩხლდებოდა, სრულიად გონებას დაკარგავდა ხოლმე. საიდუმლოს მტრებსაც ეს უნდოდათ. აი, ასე ეღნებოდნენ თავის ყოველს სანადელსა ის ღვთის მტრები მეფეს ირაკლიზედ, რომ დაღუპონ ძირით და საქართველოც იმას ჩააყოლეს კიდეც.

თუ რომ იმთენი მოშურნე მტრები არა ჰყოლოდა მილახვარს ოსეფასა, საქართულოს ბევრს დიდ სარგებლობას შესძინებდა, მაგრამ რა გაეწყობა დაუძინებელს შურსა? უფრო ცხადათა ვთქუათ გამორკვევით, ესენი და ამგვარები მომართული ჰქონდათ მაცდურ ეშმაკებსა ეშმაკური მაშინები მეფის ირაკლის ოჯახობის დასამხობათ და დაამხეს კიდეც ძირით, მაგრამ უფრო ძნელი ეს, რომ საქარ-

თუ ელო ჩააყოლეს იმათ. დასალუპსა ღრმას უფსკრულში. მე ესენი სულ ნამდვილად შეტყობილი მაქვს და დიას ბევრი სხუებიც...

ახლა კიდევ იქ მოვიდეთ მეფის ირაკლის სახლობაში, რომ რომელს უფრო დიდი ძალა და გავლენა ჰქონდა იქა?

იქ იმათში იყვნენ ორი ქალი, ბატონიშვილის გიორგის¹ მეუღლე ქეთევან ენდორნიკანთ ქალი და კიდევ ბატონიშვილი ქეთევან² ივანე მუხრანბატონის და, რომლისაცა ჯერ პირუელად ბატონიშვილის გიორგის მეუღლის ქეთევანის ამბავი დავასრულოთ და მასუკან ბატონიშვილის ქეთევანისა. იმ ენდორნიკანთ ქალმა თავის მაღალის გონებითა და კარგაქეთილობის დედაკაცობით მეფე ირაკლი, დედოფალი დარეჯან და ერთიანი იმათი ოჯახი ასე ხელში დაიჭირა, რომ როდისაც ის იმათთან მივიდოდა, მთელი სახლი სიხარულით აიმსებოდა, ნამეტნავად დედოფალი დარეჯან. ბევრჯველ დიდის სიამოვნებით გადაეხვერდა და კარგა ხანი თავს გულში ჩაიკრავდა, ამ სიტყვითა: ჩემო არმცუუ რძალო, ჩემო შვილო ქეთევან, შენმა გაზდამ, მეტი კარგი რამა ხარ შენ. მეფე ირაკლიც ხომ რასაკვირველია და ამის გარდა, ბევრს რჩევასაც ჰკითხამდა იმას.

ის ქეთევან ასეთი თავშენირული ერთგული ყოფილა მეფის ირაკლისა, რომ თავდადებული მსხვერპლი. იქამდისინ, რომ მეფის ირაკლის მშვიდობისათვის არავის არ დაინდობდა, არა თავის მახლობელსა. გაიგონეთ იმისი ერთგულობა მეფის ირაკლისა და იმისი საკვირველი გონიერება! ბატონიშვილი გიორგი ქიზიყში წავიდა მაშინ, როდისაც რომ მეფის გიორგის (ბატონიშვილობაში) ცოლი ქეთევანის ძმა თავად რევაზ ენდორნიკაშვილი ქიზიყის მოურავი იყო, რომელმაცა თვითონ იმან ზაიყვანა. ის ქეთევან ამისთანა კარგი დედაკაცი რომ იყო, ეს იმის ძმა რევაზ, დიდი მოუსვენებელი, დიდი დაუდეგარი და უპირო, ასეთი, რომ თავის მცირედის სარგებლობისათვის არავის არ დაინდობდა, ნამეტნავად დიდის სარგებლობისათვის ხომ, ოჯახებსაც დააქცევდა, დააქცია კიდეც.

იმ რევაზმა ბატონიშვილი გიორგი განგებ წაიყვანა ქიზიყში, სადაც იმის სახელით მოქმედება დაიწყო ყოველს იქით მხარეს, მერეთ ჩუმი შეთქმა მოახდინა, რომელსაცა დიდი ლეკის ჯარი უნდა მოეწვია, კახეთის ჯარიც თან წამოეყვანა, მითამ ესენი სულ ოსმალოზედ ანუ სპარსეთის სამძლვრების დასაკვრელად უნდა წავიდნენ. ამაში უეცრათ მეფეს ირაკლის დასხმოდნენ და იმის

¹ შემდგომ მეფე.

² ეს მეორე ქეთევან პირველის ვახტანგის ცოლი იყო, ზევით რომ ვთქვი იმისი, ქვევით გარევევით იქნება.

განძრახვითა მეფობიდგან გადაეგდოთ, სადაც მასუკან თავის სიძე ბატონშვილი გიორგი მეფეთ დაესო საქართველოში და ამით ისა უპირველესი კაცი შექნილიყო, ასეთი, რომ მთელი საქართველო იმას ეტრიალებინა. ეს ანბავი ბატონიშვილმა გიორგიმ არ იცოდა, ამიტომ რომ მეფე ირაკლი რომ აღარ იქნებოდა, ამის გამო მეტი ღონე აღარ ექნებოდა, უნდა მეფეთ დამჯდარიყო. ესენი სულ კიდევ მაშინები იყო მომართული მაცოთურ-ეშმაკებისაგან, კიდევ მეფის ირაკლის ოჯახობის დასაღუპად, მაგრამ ერთი ეშმაკური მაშინები რომ ვერ გასჭრიდა, ახლა უარესსა სხუასა იგორებდნენ, რითაც და რომლი-სა საშუალობითაც მოხერხებულიყო, მეფის ირაკლის ოჯახი უთუ-ოთ უნდა დაეღუპათ. იქამდისინ იმოქმედეს თავიანთის ეშმაკურის მაშინებით და იქამდინ მიიყვანეს საქმე, რომ ბოლო დროს მაინც დანთქეს. ის ბატონიშვილის გიორგის ცოლი ქეთევან, და რევაზისა, როგორიც დიდი გონიერი ქალი, ისე ფთხილი იყო ყოველს საქმეში, რომელსაცა ის თავის ძმის ანბავი არ დაემატა და ყველა წვრილად შეიტყო. ჯერ უნდოდა, თავის ქმრის, ბატონიშვილის გიორგისათვის შეეტყობინებინა, მაგრამ იმან და ბატონიშვილის გიორგის განსა-კუთრებულმა მდივანმა თავად ელიაზარ ფალავანდიშვილმა¹ მოი-ლაპარაკეს და ასე თქვეს, ამ გვარათ არა სჯობიაო. ბოლოს დროს კიდევ კარგათ რომ მოილაპარაკეს, ასე დააწყეს. თვითონ ბატონირ-დალი ქეთევან ქ. ტფილისში წავიდეს და ყოველივე მეფეს ირაკლის აცნობოს და უთუოთ გამოცვალოს რევაზ მოურაობიდგან. შემდ-გომ ესეცა თქუეს: თუ ეს ასე არ მოხდება, საქართველო დაიღუპება, ამისთვის, რომ მეფის ირაკლის გადაგდება არავის არ შეუძლიან, ის ასეთი კაცი არის, ამიტომ ორივ მხრის ქართველების სისხლი რომ დაიღვაროს და ბოლოს ვერც არა შეიძლოს რა რევაზმა, ამით ძალიან დასუსტდებიან ქართველები, ამაზედ ჩუენი მტრები გან-ძლიერდებიან და შემდგომ საქართველოს მოიტაცებს გარეშე რო-მელიმე სახელმწიფო. ანდა მეფეს ირაკლიზედ უკეთესი მეფე ვიღა უნდა დასონ აქა? ეს უკანასკნელი სიტყუა, თვითონ იმ ღვთიურის ქეთევანის სიტყუა არის, რომელიცა ამის შემდგომ ბატონიშვილს გიორგის დაეთხოვა.

— „დიდი ხანია დედა თქვენი დედოფალი დარეჯან² აღარ მი-ნახავს, ნება მამეც, გიახლო და ქალაქის ეკლესიებიც ვილოცო.“

გიორგი ბატონიშვილმაც სიამოვნებით ნება დართო და კარგი მისართმევებიც გამოატანა მეფე-დედოფლისათვის და აგრეთვე

¹ ელიაზარ ფალავანდიშვილის ცოლი იყო ჩემი სიმამრის და ბარბარე. ეს ადრევაც მითქუამს სხვა წერილში.

² დედა არ იყო – იყო დედინაცვალი.

დიდრონის სახლებისთვისაც. ღმერთმა საუკუნო განსვენება მისცეს მეფის გიორგის მდივანს თავად ელიაზარ ფალავანდიშვილსა და სხუა ძველებსაც, რომ მე ამისთანა ძველს ამბებსა მიანბობდნენ, რომელიცა დიდის ყურადღებით მეც მოვისმენდი ხოლმე. ეხლა როგორც ვფიქრობ, ეტყობა იმისთვის მიუგდებდი იმათ ყურსა, რომ ბოლოს ის ანბები დამეწერა, თორემ სულერთიან გაქრებოდა, მეფის ირაკლის მტრების გასამართლებლად, რომ ყოველი თავიანთი დანაშაული მეფეს ირაკლისა და დედოფალს დარეჯანზედ გადმოიღონ; ამით თავიანთი დაპფარონ, რომ სამარადისოთ სულ ვერავინ ვერა გაიგოს რა იმათი ეშმაკური საქმეები. მაშთუ ეშმაკმა ეშმაკურის მანქანებით ადამიანი არ მოატყუა, თავიანთ სახელმწიფო ჯოჯოხებთში რომელი სულიერები დაასახლოს იქა ანუ რომლის ძალით გააკეთონ ის თუალგადაუწდომელი სახელმწიფო – ჯოჯოხეთა?

ბატონიშვილი გიორგის ცოლი ქეთევან სამგორის მინდორში¹ რომ მოვიდა, იქიდგან საჩეარო ცხენიანი კაცი გამოგზავნა მეფე-დედოფალთან: თქვენი რძალი ქეთევან გიახლებათ, მოკითხუა მოგახსენათო. ძველი ჩუეულება იყო. იმათი სახლეულობის სიხარულის ამბავი რაღა ვთქუა რა ყოფა შეუდგათ? მეფე ირაკლი ქალაქს გარეთ გაეგება კარგა შორსა და დიდებით შემოიყვანა, სადაც ნათესავებით და მახლობლებით დედოფალი დარეჯან სასახლის კარებში დახვდა და სიამოვნის გადახვევის შემდგომ, შევიდნენ და დიდს სასტუმროს ოთახში დასხდნენ ყველა რიგზედ.

რაღა ბევრი ვილაპარაკონთ, იმ დამეს ვახშმის შემდგომ, თავის რძალს ქეთევანს ხელი დაუჭირეს მეფე-დედოფალშა და საწოლისაკენ წავიდნენ, სადაც მეფის დედოფლის პირდაპირ მეორე მხარეს, იმისთვისაც ქვეშაგები იქ გაემალათ, რომელსაცა ბევრჯელ თურმე ასე დააწვენდნენ თავის საწოლში, ასე ჰყვარებიათ თავის რძალი. მეფე დედოფალი ერთს მხარეს რომ დაწვენენ თავის ქვეშაგებში და ქეთევან მეორეს მხარეს, აქ დაიწყეს საუბრობა სიამოვნით და ამაში უნდა ეთქუა, უკეთესს დროს სადღა იპოვიდა.

„ჩემო ხელმწიფენო!“ მოახსენა. – „თუმცა ამ ჩუენს საამოს ლაპარაკსა არ შეშვენის, უზდელობაც არის, შენუხდებით კიდეც ამ ამბავზედ, რაც მე უნდა მოგახსენოთ ეხლა, ჩემი გიჟის ძმის ამბავი რევაზისა, მაგრამ უკეთესსა დროსა სად ვიპოვი, რომელიცა მე იმისათვის გხლებივარ.“

ამ სიტყვაზედ მეფე-დედოფალი ორნივ ქვეშაგებში წამოსხდ-

¹ სამგორი ქ. ტფილისიდგან იქნება ოთხი საათის სავალი.

ნენ ახალუხა¹ და ქეთევანიც ეგრე წამოჯდა, მაგრამ ამას ამ დროს კაბა ეცვა, ჯერ გახდილი არა ჰქონდა, იცოდა, უნდა მოეხსენებინა. ჰყითხა მეფე ირაკლიმ დამშვიდებით: – „ჩვენო სიცოცხლეო შვილო! მართლა უკეთესი დროა ესა, რა ანბავი უნდა იყოს, რაზედ უნდა შევწუხდეთ?“ მაშინ მოჰყვა და წვრილად უანბო. მერეთ მეფემ უთხრა: – „ჩვენო ბედნიერებაო, ეგ ანბები შენს ქმარს ბატონიშვილს რატომ არ შეატყობინე?“

– „მე და ელიაზარ მდივანმა არ ვამჯობინეთ შეგვეტყობინებინა. თქვენი შვილი გიორგი მრისხანე ხასიათისა გახლავსთ, ვაი თუ სახალხოთ გასწყრომოდა ჩემს ძმას რევაზს და ამით უარესი საქმე მომხდარიყო? ის ჩემი ძმა რევაზ ვიცი, თავს გაიმართლებდა ბევრის მიკიბულ-მოკიბულის ლაპარაკით, ის ასეთი კაცია და ამაში მე ცუდ დედაკაცათ დავიდებოდა და ყველანი ლანძღვას დამიწყებდნენ: თავის ძმასაც არ ინდობსო. თვითონ ის ჩემი ძმა ასე აალაპარაკებდა ყველას ჩემზედ, ამისთვის ვერ ვაცნობეთ თქუენს შვილს.“

– „შენმა გაზდამ ქეთევან, ის ელიაზარ გონიერი და კარგი კაციც არის. ბატონიშვილს გიორგის იმისთანა არავინ არა ჰყავს, მაგრამ ეხლა ეს მითხარი, რას მირჩევ, ჩვენო გონიერო შვილო?“

– „ამის მეტსა ვერას მოგახსენებთ, ჩემს ძმას რევაზს მოურაობა ჩამოართვით და თქვენს სიძეს ზაქარიას უბოძეთ“.

– „მერე შენს ქმარს ბატონიშვილს გიორგის არ ეწყინება?“

– „თქვენგნით არაფერი არ ეწყინება, იმისთვის, რომ მაშინვე იტყვის: მამაჩემი მეფე ირაკლი არ შესცდებოდა, იმან უფრო კარგათ იცისო ყველა. და ვინიცობა არის, თუ რომ მკითხამს რასმე, მე ასე ვეტყვი: იმის გამოცვლაზედ მე უნდა ვწუხდე, მე კი არა ვწუხვარ, შენ რა გრჯის? თუ რევაზ შენი ცოლის ძმა არის, ზაქარია შენი დის ქმარია, სულერთია შენთვის-მეტქი, მაგრამ არა, არას მეტყვის და არც ეწყინება, მე ეს კარგათ ვიცი“.

რასაკვირველია ამის მიზეზი კიდევ ქეთევან იქნებოდა, რომ არა სწყენოდა. მასუკან ქვეშეგებში მიზნენ, კიდევ კარგა ხანი ილაპარაკეს, მერეთ მოსვენებით უნაღვლელად დაიძინეს. ეს ლაპარაკი სწორეთ იმათია, მე ეს ვიცი ნამდვილათ, მეფე ირაკლის ოჯახის მატიანეს დედიჩემისაგან. მეფე ირაკლიმ ერთს თვეს უკან რევაზ მოურავობიდგან გამოცვალა და თავის ქალის ელენეს ქმარს ზაქარიას მისცა ქიზიყის მოურაობა, რომ რევაზმა იგრძნას, ამით თავი დაიჭიროს, რომ აღარა იფიქროს რა, რომელმაცა ეჭვი სულ ვერ მიიტანა თავის დაზედ, მაგრამ უკვირდა კი, ეს ვინა ქნა, ვინ გადამაყენებინაო? ბოლოს მეფის ირაკლის დაღუპისა მდევნელებ-

¹ საღამური ახალუხი ყველას ეცვათ ქართველებს ქალებს და კაცებსაც.

მა მოიგონეს და ჩურჩულით არწმუნებდნენ აქა-იქა: დედოფალმა დარეჯანმა გამოაცვლევინა, რადგან ზაქარია იმის ქალის ელენეს ქმარი არის, იმისთვის გამოაცვლევინა რევაზი. აი ის ეშმაკი მაც-თურები, ამისთანა სიცრუებსა უგონებდნენ დედოფალს დარეჯანსა, რომ ამგვარებით დედოფალსა დასდონ დანაშაულობა და ამითი მეფეს ირაკლისა ხალხი გაუყენონ: მითამ მეფე ირაკლი, რადგან არაფერში არ ვარგებულა, ამისთვის რასაც ისა შვრება, სულ დედოფლის დარეჯანის სიტყვით.

ნარმოიდებინეთ, მეფის ირაკლისა და დედოფლის დარეჯანისა, ანუ ბატონიშვილის გიორგისა და ან მთელი ოჯახობის დასაკლისი, ის ქეთევან უდროოთა მიიცვალა უეცრათა. რა ვქნა, მე ეჭვი მაქვს, ხომ არ მონამლეს? კარგო ისტორიკო, მოიკითხე კარგათ ღვთის გულისათვის. თუ კარგი ისტორიკოსი იქნები, ნამდვილად რომ ვერ შეიტყო მაშინდელი გარემოებისა გამო, მიხვდები და დაინახავ, რომლებმაცა იმის სიკვდილზედ, მეფე ირაკლიმა და დედოფალ დარეჯანმა დიდი გლოვა იწყეს და ხშირათა გამოსთქუამდნენ მნარეს ტირილში ასე: შვილო ქეთევან! პირველათ ჩუენთან შენ რომ შამოხველ, ბედნიერება შემოგვიტანე, მიდიხარ და თან მიგაქს ის შენი შემოტანილი ბედნიერებაო. მართლა რომ დიახ დიდი უბედურობა იყო იმ ქალის სიკვდილი მეფის ირაკლის ოჯახობისა. ასეც იყო მართალია. რამთენი კიდევ სხვები არის იმ ქალის ამბები მეფის ირაკლისა და იმათი მთელი ოჯახობისა... მაგრამ იმის შემდგომ იმის ძმა რევაზმა კი სვავის ფრთხები შემოისხა მხრებზე, მეფის ირაკლისა დასაღუპი, რომელსაცა ამ თავის დის ქეთევანის სიცოცხლის დროსა ვერაფერი ვეღარ ვაებედა. რომელსაცა იმ რევაზსა ვერაფერი ვეღარ ვაებედა, ასე შეკრული ჰქონდა კრიჭა თავის დისაგან. სადაც რომ წავიდოდა, ჩუმად უკან კაცებს ადევნებდა: რას საქმიბს და რას შვრებაო. ასე ფთხილად იყო თავის ძმაზედ. მაგრამ იმ ქალის სიკვდილის შემდგომად კი ფართოდ გაიმინდვრა რევაზმა; არ იქნა, იმის გულიდგან არ ამოვიდა მეფის ირაკლის დაღუპვა და ამიტომ ბატონიშვილს გიორგის ქვებუდანად მოტყუება დაუწყო, სადაც თავის დამჭერი აღარავინ აღარ ჰყანდა იმას, რომელმაცა რაც თავის დის ქეთევანის სიკვდილის შემდგომ მოახდინა, ზოგიერთი დამინერია და კიდევაც დავწერ იმის საძაგლობას. აღამამადხან რომ საქართულოზედ მოდიოდა, მაშინ უნდა სცოდნოდა მეფეს ირაკლის, რაც ლალატობას რევაზ შვრებოდა იმ დროებში, რომ გაპტორთხილებოდა, რომელსაცა აღარც კი ახსოვდა ის იმისი ადრინდელი ამბავი, სულ გულიდგან გადავარდნილი ჰქონდა ან როგორლა იფიქრებდა, დიდი სპარსეთის ჯარი მოდიოდა საქართველოზედ და რევაზ ენდრონიკაშვილი მამულის

ღალატს გაიღლებდა გულში, მაშინ როდესაც რომ ქვეპუდანი ისა დიდს ერთგულებას აჩვენებდა იმ დროებში მეფეს ირაკლისა, თავის თავზე უჟღელობისათვის, მაგრამ ქვეშ კი უთხრიდა წასაქცევად იმ პატარას ერეკლესა!

იმ ბატონიშვილის გიორგის მეუღლის ქეთევანის ამბავი ხომ გავიგონეთ, როგორი დედაკაცი ყოფილა, ანუ როგორი გავლენა ჰქონია მეფის ირაკლის სახლეულობაზედ, ახლა მეორე ქეთევანის ამბავს მოვყვეთ, ივანე მუხრანბატონის დისა, ან ის როგორი დედაკაცი იყო, ან როგორი გავლენა ჰქონდა მეფის ირაკლისა სახლეულობაზედ? –

ეს ქეთევან და ივანე იყვნენ შვილები კონსტანტინე მუხრანბატონისა.¹ როდისაც ეს ქეთევან ცხრა წლისა თუ ათისა შეიქნა, მეფე ირაკლიმ და დედოფალმა დარეჯანმა, მეფის ირაკლის პირველ ცოლთან, თავად ხეიძის ქალთან წაყოლის თოთხმეტი წლის კარგი ვახტანგისათვის ითხოვეს.² და ჯვარიც მაშინვე დასწერეს, მაგრამ ერთად არ დაუწვენიათ.³ რომლისაც იმ კარგის ვახტანგის ამბავი ამ წერილის თავში დაინტერა, კარგი ვახტანგ რათა რქმევია და თოთხმეტის წლისაც რომ მომკვდარა, ეს იქვე თავში გავათავეთ. ახლა იმის სიკვდილისა შემდგომ.

იმის სიკვდილის შემდგომ ის ქეთევან აღარ გათხოვდა, ისე ქვრივათ დარჩა და დარეჯან დედოფალმაც აღარ მოიშორა, ყოველთვის განუყრელად თავისითან ჰყვანდა, დღეცა და ლამეც. მეფე ირაკლი რომ წავიდოდა სადმე, თავის რძალს ქეთევანს თავის საწოლში დაიწვენდა დედოფალი, ასე განუყრელად იყვნენ, ერთად გულით მეგობრულათ. დედოფალს დარეჯანთან, მეფეს ირაკლისა მესამე ვაჟი რომ მიეცა, ამ ბატონიძლის ქეთევანის თხოვით, ვახტანგ დაარქევს თავის ქმრის სახელის დასარჩენათ მეფის სასახლეში, რომელიცა იმანვე იშვილა, იმისივე მზრუნველობის ქვეშ გაიზარდა, დავაუკაცდა და ბოლოს იმანვე შერთო ცოლი, თავადის ენდრონიკანთ ქალი მარიამ.⁴ რომელსაცა იმ ვახტანგ-

¹ შემდეგ კონსტანტინე მუხრანისბატონისა, ივანე იყო მუხრანის ბატონათა სამუხრანოში.

² იმერეთის კარგი თავადია დღესაც ხეიძე.

³ უნინდელს დროში ისე ადრე მოყვრობას იმისთვის მოახდენდნენ ხოლმე, რომ ოჯახები ამ ერთობით ძალიან განძლიერებულიყვნენ და ამ მიზეზით ერთმანეთში თანხმობა დიდი ჰქონოდათ. ესეც მაშინდელი ჩვეულება იყო, რომ მინამ კარგათ არ მოიზებოდნენ, ერთად არ დააწვენდნენ და ამაში ესეც იყო, რომ თანდათან ძალიანი საყვარული ეძლეოდათ ერთმანეთისა და ბედნიერებიც იყვნენ ხოლმე.

⁴ ამ მარიამს ასე კარგათ მოვესწარ, რომ დაცოლშვილიანებული ვიყავ. ჩემი ცოლის ცოტათ ნათესავი იყო და ჩვენ ორნივ ძალიანაც უყვარდით.

სა მომატებულს სახელს უძახოდნენ „ალმასხან“. ბატონირძლის ქეთევანის გულისათვის, რომ ეს სახელი ხშირათ არ მოიგონოს და არ შეწუხდეს თავის ქმრის სახელის მოგონებაზედათ. როდისაც რომ კარგ ვახტანგის და ქეთევანის მოუმნიფებელსა გულსა ცოტაოდენი რამ სიყვარულის თვალი დასჩენოდათ, მაშინ კარგი ვახტანგი, იმ მშვერიერს ქეთევანს მოჰკოდმია. ასე გაუხარებელი დარჩენილან ორნივ ერთმანეთით დაუნდობი წუთისოფლისაგან, რომელიცა ის ქეთევან, ხანდისხან ასე თურმე წამოიძახებდა მწარეთ: დაუნდობო, ჩემი ბედნიერებისა მტაცებელო, ოპ სოფელო! და ცრემლებსა გადმოჰყორიდა, მაგრამ ამას ცალკე, სხუა ოთახში დაიძახებდა, ისე დაბლის ხმითა, რომ დედოფალს ვერ გაეგონა და თუ როგორმე გაიგონებდა, ხმა მაღლივ დაუძახებდა. – „ქეთევან, შვილო ქეთევან, ნუ მკლავ მაგ სიტყვებით. შენმა გაზდამ, თუ შენ ვნებას შეიმთხვევ რასმე, იქნება მეც შენ უკან გამოგყვე. აქ შამოდი ჩემთან, აქ შამოდი ჩეარა“. შეიყვანდა და იქ უფრო დასტუქსავდა. ასე ჰყვარებია იმას ის ქეთევან და მეფეს ირაკლისაც ისე. მართლა რომ ღირსიც ყოფილა. ის ასეთი დედაკაცი იყო როგორც თვალტანადობით, ისე გონებით, ისე ენამჭევრობით და ისე სრულის ენერგიით, მაგრამ ცოტა აჩქარებული და პირდაპირ მთქმელი იყო, რომ არავის არ დაეფერებოდა, არც მეფესა და დედოფალსა. თითქოს ისა ბძანებლობდა დედოფლისა მაგიერათ მთელს სახლზედა, რომლებსაცა ყველას მორიდება ჰქონდათ იმისი და ამასთან დიდადაც ჰყვარებიათ, ეს ასეთი უნაკლულო დედაკაცი იყო. ყოველს დროსა ანუ ყოველს შემთხვევასა, რაც რომ მოუხდებოდა ანუ რაც უნდოდა, ის იმაში უკეთესიც იყო და ხმარობდა იმ შემთხვევას ასეთის ქცევით, რომ როგორც თვითონ სურდა, ისეც მოიყვანდა საქმეს, რაც რომ დედოფლისა შესახები იყო იმას და სხვებში კი არაფერში არ ერეოდა, არა სამეფოსა საქმებში, მინამ მეფე ირაკლი რჩევას არ ჰკითხავდა. აქაც კარგი მოთათბირე მრჩეველი იყო ხოლმე. ის იყო საკირველი დედაკაცი, მაგრამ იმასაც გზას უხლათდნენ ოჯახობის კეთილმდგომარეობაზედ მეფის ირაკლისა ანუ საქართველოს ჩუმნი და ძლიერნი მტრები. გაიგონეთ?

როდისაც რომ ალამამადხანი შემოვიდა ქ. ტფილისში, ის ქეთევან თუ იმ დროებში დედოფალს დარეჯანთან ყოფილიყო, რაც სიმდიდრე მეფის სასახლეში იყო ანუ სალაროში, სულერთიან დაახიზვნიებდა. ან ქსანზედა და ან არაგვისა სიმაგრეში სადმე. ადრეც ამაზე ლაპარაკი ჰქონდა მეფე-დედოფალთან, მინამ ალამამადხან მოვიდოდა, ორის თვის წინათ, მაგრამ იმ დროებში იმისი ძმა ივანე მუხრანის ბატონი ავათ გამხდარიყო ს. მუხრანში და დედოფალს დარეჯანს საჩქაროთ ძმასთან გაეგზავნა თავის ქალის, ქეთევან

ბატონიშვილის¹ მისაშველებლათ: ორნი უფრო კარგათ მოუვლითოდა შემდგომ ისევ ჩქარა ჩამოდი, რომ უშენოთ არას დავხიზნამთ და ამისთვის შენი მაყურებელი ვიქნებითო: ესენი სულ შეჩენილმა მტრებმა შეიტყეს და გარეთ ძლიერს მტერსა შეატყობინეს.

ბოლოს, როდისაც ივანე მუხრანის ბატონი კარგათ შეიქნა, იულონ ბატონიშვილი ქართლიდგან გადმოვიდა მაცთურების რჩევით (რომელსაცა გარს ეხვია ბატონიშვილს იულონსა ბევრი ჩუმი მტრები, იმათი ოჯახის დასამხობად) და იქ ქართლში გადინვია, თავის ცოლის სალომესთან ცოტას დროთი, მაგრამ ისე მოახერხეს მაცთურებმა, რომ აქამდისინ დარჩა. აი, ამ ბოროტების თათბირი: ეს გონიერი ქეთევან აღამამად ხანის მოსვლის დროებში თუ იქ დედოფალთან იქნება, ბევრს კარგს საქმეს ურჩევს და იმ საქმესაც შეასრულებენო, სწორეთ იმათი სიტყუაა: ამ უკანასკნელს იმათ სიტყვას ასე მოკლეთ ვანბობ, თორებ ამაზედ ბევრი ლაპარაკი ჰქონიათ. თუ ის ქეთევან დედოფალთან ყოფილიყო, ბევრს კარგს შესძინებდა თავის რჩევით როგორც დედოფალსა, ისე მეფესაც. მაგრამ რა გაეწყობა ჯოჯოხეთის ეშმაკურს ცფიერობას, რომელიცა ის ქეთევან იქ გააძეს და დედოფალს დარეჯანსა რბილ-კეთილის ბატონიშვილი იულონის რამდენიმე თხოვის წიგნი მოუტანეს: თქვენი რძალი სალომე (თავის ცოლი) შეუძლებლობს და გევედრებათ ბატონირძალი ქეთევან აქ გახლდესთო. ამგვარი ხვეწნა ბევრი იყო, ამის გამო დედოფალმაც ძალა აღარ დაატანა და იქ დარჩა იმათთან. მართლა იმ დროს შეუძლოთაც ყოფილიყო ბატონირძალი სალომე, მტრების სადღესასწაულოდ. აი ამისთანა კარი ჰქონდა ეშმაკებით გარს მოცული, ბატონიშვილს იულონსა და სხვებსაც ხომ ყოველს მხარეს დიდს თუ პატარებსა თითქმის უარესი. მე არ დავიჯერებ, ამისთანა ცფიერული ეშმაკობა ყოფილიყოს სადმე, როგორც მაშინ იყო საქართველოში, მეფის ირაკლის ოჯახობის და ერთიან საქართველოს დასამხობი. რაღა უნდა ითქვას? სხუათა ჭორებსა შორის, ამ ქეთევანსაც ეს მოუგონეს და ჩუმათ მითქმა-მოთქმა შექმნეს ასე: თავის გაზდილს, თავის მაზდს ვახტანგს, რომელიც შვილათ აიყვანა, იმას ჰყებარობსო. განა დარჩენილი და იყო ვინმე მეფის ირაკლის სასახლეში, რომ არავიზედ არა ეთქვათ რა, იმ უსვანდისონებს თავიანთის ბოროტების დასაფარავად. მეფის ირაკლის ოჯახსა და საქართველოს რაც უყვეს, რომ ამ მოგონილი ამბებით თავიანთი უსვინდისობა და ბოროტი საქმეები როგორმე დაემალათ, არ გამოჩენილიყო.

¹ ეს ქეთევან ბატონიშვილი ივანე მუხრანბატონის ცოლი იყო, რომელიცა ამ ქეთევან ბატონირძლის რჩევით მისცეს.

მაგრამ სიმართლე როგორ დაიმალება? სიმართლის მომართულების ძალა ასე რიგათ არის მომართული, რომ ბოლო დროს მაინც არ იქნება, თავი არ იჩინოს და ცხადათ არ გამოჩნდეს. მე ამაზედ დაჯერებული ვარ, რომ ეს ასეა. ამაებსა ასე მოკლეთ დავასრულებ და შემდგომში კიდევ სხუა იქნება ოდესმე.

თ ა. ვახ. ძე ჭ. ორბელიანი.

1851-სა წელსა. ქ. ტფილისს.

პაპუცინთა პატრეპის შეთქმა

კაპუცინის პატრეპი იყვნენ მეფის თეიმურაზისა დროსა საქართველოში. ამათ განიძრახეს მთელი საქართველოს ერი და გარემო მთების თემები გააქრისტიანონ, მაგრამ ფრანგებათ.

შეუდგნენ ჯერ ამით, რომ დიდი ანტონი ქათალიკოზი და იმისი მახლობელი მიიზიდეს. ამათ საქართველოს თავად-აზნაურის მიიბირეს და შემდგომად საქმეს შეუდგნენ, რომ ფრანგობა მიიღონ ყველამა.

ერთს უქმეს დილაზე, ანუ დღესასწაულში ფრანგების ეკლესიაში იყო წირვა, დიახ გამოჩენილი სადღესასწაულო და პირველი პატრი გადმომდგარი ამბიონზე ქადაგებდა გულმსურვალედ და მთელსა საქართველოს თავად-აზნაურთა ასწავებდა ფრანგობასა. იმისი ქადაგება იყო დიახ გონიერი და დასარწმუნებელი, ასე რომ, წირვის შემდგომ აპირებდენ ყველანი გაფრანგებას. სულ ერთიანათ. ამ დროს მეფეს თეიმურაზს ამბავი მოუვიდა: „ანბიონზე პატრი ქადაგებსა და წირვის შემდეგ გაფრანგებას აპირებენ სულ ერთიანათ თავად-აზნაურნიო“.

მეფე თეიმურაზმა დაიძახა: „არიქა ცხენიო“. საჩქაროთ მივიდა ფრანგების ეკლესიაში, ცხენიდან გადახტა, ანბიონის წინ წადგა, მოქადაგეს პატრისა დაუძახა ხმალამოლებულმა: „ეხლავ განყვიტე ეგ ქადაგება, თორემ ამ ხმლით თავს გაგაგდებინებ“. „

ამის შემდეგ დაიშალა ფრანგების განძრახვა საქართველოში და ქათალიკოზ ანტონის რაც დამართეს, ან პატრებს, ცხადია.

თ ა ალექსანდრე ჯ. ორბელიანი.

ს. კაზრეთს ია-ს დეკემბერს. ჩყნდ-ს [წელსა].

შ ე თ ხ მ ა

მეფის ირაკლის მეორეზე საქართველოში

დედი ჩემის ბატონიშვილის თეკლესაგან ნათქომია 1844-სა წელსა.

ვგონებ ამ 1844 წლამდისინ, ოთხმოცი წელიწადი იყოს, როდე-საც ეს მომხდარა საქართველოში:

ერთს შუალამეზე ცოტა ადრე, ქრისტესია ღვდელი ხლებია მეფ-ეს ირაკლის, საიდუმლოს საქმის მოსახსენებლად, რომელიცა მაშ-ინვე მიუწვევია. შეფის აუქარებელი კითხვა. – მამაო ქრისტესიავ, ამ უდროოთ რა საჭიროება უნდა გქონდეს?

ქრისტესია ღვდელის ჩეარი მოხსენება. – ჩემო ხელმწიფევ! განყვეტას გიპირებენ ცოლ-შვილითაო.

– მეფე დამშვიდებით. – რას ამბობ მდვდელო, მე მაგას არ დავი-ჯერებ, ამიტომ, რომ თავი განწირული მაქვს საქართველოს ბედ-ნიერებისათვის. მე არავისთვინ არა დამიშავებიარა, თვინიერ წყ-ალობისაო.

ღვდელი კიდევ აჩქარებით: (ალარ დააცლის სიტყვის შესრულე-ბას) – შენი ჭირიმე, რასაც ბძანებთ მართალია, მაგრამ პაატა ბა-ტონიშვილს გაუბრიყვებია რამდენიმე თავადიშვილები და დავით ბატონიშვილიც. (აბდულა ბეგის შვილი).

დავით ბატონიშვილი?, ჩემი ახლო ნათესავი?, ჩემი გაზრდილი?, ჩემი საყვარელი შვილისავით? არ არის დასაჯერებელი..

– ბატონოვ, ლერთს გეფიცებით, მართალს მოგახსენებთ.

ახლა კი აჩქარებით კითხვა მეფისაგან. მითხარი, როდის აპირე-ბენ მაგ ბოროტს აზრს?“

– ჯერ არა ჩემო ხელმწიფევ.“

გაშ წვრილად მიამბე?.

– ჩემი მონაფეგახლავთ, თქვენი პატარა ძუძუთა ქალის, ქეთევან ბატონიშვილის ძიძის ქმარი, დათუნა ფეიქარი, რომელმაცა ალ-სარებაში აღიარა, რაც დაწყობილება აქუს პაატა ბატონიშვილს თქვენზე. გუშინ სალამოს უამზე დაეპარებინა პაატა ბატონიშვილს ფეიქარი დათუნა, მრავლის წყალობის დაპირების შემდგომ, ჯერ ფიცი გამოერთმევინა და მასუკან ეთქო. –

„შენ ხომ ჩემს სამსახურში ერთგული ხარ, რადგან შენი ცოლი მეფის სასახლეშია ძიძათ, შენ უნდა იკისრო ჩვენი შეყვანა სასახ-ლეში, რომ ერთიანად ამოვაგდოთ მეფის ირაკლის თესლიო. შენ ნუ გეგონება მარტოკა მე ვიყო და მარტოკა მე გეუბნებოდე ამას, ამ საქმეში ბევრნი ვართ: თვით მე, აბდულა ბეგის – შვილი დავით ბა-ტონიშვილი, თვით მეფის ირაკლის ახლო ნათესავი, დიმიტრი ამი-

ლახვარი, იმის შვილი ალექსანდრე, დიმიტრი ციცისშვილი, ელის-ბარ თაქთაშვილი და ამის შვილი იასე, რომელნიც ამ უამად აქ ქალაში ვიმყოფებით. ახლა შენ ერთი საქმე უნდა შემოგვიძლვნა. შენის მეტი ამ საქმეს ვერავინ ვერ შეასრულებსო. რადგან ჩემი სან-დო ხარ, ამისთვის ხვალვე უნდა წახვიდე კახეთში ჩემს მეგობრებს ჩემი წიგნები წაულო, რომ საჩქაროთ ჩამოვიდნენ.¹ თუ ამ ჩემს ბძანებას აღასრულებ, როდესაც მეფედ დავჯდები, შეეფიცა: აზ-ნაურიშვილობას და ერთს კარგ სოფელს გინყალობებ ერთგულები-სათვისაო, ოღონდ ეს ჩემი ბრძანება აღასრულე და ეს ჩემი წიგნე-ბი საჩქაროდ წაილეო. თუმცა ის წიგნები გამოერთმივნა; მაგრამ ფიქრი მოსლოდა, წავალ ჯერ ჩემს მოძღვარს ვნახამო, იქიდან ჩემ-თან გეახლათ, მთხოვა, დიას საჭირო საქმეზე მივდივარ კახეთში და გთხოვ აღსარება მათქმევინოთო. მაშინვე ეკლესიაში შევიყვანე და აღსარება ვათქმევინე, რომელმაცა პირველადვე ეს ამბავი მითხ-რა: კახეთში გეახლებით სადაც გზებზე დიდი შიში არის. ლეკებისა, მეშინიან გზაზედ არ მამკლან სადმე, ამისათვის ადრევ აღსარების და წმინდა საიდუმლოთი განვიწმინდები და ისე წავალო. როდესაც დაასრულა და ყველა მითხრა, დიდათ შეესწუხდი; ბევრი ველაპარ-აკე და რას ყოფით დავაჯერებინე აღარ წასულიყო და ის წიგნებიც ჩემთვის მოეცა. ეს წიგნები ახალუბზედ ქონიყო დაკერებული, მაშ-ინვე აარღვია და ჩამაბარა. ახლა თქვენთვის მომიხსენებია ეს ამბა-ვი და ახლა თქვენთვის არისო ჩემო ხელმწიფევ!

მეფეს ებრძანებინა. ეხლავ წადი ქრისტესია ღვდელო და დათუ-ნა ფეიქარი აქ მომგვარეო².

დაუყოვნად ქრისტესია ღვდელი, დათუნა ფეიქარი მეფის ირაკ-ლის წინაშე იდგნენ და პატა ბატონიშვილის წიგნებს კითხულობ-და ზოგიერთს კახელებთან მიწერილს. მეფეს წაკითხვა რომ დაეს-რულებინა, მაღლა აეხედა და გულმტკივნეულად ეთქვა. – ყოველთ გულთა მხილაო ღმერთო! შენ ხომ კარგათ იცი, მე ქართველები როგორ მიყვარან! და ან იმათთვის გული როგორ მტკივა, მარამ ჩემი ერთგულება და სიყვარული ვერავის ვერ დაგანახვე. არ იქნა იმათი გული არ გასწორდა ჩემზედ. კარგი ქრისტესია ღვდელო, შენ წადი და ახლა მე ვიციო. დათუნა ფეიქარი კი სასახლიდამ არ გაეშო,

¹ კახელები პაატა ბატონიშვილს არ მიუდგებოდნენ; ზოგიერთი წინააღმდეგების მეტი, რომელთაც ჩამორთმეული ჰქონიათ სახელი მეფის ირაკლისაგან ა.ვ.ო.

² იქნება გაიკვრვონ პაატა ბატონიშვილი ასე ჩქარა როგორ ენდო დათუნა ფეიქარსა, როგორც გამიგონია, მეტი თავებდი ყოფლა ირაკლის წინაშე იდგნენ და პატა და განუსჯელი, არა რჯულიერი, მეფის ვახტანგის შვილი, ესე პაატა. აპა ჰეგვანებია გონიერს გახუშტის, რადგანაც დათუნას ცოლი ძიძათ იყო სასახლემი, აღარ უნდა ნდობიყო, რაც უნდა სანდო ყოფილიყო პაატა ბატონიშვილი?

მხოლოდ ერთს დაფარულს ალაგს დაემალა.

იმღამესვე შესდგომია საქმეს და თავის წინააღმდეგები შეუპყრია. მე მგონია იმისთვის შეუპყრია ისე ჩეარა, რომ არავის შეეტყო. იმ ღამეს რომ შეეტყოთ, პაატა ბატონიშვილი და აბდულა ბეგის შვილი დავით, თავიანთის ერთგულის ქართველებით გაიქცეოდნენ და მაშინ ვინ იცის როგორ იქნებოდა საქართველოს საქმე. მეფე ირაკლი იქნება ვერ გადაეგდოთ, ვინაიდან განძლიერებული იყო საქართველოში, მაგრამ ბევრი სისხლი კი დაიქცეოდა ქართველებისა, ამისათვის რომ გარდა ზოგიერთის დიდი კაცებისა, სხვაც ბევრი რეულან ამ შეთქმაზე, მეფის ირაკლისაც შეუტყვია, ვინცა რეულან, მარამ აღარა დაუდგენიარა, რადგანაც კარგათ იცოდა, როგორ უნდა დაეშალა იმათი განზრახვა, ამისთვის აღარ გამოჰკიდებია. ამის ქვემოთ სჩანს, რომ ასე უნდა ყოფილიყო.

დაუყოვნად იმღამესვე დაუბარებია თავისი დიდი კაცნი შეფეხს. დიდკაცებს ჩვეულობა ჰქონიათ, ბევრჯერ უდროოთ დაბარებისა საჭირო საქმეზედ, ამისთვის ჩვეულებისამებ მიეღოთ, მარამ როდესაც სასახლეში შეყრილან, მეფე ირაკლი ჯერ გამობრძანებული არ ყოფილა სალებინოში, ამაზე ეჭვში შესულან და კითხვა დაუწყვიათ ერთმანეთისათვის. – ეს რა უნდა იყოს ამ უდროოთ სულ-ერთიან აქ შეგვყარაო?

ამ დროს მოსამსახურეს კარები გაულია მეფის სენაკიდან, სადაც პირველი დიდი კაცი მიუწვევია მეფესთან. ამაზედ უფრო შეწუხებულან, მაგრამ რას შეიტყობდნენ?

ის პირველი დიდი კაცი მეფესთან რომ შესულა, პირდაპირ შეუხედავს, უნახავს, ოთახის თავს, ხატების თახჩას ფარდა ჰქონია გარდახდილი, ხატების წინ სახარება სვენებულა, ამის მარჯვენეს მხარეს მეფის მოძღვარი მდგარა სრულიად შემოსილი და მარჯვენის ხელით ჯვარი სჭერია, ამის ცოტა მომორებით თვით მეფე მდგარა მრისხანეს სახით და სენაკის კუთხესთან ორი მოსამსახურენი განკრძალულები, ხანჯლის ტარებზე ხელებ დაწყობილნი.

ეს უცნაური სანახავი რომ უნახავს დიდ კაცს შიშის ზარსა აუტანია და დიდად შემკრთალა, ნამეტნავად მაშინდელი ღვთის მოშიში ქართველები, სარწმუნოების ძლიერნი მოსავნი, ამისთანა სანახავს, რომ ნახავდნენ და თავის მეფეს განრისხებულს დაინახავდნენ, თუნდა იმ დიდკაცებთაგანი ორგული ჰყოფილიყო ვინმე, მაშინვე გული გამოეცვლებოდა.

ამასთან მეფეს ირაკლის უთქვამს მრისხანედ.

– წინ წამოდეგო!

კრძალვით და მოწინებით წამდგარა.

– ერთგული ხარ ჩემიო?

ახლა მე ვიკითხამ, თუნდა ორგული ყოფილიყო, შეეძლო წინააღმდეგი მოეხსენებინა პირის—პირ თავის მეფისათვის?

აი, იმ დიდი კაცის პასუხი.

—ჩემო ხელმწიფეო! რას მიბრძანებთ. დედა—მიწა უნდა გასკდეს და შიგ ჩამიტანოს, როდესაც თქვენს ორგულობას მე ვიფიქრებო.

კიდევ მეფეს კითხვა:

—შეგვიძლიან შენი უკანასკნელი სისხლი შემომწირო მსხვერპლადო.

—ღმერთს გეფიცებით, ჩემი უკანასკნელი სისხლი, ყოველთვის მსხვერპლია თქვენი.

მაში მოდი ჯვარზე და სახარებაზე დაიფიცე ჩემს ერთგულებაზე და რაც გიბრძანო ჩემი ბრძანება აღასრულეო.

—ეხლავ შენის ამაღით შეიარაღებული წადი, პაატა ბატონიშვილს შემოერტყა გარს, იმის სახლიდან არ გაუშოთ, თორემ დიდად მეწყინება და თოფი იარაღიც ჩამოართვით, ვინიცობაა თუ კითხვა რამ დაგიწყოს უთხარით: თქვენც არა იცით რა, რისთვის დააჭერინა მეფემათქ.

მაშინ მეფის უპირველესნი წინააღმდეგნი სულ ქალაქ ტფილისში ყოფლან მეფის ირაკლის საწინააღმდეგოდ.

პირველის დიდი კაცისათვის დარიგება რო მიეცა. მეორეს მოსამსახურეს სხვა კარებიდგან გაეყვანა სხვა დიდ კაცებს ველარ გაეგოთრა იმისი ამბავი. მის უკან მეორე დიდი კაცი შეეყვანათ, რომელსაცა პირველის მსგავსად დაეფიცა. ამისათვის ებრძანებინა.

—შენ შენის ამაღით წადი და დავით ბატონიშვილს გარს შემოერტყიყო.

რაღა გავაგრძელო, ყოველი თვითეულად შეუპყრიათ, მარამ დიმიტრი ამილახვარს მოუსწრია გაქცევა და ვინ იცის სად გავარდნილა.

ვინც იმასთან დიდკაცები დარჩომილან, ხომ აღარა შეხვედრიათ გაგზავნა, ისინიც დაეფიცებინა თავის ერთგულებაზე, იმათაც ასე შეუფიციათ, როგორც სხვებს, მას რო მორჩომილიყო მეფე ამათთან გამოსულა და ყველასათვის უთქვამს.

ახლა შეგიძლიანთ თქვენც სახლებში წახვიდეთ, მარამ რაც მოხდა, უბრალოდ ნურას ილაპარაკებთო.

მეორეს დიღაზედ, ქართლ—კახეთიდგან თავად-აზნაური და პირველი სახლის შვილები გლეხნი აქ ტფილისში დაუბარებია მკვირცხლის მსრბოლელებით. გარდა ამისა, რაც მთებში პირველნი კაცნი ყოფილან, ისინიც დაუბარებია.

დიდი ხალხი შეყრილა ქ. ტფილისში, მაგრამ მიზეზი კი არ იცოდ-

ნენ რისთვის დაებარებინა და ან პყრობილნი რად დაეჭირათ?

როდესაც სულ ერთიან შეყრილან, ამ დროს ერთ სადამოზე ბრძანება გამოეცა მეფეს. ხვალ დილაზე ჩემს სასახლეში უნდა შეიყარნენ ყველანი: სასულიერო წოდება და მთელი საეროვო.

აბა ვიღა დააკლდებოდა? დიდი ბატონი კათალიკოზი, საქართველოს მღვდელმთავრები, არხიმანდრიტები, სარდლები სხვა დიდი კაცი და მთელი საქართველოს გამოჩენილნი კაცნი მეფის სასახლეში შეყრილან.

იმთენი ხალხი სალხინოში რომ ვერ დაეტეოდა ოცდაოთხი ადლი სიგრძე ჰქონდა გაზანდრისა, ამისათვის გარედგან სალხინოს რუსები აუზევიათ და მოაჯირზედ მიმდგარა ხალხი, რომ ჭედვისაგან ნემისი არ ჩავარდებოდათ. ამ შეკრებილებში მეფე ირაკლი გამობრძანებულა და თავის ადგილს დამჯდარა გაჯავრებით ხმა არავისოთვის გაუცია.

მცირეს ხანს უკან პყრობილნი შემოუყვანიათ და მეფის წინ მოშორებით დაუყენებიათ, ამათთან და ამ შეყრილობაში, მეფეს წამოუჩინებია როგორც მოჩივარს, სადაც გადმოძახებით უთქვამს ეს სიტყვები:

დღეს საქართველოს დიდებულნი სულ ერთიან აქა ხართ შეყრილნი. მე თქვენთან ვჩივი, არა მეფე, არამედ როგორც მოჩივარი. წინაშე ღმერთთან გამეცით პასუხი, თუ ჩემს მეფობას მოხედოთ და მეფობისთვის გამამართლოთ გვევედრებით ჩემში და მათში (ხელი მიეღო პყრობილებზე) სწორე სამართალი მოახდინოთ. ჰყითხეთ, რას მემართლებოდნენ, რომ ცოლშვილით გაწყვეტას მიპირებდნენ. საქართველოს დიდებულნო და მდაბალნო! ღმერთს თავდებათ გაძლევთ, თუ ჩემზე უკეთეს მეფეს იშოვნით საქართველოს ბედნიერებისათვის მე ჩემს გვირგვინს იმას დავულოცავ. და თუ ვერ იშოვნით, მაშ რას მემართლებოდნენ, რომ გაწყვეტას მიპირებდნენ. ცარიელ ლითონის სიტყვით არ გეუბნებით მე ამას. აი ამათი (კიდევ ხელით უჩვენებია პყრობილები) მიწერილი წიგნები მდივანბეგისათვის მიეცა და იმასაც ხმამაღლივ წაეკითხა. წიგნების წაკითხვის დასრულებისთანავე, მთის ხალხი აღელვებულან და იმათი დახოცვა მოენდომებინათ იქვე, მარამ ყველანი მეფეს დაუმშვიდებია. როდესაც დამშვიდებულან, მეფე წამომდგარა და თავის საწოლში შესულა, მაშინ დიდს ანტონს კათალიკოზს ბევრი უყვედრებია თავის ძმისწულის დავითისათვის და მეფის ირაკლის ჭირნაბული მოუგონებია იმაზე. ამასთანავე სახალხო სამართალი მომხდარა ავლაბრის ძირში რიყეზე, სადაც დღეს ნემენცები დგანან. პყრობილებს მეფის შემცოდეობაზე თავი დაუდვიათ, რომელთაცა სახალხო განჩინება იქვე აუშენებიათ ასე.

პაატა ბატონიშვილს მეხლმემ თავი გააგდებინოს, აბდულა ბეგის შვილს დავითს, ეგრეთვე, დიმიტრი ამილახვარს ყმა და მამული ჩამოერთოს, ამის შვილს ალექსანდრეს ცხვირი მოეჭრას, ვაზები დაესხიპოს და უცხო ქვეყანაში გაიგდოს, ელისბარ თაქთაქიშვილი ცეცხლში დაინოს, იმის შვილს იესეს, ცალი თვალი ამოელოს და ერთი ხელი მოაგდებინონ და დიმიტრი ციციშვილს ენა მოეჭრას.¹

რასაკვირველია გრძლათ იქნებოდა განჩინება დაწერილი და არა ასე მოკლედ. ესენი სულ ბატონიშვილის დედიჩემისაგან გამიგონია. რომელმაც წვრილად აღნერა. ბოლოს იქნება საქართველოს ისტორიისათვის გამოდგეს და ურიგო წასაკითხიც არ იყოს. ნუ გეგონებათ ბატონიშვილი დედაჩემი მომსწრე იყოს ამ ამბისა? – არა. იმასაც მომსწრე პირთაგან გაუგონია, არა ერთისაგან, დიახ ბევრისაგან.

სამართლის გადაწყვეტის შემდეგ მაშინვე საქმეს შესდგომიან და ადსრულებაში მოუყვანიათ. ეს ამბავი მეფეს ირაკლისათვის მოეხსენებიათ, ამ დროს თავადი რევაზ ჯანდირიშვილი იქ ხლებია მეფეს, რომლისთვისაც უბრძანებია, – არ მეგონა ამისთანა უწყალოს სამართალს გადაწყვეტდნენ, თორემ თვით მე დავსჯიდი იმ საბრალოთაო. მიშველე რევაზ, ეხლავ ცხენზედ გადააჯექ საჩქაროდ მიდი, ჩემი ახლო ნათესავი დავით მაინც იპატიე ჩემმაგიერ აღარ მოკლან, მე მამცენ და მე გადავახდევინებ რისაც ლირსი იქნებაო.

სწრაფის ჭენებით წასულა, მარამ ველარ მოუსწრია. ის იყო საცოდავისათვის, თავი მოეჭრათ, რომ კიდევ ფართხალებდა იმისი გვამი და თავის სისხლში იბანებოდა. მოსულიყო და მოეხსენებინა, რომელიცა დიდად შეწუხებულა მეფე და ცრემლები გადმოეყარა. სხვებისა რაღა უნდა ვსთევათ? ის უბედურნი იმ სასჯელით დასჯილიყვნენ რაც იმათზე დაენიშნათ.

დათუნა ფეიქარს რაღა მოუვიდა? მეფემ გაააზნაურა, ყილიჯყორჩობა ებოძებინა და ხალხიც მახარობელს უძახდნენ, მარა დიდ ჭირიანობის დროს, სადაც ხალხის სვრა ყოფილა საქართველოში, ისიც იმათში ამოწყვეტილა ცოლშვილით.

თ. ალექსანდრე ვახტანგის ძე ჯ. ორბელიანი

¹ ვინც მეფის ირაკლის წინააღმდეგნი ყოფილან; ისინი თურმე ლაპარაკობდნენ ჩუმათ, ვითომც მეფე ირაკლიმ ტყუილი მოიგონა. მეფის ვახტანგის თესლის ამოსახოცად საქართველოში. ამისათვის დაახოცინა პაატა და დავით ბატონიშვილი. სხვებსაც თურმე ბევრს ლაპარაკობდნენ ამ გვარებს.

31. რაც მოვთან ჩამი დაგეზლება

ეს სახელგანთქმული კაცი პირველად საქართველოში რომ მოვიდა, მაშინვე საქართველოს ბევრი პირველი გვარის შვილები: კაცნი და დედაკაცნი დაიახლოა და კარგი ძლიერი დასი შეადგინა თავის გარეშემო. ქართველები უფრო ცხადათ, სომხები საიდუმლოთ და თათრები არც ცხადათ და არც საიდუმლოთ, ისინი როგორც მოხვდებოდა ისე და არც მაგთენი მახლობელი ჰყუანდა ისინი. იმასთან უფრო მომატებით მითამ პირველს როლსა თამამობდენ ქართველები და ცხადათა აჩვენებდნენ ხალხს ისინი, რომ მითამ იმათ დიდი ძალა ანუ მხედველობა ჰქონდესთ ვარანცოვზედ და მართლათ რომ ვარანცოვთან ისინი ბევრს საქმესაც არიგებდნენ: კერძობით საქმეს მეტსა და თავიანთ საქვეყნოს საქმეს ცოტას. ვარანცოვმა ძალიან კარგათ იცოდა, იმ გამოჩენილმა დიპლომატმა, რომ როგორ მოჰქცეულდა იმათ: ან იმათი სურვილის საქმე რა გაერიგებინა და ან რუსეთის სასარგებლოთ როგორ მოეხმარა ისინი. იმან ესენი კარგათ იცოდა და ამისთვის თავის ოსტატობის გვარათ ისე ურიგებდა იმათ თავიანთ თხოვასა და ისეც იხმარებდა იმათ თავისად. პირველი იყო ღრმა გონების პოლეტიკი და მეორენი სუბჟექტის ჭკვის პოლეტიკანტები, რომლებსაცა ძალიან მოსწონდათ ამით თავი და გაამაყებული იყვნენ ისინი, რომ ვარანცოვთან მითამ პირველს როლსა თამაშობდნენ. სომხები კი ჩუმათ ქვეშ-ქვეშათა ჰყუანდა თავისად და ისეც იხმარებდა იმათ, რომლისაგან ის სომხები სიმდიდრესა ჰკრეფდენ და ამისთვის იმათ პროტექტორად იყო ვარანცოვის დოხტური ერასტი სტეფანიჩი ანდრეევსკი, დიდი შინა კაცი ვარანცოვისა, დიდი ანგარიც, რომელიცა ყოველს საქმეს ეს ურიგებდა სომხებს ვარანცოვთან. ამით ისინი ძალიან გაამდიდრა და თვითონაც იმათით დიდათ გამდიდრდა.

ქართველებს უნდოდათ დიდკაცობით გამოჩენა ვარანცოვის კარზე, თვითონ ვარანცოვთანაც და გარეშე ხალხში ხომ რასაკვირველია და სომხებსა ფული, რომელმაცა ორსავ მისცა რაც უნდოდათ: ქართველებს ფუჭი დიდკაცობა და სომხებსა გატენილი პარკი ფულებითა სხვადასხვა სახაზინოს შემოსავლებიდგან. მაშინ ასეთი დრო იყო საქართველოში, რომ თუ ვარანცოვი არ მოსულიყო და ისე მდაბლად არ მოქცეულიყო ყველასთან და ესეები არ ექნა, საქართველოს დაპკარგავდა რუსეთი, ასე განძლიერდა მთებში შამილი. მაგრამ ვარანცოვმა ამ თავის შემოხვეულის დასებითა, რომლისაცა ყველგან აგენტები ისინივე იყვნენ და იმათით მოქმედებდა ყოველს მხარეს, სადაც ყველგან ასრულებდნენ იმის სურვილს ისე, როგორც თვით უნდოდა ვარანცოვსა. ვარანცოვ-

მა ძალიან კარგათ იცოდა იმათი ხასიათი და ისიც კარგათ იცოდა, ვის როგორ მოჰქცეოდა და ისინიც ისეც უსრულებდნენ ყოველს საქმეს ვარანცოვსა. აი, ასეთი დიდი გონიერის ცბიერი კაცი იყო ვარანცოვი. პირველებში ვარანცოვის ბალში და ვეჩერებშიაც მეც მიმიწვევდენ ხოლმე, მაგრამ არც ერთხელ ჩემთვის თავი არ დაუკრამს, სულ პირს მარიდებდა. მე მაინც დავდიოდი, მაგრამ ის მაინც ასე იყო ჩემთან. ამაში ორი-სამი წელინადი გავიდა და კიდევ ერთის მდგომარეობით ვხედავდი, ჩემზედ იმას და იმის ცოლსაც ასე. ერთს დილაზე ჩემს მახლობელს თავად ილია ორბელიანთან¹ მივედი! რომელიცა ხშირათ დავდიოდი, ისიც ჩემთან და სიყვარულითაც გვიყვარდა ერთმანეთი. ჩემს მისვლასთან შემამძახა:

—ძმაო ალექსანდრე, რა იცოდი, რომ მინდოდი?

—აი შენთანა ვარ, ჩემო ძმაო ილიკო.

ამ სიტყვაზე თავის ბიჭს დაუძახა, უბძანა: ვინც მოვიდეს, ყველას უთხარ ჩემი, შინ არ არის-თქო. ის რომ გავიდა, მერე მე მამიბრუნდა, თავის გვერდით დამისო და მაშინვე გულგახსნილად მითხრა:

—ძმაო ალექსანდრე, არ იცი რომ ვარანცოვთან დაბეზღებული ხარ შენა? —

მე მაშინვე ისრად მეცა გულზედ, რომ თავის ბალსა ვეჩერებში ხმას არ მცემდა და პირსაც მარიდებდა.

—რათა, რაზედ ჩემო ძმაო ილიკო? — მე ვკითხე.

—მითამ შენ შემილთან მიწერ-მიწერა გქონდეს რუსებზედ.

—თურმე ეგ ყოფილა ჩემო ილიკო, რომ თავის ბალში ვეჩერებში, ხმას არა მცემს მე ის და პირსაც მარიდებს ხოლმე.

—სწორეთ მიზეზი ეგ არის.

—ვინ დამაბეზღა სწორეთ მითხარ? —

—ეხლა რათ გინდა, თავის დროზედ შეიტყობ.

—ვის რა გაუკეთებია, ვის რა მოუგონია ჩემზედ? ასორმოცი წელინადი მეტი ჩვენი საქართველო სრისეს ლეკებმა და ნახევარი საქართველო გააოხრეს იმათ და ამის შემდგომ მე იმათთან მიწერ-მოწერალა უნდა მქონდეს, დასაჯერებელი არის? —

—მეც ვიცი, რომ მართალი ხარ, მაგრამ მოდი, წადი ვარანცოვთან, თავი გაიმართლე.

—ძმაო ილიავ, შენზედ მახლობელი ვარანცოვისა ვინ არის, თითქმის შვილსავით უყვარხარ, მოდი, თვითონ შენ გამამართლე, შენ მიდი იმასთან ჩემაგიერ, თორემ მე ერთი დამკრთალი კაცი ვარ,

¹ ეს ჩემი ახლო ნათესავი იყო, ვერ სისხლხორცობით და მასუკან დედაჩემი და იმის დედის დედა ელენე დები იყვნენ, მეფე ირაკლის ქალები.

მე სულ ვერას ვეტყვი, ავირევი.

—თუ შენ არ მიხვალ, ჩემგნით არ იქნება შენი გამართლება.

იმის რჩევით მე იქ არ წავედი და ამაზედ შემომწყრა ილია, უფრო მგონია ამიტომ, რომ შეშინდეს, თავის გასამართლებლად წავიდესო, რომ იმის დიდკაცობისთვის თაყვანი მეცა და იმის წინაშე ჩემი თავი გამემართლა. მე ასე ვიფიქრე და არც შევცდი ამაზედ, რომელმაცა ბოლოს თვითონვე მითხრა ყველა.

იმის შემდგომ, ასე რიგათ შემომწყრა მე ილია, რომ ოთხი თუ ხუთი თვე სადაც შემხვდებოდა, ხან ძალიან მრისხანეს სახეს მაჩვენებდა და ხან პირს მამარიდებდა. ერთს დროს ჩვენი მამა-პაპის საყაფლანიშვილოს მამულების საქმე გამიჩნდა და დილის მეათე სათზე წაველ ილიასთან ჩვენს მამულებზედ მოსალაპარაკებლათ. შეველ იმასთან, ვიღაებიც ბევრნი იყვნენ, რომლებსაცა თავისებურათ ყველას მხიარულად ელაპარაკებოდა. შეველ, ყველანი ფეხზე წამამიდგნენ, მეც იმათ მდაბლად თავი დაუკარ, მაგრამ ილია არ-ამცულ ფეხზე წამამიდგა — არც კი შამამხედა. მაშინვე მიტვდი, რაც ამბავი იყო, მაგრამ არად შევიმცნიერ და იქვე სკამზე დავჯექ. ვთქვი: ვნახოთ რა იქნება-მეტქი? — ერთი სათი მეტი ვიჯექ, ხმა არ გამცა ილიამ, მეც გაჩუმებული უფრო გავჯევილდი, მაგრამ მაინც ხმა არ გამცა. იქამდისინ ვიჯექი, სულერთიან რომ წავიდნენ-წამოვიდნენ და იმ დროს თვითონაც ადგა, ბალკონზე გამოვიდა, მეც გაჯავრებული აღარ მოვეშვი, უკან გამოვყევ, შორიდგან დაუძახე:

—ილიავ, შენთან ჩვენი მამულების საქმე მაქვს.

მობრუნდა და გაჯავრებით დაიძახა. — კარგი, ვიცი. ამასთანავე გატრიალდა და საჩქაროთ წავიდა.

მე ჩემს დღეში ისე არ მიგრძნია თავის სიყუარულის სიამაყე, როგორც იმ დროს, რომელმაცა შორიდგან მივაძახე: უნამუსოვ საძაგელო. იმან მითამ ეს არ გაიგონა, ფეხებისნრაფით მიეშურებოდა და ამასთან მეც წამოველ, მაგრამ გზაზე ფეხები მერეოდა სიახჩელ-მწუხარებით გაშლილ (ყაბახზე) ჰატარა მინდოორზედ რომ გამოველ შუა გზაზე, ილიას მეგობარი და ჩემთან თითქმის ერთად შეზრდილი შკლაშივე, თავადი ანდრია ხერხეულიძე დამხვდა, შემამხედა მკვდრის ფერი თურმე მედუა სახეზედ, გაკვირვებით მკითხა.

—ალექსანდრე, რა დაგმართვია, რომ მკვდრის ფერი გაძევს სახეზედ?

მე აღარ დაუმალე, ყველა უთხარ წვრილათ და ჩემი ისე უპატიოთ მიღებაც უანბე ილიასაგან და ამასთან ვთქვი:

—მე ილიასაგან ამას როგორ მოველოდი, ისე ჩემს უპატიოდ მიღებასა, იმ ჩემის დედიდაშვილისშვილის, იმ ჩემის სისხლით ნათესავ-

ისა და იმ ჩემის საყვარელის ილიასაგან, რომელიცა თავის სახლში უბრალოებს ჩემთან ეალერსებოდა, მე კი ბოლოს სკამზე ვეგდე და ხმის გაცემასაც არც კი კადრულიბდა ჩემსას? – მე შპიონი რომ არა ვარ და მეოუალე ილიასი, რომ ჩემგნითაც ვარანცოვთან ზიდოს ხოლმე ანბები და ამითი ის კაიკაცი იყოს ვარანცოვთან, განა ამისთვისა? – ღვთისა უნდა ეშინოდეს იმას, ასე უდანოთა ყელს მჭრის ვარანცოვთან. დეე მამკლას, ჩემი თუალთ ნახული კაცის ცოდუა ჰქონდეს იმას; ერთხელ ხომ ვიყავ ორენბურგში გაგზავნილი, თუ ახლა ილიამ კატორლაში არ გამგზავნინოს. დეე ასე მიყოს და ასე მამკლას, ვნახოთ, ან ილია და ან ვარანცოვი რას შეიძინებენ უბედურობითა? –

ანდრია ჩემს ამ ლაპარაკზე ძალიან შეწუხდა, მასუკან მითხრა:

– ალექსანდრე, მე ეხლა ილიასთან მივდივარ, ნება მამე, ეგ შენი ლაპარაკი ყველა უთხრა იმას და ბევრსაც ვაყვედრებ.

– ეხლა ჩემთვის სულერთია, გინდ უთხარ, გინდ ნუ, მე ახლა ყოველს ცისმარე სათს უბედურობას ველი ილიასაგან.

ამასთან, მშვიდობით უთხარ, გამოვსწიო წამოვედ. ერთი კვირა აღარ გამოსულა, მე თამამშოვის ქარვასლას აქეთ, ზუბალოვის გოსტინიცა ევროპა რომ არის ეხლა, იმის მახლობლად მივიდოდი ფოშტიდგან და ჩემი გაზეთები მამქონდა, ამ დროს ილია ორბელიანი დროშეკით მოვიდოდა ზევიდგან, მე რომ დავინახე, გზა აუქციე და სხვა მხარეს წავედი, ის მაშინვე დროშეკით უკან გამამიდგა, წინ გადმამირბინა, დროშეკიდგან გადახტა, მოვიდა, გადამესვია, მაკოცა და მერე სიამოვნით მითხრა.

– ბიძა ჩემო ალექსანდრე, ჯავრობ ჩემზე? –

– ძალიან, ძალიან. ღვთისა უნდა გეშინოდეს ილიავ.

– კარგი, კარგი ჩემო ბიძიავ. მე ეხლა შენთან მოვიდოდი და უფრო კარგი, რომ აქ შემხვდი შენი ყოველი საქმე გავასწორეთ; მე და ვასილი ოსეფიჩი ბებუთოვი თავდებით დაგიდეგით ვარანცოვთან, რომ მართალი ხარ და უმანკო შენა.

– აი ჩემო ილიავ, კარგი საქმე და პატიოსანი. მოსვენებით ვიყო ამას იქით?

– მოსვენებით – მოსვენებით დაიძინე ხოლმე.

ამასთან ყველა წვრილათ მიანბო და ესეც მითხრა: თუ ჩემი სიყვარული გაქვს, ამ ჩემს ნაამბობს ნურავის ეტყვიო. მეც პირობა მივეცი. აი რასაც ვანბობ, ეს სწორეთ ასე იყო და იქნება ოდესმე ვთქვა იმის ნაამბობი.

ამ ჩემის და ილიას ამბის შეუტყობარი ზოგიერთი ჩემი წინააღმდეგები არ დარჩენილიყვნენ, ეს ამბავი იმათაც შეეტყოთ. რა ქნან, როგორა ქნან, რომ ამაშიც როგორმე სხვა რიგად ურიგო კაცად

გამამიყუანონ, მოეგონებინათ და სახლებში ლაპარაკი დაეწყოთ აქა-იქ ჩუმათ.

—ამ ახლო ხანში იცით რა მომხდარა?

—რაო რა ანბავი? — კითხუა.

—პუპლიას¹ თურმე შამილთან მიწერ-მონერა ჰქონია რუსებზე, დალისტანში; ეს ანბავი ვარანცოვს შეუტყვია, ჯერ ბევრი უცინია, მასუკან მეორე დღეს სადილათ დაუპატიუნია და სადილზე უთქეამს პუპლიასთვის:

კნიაზო ალექსანდრე, თქვენ თურმე შამილთან მიწერ-მონერა გაქვთ და მე მაგისთვისა არა ვწუხვარ, რაც შეგეძლოთ ბევრი სწერეთო, ამ სიტყვაზე პუპლიას ძალიან შეშინებია და ვარანცოვს რომ იმისთვის შიში შეუმცნევია უთქვამს: კნიაზო ალექსანდრე, ნუ შეშინდით, მე თქვენ არას გიზამთ და არც გაგიმეტებთ, გთხოვთ, ჩემთან ისიამოვნოთ და ნურაფერს საეჭოსა ნუ იფიქრებთ ჩემზედ-აო. აპა ბატონებო, აქ ლოლიკა არის რამე? მაშინ შამილისგან ასეთი ყოფა იყო მთებში, რომ ვარანცოვი დიდათ სწუხდა იმისგან და მე კი იმ დროს ისე თავაზით მამექცენდა ის, მაშინ, როდესაც რომ მითამ მე მდომიყოს საქართველოს აღდგინება კიდევ, მომიტევდა მე ის, თუნდ რომ მცირედიც რამ დამტკიცება ყოფილიყო ჩემზე? დაი-ჯერებთ იმათ ლაპარაკსა? არა ბატონებო, ასე არ იყო, ისე იყო, როგორც აინერა ზევით, მაგრამ რა გაეწყობა ჩემს წინააღმდეგებსა, რომლებიცა დღესაც სუნით ეძებენ, კილოკავად რა გაიგონონ ჩე-მზედ მცირედიც რამ, რომ იმათ ერთი ოცად გამიკეთონ, როგორც ბუზი სპილოდ შექმნან.

თა ალ. ვახ. ძე ჯ. ორბელიანი.

24-ს ივლისს 1862-ს წელსა ს. კაზრეთს

¹ ნარსულში დავწერე, პუპლიას რა მიზეზით მიძახიან და ესეც რომ როდისაც ილიამ მითხრა: ვარანცოვთან თავი იმართლეო, მე ვარანცოვთან აღარ გამი-ვლია. ის-ის იყო, ერთხელ თუ ორჯელ, ჩვენ ყაფლანიან რომ ვიყრებოდით, მშინ სალაპარაკოდ და ერთმნეთში დასაზავებლად მიგვიყვანა სულერთიან თავისთან ვარანცოვმა, თორემ უამისოთ აღარცერთხელ აღარ გამივლია და ან როგორლა უნდა ნავსულიყვავ მე იმასთან, რომ სულ თვალინი უნდა ჰქონიდა ის ამბები?

მეცნის ირაკლის II-ს ისტორიაზე

კითხვა. – უკეთუ როდის მოხველ?

პასუხი – „აწ შენსა მოველ, შენსა ფანადობასა ვეტრფიალები და შენი უდასტურო კი არ ნავალ“.

იქნება იმერეთში კიდევ ახსოვდეთ? –

სწორეთ ამ მაგალითსა ჰგავს ჩვენი შეხვედრის ამბავი.

ამ ახლო ხანში, ერთ ჩემი მცნობითან წაველ, იქ ერთი ჩემი უცნობი დამხვდა, თურმე არც იმას ვენახე თავის დღეში და ისე გაოცებულსავით დავსხედით ყველანი. სახლის პატრონმაც როგორლაც აგვაცილა გაცნობა. მაგრამ ხელი ტუჩზედ დაიდონ და რაღაც ანიშნა იმ ახალს სტუმარსა. ის სრულებით ვერ მიხვდა, მე ხომ არ მეცოდინებოდა. თურმე რა იყო? ჩემს კიცხვაში ყოფილიყო და აგრეთვე მოჰყვა თავხედობით ჩემს კიცხვასა, არა დასდია რა სახლის პატრონს და ჩემს უცნობლობას ხომ რაღას დასდევდა. სახლის პატრონი დიდად თურმე მწუხარებდა, მაგრამ რას უზამდა ფუჭსა ენა მრავალს.

თქვა და თქვა, ბოლოს დაასრულა რის ყოფით. შემხვდა რიგი პასუხისა.

– ძნელია, ვინც საგნის რისამე დაწყება სწორეთ არ იცის, არც წამოსული იმისი საქმეები და არც არაფერი მისი არასფრისთანა და თავისებურად, ესე იგი გაუჩხრეკლად სჯის ისიც, იკლიკანტურისა უბნობითა, ნახევარ პირშექცეულის ბისტიანის ცალის თვალით, ქაჯის გომბიოს გაშეშებულის ენით გამოსურმული იქნება. ან ასე იყოს, ათჯერ ვიყავი და ვერა რაი ვერა ვნახერაო. იყოს აგრე, როგორც არის, ნუ კი დაფიქრდებიან სხვები. შე დალოცვილო კეთილი მამის სული გაგიშვაი და გაბრაზებულის მამის ნაცვლის სულს დაიფიცავ გულმონდებინედ. როგორია თავხედობის გაუგებლობა ეგ? ოჲ. დიდად ეწყინა ჩემი ეს სიტყვები, მაგრამ ეართველების გული წმინდა არის, ჭაობის ხავსი არ გვაკრავს, შორს გაგყვეს, მალე შევრიგდით, ღმერთმა ნუ მოგვიშალოს ეს წმინდა გული ქართველებსა. ბევრი შეცოდება რომ გვქონდეს ჩვენ სვინიდისთან, ჩვენი გულის სინმინდე ღვთის წინაშე მაინც დაღადებს.

შერიგების შემდგომ მეც ნება ვთხოვე რამდენიმე სიტყვა მეთქვა, ზოგიერთს იმის ლაპარაკზე.

– თქვენ რომ წელან თქვით: მეფე ირაკლი, ისიც მეფე ირაკლი, ომან ხერხეულიძის ისტორიით ვიცით რაც ყოფილა, ესე იგი – არაფერი და ვინც იმის ქებას ამბობს, სულ ტყუიანო, სხვათა შორის ეს სიტყვაც თქვენი არის? თავი დამიქნია მართალიაო.

მაშ რახან აგრეა, ჯერ მეფის ირაკლის ისტორიას გიამბობთ და

მასუკან სხვასა.

პირველად რომ დაიმკვიდრა საქართველო რუსეთმა, იმ დროს საქართველოს მმართველის პერეობიერი (მთარგმნელი) მოვიდა დივანბეგ თ. ომან ხერხეულიძესთან. სოხოვა მეფის ირაკლის ისტორიის დაწერა, შემოკლებით, რადგან, მომატებული თარგმნა არ შემიძლიან რუსულათაო. ამ დროს მეფის ირაკლის დივანბეგივე თ. ზაალ ბარათაშვილი იქ იყო, თითქმის მეფის ირაკლის თანა დამსწრე ყველგან. დიანბეგი ი. ხერხეულიძე მობრუნდა.

—ზაალ დიანბეგო, თუმცა ბევრს ომებში ვყოფილვარ მეფეს ირაკლისთან და იმისი ამბები სხვებიც ვიცი ბევრი, მაგრამ შენ უფრო განუშორებლად იყავი იმასთან, ურიგო არ იქნება შენც შემენიო და იმისი ისტორია ავაშენოთო.

ნავიდა ზაალ დიანბეგი და დაჯდა თურმე და რავდენიმე დღე მხოლოდ სია ენერა მეფის ირაკლის ამბებისა. როდესაც შეესრულებინა, წამოელო და ერთი დიდი სია მოუტანა ომან დიანბეგსა ამ სიტყვით:

—რაც მე შემიტყვია, ან ვყოფილვარ სადმე მეფეს ირაკლისთან, ეს სია ის არის და, რაც ახლა შენ იცოდე, ანუ თუ აკლდეს რამე ამ სიას, ის შენ დაუმატე და იქიდგან ერთი დიდი ამბავი შეადგინე მეფის ირაკლისა, სწორე ვიცი, თუ სრულად დაიწერა იმისი ისტორია, გასაკირვებელი იქნება!

ომან დიანბეგმა რომ შეასრულა, ზაალს დიანბეგს წაუკითხა, — უკმაყოფილოდ უთხრა ზაალ დიანბეგმა:

—ბიჭო! მარტო ეგ არის მეფის ირაკლის ანბავი?

—ზაალ დიანბეგო! ასეთი დრო მოვიდა ახლა, რომ ამასაც არავინ წაიკითხავს.

ამის გამგონებ გაჯავრებით წავის სიას ხელი და გულჯავრიანად წავიდა შინა. ეს ანბავი ომან დიამბეგის დიას მახლობელმა მიამბო. სწორედ იქ თანა დამსწრემ, ამის შემდგომ რაღა უნდა ვიცოდეთ მეფის ირაკლის ამბავი, რომ თუ არ გაგონილი, მაგრამ მაინც იმისი მცირედის ისტორიით მისი საკვირველება სრულიად სჩანს რაც უნდა სთქვათ თქვენა. დიდს ფრიდერიკოსთან მეფის ირაკლიზედ ლაპარაკით ცხადათ დაინახება, რაც ყოფილა ისი! (ცისკარში თ. დ. მაღალაშვილის წათარგმნი). თქვენ რომ კიდევა თქვით: უნინდელს დროში არც კაცნი ყოფილანო, მაგის სამაგიეროთ, იმ ზაალს დივანბეგზედვე მიგიშვერთ ხელსა.

პირველი: ის ზაალ ის იყო, რომელსაცა ერთს დიდს ომში მოხვდა მარჯვენას ფერდში ტყვია და მარცხენაში გავარდა; საჩქაროდ რომ ვერა მოისწრარა, მარჯვენაში თავის ცხვირის ხელცახოცი დაიცო, მარცხენაში ბალახი და ისე გაერია თურმე ომში, საიდგანაც ყველ-

ას უკან გამოსულიყო ომიდებან.

მეორე. რუსეთის მთავრობის დროს, ჩვენი სოვეტნიკები რომ დაენიშნათ, დივანბეგი თავის ზაალ ბარათაშვილი ღუბერსკის პრავლენიაში (მაშინ ისპოლნიტელნი ეკსპიდიცია) ამოერჩიათ სოვეტნიკათ. იქ მომხდარიყო აქციზის ანბავი ქ. თბილისზედ ღვინისა. (ბაჟი). უცრად მიეტანათ უურნალი, ასე ჰელენებოდათ, გაურჩევლად ხელს მოაწერსო. ყველა რომ შეეტყო, ეპასუხა:

– მე მიხვედრილვარ თქვენს კანონსა. თუმცა კანონით არ შემიძლიან, რაც უნდა გავპედო მე ეხლა, მაგრამ მიკისრია პასუხისმგება.

აელო კალამი და ის აქციზის უურნალი სულ წაეშალა. გაკვირვებით წამოევლოთ ხელი უურნალისთვის და საჩქაროდ მიეტანათ მთავარმართებლის ციციანოვისათვის, რომელსაცა დაებარებინა და მრისხანედ ეთქვა.

შენ როგორ გაბედე ამისთანა უკანონო საქმე? –

პასუხი – კანონი კი არ ამოიხოცება ამ უურნალის წაბლაჯვითა, მაგრამ ეს... თქვენ არ შეგანუხებთ კნიაზო?

– რის... რად უნდა იყოს...

...

– ამიტომ, რომ ეხლა ეს აქციზი ქალაქის ხალხზე რო დასდოთ, ამ ღარიბს ხალხზე, ამ ახლოხანში დამწვართ დადაგულთა და წამხდართა აღამამადხანისაგან, სამართალი კარგი იქნება ბატონო?

კარგა მოფიქრების შემდეგ:

– კნიაზი ზაალ, რასაც ამბობ, მართალია. აღმიკრძალავს, აღარ დავზიდებ აქციზს.

აი თუ არა ყოფილან კაცნი, მაგრამ ევროპის პოლიტიკა რომ არ იცოდნენ, იმისი არაფერი, ამისათვის მაშინდელი დროს მიხედვით რასაკვირველია აგრე იტყვით.

კვალად ჩემს კიცხვაში თქვენ რომა თქვით უბრალო რაღაცებიც, იმის პასუხი ზევით თავში გავითავეთ, რაღა გითხრათ. ახლა სხვას გიანბობთ. თქვენის ლაპარაკის პასუხსავე. ის მდივანბეგი ზაალ ხშირად მოდიოდა მამაჩემთან, რომლებიცა სულ დელს ამქებსა ლაპარაკბდნენ ნამეტნავად მეფის ირაკლისას. თუმცა ღრმა მოხუცებული იყო დივანბეგი ზაალ, მაგრამ გონება ისევ ისე ჰქონდა, როგორც ოცდა ათის წლისა კაცსა: სიტყვაც კარგი, თვალთა ძალიან არ აკლდა და სიმხნითაც კარგად მოსძლებდა. ამისთანა ძველი მოხუცებულები ბევრი მახსომს, სულ მეფის ირაკლის ნაახლები. ფაკტები არ არის ესენი თუ? ამისთანა კაცებისაგან გამიგონია, რაც დამიწერია, ანუ რასაცა ვწერ ახლაც.

კიდევ თქვენს ლაპარაკში ცხადად გამოვიდა, რომ გამოჩენილს მწერლობაზედ თავს სდებთ, ისტორიის ცოდნაზედ, თუ ჩვენის

ქვეყნის ამბებზედ ხომ, რასაკვირველია. ვინ მისწვდება მაგ თქვენს მონიჭებულთ ღირსებათა. მაგრამ რა იქნება მცირეთაცა ნება ჰქონდეთ, აზრის თქმისა რამ საგანზედ.

კარგი გამოჩენილი მწერალი, ანუ მეისტორი ის არის, ვინც დამჯდარის გონებით იძენს დროსა და იმის მიხედვით სწერს საქმეს, თუ არა და ჭორების ამყოლი ბევრს შეცომილებაში შევა. ნიბურიც, რომ მოვიდეს ისიც.

შარშან ერთმა რუსეთში გაზდილმა თქვა: პირველი მე რომ საქართველოში მოვედი, სხვა რიგად მეჩვენა საქართველო და წარსული დროებიც ამაში გავიდა კარგახანი. ბოლოს დროს წვრილ-წვრილად შევეჩვიე, გამოძიებაში რომ შეველ, ვნახე, სხვა ყოფილა და ადრინდელი ჩემი აზრი სულ შორს დარჩაო. ეს სიტყვა იმისია, კარგად არის ნასწავლი, კარგს სასწავლებელში და დღევანდამდისინ საქართველოს გამოძიებაშია იმის შემდგომ.

ისტორიის დასამტკიცებელი ორი რამ არის, მომსწრე პირი, ანუ ნამდვილი, გაგონილი მოწმობა და მეორე კარგის მეისტორიისაგან ღრმა გამოძიება, რომლის მაგალითი ვიცით ბევრი. თუ მოწმობა დასაჯერებელი არ არის, ღრმა გამოძიება უნდა იყოს, თუ ესეც არ იქნება და რას მოველოდეთ უბრალოს ლაპარაკისაგან, ნაგავი გაიტაცა ქარმა.

პატიოსანო კაცო! მე რომ მძრახავთ, მე რასა ვწერ დასაძრახავსა? – მე ვსწერ უნინდელსა ამბებსა, თუ შიგა და შიგ გამოურევ რასმე, განძრახვა ცხადია. ნუ დავწერ? – არ ვიცი რომელი კარგი გონიერი იტყვის ამას: ნუო. ბევრთ რომ უნდათ დაწერეო, ცოტანი ჯავრობენ, რომელთ უნდა დაუჯერო? მეტყვიან რასაკვირველია ბევრსო. ჩვენი ძველი ამბები, რომ აღინეროს ცუდი არის? – რა უნდა თქვან ამისი, ვისაც არ მოეწონება? ამას იტყვიან. ტყუილიაო, არც წარმატებაში მისცემს ჩვენს ქართულს და არც არა ისწავება იქითგანაო. ჩვენი ქვეყნის ამბავი რომ გაიგონოთ ძველი, ის ჩვენი მამა-პაპის საშინელი გამოცდილება სწავლა არ არის? – მაშ რად მოითხოვენ მეისტორიეს ქართულის უურნალისათვის? – (მოამბე, მეისტორიე სულერთია) აბა ახლა ამისი რა უნდა ვთქვათ? იქნება ახლა ნამდვილი ფაკტები მომთხოვოთ თქვენ წინ გასაშლელი? არა მე ფაკტებს არ მოგცემთ, თქვენ უნდა დამიმტკიცებთ ტყუილი. ჩემი ფაქტი თქვენ რად გინდათ, აბა დამიმტკიცებთ ტყუილს? – არ გაგიშვებთ, ხელში ჩამიგდიხართ. მეტი ღონე აღარა გაქვთ ამის მეტი, რომ თუ ვისგანმე გაგიგონიათ, უნდა მითხრათ იმათი სახელი. აი ამან მითხრა და ამისგან გავიგონეო. სიმართლის მდევნელი წმინდა სისხლის მქონე, როგორლი იკადრებთ გაჭირვეულებასა? – ნუ დამითხოვთ, მითხარით იმათი სახელი, იქნება ფაკტები რამ

გაგიშალოთ მაშინ, მაგრამ არ იქნა, ვერ დავახწიე სიტყვა. ბოლოს მეც წყენის რიგი შემხვდა და გაჯავრებით უთხარ.

იცით? – რამდენი წელიწადები აბუზულმა, ქოფაკებმა საქართველო რომ ჩუმათ ღრღნეს და ბოლო დროს სრულიად გამოხრეს! ამისი არა უნდა რა შაიტყოთ? მე ვიცი. ეხლა ცნობის სურვილში ჩასცვივდებით: ნეტავი შეგვატყობინაო? – იქნება ოდესმე გაიგონოთ.

თ. ალექსანდრე ვახტანგის ძე ჭ. ორბელიანი.

რუსების დასი ქართულები ჩვენიდ

რა ვქნა რა უყო, ლმერთს ასე დაუბადებივარ, რომ საქართულოში მე რუსები არ მიყუარან? – მე ისინი რუსეთში დიდათ მიყუარან, იქ უკეთესი ხალხი არ უნდა ისინი არიან და ბევრი კარგიც მახსომ მე იმათვან, მაგრამ აბა რა ვქნა, აქ მე ისინი არ მიყუარან, არა. ბევრჯელ ვეცადე, ეს ჩემი უსიყვარულობა იმათზე ჩემს გულში მამეკალა, მარამ ვერას მოთმინებით ვერ შევიძელ, არა გამეწყორა, – არა გამეწყორა, მაგრამ ამის გამო ძალიან კბილგალესილები არიან: რუსების დასი ქართულები ჩემზედ. აბა რა ვქნა, რა უყო, ოთხი თუ ხუთი წლის ყმანვილი რომ ვიყავ და ჩემთან რუსებზედ ჩამოვარდებოდა ლაპარაკი, იმათ ხსენებაზე მე კი ტირილს ვიწყებდი? ერთხელ ბატონის მეიდანზედ¹ სალამოჟამს, ერთი დასი რუსები (მგონია ერთი როტა იყო.) მოვიდნენ, მწკრივათ დაგვნენ და აქეთ-იქიდგან დაიძახეს: რუსები, რუსები. მე ამის მეტი ველარა გავიგონე რა, მაშინვე გავიქეც, შინ შევარდი, დედიჩემის მუხლზედ წავიქეც და გულამოჯდომილი ტირილი დავიწყე. დედაჩემს და მამაჩემს უკვირდათ, მყითხამდნენ: რა ანბავია, რა დაგემართათ? – მე ძლივს, რას ყოფით ვთქვი: რუსები ვნახე-მეთქი. გაცინების მაგიერათ, იმათაც ჩემთან ტირილი დაიწყეს; მე მაშინ ვიქნებოდი შვიდი წლისა ანუ ცოტა მეტნაკლები და ჩემგნით პირუელი ნახუაც იყო რუსებისა. აბა ახლა როგორ ამოვილო ჩემის გულიდგან ეს, – ეს ნაყოფი დანერგილი ჩემზედ ღვთაებისგან?

ამ დროებში სარდლის ივანეს შვილის ლუარსაბისა და ეშკალაბაშის თამაზის ქალის ანას (ორივ სახლი ორბელიანები.) ქორწილი მოხდა თა სულხან ბეგთაბეგის დიდსახლს დარბაზში², სადაც მეც ყმანვილი ჩემ დედ-მამათ თან წამიყუანეს და სადაც ბევრი რუსებიც იყვნენ იქა. როდისაც მე ისინი დავინახე, სირბილით გამოვწიე, წამოსვლა მინდოდა, მაგრამ მამა ჩემი მამეწია და გაჯავრებით დამაბრუნა.

– „სად მიხვალო?“

– „არა, არ დავდგები, აქ რუსები ყოფილან მეთქი.“

ამაში დედაჩემიც მოვიდა, რას ყოფით დამაბრუნეს და მთავარმართებელ ტორმუსოვთან რეკამენდიციით მიმიყუანეს: ჩუენი შვილი გახლავთო. იმანაც მიალერსა და სხუა ბევრმა რუსებმაც, მაგრამ მე კი ჩემს გულში დიდათ ვჯავრობდი ჩემს დედ-მამაზედ³.

¹ ამ მეიდანთან ჩუენი სახლი ახლოს იყო.

² აქ ამ ქორწილში დაიძახეს: სახლი იწვისო, რომელიცა ხალხმა კინალამ მე გამჭყლიტეს. ეს ამბავი სხუა წერილათ მაქვს დაწერილი, ესე იგი: ჩემი გამოცდილებანი.

³ უნინ იცოდნენ, ყოველს შეყრილობაში, ბევრნი თავის შვილებს ყმანვილებსა

ამის მეორე დღეს, ქვეშაგებიდგან რომ წამოვდექ ნამძინარევი, მაშინვე ჩემმა გამდელმა ლომისახარმა მკითხა.

– „წუხელის ქორწილში როგორ შეექეცო? – “

– „ეჱ, რუსები იყვნენ-მეთქი.“ მე უთხარი.

იმ საწყალმა ჯერ ცრემლები გადმოყარა და მასუკან წყევლას მოჰყუა იმათზე. რაღა გავაგძელო, ცოცოტათ შევეჩვიე რუსებს და ბოლოდროს იმათ სამხედროს ჯარშიაც შევედი სამსახურში, უფრო სწორეთა ვთქუა, გარეშე მრჩევლებმა შემგზავნეს, ეგება დავჩჩეულიყავ იმათთან, მაგრამ მაინც ის ჩემი ყმანვილობის სიძულვილი იმათი დამჩერდა და ვეღარ ამოვიხოცე გულიდგან.

ჩემს დაბადებით ხომ დაბადებით, მგონია დამატებით ჩემს ჩასაგონათ ესეც უნდა ყოფილიყო, რომ ის ჩემი გამდელი ლომისახარ (ნათლობის სახელი ხვარამზე.) სულ რუსებს სწყევლიდა, საქართულოს მიმდლავრებისთვისა და ხშირად გათენებისას დაჩრიქვილი ცრემლით ღმერთს ევედრებოდა: საქართულო რუსებისაგან გამოიხსენიო და სხუანი... რომელმაცა დავით აღმაშენებელის დრამაშიაც გამოვთქვი ის ჩემი გამდელი მე და ასე ვგონებ, რომ უფროსი ერთი იმან გააცხოვლა ჩემში ესა და ამასთან ჩუენმა ძუელმა ქართულებმაც, უფრო კიდევ დაუმატეს ჩემს გრძნობას ესა.

როდისაც რომ სამხედრო სამსახური დაუტევე, იყო 1824-ი წელინადი, მაგრამ მე 1823-ის წლიდგან მაისის დამდეგიდანვე, აგრერიგად ალარ ვასრულებდი თანამდებობასა, ამისთვის, რომ გული ამეყარა სამსახურზედ და ჯვარის დაწერასაც ვაპირებდი ჩემს ეკატირინეზედ, რომლებმაცა ამ წელს 8-ს ივლისსა ვიქორწინეთ და ახლა ხომ სრულად შევიძაგე სამსახური.

ჩემი სამსახურის თავის დანებების დროდგან მოვყევი სიის გაკეთებას, ჩუენის ძუელის ამბებისა, ადრინდელი გაგონილები თუ შემდგომნი ჩემ სახსომრათ, რომ თავისიდროზედ, ის ანბები თვითეულად აღმენერა. ამ ამბებისთვის დავიდოდი ძუელს კაცებში და ისინიც მიამბობდნენ გულახდითა, არაფერს არას მიმალამდნენ. მეც ჩემს სიას უმატებდი იმათ ნაანბობსა, მაგრამ რომლებიც კი მეფის ირაკლისა ოჯახობის მტრები იყვნენ, თუმცა მე იმათთან ძუელსა ლაპარაკსა ძალიან ვერიდებოდი, ვიცოდი თავიანთი თავის გამართლებისთვისა მართალს არ იტყოდნენ, მაგრამ მაინც კიდევ მოჰყუებოდნენ, იცოდნენ, რომ ძუელს ამბებსა ვკრეფდი, დამაჯერებინონ, მითამ მართალს მიანბობდნენ. მე ის ძუელი ამბები ძალიან კარგათ, წვრილად გამოკვლეული, გამოკითხული მაქუს,

თან წაიყუადნენ, ვინც კი მოინდომებდა: ყმანვილი ხალხში რომ იქნება, კარგს ისნავლისო.

რომელმაცა ეს ანბები ვკრიფე, ვიდრე რუსეთიდგან, იქ გაზდილი ჩუენი ყმაწვილი კაცები მოვიდოდნენ; როდესაც ისინი მოვიდნენ და მე მნახეს, საქართულელოს განთავისუფლება მითხრეს, მაშინვე მეც ვეთანხმე იმათ და საქმესაც ჩქარა შეუდექით. მე აქ ასე მოკლეთ ვანბობ, თორემ იმისი ამბავი ბევრი არის.

ბოლოს ჩუენი საქმე გამოცხადდა, დაგვიჭირეს¹ შემდგომ რუსეთში მიმოგვფანტეს და ბოლო დროს ჩუენს ქუეყანაშივე დაგვაბრუნეს, სადაც საბყრობილები ვიყავ დაჭერილი მე 19-ს თვემდინ და გაგზავნილიც 5-ი წელიწადი და 8 თუემდისინ, და სადაც ჩემს ამ უბედურობაში, აქ თუ იქ რუსეთში უარესად გამიძლიერდა მე მამულისა სიყუარული.

აქეთ რომ დაგრუნდი და ჩემს სახლში მოვედი ჩემ მახლობლებთან, მეგონა: ეს-ეს არის, ჩემი გული დამშვიდდება-მეთქი. არა, ვეღარ შევძელი, ვეღარ მოვერიე ჩემ გულს, ვეღარ დავაწყნარე, უარესი და უარესი სურვილი მომეკიდა მამულისა. თუმცა მოთმინებით ვიყავ, მაგრამ ვაი იმ მოთმინებასა, რომელსაცა ბევრი მამცნევდნენ მე ამას და ბევრთანაც არ ვმალავდი ჩემს ამ გრძნობას.

როდისაც ვარანცოვი ნამესტნიკად მოვიდა აქ და ქართულელი პირველი ოჯახები დაიახლოვა, იმისთანა გამოჩენილ კაცთაგან, ზოგიერთს იმის მახლობელს ქართულებს უნდა დაენახვებინათ, მითამ სამსახური რამე იმისთვისა, ამის მიზეზისა გამო დამაბეზღეს იმას და ჩემი ბევრი ორგულობა უთხრეს რუსეთისა; არც ტყუოდნენ, მაგრამ ამგუარად კაიკაცობის გაკეთება იმისთანა ოჯახის შვილებისაგან, სირცხვილია. ეს დაბეზღება მე იმათ არ მაკმარეს, მასუკან დამაბეზღეს: შამილთან მიწერ-მოწერა აქუს დაღისტანშიო (ეს ანბავი ცალკე მაქუს აღწერილი.), რომლის გამო ძალიან ჩავარდი მთავრობის ეჭვსა ქვეშ და შპიონები ამადევნენს. შესანიშნავი ეს არის, რომ ჩემი ის მახლობელი ქართულები მაბეზღებდ-

¹ მინამ დაგვიჭირდნენ, ერთის თვის წინათ გული მიგრძნობდა ჩუენ დაჭერას, ამიტომ ჩემი საიდუმლო ქალალდები და ის ჩემი დაწერილი ძუელი ამბების სია ერთს ქილაში ჩავაწყნებ, ზევიდგან ერთი საალა სიპი ქვა პირზედ დავადე; საკუჭნაოს კუთხეში მე და ჩემინა გრიგოლა დიაკვანმა რომო მოვთხარეთ, ის ქილა შიგ ჩავდგი და მინით ამოგაშე ამ სიტყვით: გრიგოლა დიაკვანო, შენ ჩემი სარწმუნო პირი ხარ და ჩუენი ამბებიც იცი, რაც ანბებში ვართ ჩუენ ყმაწერილაცები, ვინიცობა არის, რა ვიცი, იქნება დაგვიჭირონ, ეს ქილა მაშინვე ამოიღე და რაც ამაში ქალალდები იყოს, საჩქაროთ დაწვა, მაგრამ გაუფთხილდი, დაწვის დროს არავინ გნახონ. იმ ქილაში ჩემი მიწერილი წიგნის პასუხც მქონდა ბიძაჩემის ბატონშვილის ალექსანდრესა. ჩუენ რომ დაგვიჭირეს, გრიგოლა დიაკვანსაც ის ჩემი თქმული აღესრულებინა, ეხლა ის გრიგოლა დიაკვანი, ს. ენაგეთის ღვდელი არის ალგეთზე. 2-ს მაისს 1868-სა წელსა ქ. ტფილისს.

ნენ¹ და თვითონვე მიხსნიდნენ. მაბეზლებდნენ ამისთვის, რომ თავის რწმუნებასა იკეთებდნენ, გავლენა ჰქონდათ მთავრობაზედ: თქვენთვის ერთგულობისთვის ჩვენს მახლობელსაც არა ვზოგამთ, იმის ყოველს მთავრობის წინააღმდეგობას გიცხადებთო და მიხსნიდნენ ამისთვის, რომ თავიანთი სვინიდის აყენებდა იმათ, თავიანთი მახლობელი უბედურობაში არ მიეცათ, – არ მიეცათ, მაგრამ რავდენი გულის სავნებელი წყენა მამაყენეს და რამთენ რიგად ვილანძლებოდი იმათგან. ასე გაშინჯეთ, ხანდისხან პირშიაც ხოლმე.

ვითმენდი მხოლოდ ჩემის მამულისათვის, რომ პირათ იმათვის იმათებური ვერა მეთქუარა: არა შემამთხვიონ რა და ჩემი მშობელი ქუეყანა უმზრუნველოთ არ დარჩეს-მეთქი.

დავრჩი მარტო, უამხანაგოთ, ასე რომ ჩემის მეტი ჩუენის ქუეყნისთვისა თითქმის აღარავინ აღარ იყო და თუ იყო ვინმე, დიახ ცოტა²? ადრინდელი ჩემი ამხანაგები რუსეთის მთავრობას მიუდგნენ, იმათი ჩინოვნიკები შეიქნენ, იმათ სიმართლეც მიუძლოდათ, ამიტომ რომ აღარაფრის იმედი აღარ იყო, თვინიერ მთავრობასთან დაახლოება, და ახლებიც ვინც იყვნენ, ისინიც მთავრობას მისდგომოდნენ, მინამ რუსეთიდან საქართულოშივე მოვიდოდით ჩუენა იმ დროებში და მასუკან ვინც გამოდიოდნენ, ისინიც იმათ მიუდგებოდნენ, სადაც მე მარტო დავრჩი მთავრობის ეჭვსა ქვეშე და სადაცა შპიონებსა ჩემზედ ხმებს აყრევინებდნენ, ბევრს უსვინისოს ტყუილებსა, რომ ხალხში რწმუნება დამიკარგონ, მაგრამ მე იმათმა ხმებმა და ჩემზედ იმათმა ჭორუკაობამ უკან ვერ დამაყენა, არამც უკან დამაყენა, – უფრო ძალა მამცა, მინამ დავრდომილება. მხოლოდ ეს კი, რომ ხალხი ჩემგნით გააყენეს, იმათმა იმთენმა უსვინისო მოგონილმა ტყუილებმა ჩემზედ.

ერთს დღეს ერთი კარგი ჩუენი თავადი ა... თ... რუსების მხარე შექრილიყო ერთს კარგს სახლში და გულგახეთქილად მოჰყოლოდა ჩემზედ; რაღა გითხრათ, ბევრს ავს და ბოლოს დასაბოლოებლად ეს ეთქუა: თურმე რუსები სძულს იმასაო და ხელმწიფის ორგული არისო.

აი ბატონებო, ამ ორის მიზეზების გამო: რუსები სძულს და ხელმწიფის ორგული არისო, თან ამასთან ჩემი ცუდათ ხსენება ბევრის ტყუილებით. სულ ეს ამისთანა ამბები იყო ჩემზედ ვარანცოვის

¹ მაშინ ასე მითხრეს, რომ ჩემი შამილთან მინერ-მონერა, ივანე იოსების ძეს ყორდანოვს დავებეზლებინო ვარანცოვთან, ის ყორდანოვი ჩემი კარგი მცნობი იყო. პირუელათ ჩემი დაბეზლება, მითამ იმისგან ყოფილიყოს.

² იქნება მოვახერხო, ის ამბავიც ავწერო.

დორისა, ამიტომ რომ ის ცფიერი დიდი დიპლომატიკი და გამოჩენილი კაცი, ცფიერულად უალერსებდა სუბუქ ჭკოვანს ზოგიერთს ქართულებსა და იმათაც დიდი ყოფა ჰქონდათ ვარანცოვისთვისა, ერთგულობას აჩუენებდნენ.

ჩუენში ნათქვამია: სადაც მტრები ჰყავს კაცსაო, იქ მოყვრებიცაო. თვითო ოროლა მოყვრები მეც მყვანდნენ, რომლებიც ჩემზედ იმ ჩემს ამბებს მატყუბინებდნენ და თანაც მაფთხილებდნენ. სხუა წარსრული მთავარმართებლებიც ხომ გუატყუილებდნენ, მაგრამ ისინი უფრო დესპოტურათ მძვინვარებით, მარამ ის დრო ვორონცოვისა საქართულოში, ჩუენგზით გამოუცდელი სულ სხუა გუარი მოსატყუებელი დრო იყო ჩუენი ვარანცოვისაგან, ასე ამგუარათ, რომ ბევრის კაიკაცობის ალერსითა, მითამ კაიკაცობას გვაჩვენებდა, ნამეტნავად უფრო კიდევ იმათ მომატებით, ვინც რუსეთის ინტერესზე იქცეოდა. ამასთან ხელგაშლილი ჩინებს და სხუადასხუა ჯილდოს იძლეოდა, თან ბევრი კარგი შექცევა და განცხომა ჰქონდა ხოლმე, სადაც აღტაცებულისა სიხარულით თავი გიორგი ერისთოვის კამედიებს წამოადგენდნენ თვით გიორგის ზედამდეგობით და ქართულს უურნალს ცისკარსაც გიორგივე გამოსცემდა და კიდევ რამთენი რამ მოიგონა ვარანცოვმა ჩუენი მოსატყუებელი... ერთი სიტყვით, ის ვარანცოვის დრო ქართულებისთვისა, თავისუფალი დრო იყო, როგორც უწინ მეფეების დროები, სადაც ვარანცოვთან ყოველს დიდ-პატარას ადგილი ჰქონდა თავისუფლათ სიტყვის თქმისა, ანუ საჩივრისა, რომელიცა ისიც ისე ალერსით და სიყუარულით მიიღებდა, როგორც ჩუენი მეფეები უწინ.

ერთობ ქართულებსა ასე ეგონათ, საქართულოში სულ ეს ამბავი ასე დარჩებოდა: იმისთანა ჯილდოები, იმისთანა განცხრომ-შექცევანი, იმისთანა თიატრ-ლიტერატურობა, იმისთანა თავისუფლებანი და ამიტომ ვარანცოვის სახელს ადიდებდნენ ქართულები: ეს რა ღვთიური კაცი მოგვივიდაო. მაგრამ მე კი ზედმინევნით ვიცოდი, ესეები სულ მოჩუენება იყო ვარანცოვისაგან, რომ საქართულოს ხალხი გართულები იყვნენ დროებითად ამაგებში და მთავრობაზედ ცუდი ფიქრი აღარავის აღარ ჰქონდეს, ამისთვის, რომ ვარანცოვის დროსა შამილი და დაღისტანი განძლიერებული იყვნენ; ქართულებისაგანაც ეშინოდა, მაგრამ ვარანცოვმა, იმ თავისი ცფიერული გონებითა, ესეები სულ ჩაშალა და ბოლო დროს ისევ ისე მონებაში დარჩნენ ქართულები, როგორც ადრე იყვნენ რუსებისა.

თუ ოდესმე იმისთანა მოუთმენელობის შემთხუევა მექნებოდა, ხანდისხან მეც ჩემი ხასიათის გულგაშლილის სინრთელითა, ვარანცოვის მოქმედებაზედ ვიტყოდი, აღარც მე დავერიდებოდი.

– „გვატყუებს-მეთქი და სხუანი.“

ის ჩემი მახლობელი ქართულები გაჯავრებით მიპასუხებდნენ.

– „შენ რას ხედავ, შენ რა იცი იმის საქმეები? – შენ კარგათ უნდა იცოდე, რომ ვარანცოვის ჩაყრილი მაგარი საძირკველი საქართულოში ვეღარ მოიშლება, ისევ ისე დარჩება, როგორც ვარანცოვმა დააწყო და ჩაყარაო.“ რა ვენა, მომატებული ვეღარა მეთქუა რა, სავნებელი არა ექნათ რა ჩემთვის და ამისთვის გავემენდი ხოლმე ხმასა, იქამდისინ, რომ მე იმათ თვალში ვიჟი, დასაბმელი ვიყავი, ისინი საკვირველი დიდი გონიერები (!) იჰ, დამონებულობის სიამოვნებით გადარეულები ისინი. რასაკვირველია, ის ჩემი მახლობლები ვარანცოვსა მიუტანდნენ ხოლმე, მაგრებულები მე ეს ყველა ვიცოდი, მაგრამ მე იმათ არას დავდევდი. ხანდისხან მე კიდევ ჩემსას არ ვიშლიდი, ვიტყოდი, თუ ღდესმე შემხვდებოდა იმათთან ლაპარაკი, მარამ ეს კი უნდა ვთქვა, რომ მე იმათ ძალიან ვერიდებოდი და თუ ვნახამდი ხოლმე იმათ, ძალიან იშვიათად.

ვარანცოვი ასე ამ სახით იყო ჩუენზე, მე კიდევ მოკლეთ გამამყავს იმისი ანბები, თორებ იმისი ყოველი მიმართულება იმის ცხრანლის მართულობა კავკაზიას საქართულოში, სულ რუსეთის ამაღლება იყო და ცფიერულად ჩუენი ნახდენა.

აბა მითხრან, ან რა კეთილმდგომარეობაში შეგვიყუანა ვარანცოვმა ჩუენა, რა კარგი დაგვეტყო იმისაგან? – ჰომ. მართალია ერთი კი რამ: იმგვარი საფუძველი დასდვა ჩუენში, რომ თუ ერთი ღვთის განგებულება არა მოხდა რა ჩუენზედ, ბოლოს ჩუენი ქართულები სულ გარუსდებიან, ასე რომ ერთი ინჩი ქართული სიტყუა აღარ იქნება ქართულებში და მხოლოდ ის გადარუსებულები იტყვიან: ერთს დროს ამ ქუეყანაში ქართულები ყოფილანაო. აი ეს საფუძველი დასდუა ჩუენთვის ვარანცოვმა, ასე რომ ვარანცოვამდისინ ქართულები შორს ვიდექით რუსებზე და იმან რუსებში გაგვია, შეგვაერთა იმ ცფიერმა დიპლომატმა. მაგრამ – მაგრამ ეს კი არის, რომა ის მომავალი გადარუსებული თესლი და აქ დასახლებული რუსებით თავის დროზედ, ერთად თავს იპოვიან ამ შეუალს სიმაგრეებში; ისინი რუსეთისაგან ამ ქვეყანას გამოიხსნიან „კავკაზიის“ სახელობაზედ და დასდებენ იმის სამძღვარს: დონის მდინარიდგან თავრიზ ქვევით ყაფლანთოს მთამდინ, შავი ზღვიდგან კასპიის ზღვამდისინ და ეფრატ-ტრაპიზონიდგან ასტრახანამდისინ. ვაი მე, რომ მაშინ ქართულები აღარ იქნებიან, ამას მე გულმოკლული ვანბობ, მაგრამ ეს კი იქნება, რომ სწორე კაცობრიობა დაარსდება რუსებისა აქა, მხოლოდ რუსებისა ენის სიტყუა. ჩუენი თავი ხომ ჩუენი თავი სატირელი მაქუს, აქაური სომხ-

ებიც შესაბრალისი იქნებიან, მაშინ როდესაც რომ იმათ ეტყვიან: ჩუენი რუსების ეკლესია მიიღეთო, ან არა და სადაც გინდა წადითო, რომლებმაცა ამის უბედურობა კიდეც გამოსცადეს, რუსებისაგან გარეკილობა ოსმალოში, საწყალო ნახევარ მილიონამდისინ ჩერქეზ-მაჰმადიანებმა. ამისთანა საქმეები რუსებისგან ადვილია, ამისთვის, რომ იმათი მთავრობის მიმართულებითა, ყუელგან რუსები უნდა იყვნენ და ან რუსებათ გადააქციონ სხუები.

თამამად ვიტყვი, თუ ამ ძლიერს მდგომარეობაში წავიდა რუსეთი, თუ ღვთის განვეტულობა არამოხდარა იმათზე, ბოლოდროს უთუოთ ეს ასე იქნება, რომ ყუელგან რუსები იქნებიან.

ამის იმედის გამოისობით, რომ ყუელგან რუსები უნდა იყვნენ, ამის გამო არა საშუალების მოხმარებას არ ერიდებიან. თავიანთის აზრის შესრულებისთვისა. არას საშუალებას რომ ვანპობ, აქ სუყველა წარმოიდგინეთ თუალწინ, კარგი და ავიც, სიტყუებით და საქმეებითაც.

ამ მნიშვნელობაზედ ძალიან მიქცეული იყო ვარანცოვიც, ასე რომ როდისაც ამბავი მოუვიდა: ფრანციამ და ანგლიამ ომი გამოუცხადეს რუსეთსაო. ვარანცოვი ავათ გახდა დიდის სისუსტითა: რუსეთს დაამდაბლებენონ და დიდს მწუხარებაში შევიდა¹.

ვარანცოვი რომ წავიდა რუსეთს, იმის მოადგილედ დროებითად, ღენერალი რიადი დააგდეს აქ, რომლისაცა იმის ავან-ჩავანი პლატონ იოსელიანი იყო (მე იმათი ანბები ადრე დამინერია.) და რაც შეეძლო, ტორტმანებდა იმასთან, მაგრამ უვარანცოობა ძალიან დაეტყოთ ბევრსა.

მე მაშინ ასე მეგონა, რომ ეს-ეს არის, ჩემზედ შემოჩენილს შპიონებს მოურჩი-მეთქი, მაგრამ არა, მაინც კიდევ ჩუმათ მდევნიდნენ: რას ვლაპარაკობ და რას ამბებში ვარ. მაშინ ოსმალოს ომები რუსეთზე ძალიან გაცხარებულიც იყო. მე ის ამბები ჩემზედ სულ ვიცოდი, მაგრამ მეც ვფთხილობდი, რაც შემეძლო.

იმ ოსმალოს ომის სიცხარის დროს, ღენერალი მურავიოვი² გამოგზავნა აქ წამესტნიკად ხელმწიფე ნიკალია პავლოვიჩმა, სადაც ჯერეთ რომ არ მოსულიყო აქ ტფილისში, იმის წინააღმდეგი ქართულების დასი გაკეთდა და ძალიან ლანძღუა დაუწყეს, ასე უსიამოვნოთ მიიღეს იმის წამესტნიკობა, იცოდნენ, ვარანცოვის

¹ ვარანცოვის მახლობლებისაგან გამიგონია, მითამ ვარანცოვი ლიბერალი ყოფილიყოს. ეს მართალი არ არის. მართალი ეს არის, რომ თავის განძრახვების შესრულებისთვისა ლიბერალიდ ანუ სადაც რა უჯობდა, ისე აჩვენებდა თავსა, თორებ ამისი პირველი მნიშვნელობა ის იყო, რომ საქმით ძალიან მიკერძოებული იყო თავის მთავრობის აზრებზედ.

² ადრე ის მურავიოვი იყო საქართულოში, ერმალოვის და პასკევიჩის დროებში.

თავისუფალი ქცევა ანუ ის კამედიის როლები აღარ იქნებოდა, რომლისაგან ტყუვდებოდნენ ისე, როგორც ზევით გვითქუამს. იმ მურავიოვის საუბედუროთ, ხელმწიფე ნიკალაი პავლოვიჩ ჩქარა მოკვდა, რომელიცა იმის მემკვიდრე ალექსანდრე დაჯდა ხელმწიფეთა და ახლა ხომ სრულებითა ცხადათ გათამამდნენ ვარანცოვის დასი, მურავიოვის სავნებელად.

ის ძუელი ჩვენი მეფეები და თვით მაშინდელი ქართულები, რუსეთისგან რომ ტყუვდებოდნენ, იმათ ის მიეტევებათ, ამიტომ რომ მაშინ ასეთი გულსინრფელის დროები იყო საქართულოში, ისინი რომ მოტყუებულიყვნენ, დასაძრახი არ არიან, მაგრამ ეხლანდელს განათლებულს დროებმი დიდი საკიცხავი არის: ცუდსა და კარგსა ვერა ვხედავდეთ? –

როდისაც მურავიოვი¹ მოვიდა აქ, მაშინ ხომ რაღაც გაუგებელი განგაშა შეიქნა იმაზედ და განკიცხუა რამდენი რამ ტყუილები ცორუპენტელობა, სადათ მოკლეთ ვიტყვი იმის ამბავს აქა.

ის მურავიოვი სწორე და მართალი კაცი იყო, პირდაპირი, დაუფერებელი, ვისაც რას ეტყოდა, მართალს და არც ვისმე ატყუებდა. ყოველი, რაც შექცევა იყო ვარანცოვის დროსა, – იმის დროსა სულ აღარაფერი. მაშინ ოსმალოს ამბებიც იყო, ის იმაში იყო გართული, მაგრამ თუნდა ის ამბებიც არ ყოფილიყო, მაინც იმის ხასიათი სრულიად მოშორებული იყო იმაებზედ. ის იყო მოსაქმე სახელმწიფო კაცი და არა ამაობის შექცევის მიმყოლი. ის იყო პატიოსნებისა და სიმართლის მოყუარული და არა მომტყუებელი.

ამის წამკითხულმა იქნება თქუას: იმ მურავიოვის პოლკში ის რომ იმსახურებოდა, ამისთვის ისე კარგათ გამოჰყავს თავის კამანდერი მურავიოვი. არა, რაც ვარანცოვმა ჩუენ, ორბელიანთ კარგი შეგვეძვნა, ნამეტნავად ჩუენს ოჯახს, ვის შეეძლო ისა? – ჩუენი მამულები ოთხის ოჯახისთვის რომ გაგვიყო პლანით წერილებით, ჩემს ოჯახს ორმოცი ათასი მეტი დესეტინა მამული გვარგუნა წილით (ვისაც გნებავდეთ ის საქმე წაიკითხეთ და იმის პლანები ნახეთ, რა შრომა არის.), მაშინ როდესაც რომ სამი ათასი დესეტინა მამული ჩუენს ოჯახს აღარ შეჭრია ჩუენი მამა-პაპებისა, ის მომატებულები, სულ სხუა სახლთ ორბელიანებს მიმდლავრებულები ჰქონდათ. ეს ბედნიერება შემოგვძლვნა ჩუენ ვარანცოვმა, მაგრამ ამის სარგებლობისთვისა, ჩუენი ქუეყნის უბედურებაზე როგორ ვიდლესასწაულო და ტყუილი როგორა ვთქუა, რომ ვარანცოვის

¹ ის მურავიოვი კარაბინერის პოლკის კამანდერად რომ მოვიდა, მაშინ პოლკოვნიკი იყო და მე იმ დროს კიდევ იქ ვიყავ პოლკში (აფიცრათ) პრაპორშიკათ და იმის დროს მე სამსახური დაუტევე.

მართებლობა აქა, ჩუენი დიდი ბედნიერება ყოფილიყოს? –

ვარანცოვმა ჩუენში რომ იმისთანა განცხრომები შემოიტანა, მურავიოვმა კი გაიტანა, ვარანცოვმა ჩუენ შეუძლებელს სახლებს იმ ჩუენის უზომოს ცხოვრებითა ვალებში რომ ჩაგვყარა, მურავიოვს კი ჩუენთვის ესენი არ უნდოდა. გაიგონეთ იმ მურავიოვის სიტყუა.

მურავიოვი თურმე ვიზიტათ მივიდა ღენერალ-მაიორ ჩემ დედიდაშვილს თ ა გრიგოლ ბაგრატიონ-მუხრანსკისთან და სხუადასხვის ლაპარაკსა შორის მურავიოვმა შენუებით უთხრა.

– „კნიაზო გრიგოლო, მე ეხლანდელი თქუენი ქართულები ვეღარ მიცვნია, ის თქუენი ძუელი პატიოსანი ქართულების ხასიათი სრულად დაუკარგავთ. ეხლა დიდს განცხრომის ცხოვრებაში შესულან და ვალებში ჩაცვივნულან, ასე ჰგონიათ: განათლება ეს არისო. განათლება ეს არ არის. განათლება ის არის, რომ თქვენი შვილები კარგ სასწავლებლებში გაიზარდნენ, მასუკან ისინი იპოვნიან, განათლება რაც არის, თუ არადა იმისთანა განცხრომებით და იმთენის ვალების ალებითა დაილუბებიან და შვილებისათვის ალარა ექნებათ რა, რომ სასწავლებლებში გაიზარდნენ. აბა ის თქუენი მამა-პაპების ტახტები კარგი საფენით დაფუნილები, ის მშვიდობის მყოფლობის ცხოვრება რათ მოუსპიათ და ჩვენი ლირებულის მებილებით გაუწყვიათ ოთახები და ის უზომო ცხოვრება შემოუდიათ? – ესენი სულ თქუენს დალუპას მოასწავებს დაგარწმუნებთ.“

ესენი სულ ჩემა დედიდაშვილმა გრიგოლმა მიანბო, ის იმისი სიტყუა. არამც მარტო გრიგოლისთვის ეთქუას მურავიოვს ეს, ზოგიერთებისთვისაც ეთქუა, მაგრამ ეს იმისი სიტყუა ვარანცოვის დასას შეატყობინეს, რომელზედაც ალავლავდნენ და უარესი ლანდლვა ასტეხეს იმაზედ და ლანდლვასთან ესეც.

– „იმ სულელს და იმ ვირს მურავიოვს უნდა, რომ მამა-პაპის ტახტები დავიდგათ და ჩუენში განათლებისა ალარა იყოს რა, სულ გაუნათლებელი სიბნელემი ვიყვნეთო.“ ბევრი კიდევ სხვა ესეები ჩემთანა თქვეს იმათ, ვინც იყვნენ მურავიოვის ნინააღმდეგები ანუ იმაზედ მოლაპარაკენ. იმათ სახელების გამოცხადებას საჭიროთ არა ვრაცხ ამისთვის, რომ იმათი ლაპარაკი კლიაუზნიკობაა და არა დარბაისლური შურისძიება.

აი ბატონებო, განათლება ეს ეგონათ იმათ. ამის შემდგომ ღირს, იმათი სახელები გამოცხადდეს?

ჯუზეპე გარიბალდი თავის სახლეულობითა, თითქმის ქოხში რომ ცხოვრობს კუნძულს კაპრიელში, მაშ ისინი განათლებულები ალარ უნდა იყვნენ, რომლებმაცა თავიანთის ხელის მუშაკობით

ააშენეს ის მდარე შენობა იმათ და ძალიან ზომიერი ცხოვრება აქვთ იქა? –

აი მურავიოვმა კიდევ რა კარგი საქმე ჰქმნა ქართულებისათვის, მაგრამ კიდევ გონიერად დაგვიბრმავდა.

როგორც თვითონ ქართული, ისე გულით ნამდვილი ქართული და ქართულებისთვისა კეთილგამძრახული დიმიტრი ყიფიანი თავის კანცელარიის გამგეთ თავად დააყენა (კანცელერის პრავიტელად.), იმის მართულადა, თავის მხედველობის ქვეშე. ეს ის ნიშანი იყო მურავიოვისაგან: აი ქართულები ასე მიყვარან, რომ ამისთანა ჩუენი დიდი კანცელერია ქართულს ჩავაბარეო, სადაც ყოვლის მხრიდგან, სხუა საქმებს გარდა, ყოველი საიდუმლოები იქ შედის და იქიდგანვე გადის. ეს ამისთანა ჩუენგნით მოულოდნელი და უფიქრელი ადგილი ქართულს ჩაბარა, მაგრამ რა გითხრათ? – ასეთი ყიუინა შეიქნა ვარანცოვის დასისაგან ყიფიანზე, რომ რაღა ვთქუა.

– „მურავიოვი, ის ასეთი, ის ისეთი, ის ყიფიანი იმისთანა იმ დიდს ადგილზე როგორ დააყენაო?“ და სხუანი.

ასე გეგონებიდათ: ერთი რაღაც უბედურება მოსვლიათო. ასე ღავლავებდნენ მურავიოვზედ და ყიფიანზედ ისინი.

ის იმათი ღავლავი იქამდისინ წავიდა, რომ პეტერბურლიდგან უარი მოუვიდა მურავიოვს იმის დანიშნვისა. მაინც კიდევ მეორეთ წარადგინა, ბოლოს მაინც სრულად დაითხოვეს ყიფიანი იქიდგან.

მეხომშპიონებისაგანჩემიდევნა არ მკლებია, კიდევ ისე იდევნებოდნენ, მითამ ჩუმობით და დაფარვითა, მაგრამ კიდევ ისე ვიცოდი, ის იმათი დევნილება ჩემზედ, როგორც ადრე მატყობინებდნენ, მაგრამ სწორეთ უნდა ითქუას, თუმცა ის მურავიოვი რუსი იყო, რუსეთის ამაღლება იმის თავისიაც იყო, მარამ არც ქართულების გაგლესა უნდოდა ქვეყანაზედ იმას – იმას უნდოდა, რომ ქართულებიც ყოფილიყვნენ ქუეყანაზე, ქართულების სახელითვე. სადაც ამის გამოისობითა ვარანცოვის დასმა ქართულებმა და იმათან მიდგომილმა რუსებმა, მურავიოვი აღარ მოასვენეს, ბოლოს იქამდისინ, რომ იმათ სადღესასწაულო-სასიხარულოთა, მურავიოვი გამოცვალეს და ვინც უნდოდათ კნიაზ ბარატინსკი, ის დანიშნეს ნამესტნიკად აქა. სადაც კიდევ ისე გაიმართა თქართქარი და მხიარულებანი, როგორც ვარანცოვის წესი დებულება იყო, კიდევ იმ გუარათა. მხოლოდ იმ ორს პირებში ეს იყო განსხუაება, რომ ბარატინსკი მედიდურად იქცეოდა, ვარანცოვი ქრისტეს სიმდაბლითა, მაგრამ ორივ გუატყუებდნენ: ბარატინსკი მედიდურობითა და ვა-

რანცოვი ქრისტეს სიმდაბლითა.¹

რაღა გავაგძელო, ბარატინსკის დროსაც კიდევ ის ამბები იყო ჩემზე, როგორც წარსულებში და ჩემიც ისეთი გაფთხილება. ბოლოს ბარატინსკი რომ წავიდა, ჩემი დედიდაშვილისშვილი ღენერალ ადუტანტი თავი გრიგოლ ჯ. ორბელიანი, ჩემი ერთი სახლისშვილი დააგდეს აქ, დროებით იმის მოადგილედ და მართავდა, რაც შეეძლო, ესე იგი რუსეთისა ინტერესზედ.

ადრე ვარანცოვიდგან² მოკიდებული, ვიდრე ბარატინსკის წასვლამდისინ, თუმცა მაფთხილებდნენ, მაგრამ მაინც კიდევ მოსვენებული არ ვიყიც: რა ვიცი არ დამიჭირონ-მეთქი? – ბევრჯელ ლამე ამ ფიქრში წავიდოდი ძილის დროსა და ამ ფიქრით გავათენ-ებდი. ამისთვის, რომ ჩემი თავისათვის კი არ ვშიშობდი – ვშიშობდი საქართულოსთვისა. მზრუნველი აღარავინ აღარ იქნებოდა პატრიოტი და თუ იყვნენ ვინმე, ისინიც ჩემს უბედურებასთან გაჰქრებოდნენ, სადაც ამ გრიგოლის დროსა სრულიად მოვისვენე, ამიტომ, რომ რაც უნდა ყოფილიყო, ჩემი ახლო სისხლიხორცი ნათესავი იყო და ნამდვილი ქართულიც.

ესენი იყვნენ სამნი ძმანი ზურაბის შვილები³: გრიგოლ, ზაქარია და ილია. ამ სამთავ რუსების სამსახურს შესწირეს თავი. ზაქარია პოლკის კამანდერი თემურხანშურისაკენ იდგა პოლკით, იქ მოკვდა. ილიაც პოლკის კამანდერი იყო, ჯერ ბაშკადიკლარს ისმალოს ომში დასჭრეს და მასუკან იმ დაჭრილობით მოკვდა, სადაც ორნივ ესენი აქ ტფილისში მოასვენეს, ზაქარია ადრე, ილია შემდეგ იმ ომების დროსა და ქაშუეთის ეკლესიაში დაასაფლავეს, რომელიცა ბოლოს ეს გრიგოლ⁴ ბევრის სამსახურების შემდგომ, აქ ტფილისში დენერალ-ლუბენატორათ დასუა ბარატინსკიმ და კარგა ხანი მართავდა ამ თანამდებობას ველიკი კნიაზის მიხეილ ნიკალაიჩის დროშიაც.

¹ იმ ბარატინსკიმ, ჩემი ძმისწული ლიზა რამთენის წუალებით თავის ქმარს, რუსეთის კარგს კეთილშობილს დავიდოუს გაამვებინა და ბოლოს თვითონ იქორწინა იმაზედ, ის ანბავი ბევრი არის, მაგრამ მე იმათი მაგდენი არა ვცირ რა, შხოლოდ ეს კი ვთქაუა, რომ არა მაგარაში ლამაზი ის ლიზა, ასეთი ღვთიური ქალია, რაც ბარატინსკიმა ჰქმნა მისი შერთუაზე, ის ბარატინსკი გასაკეცხი აღარ არის. იმისთანა დიდმა კაცმა როგორც ბარატინსკიმ, მგონია ლიზას სამ რასმე ვერ გაუძლო: იმის სრულს კეთილგონერებასა, იმის ღვთიურს კეთილს გულსა და ამაების გამო იმის ძლიერს სიყუარულს? –

² ადრე ვარანცოვან მე რომ დამაბეზღვეს: შამილთან მიწერ-მოწერა აქვსო. ის ცალკე მაქუს აღწერილი, სადაც ამ გრიგოლ ორბელიანის ძმის ილიას ამბებია იქა, ვარანცოვის მახლობლისა.

³ ჩემი დედიდაშვილი ხორეშან ჰყუანდა ზურაბს ცოლათ.

⁴ დენერალ-ადუტანტი და დენერალ-ოტინფატერი შეიქნა.

ამ სამს ძმებში ეს განსხუაება იყო, რომ გრიგოლ მშვიდობისმყოფელი გაუბედავი კაცი იყო, ზაქარია ენერგიით სამსე გამტედველი და ილია უფრო ყიზილბაშური, რომლებიცა სამნივ ესენი კეთილები იყვნენ, კარგი ქართველებიც და სამნივ პატივის მოყუარულები.

გრიგოლს თავის გაუბედაობით, მთავრობაზედ მაგდენი გავლენა არა ჰქონდა რა, ზაქარია თავის პირდაპირის ენერგიის გამო აქ არ დააყენეს, შურისაკენ მისცეს პოლკი და ილია თავის ყიზილბაშურის ხასიათით, რასაც უნდა, იმას არიგებდა ვარანცოვთან, ასეთი ძალა ჰქონდა იმაზედ.

კარგა ხანი რომ გავიდა გრიგოლ ორბელიანის მართულობაში, მასუკან ხელმწიფის ალექსანდრეს ძმა მიხეილი დაგვინიშნეს ნამესტეკინათ აქა, სადაც მოვიდა, მაგრამ ჩემი გულის ჩასათუთქად, ტფილისის ხალხმა დიდის ყოფით მიიღო, უფრო პოლიცია ეშმაკობდა აქა, რომ დიდის ყოფით მიეღოთ ის. მე იმის ასე მიღება ვერ მოვითმინე და ერთს ჩემს კარგს მცნობს უთხარ.

— „ამისთანა გაუგებლობა გაგონილა ხალხისაგან, რა ბედნიერება მოაქვს ჩუენთვის, რომ ამისთანა დღესასწაულობით დახვდა ხალხი და გარდა ამისა ფეხებზე ჰკოცნიან ველიკი კნიაზი?“

— „უნდა იკოდეთ წუხელის რა ანბავი იყო? — პოლიციის კაცები დადიონდენ ამ ქალაქის ამქრებში და ჩუმობით არიგებდენ: ხვალ ველიერი კნიაზს უნდა მიეგებნეთ და ასე რიგათ უნდა მიიღოთ, რომ ფეხები ულოკოთ და სხუანიო. თუ სხუა წარსრული ნამესტნიკები, იმ დიდის ყოფებით მიაღებინეს ხალხს პოლიციამ, ველიკი კნიაზისა აღარ უნდა გავიკვირვოთ. აი ასე, ყუელაფერში სულ მთავრობა არის აქა, ეს თქუენ ასე იცოდეთო.“ იმან ასე მითხრა და ამ სიტყვით გამითავა, მაგრამ მეც კი ვიცი, რაც მთავრობა არის ჩვენთვის.

აბა რასაკვირელია, ველიკი კნიაზთან ხომ თავიანთი რეპუტაციის გასაკეთებლად, ჩემი ბევრი ორგულება უთხრეს რუსეთისა და ამასთანვე ესეც თურმე დაუმატეს: სუსტი გონებისა არის, სულელიო. და სხუანი. რომელზედაც დღესაც ეს ანბავი ბეზლებაა ჩემზე და ეს ყოფა, მაგრამ რა ვქნა, ვითმენ ამ ფიქრებით.

„ველიკი კნიაზი, იმისთანა დიდი კაცი, ჩემს უბედურობას არ მოინდომებს; თუ წარსულმა ნამესტნიკებმა მე არ გამამიმეტეს, ეს ხომ ამისთანა დიდი კაცი რათ იკადრებს-მეთქი.“ ამ იმედის წუგეშით ვიყავ და დღესაც ასე ვარ, მაგრამ მაინც კიდევ შიშსა ქუეშე ვიმყოფები და არც მოსვენებული ვარ, სადაც ბევრი ხალხი ქართულები თუ სომხები გადგომილი არის ჩემგნით, სხუა და სხუა უცნაურის სიცრუისა ხმების დაყრით ჩემზედ და სხუადასხუა სათაკი-

ლოს სახეს მაჩუენებენ, მითამ ჩემსა შესაწუხად, მაგრამ ამაზედკი მე ჩემს გულში ბევრს ვიცინი ხოლმე, იმათ ჩქარა აყოლილსა სი-ცრუებზედ.

ვაი თქუენი ბრალი უბედურო ქართუელებო, მე თქუენთვის ვარ და თქუენ კი ეშმაკებისთვისა.

1811-ის ნლის ჭირი საქართულოში (გვრცელა გაზაფხული იყო?)

მე მაშინ ცრა წლისა ვიქნებოდი, მე ეს კარგათ მახსომს. ეს ხმა ყუელასათვის საშინელი იყო, იძახდნენ: აქ გაჩნდა, იქ გაჩნდა; აქ მოკვდა, იქ მოკვდა, ეს აიყარა, ის წავიდა, ეს დაიხიზნა, ის გაეშურა. სულ ეს ხმები იყო ზევით ქვევით ქართლკახეთში და ეს ხმები ამ ქალაქ ტფილისში მოდიოდა, სადაც აქაც იყო გაჩენილი ჭირი ზოგს ქუჩაში და ტფილისის ხალხი ბევრნი იყრებოდნენ, მიდიოდნენ იქა, სადაც სოფლებში ჯერ კიდევ არ გაჩენილიყო: ეგება იქ არ გაჩნდეს და სიცოცხლე იქ გადვირჩინოთ. მაშინ კიდევ საქართველოს ხალხი დიდათ შემწყნარებელი იყვნენ. ვინც უნდა ყოფილიყო, უმცნობი თუ მცნობი, თუნდა მოსისხლე მტერი, რაკი კარზედ მიადგებოდა სოფელში სადმე ან თვით ქალაქებში და სახლის პატრონს დაუძახებდა: ღვთის სტუმარი არ გინდაო? – გათავდებოდა. მაშინვე გამოეგებებოდნენ დიდი პატარანი და ყოველისფრით განუსვენებდნენ, თუნდა წელიწადები ყოფილიყო. სახლის პატრონი მიმსვლელისთვის არას დაიშურებდა და მიმსვლელი სახლის პატრონისთვის. ასე სიყვარულით და სიამოვნით იყვნენ ერთ-მენეთთან მინამ ერთად იყვნენ.

ჩვენამდისაც მოვიდა ეს რიგი, რომ ჩემნი დედ-მამანიც უნდა აყრილიყვნენ სულერთიან სახლეულობითა, სოფლისკენ სადმე წავ-სულიყავით და საჩეაროთაც წავედით ს. მარტყოფისკენ, ამბობდნენ: იქ არ არის გაჩენილი ჭირიო. აქ ქალაქში კი ორი მოსამსახურე დააგდეს სახლში ჩემმა დედ-მამებმა ამ დარიგებით: ეზოს ალაყაფის კარი დაკეტილი გქონდესთ, არავინ არ შემოუშოთ თქვენთან და არც თქვენ გახვიდეთ სადმე, სულ შინ იყავით. ფქვილი ბევრი გაქვთ, ფიჩხი ბევრი და როდისაც დაგჭირდეთ, პური გამოაცხვეთ. ამასთან ერბო, ხახვი და ყველი ბევრი გექნებათ. ხან ყველ-პურზე გადაიარეთ და ხან ხარშო გააკეთეთ ხოლმე. დასალევი წყალიც შუალამის დროს მოიტანეთ, იმ დროს ფქი მიწყვეტილი არის, არავინ არ შეგხდებათ და თუ შეგხვდესთ ვინმე, ხმას ნუ გაცემთ. ასე მოერიდენით ყველას.

ამის შემდგომ ავიყარენით და მარტყოფისკენ წავედით, ბარგი ურმებით გაგზავნეს და სხვა სულერთიან ცხენებით გავემგზავრენით. ჩემი ძმა დიმიტრი მაშინ სამი წლისა იყო, რომელიცა ხან ერთს მოჰყვანდა ცხენით ხან მეორესა. მე კი მარტო ცხენით მოვიდოდი, მაშინ კარგად შემეძლო მშვიდობიანს ცხენზედ ჯდომა და გაჭენებაც. ყმანვილობითვე გვასწავლიდნენ და რა საკვირველია ჩემის ხნის ყმანვილებს გვეცოდინებოდა ცხენზე ჯდომა, თორემ

თოთხმეტ თხუთმეტის წლისას ომებშიაც წაიყვანდნენ და ყმაწვილობითვე ვაჟკაცობაში ახელოვნებდნენ ხოლმე.

როდისაც სოფელს მარტყოფს დავუახლოვდით, მამაჩემმა საჩქაროთ ცხენიანი კაცი დააწინაურა: ბარამ წაზირს ჩვენ მაგიერ მოკითხვა განუცხადე და აცნობე, ბატოიშვილი თეკლა მთელი სახლობით თქვენთან მოდისთქო.¹

მეფის ირაკლისაგან გაკეთებული, თეთრწვერიანი მოხუცი ბარამ წაზირი და იმისი შვილი, ჩვენი სიძე ბეჟან ცხენებით წინ მოგვევებნენ და დიდის სიამოვნით მიგვიყვანეს თავის სახლებთან, საიდგანაც ბარამ წაზირის ცოლი, ხნიანი სოფიო და ჩემი მამიდაშვილი ახუა სიხარულით გამოგვეგებნენ და გულგახსნილებმა სახლში შეგვინვიეს, რომლებიცა კარგა ხანი დავრჩით იქა, სადაც ყოვლის სიამოვნით დიდათ გვასიამოვნებდნენ და მოსვენებით ვიყავით იქ, რომელსაც ამთენს სიამოვნეს უსიამოვნებაც მოჰყვა.

ქალაქ ტფილისიდგან გამოსული ხალხით თითქმის მარტყოფი აიმსო, სადაც იქაც გაჩინდა ჭირი და სულერთიან მოსული თუ იქაური ხალხნი აიყარნენ, ზოგი მთის ტყეებში დაიფანტნენ და ზოგი სად და სად, ისინი კი აღარ ვიცი. რა საკვირველია, სადაც ჭირი არ იქნებოდა სოფლებში თუ მთებში სადმე, იქ მიმართამდნენ. ჩვენც მეტი რა ღონე გვქონდა, ავიყარენით და პატარძეულისაკენ წავედით. ამბობდნენ: იქ არ არისო. მამაჩემის ბედაური დილიბაზური ლურჯი ცხენი, შეკაზმული და დარახტული ხელით მოჰყვანდა ცხენიანს მოსამსახურეს. მინდვრად რომ გავედით, დედაჩემმა სთხოვა მამაჩემსა, – „უბრძანეთ თქვენი ცხენი მამგვარონ, მინდა შევჯდე, კიდევ მოვიხმარებ მაგისთანა ბედაურსა ცხენსა, თუ ვერა?“

– „რას მიბრძანები? – კარგა ხანი არის, იმაზედ არავინ მჯდარა, ძალიან დახამებულია. პირველათ თქვენ იმაზედ ნუ შებძანდებით, არა გაწყინოსთ რა. მაგ მშვიდობიანის ცხენით მობძანდებით. ეგ გირჩევნიათ.“

– „ვერას მაწყენს, უბძანეთ, მომგვარონ.“

მოიყვანეს, უნაგირი კარგათ გაუმართეს. ზედ რომ შევჯდა და სადავე ხელში აიკრიფა, ის ცხენი ავიდა და დავიდა, ბევრჯელ ყალყზე შედგებოდა, მაგრამ როგორც დალურსმული, ისე იჯდა უნაგირში. მამაჩემი განურვილი იყო შიშით და ძველი ხნიანი მოსამსახურეებით თუ ჩვენი გამდელები ეხვეწებოდნენ ჩამოხტომას, მაგრამ დედაჩემსა მითამ სულ არ ესმოდა და ცხენი ისევ აჩ-

¹ მეფის ირაკლის სიცოცხლეში იმის სასახლის წაზირი ყოფილა ბარამ, რომელსაცა ამის შვილს ბეჟანს მამიჩემის დისწული ჰყუანდა ცოლი ახუა (ქალი ეკატერინესი და გიორგი ჩოლობაშვილისა).

ქარებული ხტომით მიდიოდა. ამაში ყველას წინ გაიყვანა ცხენი და ამ დროს ვინ იფიქრებდა, უეცრათ მოგლიჯა, გააჭენა და როგორც გატყორცვილი ისარი, ისე წავიდა. აქ მამაჩემმა დაიძახა: „ღმერთო, დაიფარე“. და გამდელებმა კი დაიკივლეს: ვუი. მასუკან ყველანი შიშით შეჰყურებდნენ. ეგონათ: ეს ეს არის შეემთხვევა რამეო. მაგრამ თავის ძლიერის ხელებით და კარგი გამოცდილობის მხედრობითა, ის დახამებული ბედაური ცხენი დაიმორჩილა და ბოლოს ოფლშიაც გააცურა, ამთენი აჭენა ხან აქეთ და ხან იქეთ. ის პირველი შიში მასუკან სიხარულათ შეიცვალა და თან ის რომ ცხენს აჭენებდა, ძველები ამბობდნენ: ძალიან უგავს მეფეს ირაკლისა ცხენზე ჯდომა და იმის შვილობის ლირსიც არის. ცოდო არ არის, რომ ეს კაცათ არ დაიბადაო?.. თექვსმეტს წლამდინ დედაჩემსა კაცურათ სცმია ტანისამოსი და მამას მეფეს ირაკლის ისე თან დაჲყვანდა სადაც წავიდოდა და ზოგიერთს ჯარიანობაშიც წაეყვანა. თუ შემთხვევა მექნება, იმას ცალკე დავწერ. აქ იმისი ადგილი არ არის.

ამ ჩუენს სიარულში სამგორის მინდორში ავედით, აქ მამაჩემმა თავის დის ეკატერინესთვის და იმის შვილის თადიასთვის წუხილი დაიწყო, იმათ უანბობაზედ, რომელსაც მარტო ყარაბულახში უნდა გაეარა იმათი ამბის საკითხავად? ამის ფიქრში რომ იყო, ამ დროს ყარაბულახელი ცხენიანი კაცი მოდიოდა, მძიმეთ თავი რომ დაუკრა, მოახსენა, – „თქვენი და ეკატერინე და თქვენი დისწული თადია ერთიანათ სახლობითა ყარაბულახის ჭალაში დაიხიზნენ, ყარაბულახშიაც გაჩდა სენი, იქ არ მიგესვლებათ, ნუ ინებებთ მიბანებას. არამც ყარაბულახში – აქ ჭალაშიაც შიში არის. ამისთვის რომ ყარაბულახის ხალხში დარეულია ის სწეულობა“.

– „მაშ, კაცო შენ სად მიხუალ?“ – მამამ ჰკითხა.

– „თქვენთან გიახლები“.

– „ვინ გამოგზავნა?“

– „მე ზევით ჭალაში ვარ დახიზნული და თქვენი და ქვემოთ მხარეს. სადაც მე ე გახლავარ, ჩემს გარშემო არავინ არ დგას და იქ ჯერ მშვიდობიანობა არის. დღეს დილას თქვენს დას ჩემთან კაცი გამოეგზავნა, შორიდგან დაძახებით ჯერ ჩემი მშვიდობიანობა იყითხა და მასუკან მითხრა: ქალბატონმა ეკატერინემ გიბანა, მარტყობს გადადიო, ბატონიშვილის და ჩემი ძმის ამბავი მომიტანე, მაგრამ ჩვენთან ახლოს ნუ მოხვალ, შორიდგან დაიძახეო“.

– „მაშ ახლა შენ შენ ხიზანთან წადი, ჩვენ ამ სამგორის მაღლობზე ჭალისაკენ გადავდგებით, სადაც ჩემი და დახიზნულია, იქიდგან კარგათ დავინახამთ იმათ და მაღალს ხმასაც კარგათ მივაწვდენთ იმათამდინ.“

ამ სიტყუაზე იმან მამას თავი დაუკრა და თავის ხიზნისკენ გას-

წია.

ჩვენ რომ სამგორის მინდორი გავიარეთ, იქ მაღლობზე გადა-
ვდექით, სადაც ივრის მდინარეს გაღმა, ჭალის ველზედ, თეთრი
კარვები და გაკეთებული ფანჩატურები დავინახეთ. მამაჩემმა მაღ-
ლის ყვირილით და დაიძახა:

– „ჩემო დაო ეკატერინე, ეკატერინე“.

ამ ხმაზედ სულერთიან კარზედ გამოვიდნენ დედაკაცნი და
კაცები. იქიდგან ხმა მოვიდა.

– „ბიძაჩემს გაუმარჯოს“. თადიას ხმა.

ამასთან შეექნათ ლაპარაკი და უანბეს თავთავის ანბავი მოკ-
ლეთ. იმათ ორი მოსამსახურე ჭირით მოჰკვდომოდათ და იქვე მო-
შორებით დაემარხათ. შემდგომ აღარც სხვაგან გადასულან: რაც
მოგვივიდეს, ისევ აქ ვიყვნეთო და მშვიდობითაც გადარჩომილი-
ყვნენ სულერთიან.

იქიდან ვიარეთ, ადრევ პატარძეულელებმა იცოდნენ, რომ
იქ უნდა მიესულიყავით, რომლებსაც სოფლური სახლები კიდეც
მოემზადებინათ ჩვენთვის და ყოველი ნუზლიც სულერთიან. იმ
დროს იქაური მოურავი თადია¹ იყო.

არც მამაჩემის პატივისცემის გულისათვის, რომ ადრითვე
მოურაობით იცნობდნენ მამაჩემსა პატარძეულელები და არც თა-
დიასთვის, უფრო მომატებულად მეფის ირაკლის შვილობისათვის,
რომ იმის ქალი იყო დედაჩემი, იმისთვის ისე კარგათ მიიღეს მთელ-
მა სოფელმა და ყოვლისფრით კარგად დაგვხვდნენ. სახლებით თუ
დარბაზებით ანუ ყოვლისფრისა ნუზლით.

ცოტაოდენი ხნის შემდგომ იქაც მოვიდნენ ჭირისაგან
მორიდებული ხალხი, სხვა სოფლებში დახიზუნულები ქ.ტფილისი-
სა და სოფლის მოსახლეებში დაიფანტნენ. ამ დროს სად იყო და
სად არა, ანუ როგორ საიდგანა, მე ავათ გავხდი, მაშინვე ჩემმა
დედ-მამამა ჩემი გამდელი მამიჩინეს ერთის მოსამსახურითა და
სხვა არავინ არ მამაკარეს – აღარც თვითონ, ისე მოგვერიდნენ
სულერთიან, მაგრამ ისინი სხუაგან არსად გადასულან, მხოლოდ
მე შორიახლის გამანვინეს, ერთს დარბაზში და იქ მპატრონობდ-
ნენ ის ორნი. დილას და სალამოს მოგვიტანდნენ სასმელს საჭმელს
და სანთელს მოსამსახურენი, იქვე კარეფში ჩასდგამდნენ და იმის
მაგიერსა ჭურჭელს, ადრე რომ დავცლიდით, იქვე დააწყობდნენ
კარგათ დარეცხილსა, იმას აიღებდნენ და საჩქაროთ წავიდოდნენ.

¹ იმათ სახლს მამაპაპით, იქითი მხრის მოურაობა ჰქონდათ, ესე იგი საგარეჯოსი
და პირველ რუსობის დროსაც კიდევ თადია იყო. ერთს დროში მამაჩემიც იყო იმის
მოურავი, მაშინ, როდესაც რომ თადია ობლათ დარჩენილა მეფის ირაკლის დროს.

ამასთან ჩაი შაქარიც არ გვკლებია, ყველა იყო რაც რიგია ჩვენთვის ნუზღლი.

მე რომ პირველათ ავათ გავხდი, დილა იყო, საიდგანაც მაშინვე გამანვინეს, შემატყეს რომ იმ სწეულებისა იყო, ძლიერი სიცხე მამცა. იმ ღამეს მე რიგიანი გონება აღარ მქონდა, იმის მეტი აღარ მახსომისრა, რომ ერთი ჩონგურიანი კაცი შემოვიდა, უკან რამდენიმე მორთული ქალები შემოჰყვნენ, მოვიდნენ და მდაბლა თავი დამიკრეს, მე ამაზედ მაღლა გამეცინა, ჩემი გამდელი მოიჭრა, მკითხა: რას იცინიო? – მე იმათი ამბავი უთხარ: აგერ ახლაც იქა სხედან-მეთქი. მაშინვე წყალი მოარბენინა, რომ დავლიე ვეღარავინ ვეღარ ვნახე, მაგრამ იმ ღამეს სრულიად გონება მიმეხადა და გარინდებული ვიყავ თურმე.

რაღა გავაგძელო, რამდენსამე დღეზედ, მარჯვენა ნიკაპის თავზედ ვეება მუწუკი გამამერწყო, რაზედაც ბანბებს ადებდნენ ხოლმე და ხშირად მიცვლიდნენ. ის ძალიან სწმენდდა სისხლს და ჩირქესა. ამასთან დარბაზს წმინდათ ინახამდნენ, თან ღვიას ცეცხლის ნაკვერჩხალზედ აკმევდნენ და ძმარს აგურზედა. იაზმასაც დღეში სამჯერ ასხურებდნენ აქა-იქა დარბაზში, რომელთანაც ჩემი ავანტყოფობის შემდგომ ორმოცს დღეს უკან ყველანი ჩემთან შემოვიდნენ, მოღლოცვით და სიხარულით, ჭირს გადურჩი.

ამასთანავე დადელი მოაყენინეს და სამადლობელი პარაკლისი გადიხადეს. ამ დროს მამიდაჩემი ეკატერინე და იმის შვილი თადია ჩემი დარბაზის კარების წინ ცხენებიდგან გადახტნენ და სიხარულით შეიყარნენ ორივ მხარე, სადაც ღვიას მადლობით ლაპარაკი იყო, ყოველი მხრის მშვიდობიანბა, რომელსაცა წინა დღესა მამაჩემსა თავის დისტვის მიეწერა: ხვალ დილით ვაპირებთ ალექსანდრესთან შევიდეთ, ახლა მშვიდობაა, თქვენც გადმოდით. და იმიტომ მოვიდნენ (პატარძეული და ყარაბულახი ახლოა ერიმეორეზედ).

საკვირველი იყო, ის ჩემი სწეულობა არავის არ შეეყარა, ისე მშვიდობიანათ გაიარა. თითქმის სოფელშიც მშვიდობიანობა ყოფილიყო. მაგთენი ხანი აღარ გამოვიდა, ავიყარენით, ჯერ ყარაბულახში გადავედით და იქიდგან ქ-ტფილისში ჩამოვედით, სადაც ყოველის მხრიდგან მცხოვრებნიც მოკრიითნენ და ქალაქი ისევ ქალაქათ იქცა, როგორც ადრე იყო ხოლმე. ჩვენი მოსამსახურენიც მშვიდობით კარგათ დაგვხვდნენ და სახლიც ისევ ისე გამართული, როგორც ჩააბარეს იმათ.

თ ~ ა. ალექს. ვახ. ძე ჯ. ორბელიანი
24-ს აპრილს 1864-სა წელსა. ქ. ტფილისს.

საქართულოს მეცის ირაკლის ძე ლევან

ლევან – მეფის ირაკლის ძე, მესამე ცოლს დედოფალ დარეჯან-თან ნაყოლი, დარეჯან დედოფლის შვილებში ყუელაზე უფროსი იყო.

[მარიამი]... მოურავს დავით ციციშვილსა ჰყუანდა, კაცსა ჩინებულსა და მეფის ირაკლის გულშნირულს ერთგულსა და მასუკან იყო ლევან, მეორე შვილი დარეჯან დედოფალთან ნაყოლი. ელენე ბატონიშვილი იმერეთის არჩილ ბატონიშვილის ცოლი: შემდგომ დაქვრიებული ეს ელენე შეირთო ქიზიყის მოურავმათ ~ ზაქარია ენდრონიკაშვილმა ეგრეთვე და ამ ქალების შეძგომებში ის ლევან მისცემოდა.

ეს ლევან ასეთი რამ ყოფილა, თუ რომ იმისი სიცოცხლე გრძელი ყოფილიყო, საქართულელო დღეს ამაღლებული იქნებოდა ბაგრატიონების გვირგვინს ქვემა! მეფე ირაკლიმ დიდი ანტონ ქათალიკოზი და ეს თავის შვილი ლევან, ორნი გონიერები რუსეთში გაგზავნა, უკატერინა ხელმწიფას კარზედ, შეიტყონ და გამოიკვლიონ იქაური დაწყობილობა, როგორც ადმინისტრაცია, ისე მხედრობის რიგი რომ იქაურს კუალობაზედ საქართულოშიაც ისე დააწყონ. მართლა ისეც იყო.

როდისაც რომ საქართულოში მოვიდნენ, მაშინვე სამი ესე სახელოვანი კაცი: მეფე ირაკლი, ანტონი ქათალიკოზი და ბატონიშვილი ლევან შეუდგნენ საქართულოს დაწყობილობასა წესიერად. მოიგონეს მორიგე წესიერი ჯარი და გაამაგრეს საქართულოს საზღვრები ამით, რომლისაგანაცა საქართულომ ხელმეორეთ შენობა დაიწყო. მოიგონეს ჩამოსასხმელი ზარბაზნებისა¹ და საადაც კი წაიღებდნენ ხოლმე, ეუჭველად კიდეც იმარჯუებდენ, რომლებიცა ამისა შემდგომ მეფე ირაკლი ქუეყნის გამართუას მოჰყუა, ანტონ ქათალიკოზი ეკლესიების გამშვენიერებასა და ლევან ბატონიშვილმა მტერს დაუწყო დევნა, რომელიცა ყოუელს ადგილს სწყლავდა და მარადის იმარჯვეულდა იმათზედ.

ეს სამი საკვირული კაცი: მეფე ირაკლი, ანტონი ქათალიკოზი და ბატონიშვილი ლევან, სამნი ხშირათ იყვნენ ერთად და საქარ-

¹ რუსეთში გაზდილი იყო პატა ენდრონიკაშვილი იმის ხელოვნებით. მაშინდელი ორი მოხუცებული კაცი იყო დარჩენილი კიდევ: ნინია მზექალაშვილი ყოფილიყო მაშინდელი არტილერიის ბარაბანშიერი და ივანე ხაჩიშვილი თოფჩი ზარბაზნის მსროლელი მეფიტილე. ორივ ესანი მეზობლათ იდგნენ ერთი მეორესთან ახლო და ჩვენზედც მოახლოვოთ იდგნენ, რომლებთანაც ხანდისხან მივდიოდ ხოლმე: მე შუაში ჩამისომდნენ, თვითონ აქეთ-იქით დამისხდებოდნენ და მაშინვე ძუელს ამბებს მოჰყუებოდნენ.

თუ ელოს საქმეს აწყობდნენ. მაგრამ ეს მეფის ირაკლის საიდუმლო მტრებს არ იამებოდათ,¹ რა ქნან, როგორა ქნან, რომ მოშალონ იმათი თათბირობა? – აი მოიგონეს: ლევან ბატოშვილი მონამდეს, საწამლავით საიდუმლოთ მოკლეს და ამის შედგომ ანტონ ქათალიკოზიც სამი თუ ოთხის წლისა შემდგომ აღარ იყო, მგონია, ისიც საწამლავით გაათავეს? –

ეს ლევან ყუელას დიდი საყუარელი იყო, როგორც მთელი საქართულოს ხალხისა, ისე სულერთიან თავადაზნაურობისა და უკანასკნელად მთელის მეფის სახლეულობისა, ნამეტნავად ბატოშვილს გიორგის (შემდგომ მეფეს) უფრო ძალიან ჰყუარებია, ასე რომ მეტი სიყუარული აღარ იქნება, როგორც იმას უყვარდა თავის ძმა ლევან.² ამ ლევანმა ორი ათასი მეტი ამაღლა შეიკრიბა, სულერთიან თავისავით ყმანვილკაცობა, გამოჩენილი ვაჟკაცები, სადაც ყოუელს ომში პირუელი მეომრები ისინი იყუჩენ და გამმარჯუებელიც ისინი.³

ის ამაღლა ასე რიგათ ჰყოლია გაწყობილი თითქმის რეგულსავით, როგორც საუცხოვოს ცხენებითა, ისე იარაღებითა და სრულიად ის ამაღლა ვერცხლის ყანიმებში პრიალებდა თურმე. მთელი საქართულოს ხალხი შეჰყურებდა ლევანს საქართულოს იმედათა და ყუელანი ერთობითა მოელოდნენ იმისგან ბევრსა კარგსა. კვლავად ვიტყვი, ნამეტნავად ბატოშვილი გიორგი უფრო ყუელაზედ საიმედოდ ხედავდა ლევანს და დიდი სასოებაც ჰქონდა იმაზედ დადებული.

ერთხელ ლევან ბატოშვილის გამოგზავნილი მახარობელი მოუვიდა მეფეს ირაკლის ქ.ტფილისში: ყარაიას ლეკოსმალოს დიდს ჯარზედ გავიმარჯვე, ძალიან დავამარცხე ისინი და მეც ეხლა ჩემის ამაღლით გიახლები, ჩემო ხელმწიფევო. ამაზედ მთელი ქალაქი გაეგება ლევანს და დიდის დღესასწაულით შემოიყუანეს, სადაც მეფის სასახლის მოაჯირზედ ბატოშვილი გიორგი თავის გონიერის ცოლით ქეთევანით და სულერთიან მთელი დიდკაცობა ცოლებითა იქ ელოდნენ ლევანს მეფის ირაკლითურთ და დედოფლის დარეჯანით. ამ დროს დაიძახეს: ბატოშვილი ლევან მოვა თავის ამაღ-

¹ ლევან ბატოშვილს 1782-ს წელსა დაუმარცხედა, ესე იგი მინამ რუსეთთან მეფე ირაკლი ტრაქტატს შეჰკრავდა წელიწად ნახევრის წინათ და ანტონ ქათალიკოზსაც ტრახტატის ორს წლისა შემდგომ დაუმარცხდა. მე ესენი აქ სხოლიოში იმისთვის დავწერ, რომ ეს წელიწადებს ხსოვისათვის იყოს.

² ეს ძმები მამით ერთი იყვნენ და დედით ცალკე: გიორგი აბაშიძის ქალთან იყო და უნცროს ლევან დადიანის ქალთან.

³ პაპაჩემი დიმიტრი ანუ დემეტრე, მამიჩემის მამაც იმას ხლებია და იმასთანვე მოუკლამთ საგურამოს ომში ლეკოსმალოებთან.

ითა გამარჯვებული მტერზედ აგერ მეიდანზედაო. ყველამ მოუთ-მენელის სიხარულით ყურება დაუწყეს მოაჯირიდგან, საიდგანაც დაინახეს, რომ თავის საუცხოვოს ამალის შუაძი, წითელს ბე-დაურს ცხენზედ, წითელის ტანისამოსითა, რომელსაცა აქეთიქით დიდი კაცის შვილები, სულ ყმანვილი კაცნი ბედაურის ცხენებითა, წითელისა ტანისამოსებით, ვერცხლის კრიალისა ყანიმებით, თან მოსდევდენ ლევანს გამარჯვებულები და ამაყად მოდიოდგნენ ერ-თად შეჯგუფილი. ბატონიშვილს გიორგის გულმა ვერ გაუძოლ, მა-შინათვე ქვემოთ კიბეზე ჩამოვიდა და იქვე კარებიდგან ორივ ხე-ლები განუბყრო ლევანს და მალალის ხმით დაუძახა:

– „ძმაო ლევან, ძმაო ლევან! მამილოცავს გამარჯვება იმ ჩვენს უსინდისო მტრებზედ. შენმა გაზდამ ჩემო სიცოცხლეო ლევან, ადრევეც ხომ ბევრჯელ მამილოცავს გამარჯუება და ეხლა უფრო კიდევ გულმხურვალედ გილოცავ გამარჯვებას, ამიტომ რომ ეს ყუელაზე დიდი მტერი იყო.“ – და თვალებიდგან ცრემლები გადმო-ყარა.

იქიდგან ლევან ცხენიდგან გადმოიჭრა, გამოექანა და ეს საყუ-არელი ძმები ერთმანეთს გადაეხვივნენ. იქიდგან ხელი დაუჭირა თავის ძმას ლევანს გიორგიმ, ზევით მაღლა მოაჯირზედ ამოიყუანა და სიხარულის ხმითა დაიძახა:

– „ჩემო ხელმწიფენო, მეფე დედოფალო! აი ჩუენი ოჯახის ბედ-ნიერება, ეს არის ჩუენი შეურყეველი მკვიდრი საფუძული ჩუე-ნი სახლეულობისა. ყუელამ ერთიანათ ამის დღეგძელობისათვის ვილოცოთ დვოთისადმი.“

დიდი ენამჭევრიც იყო გიორგი ბატონიშვილი და ყოვლის კარგი სიტყუებით აამსო მეფე დედოფალი. მასუკან მეფე ირაკლიმ.

– „შენმა გაზდამ ჩემო გიორგი, შენის გვირგვინისთვის თავს დასდებს ლევან.“

მერეთ დედოფალმა დარეჯანმა:

– „არამც თუ მაგის გვირგვინისათვის მხოლოდ თავი უნდა დადოს, ლუკმა ლუკმათ უნდა დაიკუნოს. რაც მე ბატონიშვილ გი-ორგიზედ ჭინახული მაქეს, ის იმდენი დიდი ჭინახული, რომელსაც არცერთს ჩემს შვილებზედ არა მაქუს, ის ჩემი ჭინახულის სიყუა-რული უნდა ლევანს ჰქონდეს ყოველთვის თუალწინ და ისეთიც ერთგული იყოს ამ ჩემის სიცოცხლის გიორგისა.“

ამასთან დედოფალი და ბატონიშვილი გიორგი გულლმობიე-ლად ცრემლით ერთმანეთს გადაეხვივნენ. რომელიცა ამ აბბავსა ქეთევან ბატონირძალი, ბატონიშვილის გიორგის მეულლე შორიდგან უყურებდა და მეტის სიხარულით ტიროდა ამისთანა სიყუარული-სათვის მეფის სახლეულობისა მიერ.

ვინც და რომელმაც იმათ ამისთანა სიყუარული დაურღვია ყოვლის ეშმაკურის ცფიერობით, ლმერთმა იმისთანა სამართალი მისცეს იმის სახლსა.

ზევით რომ ვთქვი: ლევან ბატონიშვილი მონამლეს-მეთქი, დროა, ეხლა ის უნდა გავარკვიოთ, რომ ეს ანბავი სიბნელეში არ დარჩეს, მაგრამ ამისთანა ანბავი აქედგან რომ დავიწყოთ, ყუელას უფრო რიგზედ დავინახავთ და ავკარგობა ნათლად გამოჩნდება.

ბატონიშვილის გიორგის ცოლის, ქეთევანის ნათესავი, თვით ენდრონიკანთ ქალი ელენე მშვენიერი თუალტანადი, ასე ეგონა: როგორც მე ვარ კარგი დედაკაცი, ისე ის ჩემი გუარეული და ის ჩემი ნათესავი ელენეც ისეთი კარგი დედაკაცი იქნებაო. რომელმაცა ამის გამო მოინდიმა, რომ თავის მაზლს ბატონიშვილ ლევანს მისცეს, რომლისაცა იმის სიტყუა მეფის ირაკლის სახლისათვის ბეჭედი იყო და კიდევ მოახდინ მაშინათვე, მაგრამ შესცდა იმისთანა გონიერი დედაკაცი: თავისთანა კარგი დედაკაცი ის არ გამოვიდა, მეფის ირაკლის სახლის საკადრისი რძალი.

ბატონიშვილს ლევანს ის ძლიერ ჰყუარებია, იმ ქალს ისიც, მაგრამ ქარიანი ქალი ყოფილა და სუბუქი ჭკვისა. მეფის სასახლეში ბევრს რაღაც სულელობას თურმე წამორომავდა, მაგრამ მაინც კიდევ დიდათ ჰყუარებია ლევანს. მეფე ირაკლი და დედოფალი დარეჯანი ისე არა სწუხდნენ იმის არეულის ხსიათისათვის, როგორც ბატონიშვილი გიორგი და ნამეტნავად უფრო კიდევ იმის ცოლი ქეთევან. თურმე ეტყოდა ბატონიშვილი გიორგი თავის ცოლსა:

— „გამიგონე რა გითხრა, ქეთევან, შენი ასეთი საქმე უყავ ჩემს ძმას ლევანს, რომ საუკუნოთ გააუბედურე იმ შენი ნათესავის შერთვით.“

— „მართალს ბერძნებ, მაგისთვისა ჯოჯოხეთიც ცოტა არის ჩემთვის.“ — ცრემლით მიუგებდა ისიც.

ესენი აი საიდან ვიცი? —

ერთხელ დედიდა ჩემი ქეთევან ბატონიშვილი¹ და დედაჩე-მი ამაებს ასე ლაპარაკობდნენ, სადაც მეც იქ ვიყავ იმ დროს და მერეთ ძალიან გმობა დაუწყეს ლევან ბატონიშვილის ცოლსა. მე იმათ ლაპარაკსა მხოლოდ ყურს უგდებდი: ვნახოთ, რისთვის გმობენ, ეგება მიზეზი თქუან-მეთქი. მაგრამ მიზეზი არა თქუეს, რა ექნა იმას იმისთანა, რომ ისე ჰემობდნენ და ბოლო დროს ამ სიტყვით გაჩუმდნენ: საძაგელი ისა. მე მაშინ ყმაწვილი კაცი ვიყავ და ამ გუარების ძალიან ცნობის სიყუარული მქონდა, რომელმაცა

¹ ივანე მუხრანბატონის მეუღლე.

გაუბედე და ორთავ ვკითხე:

– „ბატონიშვილებო, შეინჭიმე, რა უქნია იმ თქვენს რძალსა, რომ აგრე ჰემობთ იმას?“ –

დედიდა ქეთევან ბატონიშვილმა წარბშეკრულმა შემამხედა და ცოტაოდენის მრისხანებით მითხრა:

– „როგორც გამოკითხუაში ხარ ძუელი ამბებისა, კიდევ ისა გვყითხე, მაგას თავი დაანებე, ეგ შენი საქმე არ არის“ და მრისხანეს სახით გაჩუმდა. მასუკან დედა ჩემმა მუთაქა მიართო, ახალ სადილ მირთმეულნი იყვნენ, ერთი ერთს მუთაქაზე წამოწუა, მეორე მეორეზედ და მოსუენებას მიეცნენ. მეც ავდექ და ფეხაკრეფილი დაფიქრებით მეორე ოთახში გამოველ. ეს ამბავი ჩუენთან იყო, ჩუენ სახლში, სადაც იმ დროს ჩუენ სამის მეტი სხუა არავინ ყოფილა იქა.

ეს კიდევ არაფერი, აი ეს უფრო გასაგონი არის, რომელსაცა ვატყვი ეხლა. ამ ლაპარაკის შემდგომ ორი თუ სამი წელიწადი გამოვიდა, რომ ერთს დილაზედ ჩემი ნათესავის, თა-ის თომა ენდრონიკაშვილის კაცი მამივიდა, შემოეთუალა: ავლაბარს (ამ და ამ) სახლში მოდი, ბატონირძალი გადიცუალა, უნდა დავმარხოთო. მე იმ დროს ჩაცმულიც ვიყავი და ვემზადებოდი სადმე წასვლას. ეს რომ მითხრა, მაშინვე გავეშურე, რომ სახლში აღარ შევტრიალდი და იმ ბიჭსა ვეითხე გზაზედ:

– „ბიჭო, რომელი ბატონირძალი გარდაიცუალა?“ –

– „რა მოგახსენო, ასე ამბობდნენ: ბატონირძალი გარდაიცვალა და ის კი აღარ ვიცი, ვინ ბატონირძალია.“

მივიღოდი გზაზედ და გაკვირუებაში ვიყავ: ის იმისთანა რომელი ბატონირძალია, რომ მე იმას არ ვიცნობდი? – ამ ფიქრში კიდეც მივედი, ვნახე, რომ ბევრი თავადაზნაურობა და ამქარი შეყრილი-ყვნენ და სამლენელოს მოელოდნენ, იმისი ცხედარი გამოესვენებინათ. თომა ენდრონიკაშვილი კარზე დამხვდა, ვკითხე:

– „რომელი ბატონირძალი გარდაიცუალა, რომ მე იმას არ ვიცნობდი? –“

ხელი დამიჭირა, ცალკე გამიყუანა და მითხრა:

– „ლევან ბატონიშვილის ცოლი.“

– „როგორ თუ ლევან ბატონიშვილის ცოლი, რომელი ლევანისა? –“

– „მეფის ირაკლის შვილი რომ იყო, იმ კარგი ლევანის ცოლი.“

რაღამაც გაყინულმა ურუანტელმა დამიარა ტანში თომას ამ სიტყუაზე და ძლივს სული მოვიბრუნე. ვკითხე:

– „რას მეუბნები, თომავ, აქამდისინ ლევან ბატონიშვილის ცოლი ცოცხალი იყო, აქ ქალაქშიაც ცხოვრობდა და მე იმისი არა ვიცოდი რა? –“

— „აი, ჩემი ალექსანდრე, ასე. არამც თუ შენ, არც ერთი თავის მული ბატონიშვილები და არც ნათესავები, არასდროს არ იყითხავდნენ, არამცთუ სანახავათ მოსულიყვნენ. ერთი მე მოვდიოდი ხოლმე, ისიც ხანდისხანა, ასე ქუეყანისაგან იყო დავიწყებული.“

— „ერთხელ ლაპარაკში როგორ არ მითხარი მაგ ბატონირძლის ამბავი?“

— „როგორ არ გეტყოდი, მაგრამ ლაპარაკი არ ჩამოვარდნილა იმაზედ.“

მაშინ მამაგონდა ბატონიშვილი ქეთევანის სიტყუა და ვკითხე:

— „რაო, რისთვის იყო ისე მოძახებული ყუელასგან ისა?“

— „დრო არ არის, აგერ სამღვდელონი მოვიდნენ, უნდა ცხედარი გამოასვენონ, წავიდეთ.“

ამასთანავე გაეშურა. იმის ხარჯი იყო იმ ბატონირძლის დამარხუა, ახლო წარმატებას იყო იმისა.

ცხედარი რომ გამოასუენეს და ზევიდგან დავხედე, ეტყობოდა იმის გამხდარს და სანთლის ფერს სუფთას სახესა, რომ იმასაც წილი სდებოდა მშუენიერებაში. ერთი ფრჩხილი გაყოფილი შავი წარბები პტყელს შუბლზედ მოხროდა შვილდურადა და თხელი წმინდა ცხვირი ბალახშით ბაგებით ცოტათ გძელს პირის სახეს მეტათ აშვენებდა, რომელსაც ის თავისი მოდიდო თუალები სამუდამოდ დახუჭვილი, იმის ქუემოთ ბაიაზედ იმ თუალების შავი გძელი წამნამები ისე გაპოვნოდა გაყოფითა, რომ თვითუეულად დაითვლებოდა. ის ქალი, როგორცა თქუეს, მთავარანგელოზის ეკლესიაში დაემარხათ. იმ მცხედარს მე ყუელას უკან მივდევდი მწუხარებით და ჩემს თავსა ვგმობდა: როგორ არ შევიტყე იმისი სიცოცხლე, რომ იმისგან ბევრს ძუელს ამბებს შევიტყობდი, ნამეტნავად თავის ქმრის, ლევანის, რომელიცა ისტორიისათვის გამოსადევი იქნებოდა-მეტე? — ამ ფიქრში და მწუხარებაში რომ ვიყავი, როგორლაც მოწყუეტილსავით შევიქენ, იქვე ავლაბრის ერთს დუქნის დაზგაზე დავჯეე, წყალი მოვატანინე, დავლი[ე] და პატარა ხანს უკან შინათენ წამოველ. ეს დრო მგონია ზაფხული იყო.

შინ რომ მოველ, ბატონიშვილს დედაქემთან უკმაყოფილოდ შეველ და დაფიქრებული ცოტა მოშორებით დივანზე დავჯეექი. დედამ კითხა:

— „ალექსანდრე, რატომ აგრე ხარ, რათა ხარ დაფიქრებული?“

— „შეინჭიმე, იმ თქუენი სახელოვანის ძმის ლევანის ცოლი გარდაიცუალა, იმის გამოსასვენებლად გახლდით.“ — მე უკმაყოლოდ მოვახსენე.

— „მომკვდარა?“ ცივათ მითხრა.

— „დიახ, შენიჭიმე.“

ამ სიტყუაზე ალარ მითხრა რა, გაჩუმდა. მე მაინც გავბედე და მოვახსენე:

– „მიკვირს შეინჭიმე, ასე მოძაგებული რათა გუუანდათ თქვენი მული, იმისთანა კაცის ცოლი?“

დორზე იყო მიყუდებული, მე რომ ეს მოვახსენე, მაშინვე გასწორდა, სათაკილოდ ხელი გამამიშვირა, პირი იქით მიიღო და გაჯავრების გულით მიბრძანა:

– „კარგი, კარგი, ნულარას მეტყვი იმისას.“

დორზე მიესვენა და ჩაფიქრდა. ბოლოს თავი აიღო და მე-დიდურის სიტყვით მითხრა:

– „ალექსანდრე, ყმაწვილი კაცი ხარ, შენს ნათესავებში წადი სადმე ან არადა გაიარ გამოიარე, მინდა ვილოცო, დღეს დილით ლოცუა ვერ შევასრულე, ეხლა მინდა შევასრულო.“

ამისთანა ზღილობინის სიტყუებით დამითხოვა, თორემ იმან ადრე იცოდა ლოცუა, დილაზედ რომ ადრე გაიღვიძებდა, ისეც ქვეშაგებში. მე მაშინვე ავდექ და გამოვეღ. ვანბობდი: ახა ლერთო ჩემო, რა ანბავი უნდა იყოს, რა მიზეზი იმ ქალზედ, რომ ასე მოძაგებული ყოფილა არამც თუ მულებისაგან, თითქმის ყუელასა-გან? – მასუკან ვთქვი: უნდა შეუდგე, ამთენი ძუელი კაცები არიან, იმათგან შევიტყობ-მეთქი. დედაჩემს ხომ ვეღარ გაუბედე მეკითხა და ახლა სხუებთან დაინტყე გამოკითხუა, მაგრამ ახლა უფრო ფთხილათ, კიდევ გაუფთხილებლობით ისეთივე საქმე არ მამსლოდა. გაიგონეთ.

ეს ხომ გაიგონეთ, ბატონიშვილი ლევან როგორი გამოჩენილი ყმაწვილი კაცი იყო, ამაზედ რაღა ვილაპარაკოთ, ისევ ამ საგანზედ დავიწყოთ უბნობა, როგორ და ვითარ? – ბატონიშვილმა ლევანმა ალაზნის პირზედ ლევის ჯარი დაამარცხა, იქიდგან გამობრუნებული მოვიდა და სოფელს ველისციხეში გადახდა, იქ კიდევ ლევის ჯარსა მოელოდა, ალაზანში უნდა გამოსულიყვნენ და ქართულის სოფლებისთვის დაეკრათ. ამ დროს სადილზედ ლევან ბატონიშვილი მძიმეთ ავად გახდა და საღამოს უამს კი გარდაიცუალა. ყუელას გაუკვირდათ იმისი ასე უცრათ სიკვდილი და რა საკვირველია იმაზე დიდი გლოვა იქნებოდა, მაგრამ ამით რისთვის შეგანუხოთ, ისევ საქმეს მოვყუეთ.

მაშინდელი მეფის ირაკლის ოჯახობის მტრებმა მითამ ამით ისარგებლეს, რომ იმ უსვინდისოებმა ხმები დაყარეს: ლევან ბატონიშვილზედ მისწრობია ერთი კაცი და იმ კაცსა თავის ცოლზედ სანჯლით გაუგმირამსო ლევან. ეს ამბავი მაშინვე მეფეს ირაკლის მოხსენდა, რომელმაცა აღარც თვითონ და აღარც სხუებს აგლოვა, უბძანა: აქ ტფილისში ჩამოიტანეთ იმისი გვამიო, რომელთაც მო-

ასვენეს და დარიის ეკლესიაში¹ დაასვენეს ავლაბარს. ამის მეორე დილაზედ სასულიერო წოდება, ბატონიშვილები, დიდრონი კაცები და თვით მეფე ირაკლი ავლაბარში წასასვლელად რომ ემზადებოდნენ, იმათში ბძანა მრისხანებით მეფემ:

– „თუ ქართლა ჩემი შეილი ლევან ხანჯლით გაგმირულია დე-დაკაცზე ქმრისაგან, ჭეშმარიტებას ვფიცავ, სახალხოთ ვათრევ-ინებ.“

ამასთანავე გამოვიდნენ და ცხენებით გაემურნენ ავლაბრისკენ, მაგრამ დიდათ დაღონებულები. იმ ლევანის სიკვდილს ხომ ალარ სწუხდნენ, იმას სწუხდნენ: უთუოდ ათრევინებს და სა-განგამი შეიქნება ყოველს ქვეყანაშიო.

როდისაც მივიღნენ და ეკლესიაში შევიღნენ, უბძანა: ეგ ცხე-დარი კარზედ გაიტანეთო. გაიტანეს და იქ სრულიად ცხედრის გატიტვლება უბძანა. როდისაც რომ გაატიტვლეს, კიდევ უბძანა: კარგათ გაჩხრიკეთ, რომელს ადგილს არის გაგმირულიო? – და თვითონ თავზედ დაადგა. კარგა ხანი ჩხრიკეს, მაგრამ არსად არა იყო რა, მხოლოდ ამის მეტი, რომ მთელი სხეული ძალიან გალურ-ჯებული ჰქონდა და სიშავე დასცემდა. მაშინ მეფე ირაკლიმ დაუჩოქა და როგორც რიგია, მოთემით ტირილს მოჰყუა. ეს ამპავი მა-შინვე დედოფალს აცნობეს, სადაც მთელს სასახლეში და ქალაქში შეიქნა გლოვა. მეფის ირაკლის ოჯახობის მტრები ამით რომ ვრა გახდნენ რა, ახლა ეს ხმები დაყარეს: მითამ ლევან ბატონიშვილს ბევრი ირაგული ეჭამოს და უეცრათ ჯდომით მომევდარიყოს. მა-გრამ რას იფიქრებდნენ, ამ დროს თა-ა ლუარსაბ ონანაშვილმა ვაჩ-ნაძემ თა- შერმაზან აფხაზი დააბეზღა მეფეს ირაკლისთან, რომ შერმაზან აფხაზმა ბატონიშვილი ლევან მონამლაო. მონამლაო და სულერთიან იმისი ოჯახი აიკლო მეფე ირაკლიმ, ყმა და მამულიც სულერთიან ჩამოართო და იმასაც სიკვდილს უპირებდნენ, მაგრამ შერმაზანი შევევდრა მეფეს: უბრალოების სისხლს ნუ დაიდებ, სწორეთ გამოიკითხე და ისე მამქალიო.

ამაზედ მეფე ირაკლი დამშვიდდა. მაშინვე საიდუმლოთ გამოკითხუაში შევიდა, ნახა, რომ ის დაბეზღება სულ სიცრუე იყო, თავი-სი ყმა და მამულები ისევ დაუბრუნეს, ის აკლებულიც სულ ერთიან და შედგომ პატივითაც მოებყრა მეფე.

ახლა მოკლეთ მოვჭრო და მეტს ვეღარას ვიტყვი, რომ მეფის ირაკლის საიდუმლო მტრების მონქალებით ლევან ბატონიშვილის ცოლი ზდილობიანის მოქცევით სასახლედგან გაიყუანეს და ცალ-

¹ ის დარიის ეკლესია დარეჯან დედოფლის აშენებულია, ახლა ფერისცუალობისა არის.

კე მისცეს ცხოვრება. ეს ანბავი ეხლა არ შეიძლება ითქუას, იქნება ოდესმე, მაგრამ გონიერი კაცი კი მაინც ყუელას მიხვდება, თუნდა ის ამბავი ვეღარ აღიწეროს.

თ ა. ა. ვახ. ძე ჯ. ორბელიანი
27-ს აგვისტოს 1865-სა წელსა დიდყაბართოს ნალჩიკში.

ჩემი სიძე დავით ქობულოვი იქ ნაჩალნიკათ რომ გაგზავნეს, ბოლოს მე და ჩემი ცოლიც იმათთან წავედით.

1829-სა წელსა არაულობა საქართულოში

ახალს მოთხოვნილებაზე ჩუენს ხალხთან, ყოველთვის სიფთხილე საჭიროა. თუ ფთხილად და მშვიდობის მყოფობით დაიწყება საქმე, თუ მოქმედის პირმა იცის როგორ მოიქცეს, ან რა უნდა თქუას ამ ჩუენს ხალხში, ჩემის აზრით ყუელას შეისრულებს, თუ მეტად გადამეტებული არ არის მოთხოვნილება. ჩუენს ხალხს ყოველთვის სჩხვლეტს ახალი მოთხოვნილება, სულ სხუა რიგათ ხედავს, სხუა რიგათ ესმის და საქმის გაუჩჩრეველობისაგან უნდა შფოთი, ამისთვის მოთმინებით უნდა საქმის დევნა – უნდა ყოუელი გადაწყვეტილობა კარგათ ცხადათ გააგებინოს. ამის დასამტკიცებელს მაგალითებსა მოვიტან აქ, სადაც თვით მე დავსწრებივარ ამისთანას ამბებს საქართულოში. მაგრამ ჯერ რომ აქედგან დავიწყოთ 1826-ი წლიდგან. უფრო სასიამოვნო იქნება და უფრო დავინახამთ საქმესაც.

1826-სა წელსა უეცრათ დიდი სპარსეთისა ჯარით წამოვიდა აპაზმირზა საქართულოზე, აქედგან რუსეთისა ჯარი გაიყუანოს საქართულოს დასაპყრობლად. ასე უეცრათ წამოსული სპარსეთისა წინა ჯარი ყაზახში ამოვიდა და აქ ქ. ტფილისმი დიდი შიში მოხდა ხალხში. ამ დროს ლენერალმა ერმალოვმა პრაკლამაცია¹ გამოსცა ქართულებზე ქართულს ენაზედ. ქართულებსა აგონებდა ძუელს მამაპაპის ვაჟუაცობასა. ამასთან მოითხოვა ქართულთ ჯარი იმ ჩუენს დამხობელსა სპარსელებზედ. იმთენი ხნის უკან დამდგარი ომის ამბებშია, რომ ომის სახელიცა სრულიად დავიწყებული ჰქონდათ ყოველს ქართულს, იმ დროს მეც არ ვიცი როგორ იყო, ერთს კვირაზედ ექვსი ათასი მეტი ქართული ცხენიანი ჯარი გამოვედით კარგის თოფ-იარალით. ჩუენი საკუთარი ხარჯითა და სხუა ქვევითი ხალხი სოფლებში შეიარაღდნენ: თუ საჭირო იქნება, ჩუენც ერთიან გვალთ, ყიზილაშებს კი აქ ალარ შემოუშვებოთ საქართულოში. ასეთი ენტუზიაზმი მოხდა საქართულოში, რომ ერთმანეთს წინ ასწრობდნენ ძმები. არა მე უნდა ჯარში წავიდე, შენ შინ იყავიო. მე ამას მოვსწრებივარ, თვით საქართულოს ჯარში მეც იქ ვიყავ ერთად რუსეთისა ჯართან, სადაც მაშინ ბევრი არ იყო რუსეთისა ჯარი საქართულოში, მაგრამ იმისთანა ქართულების თავშენირულებამ, ის მცირედი რუსეთისა ჯარი ასე განაძლიერა, რომ უეჭველი იყო, ის დიდი სპარსეთისა ჯარი უთუოთ დამარცხდებოდა და ყოველს მხარეს დამარცხდნენ კიდეც. ლენერალი ერმალოვი დიდი გონიერი კაცი იყო, იმან ჩუენი ხასიათი კარგად იცო-

¹ ეს გამოჩენილი პრაკლამაცია თან ნიკოლოზ ფალავანდოვს დაეწერა.

და; ისიც კარგად იცოდა, როგორ მოგვქცეოდა ხოლმე.

იმ დროს, იმ 1826-სა წლისა მებისა საქმეს ზამთარმა უსწრა, იმ მცირედის რუსეთისა ჯარით ვრცელი მოქმედება ველარ იქნებოდა და დიდრონის ჯარებისა მომლოდინეც იყო პასკევიჩი რუსეთიდგან, ამიტომ იმ ომების საქმეები გაჩერდა იმ ზამთრობით.

შემდგომ გაზაფხულზედ 1827-სა წელსა, მოვიდა რუსეთისა დიდი ჯარები საქართულოში, ქვევითი და ცხენიანი, საიდგანაც გაილაშქრეს სპარსეთზედა და ჩუენც ქართულები კიდევ გულმოდგინეთ გავყევით მათ, იმ ჩუენ ქართულების დამქცეველებზედ ახლა იმათ დასაქცევათ. ვიყავით ჩუენ სამასი მეტი ცხენიანი კაცი თავადაზნაურობა (მეტი აღარ მოგვთხოვა პასკევიჩმა). ჩუენის კაცებითა და ჩუენის სრულის ხარჯითა. ამ ჩუენს ქართულს ჯარსა ნაჩალნიკად მოგვცა პასკევიჩმა ლენერალ-მაიორი კნიაზ რომან ბაგრატიონი, ძმა გამოჩენილის პეტრე ბაგრატიონისა და პასკევიჩი გვერდითგან აღარ გვიშორებდა ქართულებსა, ასე ყურადღებით იყო ჩუენზე.

აი სადა და სად დავესწარით ქართულები ერთად რუსეთის ჯართან: ჯავანბულახზე აბაზმირზა რომ დამარცხდა თავის სპარსელებით, ჩუენც იქ კარგი ხელი გამოვიდეთ ქართულებმა სპარსელებზედ და ჯერ ამით მიეგოთ მათ ჩუენი, ქართულების მაგიერი. მას უკან აბაზაბათის ციხე აიღეს ჩუენი მაგიერის კიდევ მისაგებათ. მერეთ ურდობათის იმში ითხო ათასი სარუაზი და სამი ათასი კარგი ცხენიანი სპარსელები შემოგვერტყნენ შვიდას რუსის სალდათს, ქართულს და სომხების მილიციას,¹ რომლებიცა დილიდგან მზის ჩასვლამდის, ერთის პატარა ზარბაზნითა გარსა გვერტყნენ, ერთს მაღლობზედ გამაგრებულებსა ჩუენ უზარბაზნოს, მაგრამ ვერაფრით ვერ წაგვახდინეს, ვერც იერიშებით და სალამოზედ აყრილები – ჩქარის სიარულით წავიდნენ თავის გზაზედ უკან. ამაზედ ჩუენ ქართულებმა კიდეც დავყიუინეთ ზევიდგანა ძუელებურათ: ოლოლო, ოლოლო... ეს იყო კიდევ იმის გამოთხოვა, მაგრამ დაღონებულები გაიქცნენ შერცხვენილნი. როგორც შემდგომ შევიტყე, უფრო მისთვის, რომ მეორე დილაზედ ეშინოდათ: სხუა დიდი რუსის ჯარი დაგვეცემა და სულერთიან წაგვახდენენ, შემდგომ სარდარაბათის ციხე აიღო დენერალმა პასკევიჩმა დიდრონის ბომბებითა; ეს იყო კიდევ ჩუენი მაგიერის მიგება სპარსელებზედ. მაგთენი ხანი აღარა გამოვიდა რა, ერევნის ციხეც დაამსხვრიეს და არც სპარსელებსა შერჩათ ჩუენი უმანკოე-

¹ იმ დროს განა სომხები არ იყვნენ ჯარში. სპარსნი მხოლოდ ქართველთ დააქცევდნენ თუ სომხებსაცა?

ბისა სისხლი, მაგრამ რა გახდება ესა, რაც ჩუენ იმათ გვიყვეს ქართულებას?

ერევნის ციხე აიღეს, ქართულებსაც აღარა შეგვრჩა რა სასმელ-საჭმელი, აღარც ფული, სულ დავასრულეთ. ეს ჩუენი ნაკლებულობა პასკევიჩსა შევატყობინეთ, რომელსაცა ერთიანათ დავებარებინეთ.

„ეგ თქუენი ერთგული ხელმწიფისა სამსახური, ეხლა თქუენთვის კმარა, მე მაგ თქუენსა სამსახურსა ჩუენსა მოწყალეს ხელმწიფესა მოვახსენებ, იმედი მაქუს ყველანი კარგათ დაჯილდოვდეთ“. ამასთან ნაჩალნიკ შტაბს სუხტილინსა უბრძანა: ეგ ქაღალდი წაუკითხეო, სადაც ჩუენი კარგი სამსახური იყო გამოცხადებული თავის დიდის მადლობითა, საიდგანაც ერთობ ესე ქურთულები წამოვედით ტფილისისა ქალაქისკენ და გზაზედა სულ სპარსელებს ვაგინებდით და ვწევლიდით იმათ... ამ ამბებსა მოკლედ ვანბობ, თორემ ყოველი ამ ომების ჩუენი ქართულების საქმე ბევრი არის – ბევრი კარგი.

ახლა ეს ამბავი დაუტეოთ და ოსმალოს ამბავს მოვყვეთ, ამ ჩემი წერის საგანი, რაშიაც კიდევ დავსწრებივარ.

როდისაც ძლიერი რუსეთი და ოსმალო იბრძოდნენ 1828-სა და 1829-სა წელსა, მე მაშინ ტფილისის უეზდის კეთილშობილთ წინამძღვრელი ვიყავდა და ღუბერსკის წინამძღოლმელად იყო ღენერალ-მაიორი თა კონსტანტინე ბაგრატიონ-მუხრანსკი, რომელთანაც ერთს სალამოზედ შევიყარენით საქართულოს კეთილშობილები, ვინც კი მაშინ ტფილისში იყვნენ: ღენერალ-ლეიტენანტი თა გიორგი იასეს ძე ქსნის ერისთოვი, ღენერალ-მაიორი თა ივანე აფხაზი, თა ნიკოლოზ არღუთინსკი დოლგორუკოვი, თა ნიკოლოზ ფალავანდოვი, თავადნი: ლუარსაბ, ასლან, იაკობ, ქაიხოსრო ჯ. ორბელიანები, თავადნი: დავით, მელიტონ, გოგია ბარათაშვილები, თა გრიგოლ ჩოლოყაშვილი და ბევრნი სხუანი, სადაც რჩევა გვქონდა, ჩუენი საქართულოს ჯარიც წაიყუანოს ღენერალმა პასკევიჩმა ოსმალოზედ. როგორც იყო ყუელას ვიტყვი იმ ამბებსა, მაგრამ კიდევ გმოკრებით, მოწყენილობის ლაპარაკი არ მოვიდეს.

1829-სა წელსა გაზაფხულზედ, ჩუენი რჩევის მეორეს დღის სალამოზედ წავედით ღენერალ პასკევიჩთან ხსენებული კეთილშობილები და როდისაც ღუბერსკის წინამძღოლმელის პირით¹ განუცხადეთ ჩუენი, კეთილშობილთ სურვილი, რომ ჩუენი საქართულოს ჯარიც წაიყუანოს ოსმალოზედ შვიდი ათასი კაცი, ჩუენის ხარჯით,

¹ პერეოჩიკობდა ღენერალი თა ივანე აფხაზი, რადგან ღუბერსკის წინამძღოლმელმა რუსული არ იცოდა.

ჩუენის თოფ-იარალით და ჩუენის გაწყობილობითა, მართლა დიდის სიამოვნებით მიიღო. ამასთან დრო დაგვინიშნა, სამი თუ ოთხი დღისა სალამოზედ, კიდევ იმასთან მივედით.

დანიშნულსა დროზედ მივედით, ამ დროს თავის სვიტით ზალაში დაგვხვდა, დიახ მხიარულათ ამ სიტყვითა.

— „თქეუენს ერთგულობას ჩუენს მოწყალეს ხელმწიფესა მოვახსენებ, იმედი მაქუს მაგ თქეუენის ერთგულობისათვის, დიდ წყალობას მიიღებთ იმათგან, ამას მე თქეუენ დაგარწმუნებთ.“ ჩუენ მადლობით თავი დაუკარით, მასუკან ღუპერნატორს ზავილიცკისა მოუპრუნდა, იმას ხელში რაღაც ქაღალდები ეჭირა, უბანა: ეს წერილი წაუკითხე მაგათ. ისიც მოჰყუა კითხუას, როგორის წესით გამოვიდეს ჩუენი ჯარი, სადაც სხუათა შორის ესეც ეწერა: ხუთს კაცზე ერთი კაცი გამოვიდეს, კარგის თოფ-იარალითაო.

ცოტა ლაპრაკის შემდგომ პასკევიჩი გაგვშორდა და ჩუენ აქეთკენ წამოვედით ერთის კუთხისაკენ, ღუპერსკი წინამძღოლები ბაგრატიონ-მუხრანსკი, თა გიორგი ერისთოვი, თა ნიკოლოზ არლუთინსკი, მე და კიდევ რამთენიმე და იმ ხუთზე ერთისა ვთქვით: ჩუენ ხალხი იმ სტყუასა სხუარიგათ გაიგონებს, ეგება ის სიტყუა ამოვაშლევინოთო, მაგრამ ღუპერნატორს რომ უთხარით და იმის მოშლა ვთხოვეთ, იმან გვითხრა: ხომ კარგათ იცით, პასკევიჩი თავისინათქვამია, თავის წათქუამს ეხლა ის არ მოშლის; მაგ თქეუენს თხოვასა ცუდათაც მიიღებს, ამისთვის იქნება ძალიან აწყენინოთო. რაღა უნდა გვექნა, ყველანი დალონებული წამოვედით შინათკენა.

დაბეჭდილი ის განკარგულება, პატრიარქის ნერსესის შკოლა რომ არის, იქ წაეკითხათ ქალაქის ხალხისათვის პოლიციას, მე იმ დროს იქ არ ვიყავ და როგორც მითხრეს, ასე ყოფილიყო. ჯერ პირუელად მოქალაქეებს წაუკითხეს ზაღაში, მასუკან კარზე ქუჩაში ქალაქის ხალხსა და როდისაც კითხუა დაასრულეს, კარგა ხანი ხალხში გაიკინდა ხმა. მერე შუა ხალხიდან ვიღამაც დაიძახა: არ გესმით ხალხო, ხუთზე ერთი ის არის, რომ სალდათს გვთხოვენ. ერთიანათ ხალხმა: არ მივცეთ, არა, არა.... ამ დროს პოლიციის ჩინოვნიკებთან გოგია ქეთხუდოვი იდგა ყელზედ ოქროს მედლითა, თურმე ვიღაცას იმის ჯავრი სჭირებოდა, დაეძახა: ხალხო სულ გოგია ქეთხუდოვის ბრალია ეგ. გოგია ქეთხუდოვისაო? – ზოგმა ჩული, ზოგმა ნეხვი და ზოგმა ტალახი დაუშინეს. ისიც ხელაფარებული: ხალხო, მე არა ვიცი რა, ღმერთი, რჯული, გაიგონეთ ღვთის გულისათვისაო. იმ დროს ვიღაცას ხელი მოეკრა და იქვე სახლში შეეგდო. ეს ამბავი ამით დაშლილიყო.

იმ დღეს სადილათ პასკევიჩთან მიწვეულები ვიყავით, ღუპერსკის წინამძღოლი მუხრანსკი, თა გიორგი ერისთოვი, თა

ლუარსაბ ორბელიანი, თან ნიკოლოზ არღუთინსკი, მედა კიდევ რამთენიმე. სადილზედ მეტად მხიარულად იყო პასკევიჩი, კარგი ევროპული დვინოები სოდა გვასო. მერქეთ სადილისა სიამოვნით გაგვეყარა და ჩუენც ჩუენს გზაზედ წამოვედით, ყუელა თავთავის სახლისაკენ.

რა მე ჩემი სახლის ქუჩას დაუახლოვდი, შევხედე, ჩუენი სახლის ქუჩა სრულიად ქალაქის ხალხით სავსე იყო და რაღაც ყაყანი ჰქონდათ. ჯერ მეგონა მუშტის კრივი არის-მეთქი. მასუცან როდესაც კითხვა დავიწყე, მითხრეს და მალლის ხმით დაიძახეს: მარშალო, სალდათს გვთხოვენ. იმ დილის ამბავი ჯერ მე არა ვიცოდი რა და ეს სიტყუა მეუცხოვა. რისიც რიდი გვექონდა, სწორეთ ის მოხდა.

„ხალხო, რას ამბობთ, ვინა გთხოვსთ, ვის უთქუამს თქუენთვის?“

– „მარშალო, – მითამ თქუენ არა იცით რა, რათ გვიმალავ?“

დაუწყე რწმუნება: პირუელი გაგონება არის-მეთქი, მაგრამ ისინი თავისას ამბობდნენ: სწორეთ სალდათს გვთხოვენ.

რა რომ ვერა გავაგონე რა, ჩუენი სახლისაკენ გავსწიე, ის ხალხი აქეთ-იქით მივაყენ-მოვაყენე, რას ყოფით იმათში გავიარე და ჩუენ სახლამდისინ ძლივს ჩავედი, ასე გატენილი იყო ხალხით, როდისაც ჩუენი სახლის მეორეს ატაჟისა ბალკონიდგან გადვიხედე მეიდანზედ პოლიციის წინა, ეს მეიდანი და იმისი შემოსასვლელი ქუჩები სულ სავსე იყო ხალხით, ისე მოსწოლოდა შავათ. ჩემი სამსახურის ვალისამებრ, პოლიციის წინ ჩავედი, ხალხი მიდგა-მოდგა და პატარა განიერი ადგილი მამცეს. დაუწყე ლაპარაკი.

– „რატომ შეყრილხართ, უმიზეზოთ, უარარაოთ? – კარგათ იცით, მარშალი ვარ მე. ჯერ ჩემთან უნდა მოსულიყავით, გეკითხათ, როგორ არის საქმე და თუ ჩემგნით რიგიანს პასუხს არ მიიღებ-დით, მაშინ უნდა შეყრილიყავით, თუ არა და აგრე უფიქრელათ რატომ ქენით მაგისთანა საქმე?“ –

– „შე დალოცვილო, აგერ კიდეც გვწერენ და სალდათი უნდა გა-მოგუაროთონ“. –

– „სად და რომელს ადგილას სწერენ მაგას?“ –

– „აგერ აიქ პოლიციაში“. ხელით მანიშნეს.

პოლიციაში შევირბინე, პოლიციელისტერი რ... და სხუანი დამსხ-დარიყვნენ, წინ სტოლზედ ქალაქის კამერალიის აღწერა დაედოთ, ხუთსა კაცსა სთვლიდნენ, მეხუთესა სწერდნენ და თან ამბობდნენ: როგორიც უნდა იყოს, სულერთია დაწერეო. ერთმა უთხრა: – იქნება მკვდარი იყოს ეგა? – დაწერე, ვინ დასდევს, ოლონდ სია შევას-რულოთო. ოლონდ კი სია შეესრულებინათ და პასკევიჩისათვის წარედიგნათ, თორემ იმათთვის სულერთი იყო ვინც უნდა დაეწერ-

ათ, მითამ ჯარის კაცი სულ დაწერეს და ამითი ერთგულობა დაანახვეს.

პოლიციელისტარს ხელი მოვკიდე, რა შემამხედა, კმაყოფილებით წამოდგა და მეც კუთხისაკენ წავიყუანე.

– „მიკვირს აგრე რასა ჩქარობთ? – რატომ აგიღელებიათ ეს მშვიდობიანი ხალხი ასე მიტანებით, რომ უთუოთ ეხლავ უნდა შეასრულოთ საქმე? –

– „რა ვქნა, ბრძანება მაქვს“ – ასე მიპასუხა.

– „ეხლავე, ამაღამვე?“ –

– „დიახ ეხლავ“.

– „არ შეიძლება მოითმინოთ, რომ ამაღამ არავინ არ დაიწეროს?“ –

– „არა, არ შეიძლება, ბძანება უნდა აღვასრულო“.

– „ერთი საათი მაინც?“

– „ეგ კი შეიძლება“.

ამ სიტყუასთანავე კარზე გამოვარდი, მინდოდა იმის დაპირებით ხალხი დამერწმუნებინა: აღარ გწერენ-მეთქი. და ამასთან საჩქაროთ კაცი გამეგზავნა, თავად-აზნაურები მამშველებიდნენ, რომ ხალხი დაგვემშვიდებინა. კარზე თან ნიკოლოზ ფალავანდოვი (პასკევიჩთან სამსახურში იყო). დამინახა, მკითხა.

– „აქ რა გინდა ა...?“

– „მარშალი ვარ, ჩემი ვალისამებრ მოველ, ხალხი დავამშვიდოთ. თქუენ რაღათ მოსულხართ აქ?“

– „მეც მაგისტრის მოვედი.“ მიპასუხა.

– „ურიგო არ იქნება კოსტანტინე მუხრანბატონს (ღუბერსკის მარშალს) და სხუებსაც შევატყობინოთ, ისინიც აქ მოვიდნენ?“

– „ძალიან კარგი იქნება, გაგზავნე ვინმე.“ ეს სულ ჩქარა იყო.

მოვტრიალდი, მინდოდა კაცი მეპოვნა ვინმე გამეგზავნა, ამ დროს ჩემი ბიჭი გვერდით მიდგა, ჩუმათ ნავჩურჩულე: ჩქარა გასწი, მუხრანბატონს და აქ ახლო-მახლოს, ვინც თავად-აზნაურები იდგნენ, ჩემ მაგიერ სთხოვე, საჩქაროთ მოვიდნენ. იმან იქითკენ რომ გასწია, მე ხალხისაკენ წაველ, რა მე დამინახეს, დაიძახეს.

– „მარშალო, კიდევ გვწერენ?“

– „არა, აღარ ძმებო“. ეს ჩემგნით ძალიან იამათ. ამასთან ზედატანებით, ჩვენი ღუბერნატორი სტრეკალოვი ცხენით მოდიოდა ერთის ყაზახითა. ნიკოლოზ ფალავანდოვმა მამხედა, მითხრა:

– „ნეტავი ეს დალოცვილი არ მოსულიყო?“ – იმან მითხრა:

– „რათ მოვიდა, რისთვის, ამ ნასომსა ხალხში?“

– „როგორც იყოს, უნდა გავისტუმროთ.“ მე უთხარი. ამ დროს კიდევ მოვიდა და ხალხს დაუძახა.

– „რათ შეყრილხართ, რა გინდათ აქ?“

– „სალდათს გვთხოვენ.“ ხალხმა დაიძახა. როდისაც გადაუთარგმნეს, ხალხსა უპასუხა.

– „ტყუილათ გაგიგონიათ, სალდათს არავინა გთხოვსთ“. ამ სიტყუასთანავე ხმა მაღლივ დაიძახა: ჯერ ხალხი დატორტმანდა, მასუკან ისევ შედგნენ და ერთმანეთს დაუძახეს: ფეხი არ მოიცუალოთ, დადექით აქ. მაშინვე ფალავანდოვი და მე სტრეკალოვთან მივედით. ვთხოვეთ წასულიყო, თვით ჩუენ დავამშვიდებდით ხალხსა. სტრეკალოვმა გვიპასუხა.

– „კნიაზებო, იმედი გაქვსთ, რომ დაიშალნენ?“

– „იმედი გვაქვს, დაგარწმუნებოთ.“ ჩუენ უთხარით. ამ სიტყუასთან გატრიალდა და დამშვიდებულის სახით გასწია თავის სახლისაკენ. ის რომ იქითკენ წავიდა, თა ფალავანდოვი ერთ მხარეს შევიდა ხალხში, მე მეორეს მხარეს და დაუწყეთ ლაპარაკი, დამშვიდებულიყვნენ. ამაბაში ლუბერსკის წინამძღოლმელი მუხრანსკი, თა გიორგი ერისთოვი, თა ნიკოლოზ არღუთინსკი და სხუები მოვიდნენ, რომელთაცა დავშალეთ, ყუელანი თავთავის სახლებისაკენ წავიდნენ.

იმ ღამეს ღუბერსკის წინამძღოლი მუხრანსკი; თა ნიკ. არღუთინსკი-დოლგორუკოვი¹ და მე პასკევიჩსა დავებარებინეთ, იმის კაბინეთში რომ შევედით, სიამოვნით გვითხრა.

– „მე თქუენ გმადლობთ თქუენის სამსახურისთვის. მე თქუენი საქმე ყუელა წვრილათ ვიცი, კიდევ გმადლობთ კნიაზებო. მაგრამ სოფლებიაც ხალხსა ის ჩემი გამოცემული წერილი, იქაც სხუა რიგათ გაუგონიათ და ჰვონიათ სალდათს ვთხოვდე. კნიაზებო, მე თქუენთვის მამინდვია, საქართულოს კეთილშობილთათვის. იმედი მაქუს, ყუელგან დაამშვიდებთ ხალხსა, მე იქამდისინ არ მიმახნევინებოთ, რომ სამხედროს ძალა მოვიხმარო ხალხზე და ჩემი ცუდი სახელი დარჩეს თქუენში. გაუფრთხილდით თქუენს თავს.“

ჩუენ დავარწმუნეთ, ყუელგან მშვიდობა იქნება და ამის დასამტკიცებლად, ხუალ ქალაქის ჯარსაც გამოვიყუანთ წინაშე მისა. მცირედი მოლაპარაკების შემდგომ, ღუბერსკის წინამძღოლთან მოვედით, სადაც იმ ღამესვე თავადაზნაურობა მოვიწვიეთ და იქვე პირობა დავდევით: სულერთიან საქართულოს ხალხი გავწყდეთ და ჩუენი დამლუპელების, ოსმალ-ყიზილბაშების შემოშვება საქართულოში აღარ უნდა იყოსო. ამის მეორე დღეს პოლიცია აღარ მოგვინდა, ჩუენ, თვით ჩუენ კეთილშობილებმა დავიარეთ და ჩუენს მოსისხლეს ოსმალოზედ ამხედრება ვთხოვეთ ხალხსა, საიდგანაც ექვსი ათასი თოფ-იარაღიანი ქ. ტფილისის ჯარი წარუდგინეთ

¹ ეს არღუთინსკი-დოლგორუკოვი კარგი გონების კაცი იყო და საზოგადოებისაც.

პასკევიჩსა, რომელიცა დიდი მადრიელი დარჩა ჩუენი.

ორი დღე აღარ გამოვიდა, რომ სადილს უკან, ღუბერსკის წინამძლომელს საჩქაროთ დავებარებინე, მითხრა:

- „არ იცი...ა... რა ამბავია?“
- „არა, არაფერი“. – „მაშ საჩქაროთ გადი ავლაბარში, რაც ქალაქის გარშემო სოფლებია, სულერთიან იმ სოფლების ხალხი ჩამოსულან, ავლაბრის ხალხიც იმას მისდგომიან და დიდი ყაყანი აქუთ. არ მივცემთ სალდათსაო. როგორც იყოს, დაშალე, წავიდნენ თავთავის სოფლებში.“

ყოველ, ცხენი შევაკმაზვინე, ჭენებით გაველ. შევხედე, ავლაბრის მეიდანი სავსე იყო ხალხით, როდესაც იმათ მოხელეებმა დამინახეს, დაიძახეს: მარშალი მოვიდაო. ამ სიტყუათანავე გარს შემომეხვინენ და იმ ხალხიდგან ზოგიერთმა დაიძახა.

- „მარშალო, სალდათს გვთხოვენ, სალდათს.“
- „არ მივცემთ არა... არა...“ ერთიან იმ ხალხმა.

დავუწყე ხალხს ლაპარაკი: სხუა რიგათ გაუგონიათ, აგრე არ არის დაწერილი, უნდა თავადაზნაურობას დაგვიჯერონ, ჩუენ იმათ ცუდს არას ურჩევთ და ამაზედ ვილაპარაკე. მაგრამ არა მეშუელა რა, ვერ დავაჯერებინე. ხალხი ცოტათ მთვრალიც იყო. მოველ ღუბერსკის წინამძლოლთან და ყუელა უანბე. იმან საჩქაროთ კაცები დაატარა, თავადაზნაურობა შეჰყარა, საიდგანაც ცხენებზედ გადავსხედით და ავლაბრისკენ გავისწრაფეთ.

რაღა გავაგრძელო, სალამომდისინ ველაპარაკეთ, მაგრამ მაინც არა იქნა რა და ისევ ღუბერსკის წინამძლოლთან მოვედით, სადაც ბევრი ლაპარაკი გვქონდა: რა ვქნათ, როგორ მოვახერხოთ? – ამაში მე ღუბერსკის წინამძლოლი მუხრანსკი, გიორგი ერისთოვი და წიკოლოზ არლუთინსკი მეორე ოთახში გამოვიყუანე, ვუთხარ: მე მინდა კიდევ ავლაბარში გავიდე. ახლა სოფლების მოხელეებს ველაპარაკო, იმედი მაჟუს, ეხლა უთუოდ დავშლით?

მამინონეს, წამოველ ავლაბრისკენ ბელ ლამეში ცხენით. ხალხი აღარავინ აღარ იყო, სულ დაფანტულიყვნენ, ზოგიერთი მოხელეების მეტი, ისინი კი ერთ დუქანთან იყვნენ და რჩევა პქონდათ: რა ვქნათ როგორაო? – მე ეს ჩუმათ მითხრეს და მაშინვე მიველ იმათ-თანა.

იმათ ჩემი ნახუა არ ეწყინათ. ცხენიდგან გადავხტი, ცხენი ბიჭს მივეცი და დუქანში შეველ, სადაც ისინი იქ შევასხი. იქიდგანაც დუქნის ოთახში შევიყუანე და კარები მაგრა დავაკეტინე, უცრათ არავინ შემოსულიყო, რომელსაცა მედუქნესა სუფრის გაშლა უთხარ და იმანაც ჩქარა გაგვიშალა. დავსხედით, კარგად დავხვდი და ბევრი ლაპარაკის შემდგომ, ბოლოს უთხარ, როგორც იყოს და რი-

თაც ღონით, უთუოდ უნდა დაშალოთ ხალხი. იმათ მითხრეს: ერთი კიდევ გაისარჯენით, ხუალ ძალიან ადრიანათ გამოდით თავადები, რომ მაშინ უფრო ჩქარა დავშლით ხალხსა. უთუოთ ასე ინებეთ და ჩუენც სულ აქ დაგხვდებით სულერთიან.

ღუბერსკის წინამძღოლმელთან კიდევ იყვნენ ზოგიერთნი. მე რომ იმათ დამინახეს, ერთიანათ დაიძახეს: აპარიტ მოხუედი. – მეც ყუელა განუცხადე, რომლებიცა მეორეს დღეს ადრიანათ გავედით იქ და დავშალეთ დიდის ცდითა, მაგრამ ყოველი ჩემი ესე ცდანი, სხუებმა მიინერეს, მე ამაზედ ხმაც არ ამამილია, არამცუუ თავი გამამედოს. მაინც ყოველი ჩემი საქმე ასე იყო ხოლმე. ამ მეორე ამ-ბავმაც ასე გაიარა და ახლა მესამე დავიწყოთ.

სამისა თუ ოთხის დღისა შემდგომ ღუბერსკის წინამძღოლმელს დავებარებინე დიახ ჩქარა, კიდევ სადილს უკან. მეც საჩქაროთ გავედი. ახლოც ვიდექ იმაზედა. მითხო.

– „ა... ქართლს გამოღმა მხრიდგან, დიდი შეყრილი ხალხი წა-მოსულა თოფ-იარაღით და ქალაქზედ მოდიან, უნდა ქალაქი ააშ-ფოთონ. ჩემოა... შენ და ჩემიძმა თეიმურაზ წადით, წინ მიეგებენით ხალხსა, ეგება დააბრუნოთ, წავიდნენ შინ, ნულარ ჩამოუშვებთ აქა“.

– „მართლა ბძანებთ, ვინ შეგატყობინათ ეგ ამბავი?“ მე ვიკითხე.

– „პასკევიჩს შემოეთუალა. ნულარ დაიყოვნებთ, ჩქარა წადით.“

საჩქაროთ ჩემი ცხენი მოვაყუანინე და ოთხი ცხენიანის მოსამ-სახურითა გავსწიეთ ჩქარის ჩორთით, სადაც დიღმის მინდვრის იქით, ნაქულბაქევის მთის ძირში გადავხტიოთ გაზაფხულის ბალახ-ზედა და ასე ამგუარად დავიწყეთ ლაპარაკი ჩუენთვის: იქნება ტყუილი იყოს, თორემ აქამდისინ ხალხი გამოჩნდებოდაო? –

ამ ჩუენს ლაპარაკში, ერთი პირი დიდი ხალხი მთის ბილიკის გზაზედ გადმოვიდნენ, მეორე უფრო დიდი ხალხი დევის ნამუხლის ვიწროებიდგან გადმოვიდნენ და ქალაქისკენ მიეშურებოდნენ. მე და თეიმურაზმა კაცები გაუგზავნეთ ხალხსა: თეიმურაზ მუხრან-ბატონი და ქალაქის მარშალი აქ არიან აქ ჩუენთან მოდით, ვი-ლაპარაკოთო. ის რამთენიმე ათასი კაცი მოვიდნენ და პირდაპირ დაგვიდგნენ ჩუენ, რომელთაცა გაუგრძელეთ ლაპარაკი და ბოლო დროს ზოგიერთი ხალხი კიდეც დაბრუნდნენ, მაგრამ ერთი თეთრ-ჩოხიანი ყმაწვილი კაცი იდგა იმათში გაჩუმებული; თოფი მაღლა აიღო და მაღლის ხმით დაიძახა: სად მიხუალთ? – ამ ჩემს თოფსა ვკრავ, ვინც რომ უკან დაბრუნდება, თავადებსა რათ უგონებთ, სულ ეგენი ღუბენ გლეხსა კაცსა. ხალხი მაშინვე დატრიალდა და ქ. ტფილისისკენ გამოსხია. მე და თეიმურაზმა ვთქვით: თუ ამ თოფ-იარაღიანმა ხალხმა ქალაქში შეგუასწრა, მთელს ქალაქს

აშლიან, იმათთან მთელი საქართულო აიშლება, ზედ იმათ მთების ხალხი მოესხმის, მთელი თათრობაცა იმათ მიჰყუება და ბოლოს დღის კარგი არა იქნება რა. ამ უკანასკნელს სიტყუასთან ცხენზე შევვჯექ, ძალიან კარგი წითელი დილიბოზის ცხენიც მყუანდა და ნახევარ საათზე ქ. ტფილისში ჩამოვიჭერ. თეიმურაზ კი იმ ხალხს გამოჰყუა ლაპარაკით.

ისე ცხენით შევვაჭენე, ლუბერსკის წინამძღომელი კარზე ეზოში დადიოდა: მუხრანის ბატონო, ვერა გავხდით რა, ხალხი ვერ დავ-აბრუნეთ, ქალაქზე მოდიან, უნდა ქალაქი ააშფოთონ. ამასთან უულა უთხარ.

— საჩქაროთ წადი ჩემო ა... კნიაზ გიორგი (თავისთოვსა) შეატყობინე, აქ ჩემთან ჩქარა ჩამოვიდეს, მინამ სხუებსაც და-ვიბარებ და ერთიანად გავეგებნეთ; რომ ის შეიარაღებული ხალხი ქალაქში ადარ ჩამოუშოთ.“

მინამ თავისთოვსა მოვიყუანდი, თავადაზნაურობა კიდეც შეყრილიყვნენ, რომლებიცა გადავსხედით ცხენებზედა და გავსწი-ეთ ჩქარა.

საბურთალოს მინდორი რომ გავიარეთ და დილმის ვიწროებსა გადავხედეთ, მთელი ის ვიწროები სამსე იყო ხალხით და ჩქარის სიარულით მოდიოდნენ ქალაქისკენ. ჩუენ ოთხმოცამდინ თავადაზნაურობამ, ამოსასვლელი გზა შეუკარით და წინ გაუდექით ხალხსა, ამ დღის ხალხიც ზედ მოგუადგა. რა რომ დაგვინახეს, ჩუენც ერთიან დავძახეთ ხმამაღლივა: ხალხო, დადექით. ხალხი შედგა. თავისთოვგი ერთიარებული და ლუბერსკის წინამძღოლი წინ წაუდგნენ ქუე-ითი ხალხს, საიდგანაც ჩუენც დავძახეთ ზევიდგანა: ხალხო, გიორგი კნიაზს და მუხრანის ბატონს გაუგონეთ. ამ ორს გუამსა კარგად იცნობდა მთელი საქართულო, თუნდა ვისაც ისინი არ ენახა, იმათი სახელი მაინც გაეგონათ. მაშინ ისინი იყვნენ პირუელი კაცები საქართულოში.

დაუწყეს ხალხს ლაპარაკი და ხალხი დააჯერეს, რომ იმათ სალდათს არა სთხოვენ, მხოლოდ ჩუენი ჯარი უნდა წაიყუანონ ოს-მალოზედ, იმ ჩუენს უნიდელს მოსისხლესა მტერზედ, რომელთაცა ჩუენი ქუეყანა გააოხრეს.

ხალხი მადლიერი დარჩა, მაგრამ ხალხმა სთხოვა: თუ შეიძლებოდეს ეგ თქუენი სიტყუა, თვით პასკევიჩმა გვითხრას თავის პირითაო. მაშინვე თავისთოვგი ერთიარებული, რამდენიმე კიდევ სხუანი აერჩივნენ, გლეხი კაცებიდგანაც რამდენიმე ამოირჩიეს და თან გამოჰყვნენ პასკევიჩისაკენ, რომელსაცა იმასაც ისე დაერწმუნებინა, როგორც ამ ორთ. ეს მესამე არეულობაცა ასე დავამშვიდეთ და წავიდნენ ყუელანი თავისთავად. არამც თუ მარტო ქ. ტფილისში

— ყოველს უეზდის ქალაქებშიაც ამისთანა არეულობა მომხდარი- ყო, მაგრამ იქაც თავადაზნაურობასა დაწყისათვის ხალხი.

ამის შემდგომ პასკევიჩმა ქართულს ენაზედ პრაკლამაციით¹ მოი- წვია საქართულოს ხალხი ასამხედრებლად პირისპირ ოსმალოსი; თვით ის პრაკლამაცია ჩემის ვალისამებრ მე დამქონდა ქ. ტფილისის უეზდის სოფლებში და ხალხს უკითხადი, რომლისაგანაცა შეირყა საქართულოს ხალხი და ნასასვლელად მოემზადნენ ოსმალოზედ, მა- გრამ მაშინ პასკევიჩი ოსმალოში იყო რუსეთისა დიდის ჯარით და საჭ- ირო აღარ იყო ჩუენი ჯარი იმისათვის.

ბოლოს დროს პასკევიჩმა მოინდომა, შეიტყოს: რა მიზეზით მოხდა არეულობა? — ამისთვის ქ. ტფილისის ისპრავნიერი ვ... მიანდო გამოძიე- ბა, რომელმაცა ხალხი აალაპარაკა, არ ვიცი კი მიზეზი რა იყო? — შიშ- სა და მათრახსა ქუემა თქვით: ლუარსაბ, ასლან, იაკობ, ქაიხოსრომ და მაშუამ ორბელიანებმა გვითხრეს, არეულობა მოხდინეთ და ჩუენც მოვახდინეთო. ამაზედ მისცეს პოდსუდში და რამთენსამე წელინადს შემდეგ ძლივს გაიმართლეს თავი. ამის გამო ჩუენ ქართულები აგვი- თუალნუნა პასკევიჩმა, მაგრამ იყო უსამართლო. მაშინ როდესაც რომ იმ პირებმა თავიანთი გლეხი კაცნი დასაჯეს: როგორ გაბედეთ არეუ- ლობაში გაერიენითო. ჩემის თუალით ვნახე, ასლან ორბელიანის წინ დაიძახა იმისმა ყმამ თულთანდილამ: სალდათს არ მივცემთ, არა ბა- ტონი. იმან ეს რომ დაიძახა, ასლან ორბელიანმა ყბაში შემოჰკრა ლანძ- ლვით: შე ასეთო და შე ისეთო, ვინა გთხოვს სალდათს? — ოსმალოზე უნდა ნავიდეს ჩუენი ჯარი, იმ ჩუენს დამლუპავს, ჩუენს მოსისხლეს მტერზედ. ეს იყო მაშინ, როდისაც რომ პირუელად ავლაპარში გავე- დით. ეჲ, რაღა უნდა ვთქუა, ბევრი უსამართლოება მომხდარა ქუეყ- ანაზედ, ესეც იმათში იყო.

ბოლოს იმ ისპრავნიერი ვ... სილნალი მიაბარეს, სადაც ერთს სოფელ- ში იმის ნაცუალი მათრაბ ქუემა მოკულა დიას მცირეს საქმეზედა უს- ამართლოთ. მართალია, პოდსუდში მისცეს, მაგრამ იმ მოკლულსა კაც- სა რაღა ერგო? — ის ერგო, რომ ის მკვლელი გამართლდა. გამოძიებაში ცოტა დამნაშავედ აჩუენეს მოწმებმა, თვით მე ვიყავ² გამომძიებელი, მაგრამ მართალი კი ეს არის, რომ სწორეთ იმან მოკულა იასაულების მა- თრახების ქუემა.

**თ ა ლექსანდრე ვახტანგის ძე ქ. ორბელიანი
27-ს ნოემბერს 1865-სა წელსა ქ. ტფილის.**

¹ ის პრაკლამაცია კიდევ თავი ნიკოლოზ ფალავანდოვს დაეწერა და ძალიან კარგა- დაც იყო დაწერილი. პირუელათვე რომ ასე ექნათ, ის არეულობა აღარ მოხდებოდა მთელს საქართულოში, თუ არა და ფორმას რა გაეწყობა, სულ იმ ფორმამ მოახდი- ნა ის ანბავი.

² მაშინ ვმსახურებდი სოვეტნიკათ ისპოლნიტელის ექსპედიციაში, ახლა ღუბერსკი პრავლენიე.

დაღისტანიდგან ლეკვების გამოსვლა ასალციხეში

ნარსულს ერთ ჩემს წერილში ვთქვი: ერთხელ როდესმე დავწერ, საიდგან მოდიოდნენ საქართულოზედ ლეკ-ოსმალები მეთქი, რომელმაცა შემთხუევა ვიპოვე და მოვყევ პირობის აღსრულებას.

დაღისტანსა და ახალციხეს შუა შემოსული ჯარი საქართულოში, ახალციხეს გასავლელად დაღისტნიდგან რასაკირველია ძნელი იყო, თითქმის შეუძლებელი, მაგრამ შეუძლებელი ადვილი შესაძლებელი შეიქნა, დაღისტნის ჯარების ქურდულად შემოსვლა საქართულოში და საქართულოდგანვე ქურდულად გასვლა ახალციხეში. თუმცა ადრიდგანვე მეფის თეიმურაზის მეორისა და იმის ძის მეფის ირაკლიმდისინ ეტანებოდა ლეკი საქართულოს, მაგრამ არა ისე თავმოხელებით, როგორც ამ მეფეების დროსა. მიზეზი ამის ეს იყო: 1724-ს წელსა ოსმალომ რომ ჯარები შემოიყვანა საქართულოში საქართულოს დასაპყრობლად, აი აქედგან დაიწყო ოსმალ ლეკებისაგან საქართულოს გაოხრება, რომელმაცა იმავე წელსვე სომხით-ქართლი დაიჭირა და კახეთისკენ გაემართნენ დასაპყრობლად¹ ლეკების წინმორბედობით, სადაც ჩავიდნენ და ქიზიყიც დაიჭირეს.

მაგრამ ამ დროს მეფე თეიმურაზ მეორე კახელებით დაესხა და ძალიან გაიმარჯუა ოსმალებზე. ამით რომ ვერას გახდნენ რა ოსმალები და კარგა ხანიც გამოვიდა, ბოლოს ჭარბელაქანში მოუყარეს თავი დაღისტნელებს, იმათვე დიდი შემწეობა მისცეს საქმის დაწყობით და ამათის შემწეობით ისევ დაიჭირეს ქიზიყიც და კავკასიის ძირი, კახელებიც დაიპყრეს სრულად. ამის გამო მეფე თეიმურაზ ველარ დადგა კახეთში და ფშავის სიმაგრეებში დაიხიზნა. ზევითი კახეთი კი თელავის მხრისა, დიდი და პატარა სულ სიმაგრეებში შევიდნენ და ყოველი შემოსასვლელი ადგილები გაამაგრეს. მაშინდელი ზევითი კახელების სახელი დაუკინებარი იქნება მარადის! წამხდარი ქიზიყიც და კავკასიის ძირის კახელები კი დამორჩილდნენ. დამორჩილებაზე ვიღა რას იტყვის, სარწმუნოებაც შეიცუალეს გლეხებმა, თავად-აზნაურების გარდა, რომლებიც ვერაფრით ვერ გადიბირეს ოსმალების მეტყუელებმა.

ამ დროებში ბატონიშვილი ირაკლი (შემდეგ მეფე) ფშავიდგან ალავერდში ჩამოვიდა და აქედგან დაეხმაურა ქიზიყ-კავკაზიის ძირის კახელებსა, რომლებიც აღარ დამორჩილდნენ მტერსა და

¹ ამ წელს ქართლის მეფე ვახტანგ რუსეთისაკენ წავიდა, საქართულოზე ხელი აიღო, მინამ ოსმალები შემოვიდოდნენ.

ბოლო დროს კიდეც გაიყუანეს თავის მამულიდგან. თუმცა ისტორია მეფე ირაკლიზედ სხუა რიგათ ამბობს, მაგრამ მე ეს ასე ასეთებისგან ვიცი, რომ ეს უფრო მჯერა: ფშავიდგან ალავერდში გადმოსვლა ირაკლისა. ამისთანა კარგი საქმე აცნობა თავის მამას მეფე თეიმურაზს, რომელიცა მაშინვე ჩამოვიდა ხიზნით და თელავში დაჯდა კვლავად მეფედ, სადაც შეიკრიბნენ დახიზნულნი ყოვლის მხრიდგან და სოფლები ისევ ისე გააშენეს როგორც იყო, მაგრამ ქ. ტფილისში ოსმალებმა ეს არ დასთმეს, ჭარბელაქნელების და დაღისტნის ჯარები შეიყარეს ალაზნის პირზე ამ განძრახვით, რომ ქიზიყი დაემხოთ. მინამ სრულად ეს ჯარი შეიყრებოდა, რამდენიმე დასტა წამოვიდნენ, ქიზიყის ბოლო მოარბიეს, ტყვე საქონელი წაიღეს და კარგის დავლით მივიდნენ თავის დიდ ჯარში, მაგრამ ამ დროს ზედატანებით მეფეს თეიმურაზს მოხსენდა: ალაზნის პირზედ დიდი ლევაის ჯარი იყრება ქიზიყის წასახდენათაო. მაშინ ირაკლი თხუთმეტის წლისა საჩქაროთ ამხედრდა ზევითი კახეთისა ჯარით და ქიზიყში ჩაიჭრა.

მტრისგან შეძრნუნებულებმა რა ქიზიყელთ ესე ნახეს ამ პატარა ბატონშვილის გაგულისება მძლავრსა მტერზედ, დიდი და პატარა ვინც კი ხელის გამომავალი იყო, ყუელანი ცხენთა გაუსხდნენ ირაკლის და ალაზნისაკენ გასწიეს. იმ ომში დამსწრეთ ვისთვისაც უანბიათ იმ ომის ამბავი, მეც იმათვან გამიგონია ასე:

„პატარა ბატონის ირაკლის ჩასვლა რომ გაუგონიათ ქიზიყში, დედაკაცებს კაცებისათვის ალარ დაუცლიათ, იმათ გამოუყუანიათ ცხენები და იარალიც იმათვე შემოურტყამთ ქმრებისათვის ამ სიტყვით: წადით, დაიხოცენით მამულისთვის, დღეს თუ ხუალე სულ ერთია სიკვდილიო, იახელით პატარა ბატონს ირაკლის და იმის ნინ დაანთხიეთ თქუენი ერთი მუჭა სისხლიო“.

ნეიმნის მინდორი იყო პირველი ომის მონამე პატარა ირაკლისა, რომელთაცა ამასთან ესეც უთქუამსთ:

„პირუელად ოსმალ ლევების ჯარი რომ დაუნახამთ ქართულებსა, ბევრით ქართულებზედ მომატებული, შეშინებულან: დედის ერთას ირაკლისა მოგვიყლვენო, ასე ელაპარაკათ პირუელ კაცებს ერთმანეთში. მაგრამ ყმანვილის ირაკლისთვის და იმის დამშვიდებულის ლამაზის სახისათვის რომ შაგეხედათ, ბედაურს ცხენზედ მკერდ გამოჭიმულისთვის, რომელსაცა თუალი მტერზედ ეჭირა და უშიშრათ შეჰყურებდა იმათ, მოწყენილობა გულიდან გადაგუეყარა და მაშინვე გავსწორდით ცხენებზედაო. ბოლოს ჩუენკენ მოიხედა და ესეც რომ გვითხრა: დღეს აქ უნდა დავიხოცნეთ ამ ნეიშინის მინდორზედ, ან გამარჯულებული გამოვიდეთო. ამ სიტყუამ ხომ ერთი კაცი ათი გაგვხადა და ერთიანათ დავიძახეთ:

„დედა შეერთოს ცოლათ, ვინც აქედგან უსიკვდილოთ წავიდეს შინ, თუ არ გავიმარჯვებოთ“.

თუ არ დიდ გაჭირებაში, ასე ადვილათ არ დაიფიცავდნენ უნინ-დელი ქართულები და როდისაც ამას იტყოდნენ, ან თავი უნდა გაეტანათ ან არა და უთუოთ განყუეტილიყვნენ. ბევრი მაგალითიც მომხდარა, რომ სრულებით განყუეტილან, ერთი ქართული ჯარისკაცი ცოცხალი აღარ დარჩენილა.

ამ სიტყუუსთანვე შეუტევიათ იმთენის ჯარისთვისა გულთამა-მად, მაგრამ ისინიც მაგრა დახუცედრიან, სადაც ხმალდახმალი კაფა მოშედარა და ქართულებს გასჭირებიათ იმთენის ჯარის პირდაპირობა. ირაკლის რომ ეს უნახავს, თვითონ თავის დასით დასძერებია იმათ შუაგულში და ტორტმანით წაუყვანიათ უკან. მეორეთ უფრო შიგ შეჭრილა იმათ შუაგულის ჯარში და აქ ასე დაუმარცხებიათ გათამამებული და დარწმუნებული მტრის ჯარი: უთუოთ იმ ცოტა ქართულებსა ასე გავწყვეტთ, მოამბეც ვეღარ წავიდეს შინაო. წაცვლად ამისა, თვით ისინი ასე დამარცხებულან, რომ ვინ წინა და ვინ უკან. ომიდგან გამობრუნებული ქართულები მოსულან და დიდის სიხარულით მოულოცნიათ გამარჯუება ირაკლისათვის.

ეს პირუელი ომი ირაკლისა ასეთი განმაძლიერებელი იყო ქართულებისა, რომ ვეღარსად ვეღარ შეიკავებდა მტერი თავსა, თუ ირაკლი იქ იყო, მაშინვე დაამარცხებდნენ. არამც თუ ირაკლი იქ იყო ხოლმე – მტრის წინამდლომელი დურბინდში რომ გამოიხედავდა და ირაკლის ბაირახს იცნობდა, იმათ დასამარცხებლად იმის ბაირახიც საკმაო იყო.

ამ ირაკლის გამარჯუებასა ნადირშაც ზედ მოესწრა და ოსმალები საქართულოდგან გაიყუანა. თუმცა ოსმალებმა საქართულო დაცალეს, ნადირშამაც მეფე თეიმურაზს და იმის შვილს ირაკლის საქართულო მოსცა და თან დიდი შემწეობა თავის ჯარებითა, მაგრამ ამასთან ასეთი ხარკი დასდო საქართულოს, რომ დიახ დასამძიმებელი. როგორც ოსმალებისა: ვაის გავეყარე, ვუის შევეყარე. ამ ხარკის საქმეზედ ისე მოუვიდათ მაშინ ქართულებსა. მაგრამ ამ ხარკს ვიღა დასდევდა, რაც უნდა დიდი ხარკი დასდებოდათ ქართულებსა, ფიქრი არ იყო, ასე რიგათ თავგამოდებით ეწეოდა საქართულოს ნადირშა, მაგრამ შინაურმა მტერმა გააჭირა, დიდი უბედურება დამართა საქართულოს. ბოლოს წაიკითხავთ მეფე ვახტანგის მცირეს ამბავში.

მარტო ნეიშნის მინდორზე გამარჯუება რა სარგებლობას მოსცემდა, ანუ გამოიხსნიდა საქართულოს, მაგრამ მაინც იყო რამე შემწეობა საქართულოსი. პატარა ირაკლიმ ესენი ცხადათ დაინახა. მაშინვე, ხანი რომ აღარ გამოსულიყო, კარგი კაცები

გაუგზავნა ჭარბელაქნელებსა, ქართუელების და იმათი გაერთება შეუთვალა, მაგრამ ნაცვლად ამისა, გაგზავნილს კაცებს უკან ჯარი მოაყოლეს ლეგებისა და ირაკლიზედ მოუშვეს. ირაკლიმ ესენიც დაამარცხა, მესამე და სხუებიც უფრო ძალიან, მაგრამ მაინც კიდევ არ გაუერთდნენ ქართუელებსა ჭარბელაქნელები. ჭარბელაქნელებთან რომ ვერა გახდა რა ირაკლი, მასუკან მთების ხალხსა, დიდოელებს და ანწუხელთ გაუგზავნა კაცნი ერთობისა, რომელთაც დიდის სიამოვნით მიიღეს, მაშინვე პირუელი კაცები გამოუგზავნეს და ერთობა მოახდინეს. შემდგომ აღარც ულალატებიათ საქართუელოსთვის იმათ მეფის გიორგის მეფობამდისინ. დიდოელებში და ანწუხელებში დღესაც თურმე იპოება მეფის ირაკლის წიგნები წყალობისა. რამდენჯერ შეყრილან დალისტნის ჯარები, მოუნდომებიათ, რომ დიდოელებზედ და ანწუხელებზედ გამოვიდნენ და კახეთი სრულიად წალეკონ, მაგრამ არც ერთხელ არ გამოუშვიათ. მართლად იტყვიან: ბარში დაკარგულსა ჭკუასა მთაში იპოვიო. ეს როგორდაც მართალს ჰგავს ჭარბელაქნელებზე. მინამ მეფე ირაკლი ცოცხალი იყო, ყოვლის ღონით დაუცხრო-მელად ცდილობდა, რომ ჭარბელაქნელები როგორმე გაერთა, ან როგორმე შეერიგებინა, მაგრამ არა ეშველა რა. მაინც კიდევ უკანასკნელად თავის მოხუცებულობაში¹, აღამამადხანის მოსვ-ლის ოთხის წლის წინათ პირუელის ოჯახებიდგან მოხუცებული კაცები, შუახნისა და ყმაწვილები თხუთმეტი წლისა ან ცოტა მეტნაკლები მოიპატიჟა ჭარბელაქნიდგან სიღნაღმი და კარგად დაუხვდა. სადილს უკან თვითეულად ყუელას ხალათები უბოძა და ამასთან ლაპარაკი დაუწყო ასე:

- „ჩემი ყმაწვილობით აქამდისინ არ დავმცხრალუარ თქუენსა და ქართუელების გაერთებასა, მაგრამ ვერაფრით ვერ შევიძელ. ყოველი ჩემი ღონისძიება დავასრულე თქუენზე. არ არის კარგი, არ უნდა შვრებოდეთ ამას, რომ თქუენი ძმები ქართუელები გა-მოგიმეტებიათ, გინდათ ძირიანად ამოთხაროთ და ჩუენ მაგიერ-ათ ოსმალები დაასახლოთ საქართუელოში. ამისთანა საძაგელსა საქმეს არც ერთი გუარი არა იქს ქუეყანაზედ, თქუენა ხართ ამისი პირუელი მაგალითი. თუ სარწმუნოებას იტყვით, თქუენ მაკმადი-ანები ხართ, ოსმალებთან ერთი თანა მორწმუნე, ეს დიახ კარგი,

¹ ეს მაშინ იყო, ქ. ტფილისში იმერეთიდგან დესპანები რომ მოუვიდა მეფეს ირაკლისა: იმერეთი მიიღე და საქართუელოს შეაერთო. ამაზედ მეფე ირაკლიმ და იმერეთის დესპანებმ პირობა რომ დადგეს, მასუკან მეფე ირაკლი სიამოვნით სიღნაღმი წავიდა და იქ ჭარბელაქნიდგან პირველი ოჯახის შვილები დაიბარა და ახლა ამათ ელაპარაკა ერთობაზედ.

ვინ შეეხება თქვენს სარწმუნოებასა? – ვინც კი თავის სარწმუნოებაში აღზრდილია, იყავით იმ სარწმუნოებაზედ და ჩუენ ვიქენებით იმის პატივის მცემელი ჭეშმარიტად¹. კარგათ დაისაომეთ, რასაც მე ეხლა გეუბნებით, თუ ამ ჩემს რჩევას გაიგონებთ, თქუენც ბედნიერი იქნებით და ჩუენ ქართულებიც და თუ კიდევ ასე მოჰყუებით, როგორც აქამდისინ აოხრებდით და აოხრებინებდით საქართულოს ოსმალებსა, უნდა კარგად იცოდეთ, თქვენი შვილები, ანუ თქუენი შვილიშვილები ასეთს ვაებაში ჩაცვიდებიან, რომ თქუენი დედაკაცები მნარედ ტიროდნენ, გლოვა და თავში ცემა ჰქონდესთ და მშუელელი კი ალარავინ იყოს იმათა. ამისთანა უწყალოება მოივლინება იმათზედ, ეს კარგათ იცოდეთ. მე რომ ეხლა მოხუცებულები, შუახნის კაცები და ყმანვილები მოგიპატიუეთ, მიზეზი ეს არის, რომ მოხუცებულებმა ურჩიოთ თქუენს ჯამაათს, დასცხრენ, ნულარ მოდიან ჩუენზედ, ნულარც ისმალებს მიეკარებიან და ჩუენთანაც გაერთდნენ ერთ ძმათა. თქუენ შუახნისას კი ამას გეუბნებით, თვითონ თქუენა ხართ ამლელვებელი მთელი თქუენი ხალხისა ჩუენზედ. გეუბნებით, კარგია, ამდენს ავკაციობაზედ ხელი აიღევით, თორემ ბოლო დროს ჭარბელაქანი ინანებს. მე ეს წინათვე მინინასწარმეტყველებია თქუენთვის. და თქუენ, ჰატარა ყმანვილებო (მასუკან იმათ მიუბრუნდება), ამას თქუენ ნუ დაივიწყებთ, თუ ამ ჩემს სიტყუას ესენი არ დაისწავლიან და კიდევ თავისებურათ მოჰყუებიან ჩუენზედ, მაშინ მამიგონეთ, როდისაც თქუენს ცოლსშვილში საშინელება იყოს უწყალოებისა.

ყოვლის ფიცით დარწმუნებული მეფე ირაკლი კმაყოფილი შეიქნა იმათგან და გამხირაულებული წამოვიდა. ცოტას დროსაც დასცხრენ, მაგრამ ბოლოს მაინც კიდევ მოერია ცფიერი ეშმაკი ჭარბელაქენებს და კიდევ მოჰყუნენ, მაგრამ უფრო სუსტათ.

შარმან 1863-სა წელსა ზაფხულს ჭარბელაქანში აღრეულობა რომ მოხდა, ერთი მოხუცებული ლეკი იჯდა თურმე თავის სახლის

¹ ერთს დილა ადრიან მეფე ირაკლი წამოდგა და მოაჯირზედ სიარული დაინწყო, ამ დროს მეფის საყუარელი და ერთგული მოსამსახურე ქურდაშვილი და ერთი სასახლის თათარი შესიტყვებულმა და გაფიცხებულმა ქურდაშვილმა უთხრა: შერჯულადლო თათარი. ამ სიტყუაზე ერეკლე გადმოდგა და დაუძახა: როგორ ქურდაშვილო? – ქურდაშვილი შეშინებული დადგა. დაიძახა: ნემსი მოიტანეთ, ენა გამოაყოფინეთ მაგ ქურდაშვილს და თვითონ ნემსით ენა დაუჩხლიტეთ, რომ მაგ ენან ალარ გაბედოს მაგუარი. ენა გამოაყოფინეს, თვითონ ნემსს ჩაკრავდნენ და მასუკან გადააგდებდნენ. გადმოსდიოდა საწყალს სისხლი. მინამ ის ნემსები არ შეალიეს, არ მოეშო, მერე უბბანა: კარგათ უნდა იცოდე, როგორც შენ შენი რჯული გიყუარს, ისე მაგას თავისი. ამისთვის გააგდევით ეგ ქურდაშვილი, რომ მაგნ ჩემი სახლი ალარ წახოს და ალარც გაუტარებია თავისთან. ყოველს სარწმუნოებასა მეფე ირაკლი დიდს პატივს სცემდა ასე.

კარებთანა და თან ამას ამბობდა ცრემლით:

– „რაც მეფე ერეკლესგან მე გავიგონე, ისინი ბევრი აგვიხდა და ეხლა ხომ სრულებით დავიქცევით ჩუენ. რაც ჩუენმა მამაპაპებმა ქართულებს უყვეს, ახლა ჩუენ უნდა გადაგვხდეს, ის ჩუენი მამაპაპების უწყალოება ქართულებზე, ეს არის ღვთის განგება ჩუენზედ მოსული, სხუა არაფერი“.

მართლა, რაც მე ვიცი და ვჩერეკ ჩუენ ქართულების მდგომარეობასა, ძუელს თუ ახალს, ჩუენ უკანასკნელს მეფებამდისინ, ვისაც კი ჩუენ ქართულებისათვის ავი უქნია ანუ იმ ჩუენი მამაპაპების დაცემა მოუნდომებიათ გარეშე მტრებსა, იმათი ანუ იმათი შეიძლიშვილებისა საბოლოო კარგი არა ყოფილა რა და ძლიერ გადახდენიათ. მე ესები ძალიან კარგად ვიცი. ესეც ვიცი, რომ კრიტიკოსები ამ ჩემს სიტყუას გაატრიიზავებენ და ბევრსაც გაიცინებენ თავილობით.

ეს ხომ ცხადათ დავინახეთ იმ პირველს მეფეს ირაკლის დროებში მთის ხალხი ანწუს დიდო საქართულოს გაუერთდა და ჭარბელაქანი კი ვერაფრით ვერ გაიერთა, არამც თუ ვერ გაიერთა, ვერც შემოირიგა, რომელიცა საქართულოს მტრების ბუდე გახადეს იმ გაუგებელთ და ჭკვის დამკარგავთა ჭარბელაქნელებმა, სადაც საქართულოს მტრები სულ ამას ფიქრობდნენ, საქართულო როგორ დაელუბათ ფესვით. უთუოთ ასეც მოხდებოდა, თუ იმ დროს ირაკლი არ გამოსულიყო იმისთანა კაცი და იმისთანა მომლელი თავის მამულისა. მაგრამ ესეც არ უნდა დაიმალოს, რომ რაშიაც შესცდა ირაკლი, ისიც უნდა გამოცხადდეს, მოვალენი ვართ სიმართლისა.

მეფე ირაკლი არამც თუ საქართულოს ამაგრებდა, ამაგრებდა საქართულოს ყოველს სოფლებს (ადრევეც მითქომს როგორ) და სახიზრებს აკეთებდა. როგორც ვთქვი ყოველი ღონის ძიება მოიხმარა ჭარბელაქნის გაერთებისათვის ანუ შემორიგებისათვის, მარამ ვერაფრით ვერ შეიძლო. ამის საშუალება ამის მეტი არა იყო რა, რომ ჭარბელაქნის პირდაპირ, ალაზნის პირებზედ, სადაც ფონები იყო გამოსასვლელი, იქ ციხეები უნდა გაეკეთებინა, შიგ ხუთას ხუთას ქართული მეომარი დაეყენებინა ანუ მეტნაკლები, თავის ორის თუ სამის ზარბაზნითა, რომელსაცა დიახ ადვილად შეეძლო ეს, მაშინ დაინახავდა, რაც სარგებლობა იქნებოდა, თუ არა და ეს ფონები გახსნილი დააგდო და მთელს დაღისტანსა, სა-დაც ყრილობა ჰქონდათ ხოლმე ჭარბელაქანში, იმათ თავისუფალი გზები დარჩათ საქართულოზე შემოსასვლელ გასასვლელი და რაღას ინაღვლიდნენ. თუ ეს ციხეები მოეგონებინა, ასე შეჰკრავდა მთელს ჭარბელაქანსა, რომ მეტი ღონე ალარ ექნებოდათ, უნდა

ირაკლისთვის თაყუანი ეცათ და დამორჩილებოდნენ. მაშინ ახალ-ციხე დასუსტდებოდა ლეკის ჯარით, დანარჩენს ლეკებს ოსმალო აღარ შეინახავდა და უთუოდ ისინიც იქიდგან გამოვიდოდნენ.

თუ მე ამას ფაკტით არ დავამტკიცებ, ბევრნი არ დაიჯერებენ, რომ ალაზნის პირებზედ ციხეები უთუოთ საჭირო იყო.

პირუელი. ოცდახუთის თუ ოცდაათი ათასის ლეკით დიდი ომარხან ყუარელის ციხეს რომ შემოადგა უცრათ, რომელშიაც ძლივს შეასწრეს მცხოვრებთა, რა ქნა, რა შეიძლო იმთენის ჯარითა ომარხანმა?- არამცთუ შეიძლო რამე, რამთენსამე დღეს უკან სირცხვილეული შემოეცალა ციხეს და გაქცეულსავით წავიდა თავის ქუეყნისაკენ. თუ როგორმე ყუარელის ციხე აეღო ომარხანსა, დღეს ქართულის სინსილა აღარ იქნებოდა. ამისთვის, რომ მთელი დაღისტანი კახეთზე უნდა მოხეთქილიყო და საქართულო სრულიად გაექროთ. ომარხანის მრჩევლების პლანი ასე ყოფილა, მაგრამ ყუარელის ციხე რომ ვეღარ აუღიათ, იმათი პლანებიც სულ ჩაშლილა. აი რა არის ციხე, რომელსაცა დიახ ადვილათ შეეძლო მინური ციხეები გაეკეთებინა ყოუელს სამძღვრებზედ. არამცთუ მინური ციხეები - ქვითკირებისაც.

მეორე. მეფე ირაკლი თავის სამეფოს კუალობაზედ ძლიერი იყო, იმას ჰქონდა ოცდაოთხი განყობილი ზარბაზნები თავის ჩამოსასხმელის სახლითა, რომელსაცა საითკენაც უნდოდა, იქით ზაილებდა იმ ზარბაზნებს, მაგრამ უფროსი ერთი სულ ადგილობრივ ენყო და თვითონ კი თავის ქართულებით მტერსა სდევდა ხან სომხითში, ხან ქართლში და ხან კახეთში, მაშინ როდესაც რომ სადაც კი ზარბაზნებსა წაიღებდა ხოლმე, მტერსა რეგუდა. ამასთან დიახ ადვილად შეეძლო ოციათასი კარგი მეომარი გამოეყუანა საქართულოდგან, დაფგრომილი რამდენიმე წლობით ხოლმე. იმ ზარბაზნებით და იმ ჯარით, რომელს მტერსდა შემოუშუებდა საქართულოში? - არამც თუ შემოუშუებდა, სხვა ქუეყნებსაც შეიძინებდა. თუ ერევანი იმ თავის გაუწყობელის და მცირედის ძალით ისე ადვილათ შეიძინა და ოცდაოთხი წელინადი მეტი ხელში ეჭირა, სხვას რას არ იქმოდა იმ ძალით და იმ დაწყობილობითა, რომელიცა ზევითა ვთქვი ეხლა. აი როგორც ეხლა მოვიტანთ მაგალითსა: მეფე ირაკლიმ მორიგე რომ შემოიღო, ოთხი ათასი კაცი კახეთის სამძღვრებს ინახავდა, ოთხი ათასი ქართლისასა და ოთხი ათასი სომხითისას!. რა დააკლდა საქართულოს? - დაკლებით არაფერი, შეძინებით კი ბევრი. შეძინება ეს იყო, რომ როგორც ჩუენში იტყვიან, გარეშე მფრინუელიც ველარ

‘ ამასთან ბარაბანები თავის ბარაბანჩიკებით შემოიღო და ზოგიერთ ბატონშვილებს და თავადისშვილებს აფიცრულათ ჩააცუა.

გადმოფრინდებოდა, არამც თუ მტერილა შემოსულიყო საქართუელოში, სადაც გაოხრებულს სოფლებს შენობა დაუწყეს ქართუელებმა. ის მორიგე ექვსი თუ შვიდი წელინადი იყო და ამ ცოტას ხანში საქართუელომ კიდევ გაღიმება დაიწყო ცოტათ.

მესამე. ამ მესამის მეფის ირაკლის შეცდომილებასა დავეხსნათ, ამზედ ნურას ვიტყვით, ეს ლვთის კერძია, იმან იცის...

მეოთხე. იმდენი თავის წინააღმდეგების ამბები როგორ არა იცოდა რა, მარკოზაშვილის დარბაზში რომ შეიყრებოდენ ჩუმათ და იქ უთხრიდნენ ძირსა, საიდგანაც ყოუელი დაფარული წინააღმდეგობა იყო საქართუელოში მეფე ირაკლიზედ¹! – თამამად ვიტყვი: ჩუმი საქართუელოს პირუელი ოჯახებიდან თითო გუარში ორი და სამი მაინც იყო მეფე ირაკლის მტერი და იმათი კუდები ხომ რავდენი... საწყალს მეფეს ირაკლის ძალიან გვიან შეუტყვია ეს ანბები, სწორეთ სიკვდილის წინ დროებში. კიდეც იმ მარკოზაშვილის დარბაზელებს დაულუპავსთ საქართუელო, რომლებსაც ის მორიგეც იქიდგან მოუშლიათ, ის ბეჭნიერება საქართუელოსი! არამც თუ მარტო ის მორიგე – რასაც კი კარგსა რასმე მოინდომებდა საქართუელოსთვის მეფე ირაკლი, ყოვლის ღონისძიებით, ყოვლის ცბიერებით ეცდებოდნენ როგორმე მოეშალათ. ის მეფე ირაკლის დრო იყო გამყიდველობის დრო, რომლისგანაც საქართუელო უნდა დამხობილიყო, არა იმდენი ქართუელების სისხლის დალვროთა ცხადის მტრებისაგან. არამედ პლუტობით და აზარქერობით გამყიდულებისაგან. როდისაც რომ კარგად დავფიქრდებით იმ წინააღმდეგებზედ, იმათ საზიზლარს საქმეებზედ, აღარ ვჯავრობთ და არც გვიკვირს. უცოდინარები იყუნენ, ამასთან მეტი გულწრფელები და არ იცოდნენ, რას შურებოდნენ. უფრო სწორეთ ვსთქვათ, რას ტუტუცობდნენ სულელები: მიუტევე, მამაო და სხუანი. აი ასე იყო მაშინდელი დრო საქართუელოსი, ასე დაუწყნარებელი და ამისთანა დაუნდობელი დრო. რაღა უნდა ვსთქუათ? – მეფე ირაკლის იმთენს უბედურებასთან ერთი რიგიანი საქუეყნო გამგე არვინ არა ჰყუანდა, სულ თვითონ იყო. ასე გაშინჯეთ, არც შეილი და არც შევილიშვილი უვარგოდა, რომელსაცა შესძლებოდა მეფობის რიგის მიცემა. ერთი იყო ლევან და ისიც უეცრათ მოკვდა და უბედურს ირაკლის ისიც ხელიდგან გამოაცალეს.

უთქვამსთ: სხუა დედაკაცზედ მოკლესო. ტყუილია, მაშინდელი წინააღმდეგების ჭორია. სწორეთა ვსთქუათ, დაფარუა აღარ უნდა: მოწამლეს. ამისთვის, რომ მეტი კარგი რამ რომ იყო, ჯილა საქარ-

¹ პირუელად იმ მარკოზაშვილის დარბაზში ვინც იდგა, მეფე ვახტანგის ამბავშია ქუევით.

თუელოსი და შურით უყუეს, რომელიცა ოცდაოთხს საათში გაქრა, ის საკვირუელი მეფის ირაკლის შვილი ლევან, რომელსაცა მთელი საქართველო იგლოვდა მნარეთ.

თუმცა ეხლა ზევითა ვთქვით, მეფეს ირაკლის ერთი რიგიანი საქუეყნო გამგე არავინ არა ჰყუანდა მეთქი?- როგორ იქნებოდა, რომ არა ჰყოლოდა?- დიას ჰყუანდა, ოთხი თუ ხუთი, მაგრამ ისინიც ყუელასაგან ამოჩებული იყუნენ და ყოველთვის ქუეშ უთხრიდნენ იმათ. მაშასადამე მეფეს ირაკლის კაცი არა ჰყოლია. ასე შეშინებული ყოფილან ისინი ზოგიერთის ბატონიშვილებისაგან და დიდი კაცებისაგან, რომ ყველაფერში ერიდებოდნენ დიდს სამეფო საქმეს. ნეტავი როგორიც ვაჟაუცნი კი იყვნენ მაშინდელი ქართულები და მართებული გულწრფელი დარბაისლები, იმის მეასედი ქუეყნის მართულობა სცოდნოდათ იმათ.

ვინ ამბობენ, დავით ბატონიშვილი კარგი იყოვო. დავით ბატონიშვილი მინამ პირუელად სხუაგან წავიდოდა¹, მართლად კარგი ყოფილა და როდესაც იქედგან მოსულა, სულ გადარეულა (ყუავსა კაკბის სიარული ვერ უსწავლია). მეორეთ რომ სრულებით წასულა იქ, ერთიც მაშინ დასტყობია სამეფოს კაცობა, ამისთვის, რომ მოუფიქრია და ჭკუაზედ მოსულა. არამც თუ მარტო დავით ბატონიშვილი მოსულა ჭკუაზედ – ვინც კი ბატონიშვილები იყვნენ, იმათაც დაუნახამთ თავიანთი რევუნობა, მაგრამ რაღა დროსი იყო: თოიდან სოლრა ნალარა (ქორნილის შემდგომ ნალარა). ბევრი ჭკუა დაკარგული ანდაზებია დავით ბატონიშვილზე. გარდა ამისა დიდი წინააღმდეგობა პქონიათ მამაშვილსა მეფეს გიორგის. დავით ბატონიშვილის ძმა ივანე სჯობნებია დავითს, არამც თუ მარტო დავითს, მთელს სახლეულობას სულერთიან. თუ კიდევ ყოფილა რამე, ისევ ივანე ბატონიშვილი, სხუანი ნაკლები იმაზედ.

გასაშტერებელია, იმისთანა ფიქრარეული ანუ ფიქრგამოცვლილი კაცი, როგორც დავით ბატონიშვილი შეიქნა შორი გზიდგან მოსული პირუელში, ისე უზომოთ რაღათ სცემდა პატივს თავის პაპას მეფე ირაკლის და ან ყოველთვის საკურველად რათ მიაჩნდა იგი? - ჰგავს ასე ყოფილა, რომ ყოველი დიდი კაცის საკვირუელება არავის თუალში არ უნდა დაიკარგოს! ვის უნახამს მეფის ირაკლის ანდერძი თავის სახლეულობის მეფობაზედ?- თუმცა იმ ანდერძით შეიძლება მეფობა, მაგრამ ძნელია, არეული, ევროპისა არა არის რა იმაში. ესეც კიდევ იმის შეცოტომილება.

ასე და ამ სახით ყოვლისფრით უბედური იყო მეფე ირაკლი. ამდენს უბედურებაში ჩავარდნილი, იმდენს საიდუმლოს მტრების

¹ ესე იგი რუსეთს.

მახეში გაბმული და იმდენის მოსეულის მტრების დევნით მოუსვენ-ებელს ცხოვრებაში იყო ჩაღუპილი, ასე რომ ერთი ბენო მცირედი მოცლა არა ჰქონდა, თავის ქუეყანა გაემართა.

მინამ მეფე თეომურაზ იყო, მეფე ირაკლის მამა, კარგი შემწე იყო თავის შვილის ირაკლისა, სამეფოს საქმისაც კარგათ წამყუ-ანი და როდისაც იგი აღარ იყო, მაშინ ლევან მოესწრა, ირაკლის შვილი, რომელმაცა მტერი იმას დაანება და თვითონ კი ქუეყნის მართულობას შეუდგა სრულის გულით, მაგრამ დიახ ცოტას ხანს. ის კარგი მეფის ირაკლის შვილი ლევან ოცდამეხუთეს წელინად-ში აღარ იყო და მეფე ირაკლი ისევ იმ პირუელს ვაებაში შეცურდა დასანთქმელად (ლევანის სიკვდილი ზევით ითქვა).

ლევან ბატონიშვილი ასეთი კარგი რამ გამოსულა, რომ მართლა მარჯუანა მხარი მეფე ირაკლისა, თითქმის თავის მამას სჯობნებია, რომელსაცა სწორეთ იმას სცოდნია თავის ქუეყნის მოვალეობა რა არის. იმის დროსა მეფე ირაკლი კარგათ დააწყო საქართულეოს საქმე: რომელიც ზევით დავინახეთ მორიგე. დიდი ანტონი ქათა-ლიკოზი რა რიგათ ხელს უმართავდა იმათ, როგორ ეწეოდა იმათ და რარიგათ წესიერად ანყობდნენ საქართულელოს საქმეს ეს სამი საკვირუელი კაცი! ამ სამის კაცისაგან ეს ანბები რომ დაინახეს, გუარის ლირსება და ადგილობრივის მოთაობაც შეეწეოდა იმათ, რომლებიცა ყოუელი წინააღმდეგნი წინაამდეგობიდგან მეფობის ერთგულებაში და მორჩილებაში შემოვიდნენ. ეს სამი კაცი ასე განძლიერდნენ საქართულოში, რომ სულ ხელში დაიპყრეს ყუელა. უფროსი ერთი ესენი სულ ერთად იყვნენ და ერთად არჩევდნენ საქართულელოს საქმეს. მეფობის წინააღმდეგობას [არამცო] საქმით, ვეღარავინ ვეღარ ივლებდნენ გულში, ასე შეკრეს ყუელა. მეფე ირაკლი ქუეყნის გამართუას შეუდგა. ანტონი ქათალიკოზი ეკლესიების საქმეს და ლევან ბატონიშვილი გარეშე მტერსა სწყლა-ვდა, მაგრამ ამ საკვირველმა კაცებმა მაინც ვერ მოიგონეს, ჭარბე-ლაქნის პირდაპირ ალაზნის პირზედ ციხეები გაეკეთებინათ.

ამ სამს კაცსა კარგი ხანი რომ დასცლოდათ ერთად, პირუელს მეფობის ხარისხზე დაადგენდნენ საქართულელოს. მაგრამ კიდევ უბედურებას რა გაეწყობა! – ამათ ძალიან ცოტა დრო დასცალდათ ერთად. ლევან ბატონიშვილი იმ ყმანვილკაცობის ხანაში აღარ იყო და ანტონი ქათალიკოზიც იმის ცოტა ადრე მოკვდა. წარმოიდგინეთ, ამ ორი კაცის დაკარგუა რა საშინელი ზარი იქნებოდა მეფის ირაკლისათვის! ოო! ბედო, ბედო! ჩუენში უბრალოთ კი არ არის ნათქუამი: ბედი მომეც და სანებუეზეც დამაგდეო. რუსთველიც ამ-ბობს: „ბედმა გვიყო ყუელაკაი, ჩემო, რომცა დაგუემართა“.

თან ნიკოლოზ მელიტონის ძე ბარათაშვილი საქართულელოს

ბედს რომ ლექსათა სწერს, სადაც სალომონ მსაჯული გამოჰყავს მეფის ირაკლის უბნობაში, ის ლექს მგოსნობა საუცხოვოა, მაგრამ ისტორიისათვის კი არ გამოდგება. მინამ აღამამადხან მოვიდოდა საქართულოზედ, სამი წლის წინათ დაუთხოვნია თავისგნით და ძალიან გასწყრომია და აღამამადხანის შემდგომ ისევ შეურიგებია, რომლისაცა სოლომონ მსაჯულის ორი წიგნი მე მაქუს, თვითონ სოლომონ მსაჯულისაგან შავათ დანერილი მეფე ირაკლისთან, დიას დიდი მადლობისა, რომ მეფე ირაკლიმ შეირიგა. პირუელი წიგნი არის დანერილი ზ-ს მარტს ქორონიკონს უპდ-სა და მეორე ე-ს აგვისტოს ქრონიკონს უპე-სა. გახსოვთ, ზევით რომ ვთქვით: ოთხი თუ ხუთი ჰყუანდა მეფე ირაკლის და ისინიც ამოჩემებული იყუნენ ყუელასგან მეთქი. იმათგან ერთი ის სოლომონ მსაჯული იყო ყუელასგან ამოჩემებული, რომელზედაც ამთენი ტყუილი ამბები უზიდიათ მეფის ირაკლისთვის, რომ ბოლოს იძულებული ქმნილა, ძალიან გასწყრომია და თავისგნით დაუთხოვნია. თას ნიკოლოზს ეს ამბავი რომ სცოდნოდა, იმის დათხოვნაში უფრო საგანგებოს აზრებს გამოხატვდა, მინამ საქართულოს ბედში. მაშინ ის ლექსი გასამტერებელი იქნებოდა! იმ დროს სოლომონ მსაჯული სიონის ეკლესიის მახლობლათაც მდგარა ერთს სახლში მტკუარის პირზედ, სიონიდგან ჩრდილოეთის მხარეს.

იმ ორი საკვირუელი კაცის დაკარგუა მეფის ირაკლისთვის ბოლო მოსალები იყო, თუმცა კიდევ თავის გულსა არა ჰყარგავდა და მოუსუენად ცდილობდა საქართულოსათვის, მაგრამ იმ წინააღმდეგებმა კიდევ თავი აიწიეს და მოჰყვნენ თავისებურათ საქართულოს ძირის ამოთხრასა. თუ მეფე ირაკლის იმისთანა ორი კაცი აღარ ჰყუანდა, ვითარცა ანტონი ქათალიკოზი და ლევან, ევროპის გუარზედ განათლებული რომ ყოფილიყო, მაშინ იმისმა ბუნებითმა ჭკუამ იცოდა, რასაც იქმოდა, მაგრამ ეს რომ არა ჰქონდა, შეჩენილი წინააღმდეგები სულ სხუა გუარათ აჩუენებდნენ საქართულოს საქმეს და ურევდნენ იმის ბუნებითსა ჭკუასა. ყოვლისფრით დაობლებულსავით დარჩა მეფე ირაკლი შემდგომ დიდი ანტონი ქათალიკოზისა და იმის შვილის ლევანისა.

მგონია, მეფე ირაკლიზე საკმაოდ თავს ნება მივეცით, რომ რაც ვიცოდი იმაზედ, ვთქვით იმისთანას მამულის მონამეზედ იმის შეცდომილებანი? - აბა ახლა ამის შედგომ მეფე ვახტანგზედ გადმოვიდეთ, იმისიცა ვთქუათ, არც იმისი უნდა დაიმალოს, რაც იმაზედ ვიცით, იმისიც უნდა ვთქუათ, დამალუა სირცხვილია.

ბევრს უთქუამს და მეც მითქუამს: მეფე ვახტანგ ბრძენი იყოვო. მაგრამ სწორეთ რომ ვჩხრეკოთ და იმის ანბებს ვიგონებთ, იმისი კარგი არა ჩანს რა. თუ დაწვრილებით მოვყუებით იმის ამბებს, უფრო

ბევრი ნიშნები დაესმის იმის დიდსულოვნობის დიდებულებასა. იმისთვის მოკლეთ გამოკრებით ვიტყვით და პირდაპირ, რომ მეფე ვახტანგმა დაანგრია საქართულო. ვიცი, ამას ბევრი გაიკვირუებენ, მაგრამ ვითხოვ დამშვიდებულს მოთმინებას. მეფე ვახტანგმა თავი მოარიდა მაშინდელსა საქართულოს გარემოებასა, გადვიდა რუსეთს, რომელიცა იმის შემდგომ დარჩა ქართლის მეფეთ იმის გათათრებული ძმა იქსე ოსმალების ნებით. შემდგომ იმის სიკვდილისა და ნადირშასაგან ოსმალ ლევების გალალვისა საქართულოდგან, იმის ქალის თამარისა ქმარი, კახეთის მეფე თეიმურაზა დასუა ნადირშამ ქართლ-კახეთის მეფეთ და დიდი შემწეობაც მისცა თავის ჯარებითა. თუ ბრძენი, თუ დიდსულოვანი იყო მეფე ვახტანგ, ანუ თავისი მამული გულით უყუარდა, რუსეთიდგან დიდი შემწეობა უნდა მოეცა თავის სიძის მეფის თეიმურაზისთვის, ისიც შვილი იყო, სულ ერთია, რომელსაცა დიახ ადვილად შეეძლო ესენი. ნაცვლად ამისა თავის ძმისნული აბდულაბეგი და თავის შვილი პატა (არარჯულიერი შვილი) საქართულოში დარჩნენ მეფე ვახტანგის ნებით ქართულების ასარევად და აურიეს კიდეც. ჯერ ამ ორთა შორს ეჭირათ თავი, ჩუმათ საქმობდნენ და სხუებს კი აბრიყუებდნენ, ესე იგი დიდ შანშე ქსნის ერისთავსა. თუ როგორმე მეფე ვახტანგს მოენდომებინა და იმ ორიუესათვის ერთი პატარა ბარათი მოეწერა, ძალიან დაამეგობრებდა თავის სიძესთან იმათ, რომლებზედაც დიდი ნება ჰქონდა იმათზე. არამცო ბარათი, უფრო და უფრო აქეზებდა იქიდგან იმ ორთ თავის სიძის მეფე თეიმურაზისა და თავის ქალის შვილის ირაკლის დასამხობათ. იმათ კი ის ვერ დაამხეს და მოხდა შინაური არეულობა (ზევით ხსენებულს შანშეს ერისთავისაგან). მინამ მეფე ვახტანგ ცოცხალი იყო, როგორცა ვთქვით, ისე ურევდა საქართულოს და როდისაც აღარ იყო, მასუკან იმის შვილი ბაქარ დარჩა თავის მამის ფეხათ და იმან უფრო უარესად შემოუკეთა საქართულოს ანუ ქართულებსა გივი ამილახვარითა¹. ამ ქართულების თავგამოდებულმა ერთმანეთის შეხეთქილებამ კლდეზე გადასაგდებად დააყენა საქართულო. მეფე თეიმურაზის მოპირდაპირე გიგმა ამილახვარმა ოსმალ ლევების შემწეობით. და მეფე თეიმურაზიც იფარავდა საქართულოს სპარსელების მოხმარებით, სადაც მოხდა დიდი სისხლის დვრა საქართულოში. ეს არის ნადირშას ყიზილბაშების დრო საქართულოში. ამგუარი წყალობის მომცემი ქართულებისა ჯერ მეფე

¹ აქ ორქივატერს ითხებ არღუთაშვილს არ ვახსენებ, იმისი ამბავი სხუაგან იქნება, მაგრამ შემდგომ ბაქარისა იმას ჰქიუანდა აგენტები საქართულოში და იმათგან ღუპავდა საქართულოს. იმისი ამბავი სხუაგან წვრილა იქნება, სხუა წერილში.

ვახტანგი იყო, შემდგომ იმის შვილი ბაქარ და მასუკან ორქივატერი იოსებ (ეს კი მეფის ირაკლის დროს იყო იოსები). მეფე თეიმურაზმა ესენი სულ დათრგუნა ნადირშას ჯარების შემწეობით. ბოლო დროს მეფე ირაკლიც გაურია საქმეებში. ბოლო მოუღეს იმ ცხადს მტრებ-სა, მაგრამ საიდუმლოს მტრებისა კი არა იცოდნენ რა, რა ამბავი იყო საქართულოში. იქნება მეფე ვახტანგ ამით გაამართლონ, თავის მეფობისთვის ზრუნავდა, დასაძრახი არ არისო. ამის პასუხს თავი დავანებოთ, ვერას ვიტყვით, მხოლოდ ამის მეტსა, რომ ის მარკოზ-აშვილის დარბაზი პაატა ბატოიშვილის სადგომი იყო, სადაც კრება ჰქონდათ ხოლმე შემთქმელებსა, მინამ იმათი ამბავი შემთხუევით გამოცხადდებოდა. მინამ მეფე თეიმურაზი იყო საქართულოში, აბდულაბეგი გაფრთხილებული იყო, ცხადათ ვერა გაებედა რა და როდისაც ის აღარ იყო, აბდულაბეგმა ცხადათ დაიწყო ჯარებით გამოსვლა მეფის ირაკლის დასაცემათ, მაგრამ მალე შემოაწყვიტა ის იმის ჯარები ზედა და თვითონ აბდულაბეგიც სრულიად გააქრო საქართულოდგან. ამის შემდგომ ახლა პაატა ბატოიშვილმა გამოიღო თავი მეფის ირაკლის დასამახობათ, რომელიცა ის ამბავი „ცისკარში“ მაქვს აღნერილი შეთქმა (მარკოზაშვილის დარბაზისა მოუხსენად). შემდგომ ამისა, მგონია იმ მეფის ირაკლის წინააღმ-დეგებისთვის საგრძნობელი იყო, რომ მეფეს ირაკლის გაერთე-ბოდნენ თვითანთ მამულის სიყუარულისათვის და იმისა ასამაღლებ-ლად, ამისთვის რომ მეფე ვახტანგ აღარ იყო, იმის მეფობისათვის ეზრუნა და აღარც აბდულაბეგი და აღარც ბატოიშვილი პაატა, რომ კიდევ არეულობა ყოფილიყო საქართულოში. მაშასადამე, სხუა რაღა უნდოდათ იმ მეფის ირაკლის წინააღმდეგებს? გონების მიხედვით უნდა დამორჩილებოდნენ არა მეფეს ირაკლის, არამედ მამულს – მამულის სიყვარულისათვის, მაგრამ არა, მამულის სი-ყუარულსა მეფის ირაკლის მატრობა ირჩიეს, სადაც შაიკა გაკეთდა საქართულოს დალუპისა.

იქ იმ მარკოზაშვილის დარბაზში კი აღარ იყო კრება, მაგრამ ის მარკოზაშვილის დარბაზისა აზრი ეს მეორე შეთქმა, დიახ ოს-ტატური ფთხილი შეთქმა, გაძრახ გააგძელეს მეფის გიორგის სიკ-ვდილამდისინ, იცოდნენ, მეფის ირაკლის დროსა ვერას იქმოდნენ და საიდუმლოთ კი უთხრიდნენ, რომლებიცა მტერზედ ჰყიდდენ საქართულოს. განა დიდი ანტონი კათალიკოზი იმისთანა შვილი არ იყო იასე მეფისა, როგორიც აბდულაბეგი, მაგრამ თავის ბი-ძას მეფე ვახტანგს არ მიუდგა არაფერში. იმან კახეთის მეფობისა მხარე დაიჭირა, ამისთვის, რომ ასე ხედავდა საქმეს და რაც შეეცლო თავდადებთაც ეწეოდა იქით მხარეს. იმ პირუელს თავის დროებში ქათალიკოზმა ანტონიმ უფრო მაღალის აზრით დაიწყო საქართულ-

ლოს ამაღლება, მაგრამ ახლა მეფე თეიმურაზმა გამოიდო თავი და ექსორი უყო საქართულელოდგან. სწორეთ ვიტყვი, რომ სიმამრი მეფე ვახტანგ მთელი სახლობით და სიძე მეფე თეიმურაზ, ესენი სულერთან ერთს ასეთს ადგილას უნდა ყოფილიყვნენ, რომ იმათ საქართულოს არ სცოდნოდათ რა და იმათ მაგიერათ, მხოლოდ ქათალიკოზი ანტონი და მეფე ირაკლი დარჩენილიყვნენ. იმ პირუ-ელს დროებიდგანვე მეფის ირაკლის ბატონიშვილობის დროში საქა-რთულო სულ სხუა იქნებოდა! ხომ კარგი შემწე იყო თავის შვილის ირაკლისა მეფე თეიმურაზ და საქართულოს საქმისაც კარგად წამყუანი, მაგრამ საქართულოსათვის კი უფრო ასე სჯობდა.

ახლა შევათანასწოროთ ნადირშა მეფე ვახტანგთან, რა განსახ-უაბაა იმათში? - იმ მაჰმადიანმა ნადირშამ ქართლი და კახეთი შე-აერთა ერთს ქრისტიანეს სამეფოთ და ქრისტიანმა მეფე ვახტანგმა კი ქრისტიანეს მომხრეებითა საქართულო დაქციეს. ამის შედეგობ რაში გავამართლოთ მეფე ვახტანგ? - რჯული რომ დაწერა იმაში? - მაშინ ის რჯული არც უხმარიათ, არც მოქმედებაში ჰქონიათ და ან ვინ მოიცლიდა იმისთვისა, ისეთი დრო იყო მაშინ საქართულოში. თუ იქნება რამე იმ უწინდელსა დროში, ძალიან ცოტა, არა სათემე-ლი. მეფე ვახტანგის რჯულისა არაფრისთანა არა იყო რა მაშინ საქართულოში არაფერზედ. ყოველი საქმე სულ საჩქაროთ იყო, სულ მორიგებაზე, სულ სვინიდისზე და სიმართლეზედ: მეფეს-თან, მებატონეებთან და ხალხში. ამაზედ გვითქვამს კიდეც ადრე. ბევრჯულ მოხდებოდა საქმის მიხედვითა, რომ მეფე ირაკლი დიამბეგების სამართალში მისცემდა საქმეს განსახილუელად და გადასაწყუეტლათ. ამისთვის ერთი იასე მსაჯული¹ ჰყუანდა, რო-მელსაცა ორი ბეჭედი ჰქონდა მეფის ირაკლისაგან მიცემული. ერთ ბეჭედზე „იასე მსაჯული“ იყო დაწერილი ამოქრით და მეორეზე: „უამნიცა ესე წარუალს“. დიამბეგებისგან გადაწყუეტილი მეფეს ირაკლის მიერთმეოდა, მეფე ირაკლი იასე მსაჯულს გაუგზავნიდა, ისიც გამოძიებაში შევიდოდა. თუ ხახამდა, რომ სიმართლით არის გადაწყუეტილი, იმ თავის ბეჭედს დაასუამდა ასე: „იასე მსაჯული“. მეფე ირაკლიც იმ დიამბეგების გადაწყუეტილებას დაამტკიცებდა და თუ იასე მსაჯული აღმოაჩენდა, რომ ის დიამბეგების გადაწყუე-ტილობა უსამართლო არის, ახლა იმ ბეჭედს დაასუამდა ასე: „უამ-ნიცა ესე წარუალს“, რომელსაც მეფე ირაკლი იმ გადაწყუეტილო-ბას თავსა გადუხევდა და დიამბეგებს გაუგზავნიდა ამ სიტყვით: იასე მსაჯული ამბობსო, უამნიცა ესე წარუალს. შეუდგებოდნენ და მეორეთ სიმართლით გადაწყუეტდნენ ხოლმე. ასე და ამ სახით იყო

¹ ეს იასე მსაჯული ერთი იმათგანი იყო, რომელსაცა ქუეშ უთხრიდნენ.

ყოუელი საქართუელოს საქმე და არა მეფე ვახტანგის რჯულის-ამებრ.

აი როდის შემოვიდა მეფე ვახტანგის რჯული?- როდესაც ძლიერი რუსეთის მთავრობა დაფუძნდა საქართუელოში და იმ დროს ევროპის წესზედ შეიცვალა დრო, ჩუენი ძუელი საზოგა-დოებისათვის სულ სხუა, და აღარც იმთენი სარჩო ჰქონდათ მეფის კარისკაცებს და მოხელეთ, მაშინ მეფე ვახტანგის რჯული შემოი-ტანეს საქართუელოს მებატონეებმა, მხოლოდ იმ ერთის სიტყვ-სათვის: მებატონის გლეხი კაცი, სულს გარდა მებატონისა არისო. რისთვის? - თავიანთი გლეხები მონებაში შემოიყვანონ დროის მიხედვითა და კიდეც შემოიყუანეს, რომ კარგი სარჩო ჰქონდეთ და ვინც ნაკლებათ იყვნენ, იმათაც შეენიჭენ პატარა რიგიანი მო-სუენბულის ცხოურებისათვის. არც დასაძრახი არიან ისინი: იმ სისხლისა და იმთენი ვაების შემდგომ მოსუენება უნდოდათ იმათ. მართლა იმათ ასე ეგონათ, ძლივს მოვისუენეთო, მაგრამ ამასთან ასეთი დავიდარაბა და დავიდარაბის ხარჯები ჩამოუვარდათ ერთ-მანეთში, მამულებზე თუ ყმების თაობაზედ, რომ ის უნიდელი ვაებანი სულ დაავინებდათ. როგორ დამავინებდება თას ლ. ზ. ძესო თავის მახლობლებმა რომ ჰკითხეს: აგრე რათა ხარ დალონებუ-ლიო?- პასუხი: როგორ არ ვიყო ლვთის გულისთვის, ოცდაოთხი საქმე მაქუს, სულ სხვადასხვა დავიდარაბა, რა ვქნა, რა უყო, არზე-ბის ნერა მე არ ვიცი, საქმის წაყუანა მე არ ვიცი, ამდენმა ხარჯმა ვალებში ჩამაგდო, დავიღუპე. რომელი მნერალი რასაც მეუბნება, ვალს ვიღებ, ვაძლევ, აქამდისინ კიდევ ვშოვობდი ვალებს, ახლა იმასაც აღარავინ მენდობა, არ ვიცი, რა ვქნა?- დღეს ჩემი ცოლშ-ვილი მშივრები ჰყრიან ხმელს ჰურზედ, ღმერთს გეფიცებითო. ამასთან მწარე ცრემლები გადმოყარა. ერთს კვირას უკან დაიძახ-ეს, საწყალი ლ. კიდეც მოკვდაო და სხუანი.

მინამ კიდევ ის ძუელები იყუნენ, რაოდენ შეიძლებოდა თავის გლეხებს ანუ ყმებსა უფთხილდებოდნენ და როდისაც ისინი აღარ იყვნენ, იმათმა შვილებმა, ესე იგი ჩუენი: ის პატიოსანი სამასურის დებულობის წესი, იმ პატიოსანი ჩუენი გლეხებისა სულ ვრთიან დავლენეთ და იმის მაგივრათ ის ჩუენი გლეხები ასე გავპეგრეთ, რომ როგორც ჩუენ გვინდოდა ისე.

უნიდელს დროს საქართუელოში სად იყო დავა ყმებზედ ანუ მამულებზედ, სადაც ძუელადგანვე ყუელამ თავისი იცოდა და ყუელას განსაზღვრით ეჭირათ თავისი. თუ როგორმე დავა მოხ-დებოდა რაზედმე, იმისათვის იყო სწრაფი სვინიდისიანი სამარ-თალი, სადაც გადასწყუეტდნენ ჩქარა (ზევითაც გვითქუამს), რომლებიცა ორივ მხარენი კმაყოფილნი დარჩებოდნენ. აბა ერთი

იმისთანა სამართალი მაჩუენონ სადმე ქუეყანაზედ, რომ საჩივარ-ში მოჩივრები კმაყოფილი დარჩენტ, ასე რომ მოჩივრებმა პირსაც აკოცონ ერთმანეთსა მორიგებისათვის? -ამ ჭეშმარიტებასთან რაც უნდა იყოს, მაინც მე არ ვაქებ უნინდელს დროსა: სიძნელე განათლებასთან რა საქებელია? – ვინც ამას იფიქრებს ჩემზედ, რიგიანი გონება არ ექნება. ის გამყიდულობის დრო, ის სისხლი და ის ოხრება საქართულელოსი როგორ მოვიწონოთ, რომელსაცა ვწყევლი იმ საშინელების მიზეზსა. მაგრამ ვერც ეხლა მოვიწონებთ თავს ქართულება ვერაფრითა. აბა რით? - ჰური მოვდის, სხუა ვაჭრობს, ჩუენი ვენახები სხუის ხელშია, ჩუენს ლვინოს სხუა ჰყიდის და სხუა კი არა გუაქუს რა, რომ სათქმელი იყოს, თვინიერ უზომო ტრაბახისა, რომლისაცა ამისი ნიჭი კი დიდი გუაქუს(!). თუ არიან ვინმე ჩუენში ამ შრომაზედ, ასე არიან: როგორც წუეთი ზღუაში. ამთენს სხუადასხუა ამბავში ახლანდელი ჩუენებისაც უნდა ითქუას რამე, არც ისინი არიან უნანილო? - უნანეტნავესი იმათგანი, რაზედაც დამდგარან, იმაზედ მიდიან, აღარ ემუებიან, მაგრამ სწორეთ ვიტყვი, რომ თუ არ მოეშუებიან, თუ სწორეს გზაზედ არ დადგებიან, ის იმათი მიმართულება ბოლოს დათვებათ გადაგუაქცევს. ეს უფრო დიდი ჭირი!.. ისინი სხუებსა ჰყიცხუენ და თვითონვე ვერას ხედუენ, ანუ არ უნდათ დაინახონ? - ღმერთო, დაგვიფარე.

იმ ჩუენი ყმების თაობაზედ ესეც ძალიან მომატებული ვთქვით, ესეც იმისთვის, რომ მეფის ვახტანგის ამბავს მოჰყუა, თორემ ჩემი განძრახუა ამ სტატიაში ის არის, რაც უსამართლოება და გაუკითხავი უწყალობა მოუვიდა საქართულელოს, ისა ვთქუათ. გარდა იმდენი საშინელი ამბებისა საქართულოზე, ახლა ცხადათ ვიტყვი, რომ უკანასკნელად სომხების ორქივატერმა იოსებ არ-ლუთაშვილმა დალუპა საქართულო. იმან აღამამადხან მოინვია საქართულოზედ. როგორ იყო, რისთვის და ვისი პირით მოინვია, ვიცით ყუელა. თუ იმისთანა გუამები გამოვიმეტეთ, რაც ვიცოდით იმათზე, ვთქვით, არ დავზოგეთ, უთუოდ იმთენს გუამებთან ორქივატერის¹ ამბავიც უნდა ყოფილიყო, ასე მაინც მოკლეთ. ერთის სიტყვით: ჯოხიანი და უჯოხო, დიდი და პატარა, საბყარი და ფეხმართალი, ბრმა და თუალხილული, საქართულელოს შინაური და გარეული, საწყალს ცოტა ქართულებზე მოსდგნენ სუყუელანი ერთად, თითქმის ერთს დროს, მეფის ირაკლის დროებში. დასამალავია, ნუ ვიტყვით ამაებს?

იმ ქართლის ცხოვრების მეისტორიის ვახუშტისაგან (ბუში,

¹ ეს ორქივატერი ადრით არაწნურთი იყო და ბოლოჟამს ორქივატერი. ზევითაცა ვთქვი და აქაც ვიტყვი, რომ სხუაგან უფრო წვრილათ იქნება იმისი ამბავი.

ადრეც მითქუამს) მიკვირს იმტოლა შრომის გამწევისა, რომ როდი-საც თავის სიძის მეფის თეიმურაზის და თავის დისწულის ირაკლის ამბეჭთან მიღის, იმათ ლუანლასა საქართულოზედ სულ არას ამ-ბობს და არც იმათ ამბავს, ნამეტნავად მეფის ირაკლისას. თუ ამ-ბობს იმათ რასმე, იმასაც უგემურათ. ახავაითას, ისიც სულმოკლე კაცი ყოფილა. იმის გულიც მტრულის ფიქრებით სავსე ყოფილა თავის სიძეზე და დისწულზედ. რომელმაცა ამისთანა გულ ლუარ-ძლიანობამ დალუპეს საქართულო. ვინ იცის, იქნება ისიც ერია რაშიმე, როგორც თავის მამა მეფე ვახტანგ?-

რამდენიც რომ იმ ამბებში შევიდეთ, იმდენი უფრო და უფრო ბევრი ამბები დაიწერება სულ ერთიერთმანეთზედ შესანუხებელი, მაგრამ აქ ვრცელი რა საჭიროა?- უიმისოთაც ამის წამკითხუელი კარგათ დაინახავს ყუელას. ის მეფის ირაკლის არეული დრო არის რაღაც ლელვის ხაოსი, გამყიდულობისა, ბრძოლის, ომებისა და აოხრების დრო, რომელსაცა არცერთ ქვეყანასა ისე ვაებანი არ გამოიცდია და მგონია არც რომელიმე გამოიცდის ოდესმე. გარდა გამყიდულობისა, ერთზე რომ ათი მტერი მოდიოდეს, სად არის ეს?- მომსწრე ჩუენი ძუელები ასე ანგარიშობდნენ. მერე რავდენი წელინადი?- სამოცდასამი და დაუცხრომელად ყოუელ დღე (მეფე ირაკლის დრო) სულ ამისთანა დროები იყო, სულ სხვადასხუა გუარი ამბები, რომელსაც გამოკრებით მოკლეთ ნავიკითხამთ ამის ქუემოთ იმ ამბების გარდა, რაც რომ ადრით დამიწერია.

მე რომ ზევითა ვთქვი: საიდგან როგორ მოდიოდნენ ლეკები მეთქი. რაღა საიდგან, ჭარბელაქნის გამოსასულელს გზებსა ანუ ალაზნის ფონებსა პირი ღია ჰერნდათ ყოუელს ადგილს და საით-კენაც უნდოდათ, იქით წავიდნამოვიდოდნენ, იცოდნენ, გამოსასვ-ლელებზედ არავინ დახვდებოდათ, მაგრამ როდისაც კი საქართუე-ლობი შემოვიდოდნენ ანუ იყუნენ ხოლმე, ამ დროს ქართუელები ცეცხლსავით ეკიდებოდნენ, ასე მღვიძარებდნენ თავიანთ ქუეყა-ნაში თავის მამულისთვის!

ოსმალ ლეკების ბინა ვინ იცის, რავდენ ადგილს იყო საქართუე-ლოს ტყის სიმაგრეებში, რომლებსაც ხიზნებიცა თანა ჰყუანდათ ზოგიერთებს და ოსმალო ინახავდა ქართუელების დასაღუპათ. დიას ხშირად მოხდებოდა, რომ მდევრის კაცი ქართუელები, წაე-პარებოდნენ და დიდს ვნებას აძლევდნენ იმათ, მაგრამ ლეკი ტყეში მაგარია, რაკი ბინას მოიკიდებს, თავის ნებით აღარ გავა იქიდგან, საიდგანაც ჩუმათ გამოდიოდნენ და სცემდნენ საქართულოს. იმ ტყის სიმაგრეებში ჩამდგარი წვრილწვრილი ესე ნაგლეჯები დიდს ვნებას აძლევდნენ ქართუელებსა, ამიტომ, რომ აღარ იყო იმათა-გან მოსუენება და ყოუელი ქართუელი შეიარაღებული იყო, დღე და

ღამ შეკრული. როგორ იქნებოდა, ტანისამოსი არ გაეხადათ, საცუალი მაინც არ გამოეცუალათ ანუ ცეცხლზე არ დაებერტყათ, მაგრამ ძალიან ცოტას ხანს. ისევ საჩქაროთ უნდა ჩაეცოთ; უეცრათ მდევარი არ დაეძახათ, რომ მდევარში არ დაგვიანებულიყვნენ, რომლისაცა ამის რამთენიმე მაგალითები მოვიტანოთ, უფრო კარგათ დავინახამთ მაშინდელსა დროსა.

პირუელი. შუადლის შემდეგ¹ ქ. ტფილისის ავლაბრისა მხარეს, სადაც ეხლა რიყეზედ მცხოვრები დგანან, იქ მტკუარის პირზედ, მჩითავებსა ჩითები ჰქონდათ გაფენილი და წყალით თურმე ნამავდნენ. ამ დროს ჩუღურეთისა და ავლაბრის შუა ხევიდგან დაქვეითებული ლეკები წამოეპარნენ, უნდოდათ, მჩითავები დაეჭირათ, მაგრამ ისინი საჩქაროთ მტკუარში გამოცურდნენ და ამით მოირჩინეს თავი. ამაზედ ერთი ძახილი და ერთი ყოფა შეიქნა ქალაქიდგან: არ იქნა, მდევარი, მდევარიო. ლეკებმა მჩითავები რომ ვეღარ მოახელეს, ჩითები მოიტაცეს და გაიქცნენ, რაც შეეძლოთ, დიას ჩქარა. დაქვეითებული ლეკე ცხენიანს მდევრის ქართულს სადღა ნაუგიდოდა, იქვე მახათას იქით მოასწრეს; ზოგი დახოცეს და ზოგი ტყუეთ წამოიყუანეს. ეს ამბავი სხორცეთ მეფის ირაკლის სასახლისა პირდაპირ მომხდარა. რომელიც იმ დროს სხუაგან ბძანებულა. აი ასე გაკადნიერებული ყოფილან ლეკები, რომ სიკვდილისაც აღარ ეშინიდათ არსად, ასე მოდიოდნენ საქართულოზედ.

მეორე. რომელიმე დაუდევნელი ქართუელი თავადი ვახშმის შემდგომ გამოვიდა კარზე ფარალათათ ახალუხა, მასკვლავებიანს ღამეში დადგა ლოცუაზედ და ღმერთს ევედრებოდა (უწინ ჩუეულობა ჰქონდათ, ბევრი კარზე ილოცავდა, ვახშმის შემდგომ თუ გათენებისას). ყუელას ეძინათ იმის ცოლის მეტსა, ამ დროს ლეკები მიეპარნენ, პირი აუხვიეს და მოინდომეს წაყუანა, იცოდნენ, დიდ ფულს გამოართმევდნენ. იმის ფორთხალში იმის ცოლი გამოვარდა ხანჯლით, ფეხშიმველა, ნახა, რომ იმის ქმარსა ეხუევიან წასაყუანად, დაიკივლა: გვიშუელეთ, ლეკებიო. ამასთანავე გაშიშვლებულის ხანჯლით მიუარდა, ორი ლეკე მოკლა და თავისი ქმარი გამოიხსნა. იმ ქალის დაკივლებაზედ მთელი იმისი სახლეულობა გამოცვივდნენ, იმათი სოფლიდგანაც სულერთიან, მაგრამ მანამდისინ ლეკებმა თავი მოირჩინეს, საითკენ, რომელ მხარეზე წავიდნენ, ვეღარა გაიგეს რა.

ეს არაფერი. შეხედავდით ერთი ბაირახის ასი კაცი ანუ ასზე

¹ მეფის ირაკლის პირუელს მეფობის დროებში ავლაბარში და ჩუღურეთ-კუკიაში აყრილი ყოფილა მაშინ ხალხი.

მეტი, ერთის მხრიდგან მოდიოდა საქართულოზე, მეორეს მხრიდგან ორი ბაირახის კაცი, მესამეს მხრიდგან სამი ბაირახის კაცი და შემდეგნი უფრო ბევრნი... ამ ნაწყუეტნაწყუეტის ბაირახის ლეკებით სავსე იყო საქართულო. როგორც კალიებსავით და გუნდგუნდად დასტრიალებდნენ საქართულოს, ახლა იმის მაგალითებიც მოვიყუანოთ დასანახათ.

პირუელი. ყაფლანიანთ ჩუენს ფიტარეთის სოფელს ცხრა ბაირახების ლეკის ჯარი შემოადგა უეცრათა, რომელნიცა დაემურნენ: მდევარმა არ მოგვასწროს. იმღამესვე ერთმანეთში თვითონ მასრა წამალი მოკრიფეს და ხანჯლებით ამ თხრილსა გალავნისა ძირში შეაყარეს დიახ ფთხილათ. და გათენებისას კი ცეცხლი მისცეს, რომელმაცა ერთი მხარე კედელი ჩამააქცია. ამასთან იუვლეს ლეკებმა და ხმალდახმალ შიგ შეცვივდნენ. თუმცა შიგნით ძალიან ხელი გამოიღეს ქართულებმა, ასე გასწრეთ, დედაკაცებმაც ხანჯლებითა თავი დაიზღვიეს, მაგრამ გაჯავრებულმა ლეკებმა ბოლოს დასძალეს ფიტარეთელები: დიდი და პატარა ასე ამოწყვიტეს, რომ ერთი ცოცხალი აღარ გაუშუეს. ჩუენი სასაფლაო ეკლესია ხომ რასაკვირველია აიკლეს, ის იმის იმთენი სიმდიდრე რომ აბაზის დანაფასები არა დააგდეს რა და დიდის დავლით ოსმალოსკენ წავიდნენ დიახ ჩქარა. კიდევ მდევრისა ეშინოდათ. სამხრიბის დროსა მდევარიც მოვიდა, მაგრამ სავალალოს მეტი ველარა ნახეს რა.

მეორე. გორიდგან წამოსული მეფე ირაკლი მოეშურებოდა ოცი ცხენიანის კაცით, საჩქაროთ ქალაქში ჩამოსულიყო. ამ დროს, როდისაც ჭალას დაუახლოვდნენ, ორი ბაირახის ლეკი გამოვიდნენ ტყიდგან და ამათზე წამოვიდნენ მინდურად. ლევან ბატონიშვილიც იმ დროს იქ ხლებია მამას მეფეს და ოთხი ზალიც თანა. თა ზაალ ენდორნიკაშვილი (კუზიანი), თა ზაალ ბარათაშვილი (დიანძეგი), თა ზაალ მაჩაბელი (ბორტი) და თა ზაალ ორბელიანი (ყაფლანიშვილი). თურმე მეფე ირაკლი იტყოდა ამ ოთხის ზაალისას: ოთხი ზაალ ჩემთან რომ იყოს, ოთხი ათას მტერსაც არ დავერიდებიო. ასეთი გულოვანი ვაჟეკაცნი ყოფილან ეს ოთხი, მაგრამ ბოლოს ზაალს ორბელიანს მეფე ირაკლის ღალატი შეუმჩნევია, რომელსაცა დაუჭერინებია და კარგა ხანი ხუნდ ქუეშ ჰყოლია დაჭერილი. ამაზედ რაღა გავაგძელოთ. ესენი დამდგარან და რჩევა უკითხამს მეფეს: რა ვქნათო? – ზოგს რა უთეუამს და ზოგს რა. მასუკან ლევანისთვის უკითხამს: შენ რაღას იტყვიო? - იმას მოუხსენებია: თუ თქუენ აქ არა ბძანდებოდეთ, მე ვიცი რასაც ვიქმოდი, მაგრამ თქუენ რომ აქა ბძანდებით, მე აღარა მეთემის რა. მეფემ მეტის სიამოვნით გაიცინა და მასუკან მიუბრუნდა იმათ: ამ წუნკალებზედ

თოფი რომ გავცალოთ, სირცხვილი არ არის ჩუენთვის? – ეხლავ ჩახმახიდგან წამალი გადუყარეთ თოფებს. მაშინუე გადუყარეს. ამასთანვე დაისუეს ხმლებსა ხელი და შუა ლეკებში დაეძგერნენ, რომელთაცა იმწამსვე მოშალეს იმათი დასი და წინ წაიყარეს. მეტი გაიქცა, ტყეში შეცვივდნენ, სხუა ზოგი დახოცეს, ზოგი გადაკინძული ტყუეთ წამოიყუანეს და გამარჯუებული წამოვიდნენ. უფროსი ერთ შემთხუევაში, ყოუელი ცოტა ქართული სულ ასე ომობდა. წახდებოდნენ თუ დაამარცხებდნენ, არას დასდევდნენ. დრო იმისთანა იყო, რომ უთუოთ ასე უნდა ექნათ, ამისთვის, რომ ამით უფრო სტებდნენ და თუალებს უბამდნენ საქართულოში სამსეს მტერსა.

მესამე. ბატონიშვილი ლევან სამშაფათის აბანოში იყო თავის რამდენისამე არჩეულის ამალითა.¹ ამ დროს მეფე ირაკლის კაცი მიუვიდა: საგურამოს ტყიდგან ლეკის ჯარი წამოვიდა, ავჭალაზედ მოდიან, უნდა წაახდინონ. ლევან მაშინვე გამოვარდა, იმის ამალაც თან გამოჰყუა და სირბილით კუკიაში გავიდნენ გზაზე ტანისამოსის ჩაცმით, სადაც შეკაზმული ცხენები და იარალი მოართუეს, რომლებიცა სულერთიან ასი კაცი გასხდა ცხენებზე, ხელათ რაერთიც მოხერხდა და საჩქაროთ გასწიეს. რა გლდანის მხარეს გავიდნენ, იქ ექუსასი ლეკი დაინახეს, ავჭალაზე მომავალი, ექუსის ბაირახით. ბატონიშვილმა ლევანმა ბძანა: მამიჩემის მეფის ბაირახი გაშალეთო.² იქიდგან ბელადმა დურბინდში გამოიხედა და მეფე ირაკლის ბაირახი რომ დაინახა, დაიძახა: ის ძალლი ერეპლე აქ არისო. ამაობაში ქართულები კიდეც დაერივნენ და გამარჯუებული ბევრის ტყუეებითა ქალაქში შემოიარეს. დიდი და პატარა ბატონიშვილის ლევანის დღეგძელობას ღმერთსა სთხოვდნენ გულმხურვალედ, მაგრამ ღმერთმა არ შეისმინა ქართულების საუბედუროთ.

ამ ამბებში შახედავდით, რომ ოსმალოს მხრიდგან დიდი ჯარი გამოვიდა საქართულოზე, ეს კიდევ არაფერი. შეხედავდით, რომ ჭარბელაქნის მხრიდგან უფრო ბევრი, ეს კიდევ არაფერი. ზოგჯერ და ზოგჯერ ხანების ჯარებირომ წამოესეოდნენ თავის ხანებითა და ერთიან საქართულოს დანთქმას უპირებდნენ, ეს კიდევ არაფერი. სპარსეთის ხელმწიფები დიდრონის ჯარებით რომ წამოვიდოდნენ და მთელი საქართულოს ჩაყლაპა უნდოდათ, როგორც ვეშაპს პა-

¹ მეტი კარგი ამალა ჰყოლია, ორი ათასამდინ არჩეული ქართული, უცხოთ მორთულნი, ბედაურის ცხენებითა და თავგადადებული ვაჟგაცნი, სულ თავის ხნის ყმაწვილი კაცები.

² როდისაც ლევან მოესწრა, მეფე ირაკლიმ თავის ბაირახი მას მისცა.

ტარა პატკანი. (აღამამადხანის ამბავიც მაქუს დაწერილი).

ეს ამდენი უსაშინელესი ამბები სულ მეფეს ირაკლის და იმის ქართულებს ანუათ კისერზე მინამ მეფე ირაკლი მოკვდებოდა. ამას ასე ვანბობ, მაგრამ ტანში კი ურიალი მივლის იმ ამბების საშინელებით!..

წარმოიდგინეთ ის გარეთი იმთენი მოსეულობა, იმთენი მტრები, ის იმთენი დაცემულება ვერას უზამდა ირაკლის და იმის ქართულებსა, თუ ის დაფარული მტრები არა ჰყოლოდათ. იმ დაფარულმა მტრებმა მეფის ირაკლის ოჯახი დააქციეს და საქართულოც საფუძულზე დაიყუანეს.

აბა ახლა ამისი პასუხი მომეცი კეთილგონიერო და დიდსულოვანო მართალო კრიტიკო, იმ ჩუენი მამაპაპების იმდენის მამულის მსხვერპლისთვისა ერთობ იმათი შვილები ანუ შვილიშვილები დიდი პატივისცემის ღირსნი არიან თუ არა, ანუ საუკეთესო დიდი ჯილდოსი?-

სიმართლეო, იმედი მაქუს, შენ ამას არ დაიდუმებ, ერთს დროში ამაზედ მართალს დაიძახებ...

დეკენბერს 1865-სა წელსა ქ. ტფილისს.

მაცის ირაკლის გეორგის ღროვის ცოცოფა ანგაზი ანუ ზოგიერთი გაშიდები პირნი

როდისაც მეფე ვახტანგმა საქართულო დაუტევა და კახეთის მეფე თეიმურაზ საქართულოში გამეფდა ნადირშას შემწეობით, სარდალი თა ქაიხოსრო ჯ. ორბელიანი (სომხითში მაშინ ძლიერი შეიქნა მეფის თეიმურაზის შემწეობით) მთელი სომხითელებით კახეთის მეფეს გაუერთდნენ და დიდათ ერთგულათაც ემსახურნენ როგორც მამულს, ისე მეფესა. თუმცა ქაიხოსრო სარდალმა პაპა-ჩემის მამა ერკალაბაში თა ელიზბარ ჯ. ორბელიანი უმიზეზოთ და ტყუილების მოგონებით ერევანში ნადირშას დაახრჩობინა და იმის ოჯახი ყიზილბაშებს აკლებინა. რადგან ელიზბარ ეშკალაბაშისა ეშინოდა, იმის ოჯახობის ძლიერებისა ნამეტნავათ, გაძლიერებულის გივი ამილახვრისა (ელიზბარის სიძე იყო გივი), ამისთვის გულიდგან მოიშორა ქაიხოსრო სარდალმა ელიზბარ ეშკალაბაში,¹ თავისუფლათ ემოქმედა, რომელმაცა ნადირშასთან შემთხუევა პოვა და საწადელსა მიეხნია. ძალიან ერთგულათაც ემსახურა მეფე თეიმურაზს. ამის გამო სამდურავის ღირსი აღარ არის ქაიხოსრო სარდალი, ვინაფებან საქართულოს გაერთებისათვის დიდათ ეწე-ოდა მეფეს თეიმურაზს.²

ქაიხოსრო სარდალი დამშვიდებული კაცი ყოფილა, ღრმა გონებისა და დიდი ცბიერი. მეფე ვახტანგ ბევრს უთვლიდა რუსეთიდგან ქაიხოსრო სარდალს მეფის თეიმურაზის უკუდგომას, მაგრამ გუნებაშიც არ გაივლო. ამის ნაცვლად მეფის თეიმურაზისა ქალი ანა ითხოვა და თავის მახლობელს, დიმიტრის შერთო (შემდეგ დემეტრე ეშკალაბაში, ესეც ჯ. ორბელიანი). ელიზბარიც მახლობელი იყო ქაიხოსროსი).

იმ სარდლის ქაიხოსროს³ შემდგომ, იმის შვილი რევაზ ჩადგა

¹ ყმაწვილი კაცი, ჯერ ბატონიშვილობაშივე ირაკლი დანიშნული იყო ელიზბარ ეშკალაბაშის ძმისნულს ვახტანგის ქალზე, ანაზე, რომელიცა ყოვლის ღონისძიებით ცდილა ქაიხოსრო სარდალი, რომ გაეშეუერგინია. ის შვერიერი ქალი, მოლოზნათ შემდგარი მწუხარებით მოკვდა ალავრდში.

² მხოლოდ ეს მოხდა ცუდი, რომ ელიზბარ ეშკალაბაშზე განრისხებულმა ნადირშამ მარტო იმის მოშთობა არ იქმარა, ყაიყულები აპყარა, ყიზილბაშში გადაასახლა და ეს საქართულოსთვის დიდი დასაკლისი იყო. მაგრამ ელიზბარ ეშკალაბაშის მოშთობაზე გივმა ამილახუარმა დიდი საშინელება დამართა საქართულოს, რომელ-საცა იმ ამბავსა თავის დროზედ წვრილად ავწერ.

³ საკვირველად მიჩანს, რომ ქართლის დიდობითი კაცები, ვითარცა: კონსტანტინე მუხრანის ბატონი, ქაიხოსრო სარდალი და კიდევ სხუანი კახეთის მეფეს თეიმუ-რაზს მიუდგნენ და ქართლი კახეთის გააერთეს და ამაზედ დასდგნენ მაგრა. იმათ ეტყობათ, რომ შორს დამნახავნი ყოფილან, მაშინ როდესაც რომ შანშე ერისთავმა

იმის ადგილას სარდლობაში, რომელიცა კარგი სარდალიც იყო, მამულისა და მეფეებისა დიდი ერთგული მოსამსახურე, მაგრამ მეტი გულფიცხელი, რომლისაცა იმის პატრეთს იმის შვილს და-ვითზე წავიკითხამთ ამის ქუემოთ, ის დავითიც მამას ჰგვანებია ყოვლისფროთა.

სარდალი თა დავით ჭ. ორბელიანი უნამეტნავესად იყო ძლიერი ენერგიის კაცი, მამულისა და მეფის ირაკლისა დიდი ერთ-გული (მეფის ირაკლის ქალი თამარ ჰყუანდა ცოლათ). მაგრამ იმის ნაკლულევანებას ასე იტყოდნენ: ხასიათით აპრიალებული იყო, როგორც თავის მამა რევაზ და ყოვლისფრითაც იმას გუანდაო. იმ თავის ხასიათით დავით ხანდისხანა აწუხებდა მეფეს ირაკლის, მა-გრამ მეფე ირაკლი არას დასდევდა. ყურს არ ათხოვებდა. იცოდა, დიდი საჭირო კაცი იყო დავით იმისთვისა. ერთხელ ასე გააჯავრა, რომ მოთმინებისაგან გამოსულმა სახლთხუცესობა ჩამოართო და იმის ქვისლს თა ივანე მუხრანისბატონს მისცა (იმასაც მეფე ირაკ-ლის ქალი ჰყუანდა ქეთევან). თუმცა სარდალი დავით გაჯავრდა, გააჩჩხლდა, მაგრამ მაინც გულშენირული იყო მეფის ირაკლისა (რაზედაც ჩამოართუა სახლთხუცესობა, ადრევ მითქუამს, სხუა წერილში). არც მაგთენი დასაკარგი იყო ის იმისთვის, სახლთხ-უცესობა, თორემ თუ დიდი რამ ჩამოერთო, იქვე წუეთი დაეცე-მოდა. მოკვდებოდა. ეს მეფე ირაკლიმ კარგათ იცოდა, მხოლოდ საგრძნობლათ უყო და უფრო სწორეთ უნდა ვსთქუათ, რომ მო-მატებულად ველარ დასჯიდა, ამისთვის, რომ იმისი სახლის შვილე-ბი ან სპარსეთში გაიქცეოდნენ და ან ოსმალოში, საიდგანაც ჯარ-ებს მოიყვანდნენ და ვალალებს დამართებდნენ საქართუელოს. მეფის ირაკლის დაფარული მტრები კიდეც შეუძვრნენ, ისინიც მოემზადნენ გასაქცევად და როდისაც ეს განძრახუა დავით სარდ-ლის სახლის შვილებმა დავითს შეატყობინეს და საიდუმლოთ მოახ-სენეს, ერთიანათ წამოვარდა დორზედ წამოწოლილი და გინებით გამოყარა კარში. თავის შვილი ივანე, თავის ძმისწულები გიორგი, ასლანი და იოსებ.

აღამამადხანის მოსვლის დროსა საქართუელოში, სარდალს დავითს დამბლა მოუვიდა (აღამამადხანის მოსვლის აღწერაშიაცა ვთქვი). რომელიცა დასწეულებული იმერეთში გადიყუანეს, სადაც დიდათ სწუხდა: ჩემს მეფეს არ ვახლდი და ჩემს ამხანაგებთან მეც არ მოვკვდი მამულისთვისაო.

და გივმა ამილახვარმა საქართველო დალუპეს: რათ უერთდება ქართლი კახეთ-საო? ორთა ამათ უჩანთ მოკლე გონება და მოკლე სულობაც. თუ ამ ჩემსას არ დაიჯერებთ, წაიკითხეთ ქართული ისტორია.

აღამადხანი ვერას უზამდა ირაკლის, თუ დავით სარდალი კარგათ ყოფილიყო, ამისთვის, რომ ყუელაზედ გავლენა ჰქონდა ბატონშვილებიდგან მცირემდისინ, რომელიცა დიდი მცდელიც იყო საქმისა, სახეც იმისთანა მედიდური ჰქონდა იმას, წუერიც გძელი და ტანიც ბრგე. მეფის ირაკლის ბძანებასა და რჩევასა კარგათ უკლებლივ აღასრულებდა ხოლმე და არც არავის შეეძლო მეფის ირაკლის წინააღმდეგობა გაეხდათ იმასთან, ეთქუათ რამ. თუმცა აქეთ იქიდგან უძვრებოდნენ, მაგრამ ვერაფრით ვერ მოეხერხებინათ. ეს კი იყო, რომ ოღონდ ის კი ყოფილიყო საქმეში და იმის ღირსეულს ადგილას სხუა ნურავინ, თორემ იმის თუალში ის ეკალი იქნებოდა. ის იყო განუსაზღვრელი პატივის მოყვარული და მედიდური ანუ გულმაღალი კაცი; იმას ოღონდ თავისი გაეყვანა, თორემ ტყუილ-საც არ დაერიდებოდა. მეფის ირაკლისათვის ის იყო კარგი, რომ იმისთანა კაცი, ნამეტნავად მაშინდელსა დროში, ისე მორჩილებდა მეფეს. აი ამით ჩანს, რომ სარდალი დავით დიდი გონიერი ყოფილა და ეტყობა მშობელი მამულიც დიდათ ჰყუარებია, რომლისაცა იმი-სი სიანჩხლე წამი იყო, მაშინვე გულზედ გადაკერამდა და შემდეგ შეიქნებოდა, როგორც ბატკანი. მეფე ირაკლიმ იმისი ხასიათი კარგათ იცოდა. ჯერ მიუშევებდა და ბოლოს ასეთს რასმე ეტყოდა, რომ მაშინვე დამშვიდდებოდა. თუ ის მართლა მრთელი ყოფილიყო აღამადხანის დროსა საქართუელოში, მეფის ირაკლის წინააღმდეგები ვეღარას შეიძლებდნენ. თვით ის შევიდოდა საქმეში და ყოველს საქმეს ის აღუსრულებდა დაპირდა კიდეც და საქმეშიაც შევიდა, მაგრამ როგორც ზევით ითქუა, დამბლა მოუვიდა და აღარც გონება ჰქონდა რიგზედ. სხუებთა შორის ესეც ზედ დართული უბედურებაა მეფის ოჯახობისა და საქართუელოსი, რომ იმ დროებში დავით სარდალი აღარ იყო.

სარდალი დავით ყუელასთან კარგათ იყო, ზოგთან ძალით, ზოგთან მეგობრობით, ზოგთან ნათესაობით, ზოგთა ეშინოდათ იმისი აღელებულის ხასიათისა და ამის გამო ყუელას მორიდება ჰქონდათ იმისი. ბატონშვილი გიორგი ხომ უზომოთ სცემდა პატივს და იმასთან ვეღარავინ ვეღარას შერებოდნენ მეფის ირაკლის წინააღმდეგები, ასეთი მორიდება ჰქონდათ დავით სარდლისა. აი დავით სარდალი ამისთანა კაცი იყო მეფის ირაკლის გონების მორჩილი.

დავით სარდალი საქართუელოში რომ მოიყუანეს იმერეთიდგან, მაგთენი ხანი აღარ იცოცხლა, რომელმაცა მეფე ირაკლიმ ამგუარათ იტირა: ჩემო მარჯუენა მხარევ, ჩემო სიძე დავით სარდალო, შენ ალარ მყუანდი და საქართუელოც იმიტომ დაგვიქციეს მტრებმა, რომელიცა შენ იყავ ჩემი ბედნიერი სარდალიო და სხუანი. ქ. ტფილის სიონთა ღვთისმშობლის ეკლესიაში არის დასა-

ფლავებული.¹

დავით სარდლის შემდგომ სულერთიან ორბელიანები მოღალატები შეიქნენ მეფის ირაკლისა. რომელებსაცა არც ერთს რიგიანი ჭკუა არ ჰქონდათ. ბატონიშვილი გიორგი და სარდლის დავითის მეუღლე თამარი ერთის დედის შვილები იყვნენ აბაშიძის ქალიდგან, რომელსაცა დიდი სიყუარული ჰქონია თავის დისა. დავით სარდლის შემდეგ რაღაც ხარახურა ხალხი დარჩა ჯ. ორბელიანები.² ერთს რიგიანი ჭკუა არ ჰქონდა, სულ ფუქსავატი რაღაებიც იყვნენ.

დავით სარდლის შვილი ივანე სარდალი რაღაც უბრალო ლეში იყო, მეითარის სოლომან თარხნიშვილის მონა (ივანე სარდლის და ჟყუანდა თინათინ). რომელსაცა თუ უნდა ააყენებდა და თუ უნდა, დასომდა, უსოლომანოთ ნაბიჯს არ გადაადგამდა, ასე დამორჩილებული იყო იმისი. ამ ივანე სარდლის ბიძაშვილი გიორგი ცარიელი ლაპარაკი იყო, დასომდით, უცხოთ მშვენიერის სიტყვებით ილაპარაკებდა რაც უნდა ყოფილიყო და ამაზე მეტი კი აღარაფერი. ამის ძმა იყო მყვირალა კაცი, თუ არ ყვირილით, არას იტყვოდა და ძალიანი ქალალდის მოთამაშე; ოღონდ ქალალდი ეთამაშა ამხანაგებთან, თორემ ცა ქუეყანას დასცემოდა, არ შეიძროდა ადგილიდამ მინამ არ წააგებდა და ან არ მოიგებდა. ამათ ძმას ასლანს უნდოდა, მითამ დავით სარდლის როლი ეთამაშა საქართულოში, იმისთანა გულფიცხელი კაციც იყო, მაგრამ არც ტანი ჰქონდა იმისი, არც სახე, არც იმისი გონება და არც იმისი მოხერხება. ის იყო გამხდარი, არც მაღალი ტანისა და გული კი წრფელი ჰქონდა. ამის მიმდევნო ძმები იოსებ და სოლომან იყვნენ კარგი ვაჟეკაცი (და მაშინდელ საქართულოში ვინ არ იყო კარგი ვაჟეკაცი? ამას იმისთვის ვანბობ, რომ სულ იმას იძახოდნენ იმისი მახლობლები: იოსებ ვაჟეკია და ვაჟეკაცია). თავის უფროსების მორჩილი იყვნენ, რასაც ისინი უბძანებდნენ, იმას აღასრულებდნენ. ამათ კიდევ ჰყუანდათ ორი ძმა, სამარალდო და იაკობ, რომელებიცა იმათ როლის და საქმეების დროსა, ისინი ყმაწვილები იყვნენ. ეს ერთის ძმის უფროსის სახლობა წავიდა, ახლა მეორესი ვთქუათ, ესე იგი მამიჩემისა.

ზევითაცა ვთქვი ქაიხოსროს სარდლისაგან ჩუენი სახლის დალუპა, ბოლოს კიდევ მამიჩემის მამა დიმიტრი ლევან ბატონიშვილთან მოკლეს საგურამოს ომში ლევებმა (ლევან ბატონიშვილს

¹ მინამ სარდალი დავით მრთლათ იყო, მეფე ირაკლი არსად არ დამარცხებულა, ეს ნამდვილი ფაქტია. აღამამადხანს მოსკოვაზედაც ეტყობა.

² ჯ. ორბელიანებს ყაფლანისშვილებსაც გუეძახიან, რადგან ერთის მამის ყაფლანიდგან მოვდივართ, პირუელის მეფის თეიმურაზის დროის ყაფლანიდგან.

ხლებია პაპაჩემი დიმიტრი, იმის ამაღასა შორის). მამაჩემი ობლათ დარჩენილი და დიდს საჭიროებაში გამოვლილი, ასე გაჭირებული იყო, როგორც ჩუქუნში იტყვინ: სადაც კომლი მაღალიაო, ის იმისი მაყარიაო. ისე მამაჩემი იყო. სადაც ნახავდა, რომ მომატებული სიმაღლე იყო და ძალა, მამაჩემი იმათ მიმართავდა, ეგება ამით კაცი გავხდეო და კიდეც ეწია საწადელსა, რომ მეფის ირაკლის ქალი თეველა შეირთო. მოვიდეთ მესამე ძმის შვილს თამაზ ეშკაღაბაშთან, ანუ იმათ მესამე სახლთან. ის იყო მეფის ირაკლის დის, ანასი და იმის ქმრის დემეტრე ეშკაღაბაშის შვილის შვილი (მამა, მამუკა, რომელიცა ყმანვილი კაცი მომკვდარა და თამაზ პატარა დარჩომილა). თამაზ იყო მეფის ირაკლის დიდი საყუარელი და მეფისგან წყალობით ამსილი იმისი ოჯახი. ის იყო მეტი გალალებული და მეტი ნებიერი მეფის ირაკლისა, სიმბიარულისაგან ატაცებული, რომელიცა არავისა არაფერში არა ეპუებოდა, თითქმის არც მეფეს ირაკლისა. ანა ბატონიშვილის გულისთვისა, რომ არ ეწყინოს, ასე ანებივრებდნენ ყუელანი თამაზს. მის ერთი სახლის შვილი გონიერი ჭაბუა დიამბეგი რამთენს არიგებდა თამაზს, მაგრამ ვერას აჯერებინებდა. იმას შეცვდა ასეთი ცოლი, რომ ბოლოს სრულებით თავი ჩაუკრა ქმარსა, ქობულაანთ ქალმა ქეთევანმა, რომელიცა ხასიათით მაგარი ქალი იყო და მკაცრიც, რომელსაცა ძალიანაც უყვარდა თავის ქმარი თამაზ და თვითონაც მშუნიერი იყო სახით თუ ტანადობით.

ახლა მეოთხე ძმის სახლის შვილისა ანუ მეოთხე სახლის კაცის ამბავი, როგორ გაიარა ზაალ ორბელიანის საქმემ? - თითქმის ის ზაალ მეფეს ირაკლისთან ერთად შეზღდილი იყო, სადაც ყოუელს შემთხუევაში იმას ახლდა; იშვიათად მოხდებოდა, რომ ზაალ დაჰკლებოდა მეფის შემთხუეულობასა, ის ხელგამომავალი საკვირველი ვაჟეკაცი, მეფის ირაკლის დიდი საყუარელი და ბევრის საქმის აღმასრულებელი მეფისა. ის ერთგული კაცი ირაკლისა - ირაკლის მოღალატე შეიქნა დავით ქსნის ერისთვის მოწყალებითა (იმის და ჰყუანდა ზაალს ცოლათ), რომელთაცა მოინდომეს, ქართლში მეფე დასონ კიდევ ქართლის მეფისანი და თავიანთის განძრახვით ქართლი გააცალკეონ. ეს ამბავი მოახსენეს ირაკლისა, რომელმაცა ზაალ დააჭერინა, საპყრობილები ხუნდი დაადო და დავით ერისთავმა კი ფიცით თავი გაიმართლა: არა ვიცი რაო. ბოლო დროს თუმცა აპატია, გამოუშო ზაალ, მაგრამ ვეღარ ენდო, ახლოს აღარ მიიკარა ირაკლიმ.

ზევით რომ ვთქვი: დავით სარდლის შემდგომ ორბელიანები მოღალატენი შეიქნენ მეფის ირაკლისა-მეტქი? - არამცთუ მარტო ორბელიანები - სხუებიც უფრო ადრიდგანვე. მაგრამ ჩემის სწორეს

ლაპარაკით აუგათ ვიხსენიები ბევრისგან და მაინც კიდევ მე ჩემსას არ დავიშლი, ვინც რა უნდა თქვან. ჩემის სწორეს ლაპარაკით აქა-მდისინ და დღესაც ვილანძლები, მაგრამ კუთხეებში, ჩუმათ, თავი-ანთი სვინიდისის შესარცხუენად. აბა, ახლა არის საქმე, როდისაც ამას წაიკითხუენ, მაშინ რარიგად ჩემზედ გაჯავრდებიან... გაბრა-ზებული სისინს დაიწყებენ თავიანთის დაშხამულის შაშრიანის ენი-თა. აბა, მაშინ გექნებათ დრო, რაც შაიძლოთ, სამსალა გადმამასხ-ით. მე ჩემი მოვალეობა აღვასრულე და ვთქვი ყუელა. მე ამას ჩემის გუარიდგანვე დავიწყებ, არავინ არა თქუას, თავის გუარი ქუემოთ მოუქცევა, რომ ორბელიანები ავრერიგათ არ გამოჩნდნენო. მე არავინ არ დამიზოგია აქ, არც ჩემი გუარი და არც სხუა, ჩემთვის სულერთნი არიან. მამულის ღალატი მარჯუენა ხელმა ცოტათაც რომ იგრძნას, უნდა მოიჭრას ის ხელი და ძალებს მიუგდოს, არ-ამცო დაზოგოს ვინმე.

კარგა ადრე საქართუელოს დაღუპა ვინც დაიწყო, მე იმისას არას ვანბობ აქა და ამას კი ვიტყვი, რომ ბოლო დროს მეფე ვახ-ტანგმა დაიწყო საქართუელოს დაღუპა რუსეთიდგან. იმ მეფის ვახტანგის ამბავი გვითქუამს, გავვითავებია. ზაალ ორბელიანის ამბავიც ხომ გავიგონეთ, ახლა დავით სარდლის შემდგომი ამბები წავიკითხოთ, ორბელიანებმა რათ უღლალატეს მეფეს ირაკლის?-

თითქმის ყოუელი ორბელიანი დავინახეთ ამ წერილში და თუ დარჩა ვინმე, ცოტა. ჩუენ უფრო იმაზედ ვლაპარაკობთ, რომლებ-მაცა მამულს და ირაკლის უღლალატეს.

მინამ სხუებზე დავიწყებ, იმათ მოქმედების ამბავს, ურიგო არ იქნება, ჯერ გიორგი ბატონიშვილი (შემდეგ მეფე) დავინახოთ რო-გორი კაცი იყო.

ბატონიშვილს გიორგის პირუელად თავის რევაზ ენდრონიკაშ-ვილის დაი ჰყუანდა ცოლათ, ქიზიყის მოურავისა. ბოლო დროს ის ასე გაამაყდა ბატონიშვილის გიორგის სიძეობით, რომ მეფის ირაკ-ლის გადაგდება მოინდომა და ბატონიშვილის გამეფება, ძალაც დიდი ჰქონდა კახეთქიზიყსა და ბოლოს ლეკებიც მოიმსრო ჭარ-ბელაქნიდგან. ბატონიშვილმა გიორგიმ ეს ამბები არა იცოდა რა, უიმისოთ ასე საიდუმლოდ საქმობდა რევაზ მოურავი. ეს ამბავი მეფე ირაკლის ვინც შეატყობინა, გაიკვირვებთ! თვით რევაზის დამ, ბატონიშვილის გიორგის ცოლმა, რომელმაც დიდათ საიდუმ-ლოთ მოახსენა თავის ძმის ღალატი და თვითომ იმანვე ურჩია: უთუოთ გამოცვალეთო. ასეთი ერთგული იყო მეფის ირაკლისა ის ქალი (ესენი სულ აღნერილი არის ჩემგნით ადრე). მეფე ირაკლი-მაც მოურაობიდგან გადააყენა, მომატებულად კი აღარ გამოიძე-ტა ბატონიშვილის გიორგის თავაზისათვის, ცოლის ძმობის გამო

თა~ს ზაქარია ენდრონიკაშვილს მისცა ქიზიყის მოურაობა და ამით წაართო სრული ძალა რევაზს (ზაქარია მოურავსაც მეფის ირაკლის ქალი ჰუსანდა ელენე, ეს იყო მეორე ქმარი ელენეს).

რევაზმა ეს გულში ჩაიდო, მაინც თავის ფიქრსა არ მოეშო; ბატონიშვილს გიორგის შეუჩინდა, ყოვლის ცფიერობით მეფეს ირაკლიზედ გულს უცვლიდა, მაგრამ ის რევაზის და, ბატონიშვილის გიორგის ცოლი, ჭკვანი, გონიერი, მართებული დედაკაცი დიდათ უშლიდა: მეფის ირაკლის წინააღმდეგობა ლვთის მტრობა იქნება, ის ასეთი მეფე ბანდება. არმცთუ იმის მახლობლებმა – ყოველმა ქართულმა თავი უნდა გამოიდონ და მეფეს ირაკლის შეენივნენ, საქართულოსთვისა იგანჯება საცოდავი, სირცხვილი არის რევაზ, გაჩუმდიო. ამისთანა მკაცრი სიტყუებით გააჩუმებდა. ვინც იმათ ლაპარაკში დასწრებოდა, თვით იმან მიანბო, ბატონიშვილის გიორგის შინაურმა მდივანმა, თა ელიაზარ ფალავანდისშვილმა.

ეს ანბავი დედაჩუმდა მიანბო, კუზიანი ზაალის ძემ ნინია ენდრონიკაშვილმაც და თა ელიაზარ ფალავანდიშვილმაც. სხუა ამბბიც უანბიათ ამათ ჩემთვის, არა სამთავ ერთად...

მინამ რევაზის და ქეთევან ცოცხალი იყო, რევაზმა ვერა გააწყო რა; როდისაც მოკვდა და კარგა დრო გამოვიდა, ახლა სხუა რიგათ დაიწყო. თავის სიძეს ბატონიშვილ გიორგის ცოლის შერთუა ურჩია და კიდეც შერთო. მერე ვისა ქალი? - მეფის ირაკლის მოღალატესი, რომელსაცა ღალატობისთვისა ყურები დასხეპილი ჰქონდა და ისე ხელცახოცით ახვეული იყო ხოლმე. ეს იყო გიორგი ციციშვილი, მომატებული სახელი გოგია და ბატონიშვილმა დავითმა ხათა გოგია დაარქეა. ადრეც გვითქუამს იმისი და რევაზ ენდრონიკაშვილის ამბავი სხუას შემთხუეულობაში.

ის ორი მაცთურები, ის მეფის ირაკლის დიდი მტრები ერთად შეიყარნენ და ბატონიშვილი გიორგი როგორლა შეიტყობდა იმათ ცბიერობას, რომ იმათგან არ მოტყუებულიყო ის მართალი, წრფელი და სნეული.¹ მართლა, იმას ჰქონდა ნათელი გონება, გამბედავი ხასიათი, უცხო ენის საუბრობა და მრისხანე ყოფაქცევა. იყო მოსული, ბრგე და სქელი მხარეჭიანი კაცი და დიდი ლვთის მოყუარე. დილაადრიან ცისკარს ილოცებდა, მასუკან თავის საიდუმლო ლოცვაზე დადგებოდა, შემდეგ პირს და ხელებს იბანდა კარგა ხანი. ჯერ ხელებს რამდენიმე კვერცხის გულით ისრესდა (მშუენიერი

¹ მინამ მეფე გიორგი ყმაწვილი კაცი იყო, ყოვლისფრით კარგი ყოფილა და როდე-საც ხანში შესულა და ტან სიმსუქნით დაბიმეფია, მაშინ დაუწყია მომატებული ჭამა და ლვინის სმა, რომელსაცა ეს სნეულებად და სისუსტედ გადაპქცევია.

მაგრამ როდისაც კი ფხიზლად ყოფილა, ყოველთვის დიდი გონება გამოუჩინია. სხუას იმის ამბავს ცოტაოდენს აქ ნაიკითხამთ.

თეთრსპეტაკი ხელებიც ჰქონია), მერე გარანდულის საპნით და ბოლო დროს წმინდა წყალს გადაივლებდა და იმითი დაიბანდა ხელებს პირსა. მეტი ფაქტი ყოფილა და ტანისამოსის საუცხოვო ჩამცმელი.

ტანისამოსის ჩაცმას რომ გაათავებდა, წირუაზე წავიდოდა, სადაც მთელს წირუაზედ თუალებიდგან ცრემლი გადმოსდიოდა და გულმხურუალედ ისმენდა. წირუის შემდეგ სალამში დაჯდებოდა თავის მამის ირაკლისავით; იმ დროს დიდი კაცნი მოვიდოდნენ და საქუებნო საქმეს განავებდნენ.

ის იყო სამეფო კაცი, მაგრამ ამთენს კარგს ლირსებასთან ოცდაოთხს საათში სამი საათი კარგს მდგომარეობაში არ იყო ქუეყნის გამგეობისთვისა, რომელიცა წირვის შემდეგ იქნება სამი საათი როგორმე გაეძლო იმ კარგს მდგომარეობაში, მასუკან სადილს მოითხოვდა და მეძნელება ვთქუა იმის სისუსტე სნეულობა, მაგრამ უთქმელობაც არ იქნება, სვინიდისი გაგვიწყრება.

რაკი სადილად დაჯდებოდა, მაძლრად სჭამდა და ღვინოსაც კარგად სვამდა სიმთვრალემდინ. აბა კიდეც ამ დროს ატყუებდნენ საქართუელოს, მაცოთურებისაგან შეჩენილნი. ის სადილზე იჯდა ხოლმე სალამომდინ, სხუა და სხუა საჭმელები მოჰქონდათ; სჭამდა და ზედ მაგარს კახურს ღვინოს სუამდა ხანდისხან, მაგრამ უფრო იშვიათად ამთენს სჭამდა და ამთენს ღვინოს დალევდა, რომ სადილს უკან ორხუამი უნდა ჩაეწვინათ და ასე ექანებინათ, მინამ პირიდამ ნასუამს ნაჭამს ამოუშუებდა, რომ თავისუფლად ამოექშინა. რა ვქნათ, ყუელას თითო სისუსტე აქვს ანუ სნეულობა. ბატონშვილის გიორგის სისუსტეც ეს იყო და სნეულობაც. მე ეს ძელათ მიმჩანს იმაზედ ეს ლაპარაკი. ნამეტნავად იმაზედ, ვისგანაც ჩემი ოჯახი დადგენილი არის, მაგრამ რა ვქნა, რაკი იწერება, უნდა დაიწეროს ისე, როგორც იყო საქმე, თუ არადა ტყუილები უსვინდისოების წესია. ძევრჯელ სადილს უკან ისა – ის კაცათ აღარ იყო, უნდა ქუეშაგებში ჩაეწვინათ და გათენების ცისკრამდისინ სძინებოდა, რომელსაცა საიდუმლო მტრები შესხდომოდნენ და ეშმაკურის სიტყვებით უუბნებოდნენ: კარგი საჭმელი და კარგი ღვინოები მიირთვით, ეს არის ამ სოფლის სიამოვნე, სხუა სულ ტყუილიაო. რომელსაცა კარგი სომხების სახლებიდგან საგანგებო საჭმლები მოსდიოდა და გარსევან ჭავჭავაძისაგან ჩინებული ღვინოები, ისიც იმით ივსებდა მუცელს. იმ შეჩენილებმა, იმ ჩუენი ქუეყნის მტრებმა, ბატონშვილი გიორგი ანუ მეფე სმა ჭამისაგან, ნაყროვანებისაგან არ მოაცალეს და მეფე ირაკლი ომებისაგან, რომ ქუეყნისათვის ეფიქრათ რამე იმ ორთა.

მეფის გიორგის ის სამი სიფხიზლე ქუეყნის გამგეობაში იმის

ნათელის გონებისათვის კმაროდა, თუ იმას კეთილგამძრახველები ჰყოლოდა. ერთი ჰყუანდა ჩინებული მდივანი თავის გიორგის მარჯუენა ხელი, რომელიცა დიდი ერთგულიც იყო იმისი და ყოველს საქმეს სულ ის უკეთებდა. სხვები, ვინც ეხვია, სულ ეშმაკნი, იმის მატყუებლები, რომელიცა ელიაზარს ფალავანდისშვილსა ყოველს ნაბიჯზედ გზას უხლათავდნენ იმასთან. თუ იმ ორისთვის დაეცლიათ, დღეს მეფობა ისევ იქნებოდა აქა. ამის შემდგომ ახლა მეფის ირაკლის ბიოგრაფიაც გავიგონოთ ან ის როგორი კაცი იყო.

ის იყო კარგი ჩინებული და განთქმული მხედართმთავარი! უშიშარი შეურყეველი ვაუკაცი; იმთენს აუარებელს ომებში გამოვლილი, არსად არ იყო დაჭრილი. კიდევ ის იყო ღრმა გონებისა, ყოველს საქმეში ფხიზელი და დაუღალავი. ჭეშმარიტი მართლმსაჯული და მაღალი გონებისა.

როდისაც მეფე ირაკლი ომების ამბებისაგან მოცლით იყო ხოლმე, წირვის შემდგომ მაშინვე საქუეყნოს საქმეებში შევიდოდა, საღამომდინ სულ მშიერი საქმობდა და საღამოზედ სადილს მოართმევდნენ. სადილს უკან კიდევ საქუეყნო საქმეში შევიდოდა და შუალამე გადვიდოდა, რომ კიდევ საქმობდა. მასუკან ვახშამს მიირთმევდა, რომელიცა დიახ ადრე წამოდგებოდა ძილით და მინამცისკარს დარეკავდნენ, თავის საიდუმლოს ლოცუას გაათავებდა და მზათაც იყო ჩაცმული. სამი საათის მეტი ძილი არა ჰქონია ოც-დაოთხ საათში, დანარჩენსა დროსა სულ საქმობდა. ასე გაშინჯეთ, სადილ ვახშამზედაც საქმეზედ ლაპარაკობდა, მაგრამ ლმერთმა ჰკითხოთ იმ ცბიერთა და დაფარულთა საქართუელოს მტრებსა. ისინი რომ არა, იმათი შვილები ანუ შვილიშვილები ჰასუხისგებაში იქნებიან: უსამართლობა შვილითშვილადმდეო. ვიზედაც ამას ვამბობ, ის ღმერთს მივაჩემოთ. მეტი ღონე სხუა რა გუაქვს? - ის სომხები კი ქვემოთ ვახსენოთ, კიდევ ჩუენსას მოვყუთ, რაც და... იმაზედ დავიწყოთ ლაპარაკი.

იმ ორის მაცთურების ამბავი ხომ გავიგონეთ. იმ მაცთურებსა კიდევ სხუა მაცთურები ჰყუანდნენ შემჯდარი ესე იგი სომხები (შემდგომში იმათი ამბავიც იქნება), რომლებიცა ფულს აძლევდნენ რევაზ ხათა გოგიასა და როგორც უნდოდათ, ისე ასაქმებდნენ ის სომხები. აბა ახლა გავიგონოთ იმ სომხების ამბებიც. ბატოიშვილის გიორგის მეორე ცოლის მარიამ დედოფლისა და, ხათა გოგიას ქალი ასლან ორბელიანზედ დაანიშნინეს, რომელმაცა ამით მოინონა თავი, ასე ეგონა: ეს ეს არის, დავით სარდალი შევიქენო. ამის შემდგომ ივანე სარდალი, დავით სარდლის შვილი, თავიანთი წილის სახლობითა, ბატოიშვილს გიორგის მიაკედლეს, მაშინ როდე-

საც რომ დავით სარდალი დამბლა იყო და რიგიანი გონება აღარ ჰქონდა. ამასთან ამ ამბავში ბატონიშვილის გიორგის ქალი პირველი ცოლისაგან, გაიანე ბატონიშვილი, თას გიორგის ქანის ერისთავის შვილზე¹ დანიშნეს, მეფის ირაკლის დაუძინებელის მტრების გუარის შვილზე, სადაც ერთიანი საიდუმლო დასი გაკეთდა მეფის ირაკლის დასალუპად, მაგრამ ნაცვლად მეფის ირაკლისა, საქართულო დააციეს.

ზალ ორბელიანის შემდეგ ორბელიანების ღალატი აი აქედგან დაიწყო მეფეს ირაკლიზედ. ასლან ორბელიანისა მე მახლობელი მცნობი ვიყავ, მამაჩემი და ის კარგი მეგობრები იყვნენ და მაშინდელი ბევრი ამბებიც გამოუთქუამს ჩემთან იმ გულწრფელს ასლანს. ახლა შემდგომი გავიგონოთ.

თა გარსევან ჭავჭავაძეს, იმის მეგობრებს, არქიმანდრიტ ეფთვიმეს, თა ალექსანდრე მაყაშვილს და იმათ დასსა, უფრო ასე უნდოდათ, რომ რუსეთს მისცენ საქართულელო ხელალებით ქუემევრდომად. მინამ მეფე ირაკლი ცოცხალი იყო, ცხადათ ვერა გაებედათ რა, ისე ქუებუდანათ მოქმედებდნენ და როდისაც მოკვდა, მაშინ ცხადათ დაიწყეს საქმობა და ბოლო დროს მეფის გიორგის მეფობაში, მეფეს მიაწერინეს რუსეთის ხელმწიფესთან: საქართულელო თქუენთვის მომირთმევიაო. აქ მოკლეთ ვანბობ, თორემ სხუადასხუა ამბავი ბევრი არის. ის არქიმანდრიტი ეფთვიმე მეფის ირაკლისაგან კარგათ იყო მიღებული, ნამეტნავად ბატონიშვილის გიორგისაგან ბატონიშვილობაშიც და მეფობაშიაც. მომავალს რომ დაინახავდა, დაიძახებდა: ოპ! ანგელოზი მოდისო. აქამდისინ იყო ის სასახლეში მიღებული. სწორეთ წმინდა ეგონათ. როგორც ის იყო ისე მიღებული, ისე გარსევან ჭავჭავაძე და ალექსანდრე მაყაშვილი. არამცუ მხოლოდ სასახლეში, ისინი ისე კარგათ იყვნენ მიღებული მთელს საქართულოს საზოგადოებაშიაც და დიდი პატივისცემაც ჰქონდათ იმათი ყუელას. ეს სამნი ამისთანა კაცენი იყვნენ, ამათ დიდი სამდურავი ჩამოუგდეს ბატონიშვილს გიორგისა და იმის შვილს დავითსა ისევ გიორგის ბატონიშვილობაში. რასაკვირველია, ამისი დამწყობნი სულ სომხები იყვნენ, მეფის ირაკლის მახლობელი და გიორგისა. თვითონაც ხომ საქმეებში იყვნენ, უფრო სხუა რიგათ, გაძვერ გამოძვერობით, მაგრამ მომატებულად სხუებს ასაქმებდნენ და გაბრიყვებული ჰყუანდათ. როგორათაც დავინახეთ ზევით, იმისთანა კაცები, ის სომხები ვისაც ენდობოდნენ, იმათი ოსტატებიც ისინი იყვნენ. როგორც არიგებდნენ, ისეც მოქმედებდნენ და ამასთან მიჰქონდათ ფული სომხებისგან, არაჩნურთის

¹ ეს გიორგი ბოლოს დენერალ ოტინფატერი შეიქნა რუსეთისა.

იოსებ არღუთაშვილის გამოგზავნილი რუსეთიდგან. ამათ ამთენი ამბები უზიდეს მეფეს გიორგის იმის შეკილს დავითზე, რომ თავათ სწორი იყო, ბოლო დროს სრულებით ქუეშაგებში ჩააგდეს. მეფე გიორგიმ მოციქულები უგზავნა: დამშვიდდი, შვილო, ნუ მლანძლავ, ცუდათ ნუ მახსენებო. ისიც აღელებული გულის პატრონი უთვლიდა მკუახეს და მწარე სიტყუებს. აი ამისთანა უცნაური კაცი იყო დავით. რაც მოხდა, მოხდა. თავიანთ ოჯახისთვის უნდა დაევინყა, მაგრამ არ იქნა, ვერაფრით ვერ გაუერთა გული მამას. თუმცა თავის მამას ხანდისხან იახლებოდა, ნახავდა ხოლმე, მაგრამ მაინც დიდი სიძულვილი იყო იმათში.

მეფის ირაკლის სიკვდილის შემდგომ პეტერბურლში მოსამსახურე მეფის ირაკლის ძე მირიან ბატოიშვილი პეტერბურლიდამ მოვიდა, რომელმაცა პირველად მეფის გიორგის, თავის ძმის გადაგდება მოინდომა და იულონ ბატოიშვილის გამეფება, მაგრამ ამაზედ რომ იმას არ მიუდგნენ, მასუკან თავის ძმის გიორგისკენ გადმოვიდა და თავის დასის შემწეობით ოჯახს შფოთი ჩამოუგდო და ბოლოს საქართუელოც მიაცემინა რუსეთს. პირუელად საქართუელოს ხალხსა ბატოიშვილი მირიან რაღაც დიდი ნასწავლი და საკვირუელი ეგონათ, მაგრამ იმისთანა თავის ოჯახის დასაქცევი საქმები რომ ჰქნა, სრულიად აითუალნუნეს და ლანძღუს მეტი სხუა აღარა იყო რა იმაზედ. ამაებს მე მოკლეთ ვანბობ, თორემ დაწვრილებითი ამბები დიას ბევრი არის და იქნება ოდესმე ავნერო.

პირუელად საქართუელოს ხალხსა ბატოიშვილი მირიან რაღაც დიდი ნასწავლი და საკვირუელი კაცი ეგონათ. რომელსაცა უნამეტნავესი ნაწილი საქართუელოს ხალხი მიუდგა და შეუდგნენ საქმეს. ამ დროს დაპერა ფეხი და ისევ უკანვე ნავიდა პეტერბურლისკენ, სადაც შფოთში და ნინააღმდეგობაში დარჩნენ ძმები, მეფის გიორგისა და ბატოიშვილის იულონის მხარენი, რომელთაცა იმის ნასვლა ყველას გაუკვირდათ. „რისთვის მოვიდა, თუ მოვიდა, ეს ამისთანა არეულობა რაღაც ჩამოგვიგდო და თუ ჩამოგვიგდო, რიღასთვისლა გაიქცაო“. ძმები და ყუელანი ამას ამბობდნენ უქმაყოფილით. აქ ბატოიშვილის მირიანის ლაპარაკსა არას ვანბობ, ვისით არნმუნებდა ხალხსა, რომ უთუოთ ბატოიშვილი იულონ უნდა დასონ მეფეთ.

კარგახანის ნინააღმდეგობის შემდგომ ბოლოს იულონის მხარემ აიღო-დაიღო და ისევ მეფეს გიორგის გაუერთდნენ ძმები და იმათი მხარეც სულერთიან. თუმცა ესენი გაუერთდნენ, მაგრამ დავით ბატოიშვილი მაინც ვერავინ ვერ გაუერთა მამას მეფეს, ასე სძაგდა მამა და მამასაც ისა. იმ ბაგრატიონებმა არ იცოდნენ ქუეყნის მართუა, იმ გაუგებლებმა. ვინც იცოდა, დმერთმაც იმას მისცა

და ძალიან კარგი საქმეც მოხდა, თორემ სულ გავთათრდებოდით, ან არადა ქართულის სახელი გაჰქრებოდა.

მეფე გიორგი თავის შვილს დავითს არ მოეშო, კიდევ მოციქულები გაუგზავნა, თავის შინაური მდივანი თა ელიაზარ ფალავანდიშვილი, თა ალექსანდრე მაყაშვილი და არქიმანდრიტი ელეფთერი¹: შვილო დავით, თურმე ეკლესიას თიატრს ეძახი, ცისკარსა სათამაშოს და წირუას წარმოსადგენს. ნუ შვრები ამისთანას ღვთის გარეგანს საქმეს, მოიქცე და ღმერთი იწამეო. ახლა დავითის გაჯავრებული პასუხი გაიგონეთ: წადით, ასე უთხარით მამაჩემსა, რაც იმას სწამდეს და მე გამინებულე და რაც მე მწამს, იმას გაუწყესო. როდისაც მივიღნენ და მოახსენეს, დორზე წამოწოლილმა და-იძახა: დადგა იგი ყოველსა გზასა არაკეთილსა და ბოროტი მას არა მოეწყინა. ესა სთქუა და შენუხებული იქითა მხარეს გადაბრუნდა. ეს ამბავი იმ სამის მოციქულებისაგანვე ასე გამიგონია. ასე და ამ ყოფით უზიდავდნენ ენას ერთსაც და მეორესაც და ერთმანეთზედ აღელებდნენ.

შეჩუნებულები არ იქნა, არ დაწყნარდნენ, არ შეიპრალეს ის საცოდავი მეფე; კიდევ დრო იპოვეს და ამბავი მიუტანეს, მერე რა ამბავი? - „თქუენი შვილი დავით მარიამ დედოფალსა (მეფის გიორგის მეორეს მეუღლეს, დავითის დედინაცვალს) ვირზე შესმას უპირებს და მთელი ქალაქი ისე უნდა მოატაროს.“ ამასთან სხუა უფრო ბევრი უთხრეს, სულ იმისი სასიკვდინო სიტყუები. ასე გააანჩხლეს ის საწყალი მეფე, რომ მაშინუე თა ელიაზარ ფალავანდიშვილს დააწერინა და რუსეთის ხელმწიფესა მისცა საქართულო. აი ამისთანა არეულობა ჩამოუგდეს იმათ ოჯახს, რომ ძმა ძმის მტერი გახადეს, შვილი მამისა და რა კეთილი მოუკიდოდა იმათ ოჯახს და ბოლოს საქართულოს? - ზედატანებით ამ ამბავში ბატონიშვილი ალექსანდრე თავის ძმას, მეფე გიორგის შემოსწყარა: რუსეთს რად აძლევ საქართულოს? - რომელიცა ლეკებში გაიჭრა, იქიდგან დიდი ლეკის ჯარი მოიყუანა... ამის გამო სპარსეთში გაიქცა ამ განძრაუით, რომ რუსები გაელალა საქართულოდგან, თუმცა დიახ ბევრს ეცადა, მაგრამ ვერა ეშველა რა. მე ამას მოკლეთ ვანბობ, თორემ ამისი ამბებიც ბევრი არის. რუსეთის რეგულისა ჯარსა და მეფეს გიორგის მიღომილს ქართულებსა ისინი რას უზამდნენ, მერე თუქურმიშას მინდორზედ, რომლებიცა დაამარცხეს და ბატონიშვილი ალექსანდრე ის იყო, რომ სრულებით საქართულოდგან წავიდა. ბოლოს კიდევ ამის გამო იულონ ბატონიშვილი იმერეთში გადავიდა, მაგარმ იმანაც რიგიანი საქმე ვერა

¹ ეფთვიმე სხუა არის და ეს ელეფთერ სხუა.

ქნა რა და ისინიც წახდნენ.

როდისაც მეფე გიორგი მოკვდა და საქართულო რუსეთმა დაიმკვიდრა და შემდგომად ქნიაზ ციციანოვი საქართულოში მთავარმართებლად მოვიდა, მაშინ ასლან ორბელიანმა დაინახა, დიდ შეცდომილებაში იყვნენ, რომ მეფის ირაკლის ღალატში შევიდნენ, რომელმაცა შეთქმა მოახდინა; მოინდომა თავის ცოლის და, დედოფალი მარიამ ხევსურეთის მთაში შეიყუანოს და იქიდგან საქართულოში არეულობა მოხდინონ, მაგრამ მეთუალე იოსებ კალატოზისშვილმა ის ამბავი აცნობა კნიაზ ციციანოვს; ასლან დააჭერინა და დედოფალი მარიამ რუსეთში გაისტუმრა. ის რომ რუსეთისკენ გაისტუმრეს, მასუკან ივანე სარდალმა და ერთიანათ ნათესავებმა ასლან გამოაშუებინეს. ბევრჯელ მეტყოდა ასლან: „არ ვიცით, რამ დაგვაბრმავა, ისე რათ შევიკარით, რომ ვეღარაფრისთანას ვეღარას ვხედავდით? - მთელი საქართულო ისე რათ იყო მონადინებული, მეფე ირაკლი დაიღუპოს და გაუკითხავათ კიდეც დავლუპეთო? - როგორც ბოლო დროს შევიტყე და წვრილათ მიამდეს, რაც საქართულოს მოუვიდა, სულ სომხებისაგან, სხუას ნურავის დავაბრალებთ. ისინი ჩუენის ხელით ნარსა გლეჯდნენ, ჩუენ იმათი იარაღები ვიყავითო.“¹ სხუა ამბებიც ბევრი უანბია ჩე-მთვის, როგორც ზევითა ვთქვი, იმ გულწრფელს ასლანს.

მოვიდეთ ქსნის ერისთავებთან და იმათიც შევიტყოთ რამე. ეს გუარი პირულად რომ საქართულოში მოვიდა, მგონია ან მეექვსე და ან მეშვიდე საუკუნე იყო? - ოსეთიდგან ორნი თუ სამნი ძმანი გადმოვიდნენ ლომისის ეკლესიის დღესასწაულში მთიულეთს, სა-დაც შფოთი იყო მთიულეთის და ქსნისხეველების ხალხში, რამელ-თაცა იმ ყმანვილკაცთა დაამშვიდეს და დებულება დაუდეს, რომ ამას იქით იმათში შფოთი ალარ იყოს და შემდგომ იმისა აქამოდე ალარც მოხდენიათ. ამის მადლობისათვის უფროსი ძმა სიდამონ მთიულეთის ხალხმა წაიყუანეს, იქ არაგვის ერისთავად დაისუეს და მეორე, უნცროსი ძმა როსტომ ქსნის ხალხმა ქსნის ერისთავად. ეს ორნი ძმანი მგონია თაგაურები უნდა იყვნენ დუდაროები, ოსეთის მეფის ჩამომავლობისა?- გამიგონია, მითამ ჩერქეზიდგან დუდარუკოების გუარისანი იყვნენ. დუდარუკოები სადაც დგანან, შორს არის და ამის გამო მე უფრო დუდაროები მგონია?

პლატონ იოსელიანი თავის დუშეთის აღწერაში არაგვის ერისთავიანთ ამოწყვეტას ამბობს, მაგრამ ეხლა რომ კახეთის ქისტაურში ერისთავიანები დგანან, სწორეთ იმათი ჩამომავალნი

¹ მე იმ ამბებისა რაც წვრილად ვიცოდი, მე არა უანბე რა ასლანს და ამისთვის სომხებს აბრალებდა.

არიან, არაგვის ერისთავებისა. მე მიკვირს პლატონ იოსელიანის-გან, იმისთანა მსწავლული კაცისგან, ისე ჩქარა როგორ იჯერებს ამბავს, უბრალო სიტყვით? საკვირველია, რომ იმან გამოკვლევა სულ არ იცის, იქამდისინ მიიყუანოს ამბავი, რომ ყოველი წვრილად და ნამდვილად შაიტყოს. მაინც რაღაც სისუსტეები აქვს იმას მალე დაჯერების გარდა, სადაც ნათელია, ის იქითკენ პირს მიიქცევს მზეუჭვრიტესავით და არც ტყუილს დაერიდება, მხოლოდ თავის ამაობის სიამოვნებისთვის და ანუ სარგებლობისთვის.

მე იმ ქსნის ერისთავიანთ ამბავს იქიდგან მოვყუები, იმ პირუ-ელის შანშე ერისთავის მამის დათუნადგან, როდისაც მეფის ვახ-ტანგის შვილმა ბაქარმა სახლთხუცესობა ჩამოართო (მაშინ მეფე ვახტანგ სპარსეთში იყო) და ამის მიზეზით გაუდგა ბაქარს დათუ-ნა. აი აქედგან, ამ 1717-ის წლიდგან ვიდრე რუსეთის მთავრობის გახსნამდისინ საქართულოში, 1800-ის წლამდისინ სულ დალატში იყო ეს გუარი მეფობისა და მეფობის გამოისობით მამულისა, ესე იგი ოთხმოცდაორი წელინადი მეტი.

რა დათუნა ქსნის ერისთავი გადგა, ამ დროს ბაქარმა ჯარები გაუსია, მაგრამ მინამ ისინი იქ მივიდნენ, დათუნა მომკვდარიყო, რომლებიცა დათუნას ძენი კახეთს გადავიდნენ და იქიდგან შანშე სპარსეთში ჩავიდა, სადაც მეფე ვახტანგმა დააჭერინა და ისე დაჭ-ერილი თავის შვილს ბაქარს გამოუგზავნა. შემდგომ ამისა, როდე-საც მეფე ვახტანგ ქართლში მოვიდა და ქართლის საქმე განაგო, ამ დროს დათუნას ძე (მანშე ერისთავი) გადგა და თავის მამულის მაგარი ადგილი გაამაგრა, რომელზედაც მეფე ვახტანგმა დიდი ჯარები გაგზავნა და დიდის შემოხვეწებითა შანშე შეირიგა მეფემ, მაგრამ ოსური ღუარძლი არ მოეშო იმას, მეორეთ კიდევ გადგა შანშე და კიდევ გაამაგრა თავისი მაგარი ადგილი. როდესაც მეფე ვახტანგმა საჭირო საქმებისაგან მოიცალა, შანშეზე გაილაშქრა, მაგრამ როდისაც დახსლოვდნენ, დიდის ხუენნით კიდევ შემო-ეხუენა, კიდევ შეირიგა და თავისი მამულები ისევ მისცა სრუ-ლად. ბოლოს მაინც იმისი გული არ გასწორდა. ერთს რომელსამე ძლიერს ომში შანშემ უღალატა თავის მეფეს ვახტანგს და ძმებს ქართულებსა, რომელიცა თავის ჯარით შემოეცალა, წამოვიდა და ამის გამო ლეკებისაგან დამარცხდნენ ქართულები და იმათის ხელით ბევრნი მოსწყდნენ, სადაც იმერლებიც იყვნენ და ისინიც კარგა დაიხოცნენ. რაღა გავაგძელო, ამის შემდეგ მეფე ვახტანგ-მა რუსეთს ნასვლა განიძრახა. მაგთენი ხანი აღარა გამოვიდა რა, რომ რუსეთიდგან გაგზავნილი კაცნი მოუვიდა, საითკენაც გასწია და ნავიდა რუსეთს (1724-სა).

ვიცით გაგონილი ამბები, წაგვიკითხამს კიდეც, სხუების

ბოროტებაც ვიცით საქართულოში, მაგრამ რაც შანშე ერისთავმა და გივმა ამილახვარმა უყუეს საქართულოს, იმტოლა ბოროტება არავის უქნია. თითქმის სხუებს გადაემატა. ჯერ შანშე ერისთავზე გაიგონეთ თვით ვახუშტისაგან, რომელიცა სხუებთა შორის ასე ან-ბობს პირუელს შანშეზე...

თავის გვირგვინოსანი მეფე იყო მეფე ვახტანგ, იმას უღალატა შანშემ, არა ერთხელ, სამჯერაც და ბოლოს შანშეს მიზეზითაც წავიდა რუსეთს. შემდგომ ოსმალები იყვნენ, იმათაც უღალატა, მასუკან ყიზილბაშები, იმათაც და მეფე თეიმურაზს ხომ რასაკვირველია და ბოლო დროს საქართულოსაც მიჰყო ხელი დასალუბათ.

პირველ ნარშაის დროსა საქართულოში, როდისაც მეფე თეიმურაზ მეორე საქართულოში დაამკვიდრა მეფედ ნადირშამ და ამ დროს ბატონიშვილი ირაკლი ინდოეთში ჰყავდა ნადირშასა, კიდევ განდგა შანშე; მაშინვე სპარსელები მივიდნენ, მაგრამ შანშემ ზოგიერთის თავის ხიზნით თავი მოარიდა, იმერეთზე რუსეთს გადვიდა, მაგრამ ისევ საჩქაროთ დაბრუნდა და რისთვისაც დაბრუნდა, ახლა გამოჩნდება.

ის რომ შორს გზას იყო, ჩუენს საქართულოში სხუა ამბავი მოხდა. შანშე ერისთავის ძმის იესეს ცოლი, ახალგორიდგან (ქსანზედ არის) კახეთისკენ მიდიოდა თავის სამშობლოში, ამ დროს ერთი არაგვის ერისთავისშვილი, უთრუთ თავისი ტოლი ყმანვილი კაცებითა ბაზალეთის ტბის მოახლოვოდ ნადირობდნენ და კარგი ყიზილბაშის ყმანვილი კაცებიცა თანა ჰყუანდა სტუმრათ. ამ დროს, სად იყო და სად არა, იმ თავხედებს წინ გამოუარა იმ უმანკომ და მშუენიერმა ქალმა, რომელიცა თავის კერძობითა თავის გზასა მიეშურებოდა. იმ თავხედებმა და კარგათაც გადაკრულებმა, ის მშვენიერი ქალი რომ დაინახეს, თვით არაგვის ერისთავისშვილი უთრუთ პირველად მიესია. მტრობაც ჰქონდათ ერთმანეთში არაგვ ქსნის ერისთვიანთა და ის ქალი ცხენიდგან გადააღებინა, ერთს მიფარებულს ადგილს, ჯერ თვითონ შეურაცხათ გახადა და მასუკან ერთი კარგი მეგობარი ჰყუანდა ყიზილბაშის ყმანვილკაცი, იმას მისცა. თუმცა ამ შეურაცხმყოფბაში მტრობაც არის, ყმანვიკაცობის თავხედობაც და ლვინის მსმელობაც, მაგრამ მაინც დიდი სასჯელის ლირსი იყო ის მხეცზედ მხეცი, არაგვის ერისთავის შვილი კი არა, ის ვირისთავი.

უპატიოდ გამხდარი და გულმოკლული ქალი უკანვე მოვიდა სახლში და მწარეს მწუხარებაში ჩავარდა. კარგა ხანი გამოვიდა, შანშე ქსნის ერისთავი ისევ დაბრუნდა, ეს საშინელი ამბავი დახუდა. უამისოთაც მოუსუენებელი, სისხლისმსმელი და ის მოღალატე დაუნდობელი, ამისთანას ამბავს რომ გაიგონებდა, როგორი საშინელება

იქნებოდა იმისათვის. ამისთვის დაბრუნდა, რომ ეს ამბავი იქ შეიტყო, ეს იმისთვის საშინელი, რომელმაცა მაშინვე განიძრახა, ერთის დანაშაული მთელს სახლზედ გადიხადოს და გადიხადა კიდეც. მოიყუანა დიდი ლეკის ჯარი და ის ოჯახი დასცა ანანურში. იტყვიან: ნუ იქ ავსა და ნუ გეშინიან ავისა, ამ არაგვის ერისთავის შვილსა ისე მოუვიდა, მაგრამ ესეც არის, რომ შებრალებაც უნდა იყოს, ერთის დანაშაული ასს რათ უნდა გადახდეს, ნამეტნავად წვრილს უმანეოს ყმანვილებსა?- იმათ ვიღა იტირებდა, საქართულოს სოფლებს მიჰყო ხელი შანშემ და ოხრება დაუწყო.

თუმცა ასეც უთქუამსთ, შანშე ქსნის ერისთავი რუსეთს რომ წასულა, მითამ არაგვის ერისთავებს შანშეს ძმის იასეს ცოლი მოეტაცნოთ და ყიზილბაშებისათვის მიეცეთ. ეს სულ გადასხუაფერებულია. არაგვისერისთვიანი ამას ვერ გაბედავდნენ და თუნდა გაებედათ, ქსნისერისთვიანთ იმდენ დიდი ძალა ჰქონდათ და ძალიან მაგარი ადგილები, რომ არაგვისერისთვიანი ვეროდეს ვერ შეუვიდოდნენ, ამისთვის ზევით ჩემი აღწერილი სხვებისაგან ხომ ისე გამიგონია, თვით ზოგიერთის ქსნისერისთვიანდგანაც ასე ვიცო.

მაშინ კახეთი უფრო თავისუფლად იყო ბატოიშვილის ირაკლისაგან. ირაკლი ინდოეთიდგან რომ მოვიდა, თავის ბამამ მეფე თეიმურაზმა, ნადირშაის ნებით, სულერთიან კახეთი იმას ჩააბარა, იქ გამგეთ დასუა და ამ პირუელს ქართლ-სომხითის ამბებში ჯერ არ გაურია. ირაკლიც თავის კაცობით და თავის მღვიძარობით ფთხილათ იყო იქით მხარეს. დიდო, ანწუხი და სხუანი შემორიგებული ჰყუანდა ირაკლისა და თვითონ ისინივე ინახავდნენ კახეთს. ეს სხუაგანაც დამინერია უფრო გარკვევით. ასე თავგამოდებით და თავდადებით ენეოდნენ სპარსი მეფე თეიმურაზსა, რომ მეტი შემნეობა აღარ იქნებოდა. მეფე თეიმურაზ და სპარსები უგზავნიდნენ კაცსა გივსა ამილახვარსა შერიგებისას, მაგრამ მინამ გული არ ისრულა და ძალიანი უძედურობის დაღი არ დაასო ქართლ სომხითსა, არ შეურიგდა, ისიც, როცა ძალიან გაუჭირეს, მაშინ ძლივს.

შანშე ერისთავება თცი წლის განმავლობაში ძალიან სრისა ქართლ სომხითი, რომელიცა ამთენს ხანში ხან შეურიგდებოდა და ხან გაუდგებოდა მეფეს და გივმა ამილახუარმა ოთხი წელინადი, მაგრამ ეს ოთხი წელინადი დასხ ძვირათ დაუკადა ქართლ სომხითსა. ასე გასინჯეთ, მთების ოსებმაც წილი ჩაიდეს ჩუენს ნახდენაში. ბოლოს ნადირშამ გივი ამილახვარი დაჭერილი ხორასნისკენ გაისტუმრა და იქიდვან თუალებდათხრილი შანშე თავის სახლობითა დააბრუნა საქართულოში მეფის თეიმურაზისა და თამარ დედოფლისა თხოვით. მაგთენი ხანი აღარა გამოვიდა რა, რომ მე-

ფის თეიმურაზისა შუამდგომლობით გივი ამილახუარიც დააპრუნა, არამცუ უკნებელი – დიახ დიდის წყალობითა. აი ამისთანა მოხერხებული კაცი იყო გივი.

შანშე ქსნის ერისთავი მაინც არ დასცხრა საქართულოზე იმ თავის მოყვანილი ლეკებითა, იმათ თავის საერისთაოში ინახავდა და იქიდგან ახდენდა საქართულოს სოფლებს. ამის მნახველთ ყიზილბაშებმა კიდევ გაილაშქრეს იმაზედ, მაგრამ ახლა ახალციხეში გადავარდა, საიდგანაც ნადირშამ მოითხოვა და მაშინვე მისცეს. თუმცა ქართულების თავდებობით უნდოდა გამოეშო შანშე, მაგრამ ქართულებმა ეს არა ქნეს, იცოდნენ იმისი დაუდეგარი ხასიათი, ამისთვის ხორასნისაკენ გაისტუმრა.

იმ უბედურობაში მაინც თავის ენერგია არ დაკარგა და არც იმედი გადინებიტა, სადაც გზაში დრო იპოვა და გზიდგან გამოიქცა, მაგრამ ყიზილბაშები მოენივნენ და გაჯავრებულმა ნადირშამაც თუალები დაათხრევინა იმას და იმის ძმას იასესა.

ამის შემდეგ საქართულო დასცხრა ოხრებიდგან, თუმცა ამ დღროებში ნადირშას დიდსა ხარკსა და გამოსალებსა სწევდნენ ქართულები, მაგრამ მაინც ძლიერებაში დაიწყო შესვლა საქართულომ!

ამისთანა ერთობაში რომ შევიდა საქართულო, ესე იგი ქართლებეთის გაერთებითა, ყიზილბაშიდგან ახლად მოსულმა გივმა ამილახვარმა დაპკრა ფეხი და ქ. ტფილისიდგან გაიქცა ქართლში, რომელსაცა ჩაბარებული ჰქონდა ქართლი ნადირშასაგან. უთქუამთ: ნადირშას დიდს გამოსალებს მოერიდა და ამიტომ ნავიდაო. ტყუილია, მაშინ მეფე თეიმურაზს ასე პატივს სცემდა ნადირშა, რომ რაც ეთხოვნა, უთუოთ აღუსრულებდა და უსრულებდა კიდეც, ამიტომ, რომ დიდათ ერთგულობდა ნადირშასა. გივი ამილახვრის გაქცევა გამოსალების მიზეზით არ მოხდა. როდისაც დარბაზდიდგან მოვიდა გივი ამილახვარი, საქართულოში ერთი უსიამოვნო ანბავი დახვდა (იმას ცალკე ავნერ) და ამ დროს მეფის ვახტანგის შვილის ბაქარისაგანაც მოუვიდა შემოთვლილობა რუსეთიდგან,¹ მაშინ მეფე ვახტანგ ალარ იყო, გივი რომ გაიქცა

¹ შანშე ერისთავსაც მოსდიოდა ხოლმე კაცი რუსეთიდგან მეფე ვახტანგისა გივის ამილახვრისა სწორეთ ვიცი, ამისთვის, რომ პაპიჩემის მამის, ელიზბარ ეჭალაბა-შის და ჰელიანდა ცოლათ. თვით მამიჩემისგანაც ასე გამიგონია: მამაჩემი რუსეთში რომ გადაჟყუა დედოფალს დარევანს, ესა და ბევრი სხუაც იქ შეიტყო. მეფის ვახტანგის სახლეულობის ახლო ნათესავი იყო დიმიტრი ბაგრატიონი. ბევრი ბევრეული ანბავი იცოდა, რომელმაცა მეფის ვახტანგის ამბავი ყოველი კარგათ იცოდა. ის დიმიტრი ბაგრატიონი და მამაჩემი ახლო ნათესავები იყვნენ. ის ანბები სხუა წერილებიდგანაც ვიცი.

და უწყალო საქმე მოახდინა საქართულოში. შანშე ერისთავივით მოიყუანა ლეკის ჯარი, სადაც ზემო ქართლში ინახავდა და ოხრება დაუწყო ქართლსომხითსა, ასე რომ, შანშე ქსნის ერისთავის საქმე დაავიწყდათ. შანშეს და გივის შენუხებული ქართლსომხითი ბევრნი აიყარნენ იქიდგან, ნამეტნავად სომხითიდგან და კახეთში გადავიდნენ დასასახლებლათ, სადაც კახელები კარგათ მიიღებდნენ და პატივსა სცემდნენ, რაც შეეძლოთ. ამიტომ, რომ იქ უფრო მშვიდობა იყო ერეკლესგან! ამ გივი ამილახუარის დროებში ბაქარ ბატონშვილიც აშტარხანში მოვიდა, რომელმაცა ქართლის მეფედ მიიწვია გივმა. ამ განძრახვითაც წამოვიდა ბაქარ, მაგრამ ველარ გაბედა მოსვლა, ამისთვის, რომ შეიტყო, ნადირშას დიდრონი ჯარები იდგა საქართულოში და ამის გამო დაიშალა წამოსვლა.

ოსმალოს შემწეობით გივმა ამილახვარმა სურამის ციხე ძალიან გაამაგრა, საიდგანაც ოხრება დაუწყო ქვემო ქართლსა, ნამეტნავად სომხითსა. ¹ ნადირშას ყიზილბაშები იმ მხარეს ახდენდნენ სომხით ქართლისას, რომელიცა გივსა მორჩილებდნენ და გივი იმ მხარეს ახდენდა, რომლებიცა ნადირშასა მორჩილებდნენ და მეფე თეიმურაზსა. ამაში იყო გატანგამოტანა ერთმანეთისა: გივი ოსმალოს და ლეკების შემწეობით მოქმედებდა და მეფე თეიმურაზ ნადირშას ყიზილბაშებითა.

მაშინ კახეთი უფრო თავისუფლად იყო ბატონიშვილის ირაკლისაგან, ამისთვის, რომ იმ პირუელს თავის გამოსვლაში ქუეყანაზედ, დიდო-ანწუხი და სხუა მთების ლეკები გაიერთა და თვითონ ისინივე უფთხილდებოდნენ კახეთს. ეს ამბავი სხუაგანაც მაქუს დაწერილი უფრო გარკვევითა: დაღისატნიდგან ლეკების გამოსვლა ახალციხეში. შემდგომში, როდისაც ირაკლი ინდოეთიდგან მოვიდა, თავის მამამ, მეფე თეიმურაზმა ნადირშას ნებით, სულერთიან კახეთი იმას ჩააბარა, იქ გამგეთ დასუა და ამ ქართლსომხითის ამბებში ჯერ არ გაურია. ირაკლიც თავის კაცობით და მღვიძარებით ფთხილათ იყო იქით მხარეს მტრებისაგან.

ასეთის თავგამოდებით და თავდადებით ეწეოდნენ სპარსი მეფე თეიმურაზსა, რომ მეტი შემწეობა აღარ იქნებოდა. მეფე თეიმურაზ და სპარსები უგზავნიდნენ კაცსა გივსა ამილახვარსა შერიგებისას, მაგრამ მინამ გული არ ისრულა და ძალიანი უბედურობის დაღი არ დაასო ქართლ სომხითსა, არ შეურიგდა, ისიც, როცა ძალიან გაუჭირეს, მაშინ ძლივს. სომხითი ხომ სულ გააოხრა ერთიანათ შანშე ერისთავმა. ოცი წლის განმავლობაში ხან შემოურიგდებოდა და ხან გაუდგებოდა მეფეს, რომლისაგან ამთენს

¹ ამ ამბავს ცალკე აღვწერ, რათაც გაიქცა გივი.

წელინადში ისრისებოდა ქართლსომხითი. გივმა ამილახუარმა კი ოთხი წელინადი. ასე გასინჯეთ, მთების ისებმაც წილი ჩაიდეს ჩუენს ნახდენაში. ბოლოს ნადირშამ გივი ამილახვარი დაჭერილი ხორასნისკენ გაისტუმრა და იქიდგან თუალებდათხრილი შანშე თავის სახლობითა დააპრუნა საქართუელოში, მეფის თეიმურაზი-სა და თამარ დედოფლისა თხოვით. მაგთენი ხანი აღარა გამოვიდა რა, რომ მეფის თეიმურაზისა შუამდგომლობით გივიც დააპრუნა, არამცითუ ვნებული – დიახ დიდის წყალობითა. აი ამისთანა მოხერხებული კაცი იყო გივი. თუ გივსა და შანშეს მეფის თეიმურაზი-სათვის არ ელალატათ, საქართუელო ძალიან დაწინაურდებოდა!.. იმათ იმ თავიანთის ქცევითა და იმათგან საქართუელოს ოხრებითა საქართუელო დაიჩაგრა. როგორც იქნებოდა, კიდევ საქართუელო წამოიწევდა, მაგრამ ახლა იმათ შემდგომ სხუები გამოვიდნენ: იასე მეფის შვილი აბდულაბეგი და მეფის ვახტანგის ბუში პატა ბატონიშვილი და შემდგომში კიდევ სხუები, რომელთაცა აღარ მოასუენეს საქართუელო. ზოგიერთების იმათი სახელი კიდეც ითქუა ზევით და ახლა ზოგიერთებისაც დაიწერება.

თუ ვინმემ მოინდომა მეფის ირაკლის მეორის ისტორიის დაწერა, ღვთის გულისათვის, ისე ადვილად ნუ შეუდგები იმის დაწერა-სა, მინამ კარგათ არ გამოიკითხო, მინამ სრული ფაკტები არ ჩაიგდო, იმაზედ ნურას დასწერ. ჯერ რამდენიმე წელინადები იზრუნე, ყოვლის მხრიდგან იმაზედ ფაკტები მოკრიფე და მასუკან შეუდეგ იმის დაწერას. მაგრამ მართალი კაცი უნდა იყო, ვინც მეფის ირაკლის მეორის ისტორიას დასწერ, თორემ თუ თუალმიხედვით დაიწყე წერა სხვების სასიამოვნოდ, აღარ ევარგება, ფუჭი იქნება და უვარგი და შენს ისტორიას ქარი მოიტაცებს მტვერსავით. ეცადე, მართალი იყოს და ჭეშმარიტი. რაც მე იმაზე დაწერილები მაქუს, მეც ბევრის გამოკითხვით. თუ ამ ჩემს რჩევას შეუდგები, იმის ისტორია ასეთი საგანგებო რამ იქნება, ნამეტნავად იმაზე იმთენი საშინელი ინტრიგებია, რომ იზუიტების ამბები დაგავიწყდება. იმის ისტორია აჩქარებით არ უნდა დაიწეროს, უნდა დაიწეროს გულის დადებით და ძალიან ფთხილათაც. სწორეთ ვიტყვით, საიდუმლო უნდა დაიწეროს და მასუკან გამოცხადდეს. იმის ისტორია, ეხლა დრო არ არის, დაიწეროს. უნდა კარგა ხანი გავიდეს, თითქმის ორმოცდაათი წელინადი უკანასკნელი, ამისთვის, რომ იქნება მანამდისინ მეფის ირაკლის წინააღმდეგების შვილიშვილებს მტრული ფიქრი დაეკარგოთ იმაზედ და პატიოსნების სიმართლეზედ დამდგარიყვნენ დროის მიხედვითა, რადგან მაშინ განათლება წინ იქნება და სვინიდისი დაწმენდილი. გასაშტერებლად მიმჩანს! ეხლანდელს დროს, ზოგიერთს განათლებულებშიაც კიდევ ის მამაპაპების ღუ-

არძლი არის დარჩომილი, ის იმათი გულმღრძობის ჩაგონებულობა, რომლებიცა თავიანთ მამაპაპების იმთენი მამულის ღალატობა უნდა როგორმე დაჲფარონ და მეფე ირაკლი გამოიყუანონ დამნაშავედ – დამნაშავედ ყუელაფერში. სირცხვილია, იმისთვის არის სწავლა და განათლება, რომ სიმართლისთვის გულის საყუარელიც არ უნდა დაზოგო, არამცუ მამაპაპა, ანუ ერთიანათ გუარეულობა! ტყუილი ჭორი პოდლობაა!

ასელა სომხებთან მოვიდეთ და იმათ საქმეებსაც მოვყუეთ, რაც იმათ ქართულებს უყუეს? მე ეს ვკითხე ზოგიერთს ჩუენს ძუელებსა.

- „მეფე ვახტანგ თავის მეფობისთვის ზრუნავდა და იმისთვის ურევდა საქართულოს. იმის შეილი ბაქარიც იმისთვის და ის სომხები რა მიზეზისთვის ლუპავდნენ ჩუენს ქუეყანას? –“

მეფის გორგის შინაურმა სანდო მდივანმა ელიაზარ ფალავანდიშვილმა მითხრა.

- ორქივატერი იოსებ საქართულოში რომ მოვიდა, ჩუენი პირუელი თავადები მისულიყვნენ იმასთან სანახავად და სხუა და სხუას ლაპარაკში ეთქოთ იმისათვის გულის სინრფელითა, თქუენო უწმინდესობავ, მართლა თქუენის დაბარებით წამოვიდა აღამამადხანი საქართულოზე? – იმას სუმრობათ გაეკეთებინა და გაცინებით ეთქუა: ეგ მართალი რათ იქნება, მაგრამ ამას იქით ჩუენ სომხები უნდა ვიყვნეთ საქართულოში და საქართულო ჩუენი უნდა იყოს. თუმცა ორქივატერმა ხუმრობითა თქუა, მაგრამ კი მართალი თქუა. სწორეთ მართალია, სწორეთ თავიანთვის უნდათ საქართულო – ჯერ ჩუენ წაგვახდინონ და მასუკან ჩუენის წახდენითა, ისინი განძლიერდნენ. ელიაზარ ფალავანდიშვილის სიტყვა არის ესა. მე ეს სიტყვა ძალიან დამახსომდა და ახლა ვხედავ, რომ სწორეთაც მართალია.

აქ მეროგორლაც ეჭვში შეველ? - ეკატერინა ხელმწიფას დაიოსებ ორქივატერს ამ საგანზედ საიდუმლოდ თათბირი ხომ არ ექნებოდათ რა, რადგან დიდათ მიბირებული ჰყვანდა იოსებ ორქივატერი ეკატერინა ხელმწიფასა? - ამას ძალიან გამოკვლევა უნდა, ამიტომ, რომ ეკატერინა ხელმწიფას პოლეტიკისაგან საკვირველი არ არის, რომ ამას იქით თქუენ სომხები უნდა იყვნეთ საქართულოში? - ან გულით მართლად ეტყოდა და ან თავის პოლეტიკისათვის? - ორქივატერ იოსებ არღუთაშვილს ჰყუანდნენ სომხები და იმათით მოქმედებდა, საქართულო დაელუპა. აი ისინი და იმათი კუდები ვინც იყვნენ, ისინი კიდევ სხუანი არიან: თვით ორქივატერის ძმისწული, მეფის მიმპაში, თავის პოლუტაშვილი, მისკარბაში იოსებ და

დარჩია ქალაქის მელიქი ბებუთაშვილები,¹ იოსებ შალბათაშვილი, ამის ძმა ავეტიქა, თავის სულხან და ამის ძმა მანუჩარ თუმანიშვილები, ამ სულხანის შვილი შიომბეგი მილახვარი, თსეფა ყორლანაშვილი და ნამეტნავად არტემ არარაცი. ამ არარაცის ამბავი ადრევე დამინერია აღამამადხანის შემოსვლაში. სომხურათ ამას ერქო არუთინ. რუსულათ არტემ არარაცი შეიქნა.

იმ არტემას გარდა, სხუა სულ ესენი მეფეების დიახ მახლობელი იყვნენ, რომელთაცა მეფის ირაკლის, მეფის გიორგის და ყოველი დიდი კაცების საიდუმლო იმათ კარგათ იცოდნენ, ასე დაახლოებულნი იყვნენ ყუელასთან და ყრილობაც ხშირათ ჰქონდათ ხოლმე საქართულოს დასაღუპად.

მინამ დავით სარდალი ოსეფა ყორლანაშვილს სცემდა,² მანამ-დისინ დიდათ ერთგულობდა მეფეს ირაკლისა და ვერაოდეს ვერც მიიზიდეს იმათ, რომელმაცა სამეფოსა ბევრი კარგი შესძინა. მაგრამ შემდგომ ცემისა ისიც გაუერთდა ზევით ხსენებულს სომხებს და გამხნევდნენ საქართულელოს დალუპაზედ. იმათ თრქივატერის კაცები მოსდიოდათ და მისდიოდათ ერთიერთმანეთსა საქართულოს დამხობისა. მაგრამ ეს კი უნდა ითქვას, რომ უკანასკნელამდისინ, მინამ რუსები მოვიდოდნენ, მანამდისინ ოსეფა ყორლანაშვილი არ დამცხრალა და მამულებს ძალიან უკეთებდა მეფეს ერეკლეს, ნამეტნავად აბრაშუმის ზავოდსა დციოს პირზედ ქოლაგირში. მივიდნენ, ნახონ იმის განძრახვა და შენობა ციხე, რომელსაცა ის გაღმა გამოღმა მამულები სულ ფურცლათ ნდომია გადაქცევა და ციხეში ზავოდი აბრაშუმისა. ამთენი რამ შესძლვნა მეფეს ირაკლისა და საქართულელოსა, იმისთვის გადაეკიდნენ ოსეფა ყორლანაშვილს მეფის ირაკლისა დაუძინებელი მტრები. ბოლოს აქედგან ეს გამოვიდა, რომ იმ სომხებმა და იმათმა კუდებმა დაამხეს საქართულო. მერე როგორ? - სულ ქუექუეშათ ცოცვითა.

სადაც ყოველს ქალაქებში და დიდრონს სოფლებში თავისი აგენტები ჰყუანდათ და ურევდნენ წრფელსა ქართულებსა და რასაც მოინადინებდნენ, უთუოთ შეასრულებდნენ კიდეც. ფულიც ბევრი მოსდიოდათ თრქივატერისაგან. ეს ამბავი თვით სომხებმა მიამბეს. დარჩია მელიქის ძმამ, მართალმა ღვთის წყალობამ (სახელია ღვთის წყალობა) და პატიოსანმა ბეჭანა ბასტამაშვილმა,

¹ ამას ლექსიც გამოუთქუს.

² ეს შიომბ და ყულარდაზის ძე ელიზბარ ქსნის ერისთვისშვილი დიახ დიდი მეგობრებიც იყვნენ. ორნივ დიდი მაცთურებიც, რომლებიცა ყოვლისფრისა ეშმაკობით საქართულოს ღუპავდნენ. შიომბ თავიანთის სომხების ინტერესისათვის და ელიზბარ მეფე ირაკლის მტრობისათვის.

³ იმის ცემის მიზეზი სხუა წერილში მაქუს დაწერილი.

ყოველი ორქივატერის ამბები და იმ სამისაც მიანბეს. ერთობრივ სომხებისა. მე აქ მოკლეთ ვამბობ, თორემ ამბავი დიდი არის.

ახლა უკანასკნელად ამით მოკლეთ დავსარულოთ, რომ შანშე ქსნის ერისთავის შემდგომ იმათმა მომავლებმა რაღა ჩაიდინეს?-

როდისაც მეფე ირაკლიმ სრული ქართლ კახეთი ჩაიბარა თავის მამის მეფე თეიმურაზის შემდგომ, მთელს ქსნის ერისთვიანთ დაუმტკიცა სრული თავიანთი მამაპაპის ყმა და მამულები, დიახ კარგი წყალობის წიგნითა და დაამკვიდრა თავიანთს მამულებზე. ეგონა: ბევრი კარგი იქნება საქართულოში იმათვანაო. მაგრამ იმათ კიდევ შანშეს ყოფაქცევა მოაგონდათ და დიდ სახელათ დარჩათ იმისი ღვთის მტრული ამბები.

გიორგი ყულარალაზის შვილს ელიზბარს კარგად მოვესწარ, იმერეთის დიდი მეფე სოლომონის ქალი მარიამ ჰყუანდა ცოლათ. იმისგან გამიგონია ლაპარაკში თვით გორის ქალაქში.

- „ჩუენც ვიტყვით ქსნის ერისთავები ვართო. ჩუენ რა კაცები ვართ. დიდი შანშე ერისთავი იყო საკვირველი კაცი და რაც იმან ამბები ჩაიდინა, დიდი საქებური საქმეები არის (!)“

აი ასე სახელათ დარჩენილი ჰქონდათ შანშეს ამბები იმათ შვილიშვილებსა და თავმოსაწონათ. ხომ გაიგონეთ ზევით შანშეს ამბები, რაც კაცი ყოფილა, რაც საქმეები შეუძინია იმას?- ამ ერისთვიანთ ამბები, იმათი მამულის ღალატები, ყოველი წვრილად რომ დაიწეროს, ერთი დიდი წიგნი მოვა, სულ ერთი ერთმანეთზედ იმათი საგიებელი, მაგრამ ამით დავაბოლოვებთ.

მეფეს ირაკლის მეორეს ასე გაუჭირეს ამ ერისთვიანთ, რომ მოთმინებისაგან გამოიყუანეს, რომელმაცა იმათ მამულები ჩამოართო. ჯერ პირულათ მთის მამულები ჩამოართო და სულ ერთიანათ ვაკე დაუგდო: ეგება იგრძნან და დაიშალონ. მაგრამ იმათ ამისთვის აი რა ქნეს: მიხეილ, მირმანზ და სოლომან ერისთავის შვილები¹ გააციის ოსმალოში თავის სახლის შვილებმა, იქიდან ლეკ ოსმალოს ჯარები მოიყუანეს და ქართლის სოფლებს ხდენა დაუწყეს. რომელმაცა მეფე ირაკლიმ დანარჩენი ვაკე მამულებიც ჩამოართო და დააგდო განწირულს სილარიძეში, ეგება მაინც გონებაზე მოვიდნენ. მაგრამ რას სადა ჰქონდათ იმათ იმდენი მიხვედრა?- არამცთუ გონებაზე მოვიდნენ ის მოსისხლე ოსები... გარდა ამისა, სულით ძებნა დაიწყეს, სად რა წინააღმდეგობა იყო მეფეს ირაკლიზედ, იქ დაუახლოვდნენ და დაუწყეს ღუპა საქართულოს მეფის ირაკლის მტრობისათვის, ზოგიერთნი იმათვანი გაერივნენ

¹ იმათ თავის მახლობელი ნათესავი თავის მამულიც იმათ მიუდგა. მაგრამ ის სხუა საქმეზედ ადრე გაქცეული იყო და მგონია ის კიდეც გათათრდა?-

აღამამადხანის მოყუანაში სომხებთან ერთად და უნამეტნავე-სად ესენი: გიორგი იასეს ძე ერისთვისშვილი და ელიზბარ გიორგი ყულარალა ზის ძე და სხუა. თვითიერ რევაზის მეტი რომლებიცა აღამამადხანის საქმეებში ისინიც გაერივნენ ერთად სომხებთან, ნამეტნავად გიორგი იასეს ძე და ელიზბარ ყულარალა ზის ძე ქსნისერისთვისშვილები, თვითიერ რევაზისა (მეფის ირაკლის ქალის ანასტასიას ქმარი, ელიზბარის ძმა ყულარალა ზის უფროსი შვილი რევაზი იყო).

ეს ორნი გიორგი და ელიზბარ ტანტალებდნენ ოთხავ კუთხივ საქართულოში და იმერეთში; იმერეთში ელიზბარ და ქართლ-კახეთში გიორგი: როგორც დაყმენდილი მშერი მგლები, ისე ისინი. სხუა ქსნის ერისთვისშვილებიც ხომ რასაკვირველია, მაგრამ ნამეტნავად ის ორნი უფრო ფხიზლად, მაგრამ დაფარვით, რომ მეფე ირაკლი დამხონ და მეფეს ირაკლისთან კი უნებურად საქართულოც დაამხეს. სხუა ერისთვისშვილებზე ის ორნი უფრო გონიერები იყვნენ და მოუსვენებელი საქმიანები.

ეს რევაზ დიდი კეთილი და მართალი პატიოსანი კაცი იყო და მეორეც, ამისი უნცროსი ძმა, ლუარსაბიც არ ერია. ელიზბარ, ამათი შუათანა ძმა, დიდი მოუსვენებელი, გულმღრძო და მაცოცხილი კაცი იყო. დანარჩენიც ამისთანები იყვნენ. იქნება დრო ვიძოვო, რომ აღამამადხანის ბოლო ამბავი გაუუეთო ამას და ვთქუა ყოველი... ყულარალა ზის შვილის ამბავი წვრილად ავწერო, ორივ არაკაცები იყვნენ, რაც რომ ვიცი.

თ ა აღ. ვახ. ძ ჯ. ორბელიანი

იმათ გუარში თ ა გიორგი იასეს ძე¹ და თ ა ელიზბარ გიორგი ყულარალა ზის ძე ქსნის ერისთვისანები იმ უკანასკნელს მეფის ირაკლის დროებში, ეს ორნი უფრო მომატებულად უპირველესნი იყვნენ და დაფარვით მოქმედნი პირნი მეფის ირაკლის დამხობისა. არც ხომ სხუები აკლებდნენ, მაგრამ ეს ორნი უფრო მომატებით, ერთი იმერეთში ელიზბარ, მეფის სოლომანის ქალის მარიამ ბატონიშვილის დიდი დამოკიდებულობის გამო და მეორე გიორგი მოელს საქართულოში. ეს ორნი ძალიანი ენერგიის კაცებიც იყვნენ და ძალიანი ხასიათიც ჰქონდათ მცდელობაში.² მაგრამ შესანუხებელი

¹ შემდგომ რუსეთის ლენინგრად-ოტინფატერი.

² ორთავ ახლოს ვიცრობდი და ნამეტნავად გიორგის (მეფის გიორგის ქალი გაიანე იყო იმის ცოლი, ჩემი ბიძაშვილი). აღამამადხანის მოსვლის დროსა ელიზბარ და გიორგი მოუსვენად ყოველს მხარეს დარბოდნენ ჩუმათ და მეფის ირაკლის ქარის გამოყვანას შლიდნენ. გიორგი რამდენჯერმე მეფის ირაკლის ჯარშიაც მიიჭრა და რევაზ ენდრონიკაშვილი ჩუმათ ნახა მეფის ირაკლის წასახდენათ. ვინც იმ ორთან მოლაპარაკებაში დასწრებია, თვით იმისგან გამიგონია ეს, თ ა ნინია ენდრონიკაშვილისაგან. ის ნინიაც ამ ქარიანობაში იყო.

ეს არის, რომ მეფის ირაკლის დამხობასთან, მეცე გიორგიც იმას
ჩაჰუა და მთელი საქართულოც.

თავას. ძე ჯ. ორბელიანი
სეკტენბერს 1866-სა წელსა. ქ. ტფილისს.

თა გივი ამილახვრის გაეცევა ქ. ტფილისიდგან

ეს უნდა გამოვარკვიოთ, იმის გაქცევის მიზეზი რა იყო?

პაპიჩემის მამის, ელიზბარ ეშვალაბაშის და ჰიუანდა ცოლათ. ადრეც და ამ დროშიაც ჩვენს სახლსა დიდი დამოკიდებულობა ჰქონია ნათესაობით ჯერ მეფე ვახტანგის სახლთან¹, მასუკან ქართლში თვით იმ განძლიერებულს გივთან, მერეთ სომხითში ბარათაშვილის ამილაბარის² ოჯახთან, შემდგომად იმერეთში ჩიჯავაძის³ ოჯახთან და დასასრულ თვით მეფე თეიმურაზ⁴ მეორესთან. სხუებიც ბევრი იყვნენ, მაგრამ მომატებული ლაპარაკი რაღა საჭიროა, ამ ხსენებულს ძლიერს ოჯახებთან.

ერთი მეფის თეიმურაზის წიგნი არის ჩვენს ოჯახში, ელიზბარ ეშვალაბაშთან მოწერილი, რომელსაცა ნათესაობას მოაგონებს და შემდგომად სოხოვს: შენი ძმის ვახტანგის ქალი ჩემს ერეკლეზედ დავნიშნოთ და მოყვრობა განვაახლოთო. რომელიცა ჩვენი სახლის ქალს ითხოვს თავის შვილის ირაკლისათვის, რომელსაცა იმ წიგნს აქ წაიკითხავთ. აი, რას ინერება:

„ქ.: ჩვენგან მათ საკადრისად დღე ყოველ დიდებით სახსოვრათ და მათ შესატყვისად კეთილად არაოდეს დასავინყრათ ყაფლანიშვილებს ბატონს ელიზბარს და ბატონს ვახტანგს მრავალ მაგათის ყოვლის სამღოო ზნესრულებით უნაკლულოს კაის თავის მოკითხვა და კარგად ყოფნის სიხარული მოახსენეთ. მერმე თქვენი ოჯახი ხელმწიფეთ მემდახლენი ყოფილან და ჩვენც თქვენი მოყრობა მოვინდომეთ. ერეკლესათვის თქვენი ქალი მოგვეცით და მოყრობა და ერთობა კიდევ უფრო განვაახლოთ. სარდალს (ქაიხოსრო) და ამილახვარსაც (გივი) წიგნები მივწერეთ და სხუას ჩვენს სიტყვას ჩვენი მორდალი პაატა მოგახსენებსთ. ბატონო. ბეჭედი. მეფე თეიმურაზ. წიგნი კი უქორონიკონოა.

ამ დროს სარდალი ქაიხოსრო ჯ. ორბელიანი და გივი მიდგომილი იყვნენ თეიმურაზის კერძ და იმისი მხარე ეჭირათ, რადგან მეფე ვახტანგ რუსეთში გადავიდა, საქართველოზედ ხელი აიღო, ამისთვის იმას მიდგნენ საქართველოს გასაერთებლად და ძალიან

¹ ეშვალაბაშს თა ელიზბარ ჯ. ორბელიანს მეფის ვახტანგის დისწული ჰიუანდა ცოლათ.

² ელიზბარ ეშვალაბაშის ბიძაშვილი ჰყვანდა ცოლათ ამილაბარს, ქალი ერასტისა, ქართლის მეფის ძიანბეგისა.

³ იმერეთში ჩიჯავაძეს მეფის ვახტანგის და ჰიუანდა ცოლათ და ამათი ქალი ელიზბარ ეშვალაბაშის ცოლი იყო, ზევით სხენებული.

⁴ მეფე თეიმურაზის ცოლი იყო თამარ დედოფალი, მეფის ვახტანგის ქალი და ელიზბარ ეშვალაბაშის ცოლის ელენეს ბიძაშვილი იყო თამარ დედოფალი. მამიდაშვილ-ბიძაშვილები იყვნენ თამარ დედოფალი და ელენე.

კარგათაც ქნეს, მაგრამ ქაიხოსროს სარდლის გული (იმას გულზედ მძიმეთ აწვა ჩვენი ოჯახის იმისთანა დამოკიდებულება). აღარ მოასვენეს ეშმაკებმა და თავის თავზედ შიში მისცეს, თუ მეფის თეიმურაზის შვილი ირაკლი, ელიზბარ ეშკალაბაშის ძმისწულს, ვახტანგის ქალს ანას შეირთამდა, მაშინ იგი დაიღუპებოდა.¹

მართლა იმისთანა აზრის კაციც იყო, რომ როგორც იმან თავის ცოლის ძმა ზურაბიშვილი (ბარათაშვილი) დააჭერინა, ხაროში ჩააგდო, სადაც მშეერ-მნეურვალი ეგდო, სოფელი ქვეში მომყიდეო. რომელმაცა მინამ ნერილით არ დაამტკიცებინა, აღარ ამოუშო. ამგვარი დრო შემოვიდა მაშინ საქართველოში და ამისი ეშინოდა ქაიხოსრო სარდალსა, მაგრამ შესცდა. თავის ხასიათისამებრ არ უნდა განესაჯა ქაიხოსრო სარდალს. მე მიკვირს იმისაგან, იმისთანა გონიერი კაციც როგორ შეაცდინეს. იმის გონიერება ამაში ჩანს, რომა საქართველოს გაერთებისთვის კახეთის მეფეს თეიმურაზს მიუდგა, ისიც მაშინ, როდისაც მეფე ვახტანგმა ხელი აიღო საქართველოზე და რუსეთში გადავიდა.

ეს ფიქრები რომ დაუნერგეს ქაიხოსრო სარდალს, ამ დროს ბატონიშვილი ირაკლი ინდოეთიდგან მოვიდა საქართველოში და მაგთენი ხანი აღარა გამოვიდარა, ელიზბარ ეშკალაბაშის ძმისწული, ვახტანგის ქალი ანა წაიყვანეს ბატონიშვილის ირაკლისათვის საქორწინოდ. ამაზედ გული შეუწუხდა ქაიხოსროს სარდალს, რა ქნას, როგორ ქნას? იმ გონიერებასთან დიდი ცბიერი კაციც იყო. მაშინვე ბატონიშვილს ირაკლის თავის შინაგანი მახლობლები დაადევნა უკან და მინამ ქალს შეუჩინა მოსყიდვითა, თვით ბატონიშვილს ირაკლისა და ამთენი ცუდი... ამასთან დაუყოვნად თვით ბატონიშვილის ირაკლის ახლობლები შეუჩინეს მოსყიდვითა ყმაწვილს კაცს ირაკლის: ჯერ იმ ღვთიურს ქალზედ ბევრი რაღაებიც უთხრეს, მასუკან ელიზბარ ეშკალაბაშზედ: მითამ ქრისტიანებს თავის ყმებსა ტყვედ ჰყიდდეს ოსმალებზედ და ბოლო დროს ორგულობა უთხრეს ელიზბარ ეშკალაბაშისა მეფის თეიმურაზის ოჯახზედ. ამის გამო ბატონიშვილი ირაკლი ასე გააჯავრეს, რომ თავგადაკლულმა აღარა ქნა შერთვა იმ ქალისა; სწუხდნენ მეფე დედოფალი, მაგრამ აღარ იქნა, ვეღარ დაიბრუნეს ირაკლის გული, რომელიცა შემდგომ ის ქალი იქმნა მონაზონი ალავერდში, სადაც მნუხარებით მოკვდა და იქვე არის დამარხული.

შემდგომ მეფე ირაკლი თურმე იტყოდა თავის ცოლშვილში: მე

¹ მაშინ რუსეთის აგენტები იყვნენ აქ საქართველოში და ისინი ჩუმათ ცდილობდნენ ერთმანეთში წინააღმდეგობა ყოფილიყო, რომლებიცა საწადელსაც მიხწევნილი იყვნენ ის რუსეთის თვით აქაური აგენტები.

რომ ვახტანგ ყაფლანიშვილის ქალი მამაგონდება, იმის სიბრალული ძალიან შემანუხებს ხოლმე. ყმანვილი ვიყავ და ყმანვილკაცობით შემაცდინეს, რომ იმაზედ ჯვარი აღარ დავიწერე. როგორც შემდგომ შევიტყე, ეს სულ ქაიხოსრო სარდლის საქმე იყო თავის შიშის გამო, მაგრამ იმ თავის უბრალო ტყუილმა შიშმა გივს ამილახვარს საქართველო დააღუპინა და სომხითი ხომ სულერთიანათ გააოხრებინაო. სხუასაც ბევრს იტყოდა ხოლმე მეფე ირაკლი იმ ამბებზედ, რომელიცა აღარ მოვიხსენე აქა, საჭიროდ აღარა ვრაცხ და შესატყყობად ესეც კმარა. ახლა ამის შემდგომ გივის ამბავს მოვყვეთ. რა ქნა იმან?

როდისაც ნადირშა დარბანდს იყო და იმისთვის ქართველები საჭირონი აღარ იყვნენ, დაითხოვა და გივს ამილახვარს მოსცა ვექილობა ქართლისა. წამოსული ესენი რა მოვიდნენ მეფეს თეიმურაზთან, აქ გივს დახვდა ამბავი: ბატონიშვილმა ირაკლიმ შენი ცოლის ძმის ვახტანგის ქალზე ხელი აიღო და იმერეთიდგან მოიყვანა თამ მხეიძის ქალი, რომელმაცა ჯვარიც დაიწერაო.

გივი ამილახვარი იმისთანა კაცი არ იყო, რომ თავის ცოლის სამშობლოს დამცირება იმას მოეთმინა, რომელსაცა მაშინ იმას ძლიერებაც დიდი ჰქონდა, თითქმის მთელს ქართლს ბძანებლობდა. ამ დროსაც ბატონიშვილის ბაქარის (მეფის ვახტანგის შვილისა) წიგნიც მოუვიდა რუსეთიდგან იმას და სთხოვდა ერთგულობას, რომელსაცა ერეკელესგან იმ ქალის გაშვებასა, ესეც ზედ დაერთო მიზეზსა და მაშინვე განიძრახა, კახეთის მეფე თეიმურაზ გადააგდოს და იმის ნაცვლად ქართლის მეფე დაჯდეს მთელს საქართველოში. ამის გამო ჯერ შეუჩნდა მეფეს თეიმურაზს, რომ ის ნადირშას გაუდგეს და ოსმალ-ლეკების ჯარების შემწეობით სპარსინი გარეკონ საქართულოდგან, რომელიცა თვით ამ საქმეს თვით გივი შეძლებს, ოლონდ მეფე თეიმურაზმაც ინებოს და ერთად იმოქმედონ. ამასთან მეფის ვახტანგის შვილს ბატონიშვილს ბაქარსაც მეორე წიგნი მისწერა გაფთხილებით ჩუმათ და საქართველოს მეფეთ მოიწვია.

ეს ამისთანა თათბირი მეფე თეიმურაზმა არ მოიწონა გივისაგან და უარი უთხრა, რომელთაცა შორის ამის გამო დაითესა სამდურავი და ბოლოს დროს მტრობაც. იმათი გული ერთმანეთზე აღარ გაისწორეს. ამ დროებში ბატონიშვილის ბაქარისაგანაც კიდევ წიგნი მოუვიდა თანხმობისა გივსა, რომელმაცა აღარ დაიყოვნა და 11-ს აპრილს 1744-ს წელსა ბზობის ლამეს ქ. ტფილისიდგან გაიპარა ქართლში და ამხედრდა მეფის თეიმურაზის წინააღმდეგათ. ესენი სულ რუსეთისა აგენტებისაგან მოხდა.

ქაიხოსრო სარდალსაც ეს უნდოდა, რომ გივი გაიქცა. ახლა რა ქნას,

როგორ მოახერხოს, რომ ელიზბარ ეშკალაბაშიც როგორმე მოიშოროს, რადგან ის არ გაჰყვა გიგს ამილახვარს და იქვე მეფეს თემიურაზთან დარჩა. ეს მძიმეთ აწვა ქაიხოსრო სარდალს, ამისთვის რომ იმის გული თავისუფალი უნდა ყოფილიყო, საქართველოს გასაერთებლად თავისუფლათ ემოქმედა და საეჭო იმისი აღარავინ აღარ ყოფილიყო, რადგან ელიზბარ ეშკალაბაშისა მაინც კიდევ ძალიან ეშინოდა: დღეს თუ ხვალე მამასწრობს და მაგიერს მიზამსო. ასე თურმე დიდათ ეშინოდა, რომელმაცა ამისთვისაც ლონე მოიპოვა, ნადირშასთან ერევანში ჩუმად ბეზლება დაუწყო, რომ მითამ იმას ორგულობდეს და გიგს ამილახვარს ჩუმათ წიგნებს სწერდეს ქართლში. ზედატანებით აირუმები დაეხოცათ ქართლში და ეს ხომ დამტკიცებით დააბრალა ელიზბარ ეშკალაბაშსა ქაიხოსრო სარდალმა. ამაზედ ის დიდათ გააჯავრა უიმისოთაც ის მრისხანე ნადირშა. საჩქაროთ ერევანს მიაყვანინა ეშკალაბაში ელიზბარ და გაუკითხავად თავის თვალწინ მოაშობინა, სადაც ქაიხოსრო სარდალიც იქ იყო და სხუა ქართველებიც ბევრნი. ამ ამბაესა იქ დამსწრე ერთი ვინმე აღნერს და ის აღნერილი ჯერ მე არ მიშოვნია. ვის სახლშიაც არის, თვით იმისმა პატრონმა მიანბო უფრო წვრილათ.¹

მე ესენი სულ ასე გამიგონია.

ფაკტებიც ეთანხმება ამ ჩემს გაგონილებს. არამც მხოლოდ ამ ჩემს ერთს აღწერილობას, რაც რომ დამინერია და შემდგომში ფაკტები წამიკითხამს, იმათაც.

გივი ამილახვარის ყურამდისინაც რომ მივიღა ესე: შენი ცოლის ძმა ელიზბარ ეშკალაბაში ქაიხოსრო სარდალმა დაახრჩობინა შაჰნადირსაო. ელიზბარ ეშკალაბაშის დას ელდისიცემით გულშემოეყარა და გივი ამილახვარი აპრიალდა. როდისაც გული მოიბრუნა, გივმა შეუთვალა ქაიხოსრო სარდალს.

— „ირაკლისაგან იმ ქალის გაშვებასა და ელიზბარ ეშკალაბაშის სიკვდილსა, სულ ცხვირიდებან ამოგადენო. მაგ შენს სომხითს ასე გავაოხრებ, ბლავნი აღარ იპოვებოდეს მანდ.“

ვაი, ვაი, საქართველოვ, ამისთანა კაცების ხელში იყავ შენ... ბედისაგან განირულო უბედურო...

აქ მე ვეღარას ვიტყვი, ვისაც გნებავდეთ, პაპუნა ორბელიანის ისტორია წაიკითხეთ და იქა სცნობთ ჩვენმა სიძემ გივმა ამილახვარმა რაცა ქმნა.

თ ა. ვახ. ძე ჯ. ორბელიანი
9-ს მაისს 1867-სა წელსა ქ. ტფილისს.

¹ ეს ანბავი თ ა ივანე ზაალის ქე ბარათაშვილმა მიანბო და ის აღწერილიც მე მაქესო. მე ვთხოვე, კიდეც დამიპირდა, მაგრამ იმ დროებში მოკვდა. თუ როგორმე იმ აღწერილს ვიშოვნი, სრულად ჩაგნერ ამ წერილში დაწვრილებით შესატყობად.

მამიჩამისაგან ღალატი მეურის ირაკლის

განძვინებული ალამამადხან მეფეს ირაკლიზედ მოდიოდა, მა- გრამ თან თურმე ეშინოდა: მეფე ირაკლი გონიერი კაცია, ამასთან ნადირშას გაზდილი და ამის გამო სიფრთხილით უნდა მოვიქცევო. ამისთვის კაცებს უგზავნიდა და უნდოდა, როგორმე მიეზიდა თა- ვის მხარეს. უკანასკნელად კიდევ სთხოვა: ერთი შენი შვილი და მეორე, ერთი შენი შვილიშვილი მამეც მძევლათ და ესეც, რომ რუსეთის მეგობრობაზედ ხელი აიღე, მაშინვე გავტრიალდები და წავალო.

მეფე ირაკლიმ ორსავეზედ ფრიადი ჰქმნა (არცერთი არა ჰქნა) და ალამამადხანიც ამისგამო გადაწყვეტით გამოემართა საქართ- ველოზედ (მე ადრევ აღწერილი მაქვს ალამამადხანის მოსვლა). ვი- სუც გნებავთ, მოსვლის აღწერილობა წაიკითხეთ, იქ სულ არის.

თითქმის ქ. ტფილისის მახლობლად მოვიდა ალამამადხან, ჯარი კიდევ არსად იყო მეფის ირაკლისათვის, ყოველს მხარეს აი- ყარნენ ქართველები და მაგარს ადგილებში დაიხიზნენ: თავადნი თუ აზნაურნი ანუ გლეხნი, სულ ერთიან. ამისთვის იტყვიან: ციხე შიგნიდგან გატყდებაო. ისე მაშინ იყო საქართველოს საქმე. მე- ფის ირაკლის მტრობის გულისათვის იმის მტრები საქართველოს ღუპავდნენ გაუკითხად ის უსვინიდისონი, სადაც იმ დროს მთელს საქართველოში მეფის ირაკლის მტრები ჩუმად დაწანწალებდნენ და ხალხს აშინებდნენ: ალამამადხან ორასი ათასის ჯარით მოდის, დაიხიზნენით, თორემ სულერთიან წაგლეკამსთო. ამისთანებს ბეგრს შესაძინებელს სიტყვებს უუპნებოდნენ და ის გულწრფელი ხალხნიც შიშით იყურებდნენ და მაგარს ადგილებში შედიოდნენ: ეგება იქ სიცოცხლე მაინც გადავირჩინოთ. ამ ამბავში სად იყო მამაჩემი, მეფის ირაკლის ქალს თეკლაზედ დანიშნული? – რაღა სადა, თავის დას ეკატირინესთან იყო ს. ყარაბულახას, იმის სახლში და უძრავად სვამდა-სჭამდა. არ ფიქრობდა: დღეს თუ ხვალე მეფის ირაკლის ქალზედ ჯვარი უნდა დავინერო და მეც იქ იმასთან უნდა მოვკვდეო – რა გაეწყობა წყეულს ეშმაკება.

მინამ ალამამადხან საქართულოში შემოვიდოდა, იმ დროებ- ში თავადის რევაზ ანდრონიკაშვილის (ამის ამბავი ადრეც მოთქ- ვამს) საიდუმლო კაცი მოუვიდა მამაჩემსა ყარაბულახა: ხომ იციო, ბატონიშვილს გიორგის შენთვინ რამდენი კარგი უნდა და ან როგორი ბედნიერებაო, ამიტომ ამას გითვლი, ბატონიშვილის გი- ორგის ბძანებით, რომ თუ ჯარში ემზადები წასვლას, არ წახვიდე, ეს იმის ნება არის მიზეზისა გამო და როცა დრო მოვა, თვითონ მე ჩამოგივლი და ყველას გეტყვი ბატონიშვილის გიორგის ბძანე-

ბასაო. აი ამისთანა კაცები სულ ასე მოქმედებდნენ მთელს საქართულელოში მეფის ირაკლის დასაღუპათ, სომხებისაგან მოსყიდულები, რუსეთიდან გამოგზავნილის არაჩინურთის არღუთოვის ოქროს ფულებითა, რომელსაცა ბატონიშვილს გიორგის იმ ოევაზის შემოთვლილობა ფიქრშიაც არ მოსვლია, არამც თუ ებძანებინოს. ის სწეული კაცი იყო და ის რევაზ იმის მაგიერათ ჩუმათ საქმობდა და როგორც უნდოდა, ისეც შვერებოდა, ასე მინდობილი იყო ბატონიშვილი გიორგი რევასზედ¹, რომლისაცა იმის საიდუმლო დასი ერთად მოქმედებდნენ მეფის ირაკლისა დასაღუპათ. ასე უნბია ჩემთვის ენდრონიკაშვილის კუზიანი ზაალის შვილს ნინიას: მეც იმათში ვერიე, მეფის ირაკლისა მტრობაშიო. მე იმ ძველებისა ეს მამწონს, რომ უწინდელსა არაფერსა არ მალავდნენ ჩემთან, არც ავს და არც კარგსა. ეს ნინია ჩემი ნათესავიც იყო და ამის გარდა კარგათაც მიცნობდნენ მაშინდელი ძველები მე.

დრო რომ მოვიდა, რევაზ ენდრონიკაშვილმა გამოუარა მამაჩემსა ყარაბულახში და ორთავ და-ძმათ, მამაჩემს და მამიდა ჩემს ეკატერინეს უთხრა: ალამამადხანი ორასი ათასის მეტის ჯარით მოდის საქართველოზე, მეფე ირაკლი თავის ხიზნით და ქალაქის ცცხოვრებით გუშინ აყრილან ქალაქიდგან და მთიულეთის მთებისაკენ ხასულან. ბატონიშვილმა გიორგიმ შემოგითვალათ და გიბძანთ, რომ თქვენც აიყარნეთ და ტყიანს მთაში დაიხიზნოთ. საგარეჯოს და იქითკენ სოფლებშიაც გამოვიარე და იმათაც ბატონიშვილის ბძანება უთხარი, რომ ისინიც საჩქაროდ აიყარნენ და ტყიანს მთაში შევიდნენ. მითამ ესენი სულ ბატონიშვილის გიორგის ბრძანება ყოფილიყოს. ამისთანა კაცი, აი ასე ატყუილებდნენ საქართველოს წრფელს ხალხსა. იმ დროს, იქით მხარეს საგარეჯოს მოურავად თან გიორგი ჩოლოყაშვილი იყო,² მეფის ირაკლის სიძე (იმის ქალი ჰყვანდა ეკატერინე) და იმ დროს ისიც იქიდგან ეტმაკობით სადღაც გაგზავნეს და იმის სამოურაო ისე დარჩა, საიდგანაც ხელგამომავალი ორი ათასი მეტი კარგი ვაჟუაცი, კარგი ცხენიანი კაცი გამოვიდოდნენ და გამოდიოდნენ ხოლმე, მეფის ირაკლის საქებური მეომარები, რომლებიცა მოუთმენლად მოელოდნენ: როდის მოგვივა ბძანება, რომ ჩვენს ერეკლესთან კიდევ ჩვენი სისხლი

¹ ეს რევაზ რაც იყო ბატონიშვილის გიორგისა ადრე დამინერისა ზოგიერთი იმისი ამბებაც.

² ამის შემდგომ, მასუკან მამა ჩემი იყო იმ მხარის მოურავი. მამიჩემის დის ეკატერინეს ქმრის გიორგი ჩოლოყაშვილის სიკვდილის შემდეგ, ეს ორი იყვნენ იმის მოურავნ საგარეჯოს. მამიდაჩემის შვილი თადა მაშინ პატარა იყო, თორებმ თუ ის დიდი ყოფილიყო, უთუოთ ის იქნებოდა საგარეჯოს მოურავათ. მამა-პაპით იმათი სახლისა იყო იმის მოურაობა.

დავლვაროთ ჩვენის მამულისთვის და ყიზილბაშებს ჩვენი ხმალი კიდევ ვაჩვენოთო. ნაცვლად ამისა, რევაზ ენდრონიკაშვილმა იმათ აყრა გამოუცხადა, მითამ ბატონიშვილის გიორგის პძანებით. ამის-გამო, მაგთენი ხანი აღარა გამოვიდარა, რომ მამიჩემის და იმის დის ეკატირინეს აყრის ამბავიც მოუვიდათ გარეჯელებს.

ამ და-ძმათა ეს აღარ იფიქრება: იქნება რევაზ სხუა რიგათ გვეუბნება და ამისთვის ერთი კაცი ქალაქში გავგზავნოთ და სწორე ამბავი იქიდგან შევიტყოთო. რევაზ ენდრონიკაშვილის სიტყუა სწორეთ ბეჭედი ეგონათ, არც კი ჰყითხეს, შენ სად მიხუალ საითკენაო? მაშინათვე აიყარნენ, მთის სიმაგრეებისაკენ წავიდნენ და რევაზიც თავის საეშმაკოდ წამოვიდა ქ ტფილისისაკენ, სადაც დიახ ბევრი დახვდა თავის ამხანაგები, მეფის ირაკლის დასალუპად. მე აქ თვითვეულად გვარებზე არას ვანპობ მხოლოდ ამის მეტს, რომ ყველა გვარეულობა შემცოდენი იყვნენ მეფეს ირაკლისთან, რატომ ქუდზე კაცი არ გამოვიდა და მეფეს ირაკლისთან ერთად ხმალს არ იქნევდნენ მამულისათვის; მხოლოდ ორიათასისა ქართველებით დარჩა იგი და ამასთან მეფე სოლომან სამიათასისა იმერეთის ჯარით, პირისპირ აღამამადხანის ჯარებისა. განა რუსეთიდგან არაჩინურთის არღუთოვის გამოგზავნილმა ოქროებმა გააყიდვინა ჯერ მეფე ირაკლი და ბოლო დროს სულერთიან ჩვენი მშობელი ქვეყანა? უფალი იქსო ქრისტე ერთმა იუდამ გაყიდა და მეფე ირაკლი საქართველოთი ბევრმა იუდებმა. უსამართლო შვილითიშვილ-ადმდეო. გადაგვხვდა კი იმათ შევილებს ის იმათი ღალატი.

ეს მამა ჩემს მძიმედ გულზედ აწვა, ბევრჯველ ეტყოდა დედაჩემს: „მე იმის შემდეგ შოსვენებით აღარა ვარ, მე რომ ისე საჩქაროდ გავიქეც ჩემის დის ეკატირინეთი, რევაზ ენდრონიკაშვილის ერთის უბრალოს სიტყვით, დღე არ გავა, მე ეს არ მამაგონდეს ხოლმე. არა, კარგი ეს არის, რომ მე მეფის ირაკლის სიძეთ ვემზადებოდი და ამის სამაგიეროთ ეს უყავ მე იმას, რომელიცა იმ ახლოხანებში დამპირდა ის: საგარეჯოს მოურაობას მე შენ ჩემარა მოგცემო, მინამ შენი დისწული თადია გაიზრდება, შენ იქნები საგარეჯოს მოურავი და პატარა თადიას პატრიონიცაო. ესენი სულ გარეჯელთა კარგად იცოდნენ, ამის გამო მე და ჩემს დას ეკატირინესა გარეჯელებისთვის რომ შემოგვეძახა: მეფეს ერეკლეს უჭირს, მოგვემელნეთო. მთელი გარეჯელობა მოიგლიჯებოდა. სამი ათასი ცხენიანი მეომარი და მაშინ ნახავდა თავის ყოფას აღამამადხანი. ამის ნაცვლად უღალატე მე ჩემს მეფეს, მერე როგორ მეფეს, ჩვენთვინ წამებულს ერეკლეს!

მე მაშინ არ ვიცოდი, ვერა გამეგო რა რევაზის ის ანბავი, მასუკან ბოლო დროს კი, როცა მეფე ერეკლე აღარ იყო, ყველა მითხრეს

იმ რევაზის მტრობა მეფის ირაკლისა.“

ასე და ამგვარად ეტყოდა ხოლმე მამაჩემი დედაჩემსა და დედაჩემიც უფრო ბევრს დაუმატებდა ამ ლაპარაკს. მაშინ კიდევ რაც მოხდა, ჩემი აღამამადხანის აღწერილობაში არის, მაგრამ იმ მა-მაჩემს მძიმედ გულზედ რომ აზვა, შემდგომ რაღა საქმემ გაიარა, ესეცა ვთქუათ. არც ეს იქნება უსიამოვნო.

მოვიდეთ 1812 წლთან, კახეთში რომ არეულობა მოხდა, რა მიზეზი იყო? ზოგი რა მიზეზს ამბობს და ზოგი რას, მაგრამ ისინი არც ერთი მართალი არ არის, მართალი ეს არის, რომ თვითონ მე ჩემის ყურით მესმოდა ხოლმე! მამაჩემთან და დედაჩემთან რომ მოვიდოდნენ მაშინდელი დიდგაცნი და ჩიუმად ლაპარაკი ჰქონდათ და დაწყობილობა, რუსები როგორ გავლალოთო, ეს იმათი დაწყობილობა მთელ ქართლ-კახეთში მოფენილი ჰქონდათ თავიანთი კაცების პირით და ზრუნვლენ ამაზედ.

კახელებმა ვეღარ მოითმინეს, უეცრად შეაფეთქეს ჯერ თაინეთში,¹ მასუკან მთელ კახეთში და ამასთან საჩქაროდ კაცები გაუგზავნეს ბატონიშვილს ალექსანდრეს ყიზილბასში და სთხოვეს მოსვლა. შემდგომ იმისიც იქნება. რუსების მთავრობა ამაზედ ძალიან დატოკდა, ეტყობა, შპილნებისაგან შეიტყეს. საღამო იყო, რომ ჩვენს სახლს ერთი დასტა სალდათები შემოარტყეს და ერთი ზარბაზანიც ცოტა ზევით მაღლობზე დაუყენეს ჩვენს სახლს პირდაპირ, ჩვენ ამაზედ ვწუხდით, რა ანბავიაო? ამასთან აქ ქ. ტფილისში, პირველი თავადიშვილები, ისინიც თავის სახლებში დაეჭირათ ანუ დაემწყვდიათ, რომლებიცა იმ ღამესვე მთავარმართებელმა მარკიზ პაულუჩმა თავისთან მოაყვანინა სულერთიან ისინი, ხან მუქარით და ხან ალერსით იმათ ბევრი ელაპარაკა და ბოლოს ყველანი შეიფიცა ხელმწიფის ერთგულებაზედ, ამასთან ყველას პირობა გამოართო, რომ იმ ღამესვე რუსის ჯარსა გაპყვნენ კახეთისკენ და ერთგულად ემსახურენ ხელმწიფესა. თორემ თქვენს ცოლ-შვილებს ცუდი საქმე მოუვათო, ამის შემდეგ რაღა უნდა ექნათ იმათ.

იმ ღამეს რომ მამაჩემი წაიყვანეს მთავარმართებელთან, ეს დრო ვახშმის შემდეგი იყო და ჯერეთვე არ დაეძინათ, ისე ქვეშეგებში დარჩა დაჯდომილი შენუხებული დედაჩემი, მაგრამ დაფიქრდა კი. მეც იმათ მოახლოვოდ ჩემის ქვეშაგებიდგან საბნის ქვეშა გამოვ-

¹ მაშინ, მართალია, ყმანვილი ვიყავ ცხრა წლისა, მაგრამ მაშინდელი არაფერი დავიწყებული არა მაქვს რა. ამისთვის დავიწყებული არა მაქვს რა, რომ ამ გვარები მეტის მეტად მიყუარდა.

² იქ თაინეთში რუსის ცოტა ჯარი ყოფილიყო, პირველათ ისინი გაეწყვიტათ ერთის დედაკაცის თავგამოდებით და მასუკან მთელ კახეთში მომხდარიყო არეულობა.

იცქირებოდი, მეც როგორდაც აღარ დამეძინა.

ხანდისხან დედაჩემი თავს აიღებდა, სადაც ზევით კედლის თახჩაში ღვთის მშობლის ხატი ესვენა, იმას ლმობიერად შეხედავდა ხოლმე და მასუკან ისევ დაფიქრდებოდა. ჩემი გამდელიც ჩემი ქვეშაგების შორიახლოს იჯდა ბოლოს და ხმის გაუცემად შეჰყურებდა დედაჩემსა. თუ როგორმე იტყოდნენ რასმე დიახ მცირეთ, ცივათ და ისევ გაჩუმდებოდნენ. ამასობაში მამაჩემიც მოვიდა შენუხებული ამ სიტყვითა.

„ბატონიშვილო, აღარა იქნებარა, სულ ხელცარიელი დავრჩით.“ მასუკან მოჰყვა და სულ თქუა, ან კახეთში რა ანბავი მომხდარა, ან რაც უთქუამს მარკიზს: და ამიტომ ეხლა ვაპირებთ ერთად რუსის ჯარით კახეთში წასვლას და მარკიზიც ჩქარა წამოვაო. ამასთან თავისთან ერთად შეზდილს მოსამსახურეს ბერელას დაუძახა:

— „ბერელავ ორს ჯორზე ჩემი საგზაო ბარგი წამოიღე, ჩემთვის ჩემი დილიბოზის ლურჯი ცხენი მოამზადე, შენს გარდა ეჭვისი მოსამსახურე კიდევ წამოვიდნენ, იმათაც კარგი ცხენები ჰყავთ და ეხლავ საჩქაროდ უნდა გავეშურნეთ კახეთისაკენ.¹ „მაშინ კიდევ საჯაროთ გაწყობილი იყვნენ, არამც თავადაზნაურნი, სულერთიან საქართველოს ხალხი. მაგრამ მამაჩემი ამას რასაც ამბობდა, სულ მწუხარეს სიტყვით. დედაჩემმა უთხრა: „გეტყობა, რომ შენუხებული ხარ, რა ვქნათ, ძალა მაგათშია, ძლიერება და რასაც უნდა, იმას გვიბდანებენ.“

მამაჩემმა მოიხედა და ჩემს გამდელს უთხრა, მეორეს ოთახში გასულიყო. იმის გასვლასთან მამაჩემმა სულ კარები მოიხურა და მასუკან დედიჩემის მახლობლად სკამზე დაჯდა ამ შერყეულის გულის სიტყვით. — „ჩემი ბატონიშვილო, როგორ არ ვიყო შენუხებული. ის ერთი მამითქვენის, ჩემი მეფის ერეკლეს და მამულის ლალატი არ

¹ ჩემს ყმანვილობაში, მამაჩემს თხუთმეტი მოსამსახურე კიდევ ახლდა და ისინი კარგი მოსამსახურნიც იყვნენ: — იყვნენ ბატონის თავშენირული, ერთგული, ყოველს საქმეში გამოცდილი, იყვნენ კარგათ ჩატარულული: კარგი, პატოოსანი, შევიდობიანი, წრეველი, მართალი გულის პატრონი. კარგი იარაღით შეკაზმილი, კარგი ვაჟუაცები, კარგი საუცხოო საჯდომი ცხენებიც ჰყვანდათ კარგი ხელზე და სახლის მოსამსახურნიც იყვნენ — იყვნენ დასაქები, მეჯინიძეები, ბათლები, ბათლები, ნალბანდები, და ერთის სიტყვით ამისთანებში დახელოვნებულები, როდისაც რა საჭირო იყო ხოლმე, ყველაფერში კარგი იყვნენ და რაც უნდა მდაბალი სამსახური ყოფილიყო, არაფერს არ ითაკილებდნენ. არამც მარტო მამაჩემისა — ყოველს თავადიშვილს ამისთანა მოსამსახურენი ჰყვანდათ. ეს სულ ჩვენი ქვეყნის დროების გამო, მაშინდელს გარემოებას ესნავლა იმათვის, რომ როდისაც ვის რა დასჭირებოდა, ყველა ამგვარები იცოდნენ და ხმარობდნენ კიდეც. ამაებსა ქველი მოსამსახურენი ყმანვილს მოსამსახურებსა ასწავლიდნენ და ერთი-მეორეზე გადადიოდა ეს, რომლებმაცა ზოგიერთებმა კითხუა-წერაც კარგა იცოდნენ.

მეყო, რომ ახლა კიდევ უნდა უღალატო, როგორც ბაგრატიონებს, ისე ჩემს მამულსა. უნდა წავიდე და ქართველმა კაცმა ქართველს კაცსა თოფი ვესროლო, ჩემის ხელმწიფების ბაგრატიონების შემწეთ და მამულის გამომხსნელებს, რომელთაცა კიდევ უნდათ, თავისი მეფობა აღადგინონ და თუ ჩუენ იმათ თოფს არ ვესვრით, ცოლ-შვილებით უნდა დაგვლუპონ სულერთიან. აბა რა ვქნა ამის შემდგომ, თუ არ შევწუხდე?”

— „ჩემი რჩევა ეს არის, რომ თქვენ სულერთიან კახელებს მიუდგეთ, წადით, ნულარ დააყოვნებთ საქმეს, აქ ჩვენ რაც უნდა მოგვივიდეს თქვენ ცოლ-შვილებს, თუნდა სულერთიან ლუკამ-ლუკამა დაგვჭრან, ეს არაფერი არის, ოღონდ მიუდექით თქვენს ძმებს კახელებსა“ — დედაჩემბა გადაწყვეტით უთხრა ასე.

— „აღარ შეიძლება, ვეღარაფერს ვეღარა ვიქთ. ქართლი სულერთიან გაუმაგრებიათ, აღარ მისდგომიან კახელებსა და აღარაფერს არას აპირებენ. კახელი თავადიშვილებიც შიგა და შიგ მიუბირებიათ, უთუოთ ადრე შეუტყვიათ ჩუენი ანბავი რუსებს, ამის შემდგომ აღარავის ნდობა აღარ შეიძლება.“

— „მაშ ყოველი ჩაიშალა, წახდა? —“

— „სწორეთ აგრე, ჩემო ბატონიშვილო.“

— „ახლა რაღა გვეშველება, საუკუნოთ მონათ დარჩა საქართუელო რუსებისა?“

— „დარჩა თუ არ დარჩა, ეგ ლმერთმა იცის. მე კი ვეღარ მნახავ ცოცხალს ბატონიშვილო, ამ ჩვენს წვრილს შვილებს გაუფრთხილი და რაც გეყოლოთ, ორსული ბძანდებით, იმასაც; ამაზედ დედაჩემი ატირდა და მამაჩემმაც ვეღარ მოითმინა. მეც ჩემი ქვეშაგებიდან წამოვჯექ და ბლავილს მოვყევ; ვაი მამავ, ვაი მამავ-მეთქი. ამაზედ ორნივ წამოცვივდნენ, მომვარდნენ და მითხრეს: დაჩუმდი, თორემ, აგერ კარზედ რუსები არიან, მოვლენ და ეხლავ წაგიყვანენო. მე იმათის ხსენების შიშით მაშინვე გავჩიუმდი. მასუკან მამაჩემმა სამგზავრო ტანისამოსი ჩაიცო და შემდგომ მაგთენი ხანი აღარა გამოვიდარა, რომ ბერელა შემოვიდა: სულ მზათ გახლავართო. რუსების შიშით ვინ რა ხმას ამოილებდა, გულშეკრულმა მამაჩემმა მშვიდობითაც ვეღარ გვითხრა, იქიდან მეორეს ოთახში ჩემი უნცროსის ძმის დიმიტრისაკენ გავიდა და ნამძინარევისათვის რომ დაეხედა, სადაც ჩემი გამდელიც იქ იყო, ორივესათვის შეწუხებით ეთქუა: გამდლებო, თქვენ გაზდილებს გაუფთხილდით. და ამ სიტყვისთანავე გასულიყო. იმ ღამეს ვიღა დაიძინებდა, სულ ისე ვისხედით თითქმის გაჩუმებულები რუსების შიშით. კარგად რომ გათენდა, ჩაი მოგვიტანეს და იმაზედ ამოვილეთ პატარა რიგიანად ხმა.

ამის შემდგომ ერთს კვირის უკან ამბავი მოვიდა, საგარეჯოს

მახლობლათ რუსების ჯარს გაემარჯვა უბედურს ქართულებზედ და ამ დროს ჩვენს სახლსაც რუსის ჯარი მოაცალეს და მასუკან თავისუფლათ მიდიოდ-მოდიოდნენ ჩვენთან მნახველები. ეს დრო იყო გაზაფხულის პირი. იქ ომ გაემარჯვათ, შიგნით კახეთის ქიზიყისაკენ წასულიყვნენ და ამასთან მთავარმართებელი მარკიზიც მისულიყო. რალა უნდა გავაგრძელო, ჩუმლაყში ომი მოხდა კახელებთან, იქ შეეკლა თავი მამაჩემსა ერთის მეომრის ქართველისთვის და როგორ ომი ყოფილიყო ამის შემდგომებში ახლა გავიღონებთ.

აქ ქ. ტფილისში ამბავი რომ მოსულიყო, მამიჩემის მოკვლა, შემდგომ რაოდენიმე ხანისა, კიდეც მოასვენეს, რომელსაცა თავის და ეკიტერინეც თან მოჰყვა და სიონთა ღვთის მშობლის ეკლესიაში, ღვთისმშობლის ხატის და მარჯვენა სვეტის შუა დაასაფლავეს, სადაც აქვე იმის დედ-მამანი და იმის მამის დედა დასაფლავებული არიან.¹

აქ მომატებული იქნება, რაც გლოვა და ტირილი იყო მამაჩე-მზედ, ის ალვნერო, ამას თავი დავანებოთ, ისევ ამბავს მოვყვეთ.

რაოდენიმე დღის შემდგომ, როდისაც ის დიდი მწუხარება გადიყარეს და დამშვიდება მოხდა, იმ დროსაც ალარავინ ალარ იყო დედაჩემთან მამიდაჩემის ეკატერინეს მეტი და მეორეც მე. დედაჩემმა მიბძანა: ბერელას დაუძახეთ. ეს დრო იყო გახშმობის ღამე, რომელმაცა მაშინვე მოვიყვანე. დედაჩემმა კარები სულერთიან დამაკეტ-ინა და მასუკან ჰკითხა.

„ბერელავ, ნუ დამიმალავ, აქ არავინ არის, ამ შენი ბატონის დის შეტი და ამ ჩემის ალექსანდრესი, რომელმაცა ამან არ იცის უბროთ ლაპარაკი აქა-იქ. მითხარ როგორ იყო, როგორ მოკლეს შენი ბატონი?“

ბერელამ მიიხედ-მოიხედა, მასუკან მძიმეთ ამოიხსრა და მერეთ მოჰყუა:

– „შეინჭიმე, პირველათ აქედგან რომ წავედით, ძალიან ფიქრი-ანათ იყო ჩემი ბატონი, ასე რომ მინამ რუსის ჯარი და თავადები ერთად შეიყრებოდნენ, ხმა არცყა ამოულია, ისე გაჩუმებული მივდიოდით, იქ იმათთან ძლივს დაიწყო ლაპარაკი. ბოლოს როდისაც ს. ჩუმლაყთან შეიყარნენ და მეორე დღეს ომი უნდა მომხდარიყო, იმ ღამეს ფეხი მიწყვეტილი იყო, რომ ჩემი ბატონი კარზე გამოვ-

¹ მაშინ ყველანი გაკვირვებული იყვნენ: ვახტანგ ყაფლანიშვილმა ძალათ შეაკლა თავი და რა სიგიჟე იყო, რომ ისე გიურად შეაკლა თავიო? – კარგახანი სულ ამას ლაპარაკობდნენ და უფროსი ერთნი სულ ასე სძრახავდნენ მამაჩემს, მაგრამ საქმე კი სხუა იყო.

იდა, გამიყვანა და ჩურჩულით მითხრა: ბერელავ, ხომ ხედავ ამ რუსებს ჩვენ თავადები როგორ შემწეობას ვაძლევთ? – ეს იმან იცის, ჩვენ თავადები ერთმანეთს ველარას ვენდობით, ასე რომ თვითონ ჩვენ ერთმანეთს ასე ვერიდებით და ერთსა მეორეზედ ასე-თი ეჭვი გვაქვს, რომ მითამ ერთმანეთსა ვაძეზლებდეთ რუსებთან, ისე გაფრთხილებული ვართ ყველანი ერთმანეთთან. აი ასეთი საქმე გვიყვეს ჩვენ რუსებმა და ასეთი დაუნდობლობა ჩამოაგდეს ჩვენში. ქ. ტფილისიდგან აქამდისინ, სულ ამისთანას შემწეობას ვაძლევთ ამ რუსებს და ამთენს ჩვენს ცუდკაცობას ჩემი გული ველარ ითმენს. ხვალაც კიდევ უნდა ჩვენი კახელების სისხლის დაღვრა ვნახო და იმათი დამარცხება კიდევ მიულოცო რუსებს სიცილითა, ქართველების უბედურება და დალუპა ჩვენი?- მე, ბერელავ გადამიწყვეტია, ველარ შემიძლიან კიდევ მოვითმინო, ხვალ თავს შევაკლამ ვისმე და აპა, ეს ჩემი წიგნი ჩემს ბატონიშვილს მართვი და როდესაც წაიკითხოს, მაშინათვე დაწვას, რომ არავინ არ შეიტყოს. ბერელავ, ამის გარდა, იმედი მაქვს თქვენ კერძობისაგან, რომ როგორც აქამდისინ ჩემი ერთგული იყავით, ისევ ისე იქნებით ჩემი ცოლ-შვილებისათ. ეს რომ გაათავა, საჩქაროთ გატრიალდა, წავიდა და აქ მე ტირილი მამერია”.

ამაზედ ჩვენც ტირილი დავიწყევით, მაგრამ ჩუმის ქვითინით. როდისაც რომ გული დავიწყენარეთ, კიდევ მოჰყვა ბერელა.

„მეორე დღეს ჩემს ბატონსა კავალერი დაეკიდა ყელზე¹ და ამ დღესა ძალიანი ომი მოხდა, ჩვენმა ბატონმა პირველათვე უკან მიგვაყოლა რუსის ჯარსა მოსამსახურენი ჩვენ. თქვენ აქ უკან მოჰყვეთ რუსის ჯარსასათ. და თვითონვე წინ წაუძლება იმათ, რომელზედაც კახელების ტყვია სეტყვასავით წამოვიდა, მაგრამ რაღაც იყო იმ დროს, რომ სულ სცდებოდა ის იმთენი ტყვია. ჩვენ, იმისმა მოსამსახურებმა მოვინდომეთ ჩვენ ბატონთან მისვლა, მაგრამ რუსებმა არ გავვიშვეს და არც იმთენს ჯარში გაისვლებოდა. ბოლოს იმთენის ზარბაზნის დაშენითა და მასუკან რუსის ჯარის მიშვებითა კახელები დაამარცხეს, რომლებიცა გაიფინენ აქეთ-იქით გაქცეული კახელები და რუსებმაც დევნა უყვეს შორი ახლოს. ამ დღროს ერთი ქვეითი კახელი ჯარის კაცა² მინდვრად მიეშურებოდა სიმაგრისკენ, იმას რამდენიმე ცხენიანი ქართველები დახვდნენ და იარაღი თურმე სთხოვეს. ის იმათ მოუბრუნდა და ეთქუა: ხელი აიღევით ჩემზე, თორემ იარაღის მაგიერათ ამ ჩემს თოფის ტყვიას მოგცემთ. ისინი მაშინვე ჩამოეცალნენ. ამ ამბავსა ყველანი

¹ ანნა მეორე ხარისხისა, ადრე დიდი ორდენი რომ იყო, ისა.

² მასუკან რომ თქვეს, ის ყოფილა საუცხოვო მონადირე და კარგი ვაჟკაცია.

უყურებდით, სადაც იმ დროს ჩვენი ბატონიც იქ მივიდა. ჩვენს ბატონსა იმისგან ეს რომ გაეგონა, ჩვენ შორიდგან დავინახეთ, რომ ცხენი იმას მიაჭენა და გაჯავრებით ეთქვა.

— „ეხლავ მაიტა, მამე ეგ შენი თოფი, თორემ მოგკლავ.“ იმას მოეხდა და ხვეწნით ეთქვა.

— „პარგს ვისმე გევხარ, ღმერთი გადლეგძელებს, ხელი აიღევით ჩემზედ, ჩემს სამსეს თოფს ვერავის ვერ მივცემ.“

ამ ამბავს რომ უყურებდით, ჩვენი ბატონისა მოსამსახურებმა დავიძახეთ: არ იქნა, რალაც ამბავია ჩვენს ბატონში და იმ კაცში, გავეშურნეთ, არა შეამთხვიოს რა იმ კახელმა ჩვენს ბატონს. ამ სიტყუასთან ცხენებიც გავაჭენეთ, მივაშურეთ მისვლა, მაგრამ მინამ ჩვენ იმათთან ცხენის ჭენებით მივდიოდით, იმას ბატონმა ცხენი ზედ შეაგდო და ჩვენც გავიგონეთ ბატონისაგან ესა:

— „ეხლავ მამე ეგ თოფი, შე ასეთო, შე ისეთო.“¹

ის თოფის მოღერებით მოუბრუნდა, უთხრა.

— „რახან აღარ იშლი, აპა ესეც თოფი.“

ამ სიტყუაზედ ჩვენმა ბატონმაც ფერდი მიუშვირა, იმ დროს გატყვრა იმის თოფიდა ბატონი ცხენიდან გადმოვარდა. ამ დროს სად იყო სად არა ასლან ყაფლანიშვილი² მივარდა ცხენით იმ კახელსა ამ სიტყვითა: ვამიე, ძმა მამიკლა ამ წყეულმა. და ამოღებული ხმლით ზედ შევარდა იმას. იმ კახელმაც იმასაც უშიშრად ზედ დამბაჩა დასცა, მაგრამ ასლან ეშკალაბაში ცხენით ჩქარა გადავარდა მინაზედა. დიას მარდათ მოირჩინა თავი. ამაში ჩვენც ცხენები მივაჭენეთ და ასლანსა მიულოცეთ გადარჩენა, გვეგონა ბატონი ჩვენის დაჭრა, მაგრამ იმან ტირილთ გვითხრა: ჩემი სიცოცხლე რაღა სიცოცხლეა, ძმა მამიკლა იმ წყეულმა და ტირილი დავიწყევით ყველამ ერთათ.“ ამაში ჩვენც ავტირდით ისევ ისე, როგორც პირველათ, როდისაც რომ ცრემლი გადავიყარეთ, ბატონიშვილმა დედამ ჰკითხა:

— „ის წიგნი შენი ბატონისა სადა გაქვს?“

ბერელამ სარტყელს ქვევით, თავისი ორკეცი ქამარი მოიხსნა, იმ ქამრისა გახლათული პირი გახსნა; იქ ქამრის უბე იყო, იმაში ჩადებული ამოილო და დედას მიართო, რომელმაცა ცოტა მომალლოთ წაიკითხა და თან კითხვაში ცრემლიც იყო ჩუმი, მაგრამ მნარე, ახლა ამის შემდგომ, გავიგონოთ ის წერილი.

ჩემი ბატონიშვილო თექლავ! ხვალ ომი მოუხდება კახელებთან რუსის ჯარსა სოფელს ჩუმლაყთან, მარკიზს დავებარებინეთ

¹ უწინდელს დროში დიდი გინება იყო: შეასეთშეისეთო.

² შეფის გიორგის ქვისლი იყო და იმისვე ეშკალაბაში თავადი ასლან ყაფლანიშვილი ანუ ჯ. ორბელიანი.

სულერთიან თავადები, გვითხრა: ახლა გამოგიჩნდებათ ხელმწიფის ერთგულება, როგორც ხვალ თავს გამოიდებთო. და ამასთან ბევრი გველაპარაკა. მეტი რა ლონე გვქონდა, ჩვენც აუთქვით. დალოცვილს თამაზ ეშვალაბაშისა რაღაც ულაპარაკნია რუსებზედ, მარკიზი იმაზედ ძალიან გაჯავრებულია, იმის ნალი ჩვენცა გვცვდება, სულერთიან ქართველებსა, რუსები ყველას ძალიან გვემუქრებიან, ხანდისხან შტიკებზე აგებასაც გვიქადაგებენ და ხანდისხან ცოტათაც გვიალერსებენ, მაგრამ დიახ ცოტას ხანსა. ყველანი ძალიან შენუხებული ვართ, სწორეთ თოკებით შეკრულსა ვევვართ, ანუ სულერთიან მახეში გაბმულებს. აღარ ვიცი, ველარ შემიტყვია, ჩემი მეგობარი, ანუ ჩემი ახლო ნათესავი და ან მეთვალე რუსებისა რომელია. ასეთი საიდუმლო რაღაც ცფიერობა არის ჩვენში. ეს წყალობა მოვიტანეს, ეს შეგვმატეს რუსებმა ჩვენ, ამის მეტი სხუა სულ არაფერი. ახლა ამის მეტი ძე ნადილი არა მაქუს რა, რომ ეგება თქვენ და თქვენი შვილები უვნებელი მაინც დარჩეთ და რუსებმაც კარგად ყური გიგდონ და მეც ჩემი განძრახუა შევასრულო.

რუსების უეჭველობისთვის და მითამ იმათის ერთგულობისათვის, ხვალ ძლიერს ომის ცეცხლში შევალ, ეგება მამკლან, ანუ როგორმე თავი შევაკლა ვისმე, ეს მანდ თქვენთანვე აღვიარე.

რა ვქნა, ჩემს გულს რუსების ჩვენს კისერზე წამოჯდომა ველარ აუტანია, მე მომატებული აღარ შემიძლიან, ხვალ კახელების დამარცხებას, იმათ სისხლის დაღვრას უნდა უყურო რუსებისაგან და მე კიდევ მოვითმინო ესა? ღმერთმა დამიფაროს.

მაგ ჩვენს წერილს შვილებს გაუფთხილდით, ვიცი, გაუფთხილდებით კიდეც, გონიერი ბძანდებით და იმედიც მაქვს თქვენგნით. ამ ნიგნს ჩვენი ბერელა მოგართმევთ და ამბავსაც ეგ მოგახსენებს. ეს ნიგნ დაწვით, არ შეინახოთ. ჩვენი პატარა შვილები სიყვარულით დამიკოცნეთ, ღმერთმა თავის საფარველს ქვეშე გაგაზდევინოსთ.

საუკუნოთ განშორებული შენი ვახტანგ ორბელიანი

სიტყვით-სიტყვით კი არ მახსომს ის წიგნი, მაგრამ სწორეთ კი ამ აზრზედ იყო დაწერილი. მიკვირს, რომ იმ უშიშარის ვაჟუაცის ამბავი აღარა ჰყითხეს რა ბერელას, რა იქნა ანუ რა მოუვიდა? ბოლოს როგორცა თქვა ბერელამ, სალდათები დახვდნენ წინ იმას, იმან თურმე ორი სალდათი კიდევ მოკლა ხმლითა და მესამეთ ისიც

¹ ეს თამაზ ჯ. ორბელიანი, მეფის ირაკლის დისწულის მამუკა ეშვალაბაშის შვილი იყო. მამუკას სიკვდილის შემდეგ, მასუკან თამაზ იყო მეფის ირაკლის ეშვალაბაში.

მოკლეს. აი ნამდვილი ქართველი ის!

ამ კახეთის აღრეულობის დროს, როდესაც ალექსანდრე ბატონშვილს კაცები და წიგნი მიუვიდა კახელებისაგან, სიხარულით ფრენით წამოვიდა და ახალციხეს მივიდა (მაშინ კიდევ ოსმალებს ეჭირათ) რომელსაცა გაქცეული ყარაფაფახები¹ მოეხვივნენ გარსა და გულმოდგინედ სთხოვეს: გვიმსახურეო. ბატონიშვილმაც მადლობით ნება დართო, რომლისაცა თამაზყული აღას ლაპარაკს მოვიტან აქ, რაც მიამბო ამ ოცის წლის წინათა, იმ მხრიდგან აქ რომ კიდევ გადმოვიდა, მაშინ მოჰყვა თათრულათ, ქართული არ იცოდა: „ორასი კარგი ვაჟკაცი ყარაფაფახი ავარჩიე, ახალციხიდგან მანგლიზში მოვედით (მაშინ მანგლისი და იქითი მხარე სულ გაოხრებული იყო) და იქიდგან ლამით მტკვარის პირსა, დიღმის ფონზედ ჩამოვედით, გასვლა მოვინდომეთ კახეთისკენ, მაგრამ მტკვარი ძალიან დიდი იყო. ეს დრო იყო გაზაფხული. მეტი რა ლონე გვეკონდა, ისევ დავტრიალდით და მანგლიზშივე მოვედით, საიდგანაც კვირაში ორჯერ კაცებს ვგზავნიდით და მტკვარის ამბავი მოჰქონდათ ხოლმე: კიდევ ძალიან დიდი მოდისო. ჩვენი მანგლიზში ყოფნა და მტკვარის სიდიდე კარგა ხანი გაგძელდა, ამაში ჩვენ საჭმელი შემოვგაკლდა, ერთს საღამოს ხუდადბეგსა² დავებარებინე, მითხრა.

„თამაზყული აღა, მე ვერ გამიბედავს ბატონიშვილისათვის, გამინწყრება, ეგება შენ ხვალ დილაზე, ისე შენათ მოახსენო, რომ საჭმელი აღარა გვაქვს. ისევ სჯობს ახალციხეში დავბრუნდეთ, მინამ მტკვარი ჩამოვარდეს, მოვიდეთ და მაშინ გავიდეთ კახეთისაკენ, თორემ მშივრებს აგვიტყდება რამე.“

„მეორე დღის დილაზე ბატონიშვილის წინ დავდექი და ძალიან დალონებით ვიყავ, ბატონიშვილმა მკითხა“

„თამაზყულიაღა, რას დალონებულხარ?“

ჯერ მე მოვახსენე – „არაფერსა-მეთქი“

მეორეთ კიდევ მკითხა – „არა, სწორეთ მითხარ, რას დალონებულხარ?..“

მაშინ მოვყევ და ჩუმათ უთხარ ხუდაბეგის დარიგება. იმან გაჯავრებით მიპასუხა.

„თამაზყულიაღა, რასაც ამბობ, ეგ შენი აზრი არ არის. შენ

¹ ბორჩალოდგან გაქცეულს თარაქამებს იქ ყარაფაფახს უძახდნენ: შავქუდიანებს.

² ხუდადბეგი ქ. ტფილისელი კარგი ოჯახის თათარი იყო, ალექსანდრე ბატონიშვილს ახლდა და დიდი ერთგულიც იყო იმისი, რომელმაცა ქართული თავის ენასავით იცოდა კითხუა-წერა-ლაპარაკი.

ხუდაბეგს დაურიგებიხარ და იმის სიტყვას ლაპარაკობ. თამაზ-
ყულიაღა, აბა მითხარ, როგორ დაგბრუნდე? – საცოდავი კახელები
თავიანთის მამულისათვის სისხლსა ლვრიან და მე დამისარეს: ჩქა-
რა მობძანდი, თავი გვყვანდეს, რომ მამულისათვის ხმალი მოვიქ-
ნიოთო. ამის შემდგომ მე როგორლა დავბრუნდე? – თუ გინდათ, შენ
და ხუდაბეგი წადით და მე მშიერი მოვკვდე აქა, ჩემი ერთი მუჭა
სისხლი და ჩემი ლეში სადაც უნდა იყოს, ჯანი წამივიდეს, აქედან კი
აღარ დავბრუნდები.

„ჩემს დღეში მე იმისთანა სირცხვილი არ მიჭამია, სულ ვეღარა
ვთქვი რა და სწორეთ მკვდარსა ვგვანდი. ბოლოს რას ყოფით ძლივს
ხმა ამოვიდე და მასუკან გაბედვით მოვახსენე: ბატოიშვილო, ნუ
შეწუხდებით, მშიერი არ დარჩებით შეინჭიმე მეთქი. მაშინვე ოც-
დაათი კაცით წამოვედი და მეორე დღესა, მარაბდის მინდვრიდგან
ერთი ფარა ცხვარი მოვიტაცე, გამოვლალე და ბატოიშვილს მო-
ვართვი, მაგრამ შეწუხდა კი.

– „ეს ვისი ოჯახი დაგიქცევიაო, იმ საწყლისა?“

– „შეინჭიმე მეტი ლონე რომ არ იყო, მაშ რა უნდა მექნა? რო-
დისაც რომ ლმერთი თქვენს სანადელს შეასრულებს, ერთი ორათ
უწყალობეთ ამ ცხვრის პატრონს“ – მოვახსენე, გაიცინა და მიბძანა.

– „ეგ უთუოთ აგრე იქნება, თუ რომ ლმერთი ჩემს სანადელს
შეასრულებს.“ მოჰყვა კიდევთ თამაზყულიადა.

„ამის მეოთხესა დღეზედ, ერთი ქართველი ლვდელი, რამდენიმე
ცხენიანი კაცი და ათი მეტი ცხენის საპალნე, ზოგი წამცხვარი პური
ტომრებით სამსე, ზოგი ტკიებით ლვინოები და ზოგი მოხარშულის
ქათმებით საშეს ხურჯინები ბატოიშვილს მოართვა. ბატოიშვილმა
ჰქითხა:

– „ლვდელი ხომ არა ხარ შენა?“

„მე ხომ ქართული არ მესმოდა, ხუდაბეგი მითარგმნიდა. მასუ-
კან ბატოიშვილის კითხვაზედ ლვდელმა მოახსენა

– „დაიახ ჩემო ხელმწიფეო, ლვდელი გახლავარ“

„ბატოიშვილი მივიდა, ხელზე ემთხვია და მერეთ ჰქითხა:“

– „ლვდელო, სად მიდიხართ?“

– „თქვენთან გიახელ, ჩემო ხელმწიფო, გავიგონე თქვენი აქ მობ-
ძანება, რომელიცა ამ ძლვნებით თქვენთან გიახელი, იქნება საჭ-
ირო იყოს შეინჭიმე, მაგრამ მიბძანეთ, აქ რისთვის და დგეხართ?“

– „მტკვარს ვერ გაუვედით, დიდი მოდის. კახეთში მინდოდა
გასულა და აქ დავრჩი, მინამ მტკვარი ჩამოვარდება.“

– „წამობძანდით ჩემო ხელმწიფეო, ასეთს ფონში გაგიყვანთ,
რომ ცხენის მუხლზე არ შემოსწვდეს მტკვრის წყალი.“

– „ლვდელო, სადაური ხარ შენ?“

ქართლელი გახლავარ, გამოღმა მხრელი.“

– „როდის გინდა წამოვიდეთ?“

– „ამაღამ რომ დაბინდდეს, მაშინ წამობძანდით, მაშინ კაი დროა! იმ საპალნით პურები და ქათმები ღვდელმა ყველას დაგვირიგა, ოთხი თუ ხუთი დღე იყო, რომ პური თვალით არ გვენახა, სულ ცხვრის ხორცსა ვჭამდით და მაშინ რომ პური მოგვცეს, მეტის სიამოვნით ვჭამეთ და თან მადლობას ვეუბნებოდით ღვდელსა. ჩვენ თათრები ღვინოს ხომ არ ვსომდით და ბატონიშვილს მგონია ათი დღეც იყო რომ აღარ დაელია და მაშინ ის ღვინო ძალიან იამებოდა და იმისი ქართველებიც კარგათ რიგიანათ სვამდნენ.“

„იმ ღამეს გაგვიძლვა ღვდელი და გარიურაჟის დროსა ერთს ტყიანს ხეობაში დაგვაყენა და საღამომდინ იქ ვიყავით, საღამო უამს ღვდელი სადღაც წავიდა და ჩვენ ამაზედ შევშფოთდით, მაგრამ ის ჩქარა მოვიდა და ბატონიშვილს მოახსენა: შეინჭიმე ფონი ვნახე და რაც რიგი იყო, შევასრულე, ახლა წამობძანდით თავისუფლათ არის ფონი.“

„მაშინვე შევსხედით და საჩქაროთ გავწიეთ, ასეთს ფონში გაგვიყვანა, რომ მართლა საუკეთესოში და არც ვინმე დაგვხვედრია, ასე თავისუფლათ გამოვედით. ბატონიშვილმა ბევრი მადლობა უთხრა ღვდელსა: შენგნით ამისთანა კარგი საქმე ჩემს დღეში არ დამავიწყდებათ. ამასთანავე გავწიეთ და კახეთისენ წავედით, ღვდელი კი დაითხოვა და ვინც იმასთან ქართველები იყვნენ, ისინიც.“

„მაშინ კახეთი კიდეც დაემშვიდებინათ რუსებს, მაგრამ კახელებმა რომ შაიტყეს, ბატონიშვილი ალექსანდრე მობძანდაო, კიდევ ხელმეორეთ გადაეკრა ცეცხლი კახეთს და ერთიანად იარაღი შემოიკრეს კახელებმა და ომები კიდევ ასტყდა რუსებთან. აქ ჩვენ ხალათები მოგვცა ბატონიშვილმა და დიდის მადლობითა დაგვითხოვა, საიდგანაც გამოვწიეთ, წამოვედით და ახალციხეში მოვედით ბატონიშვილის წიგნებით ფაშასთან.“

ეს ანბავი თამაზყული აღამ მიანბო.

ერთხელ ეს ამბავი ბიძიჩემის ანტონ ქათალიკოზის ნაზირს ნიკოლოზ ელიოზის შვილსა უანბე, სხუა და სხუა ჩვენს ძველს ლაპარაკში. იმან მითხრა.

– „მეც ვიცი ეგ ამბავიო“. მასუკან იმ ღვდლისა ვკითხე: ვინ არის მეთქი? – იმან მიპასუხა:

– „ის ღვდელი იყო ზებედე. იმ ფონზედ რომ გამოუყვანია ბატონიშვილი, ის ფონი დიმიტრი თარხნის შვილსა ჰქონდა შეკრული ორასის რუსის ყაზახებით, სწორეთ ბატონიშვილის ალექსანდრესთვის, იცოდნენ იმის მომავლობა და ეშინოდათ, რომ იმ ფონზედ არ გავიდეს და ამიტომ ჰქონდათ ის ფონი შეკრული. იმ ღვდლის

კაცი ადრე მოუვიდა დიმიტრისა და შემოეთვალა: ბატონიშვილი აღექსანდრე ამაღლამ ფონში გამობდანდება და შენ შენი ყაზახებით აიყარე, წადი სადმე, ბატონიშვილმა სიყვარულიანი მოკითხვაც შემოგითვალაო. იმ ღვდლის შემოთვლილობაზე დიმიტრის ძალიან იამა ბატონიშვილის მისვლა და ამის გამო იმ სალამოზედ, იმ ფონიდგან აიყარა სულერთიან ყაზახებით და სხვა მხარეზედ გადავიდა. ის ღვდელი რომ სალამო უმზედ წამოვიდა ბატონიშვილიდგან, ის იმისთვის, რომ ფონი დაეზვერა, ნახა, რომ არავინ არ იყო იქ, მოვიდა და ბატონიშვილი წამოიყვანა, რომელშიაც თავისუფლათ გაიყვანაო.“ ესეც იმ წიკოლოზ ნაზირმა მიანბო. მაგრამ მაინც ვერა ქნეს რა კახელებმა და ხელმეორეთ კიდევ დაამშვიდეს კახეთის ხალხი, საიდგანათაც დაჭერილი თავადები აქ ტფილის ქალაქში ჩამოასხეს შეკრულები და აქედგან ციმპირისკენ გაისტუმრეს. სხუა ზოგნი ბატონიშვილს ალექსანდრეს დაღისტანში თან გადაჰყვნენ. ზოგნი ყიზილბაში გადაცვივდნენ და ბევრს აპატიეს რუსებმა. ამ მეორეს კახეთის არეულობაში მამიდაჩემები, ეკატერინე და გუქა¹ გაერივნენ და ხალხს ალელვებდნენ და სხვანი ბევრი ქალებიც იყვნენ გარეულნი, მაგრამ რუსებმა სხუებს არა დასდიეს რა, ის ორი მამიდაჩემები აქ ტფილისში დაჭერილი ჩამოიყვანეს და აქედანვე დაჭერილები რუსეთში გაისტუმრეს, სადაც მამიდაჩემი ეკატერინე იქ მოკვდა და გუქა კი ისევ მოაყვანეს აქ საქართველოში.

24-ს მაისს 1867-ს წელსა ქ. ტფილისს.

თავის ვახ. ქ. ორბელიანი.

¹ ადრევეც ვთქვი, ეკატერინე საგარევოს მოურავს თავად გიორგი ჩოლაყაშვილს ჰყენდა მეთქი და გუქაც კახეთის აზნაურს გოჯასპი ნათალიშვილსა, ეს ბატონიშვილს ალექსანდრეს დაღისტანში გადაჰყვა, იქიდგან სპარსეთში და იქ იმსახან მოკვდა. ჩემი მამიდა ეკატერინეს შველი ყმაწვდლი კაცი თადიაც გაერია ამ მეორეს კახეთის არეულობაში და ძალიანაც ხელი გამოიღო რუსებზედ, მაგრამ ბოლოს ესეც გადავარდა სპარსეთში და იქიდგან ერმალოვის დროსა, ისევ მოაყვანინა თადია საქართველოში. ციმპირიდგან სულერთიან თავადებიც მოაყვანინა ერმალოვმა.

პლატონ იოსელიანეა

პლატონ იოსელიანმა წამიკითხა, ამ 1867-ს წელსა აპრილის თუესა, თავისი ამ ახლოხანების თხზულება საქართველოს მეფის გიორგის მეცამეტეს ცხოვრება, – წამიკითხა შიგა და შიგ აქა იქა, სადაც მეფე ერეპლე მეორე, მამა მეფე გიორგისა დამდაბლებულია და იმისი ცოლი დედოფალი დარეჯან.

იქნება მე იმის წაკითხუაზედ ხმა არც კი ამამელო, რადგან მე ადრითვე დაწერილი მაქუს ანდრია მურავიოვზედ პასუხი, დარეჯან დედოფლის გამოსარჩება, მაგრამ შემდგომად თვით ჩემთანა და ზოგიერთს მართებულებთან მეტის უშვერის სიტყვით ახსენა დედოფალი დარეჯან, ოსეფა ყორღანაშვილთან, რომელმაცა მაშინათვე მივატანე: იმ წმინდას პატიოსანს გვამზედ, ნუ ითიქრებ შენ დაგითმონ, პასუხს დაგინწერებ მეთქი. და ამის მიზეზითაც დავწერე ეს, რომელიც მე იმის პასუხს აქედგან დავიწყოფ, იმ პლატონს იოსელიანსა აღვწერ, როგორია და შემდგომათ იმისი დაიჯერონ? –

პლატონს გამოჰყავს თავის წინასიტყვაობაში, ანუ მიწერილსა წიგნში პეტერბურლსა, მითამ ესეები გამოეკრიბოს მოხუცებულთაგან, ანუ იმის მოყვარულთა და მტერთაგან მეფის გიორგისა და ანუ სასულიეროთაგან, საიდგანაც შეუდგენია ისტორია მეფის გიორგისა. კიდევ პლატონ ამბობს, ბატონიშვილებისთვის პეტერბურლში, რომელსაცა თითქმის მოწმათ მოჰყავს ბატონიშვილები, კაცნი თუ ქალნი, ანუ ბატონირძლები და ანუ იმათი შვილიშვილები, მითამ იმათან ძველს ამბებზე ლაპარაკი ჰქონოდეს და აქ დედაჩემთანაც. ეს ამბები: იმათგან გაეგონოს და იქედგან შეედგინოს მეფის გიორგის ისტორია, რომელიცა აი ეხლავე გეტყვით იმათ სიახლოვეს პლატონთან.

ბატონიშვილი ფარნავაზ კარგათ დახვდებოდა პლატონს, კარგის სადილებით შეაქცევდა, ამაზე მეტს სხვა ძველს ამბავს კი არას უამბობდა. მირიან ბატონიშვილმა საქართველო ძირით ამოილო და აბა როგორ უნდა ეანბო იმას პლატონისთვის ესა? – ბატონიშვილის იულონის შვილი დიმიტრი და ფარნავაზის ქალი სალომე, ის ორივე ღრმად განათლებულები, რას ეტყოდნენ? – როდისაც იმათ სხვა ყმაწვილ ქართველებთან ლაპარაკი ჰქონდათ, იმ დროს პლატონს პეტერბურლის სუნიც არ მისდენოდა და როდისაც პლატონ ორჯელ პეტერბურლში იყო, მაშინ იმ ორთ თავის ნიავისაც ეშინოდათ, არამცითუ პლატონთან ლაპარაკი ექნებოდათ იმათ ძუელზედ, ან ახალზედ.

დავით ბატონიშვილმა მართალია სულ იცოდა ის თავიანთი

ოჯახის ამბები, მაგრამ რაც იმან იცოდა, იმისი პლატონმა არა იცის რა.¹ ბატონიშვილის ივანეს შვილმა გრიგოლმა აქ ქალაქში ცოლი შეირთო, კარგახანიც იყო აქა, მე და ის ნათესაობის გარდა, ახლო მეგობრებიც ვიყავით, იმას რაც თავისი მამის ლაპარაკები უანბია ჩემთვის, პლატონის ფიქრშიაც არ გაუვლია ის იმისი ლაპარაკები, არამცუ პლატონმა იმისგან ძველი ამბები იცოდეს რამე. ბატონიშვილი ბაგრატის შვილი ალექსანდრე და მე ძალიან კარგი მეგობრები ვიყავით, იმანაც აქ შეირთო ცოლი და აქაც ცხოვრებდა; იმან არამცუ თავის მამის ანბები იცოდა, – იმან ერთობ მეფის ირაკლის ოჯახობის ამბები კარგათ იცოდა; ის პლატონს იოსელიანსა აქებდა ხოლმე, ის ქებანი ჩემის მეტმა კი არავინ იცის, როგორც აქებდა... თეიმურაზ ბატონიშვილიც, მირიან ბატონიშვილისებური იმისთანა აზრის კაცი იყო თავის ოჯახობის დაღუპაზე და ამის შემდგომ რას ეტყოდა თავის აზრსა პლატონს? – მიხეილ ბატონიშვილისას ჯერ არას ვიტყვი, აქ ქუემოთ წაიკითხამ იმის ამბავს და იმის შაგირდის პლატონის ამბავს, რაზედ დამწყსო. ილია ბატონიშვილის ძმას, ოქროპირს ახლო ვიცნობდი; პირველად აქ ქალაქში რომ მოვიდა, მე და იმის კარგად გაცნობის შემდეგ, მე და იმას ბევრი ლაპარაკი გვქონდა ხოლმე, ვიცი ილია ბატონიშვილს და იმათ ძმას ირაკლის ოქროპირზედ მომატებული არა ეცოდინებოდათ რა, მაშასადამე, რაც ოქროპირს ჩემთვის უანბია, იმისი პლატონმა არა იცის რა. მეფის გიორგის ქალი თამარი, კარგათ ვიცი გონიერი ქალი იყო და ერთიანთი თავიანთი ოჯახის გულშეწირული ერთგული, რომელიცა დიდათ თურმე სწუხდა, თავიანთი ოჯახის მეფის გიორგის შვილებისა და მეფის ირაკლის შვილების სამდურავსა, მარამ ვერ გაეწყორა, ამისთვის რომ ეშმაკები აშფოთებდნენ იმათ; ამის გარდა სხვა იმის აზრებიც ბევრი ვიცი – ვიცი ისა, რაც პლატონმა იმის-

¹ დავით ბატონიშვილისა დიახ მახლობელი ბერი პორფირი მოვიდა პეტერბურ-დიდგან აქა, იმას ერთი რევული წიგნიც მიეცა პორფირისთვის. ეს ბერი ჩემი სიმამრის ნაყმევი იყო, სადაც თითქმის ყოველდღე იქ მოდიოდა ხოლმე; მე და ის ყოველდღე ერთად ვლაპარაკობდით, რომლისაგანაც დავით ბატონიშვილის ლაპარაკის, მეორე ბერ კინაძესაც მოვიცუან, დავით ბატონიშვილთან ნამყოფს, რომელსაც იმასაც უანბია ჩემთვის ბატონიშვილის დავითის ლაპარაკი წვრილად. ის წიგნი რევული, ბერის პორფირისთვის რომ მიეცა ბატონიშვილს დავითისა, იმ პორფირს მასუკან კინაძისთვის მიეცა და მაგთენი ხანი აღარ გამოსულა, პორფირი მოკვდა. თუმცა კინაძე ამბობდა: თვით ბატონიშვილმა მე მამცაო, მაგრამ მართალს არ ამბობდა, ამისთვის, რომ პორფირმა ის რვეული აღრე მე მომიტანა და დიახ საიდუმლოთ წამაკითხა და მერე მითხრა: დავით ბატონიშვილმა მამცაო. ის რვეული, როდესაც ჩუენ დაგვიჭირეს, ის ბერი კინაძეც დაჭირეს და ის რვეული იმასთან ეპოვათ, სადაც გამოძიების კომისაში შეეტანათ და იქ ჰქონდათ.

აგან სულ არ იცისრა. პეტერბურლში დედიდაჩემი ბატონიშვილი ან-ასტასია კი დამავიწყდა, ჰომ, აბა, ის დაუჯდებოდა და ის ლვთის სული უნბობდა პლატონს ძველს ამბებსა, რასაკვირველია! – იქვე პეტერბულისა. იარალის შანშიაშვილსაც,¹ ასე მითხრეს. იმან ერთხელ პლატონ მიმავალი რომ დაინახა ბატონიშვილ ფარნაოზთან, ცოლქმართ მოახსენა: პლატონ აქ თქვენთან გიახლებათ. ფარნავაზის აჩქარებით პასული.

– „იმასთან ლაპარაკს გავფთხილდეთ“.

ეს რა არის, რა სიტყუა გაიგონეთ? – ეს ხომ მოსკოვ პეტერბულისა გავათავეთ, ახლა აქაურსა უფრო კარგსა გეტყვით, უფრო ცხადათ დედიჩემისგან.

აქ დედაჩემთან ხომ თავის დღეში სიარული არა ჰქონია პლატონს, უკანასკნელად პლატონ პეტერბულიდგან რომ მოვიდა, ერთხელ იყო სანახავად და ბატონიშვილის ფარნავაზისგან (ძმისაგან) შემოთვლილი მოკითხუა განუცხადა.² თუმცა პლატონ დედიჩემის მოძღვრის ეგნატეს³ შვილი იყო, მაგრამ ნისიათ მიიღო, ისიც ჩქარა წავიდა. ამაზე მე დედაჩემს ვკითხე: ისე ნისიათ რათ მიიღე მეთქი პლატონ? –

– „იმიტომ, რომ ის სწორე მართალი კაცი არ არის და არც რიგიანი. ცოდო არის, ეგ ეგნატეს ლვდლის შვილია. პლატონ არა ქართულების, რუსების კაცია, რომელიცა იმათ ხელში შეპყურებს ლუკმა მისცენ გასაძლომი და ამის გამო ისიც მეთუალეა იმათი მთავრობისა. აი ამისთვის კარგათ ვერ მივიღე შვილო“. დედა ჩემმა მითხრა.

არა, პლატონ მართალს არ ამბობს, იმას ლაპარაკი არავისთან არ ჰქონია ძუელს ამბებზე, გარდა ბატონიშვილის მიხეილისა და ერთის თავის მეგობრის მოხუცებულის თავადისა აქა, მეფე ირაკლის დაუძინებელის მტრისა, რომელმაცა მეფის ირაკლის მტრობისთვისა საქართულო დანთქა, იმან და იმათმა დასმა. პლატონ მალავს იმ თავის მეგობრის სახელს, მაგრამ ჩვენში ნათქვამია: შუბი ტომარაში არ დაიმალებაო.

დიას თავის მამას დეკონზს ეგნატესაც ხომ რასაკვირველია ის ძუელი ანბები უნდა ეანბოს შვილისათვის, მაგრამ იმისგან არა იცის

¹ ყმაწვილობითვე იარალი სიევდილამდინ ფარნავაზ ბატონიშვილს ახლდა განუყრელს მეგობრათ და კიდეც ემსახურებოდა.

² თუ პლატონ იმათი სანდო ყოფილიყო, იმის ხელით წიგნს გამოატანდა ფარნავაზ დედაჩემთან.

³ პლატონ რომ მოვიდა 1843-სა წელსა, იმის მამა ეგნატე ახალი მკვდარი იყო. სამი წელიწადი იყო დედიჩემის მოძღვრად, ამას შემდგომებში წაიკითხავთ აქა, როგორც იყო იმის მოძღვრობა, იქ იქნება აღნერილი.

რა, ამიტომ, რომ პლატონს მაშინ იმ უკანასკნელის ქართულების ძეველის ამბებისთვის არ ეცალა, ჯერ პირველად აქა, დიდ ბეჯითს სწავლულებაში იყო, მასუკან პირველათ რუსეთში სასწავლებლათ რომ წავიდა, სწავლულებას გარდა მიხეილ ბატონიშვილმა ცოტათ მიითვისა და რომლის განზრახვითა, ამას შემდგომ წაიკითხავთ აქა. იქიდან აქ რომ მოვიდა, ძეველის ფაკტებიდგან წიგნების გამოცემას მოჰყვა, რომლისაგანაც დიდი მოსაწონი იყო ესა, მაგრამ ამაში ყმაზვილკაცებს გაუერთდა, შექცევას გაჰყუა და იმ მოხუცებულთანაც მეგობრობას არ ჰკარგავდა, იქაც იყო ხოლმე, იმ მეფის ირაკლის მტერთან, რომელსაც თავის დღეში თავის მამისათვის ძეველი ამბები არა უკითხავს რა, არც იმასთან იდგა და იშვიათადაც წახამდა ხოლმე თავის მამას, თორეგ თუ სურვილი ჰქონდა იმ უკანასკნელის ჩუენი ძეველის ამბებისა, როგორ არ უანბობდა და ან პლატონისთვის ესა, რაღა საჭირო იყო, მაშინ როდესაც რომ რუსეთში მიხეილ ბატონიშვილისაგან და აქა, იმ მოხუცებულისაგან გამაძლარი იყო პლატონ, მეფის ირაკლისა და დედოფლის დარეჯანის მოსარყვნელად. ეს პირველი წასვლის მოსვლის ამბავია პლატონისგან რუსეთში და აქა. მერეთ ხელმეორეთ რომ წავიდა რუსეთისკენ, მგონი 1840-ი თუ 41-ი წელიწადი იყო. მაშინ იმის მამა, დედაჩემის მოძღვარი იყო, მოვიდა და გულმტკივნეულად მოახსენა დედაჩემსა.

— „ბატონიშვილი, ჩემი შვილი პლატონ, კიდევ რუსეთში წავიდა. რა ვქნა, მე ის იშვიათად მნახამდა ხოლმე, მაგრამ მაინც დიდათ ვწუხარ, შვილი არის, ვაიმე თუ მე ის ვეღარ ვნახო და ვეღარ მამისწრას,¹ რომ ჩუენი ძუელი ამბები, ამ თქვენის შვილის გარდა იმასაც შეეტყო“. ამასთან ცრემლებიც გადმოყარა და დედაჩემი კი ჩაფიქრდა, მასუკან მოცყვნენ ძუელს ამბებსა და რაც იმათ ილაპარაკეს, აბა პლატონმა ერთი მცირედ რამ გვითხრას, მამის ნაანბობი, რომელსაცა იმისი ლაპარაკები სულერთიან მახსომს. აი ესეც სასულიერო და უფრო კიდევ პლატონის მამა? —

მეფე ირაკლიმ განჯის ციხე რომ აიღო 1797-ს წელში და განჯის ხანის ჯავათხნის დაახლოვების შემდგომ, მეფე ირაკლიმ რომ ჰკითხა: აღამამადხანი რათ მოიყუანეო? — იმან ის ამბავი რომ უანბო და იმ ამბით ელდა ეცა მეფეს ირაკლისა, მასუკან აქ ქალაქში დასწეულებ(ულ)ი რომ მოვიდა იმ ამბის გაგონებით და იმის მეოთხეს დამეს, პლატონის მამა ეგნატე საიდუმლოთ რომ დაიბარა მეფე ირაკლიმ, რა უთხრა, რა იყო იმათი ლაპარაკი, აბა პლატონმა გვაინბოს? — მამა იყო, მამისგან უნდა იცოდეს. ამას მე ანბისთვის ცო-

¹ მართალიც იყო, ვეღარ მოჟსწრა.

ტათ ვანბობ, თორემ ისე ამბავი ვრცელი არის.

ეს ცხადია, რომ პლატონს მეფის ირაკლისა კარგი არ იამება რა, იმისი არა მოსწონსრა, რათაც არ? – იმას ქვემოთ წაიკითხამთ. კარგი, იმისი არა იამება რა და არც არა მოსწონსრა, ეს ვთქუათ ასე იყოს, მაგრამ მეფეს გიორგისთან, ის ხშირი საიდუმლო შეყრილობა რომ იყო ხოლმე ამ პირებისგან და უკანასკნელად ესენი: ღენერალი ლაზარევი, ბატონიშვილი მირიან¹, სარდალი თ~ა ივანე ორბელიანი, მეფის გიორგის სიმამრი, თ~ა გიორგი ციცისშვილი, მისკარბაში თ~ა იოსებ ბებუთაშვილი, მილახვარი ოსეფა ყორლანაშვილი² და მეფის გიორგის მდივანი თ~ა ელიაზარ ფალავანდიშვილი მოშორებით რომ იჯდა ხმაგაკმენდილი და რასაც უბძანებდნენ, ისიც იმას აღასრულებდა. იმ დროს პლატონის მამა ეგნატე იმათ მოშორებით განკრძალული რომ იდგა, კიდევ იმათი ბრძანების ასასრულებლად, რაო რა თაბირი იყო მეფეს გიორგისთან, რომელიცა უბედურებისაგან შეწუხებული გიორგი, ის საწყალი მწარეს ცრემლით რომ იბანებოდა? – მე ეხლა ამ ამბის მოგონებით გული (მო)მიკვდა და პლატონმა კი იმისი არა იცისრა, მე ამაზედ დარწმუნებული ვარ, რომ ამისი არა იცის რა. მოსვენებით არის. ეს ამბავი, არა ერთხელ – ბევრჯელ ულაპარაკიათ ჩემთან, ელიაზარ ფალავანიშვილსა და პლატონის მამას ეგნატესა (ელიაზარს ჩემი სიმამრის და ბარბარე ჰყვანდა ცოლათ), რომელსაც დიდი ნდობა ჰქონდა ჩემი პლატონის მამას ეგნატესა და რისთვისაც მენდობოდა, ოდესმე გამოჩნდება, წაიკითხუნ.

პირველად პლატონ პეტერბურლში რომ წავიდა სასწავლებლად, იმ დროს პლატონ თუნდა ძალიან ყმაწვილი არ ყოფილიყო, მანიც იმ დროს ასეთს ბეჭითს სწავლულებაში იყო, რომ იმას ფიქრში არ მოუვიდოდა საქართულოს ძუელის ამბებისათვის ედევნა. მოსკოვს და პეტერბურლში რომ მივიდა პლატონ და მეფის გიორგის შვილებმა, თავიანთი მამაპაპით³ წამსახურის შვილი ნახეს, დი-

¹ ამ დროებში ლაზარევის პეტერბურლში იყო მირიან თავის ძმას მეფესთან და თავისით თვითონც ბევრს ელაპარაკებოდა თავის ძმას მეფე.

² პლატონ ამბობს: მილახვარი ოსეფა ყორლანაშვილი მივიდა სანახავათ მეფე ეს გიორგისთან და ადიოთხოვა, ჩემთან წუ მოვა, ჩემს დედინაცვალს დედოფაც დარევანთან წავიდესო. გაკეთებულია. მოგონება. რას ამბობს პლატონ? - ისეფა ყორლანაშვილი სულ მეფეს გიორგის ახლდა იმის მეფობაში. მისკარბაში იოსებ ბებუთაშვილი მილახვარის ისეფას სიძე იყო, იმის ქალი თალია იმ მისკარბაშის ცოლი იყო და მეფე გიორგი მისკარბაშის სახლში იდგა, სადაც მისკარბაში და ის მილახვარი განუყრელად მეფეს გიორგისთან იყვნენ და კიდევ ზოგიერთინ.

³ პლატონის პაპა, მლვდელი ონისმე მეფეს გიორგის ახლდა და მამა პლატონისა, მლვდელი ეგნატეც მეფეს გიორგისვე ახლდა, მაგრამ ეს ეგნატე არამცულ ერთისა, მთელი საქართულოს სამეფოს ოჯახისა თავშენირული ერთგული იყო და უნამეტ-

დის წყალობით მიიღეს, ნამეტნავად მეფის გიორგის შვილმა ცრუ-მიხეილმა, რომელსაც მეფე გიორგი უძახდა იმის ყმაწვილობის დროსა იმას: ტყუილის გუდასა. აი რა მიზეზით? – თავის ყმაწვილობის დროს მიხეილ, უცნაურის სიტყუებით შევარდებოდა თავის მამასთან ხშირად და ვინ მოსთვლის რაებს არ ეტყო(და), რამთენს გაკეთებულ ტყუილებსა ის ყმაწვილი, რომელიცა ის წმინდა მართალი მეფე გიორგი, ცოტა გაჯავრებით უბძანებდა –

– „მიხეილ, გამიგონე რა გიანბო? – ტყუილის გუდა ხარ შენა, – შენმა გაზდამ, თუ არ დაიშლი, სიდიდეშიაც შეგყვება, მაშინ ცუდ საქმეებს გაქნევინებს და ამისთვის დაიშალე თუ ჩემი სიყვარული გაქუს“. მაგრამ მაინც ის ხასიათი სიდიდეშიც შეყვა და მამის წინასწარმეტყუელობა რაც უთხრა, ისეც ახდა.

მე კარგად ვიცი პლატონ ოსელიანი წრფელი სული წავიდა რუსეთში და როდისაც იქაურის სასწავლებლიდან გამოვიდა, მაშინვე მიხეილ ბატონიშვილმა დაიახლოვა. ადრეც ხომ იყო, მაგრამ ახლა უფრო, საიდამაც იმის ღვარძლების ჩაგონებით წამოვიდა პლატონ მეფეს ერეკლეზედ და დედოფალ დარეჯანზედ, სადაც მეგობრობით გაუერთდა აქა, იმ მოხუცს, იმ მეფის ირაკლის მტერსა,¹ მეფის გიორგის შვილის მიხეილის მოწყალებით, რომლებმაცა იმ ორმა, იქ რუსეთში მიხეილმა და აქ იმ მეფის ირაკლის მტერმა, დიდი შური ჩაუნერგეს მეფეს ერეკლეზედ და დედოფალს დარეჯანზედ პლატონს. მე ესენი კარგათ წვრილად შემიტყვია პლატონზედ, რომელიცა იქიდან აქამდისინ ოლონდ პლატონმა იმათ ავნოს რამე თავის წინკლიანი ენით, თორემ ბევრი გამონასკული ტყუილი აქვს მეფეს ერეკლეზედ და დედოფალს დარეჯანზე.

კარგი მოხერხება კი არის იმ პლატონის ორის ოსტატებისაგან, რომ იმისთანა სარწმუნო ვექილი იპოვეს ვითარცა პლატონ, რომ იმ ორის სიკვდილისა შემდგომ, ახლა იმათი ვექილი პლატონ, იმ წმინდას გვამებს ლანძღავს, იმ მეფესა და დედოფალსა. ამისთვისა პლატონის თავს მოუხდება ჯილა სურნელიანი.

ბატონიშვილი მიხეილ ნასწავლი კაცი იყო, მაგრამ მომატებულის პოხონდრით ნახევრათ შემცთარი. რამთენი უცნაური რაღაებიც სჭირებია და რაც სჭირებია, იმაებს ავიცილებ, ჩემი საქმე არ არის იმაზედ ვთქვა რამე იმისი უცნაური ხასიათები, მხოლოდ ღარიბებზე მოწყალე კი იყო, ეს ჰქონდა იმას კარგი – თურმე კარგი

ნავესად თავის მშობლის მამულისა, დიდი გონიერი კაცი იყო ეს ეგნატე და დიდი მადლიანი წმინდა.

¹ იმისი სახელი სხუა ქალდალდებშიაც დაწერილი მაქუს და ბარემ აქაც გამოვაცხადო: რუსეთის დენერალოტინფატერი გიორგი იასეს ძე ერისთავი.

სწავლაც და ხანდისხან კარგი ლაპარაკიც, ისიც თავის პაპის მეფე ირაკლისა და დედოფლის დარეჯანის მოსარყვნელად.

არა, რას როტავდა ბატონშვილი მიხეილი, რას მიაცვამ-მოაცვამდა არ ესმოდა საცოდავსა იმთენის სიცრუების მომგონელსა? – თუ ის მართლა გონიერი და განათლებული კაცი იყო, როგორც ზოგიერთი ამტკიცებდენ და ამტკიცებენ დღესაც, მაში ის ამისთანაც რუჭორებს კი არ უნდა აპყოლოდა, იმას უნდა ძებნა დაეწყო, იმათი ოჯახი: საიდგან, როგორ და რათ დაიღუპა? – აი ამისთანა საქმე უნდა მოეძებნა და იპოვიდა კიდეც, მაშინ კარგი საქმეც დადგებოდა რამე, თუ არა და რაო, რა არის უსამართლო ლანძლვა მეფე ირაკლისა და დედოფლის დარეჯანისა, რომლის თავიანთი ოჯახობის ინტერესებისთვისა, იმ გაუგებელისაგან?

მითამ პლატონისთვის კარგი იყო, რომ ამისთანა სიცრუეზედ მწყსიდა ბატონშვილი მიხეილ პლატონს? – არა, პლატონ ასეთს მეცნიერსა პედესტალზე იდგა სწავლულებაში, რომ იმისთვის ტყუილები უკადრისი არის. ამბობს დაუხედავათა, რაც რომ პლატონისთვის იმ ორთ ჩაუნერგავსთ, ისიც იმას იძახის. დალოცვილი ქუევრი ხომ არ არის, რაც რომ იმათ ჩაეძახათ, იმასაც იმისთანა ხმა მიეცა? – მე ხომ ჩემის მხრითა მეცნიერად ვიცნობ პლატონს, იქნება კი ვცდები, მაგრამ მაინც კიდევ მეცნიერსა დაუძახებ, მხოლოდ ეს, რომ ბევრის ნაკლულის ხასიათებისა სისუსტითა სავსე არის.

პლატონ თუ ნამდვილი და სამართლიანი მწერალია, იმას უნდა საქართულოს გაოხრების ამბავი დაეწერა, როგორც გიბონმა რომის გაოხრება აღწერა, თუ არადა: ჩემი მასიამოვნებელი ვასია-ამოვნო და სხუა სიმართლეს ჯანი წაუვიდესო. რასაკვირველია, საქმით ვიცით, რომ დღევანდელი მზათ კვერცხი ურჩევნია პლატონს, ხვალინდელს დიდს და მომსუქნოს ქათამს.

რახან უკანასკნელის მეფის გიორგის ისტორიას სწერდა პლატონ, პირუელს საქართულოს მეფის ალექსანდრედგან მაინც უნდა მოჰყოლოდა, ვიდრე რუსეთისაგან საქართულოს მიღებამდინ, საქართულო რამაც დაანგრია ანუ რაის მიზეზითა, ეს უნდა გამოეკვლია და მასუკან პირუთნელად აღწერა. ეს იმისთვის ადვილიც იყო, ყუელას წვრილად შეიტყყობდა და ეს ამისი შესაბამიც იქნებოდა, რომ ჩუენი ვაივაების საქმეებსა მთელი ქუეყნის ხალხი დაინახავდნენ, სად ყოფილა სიმართლე ანუ სიცრუე და ორპირობა სიპლუტითა. აი ეს ასე უნდა ექნა პლატონს, ამითი მთელს ქუეყანასაც დაავალებდა, თუ არადა, ინტრიგებით კარგი არა იქნება რა პლატონისგან, სხუების სასიამოვნოდ.

არა ეხლა, დიდიხანია, რომ პლატონ თავის დასით მდევნიან მე და ღავლავი გააქვსთ ჩემზედა, ამიტომ, რომ პლატონის აღმატებული

აღნერილი ქება თავის გიორგი დავითის ძეს ერისთავზედ, კრიტიკი¹ გავარკვიე ის დიდი ქება: მითამ ის გიორგი იყოს ჩუენი არისტოფი და სხუა იქაური საპერძეოთის მწერლების მზგავსი. ეს თურმე ძალიან დასჩეოდათ ჩემგნით იმათ გულსა და ჩემს წინააღმდეგობას შესდგომოდნენ. ადრითაც ხომ ჩემი წინააღმდეგი დასი იყო რუსეთის მთავრობისა ჩემზედ, ჯერ ამაზედ, რომ დაღისტანში შამილთან მინერ-მონერა მქონოდეს და მასუკან ჩვენს უურნალს ცისკარს ისე ძალიან მცდელობით რომ ვენეოდი, რომლებსაცა არა ჰერონებოდათ, რომ ვარანცოვის და რედაკტორის გ. ერისთოვის შემდგომ, ცისკარი კიდევ თავს დაიჭერდა და მერეთ მეფის ირაკლის სახელგანთქმულობასაც რომ დავაძეჭდინებდი ხოლმე, ესენი სულ მჭრელი დანა ყოფილიყო იმათ ყელზედ. რა ვიცოდი მე ესენი. იმათ ბოლოს მითხრეს: დიდი ღავლავია შენზედაო. და ამასთან: რასაც სწერს, სულ სიცრუეს ტყუილს, ყარამანიანსავითაო. და სხუა კიდევ ბევრი.... ერთის სიტყვით, ბევრის მითქმა-მოთქმის სიცრუესა ლონისძებითა, ბევრი გამიყენეს, ისინიც მარტივის გულით იჯერებდნენ და ისინიც ღავლავებდნენ ჩემზედ, ზოგი ჩუმათ, ზოგი ცხადათ და ამასთან კიდეც მაბეზლებდნენ დუნჩჩონანები და კიდევაც კი არ მაკლებდნენ ამას.. ნუთუ შენც წილი გქონდეს რამე პლატონ, ამა ბინიერებაში შებლალული იყო ჩემზე? – ჰაი, ჰაი, პლატონ, ვიცით ყუელა... ბევრს ნაკლებობას ლაპარაკობენ, ტყუილს სიცრუებსა და მეც რაც შემიძლიან, მეც ხმა უნდა ამოვილო.

ამისთანა უსამართლო დევნა ყოფილიყო ჩემზე და დღესაც მდევნიან მე. მაგრამ რა ვქნა, ჩემი მამაპაპის სწავლულებაში გამოვსულვარ: პაპა ჩემის პაპა იყოვ ვახუშტი, ყანდაარში მოკვდა მეფეს გიორგისთან ჩუენის მამულისათვის, პაპაჩემის მამა ელიზბარ ნადირშამ თოკით დაახრჩობინა თავისი თვალის წინ ერევანში კიდევ მამულისათვის, პაპაჩემი დიმიტრი იყოვ და საგურამოს მოკლეს შემოსულთ მტრებმა ბატონიშვილს ლევანთან კიდევ მამულისათვის, მამაჩემი იყოვ და იმის ამბავს შემდგომებში სადმე წაიკითხავთ ჩემს აღნერილს, ან ჯერ მეფეს ირაკლიზედ როგორ აღალატებინეს აღამამადხან რომ მოდიოდა და ან ეს ლალატი თავის სისხლით როგორ გაიძანა.² ამაების შემდგომ, იმათი შვილი მეც გაუძლებ პლატონის არმიებსა და პლატონის ტაკტიკასტრალედიებს და ზოგიერთ სხუებსაც. რაც შეეძლოთ მდევნონ თავიანთის ჭორებით და სიცრუებით, ეგება პოპულიარნობა დამიკარგონ, ღმერთი ადლეგრძელებსთ

¹ ჩვენ უურნალს ცისკარში.

² ამ ჩემი მამაპაპების ფაკტებია ჩვენს სახლში, გარდა მამიჩემისა, რომელიც დე-დაჩემმა ცეცხლში დანვა, მამიჩემის მონერილი წიგნი კახეთიდგან.

ამაზედ თავი გამოიდონ.

პლატონ გვითხარ, ამ დღეებით რასა ქარიანობ, აგილია ფეხი და დადიხარ აქა იქა დიდ სახლებში? – თუ ბრძენი ხარ, დიდი მეცნიერი, შენთან უნდა იყოს ხოლმე კრება ანუ რომელთამე სახლში: შენ გუასწავლო, შენ დაგვმწყიდე, შენ გვირჩევდე ყოველს კარგსა, მაგრამ სად არის ეს შენში? – სწორეთ პირდაპირ გეტყვი, რომ შენის და ზოგიერთის შენისთანებისა ჩაგონებით იღუპება ზოგიერთი სახლები, არა ეხლა, ვარანცოვის აქეთ, ვარანცოვის ცუცუნავ და კუკუნაო.¹ იმ სახლებზედ დიდი გავლენა აქვს პლატონს, ამიტომ რომ რაღაც საკვირველად მიაჩნიათ ისა, რაღაც დიდ მსწავლულად და დიდ ირატორად. რა ქნან იმ საწყალთა უსწავლელებმა, საქმის გაუჩხრეკელთ, შორს დაუნახველთ იმათ. აი იმისი სწავლა იმათზე.

– „დიდი კაცები ხართ. დიდი გუარის შვილები. მთავრობისა ვეჩერებში და ბალებში უნდა დახვდიოდეთ, მთავრობასთან ახლოს იყვნეთ, რომ მთავრობა თქუენზედ კარგის თვალით იყოს, აი ბედნიერი საქმე ჩუენთვის, ამასთანავე დიდი გახსნილი სახლები უნდა გქონდესთ საუცხოვოთ გაწყობილი ძვირფასისა მებილებით, პარადინის კიბეზედ კამერდინერი უნდა იდგეს, კარგი ღირებული ეკიპაჟები გქონდესთ, ას თრმოცის თუმნის წყვილი ცხენებიცა გყვანდესთ ეკიპაჟებისთვის, თქუენს ლამაზსა მორთულს სახლში შედიოდნენ გადიოდნენ: ღენერლები, პოლკოვნიკი და ყოველი ღირსეული კაცნი თქუენს პატივის საცემლათა, თქუენც რასაკვირველია ხომ მორთულები დაუხვდებით ღირებული ტანისამოსებით, ჩინებულის სერვისთა გემრიელსა ყავას მიართმევდეთ მოტკბოს

¹ ვარანცოვსა ერთი საძაგელი სწეულობა სჭირებია და სხუებთა შორის პლატონიც თურმე აკრილებდა მარაოთი იმას. რა არის? - თუალსაჩენს ადგილებში, პლატონც პატივცემული ყოფილიყო და იყო კიდევ. ეს ამბავი უთქუამს თვით ვარანცოვის შინაურს ქართულელს გ... მიკვირს, პლატონი როგორი თავის მამის შვილი არის, იმ წმინდა ცოლექტრისა? - იმ წმინდა პატივისანს მოხუცებულებსა სიღარიბეში სული ამოუკიდათ, მოკვდნენ და იმათი შვილი პლატონ სრულიად სხუა არის. ეს სულ დრომ იცის: როგორიც ბერიო, იმისთანაც ერიო... აქედგან ვარნცოვი რომ ხავიდა და იმს მთადგილეთ დროებთად ღენერალი რიადი დააგდეს აქ, მაშინ იმის მასლობელი სხუა არავინ იყო პლატონ იოსელიანის მეტი, რომლებიცა ორივ ერთად დროებს ატარებდნენ უბრალო დედაკაცებთან და ამით შეექცეოდნენ. ამასთან კარგსა სუამდნენ და კარგსა სჭამდნენ, რაც ორთავ იამებოდათ, ისეც სიამოვნებდნენ. პლატონ იოსელიანი ვარანცოვის და რიადის დროებში, თავის სრულს სფერაში იყო. მაგრამ ღენერალის ნიკალია ნიკალაჩის მურავიოვის მოსვლით პლატონს ფორსი წაუხდა. მურავიოვი სწორე მართალი კაცი იყო და პლატონს ეს არ იამებოდა იმისი პატიოსნებითი ქცევა, რატომ ვარანცოვსავთ ისიც ისე არ იქცეოდა. მურავიოვი ისე პირდაპირ იქცეოდა ჩუენზედ, რაც რუსეთს განძრახუა აქუს ჩუენთვის და ვარანცოვი კი სუბუქვიანს ქართულებსა მოტყუებით რუსებათ გადაგვცვლიდა.

კამბეჩისა ნალბით, თქვენც ხომ რასაკვირველია იგემებდით კარგის კრენდილებით, თქვენ ეტყოდეთ ორიოდეს სიტყუას იმათ, იმ დღის მეც ხომ იქ ვიქნები, კმარა თქუენ თრი სიტყვა, რადგან აგრერიგად ლაპარაკი თქუენ არ იცით, მაშინათვე ჩამოგართმევთ იმ სიტყუებსა და მასუკან თქუენ მიყურეთ, როგორ გავიერთო მე ისინი ჩემსა ლაპარაკში. ეს ცოტაა კიდევ ბრძენნო ქალწო(!) თქუენი ქმრები არ ვარგანან, თქვენ მაინც წინ იყავით, სადილები გააკეთეთ პარიული, ლონდონური, ასეთი, რომ ხელმწიფებს ეკადროდეს და სხუანი...“

ესენი და სხუებიც ბევრი, ჩემის ყურით გამიგონია პლატონისა-გან, არა ერთხელ – რამდენჯერმე.

ასე იყო პლატონ და დღესაც ასე არის. როცა შინ დარჩება ხოლმე, მაგრამ იშვიათად, შინ მცირედით მიდის იოლად, გარეთ იმ სახლებში დიდი გასტრონომი არის. სხვებს რას დასდევს იმათ დალუპასა, ოლონდ თვითონ განცხრებოდეს იმათ კარგსა სადილებზე, შემდგომად კი მეფეს ერეკლეს და დედოფალს დარეჯანსა სთხოდეს უშვერისა სიტყუებითა უსამართლო პლატონ. თან ისინიც იციოდნენ მასპინძლები პლატონისა დასნი, განგებ განძლიერებული მეფე ერეკლეზედ ეშმაკებისაგან.

ვაი ჩუენი ბრალი, ვარანცოვის დროს და იმას აქეთ აქამდისინ, პლატონისა და კიდევ იმისთანებისა რჩებას მიჟყუეს ხელი იმ სახლებმა, იღეს ვალი და ის ვალი მძიმე ტვირთად ანევთ იმ სახლებსა. ეს ცოტაა კიდევ, იმათ ცხოვრებასა ჩუენც მივბაძეთ ჩუენისთანა მოშორებულ კლასებმაცა, მახლობლები გუაყვედრიდნენ: ვინც თქუენთან მოდის და თქუენს სახლებს შეხედვებ, ცხვირს იღებენ მაღლა საზიზღარის სახით და როდესაც კარზედ გავლენ, იძახიან: ფუი, ჩირქიანი, საზიზღრები, ვიღა მოვა ამათთანა.¹ დავიღუპეთ თავი ბატონებო, ჩუენც მოგვატყუეს და ჩუენც ავიღევით ვალები, შეუდეექით ამერიკანელის მონრეოს სწავლასა, უკაცრავად, დამავიწყდა, არა პლატონ იოსელიანის სწავლას და სხუანი...

რა კარგი რამ იქნებოდა, პლატონ თუ სიმართლის გზაზედ მიმავალი ყოფილიყო, ანუ დალაგებულად მქცევი თავის დასაჯერებელის ენითა, რომელსაც ბევრზედ დიდი გავლენა ჰქონდა და დღესაც ეგრევე აქუს, რამთენს კარგსა და კეთილსა, ანუ წმინდას ზნეობასა და ანუ საქუეყნოს სარგებლობას შეგვძინებდა, იცით რამთენს? –

¹ ამისთანა კლასებს ზომიერი წმინდა რიგიანი ცხოვრება ჰქონდათ, მაგრამ მაინც გადამატებული უნდა ყოფილიყო, რითაც ვალებში ჩაფლულიყონენ. ვინც თავი დაიჭირა, ის გადურჩა იმ ვალებს, მაგრამ ცოტაზი და ვინც ვერა, ისინი კი ჩაფლულები არიან. ეს უფრო ჩუენს არისტოკრატიაზედ იყო მიმართული და დღესაც ასეა.

აი ამთენს... მაგრამ რა უყოთ იმის სისუსტეებს, რომელსაცა მიჰყოლია, ვეღარ დაუყენებია ის თავის აგებულება სისუსტეებით სავსე, უნდა, რომ დიდი კაცების სახლებში ფარფარებდეს ყოველთვისა და ყუელანი იმისგნით გართულები იყუნენ. იმათშივე უნდა, რომ სულ კარგი სოს და სულ საუცხოვოს სანოვაგეს იგემდეს, პირი გემრიელად ჰქონდეს მარადის, უნდა სულ საამოს შექცევაში იყოს ხოლმე... უცხო არის პლატონ: მწერლობს კიდეც ისტორიებს, სვამს სჭამს კიდეც გასტრონომიულს სადილებსა, შეექცევა კიდეც მეტათ საამოთა და სხუა რაღა ჩუენთვის, საცოდავის ქართულებისთვისა, რომლებისაც გადაქცევა უნდა სხუა თესლათა, აი იმისი სიტყვა: ქართული ენა დიღმიდგან ქ-ტფლისამდისინ და ტფლისიდგან სოლალუხამდისინ.¹ ერთხელ არა, ბევრჯერ უთქვამს ესა. მაშა-სადამე, რასაცა სწერს პლატონ, მხოლოდ ისტორიისათვის, ჩუენ რომ გავიგლისნეთ, იმის თხზულებანი დარჩეს ჩუენს მოსახსენად: იყავ საუკუნო სახსენებელიო. ამას შესდგომია პლატონ. ჩუენთვის უნდა ესა? – ბარაქალა ბრძენო ისტორიკო (!) სხვის უბედურებას რას დასდევ შენ პლატონ, აგრე იყავ, აქ აგრე ჰქენი: მოჰყევ პლატონ სოფელსაო, გაფუჭებულს გარყვნილსაო – ეს ჩუენი ქვეყანა ეხლა ასე არის და ამ სოდომში, ისიც ისე შეექცევა, როგორიც იმისი თვისებაა, პლატონ ამ ნათქუამსა მისდევს: სადაც მიხვიდეო, ქუდიც იქაური დაიხურეო. ამ სიტყუაზედ, პლატონ, ზედ გამოჭრილია, სწორეთ ის ქუდი ხურამს ეხლა იმას.

მაშ ის რა იყო, ვარანცოვის დროსა პლატონ, ისე გულმოდგინედ ქართულს ენაში რომ ეწეოდა თა გიორგი დავითის ძეს ერისთოვსა, შემდეგ ის რაღა იყო, რომ გაუდგა ქართულებს და ქართულს ენასა? – განა მაშინდელი ვარანცოვის პოლეტიკის გამო, მაშინდელი გარემოებისა მიხედვითა, ისიც იმას მიჰყოლოდა, ისიც სხუებსავითა იმის შინაური კაცი შეიქნა, შემდგომ რადგან სხუა პოლეტიკა დაიწყო, ისიც უბედურს ქართულებს გაუდგა: მიჰყევ პლატონ სოფელსაო, იქ სვი სჭამე გასტრონომო, სადაც მეფეს ერეკლეს და დედოფალს დარეჯანსა ტყუილებით მორყვნი შენის დასებისა საამოთა: იხარხარეთ პლატონისა დასნო, პლატონის ხმაურებაზე და იმის დაუანგებულს სიტყუაზედ.

ერთსა ვისმე შეხვდა გზაში პლატონ ყმანვილკაცსა, რომლისაცა იმის მეუღლე პლატონისა მცნობების მახლობელი არის. ხელის მიცემისა შემდგომ უთხრა პლატონმა.

– „ერთხელ შენთანაც მოვალ გნახამ“.

¹ ეს სოფლები ქ. ტფლისიდგან ცხრა-ცხრა ვერსტია: დიღომი ჩრდილოეთის მხარეს და სოლალუხი აღმოსავლეთ სამხრეთის მხარეს.

იმ ყმაწვილმა კაცმაც მოკლეთ მოჭრით.

— „კარგი სადილები რომ არა მაქვს, რისთვის მოხუალ, არა პლატონ ნუ გაივლი ჩემთან“. თვითონ იმ ყმაწვილი კაცის სიტყუა არის ესა, ჩემთანა თქუა.¹

ბოლო დროს შევიტყე, რისთვის მოენდომებინა იმასთან მისვლა? — ჯერ იმისთვის, რომ კარგის სადილისთვის, მასუკან მეფე ირაკლისა და დედოფლის დარეჯანის მოსარყუნელად, ამიტომ, რომ ის ყმაწვილი კაციც მომრყვნელია იმ მეფისა და დედოფლისა, იმის მეუღლისა მახლობლების ჩაგონებით. ეს პლატონმა სულ იცოდა.

იმას რადგან პლატონის მცნობებისა, იმის მეუღლის მახლობლებისაგან, ის ყმაწვილიკაციც ჩაგონებულია, როგორც ეხლა აქვე ზევით ითქუა, და როგორც ათასობით კიდევ სხუებიც მეფის ირაკლისა და დედოფლის დარეჯანის მოსაყივნად. იმან პლატონის აზრი ვერ გაიგო, ეგონა, რომ: სადილისთვის ჩემთან უნდა მოვიდესო, შემჭამს ლვთის მტერიო ესა. თორემ იქნება იმასაც მიეწვია.

ეხლა შემთხუევა მაქუს, უნდა ითქუას, რაც სიმართლის რიგი არის, მაგრამ უფრო მოკლეთ და წვრილათ კი შემდგომ ოდესმე იქნება. აქ ისე, დასანახავათ გვითქვამს.

თუ ნამდვილად მეფე ირაკლი და დედოფალი დარეჯანი კარგნი არ იყვნენ, ხმას ჩავიკენდდი, მაგრამ არა, სწორედ ვიცი მე იმათი სიწმინდე და პატიოსნების ქცევა, რომლებისაც მეფის ირაკლისა და დედოფლის დარეჯანის ქუეშაგები არ გაყრილა სიკვდილამდინ, ხანძიაც დიდათ ჰყუარებიათ ერთმანეთი, როგორც ყმაწვილ ადამიანებს. მე ეს ადრეც მითქაუამს სხუა წერილში, უფრო გარკვევითა ამ თხუთმეტის წლის წინათ.

ვინც რომ ამას წაიკითხამს, იქნება ზოგიერთმა თქუას: რისთვის რყვნიან მეფეს ერკელესა და დედოფალსა დარეჯანსა, ანუ რისთვის ჩაგონებენო სხუებსა, იმთენს ტყუილს იმათზეო? — მაცთურობით, ეშმაკობით, ამისთვის, რომ ვინც რა უყო საქართველოს დასაღუპი, ეგება იმათ ის თავიანთი ბოროტება როგორმე დაპირარონ და ეჭვი იმათზე ვერა მიიტანონრა. აი ეს არის იმათი ეშმაკური ოსტატობა. ესენი სულ კარგის გამოკვლევით ვიცით ყუელა, თუ ოდესმე შემთხვევა მექნება, კიდეც ავწერ იმ ამბებსა.

¹ იმ ყმაწვილმა კაცმა იქნება ოდესმე წაიკითხოს ესა, ვიცი მაშინვე მოაგონდება და იმედი მაქუს, რომ ეს სიმართლე იმას არ ეწყინება. არამც ეწყინება — იქანდისინ იმის იმედიცა მაქუს, რომ ისიც ასე დამტკიცებს მხოლოდ თავის მეგობრებში და არა საზოგადოთ. მე იმის სახელს იმიტომ არ ვანპობ, იმის მეუღლები მახლობლები პლატონმა ის თავის მცნობები არ გადუყენოს იმას და არა ამზრიონ რა, ესე იგი ს... არ გ... თორემ მე კი იმათი არ მეშინან.

თუ რომ სიმართლესა მისდევს პლატონ, რატომ ამას არ მოსძებნის, მეფის ირაკლის ერთიანს იმ ოჯახობაში, იმთენი იმისთანა იმათი სავნებელი ამბები რომ ყოფილა, რა მიზეზი იქნებოდა? – ანუ კიდევ ესა? – რუსები რომ საქართულოში გადმოვიდნენ და თავისი მართებლობა გახსნეს, მაშინ ის რა იყო, ჩუმი შეთქმულობა: მეფე ირაკლი და დედოფალი მივრყვნათ ყოვლისფრითა და ამის გარდა, საქართულოს რაც რომ ვწება მოუვიდა, სულ იმათ დავაბრალოთ, ეჭვი ვედარა მოიტანონ ჩუენზედ? – სადაც ეხლაც კიდევ, ისეთივე ამბავია მეფეს ერეკლეზედ და დედოფალს დარეჯანზედ, თავიანთის უეჭველობისთვის.

არამც ეხლა, ყმაწვილკაცობისვე დროსა, ამას უნდა შესდგომოდა პლატონ პეტერბურლში, მაშინ ადვილიც იყო, ყველას წვრილად შეიტყობდა. აი კითხუა პლატონისთვის? – მაგრამ არა, მე მგონია ისიც იმათში ურევია, რალა მგონია, სწორეთ ისიც იმათში ურევია, მითამ ეჭვი იმათზე ვერა მიიტანონ რა, ვინც დაღუპა საქართულო და ამისთვის ჭორსა ატყაჭუნებენ, საზოგადო გაიერთონ თავიანთ სიცრუის ჭორებში.

თუ მართალი კაცი არის პლატონ, იმათ რატომ არ ურჩევდა, გონება ხომ არ აკლია, ორათ რომ გაიყვნენ მოსკოვ პეტერბურლში, მეფის ირაკლისა და მეფის გიორგისა შვილი უბედურობაში, სადაც ერთმანეთი უნდა ენუგეშათ, სიყვარულით ტებილად ყოფილიყვნენ, რას ჩხუბობდნენ, რისთვის ემდუროდნენ ერთმანეთსა და ერთმანეთს საქართულოს დაღუპასა რისთვის და რათ აბრალებდნენ, გაუგები მიუხვედრნი საქმისანი ორივ მხარე ისინი, გაუნათლებლები და გახათლებულებიც? – კარგი შემყრელი მართებული დარბასისლები კი იყვნენ ისინი, მაგრამ სწორეს მართალს გონებასთან ესენი ცოტა არის. იმათ ეს რომ არ ესმოდათ, პლატონ იმათ მაინც ჩაგონებდა, რომ საფუძველი მოექცნათ, ან იმათი ოჯახი ვინ დაღუპა და ან იმათი იმთენის სამდურავის მიზეზი ვინ იყო? – ჰე, ჰე, პლატონ განა არ ვიცით, პეტერბურლში რომ იყავ, სხვებთა შორის, შენც ნილი გედო, შენც იმათ ძალიან ხელს უმართავდი ერთმანეთის სამდურავებზედ. ეს სულ კარგად ვიცით პლატონ.

ბოლოდროს, როდისაც აქა იქა კითხუა გაათავა თავის თხზულებაში პლატონმა, მე უთხარ.

– „მეფეს ერეკლეზედ და დედოფალს დარეჯანზედ რასაც სწერ მაგ ურიგოებს, ნებინდა ტყუილია“.

იმან ამ სიტყუაზედ, უნებურად წამოროშა როხროხისა ხმითა, მაგრამ შეკდიმებით.

– „მაშ როგორ იქნება, ყოველი ისტორია ტყუილია“. ამასთანვე ჩაითუთქა და გაჩუმდა.

ამ სიტყვისა შემდგომ, მოდი დაუჯერეთ პლატონს იოსელიანსა მეფე ერეკლეზედ და დედოფალს დარეჯანზედ? –

ეს ხომ ასე გავათავე, ეხლა ამის შემდგომ ესეცა ვთქვათ, ზოგი-ერთი იმის ისტორიის პასუხები.

პალტონ ამბობს თავის მეფის გიორგის ისტორიაში: ავანტყოფ მამაჩემთან მოვიდა სანახავათ ბატონიშვილი თეკლა (დედაჩემი) და იქ ლაპარაკში თქუა, რომ ჩემს ძმას მეფე გიორგის დიდათ უყვარ-დიო, მაგრამ ნებას არ მაძლევდენ იმასთან დაახლოებისაო, ესე იგი პირდაპირ ვთქუათ, მითამ დედოფალი დარეჯანი არ აძლევდა ნე-ბას, ამასთან რაღაებიც არის წარწერილი იქა სამღლო წერილისა.

არა, პლატონისგან მართალი არ არის ეს ლაპარაკი ანუ ისტო-რიაში აღწერილობა ის. ბატონიშვილი დედაჩემი, მხოლოდ ერთხელ იყო თავის მოძღვრის ავანტყოფის სანახავად პლატონის მამასთან, რომელმაცა მეც იქ წამიყუანა დედამ, სადაც პლატონ იმ დროებ-ში პეტერბურლში იყო 1843-ს წელში და ველარც ცოცხალს მოუს-წრა მამას პლატონმა და ის იმათი რაღაც ლაპარაკი საიდგან რა გაუკეთებია? –

6-ს მარტს 1840-ს წელსა, მერომ რუსეთიდგან მოვედი, დედაჩემს ახლათ მოძღვარი მოჰკვდომოდა და სწუხდა: ვინ დავიჭიროვო? – მე როგორც ჩემი მეგობარი, მოხუცი ეგნატე (მამა პლატონისა) და ლირსი მამა ურჩივე; მოინონა და ჩემის თხოვნით მოვიყუანე. თუმცა ჯერ უარი მითხრა: მოვხუცდი, ახლა აღარ შემიძლიან და ან ბატონიშვილს დედათქვენს რათ უნდა მოძღვარი, პირდაპირ წარდგ-ეს, უახსარებოთ მიიღოს წმინდა საიდუმლო უფალი იესო ქრისტეს სისხლხორციო. მაგრამ მე არ მოვეშვი: ხომ კარგათ იცით, როგორი სანდო მეგობრები ვართ მე და თქვენ... იმას პატივი უნდა სცეთ და წამობდანდეთ მეთქი. ამაზე მძიმეთ ამოიხმარა და მასუკან მითხრა: რახან აგრე, – აგრე იყოს, მაგრამ ბატონიშვილის დედითქუენის პა-ტივისცემისათვისაც წამოვალო. ასე მენდობოდა პლატონის მამა მე და რათაც მენდობოდა, ოდესმე წაიკითხამთ, რომელიცა ამის მეტათ დედაჩემთან თავის დღეში არ ყოფილა მამა ეგნატი, ეხლაც მიზეზი მე ვიყყავო.

ამის შემდგომ ჯერ ეს უნდა ვთქუა, რომ ჩემზედ ამბობენ, მე მეფის გიორგის წინააღმდეგი ვიყო მეფე ირაკლის მიმხრობისა გამო. განა მეფე ირაკლი თავის შვილის გიორგის წინააღმდეგი იყო, ანუ გიორგი თავის მამისა? – ტყუილი სიცრუუეა. იმათმა ოჯახის მტრებმა მოუგონეს ესა, ამას ისინი კიდეც ამტკიცებდენ რაღაც გა-კეთებულის სიცრუუებით, თორემ იმათი წინააღმდეგობა რაო რათა, მაშინ როდესაც რომ თითქმის მესამედ საქართულოს ის ბძანე-ბლობდა? (ქიზიყს) ანუ თვით მე საიდგან რათ უნდა ვიყო მეფის

გიორგის წინააღმდეგი, ჩემის ოჯახის დამადგენელისა, მეფის გიორგისაგან გამოზღვილი მამაჩემი, ობოლი დარჩენილი თავის ორი უმცროსის ძმითა და უნცროსის ორის დეპიტ, რომელმაცა თვითონ მეფე გიორგიმ დაათხოვა ისინი და რომელიცა ამათ დედას თამარს, რძლობის გარდა, დას უძახდა შორს ნათესაობის გამო.¹

როდესაც მამაჩემი კარგათ თავს მოესწრა (ამ დროს მამაჩემს ძმები აღარ ჰყუანდა), მეფე გიორგიმ არქიმანდრიტი ეფთიმე მოციქულად გაგზავნა თავის მამას მეფეს ირაკლისთან: რადგან დემეტრე ყაფლანაშვილი (მამაჩემის მამა) თქვენ შვილს, ჩემს ძმას ლევანს ახლდა და თავისი სიცოცხლე იმასთან მამულს შესწირა, ამისთვის გთხოვთ, რომ ჩემი და, თეკლა ვახტანგზე დავნიშნოთო. მეფე ირაკლიც დიდის სიამოვნით დაჰყუა და დანიშნეს მამაჩემზედ. აი ასე კეთილად იყო შეწყნარებული მამაჩემი მეფის გიორგისაგან და დავალებული. გარდა ამთენი დავალებისა, თავის მეფობის დროს, მეფე გიორგის სნეულობა რომ მოემატა, დედოფალი დარეჯანი სანახავათ მივიღოდა ხოლმე, ერთს დღეს დედოფალი დარეჯან იქ არის და ამ დროს მამაჩემი მეფეს თავზედ ადგა, რომელსაც მეფეს მოაგონდა და დედოფალს დარეჯანს უთხრა

– „დედოფალო ჩემო დედავ, ჩემი დის თეკლას ვალი მაწევს, მე მიბოძეთ, მე წამოვიყვან ჩემს სახლში, მე გავათხოვებ და როგორც მე გავისტუმრებ მზითვით, ის ჩემმა მოვალეობამ იცის.“

დედოფლის პასუხი.

– „შვილო! კარგათ იცი, აღარავინ აღარ არის ჩემთან ჩემი მახლობლები, ერთი ნუგეშილა დამრჩომია ის შენი და თეკლა, ახლა ისიც რომ მამაშორონ, როგორდა ვიცოცხლო მამითქვენის მეფის ირაკლისა შემდგომ?² – ის ჩემი ჭირნახული, ოთხი წლიდგან რომ გამიზდიხარ, რომელსაცა არც ერთს ჩემს შვილზედ ის ლვანლი არა მაქუს, რაც შენზედ, იმ ჩემს ჭირნახულს გაფიცებ, შენს დას თეკლას მე ნუ მამაშორებ. უბოძეთ რაც გნებავდეთ, ჯუარი დავწეროთ, შენი და თეკლა და იმის ქმარი ჩემთან გახლდნენ, ჩემს სანუგეშოდ ღმერთი გადლეგძელებს“.

ესენი სულ გულმტკივნეულად ცრემლით სთხოვა, ეშინოდა: არ წაიყუანონ. მეფე გიორგიზედ კი ეჭვი არ იყო, ზოგიერთს ეშმაკებზედ, ოჯახობის ერთმანეთში მტრობისთვისა. ამაზედ გიორგიმაც მწუხარებით ცრემლები გადმოყარა და მასუკან მოახსენა.

¹ მამიჩემის მამა, თამარის ქმარი, მესამე ნათესავი იყო მეფის გიორგისა და მეფე გიორგი მეოთხე. უწინ ხომ ისე იყო, რომ შორს ნათესავიც დიდათ უყვარდათ.

² ბორიტგამძრახულებმა, მეფის ირაკლის ოჯახობის მტრებმა თავიანთის ცბიერობით სუბულანი მოაშორეს დედოფალს დარეჯანსა, ბოლოს ამ გარემზომლობით მეფე გიორგი ხელში ჩაიგდეს და შემდგომ კიდეც მოკლეს.

– „რასაც ბძანებთ დედოფალო, მართალია. აღარ მოგაშორებთ ჩემს დას თეკლას, მაშ ეს მაინც იჩებეთ, თქვენის მხრითა, რაც გებეტებოდესთ, დაუნიშნეთ თქუენის სადედოფლოდგან და მეც ჩემის მხრითა რაც რიგია, დაუნიშნავ“.

ამ სიტყვისა შემდგომ, ეშმაკებიც მოეცალნენ, მაგრამ როგორც დაუდევნელი ქართულები, დღეს ხვალობით ფიქრობდნენ, სად რომელი სოფელი დაენიშნათ, ბოლოს ძლივს მოიგონეს და კახეთში დიდი სოფელი ველისციხე დანიშნეს, მაგრამ ამაობაში მეფეს გიორგის სნეულობა ძალზედ მოერია, ლონემიხდილს დედოფალმა დარეჯანმა ველარ გაუბედა დედაჩემზედ კიდევ მოეგონებინა და ამაში კიდეც გარდაიცვალა.

ბოლო დროს, როდესაც მთავარმართებლად კნიაზ ციციანოვი მოვიდა რუსეთიდგან საქართულოში, მაშინ დედოფალმა დარეჯანმა მოიგონა მეფეს გიორგისთან ლაპარაკი დედაჩემზე და ყოველი კნიაზ ციციანოვს შეუთუალა და სთხოვა, რომ ს. ველისციხე მისცენ დედაჩემს მზითუად, რადგან გარემოებისა გამო ადრიდგან უმზითოდ დარჩა, მაგრამ იმტოლა დიდს სოფელზე თანახმა არ შეიქნა და მასუკან მდინარის მაშავრის პირზე სადედოფლო თათრის სოფელი ასანხოჯალო ორმოცი თუ მეტნაკლები კომლეული; ქ.ტფილისში ერთი პატარა სახლის ადგილი და გარეთუბანს სოლოლაკის მთის ძირში თავისი ოცი დღიური ბალიც დაუნიშნა დედოფალმა დედაჩემსა. კნიაზ ციციანოვმაც ხელმწიფესთან წარადგინა და იქიდან დაუმტკიცეს, მაგრამ ისიც ძლივს. აი ასე იყო და არა ისე, როგორც პლატონ ამბობს.

აბა ამის შემდგომ, მე რა წინააღმდეგობა უნდა მქონდეს ბიძაჩემს მეფეს გიორგიზედ, რომელმაცა ჩემი დაცემული სახლი, იმისაგან ხელმეორეთ დადგენილი არის დედიჩემის გამო და არსებობაში მოყვანილი.

კიდევ პლატონ ამბობს თავის ისტორიაში: მითამ მეფე ირაკლი ცუდი საქციელისა ყოფილიყოს, რომელიცა ესეც მართალი არ არის. მეფე ირაკლი ასეთი წმინდა ზნეობისა და ქცევისა იყო, რომ იშვიათად იქნება; პირველს თავის სიქვრიები ქალაქ გორში იყო და ერთ სალამო ჟამს სახლის ბანზე ავიდა სასეინოდ, იმ დროს პირდაპირ სახლის ბანზედვე ერთი მშვენიერი ქვრივი ჭოჭ... ქალი დაინახა. რაღა გავაგძელო, იმათ ერთმანეთს არშიყობა დაუწყეს ყოველს საღამო ჟამს, ბოლოს ცოდვა მოერიათ, ერთს ღამეს იახლა ის ქალი ირაკლისა, ცოდვის უმაღ ის ქალი დაითხოვა და თავის მახლობელს მოსამსახურეს უბძანა: არ ვიცოდი, თუ ბ... ამისთანა საზიზლარი იქნებოდა, ეხლავ უთხარ, ხვალ ადრიან ცხენები მზათ იყოს, მე აქ ზიზლით ველარ დავდგები, რომელიცა მეორე დღეს ადრიანათ

წამოვიდა და იმის შემდეგ ის თავის დღეში უცხო ქალს ალარ მიჰკარებია. მეფე ირაკლისა ცუდი საქციელი არაოდეს არ გაგონილა, თორემ მე არ გამამებარებოდა, უთუთ შევიტყობდი და არც დავმალამდი, დაიჯერეთ. პლატონს საიდგან რა ჭორი გაუკეთებია ისა: სიცრუე და ორპირობა ავნებს სულსა მერე ხორცსა. პლატონ გაიგონე.

მეფის ირაკლის ბევრი კარგი მაგალითი არის წმინდა ზნეობისა; იმათგანსა ერთსა კიდევ აღვწერ ამასთან და ამის შემდგომ დაინახეთ, იმაში ცუდი საქციელი რაღა უნდა ყოფილიყო? –

როდისაც მეფე ირაკლი შემძიმდა და უკანასკნელს დროებს მიეხნია, ხუთს იანვარს ე.ი. ნათლილების წინა დღესა დიდი მარხუა არის ჩვენი, რომელთაცა მაშინდელმა აქიმებმა არჩიეს, რომ ვარის შორვა გაუკეთონ და მხოლოდ ის შორვა უვარიოთ მიართონ და რადგან ისე გაკეთებული, მხოლოდ ბრინჯის შორვა ეგონება, უთუოთ მიირთმევს და იმის აგებულობისთვის კარგიაო (გულის წყალმანე სჭირდა). სწორედ ასე გაკეთებული მიართვეს, რომელსაცა იმ ვარის შორვის სუნი ეცა და მაშინვე მინოლილი, ქვემაგებში წამოჯდა და დედოფუალს დარეჯანსა მრისხანეთ გადმოხედა ამ სიტყვითა.

– „დედოფალო, დღეს რა გაუკეთებიათ ჩემთვის საჭმელიო?“

დედოფალსა შიშით გული აუთრთოლდა და აკანკალებულის სიტყვით მოახსენა, გულის სინრთფელითა.

– „შენი ჭირიმე ჩემო ხელმწიფევ! აქიმებმა არჩიეს, ვარის შორვა გააკეთებინეს თქუენის ყუათისთვის და თქვენის სიმრთელისთვის“.

– „ვაი ვაი ერეკლეს, რომ იქამდისინ ჩავარდი, დედოფალი დარეჯან მასწავლის და რჩევას მაძლევს“.¹ ეს სიტყვა მწუხარედ თქვა. მერე დედოფლისკენ.

– „აქიმების რჩევა შენ რათ დაიჯერე, არ იცი მანდედგან რა წარმოდგება? – მე რომ ეხლა, ამისთანა დღესა ამ მარხუაში სახსნილო ვჭამო, აქ თავზედ კერძობანი რომ გუადგანან, ეგენი გავლენ, სხუებს ეტყვიან: მეფე ირაკლი მარხვის დღესა სახსნილოს საქმელს სჭამსო. ისინი კიდევ სხუებსა ეტყვიან ამათ სიტყუას, ისინი კიდევ სხვებსა, იქამდისინ, რომ მთელს ქვეყანას მოედება და ის მცირედი ლაპარაკი თავიანთის დამატებით ბევრათ გავა და ბოლო დროს ხალხი ამას იტყვის: თუ მეფე ირაკლი ცუდ საქმეებს არ ერიდება, ჩუენ რაღა ვართ, ჩუენც შეუდგეთ ისე, საიდგანაც მცირედის მიზეზითა ხალხი გაირყვნება, მასუკან ბევრი ავი შემოვა ჩვენში და

¹ ძველი კაცები ბევრჯელ მოიგონებდნენ ამ მეფე ირაკლის სიტყუას.

მერეთ ხალხსა თავს ვეღარაფრით ვეღარ დაუჭერენ. ამიტომ ეგ სახსნილო ეხლავე გაიტანეთ; სიკედილს ვირჩევ და მე მაგას კი არა ვჭიმ“. საჩქაროთ გაიტანეს და დედოფალი დარეჯანი ისე განურვილი დარჩა სიტყვა გაკმენდილი.

5-ს იანვარს ეს იყო 1798-ს წელსა და 11-ს იანვარს კი მეფე ირაკლი გარდაიცუალა.

პა, პლატონ, ამის შემდგომ რაღას იტყვი? –

პლატონმა ესეც ნამიკითხა თავის ისტორიაში, რომ როდესაც იმერეთიდგან პირველი კაცები მისვლია მეფე ირაკლის: იმერეთი მიიღეთ და შეაერთეთ ქართლკახეთსაო. ამაზედ მეფეს ირაკლისთან კრება იყო და განსჯა: როგორ მივიღოთ? მითამ იმ კრებაში სარდალს თა დავით ირბელიანს ელაპარაკოს: მივიღოთ. მასუკან დივანბეგს თა ჭაბუა ორბელიანს ქუხილით ელაპარაკოს, კიდევ მიღებაზედ. მაგრამ ბოლოს დედოფალს დარეჯანს და ივანე მუხრანის ბატონს დაეძალოსთ: პატარა სოლომან გავამეფოთო (მეფის ირაკლის და დედოფლის დარეჯანის ქალის ელენეს შვილი სოლომან). სადაც კიდეც გაამეფეს მეფის ირაკლის ოთხი ათასის ჯარის შემწეობითაო. ამას პლატონ ასე ამბობს, აბა ახლა ჩემი გაიგონეთ? –

მეფე ირაკლი და დედოფალი დარეჯან, მდინარე ივრის პირზედ სოფელს ხაშმი მოვიდნენ კახეთიდგან, სადაც დედაჩემიც იქ იმათ-თან იყო და იმ სოფელში დარჩა რამდენსამე დღესა საქმისთვისა. აქ უეცრეთ დედაჩემი ავათ გახდა და ყვავილი სენი გამოაჩნდა, რომელმაცა დაუყოვნად დედოფალი დარეჯან კახეთშივე გაისტუმრა მეფემ თელავში რადგან ყუავილი არ ეხადა იმას, სადაც იმ დროს ქ.ტფილისშიაც ის სენი გაჩენილიყო და მეფე თავის ქალს დედაჩემთან დარჩა, არ მოშორდა (მეფე ირაკლისა მშობლიური დიდი სიყვარული ცხადია დედაჩემზედ).

იმ დროებში, როდესაც დედაჩემი ცოტა უკეთ იყო, მეფეს ირაკლისა მსაჯულის სოლომონისაგან წიგნი მოუვიდა ხაშმზე: იმერეთიდგან პირუელი კაცები გიახლებიან თქუენთან, იმერეთის მოსაცემათაო. მეფე ირაკლიმ უეცრათ ნამოიძახა

– „ჩემი დიდი ხნის განძრახუა ახლა სრულდებაო“.¹ ამასთანავე გამოსწია და ტფილისში ჩამოვიდა (ის სოლომან მსაჯულის წიგნი სალაროში ყოფილა, ისე როგორც სხუებსა ინახავდნენ ხოლმე. გარდა დედაჩემისა, ის წიგნი ბევრს ნაუკითხამსთ ჩემს მცნობთ

¹ ეს ადრეც ცხადი იყო, რომ მეფეს ირაკლის იმერეთის დიდი მეფის სოლომანის გადაგდება განეძრახა იმერეთის და ქართლკახეთის შესაერთებლად. მეფე სოლომანს ეს ანბავი შეეტყოდა შემოუთვლია: მეფე ირაკლიო, შენ გინდა ხლინეთ გამიკეთ და მე უფრო ადრე მოგვერდზე ნამოგიყუანო. ისიც დიას კარგი მეფე იყო!

ძველებსა და პლატონის მამას ეგნატესაც წაუკითხამს, იქვე ბევრი სხუებიც).

აი პლატონის უსამართლო ნინააღმდეგობა, რომ ყოველისფერ-ში მეფე ირაკლი და დედოფალი დარეჯან დამდაბლებული ჰყუ-ანდეს: მითამ დედოფალი დარეჯან ყოფილიყოს მეფის ირაკლის ყოველი საქმეების ამრევი და გამფუჭებელი. ის დაწერა პლატონი-სა კარგათ გვესმის ის იმისი აზრი, ესეც გვესმის, რომ რისთვი-საც სწერს ისე, ისიც ვიცით, ვინც უხდენდა ყოველს საქმეს მეფ-ეს ირაკლისა და რისთვისაც, ისიც ვიცით. თევზმა თქუაო: პირი წყლით სამსე მაქსო, თორემ უფრო ბევრი უნდა ვთქუაო. სადაც იქ თელავში დედოფალს დარეჯანსა არც კი შეუტყვია დესპანების მოსვლა წასვლა იმერეთიდან თუ იმერეთში, ამიტომ, რომ მაშინ დიდი მორიდება ჰქონდათ ყუავილისა ყუელას: კაცს არ გაჰყუეს ან წიგნსაო. ასე შინებიათ ამ სენისა.

სწორეთ დედოფალი დარეჯანი აქ რომ ყოფილიყო დესპანები რომ მოვიდნენ მეფესთან, სადაც უფროსი ბატონიშვილები, დიდი კაცნი, პირველი სასულიერო ნოდებანი, დივანბეგნი და მდივან-ნი იქ ყოფილან მიწვეულნი თათბირისთვის: როგორ მივიღოთო იმერეთი? – ის იმათი კრება, ბევრჯელ უანბიათ იქ დამსწრეთა იმ კრებისა ის ანბავი, დედაკაცს დედოფალს დარეჯანსაც მიიჩვევდნენ იქა? – ყოველი გონიერი დამახახავი იტყვის: არაო. ამისთვის, რომ დედაკაცს იმათში რა საქმე ჰქონდა, ნამეტნავად მაშინდელის ჩუღულების მიხედვითა? – ახლა ამის შედგომ, პლატონ როდისაც ამას წაიკითხამს, მასუკან სხუას იტყვის: დედოფალი დარეჯან იქ კრებაში რომ არ ყოფილიყოს, ცალკე სახლში ქმარს ათანხმებდა, სულერთიაო. ან რაც ჭორსა მოახერხებს, იმას იტყვის.

არა, ის დიდი გონების კაცი, ქვეყანაზედ განთქმული და ძლიერი ხასიათისა, როგორც მეფე ირაკლი იყო, დედოფალს დარეჯან-სა გაურევდა თავის სამეფოს საქმეებში? – არასდროს. თვითონ დედოფალიც ძალიან მორიდებული იყო ხოლმე, როგორც უცხო, ამიტომ რომ თავისი ქმარი ერეკლე, მეორე ღმერთად მიაჩნდა, ასე მაღლა უყურებდა იმას!

იქ კრებაში მეფე ირაკლისთან, არამც მხოლოდ დავით სარდალს და ჭაბუა დიანბეგს მიღება ეთქუასთ, – ერთის ხმით ულაპარაკი-ათ: იმერეთი მივიღოთო. და ამაზედ ბევრი ხანი ლაპარაკი ყოფილა, სულ სიხარულით, რომელიცა იმათ ლაპარაკასა მეფე ირაკლი ისმენ-და, ხმას კი არ იღებდაო ამის მეტსა: თქუენ თქვით, თქუენ ილაპარ-აკეთო. ბოლოს, როდისაც ამისთანა სიხარულისაგან დამცხრალან, მეფეს ირაკლის უთქუამს:

– „დიახ კარგი ბედნიერებაა საერთოთ ჩუენთვის, რომ საქა-

რთუელო კიდევ ისე განძლიერდება, როგორც პირველად ჩუენს ძუელს დროში იყო. როდისაც მე პირველად იმერეთის დიდი მეფე სოლომანის გადაგდება განვიძრახე, მაშინ იმერეთისთვისა მყუანდა ჩემი შვილი ლევან, დიდი ანტონის ქათალიკოზის თანხმობითა, არა მეფობისთვის – იმერეთის მართუელათა, რომ ბოლო დროს ჩუენი ძუელი საქართუელო ერთი სამეფო ყოფილიყო, მაგრამ დიდმა მეფე სოლომანმა შეგვიტყო და თავისი მეფობის საქმე ძალიან გაამაგრა.¹ ის საქმე გაიარა, ნავიდა, მაგრამ აბა ახლა, რომლის პირობით მივიღოთ, ან ვინ დავსვათ იქა, რომ იმან იმერეთს კარგათ მოუაროს? – ამაზედ ყუელამ ერთმანეთს ყურება დაუწყეს, ვერავინ პასუხი ვერ მისცა, ბოლოს დავით სარდალს მიუბრუნდა.

– „ჩემო სიძევ დავით, მოდი შენ ნადი, ჩემის სახელით დაჯექ იმერეთში და იმერეთს შენ კარგათ მოუვლი“.

– „არა ჩემო ხელმიწვევო, მე ვერ წავალ იქა“.

– „რატომ შვილო? –“

– „შენი ჭირიმე, იმერეთის ხალხი მე არ მიკადრებენ, მეორე დღეს პანლურსა მკრვენ, გაამამაგდებენ: ვინ ჩუენ და ვინ დავით ყაფლანიშვილიო“.

– „მაშ ვინ გავაგზავნოთ?“

დავით სარდალმა ყუელას თვალი გადაავლო, ბოლოს ბატონიშვილებს მოხედა და მასუან მოახსენა.

– „ჩემო ხელმიწვევო, მე ყოველთვის პირდაპირ და სწორეთ მოგახსენებთ ხოლმე ყუელას, აქედგან ვინც უნდა გავგზავნოთ, არავის არ შეუძლიანთ“.

მგონია მისახვედრია, რომ ეს ბატონიშვილებზე თქუა. ამ სიტყუაზე მეფე ირაკლიმ თავი ჩაღუნა და დაფიქრდა. მერეთ აიხედა და დალონებით ჰკითხა:

– „მაშ რა ვქნათ?“

– „კიდევ თქუენ უნდა მოაგვაროთ.“

ამ სიტყუაზედ მეფე ირაკლიმ იმერეთის პირუელს კაცებს.

– „თქუენში მაინც არავინ არის, რომ იმას ჩავაბაროთ იმერეთი?“

– „იქაურსა ვისაც ჩააბარებთ, ითაკილებენ, არავინ დამორჩილდებიან“. იმათ მოახსენეს.

– „მაშ როგორ მოვაგვაროთ?“

– „ჩუენო ხელმიწვევო, კიდევ თქუენ თუ მოაგვარებთ, თორემ სხვა ვერავინ“. შემდგომ ამისა მსაჯულმა სოლომანმა მოახსენა მეფეს.

¹ იქნება პლატონმა იცოდეს, ვინც შეატყობინა დიდმეფეს სოლომანს მეფის ირაკლისა განძრახუა ის? -

– „ჩემო ხელმწიფეო, რათ გიძნელდებათ ეგ საქმე. თქვენი შვილისშვილი სოლომან უშვილო გახლავსთ, ის დაცვათ მეფეთ იმერეთში, ეს იმერლებსაც იამებათ იმის მეფეთ დასმა იქა; მინამ ცოცხალია მეფეთ იყოს, მაგრამ თქვენს მორჩილებას ქვეშ კი უნდა გახლდესთ (და იყო კიდეც). მასუკან თქუენმა მომავალმა მეფემ შეაერთოს იმერეთი ქართლკახეთსა, მანამდისინ იმერეთის ხალხიც უფრო კარგად შეეჩვევა ამ აზრს და შემდგომად აღარ გაძნელდება, ადვილად მოუვლის, ვისაც დასმენ იქა“.

ეს სოლომან მსაჯულის აზრი ყველას მოენონათ და მასუკან ადვილათაც დასვეს პატარა სოლომან მეფეთ იმერეთში.¹

თავის თხზულებაში პლატონ რომ ამბობს: ჭაბუა დიანბეგი ქუხ-და იძახდა მივიღოთო. იმას რატომ აღარ ამბობს: ვის შეუძლიან, ვინ გავგზავნოთ და ვინ დავსვათ იმერეთშიო? – ანუ პირზედ რატომ არ აჩვენებს: ეს დავსუათო? – ჭაბუა დიანბეგი ასეთი კაცი იყო, რომ ცარიელს უბრალოს სიტყუებს არ იტყოდა, თუ ნამდვილს საგანს არ დაინახამდა. იქაც იმ კრებაში ისე იყო ჭაბუა დიანბეგი, რომ ცოტას ლაპარაკობდაო. ესენი სულ კარგათ ვიცით, ასე იყო ბრძენი პლატონ მეორეო და არა ისე როგორც ამბობ დაუხედად.

რაო რათ ქუხდა, რას იძახდა, რა ანბავი ჰქონდა ჭაბუა დიანბეგ-სა იმ კრებაში? – ანგლიის პარლამენტი ხომ არა პეტონია პლატონს მეფეს ირაკლისათან ის თავაზიანი თათბირი? – იმათ რომანტიზმებისა და ფანტაზიებისა რომ არა იცოდნენ რა, როგორც პლატონ რომანტიზმებში და ფანტაზიებშია თავის ისტორიაში, ისინი რას დაიძახებდნენ, გულიწრფელით და დამშვიდებულის ლაპარაკის შეტა?

ამათ შორის კიდევ პლატონმა წამიკითხა, რომ მითამ მეფეს ირაკლის, თავის პირუელი ცოლი ვახტანგ ყაფლანიშვილის ორბელიანის ქალი ან² გაეშოს და მასუკან აბაშიძის ქალი შეერთოს და ამის გამო ის ყაფლანიშვილის ქალი ანა მონოზნათ შემდგარა ალავერდში. ეს ფაკტი ბროსეს ფაკტიდან მოაქუს, რომელსაცა უთხარ.

– „არა პლატონ, ბროსე შემცდარია, კარგათ ვერ გამოიურკვევია: სიტყვა გაშუება, შეიძლება დანიშნულიც გაუშოს. რადგან ბროსემ ამგვარი მიმოხვრის ქართულის აზრი, აგრე რიგათ არ უნდა იცოდეს, ამიტომ გაშუება იმას ასე პეტონებია, რომ ჯვარდან-ერილი გაეშოს. ეხლა დაგიმტკიცებთ-მეთქი მე ამასა: იმ ქალის

¹ ამ მსაჯულის სოლომანის აზრი პატარა მეფე სოლომანმა დაიხსომა და ამის ნაცვლად, მეფეს ირაკლის შემდგომ იმერეთში რომ გადვიდნენ, დიდის პატივით მიიღო მსაჯული სოლომან; თავადობა დაუმტკიცა და კარგი ყმა და მამულიც მისცა იმერეთში, სადაც დღესაც იმისი მემკვიდრენი დგანან, ის თავი ლეონიძეები.

² რა მიზეზითაც გაუშვია, მე ის ცალკე მაქუს აღნერილი.

გაშუების შემდგომ, რჯულიერი პირუელი ცოლი ირაკლისა იყო იმერეთიდან, თავად ხეიძის ქალი ქეთევან, რომელთანაც დარჩა შვილი პირუელი ვახტანგ; მეტის სიმშუენიერით იმას ეძახდნენ: კარგს ვახტანგს. იმას ყმაწვილობითვე, რჯულიერის ქორნინებით შეაულეს ივანე მუხრანისბატონის და ქეთევან¹, მაგრამ ის კარგი ვახტანგ თოთხმტის წლისა მომკვდარა, რომელზედაც დიდი გლოვა ყოფილა და იმის სიკვდილისა შემდგომ იმისი ცოლი ქეთევან ალარ გათხოებულა, რომელიცა სხუებთა შორის ისიც პეტერბურლში წაიყვანეს და იქ გადაცვლილი იქვე დაასაფლავეს. მეფის ირაკლის იმ პირუელი ცოლისა ხომ ასე გითხარ პლატონ, ახლა სხუებისა გაიგონე. იმ ხეიძის ქალის ქეთევანის შემდგომ, ზაალ აბაშიძის ქალი ანა შერთეს და ქორნილი ქართლში გადაიხადეს, ამასთან ეყოლა გიორგი მეფე და თამარ, სარდლის დავით თრბელიანის ცოლი, მაგრამ ეს ანაც გარდაიცვალა და მერე დადიანის ქალს დარიაზედ (დარეჯან) იქორნიხა. აბა პლატონ, სასულიეროს კანონისა ძალით, მეოთხე ცოლს ხომ ვეღარ შერთამდა ირაკლი?“ –²

მე ესენი ასე სწორეთ უანბე პლატონს, მაგრამ არ დაიჯერა, ამისთვის არ დაიჯერა, რომ იმის გონებაში, მე რასაც ვწერ ანუ ვან-ბობ, სულ ტყუილი არის.

მართლა, სხუების სასიამოვნოდ ჩემი მართლები რომ იმან არ დაიჯეროს, ბევრათ სამჯობინარეა იმისათვის, იმან კარგათ იცის: კიბოები სად ზამთრობენ? –

¹ ივანე და ქეთევან დიდი კოსტანტინეს მუხრანისბატონის შვილები იყვნენ.

² მეფის ირაკლის პირველი ცოლის ხომ აე საქართველოში ასე წვრილათ დავამტ-კიცე, ახლა იმერეთიდან მოცემული ამბით დაუმტკიცოთ, ის ქეთევენ რომლის ოჯახისა იყო და ან ვაისი ქალი, რომ უფრო წვრილად უაბით პლატონს: ძველად თა მეხიძე ყოფილა არგვეთის მთავარი, იმისა შთამომავალი დავით და კოსტანტინე, ნამებული მურვან ყრუსაგან, რომელნიც დღესაც მდებარეობენ ხორცით კუბოში და არიან მონამეთის მონასტერში ქუთაისის მოახლოვოდ და შემდგომ ამისა დროგანვლილისა ვიცით ჰეტრე მეხიძე, რომელიც იყო არგვეთში, შეურთავს მას ცოლად ასული დადიანისა, იმასთან მისცემია ირი ძენი გრიგოლ და გიორგი. შემდევ, პეტრე რომ გარდაცვლილა, მეუღლე მისი მიქცეულა თავისი ორი შვილით სამშობლოშვე, სადაც აღუზრდა თრით ძენი. ისიც იქ გარდაცვლილა და იმისი ორი ძენი დარჩენილან სამეგრელოში. შემდგომ რამდენიმე დროისა გიორგი ნამოსულა იმერეთის თავის მამულში, გრიგოლ კი დასახლებულა სამეგრელოში და შეურთავს იქაურვევ ქალი, რომლის შთამომავლობა დღესაც არიან. გიორგისაც იქ თავის მამულში მოუყვანია ცოლათ გურიელის ქალი და მასთან მისცემია ერთი ქალი ქეთევან და მერე ვაჟი პეტრე, რომელიცა ქალი ქეთევან შეურთავს საქართველოს მეფეს ირაკლის მეორესა, ის პირველი ცოლი, ზევით რომ ვთქვით, ეს იყო. აი პლატონ, ასე უნდა ნამდვილი საქმის გამორკვევა და არა ისე, როგორც შენ ქარიანობ.

ეს ამით ასე გავათაოთ და ამის შემდგომ პლატონისა შეთხზულს
იმის სრულსა ისტორიას მოუცადოთ იმის გამოცემას, ვნახოთ ახლა
კიდევ იქ რა იქნება მეფის ირაკლისა და დედოფლის დარეჯანისა? –

1867-სა წლის
გიორგი მეთორხეათე¹
უკანასკნელი მაცე საძართველოს
და

მისი შემოქმედება რუსეთთან
(ამის მთხველის დუბროვინის მიმართ პასუხი.)

მე აქამდისინ არას ვანბობდი, იმ ჩვენი ძველის დაღუპის ნამდვილის საძირკველსა და ჩვენს საქართველოს ზოგიერთს პირებს ვდებდი დამნაშავედ ჩემს სხუას წერილებში; ამის მიზეზი ეს იყო, რომ ჩვენი რუსეთის მთავრობის მორიდება მქონდა...

ეხლა მე რომ ეს წიგნი მეფის გიორგის მეთორმეტისა წავიკითხე, და მეფის ირაკლისა და იმის მეუღლის (დარეჯან) დედოფლისა ისეთი დამდაბლება, ამის შემდგომ მეც იმათი მოსარჩლე ვარ ჩემი ვალისამებრ, იმ ჩემის პაპისა და იმ ბებია ჩემისა, იმ მართალის პატიოსანის გვამებისა, რომ იმათი სახელი შავს დოსკაზე არ დარჩეს, უსამართლო ცრუებისაგან დაწერილი, რომლებსაცა წინათვე გთხოვთ მამიტეოთ, რომ მეც იმისი პასუხი დუბროვინს მიუგო და თუ ამ სიმართლისთვის დიდ სასჯელს დამდებენ მე, მაშინ ჩემი თავი სანალვლელად აღარ მექნება, მე იმათი მსხვერპლი ვიყო. იმ წმინდა გვამებისა. ამის გამოისამობითა, მე ეხლა დიდათ მოხარული ვარ, რომ დუბროვინის ერთი მთელი წიგნი გამოვიდა მეფე გიორგიზე, ამისთვის რომ მეც თამამად დავწერ ამის შემდგომებში იმის პასუხს. ამიტომა დიდათ ვმადლობთ დუბროვინსა, გაბედვის შემთხვევა მოგვცა, რომ ჩვენც პირდაპირ ვიტყვით იმათ ნაენარებსა დაუფერად და რაც უყო ჩვენს ქვეყანას რუსეთის მთავრობამ ამ რვეულში წაიკითხამთ, მაგრამ სიმართლის მიხედვით, ეს ჩემი პასუხი დუბროვინს არ უნდა შეეხებოდეს, ამიტომ რომ ჯერ მთავრობის ბძანებით დასწერდა და მასუკან იმისი პირველი კაცი იმ თხზულებას თავიანთ ინტერესზედ გადააკეთებდნენ ვინიცობისათვის. ამ წიგნში იმისთანა არა იყოს რა, რომ რუსეთი კრიტიკაში ჩავარდეს? ეს უთუოთ აქვე ზევით უნდა გამოვაცხადოთ, რომ რუსეთის მთავრობის მიმართულების აზრები რა არის ჩვენზე, თორემ იმ წიგნის პასუხი ვისთვისაც უნდა დამენერა, სულერთი იქნებოდა.

რეხან ახლა დუბროვინი საჩენზე დგას და იმისი დამრიგებელნი კულისების უკან, მაში დუბროვინს უთხრათ ყველა რიგზედ, არა ისე გაკეთებულობით, რითაც ისინი თავსა მართლულობენ, არამედ

¹ თუნდა ახლა ასე ვთქვათ რომ მეფე გიორგი მეთორმეტე იყო.

სწორეს ჭეშმარიტობით, რომლებიცა ამის ნამკითხველნი ცხადათ დაინახავენ, რაც რუსეთმა უყო საქართველოს, როგორი საშინელი დაუნდობლობაა რუსეთისგან ჩვენზედ?

იმ დუბროვინის ნიგნში მეექვსეს გვერდზედ სწერია: მეფის ირაკლის მეუღლე დარია თელავში დარჩა თავის მომხრეებითა, თავის ბძანებლობის მოყვარულობის განძრახვისათვისაო. მეფის ირაკლის გუამის გასვენების შემდეგ, იმ საწყალის მომხრეები ვინ იყვნენ იქ, რატომ იმათ სახელს არ ამბობს? – რადგან ის არ ამბობს, მაშ მე ვიტყვი, დარია დედოფლის მომხრეები ვინც იყვნენ იქ.

ერთი დარჩა მარიამ ბატონიშვილი (თავით ციციშვილის ცოლი), მეორე ქეთევან ბატონიშვილი (ივანე მუხრანბატონის ბაგრატიონის ცოლი), მესამე ეკატერინე ბატონიშვილი (გიორგი ჩოლაყაშვილის ცოლი.), მეოთხე ანასტასია ბატონიშვილი (რევაზ ქსნის ერისთავის ცოლი.), მეხუთე დედაჩემი თეკლა ბატონიშვილი, მეექვსეებიც იყვნენ კაცთა ბატონიშვილის ცოლები და მეშვიდეები ზოგიერთი დიდი კაცების ცოლები, სხუანი მოახლე და მოსამსახურები. იქ მეფის ირაკლის გვამს აი ვინ რომელი გაჰყვა: კაცნი ბატონიშვილები სულერთიან, თავადნი და აზნაურები ხომ ასე გაიხვეტნენ, რომ მოსამსახურებისა და მოახლეების მეტი, დედოფლის სახლში რიგიანი დარბაისელი არვინ არ დარჩენილა, იმ საყვარელს მეფის ცხედარს თან იახლნენ უკანასკნელად იმის გვამის პატივის საცემლად.

უ. დუბროვინო, აბა მითხარით, ამ ქალებისაგან რა საქვეყნო საქმე იქნებოდა, რომლებიც რუსეთისგან დაიღუპნენ ქართველები. – ჩაიფიქრეთ გულში, რაც უყავით ქართველებსა და იმ სვინიდისით ილაპარაკეთ. გარდა ამისა, მეფის ირაკლის გვამის გამოსვენებაში მცხეთისაკენ დარია დედოფალი გულშემოყრილი ცოცხალ-მკვდარი შინ შეიტანეს და შემდეგ ასე ავათ გახდა, რომ სიკვდილი სიცოცხლესა ძლივს გაეყარა და ამის შემდგომ ერთს თვეს უკან ცოტათ უკეთობდა.

6-ს და 7-ს გვერდზე ამბობს დუბროვინი: აღამამად ხანის მოსვლაზე, რომ ერევნის ხალხი, ნახჩივნისა და ყარაბაღისა საქართველოში წამოსულან დასახიზნათაო. ეს მართალი არ არის. არც ყარაბაღის ხალხი, არც ერევნისა და არც ნახჩივნისა საქართველოსაკენ სულ არავინ წამოსულა, იმათ თავიანთი სიმაგრეები ჰქონდათ, იქ შევიდნენ და ზოგნი კი აღამამადხანს¹ მიუდგნენ,

¹ თვით ნახჩივნის ხანი ქალბალაიც აღამამადხანთან იყო თავის ნახჩივნის ჯარით და თანაც მოჰყვა აქა. ამის შემდგომ, რომელი ნახჩივნელიდა წამოვიდოდა ამ ჩვენს ქვეყანაში დასახიზნად? როგორც კიდევ დუბროვინი ამბობს თავის თხზულებაში

ნამეტნავად ეს ორი ქვეყნის ხალხი, ნახჩივისა და ყარაბაღის საქართველოსაკენ როგორ წამოვიდოდნენ, მაშინ როდესაც რომ თვით განჯის ხან ჯავათხანმა ალამაძებან მეფეს ერეკლეზედ აღძრა და თავის სახანოს ჯარით მზათ იდგა, ალამაძებანს გამოეარა ჯარით და საქართველოსაკენ ერთად წამოსულიყვნენ, რომლებსაცა განჯის ხალხი იმათ მშვიდობით არ გამოუშვებდნენ და ერევანზედ კი ხელს არ მისცემდა იმათ წამოსვლა სიშორის გამო, თუმცა იმათთვის არც განჯაზედ არის ახლო, მაგრამ მარჯვე ეს უფროა.

აი რომლის მხარის ხალხი წამოვიდნენ აქეთ დასახიზნად: შამშადილელები, მაგრამ ესენიც სულ არ წამოსულან, იქნება ნახევარი ძლივს და დანარჩენი აქა-იქ დაიფანტნენ; ისე ყაზახელები და ისე ბორჩალელები. სხუები კი არავინ არ წამოსულა აქეთ დასახიზნად. ესენიც რომ ახლოს იყვნენ აქაურს შეუალს სიმაგრეებზედ, ამის გამოისობითა წამოვიდნენ, სადაც ქართველებმა გულგაშლით მიიღეს და მაგარს სიმაგრეებში გაისტუმრეს. მეფის ირაკლის ბძანებაც იყო, რომ ყველა კარგად შეიწყნაროს, რომლებსაცა ჩვენს ძველს ხალხსა წმინდათ დაცული ჰქონდათ თავიანთ მამა-პაპის სიტყუა: ჩიტი ნარს შეეხიზნება და ის, მე როგორ არ უნდა შევინყნარო, თუნდა ჩემი მოსისხლე მტერიც იყოსო. რაც უნდა რომ მტერი ყოფილიყო, თუ შემთხვევის გამო კარზედ მიადგებოდა და სახლის პატრონს დაუძახებდა; ღვთის სტუმარი არ გინდაო? – მაშინათვე დიდის სიამოვნით შეიწყნარებდა მთელი სახლობა. ამის შემდგომ კიდეც შერიგდებოდნენ.

ბევრი მაგალითი არის, რომ დაშორებული მტრები ყოფილან, ერთს მოუნდომებია მეორეს შეურიგდეს, მისულა კარზედ და დაუძახნია: ღვთის სტუმარი არ გინდაო? – მაშინვე მთელი სახლობა გამოცვივნულან და აღტაცების სიხარულით შეუწყნარებიათ. ჩვენს

20-ს გვერდზე, ალამაძებანის შემოსვლის დროს საქართველოში, რომ ავარიის ხანი მზად ყოფილა საქართველოზე წამოსასვლელად ჯარით, მაგრამ ღუდვოჩის დაუშლა და ისიც ამის პასუხათ სწრეს: თქვენი წიგნი მივიღე და ალარ წაველო. რომელსაცა ამისთვისა წმინდასასმელი ქურქი გაუგზავნია. რა იქნებოდა და ან რა გასაჭრო იყო, ერთი ამისთანა წიგნიც ალამაძად ხანისათვის მოენერო, რომ საქართველოზე არ წამოსულიყო? – დარწმუნებული ვართ, მაშინვე ალამაძებან შედგებოდა, მაგრამ არა, ფალშიც კამედია უნდა ეთამაშათ თავის დროზედ ხალხის მოსატყუად თავიანთ უბინებაზედ, რომ მითამ რუსეთის მთავრობა არ რეულა ალამაძებანის მოყვანაში საქართველოზედ? – იმდენ ღალატსა შორის საქართველოში და ალამაძებანის განმვინებულს წამოსვლაზე ავარიის ხანი საჭიროდ ალარ დაინახეს და ამიტომ შეაყენეს ისა. რასაკვირველია, ვინც რუსეთის მთავრობის ცბიერი ამბები არ იცის საქართველოს დალუბვისა, ისინი ამას წმინდა მანეთად მიიღებენ და ვინც სწორეთ სიმართლით იცის, აი, ამ პასუხებს დაუწერენ. ბოლომ-დისინ გავიგონოთ.

მამა-პაპას ორივ ესენი წმინდათ ჰქონდათ დაცული: ჩიტი ნარს შეეხიზნებაო და ლვთის სტუმარი არ გინდაო? – აბა უფალო დუბროვინო, ამის შემდგომ, ვის წაახდენდნენ და ან რომელს ყაზახ-ბორჩალ-შამშადილელს მოჰკლავდნენ ქართველები, რომლებსაცა თავის ლუკმა-პურს შუაზედ უყოფდნენ? –

უფალო დუბროვინო, თუ იმ მოგონილებს ფაკტიდგან სწრო საიდგანმე, ის ფაკტი მართალი არ არის და თუ თქვენ იგონებთ, მოგონილება თქვენ არ გევადრებათ.¹

მართალია ერთი მაგალითი კი მოხდა: მეფის ირაკლის დაუძინებელი მტერი თან არევაზ ანდრონიკაშვილი, მეფეს ირაკლის რომ გამოაპარა ალამამადხანის ომის წინა ღამეს, ორი ათასი ქართველები (სხუა ამბავში ნერილათა მაქვს დანერილი) საენდრონიკოს ჯარი, რომლებიცა ქიზიყის მოურავს ზაქარიასთან იყვნენ და რომლებიც ემზადებოდნენ მეორე დღეს თავდადებულს ომსა, იმან იმ ჯარით ნათლუბის მინდვრიდამ შამშადილის სამი ფარა ცხვარი გადარეკა თავის ქვეყანაში,² ისიც მეფის ირაკლის მტრობისთვის: მეფეს დაემდურნენ, რომ მითამ იმის ბრძანებით მოიტაცა ცხვარიო. ამის მეტი შემთხვევა სხუა არა ყოფილა რა, თორემ მე არ დავმალავდი – დამალვა ჩემი ხელობა არ არის, ისე ცხადათ ვიტყოდი, როგორც მე ამ რევაზისას განბობ.

უფალო დუბროვინო, ერთს ცრუს სომეხს როგორ უჯერებთ არტემ არარაცეის (სომხურათ არუთინ ერქა და გვარი არარაციან.), საქართველოს და ქართველების გამყიდველსა? – ის იყო სომხების არაჩინურთის არღუთოვისაგან გამოგზავნილი საქართველოში – საქართველოს დასალუპად, რომელსაცა სომხები და თვით ქართველები არ ჰყვანდა, მეფის ოჯახობისა და საქართველოს დამლუპელები, სადაც განჯას მინერ-მონერა ჰქონდათ სომებ მელიქ მეჯლუმთან და ისიც მოსყიდულს განჯისხანს ჯავათხანსა წიგნებს ანერინებდა და ალამამდხანსა აღელებდა მეფეს ერეკლეზედ.

უფალო დაუბროვინო, აი ასე იყო და არა ისე, როგორც თქვენ

¹ ამ ჩემს ალწერილობაში ზოგიერთი ჩვენი არისტოკრატები გარეულები არიან ამ ამბებში ქართველებისა და სომხებისა, ამისთვის იმათი მომავლები, როდესაც ამას წაიკითხვენ, ვიცი, ბევრს აუგს იტყვიან ჩემზედ, მაგრამ ესეც ვიცი, რომ სიმართლის მოყვარულები ამ ჩემს სიმართლეს ძეირად დააფასებენ, რომელიც ზოგიერთების იმათ მომავალთაგანაც მაქვს იმედი, რომ ისინიც იმ სიმართლის მხარე იქნებან. ამ სიმართლის წინააღმდეგი არავინ არ უნდა იყოს რუსეთის მთავრობის დასის მეტი და იმათ რაც უნდოდესთ, ისა თქვან, იმათი ენა მაინც სიცრუეს დაჩვეული არის ჩემზე.

² ეს ამბავი ამ ოცის წლის წინათა მაქვს ალწერილი: ალამამდხანის მოსვლაში დასხვა ამბებშიაცა მაქვს ანერილი რევაზ ანდრონიკაშვილის დალატის საქმეები.

არტემ არარაცყის ფაკტები მოგაქვსთ სიცრუეზედ აშენებული, იმ ჩვენის ქვეყნის დამლუპავისა. აქაც ხომ დაინახეთ, რაც კაცი იყო არტემ არარაცყი და შემდგომში აქვე წაიკითხამთ იმის მოქმედებას.

17-ს და 18-ს გვერდზე დუბროვინი: მეფის ირაკლის მოკავშირეთ იმერლებსა,¹ ზურაბ ნერეთელს 2000-ი იმერეთის ჯარი მოტყუებით მინდორზედ გაეფანტოს და ის ჯარი ამ გაფანტვით ბევრათ ეჩვენებინოს და მითამ ამით მოტყუებულიყოს, ბევრათ ჰჩვენებოდეს მეფის ირაკლისა.

ვინც წამდვილად იცის მეფის ირაკლის ამბავი, ვინ დაიჯერებს ამას? – სამოცდა სამი წელინადი გაატარა ჯარიანობის გამოცდილებაში მეფემ ირაკლიმ და გაფანტულს 2000-ს ჯარის კაცსა ვერ შეიტყობდა, იმისთანა საკვირველი მხედარმთავარი ერეკლე!

არა, დუბროვინო, აგრე კი არა, მართალი ეს არის, რომ იმერეთის მეფე სოლომან სამი ათასის იმერეთის ჯარით მოვიდა წინ და საჩერაოთ შვიდი ათასი კიდევ უნდა მოსულიყო, მაგრამ რუსეთის შეჩენილთ მაცტურებმა დაშალეს და თავთავის სახლებში წავიდნენ, ის შეყრილი შვიდი ათასი მხედარი, იმათის ცფიერულის ჩაგონებით, ვინც მეფის ირაკლის დაუძინებელი მტრები იყვნენ რუსეთის შეჩენილი ქვებუდან აგენტები.

29-ს გვერდზე სხერია დუბროვინის თხზულებაში: მეფის ირაკლის ანანურში ყოფნა, ერთს ტყავში გახვეული და მხოლოდ ერთის სომხის ანაბარათ. უთუოთ ის სომები არტემ არარაცყი იქნებოდა. შაბაშ, შაბაშ არტემ (!) თქვენც იმაზედ ტაში დაუკარით უფალო დუბროვინო და დასძახეთ ზედა: ბრაო, ბრაო...

¹ იმერეთიდგან დესპანები რომ მოუვიდა მეფეს ირაკლის ქ. ტფილისში 1790-ს წელში და იმერეთი ქართლ-კახეთსა გაუერთეს, მსაუკან მეფე ირაკლი სილნაღში წავიდა, იქ ჭარ-ბელაქნიდგან პირველი ოჯახის შევილება მოაყვანინა და ქართველების გაერთიანებაზედ ელაპარაკა (ამ გაერთების ამბავი, სხუაში მაქვს აღნერილი ნერილად.), რომლებიცა ფიცის აღთქმით გაუერთდნენ. ეს ამბავი საჩერაოთ პეტერბურლში აცნობს რუსთის შპიონებმა და მაძინვე რუსეთის ხელმწიფობა საქმეში შევიდა, რომ აღამამადხანი მოიყვანონ საქართველოს გასაოხრებლად და მოიყვანეს კიდევ 1795-სა წელში. ამ ამბავს აქ სულ წაკითხავთ, როგორ მოიყვანეს აღამამდხანი. დუბროვინი რომ ამბობს: მოკავშირე იმერლები ირაკლი მეფისაო. ისინი მოკავშირენი კი არ იყვნენ, იმათ ქართლ-კახეთსა შეაერთეს იმერეთი და ერთი სამეფო შეადგინეს. გარემოებისა გამო უშვილო სოლომონ, მეფეთ იმისთვის დასვეს იმერეთში, რომ იმის შემდგომ სრული საქართველო იქნებოდა: იმერეთი, ქართლ და კახეთი! ამას უფრო დაწვრილებით პლატონს იესელიანს პასუხი რომ დაუნერე, კვალად მეფის გიორგის ისტორიაზედ, იქ წაიკითხამთ. თითქმის ერთს დროში დავწერე ორივ ესენი. პლატონის პასუხი რომ გავათავე, მასუკან დუბროვინის ამ პასუხს შეუდევ.

მეფე ირაკლი ალამამდხანის ომიდგან წამოსული, ქალაქის ბოლოზედ¹ გამოიარა და მაშინვე მეტეხის ხიდისაკენ გაიპრუნა ცხე-ენი საგურამოს მხრისაკენ,² ამ დროს იქნებოდა შუადლეზედ ცოტა მეტ ნაკლები 11-ი სეკტენბერი. იმას ამ დროს თან ახლდნენ: თავისი შვილი ალმასხან, (ვახტანგ). იმის შვილის შვილი ბატონიშვილი ივანე, – ივანე მუხრანის ბატონი, ქიზიყის მოურავი ზაქარია, თავის მეორეს ცოლის ძმა ივანე აბაშიძე, თავის ამილახვარი და სხუანი. ამასთან ომში გადარჩენილები, სამასი ჯარის კაცი, სადაც იმ ღამეს საგურამოში დადგნენ სულერთიან.

იქ ცხენები კარგათ რომ დასასენეს და კარგათაც დააძლეს, მასუკან გათენებისას შესხდნენ და მთიულეთის ხეობისაკენ წავიდნენ, რომლებიცა ანანურში სულ არ გადამხტარან, მხოლოდ ზედ გაიარეს და ციხის ძირის სოფელში დადგნენ იმ ღამესა. ამის მეორე დღესაც ბატატანთ კარში მივიდნენ დედოფალს დარეჯანთან, სადაც დედაჩემიც იქ ჰყვანდა თავის დედას დედოფალსა, საიდგანაც ამის მეორეს დღეს სულერთიან აიყარნენ და ბურდულიანთ კარში ავიდნენ. შემდგომ მოკლეთ რომ მოვჭრათ, მერეთ თელავში წავიდნენ. აი ეს სწორეთ ასე იყო და არა ისე, რასაც დუბროვინი ამბობს, არტემ არარაცყის იმ გამყიდველის, ფაკტიდგან.

31-ს გვერდზე. სიტყვა Kavkaz 1850-г. № 101. მითამ მეფეს ირაკლის ქაიხოსრო ავალოვი გაეგზავნოს ალამამადხანთან ტფილისის წახდენაზე, რომ არ უნდა გექნაო და კავშირზედ მოვილაპარაკოთ.³ იმასაც ამის ნაცვლათ ეთხოვოს ყარაბალიდგან მოსული შემნენი, შვილი ამასათად, დიდი თეთრი ალმასი აზატხანისა და საათი, პოტენციის გამოგზავნილი. მითამ ამას მეფის ირაკლის მიწერილი წიგნიც ამტკიცებდეს, 16-ს სეკტენბერს 1795-ს წელსა.

¹ ბატონიშვილი თეიოურაზ რომ სწერს ბატონიშვილის დავითის იმ ომს და იმ ყოფას შიგ ქალაქში და დუბროვინიც ამტკიცებს ისე იმ ომს, თუ რა წმინდა ტყუილი არის.

² ამ ოცის ნინათ, ჩემს ალამამადხანის მოსულაში მაქას აღწერილი წვრილად ის ანბები.

³ მეფე ირაკლი ბურდულიანთ კარსა მთიულეთში რომ ავიდა, იმ დროს მეფეს ირაკლისთან ეს პირებიც მიიღინენ იქ: თვით ის ქაიხოსრო ავალოვი, მღლახვარი ოსეფა ყორლანაშვილი, იოსებ შელბათაშვილი და მისკარბაში იოსებ ბეჭუთაშვილი, რომელსაცა ოთხივე ესენი ურჩევდნენ ირაკლისა, რომ იქიდგანვე დედოფლით ერთად რუსეთში წავიდნენ და პირდაპირ რუსეთის ხელმწიფესა სოხოვონ ჯარის შემწეობა. მაგრამ იმათი რჩევის აზრი ეს იყო, იქ რომ მივიდოდნენ, იმათ იქიდგან ალარ გამოუშვებდნენ და იმათ სულერთიან სახლობსაც იქ წაიყვანდნენ და ბოლოს ამ გარემზომლობით, თვითონ რუსეთ დაიპყრობდა საქართველოს, მაგრამ მეფე ირაკლიმ გადაწყვეტით ამას უარი ჰყო და იმათი რჩევა სრულებით არ მოიწონა. ამ ღამას და დედოფალი კი ქოხში იყო წამონოლილი, დიდათ შეწუხებული.

ამის შემდეგ, ჩვენც ამის ნება უნდა გვქონდეს ესა ვთქვათ, რომ ის მეფის ირაკლის წიგნი მოსკოვის არხივაში რომ არის, მეფის ირაკლის მტრებისაგან არის გაკეთებული, მეფე ირაკლი ამით დამდაბლებული იყოს ყუელას თვალში: ერთს ქუაზედ გაცვალა შერიგებაო. მაშინ როდესაც რომ მეფეს ირაკლის, აღამამადხანთან სულ არავინ გაუგზავნია. თემურაზ ბატონშვილიც ამტკიცებს ამას: ქაიხოსრო გაგზავნაო თავის აღნერილს აღამამადხანის მოსვლაში, მაგრამ იმას იმაზედ რომ არა დაეწერა რა, ისა სჯობდა, ამისთვის რომ თემურაზიც რუსეთის აგენტი იყო. იმის ამბავს გარკვევით ქეყმოთ წაიკითხავთ.¹

არა, რომელი გონიერი დაიჯერებს ამას, ქ. ტფილისი და რომელიმე ნაწილი გაუოხრა საქართულოს აღამამადხანმა და ამის შემდგომ მეფე ირაკლი ამაზედ დაუწყებდა ლაპარაკსა? – ამას საქმის მიუხვედორელი თუ დაიჯერებს, თორებ გონიერი არავინ. ბარემ ადრე შერიგებოდა, უფრო კარგი არ იქნებოდა? – აბა გაიგონეთ.

პირველი, მეფე ირაკლი აღსტაფაზე ჯარით რომ ჩავიდა, იქ აღამამადხანის ელჩი მოუვიდა და მეფეს ირაკლის ეუბნებოდა: რუსეთის მეგობრობაზე ხელი აიღეო. ამასთან სთხოდვა, ერთს შვილს და შვილის შვილს მძევლათა: მასუკან გავტრიალდები, წავალ, ოღონდეს ჩემი სურვილი აღასრულეო.

ახლა მეფის ირაკლის პასუხი.

– „არამც თუ აღამამდხან, მთელი აზია ჩემზედ რომ მოვიდეს, რუსეთისა და რუსეთის ხელმწიფის მეგობრობაზედ ხელს ვერ ამაღებინებენ, იმ ჩემ ერთსმორწმუნეს ქრისტიანებზედაო“.

ამასთანავე ის ელჩი დააჭქრინა და აქ ქ. ტფილისში გამოისტუმრა, მაგრამ უ. დუბროვინო, იმ თქვენმა საყუარელმა არტემ

¹ ის ავალოვი დიახ მახლობელი ნათესავი იყო გარსევან ჭავჭავაძისა, ესე იგი იყო სიმამრი, რომლებიცა ორნი ესენი, საქართველოს რუსეთის მიცემასა დიდათ ცდილობდნენ. ვერა გონება ვერ წარმოიდგენს იმისთანა ცბიერობას, რაც მეფეს ირაკლიზედ ხმარობდნენ: ირალის მაგიერათ გაკეთებულის წერილებით, იმის ბეჭდის დასმით ანუ იმის მიწგავსებულის ხელმოწერილობით როგორ საქმობდნენ – ნამეტნავად აღამამდხანის მისულის დროებში, რომ უფრო დაშურონ მეფე ირაკლისა და საქართველოს დაღუპა. ჩვენ ესენი დამტკიცებით ყველა ვიცით, შემდგომში აქ წაიგითხავთ იმ პირების სახელებს, ვინც შერებოდნენ ამაებს და ესენიც ხომ რასაკარელია, აქ ხსნებული პირები. იმთა პეტერბურლში აღრითვე, მეფის ირაკლის დასასმელი ბეჭდისთანა მიაჭრევინეს და როდისაც დასტირდებოდათ სიადუმლოს საქმეზე, მეფის ირაკლის სახელობით, იმითი დაბეჭდავდნენ და როდისაც იმისთანა საქმე იყო, რომ ხელის მონერა უნდოდა, მეფის ირაკლის ხელზედაც დიახ კარგათ მამზგავსებდნენ ხოლმე. ერთი სიტყვით, ყოველს ეშმაკურს საშუალობასა ხმარობდნენ, რომ საქართველო ჩარა მოეტაცა რუსეთს. ყოველი ამის დამრიგებელი იყო რუსეთის მთავრობა.

არარაცკიმ ის ელჩი ამ ქ. ტფილისიდგან გააპარა და როგორც იყო იმის გაპარება, ანუ იმის გაპარებით რაც მოხდა, ამ ოცის წლის წინათ არის აღნერილი ჩემგნით, ალამამადხანის მოსვლაში.

აი დუბროვინო, ნამდვილი დასწერე, ეს არის, სხუა თქვენგნით არის სოფიზმობა, თქვენის ინტერესისათვის.

ის ზევით რაც არის დანერილი დუბროვინისაგან, სრულიად რუსეთის მთავრობის ინტერესზედ არის გადაცვლილი. აბა გაიგონეთ.

მეორე, ყარაბალის ხალხისთვის ხომ ზევითა ვთქვი და იმის შემდგომ იქიდგან ვიღა შემწე ეყოლებოდა მეფეს ერეკლესა? – ერთი ყარაბალის კაციც არა ყოფილა მეფესთან, არამცუ შემწენი და არც არავინ იქიდგან მცხოვრები მოსულან საქართულოში.

მესამე, აზატხანის ის დიდი თეთრი ალმასი და სხუა ძვირფასი თვლები ერთს პატარა რვალის ყუთში ეწყო მეფეს ერეკლეს, ერთი ერთმანეთს პატარა ლეიბებზე და თავის საკუთარს სენაკის დაკეტილს თახჩაში ინახამდა. სადაც იმ ოთახში ვერავინ ვერ შევიდოდა. ის იმის საიდუმლო ოთახი იყო. იქ საიდუმლოდ საქმობდა ხოლმე და ის სულ დაკეტილი ჰქონდა. ალამამადხანმა ტფილისი რომ აიღო, პირველათ ერთი მცოდნე ყიზილბაში შევიდა იმ სენაკში და იმ განჯინიდგან ის ყუთი გამოიღო, ამ დროს სხუა მეორე ყიზილბაში შევიდა დაუძახა: რაც მაგ ყუთში არის, ნახევარი ჩემიაო. იმან იმაში წილი არ დაუდო და იმის ცილობაზედ ჭიდაობა მოუხდათ. ისინი რომ ამ ჭიდაობაში იყვნენ, სხუა ყიზილბაშები შევიდნენ და იმანაც გაჯავრებულმა, გაღებული იყო ფანჯარა, მოიქნია და ფანჯარაში გასტყოცნა ამ სიტყვით: რახან აგრე არის, არც მე, არც შენ და არც არავის ერგოსო. ის სენაკი მტკვრის წყალისაკენ იყო და იმ მდინარეში ჩავარდა. ის ყიზილბაში აქ გაზდილი ყოფილა და იმას სცოდნია იმ ყუთის ანბავი.¹ თურმე იმ ყიზილბაშმა საჩქაროთ ცხენი გამოაჭენა ამ სიტყვით: აბა ჩემო ყისმათ, თუ ის ყუთი აქ დარჩენოდეთო. ყისმათმა (ბედმა) მისცა, მაგრამ ეს კი შეემთხვა.

ეს ამბავი მეფეს ირაკლის აცნობეს, როდისაც აქ, ტფილისში ჩამოვიდა, ბევრი მცურავი კაცები შეგზავნა მტკვარში, ბევრი ეძებათ, მაგრამ ვერას ცდით ვერ ეპოვათ. აი იმ აზატხანის ალმასისა და სხუა, რაც ძვირფასი თვლები იქ იყო იმ ყუთში, იმათი ამბავი ასეა. დედაჩემს ბევრჯელ გაუჩხრევია ისინი. მეფეს ირაკლის რაც იმისთანა განსხვაებული ძვირფასი თვლები ჰქონდა, ასე განსხუ-

¹ მეფეის ირაკლის მთელი ის მდიდარი სახლი, ისე უძრავათ ასე დარჩათ, რომ ვერა დაბიზნეს რა, ასე ჩქარა გავიდნენ ქალაქიდგან, რაც იქვე მახლობლად მოასწრეს თვინიერ იმის.

აებით ინახავდა თავის სენაკის განჯინაში.¹

და მეოთხე იმ პოტენციის საათისაც ასე იქნებოდა, რადგან მეფის ირაკლის სასახლე ისე უძრავათ დარჩა, სხუათა შორის იმ საათსაც რომელიმე სპარსი წაიღებდა და ვინც იმას წაიღებდა, ის-ტორიკოსი თქვენა ხართ უფალო დუბროვინო. წადით, სპარსეთი შემოიარეო, ისტორიისათვის თავი უნდა გამოიმეტოთ და ვისაც ის გასასტერებელი ის ისტორიული საათი წაუღია, თქვენი პოლიციის შტრაფი გადაახდევინეთ თქვენის ფორმებისა ძალით, როგორ გაძედა იმისი წალება, ვინადგან დიდი ძალა გაქვსთ სპარსეთზე და თქვენს პოლიტიკის ქვეშა იმყოფება იგი?

ახლა ესენი აქ დაუტეოთ და ამის შემდეგ უფრო შესანიშნავს გვერდზე გადმოვიდეთ 51–ზე, სადაც დუბროვინი ამბობს: მეფობა უკანასკნელი წელიწადებისა (ირაკლისა) მოუძლურებულის მეუღლისა, დედოფალი დარია მართევდა სახელმწიფოსაო, იმის ავანტყოფობისა გამო და სხვანი. როგორც ეს არის მართალი, ისე სხვები. აბა გავიგონოთ.

აღამამადხანი რომ მოკლეს, მაშინვე მეფე ირაკლი მზადებაში შევიდა განჯის ჯავათხანის დასასჯელად: ამის მეორე წლის გაზაფხულზე 1797–ს წელსა აპრილის თვეში, თავის შვილი ალექსანდრე და შვილისშვილი დავით საქართველოს ჯარებით და ლეკებიდან ავარიის ხანის შვილი ალისანტი მოინცია ექვსი ათასის ლეარს ჯარით, ყოველს ტაციობაზედ გამზადებულები, იცოდნენ განჯის ციხის აღებით დიდი საშოვარი ექნებოდათ, რომელსაცა ერთობ ესენი განჯის ციხეს შემოადგნენ. ყველა ეს ამბავი განჯის ხანმა ადრევ შეიტყო, რომ მეფე ირაკლი იმას წახდენას უპირებს რადგან აღამამადხანის მოყვანის მიზეზი ის იყო საქართველოზე, ამისთვის ისიც მოუმზადებელი არ დარჩა და განჯის ციხე ძალიან გაამაგრა.

აპრილის თვე გავიდა, მაისიც, ივნისიც და თითქმის ივლისიც, რომ ციხე ვერ აიღეს. ბოლოს რომ გაუჭირდათ, მეფეს ირაკლის აცნობეს: მინამ თქვენ არ მობძანდებით, ამ ციხის აღება არავის არ შეუძლიანო. მეფე ირაკლი იმ დროს თელავში ბძანდებოდა, ეს

¹ ეს ცხადია, რომ ნადირშაის სიკედილის შემდგომ, იმისი პევრი და გამოჩენილი სიმდიდრე, მეფეს თეიმურაზს და მეფეს ირაკლის მოუციდათ ნადირშაის ნათესაობისა გამო, იმის მისნულს ჰყეანდა მეფე ირაკლის და ქეთევან. მგონია ექვს თუ შვიდს უთქვამთ ჩემთვის, მაგრამ სხუა და სხუა რიგათ, მითამ იმათ მამსა ანუ პაპასა, მეფე ირაკლი რომ დაბრუნდა აღამადხანის ომიდგან და ქალაქში შემოვიდა, ეთქვას: ჩემს სახლში ყუთით ძვირფასა თვლები დარჩა და როგორმე გამოიტანო. გამოეტანოთ და გზაზედ მოსწერდეს იმ ყუთით. სულ სხვა და სხუა გზით უთქვამთ მონევნა. აბა როგორმა ერთმა გაუტანა? აბა რომელს დაუჯეროთ? – რაც ზევით გაიგონეთ იმ რვალის ყუთის ამბავი, ის არის მართალი, სხვა არც ერთი არა.

ამბავი რომ მიუვიდა, რომელსაცა დარია დედოფალი და დედაჩემი გვერდით უსხდენ, უკმაყოფილოდ დაიძახა:

— „ჩემი შვილები და შვილიშვილები მეფეს ერეპლობას თამაშობენ. მოხუცებულიცა ვარ, აი ითამაშონ დიდი მადლობელი ვიქები, მაგრამ აბა სად არიან? — იმ უბრალო ციხის აღება როგორ გაუჭირდათ, სადაც ბევრი საქართველოს და დაღისტინის ჯარები ჰყავსთ? — ვაი ჩემს თავს, ჩემი შვილო ლევან, რომ შენ მე აღარ მყევხარ? — ამასთან გულმტკივნეული ცრემლები გადმოყარა, იმასთან დედოფალმა და დედაჩემმაც. მასუკან საჩქაროთ საქმეს შეუდგა და ქიზიყში ჩავიდა.

იქიდგან და სხუა მხრებიდგან ათასზე მეტი ურემი განჯისაკენ გაისტუმრა ურმების ჭალების ნახევრამდინ ფიჩხით დადებული და რამდენიმე ათასი ბარი, სადაც თვითონაც გასწია და განჯისაკენ გაემართა.

მეფე ირაკლი განჯას რომ ჩავიდა, ჯარმა ერთიანათ დაიძახა: ეს ციხე რკინისაც რომ იყოს, ახლა კბილით დავლენთ. ასეთი აღტაცებული სიხარული შეუდგათ ქართველებსა და ლეკებსა!

იმ ფიჩხიანს ურმებზე მაგარი დათხრილი მინის ბელტები დააწყობინა მეფე ირაკლიმ, ის ურმები მაღლა ამართულები ყირასაგით, მწკრივათ ლამე უნდა მიეტანათ, უკან ჯარი მიჰყოლოდა და ციხის კედელზედ ისე აემართათ, რომლებზედაც ჯარი ასულიყო და იქიდგან ციხეში გადასულიყვნენ ციხეში მყოფების ნასახდენათ.

ამ ამბების გამგონეს ჯავათხანსა გული შეუწუხდა, იცოდა გა-ჯავრებულები აღამამადხანის მოყვანისთვის, ცოლ-შვილებით სულ გასწყვეტდნენ და მთელ ციხესაც გაანიავებდნენ, ასე რომ იქნება ის ადგილი გუთხებით გადაეხნათ. დიდით პატარამდისინ ასე გაჯავრებულები იყვნენ ჯავათხანზედ და იმის ხალხზედ. ამისთვის ჯავათხანმა ივანე მუხრანის ბატონს და ავარიის ხანის შვილს ალისკანტის, ორთავ ჩუმათ მოციქული მოუგზავნა, თავი შეეპრალებინა: მიშველეთ, მეფის ირაკლის ყმობა თავს მიდვია, ნუ ნამახდენსო და სხუანი.

ამ მოციქულის მოსვლა სწორეთ იმ ღამეს იყო, როდესაც ურმები ციხეზე ამართეს, რომელთაცა ორთავ ამათ შეიბრალეს და იმ ღამესვე მეფეს ირაკლისთან შევიდნენ, მუხრანის ბატონი ჩვეულებისამებრ და ალისკანტი კისერზე ხმალ ჩამოკიდებული, რომლის წინაშე წარდგა და მეფის ირაკლის წინ განკრძალული დადგა. მეფე ირაკლიმ ავარიის ხანის შვილისაგან ეს რომ ნახა, ზეზე წამოდგა და

¹ მეფის ირაკლის ძის ლევანის ამბავსაც წაიკითხამთ ცალკე, ოდესაშე.

ალერსით ჰკითხა:

„შვილო ალისკანტი, რა გაქვს სათხოვარი?“ –

„მე ვერ გავტედავ, მუხრან ბატონი მოგახსენებსთ“. ალისკანტიმ მოახსენა.

„ახლა კი შევიტყე, შვილო ალისკანტი, განჯის ხანის დანაშაულობის მიტევებასა მთხოვ?“ –

„ხელმწიფეო, შეიძრალე, შენს ყმობაზე თავსა სდებს. ნულარნაახდენ, ღმერთი გადლეგძელებს“. „

„ეს ამთენი ჯარი იმის ნახდენით და აკლებით გამდიდრებას მოელიან, მე იმის შერიგებას აღარ დამიჯერებენ. რაც ურმები არის, სულერთიან ამაღლამ კიდეც ამართეს ციხეზე და ხვალ რიურაჟის დროსა ჯარი გადავა ციხეში. აბა ახლა რა ვქნა, შვილო?“

მასუკან მუხრან ბატონმა ქართულად მოახსენა.

„ჩემო ხელმწიფევ, ეს ასეთი შუა კაცი გახლავსთ, რომ ამას უარი არ ეთქმის“. „

„ვიცი მუხრანის ბატონო“. პატარა დაფიქრების შემდეგ. – „მაშ ბატონიშვილები და რაც დიდი კაცები იყვნენ, სულერთიან აქ უნდა შევყაროთ და საერთო თათბირი მოვახდინო, ვნახოთ ახლა ისინი რას იტყვიან?“ ამასთან თვითონ დაჯდა, ალისკანტი და მუხრანის ბატონიც დასხა. მერეთ საჩქაროთ მოსამსახურები გაგზავნა და ყველანი იქ მოწვია, მასუკან კისრიდგან ხმლის ჩამოხსნა უბძანა ალისკანტის და იმანაც ჩამოიხსნა.

პატარა ხანს უკან ყველანი იქ შეიყარნენ; მეფე ირაკლიმ ყოველი იმათ განუცხადა და ბოლო დროს რჩევა ჰკითხა ყველას: აბა რას ბძანებთო? –

ყველამ ერთპირათ ალიარეს: ამ ავარიის ხანის შვილს პატივი უნდა ვცეთო. ¹ მეფემ ირაკლიმ ესეც დაუმატა.

„რასაკვრელია, პატივი უნდა ვცეთ, მაგრამ ჯავათხანმა ჩვენი ჯარი კარგათ უნდა დაასაჩუქროს“. „

ეს გადაწყვეტილობა ამის მეორეს დილაზედ ჯავათხანს აცნობეს, მაშინვე ციხიდგან გამოვიდა, მეფის ირაკლის წინაშე დაემხო, შეცოდების მიტევება სთხოვა, ყოველი თავს იდვა და მეფის ირაკლის მონებაზედ თავი დასდვა, მაგრამ ჯარი უკმაყოფილოდ შეიქნა: აღამამადხანის მოყვანისთვის, უნდა ძირიანათ დაგვენიავებინა ჯავათხანო და ახლა ურიგდებით კიდეცაო? – რომლებიცა – ივანე მუხრანბატონს აბრალებდნენ: იმან ოთხი ათასი თუმანი ქრთამათ აიღო და იმან მოახდინა ეს შერიგებაო. ეს სულ ტყუილია,

¹ თუ პატივს არა სცემდნენ, მთელს ლეკებს კიდევ აშლიდნენ საქართველოზე. მაშინ დამშვიდებული იყვნენ რაც შეიძლებოდა იმათ დაწვეულს მტაცებლობისაგან.

ავარიის ხანის შეილის პატივისცემისათვის მოხდა ეს შერიგება, მა-გრამ განჯის ხანმაც ასე კარგათ დაასაჩუქრა ჯარი, რომ თვითონ, ბეგებიც და გლეხი კაცების ოჯახობანიც თითქმის გაიყვლიფნენ საჩუქრებით. მასუკან განჯისხანმა სთხოვა იმის სასახლეში გადაბანდეს მეფე ერეკლე, სადაც გადავიდა, კარგათ უმასპინძლა და მეფე ირაკლიმაც კარგათ დაიხლოვა ჯავათხან.

ეს იმათი დაახლოვება ყარაბაღის იპრემი ხანსა არ იამა, ჯავათხანის დიდი მტერი იყო. მეფე ირაკლიმ ეს ამბავი მაშინვე შეიტყო, საჩქაროთ თავის კაცები, თავის წიგნით გაუგზავნა და სთხოვა ყარაბაღის და განჯის სამძლვარზედ შეიყარნენ, იქ ხელმეორეთ ერთმანეთის კავშირზედ ერთმა მეორე დაარწმუნა. როგორც აქა-მდისინ სიყვარულით ვიყავით და ერთობით, კიდევ ისე ვიყვნეთო. საიდაგანც გამობრუნდა და ისევ განჯის ხანთან მოვიდა სასახლე-ში მეფე ირაკლი.

ერთს დილაზე სხედან მეფე ირაკლი და განჯის ხანი, ლაპარა-კი ჩამოვარდა ალამამადხანზე და გულწრფელობით ჰქითხა მეფე ირაკლიმ ჯავათხანსა, ისე უფიქრელათ, სულ გონებაში ვერ გაივ-ლებდა, ჯავათხანი რას ეტყოდა.

„ხანო, რაო რისთვის მოიყვანე ალამამადხანი საქართ-ველოზე?“ –

„ჩემო ხელმწიფეო, გინდა სწორეთ შეიტყო, რისთვის მოვიყ-ვანე?“ –

„რასაკვირველია, მინდა“. –

– მაშ ეს ოთახი დავაყორულოთ, სულ წვრილათ გიამბობთ, რათაც მოვიყვანე“. –

ოთახი რომ დაკრძალეს, განჯის ხანი მოჰყვა.¹

„ჩემო ხელმწიფეო, ეს ექვსი და ან შვიდი წელიწადი იქნება, ჩემი მელიქ მეჯლუმი (სომეხი.), ერთს მოადრეთ დილაზე მოვიდა ჩემ-თან და დიახ საიდუმლოთ მითხრა: დიდი საიდუმლო მაქვსო მო-სახსენებელი, ოთახი დავაყორულეთო. მაშინვე დავაყორულებინე, მოვიდა, ჯერ სომხურათ დაწერილი წიგნი მაჩვენა² და მასუკან მითხრა: ეს წიგნი რუსეთიდგან არის დიახ საიდუმლოთ გამოგზა-ვნილი ჩემთან, რუსეთის სომხების არაჩნურთის ოსეფა არღუთიან-ისაგან და მეც თქვენ უნდა შეგატყობინოთ, რომ მეფე ირაკლი შენს დაღუპვას აპირებს და შენს სახანოსა სულერთიან თავის მეგო-ბარსა ყარაბაღის ხანს იბრეიმ ხანსა აძლევს. ეს კიდევ არაფერი, რუსეთის ხელმწიფესთან პირობა აქვს შეკრული მეფეს ირაკლის,

¹ ის განჯის ხანი ახლო ნათესავი იყო ალამამადხანისა.

² განჯის ჯავათხანსა საუცხოვოთ სცოდნია სომხური ლაპარაკი და კითხვა-წერაც.

რომ მთელი სპარსეთი რუსეთს უნდა დააჭერინოს და რუსეთის ხელმწიფებაც მთელის საქართველოს მეფეთ დააგვირგვინოს, თავის წერილის დამტკიცებით. თურმე ამის პირობაცა აქვთ, რომ აქეთი მხრის სომხები და საქართველოსი, სულ ერთიან რუსეთში გადაასახლონ. ეს თვითონ მეფეს ირაკლის უთხოვნია, სომხები თავის ქვეყნიდან მოიშოროს; რადგან დიდათა სძულს იმას ისინიო. ამას მოკლეთ მოგახსენებ, თორემ კიდევ ბევრი არის მოწერილი და ესეც მოუწერია, დიდათა ფთხილათ ვიყვნეთ, რომ მეფე ირაკლიმ არ შეიტყოს და აქ რუსეთში მეც ძალიან ვფთხილობო. ის წიგნი გამოვართვი, წავიკითხე, მართლა რაც პირათ მითხრა, იმას იმ წიგნში მოეწერა და სხუაც ბევრი, რომ აღამამადხანი უთუოთ თქვენზედ აღმელაშქრა“.

„ჩემო ხელმწიფეო, მე არას დაგიმალავ, სწორეთ მოგახსენებ, იმის შემდგომ ხშირათ მამდიოდა არაჩინურთის კაცი და მეც ხშირათ ვწერდი წიგნებს აღამამადხანსა და თქვენზედ ვაღელებდი, ამიტომ რომ მეტი თავდადებული ბძანდები რუსეთის ხელმწიფისა და რუსეთის ერთგულებაზედ. ჩემო ხელმწიფეო, ჩემმა მელიქმა ის წიგნი რომ მაჩვენა, მასუკან ვკითხე. ¹

„ეგ წიგნი ვინ მოიტანა-მეტექი?“ –

„არუთინ არარაციანმაო“. იმან მითხრა.

„სად არის მეტე ისა?“ –

„აქ გახლავართო“.

შემოვაყვანინე, ვკითხე.

„რომელს გზაზედ მოხვედი?“ –

„ქ. ტფილისზედაო“.

„იქ ხომ არავინ გინახამს?“ –

„როგორ არა: ოსეფა არაჩინურთის წიგნი მქონდა იმის ძმისწერას მიმდაბლულობის სოლომანთან, მისკარბაშ იოსებთან და დარჩია მელიქთან (თან აქებულოვები), სამთავესთან ერთი წიგნიო“.

„ნახე ისინი?“ –

„ვნახე და იმათვე ჩუმათ გაფთხილებით გამამისტუმრესო“.

რა ესენი მეფე ირაკლიმ გაიგონა, იმ უბედურს ასეთი ელდა ეცა, ის ძლიერი კაცი იქვე გულშეწუხებული მუთაქაზედ გულალმა გადიქცა, რომ თავი ვეღარ შეიმაგრა და ჯავათხანს ძლივს ხელით ანიშნა: წყალი დამალევინეო.

ის იყო და ისა, რომ მეფე ირაკლი დასწეულდა, ქ. ტფილისამდინ

¹ განჯის ციხეზე რომ ჯარები შემოადგნენ საქართველოსი და ლეკებისა ის მელიქ მეჯლუმი თავის შემოხვეულის მხედრებითა ციხეს გარეთ საომრათ გამოსულა და იმ ომში მოეკლათ.

ძლიერს მოვიდა, ასე რომ თითქმის რიგიანათ ხმა აღარავისთვის აღარ გაუცია და აქ დარჩა რამთენიმე ხანი, უფრო საფუძვლიანად შეიტყოს წვრილად.

ის ამ ქ. ტფილისში მოვიდა ან სეკტემბრის გასულს, ან ოკტომბრის დამდეგს და დარია დედოფლის სახლში ჩამოხტა ავლაბარს.¹

აქ მეფე ირაკლიმ, დიას საიდუმლოთ მოაყვანინა მღვდელი ეგნატე იესელიანი, მაშინ დიაკონი, გონიერი ყმანვილი კაცი, ზედმინევნით სომხურის ენის მცოდნე და მეფის დიდი ერთგული. იმას ბევრჯველ სომხებში ასაქმებდა და გარეშე სომხებთანაც წიგნებს აწერინებდა.

ამას ამ ადგილზე დავანებოთ: ახლა მე და მღვდელის ეგნატეს ამბავი გავიგონოთ, როგორ კარგათ დავმეგობრდით მე და ის, ან ეს ამბავი როგორ მიანბო და ან როგორის ეშმაკობით ჩაკლეს მეფე ერეკლე. ესენი ხომ დედაჩემსაც წვრილათ უანბია და სხვებსაც, მაგრამ ამ წმინდას პატიოსანს მღვდელსაც გაუგონოთ, რაც მიანბო მეფეს ერეკლეზედ.

მე ამ დროს ახალი ჯვარდაწერილი ვიყავი ჩემ ცოლთან 1823-სა წელსა, როგორც მახსომს, იყო აგვისტოს თვე, როდისაც ერთს საღამო ბინდზე მოვიდოდი დედიდა ჩემის ქეთევან ბატოიშვილიდგან და სალაყბოზე² მოვიდოდი შინათვენ. სალაყბოს თავში თავადის ბეგთაბეგიანთ სახლის კედლის ძირში, ერთი დიდი ტივის ხე იდო, რაზედაც ის მღვდელი ეგნატე მარტო იჯდა, ზურგი კედლისათვის მიებჯინა, თავი თავისცოხზე, თავის ორხელებზე შუბლით ზედ დაეყრდნო და დაფიქრებული იჯდა ისე უძრავათა, იმის წინ გავიარე და დაუძახე.

– „მამაო ეგნატე, მშვიდობა თქვენთანა“.

– და თქვენდაცა მშვიდობა. „მიპასუხა. მერე ის მედიდური სახე მაღლა წყნარა აიღო და ცოტათ მოელმო ბრწყინვალე გონიერი

¹ ეს სახლები ყიზილბაშებს გადურჩათ დაწვისაგან. უთქმისთ: ერთმა ადრიბეჭანის ხანმა არ დააწევინა, შეიტყო რომ დედოფლისა არისო.

² სალაყბო და ბატონის შედანა ერთათ იყო. ჩრდილოეთსაკენ სალაყბო ერქო და სამხრეთისაკენ ბატონის მეიდო. აღამამაცხანის მოსვლის დროს, იმ სალაყბოზე მეფის ირაკლის შენობა იყო, ზარბაზნების ჩამოსასხმელი, რომელიცა ყიზილბაშებმა ჯერ სრულად დაწვეს და მასუკან დააქციეს. სადაც განიერი ვაკე ადგილი გამოჩნდა, რომელზედაც ამ რუსის დროსა, თავად-აზნაურობა შეიყრებოდა და ყველანი თავთავისად ლაპარაკობდნენ და რომელსაც ამ ლაპარაკის გამო დაერქვა იმ ადგილს: სალაყბო. თუ იქ იყონენ: სალაყბოზედ ვიყავითო. და თუ ქვემოთ: ბატონის მეიდაზნედათ. ქველს დროში კი მხოლოდ ერთი ბატონის შეიდანი იყო ხოლმე შესაკრებელი, მაშინ სალაყბო არ იყო. სიტყვა: ბატონის მეიდანი, ანუ მეფის მეიდანი სულერთია, რომლებიცა ჩვენი ხალხი მეფეს ბატონსაც ეძახდნენ ძველადგანვე.

თვალები – თვალებში შემომანათა და თავის ჩვეულებისამებრ დაწყებულისა სიტყვით მითხრა.

– „ალექსანდრე, შენა ხარ?“ –

– „მე გახლავარ, მამაო ეგნატი.“

– „ალექსანდრე, მოდი დაჯექ ჩემთან, ვიცი ძველი ამბები გიყვარს, მეც ბევრი ვიცი მაშინდელი დროის ანბები, ნახული და გაგონილი, მაგრამ საქმე ხომ არა გაქვს რა, რომ საქმისაგან არ მოგაცდიონ?“ –

– „არაფერი საქმე არა მაქვს რა“. –

– „მაშ მოდი, დაჯექ, ჯერ ვილაპარაკოთ და მასუკან მე ვიცი, როდისაც გაგიშვებ შინ“. მეც ეს მინდოდა, რაც მიამებოდა, იმას შევხვდი.

დაუჯექ გვერდით და კარგა ხანი გავიდა, რომ იქ ვიყავ იმასთან. ბევრი ილაპარაკა და ბოლო დროს მითხრა:

– „ახლა დროა, წადი შინა, მაგრამ როდესაც მოცლა გქონდეს, მოდი აქ ჩემთან, მე უფროსი ერთი სულ აქა ვარ. მე იმ დროს ვისაც უნდა ველაპარაკებოდე, რაკი დაგინახამ, მე იმას თავს დავანებებ და შენ ლაპარაკს დაგინყებ, ამისთვის რომ ძველი ამბები გიყვარს. ახლა ლამე მშვიდობისა, შენი სიმამრი დავით მამიკითხე, ისიც ჩვენი აზრის კაცი არის“.¹

ამის მექამე საღამოზე კიდევ წავედი, ვნახე ისევ ისე იჯდა, როგორც წინათ იყო და ჩემს გახმაურებაზე დაიძახა.

– „მშვიდობა შენთანა ალექსანდრე, გმადლობ გულითა და არა პირითა, ჩემი დაუვინწყებლობისთვისა, სად იყავ ალექსანდრე?“ –

– „საქმე მქონდა, საქმეზე გახლდი.“

– „სად დადიხარ ხოლმე, ვისთან?“ –

– „თუ საქმე არა მაქვს რა, ხან ყმაწვილებში გიახლები და ხან ძველს კაცებზი.“

– „ყმაწვილკაცებში შესაქცევად და ძველებში – ძველის ამბის გასაგონათ, განა?“ –

– „მართალია რასაც ბძანებ“. –

– „ჰოო. აგრე უნდა, აგრე იყავ, მაგრამ ძველი ამბავი უფრო საჭიროა“. –

მე და იმან იმ ღამეს კიდევ იმ დრომდისინ ვილაპარაკეთ, მასუკან დამითხოვა და შინათკენ წამოველ. შემდგომ ამისა, კვირაში ხან

¹ ამ დროს იმ ჩემს მოყვრებთან ვიდექი ჩემის ცოლით, ჯერ ჩემს სახლში არ წამეყვანა. სამნივ ესენი მეზობლათ ვიყავით დგომით ერთმანეთზე, მამა ეგნატი, ოვით ჩვენ და ჩვენი მოყვრები. ჩემს სიმამრს დავითთან ხომ ხშირათ მქონდა ხოლმე ძველს ამბებზე ლაპარაკი, ჩემი სიმამრი უცხო პატიოსანი კაცი იყო და დიდათ უყვარდა ძველს ამბებზე ლაპარაკი.

ორჯელ, თორემ ერთხელ მაინც მივიდოდი იქა, სადაც ბევრჯელ ისიც იქ არ დამხვდებოდა და როდესაც დამხვდებოდა, ისე ულაპარაკობდით იმდრომდისინ, როგორც პირველათ და მეორეთ, თუ კაი დარი იყო ხოლმე. ამით მე და ის ასე დავახლოვდით, მართლა კარგათ. ეს ჩვენი სიახლოვე 1832-ს წლამდინ გაგძელდა, მასუკან გარემოებისა გამო განვშორდით.

მე რომ ასე დანვრილებითა ვწერ სულერთიან ამ ამბავსა, უფრო ამისთვის, რომ ყველა ნვრილად და ცხადათ დაინახოს წამკითხველმა და არა ის უბრალოს გაკვრით, რომ წამკითხველმა არა თქვას: აქ არაფრისთანა საქმე არა ჩანს რაო.

მე და მამა ეგნატის ამ პირველს ჩვენ გაცნობის დროებშივე, ერთხელ ერთს სადილს უკან ლოცვის დარეკის დროს, ერთს ძველს თავადთან ვიყავ. იქ ჩაი რომ დავლიე, ბინდი იყო წამოველ და რა ჩემის მოყვრების სახლებთან მოვედი, ვთქვი: წავალ, მამა ეგნატის ვნახამ, იქნება იქ იყოს-მეთქი? – მივედი, იქ დამხვდა და სიამოვნით მითხრა:

– „ალექსანდრე, უფალი საიდგან მოგიძლვის?“ –

– „დაარჩია მელიქიდგან? – (ბებუთოვი.)“

– „ბევრი იყვნენ იქა?“ –

– „ბევრი ძველი თავადები.“

– „შიომ თუმანიშვილთან კი არ დადიხარ?“ –

– „როგორ არა, იქაც დავდივარ. რაო რისთვის მკითხე, შენს მადლს?“ –

– „დაჯექ და გეტყვი, მაგრამ ეს შენთან საიდუმლოთ იყოს“. მეც პირობა მივე ამ სიტყვით.

– „დრომდისინ კი მეთქი.“

– „დიახ დიახ, რასაკვრელია დრომდისინაო.“

ამასთან გვერდით დაუჯექ და ისიც გაფრთხილებით დაბლის ხმითა მოჰყვა.

– „ემმაკების და მაცთურების ცფიერობას ვინ რას შეიტყობდა, რომელი ქართველი იფიქრებდა: აქ საქართველოში, მართალ გულწრფელ ქართველებში, მაცთურებისაგან შეჩენილი ცფიერები იქნებოდნენ, მეფისა და ქართველების ძირით დამღუპელნი, რომ სრულიად ქართველების თესლი ამოაგდონ აქა?“ –

„მეფე ერეკლე განჯიიდგან რომ მოვიდა და ავლაბარს დედოფლის სახლებში ჩამოხტა, ხმა გამოვიდა: მეფე ირაელი შეუძლოთ არისო. ორ დღეს უკან, მეფის კაცი მამივიდა საიდუმლოთ პირველ დამეს: აქ ჩემთან გამოდიო, ჩვეულობა მქონდა, ბევრჯველ საქმისთვის დამიბარებდა და სომხურის წიგნების მისაწერათ აქეთ- იქით. კიდევ ისე მეგონა, მაგრამ გზაზედ ესეც ვიფიქრე: საიდუმლოთ რაღათ

დამიბარებდა მეთქი? – მივედი და იმის საწოლში რომ შემიყვანეს, მეფე მარტო ვნახე ძველს დორზე მისვენებული, ორი სპილენძის ფისოსები ქონით სავსე წინ ერთო და მკვდრის ფერი ედო სახეზე. ის იმისი პირველი სასახლის სასტუმრო ოთახი რომ მენახოს, ის მშვენიერი ყიზილბაშურათ დახატული, ის საუკეთესოს საფენი-თა მოფენილი, მარგალიტით მორთული მუთაქ-დორებითა, ზედ მეფე ირაკლი მისვენებული, აქეთ მარჯვნივ დედოფალი დარეჯან იმის მხარ დაშვენებული და მეორეს მხრითა დედაშენი ბატონშვი-ლი თეკლა, მამისა და დედის შემტრფიალებელის სახით და იმათ წინ ექვსი ოქროს ანთებული ფისოსები კარგის ზეთით, რომელსა-ცა მეფეს ერეკლესა იმ დროს უბრწყინავდა სახე ცოლშვილობის ბედნიერებითა! ახლა ეს ნახევარ მკვდარი ერეკლე რომ დავინახე, გავშრი, გული ჩამეთუთქა და კედელზე მივეყუდე, რიგიანათ ფეხ-ზე დგომა ველარ შევძელ, რომელმაცა დიდის მწუხარებით დაიძახა.

– „შენა ხარ, ეგნატე?“ –

– „მე გახლავარ. მოვახსენე.“

– „მოდი, დაჯექ ჩემთან, საქმე მაქვს მოვილაპარაკოთ“. მივედი, მოშორებით დავჯექ, მე მაშინვე მოვასწარ, რომ არა ვათქმევინე რა და მოვახსენე.

– „ჩემო ხელმწიფეო, ველარ მიცვნიხარ, რა მოგსვლიათ“. და თვალებში ცრემლები მმერია.

– „ჩემს ამ ყოფას ხედავ? – ის თქვენი ძლიერი ერეკლე, თქვენთ-ვის თავდადებული, ახლა სიკვდილს ვევედრები ღმერთსა, ჩქარა მოვკვდე“. „

ამაზედ მე ავტირდი და ისიც სისუსტეში შევიდა. ბოლოს მოსუ-ლიერდა, მითხრა.

– „მე ვერაფერი ვერ გამტეხდა, მაგრამ ჩემი მახლობლების ღა-ლატმა მამკლა, იმათმა ღალატმა, ვინც ჩემგნით გაკეთებული არ-იან“. „

– „როგორ ხელმწიფეო, ღალატმა?“ – გაკვირვებით ვკითხე.

აღალო პირი მამა ეგნატიმ და ზევით თქმული ჯავათხანისა-გან მეფეს ირაკლისთან ნაანბობი, რაც ვიცოდი ადრითვე მე, სულ წვრილად თქვა. მერე კიდევ მოჰყვა იგივ.

„გავშტერდი, არ ვიცოდი სად ვიყავ, სად არა, აღარა გამეგებოდა რა. ჩვენი მშობლის მამულის მონამისა მოღალატე უნდა ყოფილი-ყო ვინმე ჩვენი ქვეყნის კაცი, იმ ჩვენთვის თავდადებულის ირაკ-ლისა! მასუკან ძლივს მოვახსენე, რომელსაცა გული მიკვდებოდა“. „

– „მიბძანე ჩემო ხელმწიფეო, ახლა რა ვქნათ, ჩემი თავი თქვენის ჭირის სანაცვლოდ დამიდვია?“ –

– „ვიცი, დარწმუნებული ვარ შენზე. ახლა ჩვენი საქმე ეს არის,

რომ რადგან სომხური ზედმიწევნით იცი და იმათთან მახლობელი მეგობრობა გაქვს, უნდა როგორმე იმათი ამბები შეიტყო და ან ვინ არიან ჩემს მტრობაში, მაგრამ გაფთხილდი, არა შეგიტყონ რა“.

— ეს სამი დღე ვადა მიბოძეთ და მასუკან ყველას მოგახსენებ. ვაიმე, რომ აქმდისინ არ ვიცოდით ეგ ამბები, თორემ ყველას კარგათ მოვიყვანდით“.

„ეს სოვახსენე და წამოველ კიდეც. გზაზე ჩემი მეგობარი სომხის მოქალაქე ბეჟანა ბასტამაშვილი დამხვდა სიონის ეკლესის ზევით მხრის გზაზე (ჩრდილოეთის მხრისაკენ), მკითხა: სად იყაო? — სიონის დეკანოზთან ვიყავ-მეთქი. მოდი, წავიდეთ ჩემთანაო, იქ კარგს მურაბას გაჭმევ და ვახშმათაც ჩემთან იყავიო. ეს შემთხვევა ჩემთვს კარგი იყო და წავედით“.

კარგა შუალამე გადვიდა, იქ ვიყავ იმასთან და ჩვენი ლაპარაკი სხუა არა იყო რა, სულ მეფე ირაკლი იყო, იმისი საკვირველი ამბები, მაგრამ როდისაც აღამამადხანისაგან ამ ქალაქის წარხდენასთან მოვედით, იმან ამოიოხრა და თქუა.

— „იმ საკვირველს კაცს მეფე ერეკლესა როგორ დაამარცხებდნენ, არამცთუ ქალაქი წაერთმიათ იმისთვისა, მაგრამ ღალატს რა გაეწყობა?“ —

— „როგორ ღალატს?“ — მე მივატანე.

„მერე ვისგნით? — იმისგნით, ვინც მეფის ირაკლისაგან გაკეთდნენ და ვინც იმისი შინაური საიდუმლოს მახლობლები იყვნენ, იმათ მოიყვანეს აღამამდხანი და იმათ დანთქეს ჩვენი ქვეყანა. ჯერ პირველად ეს უნდა ვთქვათ, რომ საქართველოს სომხის მოქალაქეები ჩვენ და საქართველოს სომხის გლეხი კაცნი, როგორც ჩვენი მეფისთვისა, ისე ჩვენის ქვეყნისთვისა თავდადებულები ვართ, მაგრამ რაც სომხების ზოგიერთს თავადთ ვიტყვით, სულ იმათა ქნეს აღამამდხანის მოყვანა. აი ისინი ვინ არიან, მეფის ირაკლის მახლობელნი მესაიდუმლენი, რომელთაცა მეფის ირაკლის ყოველი საიდუმლო კარგათ იცოდნენ და ეს სანდო მეფისანი კი იმის მტრებზე ჰყიდდნენ მეფეს ირაკლისა, აი ისინი: მეფის ირაკლის მისკარბაში თავი იოსებ და ქ. მელიქი დარჩია ბებუთაშვილები, თავ. სულხან, ამის ძმა მანუჩარ და სულხანის შვილი შიოშ თუმანიშვილები. იოსებ და ამის ძმა ავეტიქა შალბათაშვილები. მიმბაში თავი სოლომან არღუთაშვილი,¹ მილახვარი ოსეფა ყორდანაშვილი. აი ესენი არიან ჩვენის ქვეყნის დამღუპავნი, მაგრამ ღვთის წინაშე უნდა ვთქუათ, რომ მინამ დავით სარდალი (ორბელიანი.) მილახვარს ოსეფას სცემდა, მანამდისინ მეფეს ირაკლისა დიდათ ერთ-

¹ არაჩნურთის ძმისწილი, ზევით რომ ვთქვი.

გულობდა¹ და იმის ცემის შემდგომ, ერთს საღამოზე თავის სიძეს იისებ მისკარბაშთან მოვიდა, სადაც სულერთიან ესენი იქ იყვნენ შეყრილი და რჩევა ჰქონდათ მეფის ირაკლის და იმის ოჯახობის მტრობაზე, სადაც მეც იქ ვიყავ იმ დროს. მილახვარი იმ ღამეს იმათ გაუერთდა და იმათაც დიდათ იამათ. კიდევ ამხანაგი იშოვეს, მა- გრამ ძალიან დაფარულად ჰქონდათ საქმე“.

„აქ მე ლაპარაკი გავაწყვეტინე და ვკითხე, თქვა ეგნატემ“.

– „ბეჟან, გენდობოდნენ ყმანვილს კაცსა შენა?“ –

– მენდობოდნენ, ბევრს გონებას ჩემში რომ ხედავდნენ, ლაპარა- კიც კარგი მქონდა ხოლმე, საქმის შემძლებელიც ვიყავი და ამასთან ფულებსაც მაძლევდნენ, ამისთვის მენდობოდნენ“.

– „ფულებს საიდგან როგორ?“ –

– „რუსეთიდგან არაჩნურთის გამოგზავნილს ოქროებსა. არამც თუ მარტო მე, სხვებსაც ბევრს აძლევდნენ საქართველოში მეფის ირაკლის დასაღუპათ და თვითონაც ბევრს იწყობდნენ ჯიბეებში“.

– „ბევრი მოსდიოდათ იქიდგან ფულები?“ –

– „ბევრი, სულ დაბეჭდილის პარკებით“.

– „არაჩნურთს ჰქონდა იმთენი შეძლება, რომ მაგთენი ფულები გამოეგზავნა, იმთენის ხალხის მოსახყიდ აქა, რომ იმისთანა გან- ძლიერებული კაცი საქართველოში, როგორც მეფე ირაკლი იყო, რომ ის დაეღუპათ?“ –

– „მე მაგისი არა ვიცი რა, ჰქონდა თუ არა. ეს კი ვიცი, რომ ბევრი ფულები მოსდიოდათ, სულ ოქრო“.

– „თქვენი სახლეულობანიც იყვნენ გარეულნი იმათში, თუ არა?“ –

– „არავინ არა იცოდა რა და ვერც ეტყოდნენ, ამისთვის რომ წელანვე გითხარი: ჩვენ მოქალაქეები მეფისათვის თავდადებული ვიყავით-მეთქი“. –

– „მერე შენ როგორ გაერიე იმათში?“ –

– „რადგან დარჩია მელიქი, ქალაქის მელიქი იყო, მეც რადგან მოქალაქის შვილი ვიყავ და კარგი გონიერი მოსაქმე ყმანვილი კაცი, ამის გამო მელიქმა დამიახლოვა, ქალაქში ყველგან საქმეზედ მატარებდა და შემდგომ იმ თავიანთს საიდუმლოს საქმეშიაც გამ- რიეს და კიდეც მასაქმებდნენ. ეს იმათი ანბები იმათგან ხომ არ იყო დაწყობილი, ისევ იმ თავიანთ მამებიდგან მოდიოდა. მგონია იმა- თზე უფრო კიდევ ადრე სხვებისაგან იყო დაწყობილი ეს საქმეები საქართველოზე, რომ საქართველო და საქართველოს სამეფოს ოჯახი დაღუპონ“.

– „მეფე ირაკლი იმისთანა მწყალობელი რომ არის მაგათი, იმ წყ-

¹ მილახვარი ოსეფას ქალი ქალუა იყო ცოლი მისკარბაშ იოსებისა.

ალობის მაგიერი გადუხადეს?“ –

– „ეგენიც მოტყუებული არიან“. –

– „ვისგნით?“ –

– „წელან რომ გითხარ, ხომ გახსომს? – რუსეთში ჩვენი სომხების არაჩნურთი ოსეფა არღუთაშვილი, რომ არის, აი იმისგნით.¹ იმას მაგათან დიდი ხანია საიდუმლოთ მიწერ-მოწერა აქვს, მაშინ-დელსა და ადრინდელსა ყოველს წიგნში მაგათ არწმუნებდა, მინამ ალამამდხან მოვიდოდა, მეფეს ირაკლის და რუსეთის ხელმწიფე-სა პირობა აქვთ ერთმანეთთან, რომ რაც საქართველოში სომხე-ბი არიან, რუსეთში გადასახლონ, ასე თურმე სძულსო სომხები მეფეს ირაკლის და ამაზედ ეხვეწება მეფე ირაკლი რუსეთის ხელ-მწიფესათ. ამის გამო ეგენიც განჯის მელიქ მეჯლუმს უგზავნიდ-ნენ საიდუმლოთ კაცსა არაჩნურთის წიგნით ბევრის ფულებითაც და ისიც განჯისსანსა აწერის ბეჭდა წიგნებს ალამამდხანთან და ალელებდა მეფეს ირაკლიზედ, რომელზედაც კიდეც მოიყვანეს“.

– „მერე მაგათან წიგნების მომტანიარაჩნურთისა რუსეთიდგან ვინ იყო და ან აქედგან განჯას მელიქ მეჯლუმთან წამლები?“ –

– „ადრე პირველათ არუთინა არარაციანმა მოიტანა რუსეთიდგან და აქედგანაც იმან წაილო განჯას. შემდგომ ის არუთინა აქ დარჩა, ყველგან იმას ასაქმებდნენ მეფის დასალუპათ, როგორც იმათ სურ-დათ ისე. ის არუთინა აქ რომ დარჩა, მასუკან სხვები მოდიოდნენ“.

– „ეხლა ის არუთინა სად არის?“ –

– „ეს ჩვენი ქალაქი რომ წაახდინეს, იმის შემდეგ აღარ ვიცი, რა იქნა?“ –

– „ქართველები ხომ არავინ რეულან, ვისაც ამბობ მაგათში?“ –

– „როგორ არ ერივნენ და დიას ხშირათაც იყვნენ იმათთან, რო-დისაც კი ქალაქში იყვნენ ხოლმე, სულ იმათთან იყვნენ და მეფის ირაკლის დალუპვას ზრუნვიდნენ“.

– „ვინ რომელები?“ –

– „აი ესენი: დავით სარდლის სიდანბლის შემდეგ, იმის შვილი ივანე სარდალი, ამის ბიძაშვილი ასლან ორბელიანი, თავაზონი გარსევან ჭავჭავაძე, თავაზონი გარსევან ბატონშვილის გიორგის

¹ რასაც აქ ბეჟანა ბასტამაშვილი ლაპარაკობს, ესენი ჩემთვისაც უთქუამს და სხუაც ბევრი. ეგრეთვე გოგია ბასტამაშვილსაც ბევრი უანბია ჩემთვის. დარჩია მელიქის ძმას ღვთის წყალობასაც ბევრი უთქვამს ჩემთვის, იმას თავის ძმა დარჩია მელიქი დიდათ სძულდა და ხსენებულნი ისნიც. ამათ გარდა, იმათ სახლის კაცსა თავდა არსენ ბებუთშვილსაც უანბია ჩემთვის ის ანბები, კარგი მეგობრებიც ვიყავით და ყიზილბაშის ბახოტშიაც ერთად წავედით 1826-სა წელსა. იქ კარგათ დავმეგობრდით და იქ მიანბო ყველა.

პირველ ცოლის ძმა, თავი გოგია¹ ციცისშვილი; ამის ქალი მარიამ დიდის ცდითა შერთეს ამ ბატონიშვილს გიორგისა, ის ორნი დაახლოვებული ერთად რომ იქნებოდნენ ბატონიშვილს გიორგისთან ის მეფის ირაკლის დაუძინებელი მტრები, ორნივ ერთად უფრო ადვილად იმოქმედებდნენ მეფის ირაკლის დაღუპას. ეს ამგუარი საქმეები, სულ იმ სომხების თავადების სახლებში ეწყობოდა. კიდევ მიდიოდ-მოდიოდნენ, ეს ორნი უფრო შიოშ თუმანიშვილთან: თავი გიორგი ერისთავი² – ქსნისა და თავი გიორგის ძე ელიზბარ ერისთავი ქსნისავე, რომელიცა ეს ელიზბარ შიომშთან ჩამოხტებოდა ხოლმე, როდისაც კი ქალაქში მოვიდოდა. აი უპირველესნი მეფის ირაკლის დაღუპის მცდელები ესენი იყვნენ და ამათ დამოკიდებულებს ვიღა მოსთვლის ... სადაც მთელს საქართველოში საიდუმლოთ კაცებს ატარებდნენ და ხალხს უორგულებდნენ მეფეს ირაკლისა, რომელიცა მინამ აღამამდხან მოვიდოდა, იმის მოსვლის წინათ, ეს გიორგი ერისთავი ორჯელაც მოვიდა შიომშთან და იმ სომხის თავადებთან ერთათ მოილაპარაკეს აღამამდხანის მოსვლაზე მეფეს ირაკლის როგორ უმტრონ. ელიზბარ ერისთავის კაცი იმერეთიდან შიომშთან ხომ ხშირათ მიდიოდ-მოდიოდა (დიდი მეფე სოლომანის ქალი ჰყუანდა ცოლათ მარიამ.). რათ შვრებოდნენ რისთვის, თვითონაც არ იცოდნენ. აი როგორც მე ვიყავ შემცდარი, ისე ისინი სულერთიანი³.

– „მერე შენ რამ გამოგაბრუნა?“ –

– „აღამამადხანის შემდგომ, ქალაქის ხალხი რომ შემოიკრიბნენ ამ ქალაქში, ერთს საღამოზე მისკარაბაშ იოსებ ბებუთაშვილთან³ წავედი, ვნახე მეფის ირაკლის მტრები იქ იყვნენ შეყრილები, სომხებიც და ქართველებიც და ასეთი სიხარულის განგაშა ჰქონდათ მეფეს ერეკლეზედ, რომ მეტი სიხარული აღარ იქნება და თან ბევრს უშვერს სიტყვებს ამბობდნენ იმაზე. მე ეს ასე საზიზღრათ მეჩვენა, რომ მაშინვე წამოველ შინათვენ; მოვიდოდი და ჩემს თავსა ვაგინებდი იმათში გარევისათვის, რომელსაცა მაშინდელს აქეთ სვინიდისი მტანჯავს და ისინი კიდევ კი სიხარულში არიან, ის უს-

¹ ეს გოგია დასჯილიც იყო ყურებ დაჭრილი მეფის ირაკლისაგან ღალატისთვის. რაც აქ სახელები არის, იმათი ამბები სხუა წერილებშიაც მითქვამს.

² იასეს შვილი, ბილის რუსეთის ღენერალ ოტინფანტერი.

³ ჯერ ადრე მეფის ირაკლის ოჯახობის მტრებსა, მარკოზაშვილის დარბაზი ჰქონდათ შესაკრები, სადაც შემთქმელები ანყობდნენ მეფის ირაკლის დამხობასა; პაატა ბატონიშვილი იქ იდგა (მეფის ვახტანგის ბუში). და ის იყო საქმის დამწყობი. შემდგომ ამისა, სხუა და სხუას სახლებში და უკანასკნელად აღამამდხანის წელწადებში, იმ იოსებ მისკარბაშის სახლში იყო ხოლმე კრება. იმ პაატა ბატონიშვილის ამბავი ცისკარში მაქეს დაბეჭდილი.

ვინიდისონი, მეფისა და მამულის მოღალატენი ისინი“.

ამის შემდგომ მამა ეგნატიმ მე მითხრა:

– „ალექსანდრე, გაიგონე ესენი?“ –

– „გავიგონე. მე ეგენი სულ წვრილათ ვიცი და უფრო კიდევ სხუა ბევრი“. –

„ბატონიშვილის დედიშენისაგან გეცოდინება, ის მეფის ირაკლის საქმეების და იმის სასახლის ამბებისა მატიანე არის. ის დიახ ხშირათ თავის მამას გვერდით ახლდა“.

– „იმისაგან ხომ რასაკირველია და სხუებისაგანაც ბევრი ვიცი“.

– „დიახ, დიახ, აგრე კარგათ სდიე ძველს საქმეებსა და როდისაც დრო იპოვო, დაწერე კიდეც ის ამბები“.

– „უთუოთ აგრე ვიქ. მაგრამ ეგ ამბავი დაასრულეთ, ვნახოთ მეც აგრე გამიგონია თუ არა?“ –

მამა ეგნატი მოჰყუა:

„მე მეფეს ირაკლის სამი დღე ვადა რომ ვთხოვე, იმ სამს დღე-სა აღარ მოუცადე და მეორეს საღამოზე წავედი, მაგრამ გზაზედ ვფიქრობდი: ის ამბები რომ მოვახსენო, თავათ მკვდარია და რაღა ჩემგნით მოკვლა უნდა? – არ მოვახსენო და აპა როგორ იქნება-მეთქი? – ბოლოს გადავწყვიტე: თქმა სჯობია მინამ უთქმელობასა მეთქი და კიდეც მივედი“. „კაცი შეუგზავნე, მაშინვე შემიყუანეს და ოთახი რომ დააკრძალვინა, თავის შორი ახლოს დამსვა, მიბძანა“.

– „ჩემთან აღარავის აღარ უშვებ ჩემი შეუძლობის მიზეზით, ჩემს ერთგულს ივანე¹ აქიმის მეტს, ამიტომ რომ მე ეხლა ყველაზედ ეჭვი მაქვს, მაგრამ ახლა შენ მითხარი, სამი დღე ვადა რომ მთხოვე, ახლა ასე ჩეარა რა ქნი?“ –

– „ჩემო ხელმნიფე. უცარი შამთხვევა მამეცა, ყველა შევიტყე“.

– „აბა მოჰყევ, თქვი“.

– „შეინჭიმე, ძალიან შეწუხდებით“.

– „სიკვდილზე მეტს ხომ ვერას მიზამს, თუ ჩემი სიყვარული გაქვს, ნურას დამიმალავ, წვრილათ მიანბე“.

„ამის შემდგომ მეც მოვყევი და სულ უანბე ყველა. შეწუხდა, ძალიან შეწუხდა, მაგრამ მოთმინებას მისცა თავი, ბძანა.“

– „რევაზ ენდრონიკაშვილი და გოგია ციციშვილი ეგენი დიდიხანია ჩემი მტრები არიან, გიორგი და ელიზბარ ერისთვის შვილებიც ეგრეთვე, მაგრამ ჩემი მტრობის გულისთვისაეს თავიანთი მშობელი ქვეყანა რაღათ გაყიდეს? – ამათი ვთქუათ ჩემი მტრობის გულისთვის ქნეს. გარსევან ჭავჭავაძემ, თუმანიშვილებმა, ივანე სარდალმა

¹ ყარაშვილი, ახლა კარაევი. ამას ხომ რამთენი რამ უანბია ჩემთვის.

ასლანითურთ, შალბათაშვილებმა, იოსებ მისკარბაშმა და დარჩია მელიქმა რათა რისთვის, ოჯახობით ჩემგნით გაკეთებულმა იმათ? – მაგრამ ერთი ეს მითხარი, ივანე მუხრანისბატონი ხომ არა რეულა მაგათში?“ –

„ჩემო ხელმწიფეო, თუ გარეული ყოფილიყო, გამოჩნდებოდა“. –

„მე ვიცი, ის გონიერი კაცია, იმას ვერ გაუბედავდნენ თქმასა. მე უბედურმა ერეკლებ ჩემი დავით სარდალი (ორბელიანი.) რას გაჭირებულს დროს დავკარგე?“ – „ის რომ ყოფილიყო, ვერას მიზამდნენ, არა რომელი მტერი და იმის შვილი ივანე კი, ჩემი ქალის შვილი, არაფერი, ფუჭი არის, მაგრამ ახლა მე დიდს ეჭვში ვარ, ეგნი სულ მიტყუებულები უნდა იყვნენ, ის არაჩნურთი ოსეფა და ისინიც სულ ერთიან“. –

„ვისგნით ჩემო ხელმწიფეო?“ –

„ეკატირინა ხელმწიფასაგან“. –

ეს სიტყუა თავში ამვარდა, გაოგნებული დავრჩი. მეფე ირაკლიმ შემატყო, რომ ასე შევიქენ, მიბძანა.

„კარგათ ყური დამიგდე: პოტენკინი აქ ჩემთან სალაპარაკოთ რომ მოვიდა ეკატირინა ხელმწიფასაგან, მაშინ მე იმას დიდი პატივი ვეცი, ერთს დღეს საიდუმლოთ მითხრა: ეკატირინა ხელმწიფას ნუ ენდობით ნურაფერში, თორემ ოჯახს დაგიღუპავს და საქართველოს რუსეთს შეართებს, კარგი საუცხოვო ხალხი ხართ, მებრალებითო. არამც თუ ახალი ამბავია ესა, დიდი ხანია რუსეთს განძრახვა აქვს საქართველო მოიტაცოს, თქვენს თავს გაუფრთხილდით და ამ ჩემს საიდუმლოსაც ნურავის უბძანებთო. როგორც ეხლა ვფიქრობ, ეტყობა ამ საქმის შეუტყობნი არ დარჩენილან, მაგრამ მე მაშინ რას მივხვდებოდი? – ამის შემდგომ კარგა ხანი რომ გამოვიდა, ერთს დილაზე გარსევან ჭავჭავაძე ჩემთან მოვიდა და საიდუმლოთ მითხრა: ეხლა ეს არის, რუსეთიდგან ამბავი მოვიდა, აქ რომ პოტენკინი გახლდათ, იმას ეკატირინა ხელმწიფას ღალატი შესჩევია და იმისი სიკვდილი განუძრახავს; შეუტყვია და სადღაც დაუკარგავსო. მე უთხარ: სწორეთ დარწმუნებით არის ეგ ამბავი მეთქი? – სწორეთ თქვენს თავს ვფიცამო. დაუჯერე, ჩემი შინაური და ჩემი მეგობარი იყო“. –

ამ სიტყვაზედ მე მაღლა ავიხედე და დავიძახე.

„ლმერთო, ამისთანა ეშმაკური ცფიერობა გაგონილა?“ –

„მიოცადე, კიდევ რა გითხრა?“ – მეფე ირაკლიმ მიბძანა. – მირზა გურგენა ენაკოლოფაშვილი ოსმალოში სულთნის კარზედ, ელჩათ რომ გავგზავნე, იქიდგან დიდვეზირს საიდუმლოთ შემოეთვალა ჩემთვის: ეკატირინა ხელმწიფასა ნუ ენდობით, თორემ ოჯახს დაგიღუპავს და შენს საქართველოს რუსეთს შეაერთებსო. მაგრამ

მე ეს ვეზირის შემოთვლილობა ეკატირინა ხელმწიფას მტრობაში ჩამოვართვი, ამისთვის რომ ვინც რუსეთიდგან მოდიოდნენ, ყველანი დიდის ფიცით მეფიცებოდნენ: ეკატირინა ხელმწიფასა პეტრი კარგი უნდა თქვენთვისაო და სხუანი. მეც ქრისტიანი და ისიც, ნამეტნავად ერთმორწმუნენი და კვალად იმ ფიცების შემდგომ, როგორ არ უნდა დამეჯერა, ის იმათი იმთენი ფიცითი რწმუნება, მაგრამ ახლა რაღა გაეწყობა, ეხლა ცხადათ ვეხდავ, რომ ყველანი მოტყუებული ვართ და ყოველი იმათი რწმუნება სულ სიპლუტე და სიკრუე ყოფილა; აი როგორც მე ვყოფილვარ მოტყუებული, ისე არაჩნურთი, ისე ბებუთაშვილები, ისე სოლომან მიშბაში, ისე ივანე სარდალი და ასლანი, ისე თუმანიშვილები, ისე რევაზ ენდრონიკაშვილი, ისე გოგია ციცისშვილი, ისე ერისთვისშვილები და ისე გარსევან ჭავჭავაძე. ჩვენ – ჩვენმა სიმართლემ და ჩვენმა უმანკოებამ მოგვატყუა, ყოველი პლუტი აზარქარი ვაჭარი, მართალს უმანკოსა მოვაჭრესა მოატყუებს თავის უსვინდისოს სარგებლობის შეძინებისთვისა, ისე მოგვივიდა ჩვენა. მხოლოდ მე მარტო, მე ამას ჩემს თავს ვერ მიუტევებ, სულ დამაშავე მე ვარ. არავისი დამდურება მე არ მმართებს, მეფე ვიყა ქვეყნის გამგე, მე არ უნდა მოვტყუებულიყავ, ეს ტვირთი მხოლოდ მე ერთს კისერზედ მანევს, სხუა არავის“.

„ამ სიტყვაზედ თავი ჩაჰეთ და მწარეს დუმილში შევიდა. აქ ჩემი გულიც ჩაკვდა. შევწუხდი მეფის ამ სიტყვებით. ბოლოს გული გავიმაგრე, მოვახსენე“.

– „ხელმწიფე, ახლა რას აპირებთ?“ –

– „მოხუცებულობაში მე ეხლა ძალა მიღებულსა, რაღა შემიძლიან, სადაც ერთი სანდო კაციც აღარ არის ჩემთვის“. ამ სიტყვაზედ უარესად შევწუხდი. მაგრამ მაშინვე ეს მომაგონდა, ვკითხე.

– თქვენი ერთგული სოლომან მსაჯული სად გახლავს?“¹

– „ვეღარც იმას ვნდობივარ“.

– „არა შენიჭირომე, იმას ენდენით, ის თქვენი თავშენირული ერთგული გახლავს, ეს მე კარგათ ვიცი“.

– „სწორეთ?“ –

¹ აღამამადხანის სამი წლის წინა წელინადში ირაკლის ოჯახობის მტრები ქვებულია დანობით შეუჩნდნენ მეფეს, ამთენი ტყუილი ამბები უზიდეს მსაჯულს სოლომან ლეონიძეზე, რომ სახლით სულერთიან აიკლო. რა იყო მიზეზი? – აღამადხანის შემოსვლის დროს მეფეს ირაკლისთან არ დაესწრას და იმ მტრებს არა დაეშალოთ რა მეფეს ირაკლის დალუპა, რომ თვითონ თავისუფლათ იმოქმედონ იმსთან. აღამადხანის შემდეგ, მეფე ირაკლიმ დაინახა, სოლომან მსაჯული როგორ დააკლდა იმას, ამისთვის ამის შემდგომ, ექვს თვეს უკან კიდევ შეირიგა, მაგრამ რაღა დროსი იყო?

– „სწორეთ ჩემო ხელმწიფეო“.

„მეფე პატარა ხან დაფიქრდა და მასუკან ბძანა“.

– „მაშ ჩემაგიერ ეხლავ ჩემი კაცი გავზავნე, საჩქაროთ მოვ-იდეს“.

„გამოველ, გავგზავნე და როდისაც შეველ, ისევ ისე დავჯექ იმის შორიახლოს და კიდევ იმაზედ დავინწყეთ ლაპარაკი. პატარა ხანს უკან სოლომან მსაჯულიც მოვიდა და მეფემ სიამოვნით შესძახა.“

– „ჩემო სოლომან, დაგივინწყე, მოდი აქ ჩემს სიახლოვეს დაჯეე“.

– „რათა ჩემო ხელმწიფეო, მიკვირდა და ეხლაც მიკვირს თქვენგ-ნით დავიწყება?“

– „ვეღარ გენდობოდი“.

– „რაო ჩემო ხელმწიფეო! – დედამინა უნდა გასქდეს, ჩამიტა-ნოს, რას მიბანებ?“

– „სოლომან, იცი რა ანბავი არის?“ –

– „არა შეინჭიმე, არა ვიცირა“.

„მეფე მე მამიბრუნდა, მითხრა“.

– „შენ მშვენივრათ იცი ლაპარაკი,¹ ჩემი განჯისხანთან ლაპარა-კი და ეხლანდელი შენიც, სულ უანბე მსაჯულს. მე მომატებული ლაპარაკი აღარ შემიძლიან“.

„მოვყევ, რომ უანბე, სოლომანმა დაიძახა“. – „ოჳ ღმერთო, რა ანბავი ყოფილა ჩვენს თავზედ?“ და ძალიან შეწუხდა, ბოლოს კიდევ მეფეებ.

– „ახლა რა ვქნათ, ჩემო სოლომან?“ – უბძანა.

– „ჯერ მაგისი საფუძველი წვრილათ უნდა შევიტყოთ, მერეთ საქმეს შეუდგეთ და ეს ამბავიც დრომდინ დარჩენილი უნდა იყოს, რომ არავინ შეიტყოს“. მსაჯულმა მოახსენა.

– „ვინ შეიტყობს, ახლა ვიღას ვენდობი?“ –

– „ახლა ჩემო ხელმწიფეო, ამ საქმეში მე და ეს ვკმარვართ, ჩვენ-ზედ მოანდეთ და ჩვენ ვიცით როგორც შევიტყობთ ყველას“.

– „ღმერთმა წარგიმართოთ“. მეფემ გვიბძანა. ვახშამი მოატანი-ნა. ვახშის შემდგომ აღარ გამოგვიშო, იქვე მეორეს ოთახში ქვეშაგები გავგიმლევინა და გვიბძანა იქ დაგვეძინა. მაგრამ როდი-საც შევედით, კარი რომ მივგულე, თავთავის ქემაგებზე დავსხედ-ით, მაშინვე ლაპარაკი დავინწყევით; იმ ღამეს აღარც დაგვიძინია, სულ გათენებამდისინ ვიღაპარაკეთ, ტანისამოსი ვეღარც კი გა-ვიხადეთ, ასეთ გართულს ლაპარაკში შევედით. დავაწყევით, რო-გორ და ვითარ შევიტყოთ ეს ანბები, ამის საფუძველი? – ვთქვით: სომხებში უფრო ყველას შევიტყობთ, მინამ ქართველს თავადებში

¹ მართლა მშვენიერი სიტყოვანი იყო.

და იქნება ქართულს გუჯრებშიაც იყოს რამე ძველი ნაწერი წიგნები რუსეთიდგან, რადგან რუსეთს დიდი ხანია შემოთვლილობა აქვს საქართველოს მეფეებთანათ. ასე დავაწყევით და პატარა ხანს უკან მეფეს ვახელით.

„მეფე სრულობით ჩაცმული იყო, ყავას ჩვენ გველოდა, ერთად დაგველია, რომელმაცა ისევ ისე დაგვსხა და გვეითხა. რა დააწყევით, როგორ მოილაპარაკეთო? – ჩვენ ყველა მოვახსენეთ. მოინონა, მაგრამ ეს შენიშვნა გვითხრა.“

„სომხებში რომელი გამოიკითხავთ და ან გუჯრებს რომელი გასაჩერეკთ?“

„რადგან სომხებში მე ბევრი მეგობრები მყვანან, იმათგან მე ყველას შევიტყობ და გუჯრების საქმე კი ამის ხელობა არის, ეს კარგათ გამოიკვლევს“. მსაჯულმა მოახსენა.

„ამის შემდგომ ყავას სმა დაუწყეთ. ამ ყავის სმაში მოსამსახურები გაგზავნა, მოქალაქეები და პირველი ბაზრის კაცები დაიბარა, მეფესთან მოსულიყვნენ ენახათ. ყავის სმა რომ გავათავეთ, მსაჯული ნავიდა. მე ამ დროს მეფის ბარათი მამაგონდა; ვთხოვე და მიბორა თავის ბეჭდის დაკვრით, რომ სადაც მივსულიყავ გუჯრების გასაჩერეკათ, მოეცათ და იქიდგან რაც მდომოდა, ნამომელო“. „

ეს ამთენი წვრილად დაწერილობა საჭირო არ იყო, მაგრამ მე დუბრუებინისთვის, იმის დოკუმენტების შესამუსრად დავწერე. ნამკითხულმა აღნერილი რომ ნაიკითხონ, ყოუელი სულ დაინახონ, თავის უბედურის საქართულოს მონამეს მეფეს ერეკლესა რა უყვეს; მოტყუებით თავიანთი მსხვერპლი როგორ გახადეს და ბოლოს თავის მონამეობის მსხვერპლი, თავისთავის გასამართლებლად? აი როგორ უსვინდისოდ თავს იმართლებენ, რომ თავიანთი მეფისა და საქართულოს ამოფხვრა როგორმე მიჩქმალონ. თავიანთის საშინელის ცფიერობაც ნმინდას პატიოსანს დედაკაცს დედოფალს დარიას დააბრალონ, მეფის ირაკლის ოჯახობის და საქართულოს საშინელი საიდუმლო დაქცევა, მითამ მეფის ირაკლის ოჯახობის დაქცევის მიზეზი ის იყო. არა გამოჩნდეს რა ცხადათ. რა გაერყობა. ყოველი ძალა იმათთა და ძლიერება. იმათ ნინაშე უბედურმა იმათ მონამ რა ქნას? – უსირცხვილოდ გაკეთებულის დოკუმენტებითაც ამტკიცებენ ამას, რომ იმათზე ეჭვი არავინ მიიტანოს. თუ კიდევ ასე დაწვრილებით მოვყვე წერას, მეტათ გაგძელდება. ამიტომ ახლა ნამეითხველს არ მოვაწყენ, ნამეტნავად მეისტორიებს. ამისთვის ახლა ამას უნდა შევეცადნეთ, რომ ყოველი ვთქუათ მცირედობით, მაგრამ ნათლად გარკვევითა.

მამა ეგნატი და მსაჯულ სოლომან საქმეს რომ შეუდგნენ, მამა ეგნატის მომატებული შრომა არ მიეცა, მცხეთის ეკლესიის გუ-

ჯრებში ერთი ძველი წერილი იპოვა და მეორე მცხეთის დეკანოზ-მა მისცა, საქართულოს მეფის ალექსანდრეს პირველისა, თავის ბეჭდით დამტკიცებული: ორი ღვთიური კეთილი ბერებიო მოვიდნენ ჩემთან რუსეთიდგან, დარჩნენ ჩემთან რამდენიმე წელიწადი, იმათ ქართული კარგათ ზედმინევნით ისნავლეს, ბოლოს იმათ მირჩიეს, როგორც რუსეთი რამდენსამე სამეფოთ არის გაყოფილი, ისე საქართულო ჩემს შვილებს გაუყო ქრისტეს გულისთვისაო, რომ იმათ ერთმანეთზედ გული ძვირი არა ჰქონდათ და თავთავისი პატრონი ყოფილიყვნენ. მეც ეს ჭკუაში მომივიდა და ჩემს სამსა შვილებს, სამ სამეფოთ გაუყავი საქართულო. ვიცი, ამის შემდგომ იმ ჩემს შვილებში დიდი ერთობა და მტკიცე სიყვარული იქნება და როდისაც ამ ჩემს წერილს წაიკითხვენ, უფრო გაერთდებიან, მაშინ მტრისა მტერნი უნდა იყვნენ და მოყვრისა მოყვარენი და სხუანი...¹

მეორე ეს წერილი მამა ეგნატის მისცა მცხეთის ეკლესის დეკანოზმა, მეფის ირაკლის დიდმა ერთგულმა და ესეც უთხრა მამა ეგნატის.

„რადგან რუსეთის საქმეებსა, იმათ ბოროტებას ეძებ მეფის ირაკლისა ბძანებითა ქართულებზე, მე უფრო კარგს წერილს მოგცემ დიმიტრი ბაგრატიონისაგან მონერილსა ჩემთან რუსეთით. ეხლახანს დაას ჩუმათ მამივიდა“, (მცხეთა). ყუთიდგან ამოილო მაცაო. ეგნატემა თქუა, მაგრამ თავისი სახელი არ მოეწერაო ვინიცობისათვის და დეკანოზმა კი დამარწმუნა, რომ სწორეთ დიმიტრი ბაგრატიონისა არისო. აი ამ წერილის აზრი.²

კვართი საუფლო ეკლესის დეკანოზო „მე შენი ანბები ყუელა კარგათ ვიცით: შენი ღვთის სათხოება, შენი კეთილმოქმედება, შენი სამსახური კვართი საუფლო ეკლესისა მცხეთას. შენი ღვთის სასიამოვნო ქადაგებანი და შენი თავშენირული ერთ-

¹ ეს წერილი უქრონიკონი იყო და არც ბერების სახელი ჩაეწერა. ეს არის ქართულური უთაურობა, რომელთაცა ჩუენმა მტრებმა ჩუენის უთაურობისა და ჩუენის სიმართლისა ქცევით ისარგვბლეს და ამისთვის მითიცაცეს ჩუენი ქუეყანა.

² ეს ორივ წიგნი და ბევრი სხუები სიიდუმლო წიგნებულ ბატონშვილს დედაჩემსა ჰქონდა. დედოფალი დარეჯან რუსების რომ მიჰყაულით, იმ დედებმა სულერთიან დედოფემისათვის მიჰყა და დაკრძალვით შენახუა ეპძანა, ისიც დაკრძალვით ინახამდა, რომელიცა ბევრჯელ საიდუმლოთ ნამაკითხებდა მე. 1832-ს წელსა ჩუენი შეთქმის გამო რუსებმა რომ დაგვიზრებს, დედაჩემს ის წერილები სულერთიან ანთებულს ბუსარში დაეწო, შემინებოდა: იქნება მეც დამიჭირონ და ესეები რუსებმა ხელში მაინც არ ჩაიგდონო. იმ მამა ეგნატესაც ბევრი საიდუმლო წერილები მეფის ირაკლისა, თუ სხუებისა, საიდუმლოთ თურმე ინასამდა, იმასც იმ შების გამო დაეწო და ვერც ვისმეს ენდო შეენახათ: არ გამცენო. ისიც ჩუენს შეთქმაში ერია, მაგრამ მხოლოთ ჩემთან ჰქონდა ხოლმე ლაპარაკი დიას მორიდებით. – თუმცა გაფთხილებით იყო, მაგრამ გულით ძლიერათ აღლებული იყო რუსებზე ის.

გულება მეფის ირაკლისა. იყავნ აგრე და კიდევაც იმედია, რომ მა-რადის აგრე იქნები“.

„მე რასაცა გნერ, გთხოვ ეს ნერილი მეფეს ირაკლის საიდუმ-ლოთ მიართო, წაიკითხოს, რა უქნია რუსეთს ჩვენთვინ, როგორ დაუღუპივართ, როგორის ეშმაკურის ცბიერობით, რომ ამას იქით მაინც გაუფთხილდეს და რუსეთის ხელმწიფობას აღარაფერში აღარ ენდოს, მე ესები სარწმუნო პირისაგან შემიტყვია ამ ახლოხ-ანში და მეც შენთვის მიცნობებია მცირედ-მცირედ გამოკრებით და დაიჯერე რომ ყოული მართალია“.

„როგორ ვიფიქრებდი და ან რა საფიქრელი იქნებოდა, რომ ადრიდგანვე რუსეთი შევიდოდა წმინდა მოწამეს საქართულელოს დაღუპაში და აღამამადხანის მოყვანაც რუსეთის ბრალი იქნებო-და, რომ უკანასკნელი სულიც ამოხადოს საქართულელოს?“

„გარკვევით რომ დავინახოთ ესები, აბა გაიგონე მამაო? – პირ-ველი, საქართულელოს პირველის მეფის ალექსანდრეს დროსა, საქა-რთულოს სამათ გაყოფა რუსეთის რჩევა არის, მითამ ქრისტიანო-ბის გულისათვის, რომ თავიანთის განძრახულებისამებრ, რადგან ამ განყოფილებით იმათში უთანხმოება დაიბადებოდა და რადგან ადრიდგანვე დაძაბუნებულიც იყო საქართულელო მტრისაგან, ახლა ამის გამო აქედგან ადვილად დაიწყობოდა საქართულელოს დაღუპა გარეშე მტრებისაგან და იმითი საქართულელო უკანასკნელამდის-ინ რომ დასუსტდებოდა, ბოლო დროს თვითონ დაიპყრობდა. ასე წინათ უფიქრია რუსეთს!“¹

„მეორე, ამის შემდგომ დრო რომ გამოსულა, რუსეთის ხელმ-წიფების ცდითა, მანდედამ და აქედამ, დესპანებსა სიარული დაუ-წყიათ ერთმანეთში, რუსეთის ხელმწიფებს და ამათ დესპანებსა, სულ ამაო იმედები მიუციათ საქართულელოს მეფეებისათვის და იმათი მატყუებელი მრჩევლები შექნილან, სადაც ერთმანეთის შორის დიდი შურიც ჩამოუგდიათ, როგორც მეფეებში, ისე ოთხ-სავ კუთხივ მთელს საქართულელოში, იმ წრფელს უმანკოს ხალხ-ში, ამისთვის რომ ის ჩუქნი ქართულები იმათთან, ერთმორჩმუნე გულით მინდობილი ქრისტიანები იყვნენ და რუსეთის ხელმწიფეე-ბის ხელქვეითი რუსები კი ტყუილი მომაჩუენებელი ქრისტიანები, რომლებიცა ამის სახელითა მართალს ქართულებსა ატყუებდნენ და გარეშე მტრებზე ჰყიდდნენ თავიანთის დაუნდობლობის აზრის-

¹ თუმცა ადრიდგანვე დაძაბუნებული იყო ეს ქუეყანა, მაგრამ იმ პირველის მეფის ალექსანდრეს დროსა, ხუთი თუ ექვსი მილიონი ხალხ კადევ იყო საქართულო-ში ქართულები და შემდგომათ სამ სამეფოთ და ხუთ სამთავროდ რომ გაიყო საქართულო, ერთი ერთმანეთის უთანხმოებით, გარეშე მტრებმა დამცირებაში შეიყვანეს საქართულო, აი ამ განწირულებამდისინ.

ამებრ, საქართულოს დასაპყრობლათ“.¹

„და მესამე. მოკლეთა ვთქვათ, რომ რაც საშინელი ვაება მოსვლია საქართულოს, ჩვენი პირველი მეფის ალექსანდრედგან აქამომდე, სულ ბრალეული რუსეთია და შემცოდე წინაშე ღმერთ-თან ჩუენის დალუპვისათვის სხუებს დავეხსნათ, აი ახლა აქედგან მოვყუთ“.

„სპარსეთის ხელმწიფე შააბაზსა რუსეთის შეჩენილმა კაცებ-მა, ჯერ საქართულოს მეფის ოჯახს ის უბედურება დაამართ-ვინეს დედოფალ ქეთევანის წამება, მასუკან გამძინებული გამო-ალაშქრეს თვით შააბაზ, რომელმაცა საქართველო დასცა, რაც ქართულები გაწყვიტა, ხომ გაწყვიტა, სხუა რასაც ხელათ მოას-წრო, ნახევარი მილიონი მეტი ხალხი სპარსეთში გაირეკა და ვინც გზაზედ უწყალო სპარსელების სიკვდილს მოურჩინენ, აქა-იქ სპარ-სეთში დაასხლეს; იქიდგან აქამომდე გარეშე მტრები, ლეკები თუ სხუები საქართულოს გასაოხრებლად არ დაწყნარდნენ. მერე რო-გორ? ძალზედ საშინელებით. აი რუსეთის გულუხვი მოწყალება ჩუენს ქართულებზე“.

„იმ დიდი დავით ქსნის ერისთავიდგან აქამომდე, რაც ლალატი მეფეს ვახტანგს უყვეს, ანუ მეფეს თეიმურაზს, ანუ მეფეს ირაკლი-სა და ან საქართულოს, სულ რუსეთის შეჩენილმა კაცებმა აქმნევ-ინეს. ისინი წრფელნი იყვნენ, მაგრამ მედიდურნი და ამისთვის აქა-ურმა ეშმაკებმა გადუყენეს მეფებსა ის ქსნის ერისთვიანები. მე იმათ საქმეებთა შორის ერთს მაგალითს მოვიტან, მეფე ვახტანგ აქ რუსეთში რომ მოიყვანეს, შანშე ერისთავიც შემდეგ წამოვიდა და რუსეთის კარსა სთხოვა, ისიც შეიწყნარონ, რომლებმაცა ბოლოს უეცრათ უთხრეს შანშეს ქსნის ერისთავსა, იცოდნენ იმის აღელე-ბული ხასიათი. შენი ძმის იასეს ცოლი, თავის სამშობლოში მიმა-ვალებულა კახეთს, არაგვის ერისთავიანი დახვედრიან, ცხენიდგან გადუღიათ და თქეუენი მტრობის გამო უპატიოდ გაუხდიათო. გუ-ლით აღელებული შანშე გადირია, საჩქაროთ რუსეთიდგან გამოი-ჭრა და ის საქმე მოახდინა, რაც ყუელამ იცის. როცა ის წამოვიდა, აქ რუსეთის ეშმაკებმა კი ხმა დაუგდეს შანშეს, რომ რუსეთის ხე-ლმწიფემ არ მიიღო, დაითხოვაო. ეს სულ ტყუილია, იცოდნენ, რომ

¹ ეს ნიკოლოზ დეკანზის წამდვილი გვარი ბიჭიაშვილი ყოფილა და მეფე ირაკლის ერთგულობისათვის ამოწყვეტილი აზნაურის ამირეჯიბაშვილის გვარი მიუცია და იმის ყმა და მამულიც ს. ანაგში (ქიზიყს.) ეს დეკანზი მგონია რუსეთშიაც ყოფილიყუეს და დიმიტრ ბაგრატიონი იქ გაეცნას? – მეფე ირაკლიმ თავის შეილი ანტონ კათალიკოზი (ჯერ მაშინ ქათალიკოზათ არ იყო). რუსეთში რომ გაგზავნა, ის ნიკოლოზ დეკანზიც იმისთვის გაეტანებინოს? - ეს ისე, გაკვრით უთქეუამსთ, მაგრამ მე ეს კარგათ კი არ გამამიკითხავს, არ ვიცი, მართალია თუ არა ეს? –

შანშე ერისთავი თავის ოჯახის ამისთანა უპატიობას არ დასთ-მობდა და ამიტომ ქართულების არეულობისათვის, ეს ამისთანა შემთხვევა დროზედ მოესწრათ; შეჩენილმა კაცებმა ასეთის ცუი-ერობით აშფოთეს შანშე, რომ გიუსავით გამოიჭრა. ბოლოს მაინც კიდევ ეს გულწრფელი და გულაღელებული გუარი აღარ მოასვენეს შეჩენილმა ცფიერებმა. ამათ მეფეს ირაკლიზედ ამბავს უზიდავდნენ, რომ მეფე ირაკლი წახდენას გიპირებსთო და მეფეს ირაკლისა უზიდავდნენ, ქსნის ერისთვიანი ცოლშვილებით გაწყვეტას გიპირებენ. იმათ იქამდისინ მიიყვანეს ლაპარაკი, რომ ყულარალაზი გიორგი ქსნის ერისთავი მეფეს ირაკლის გაუდგა მაგარ ლიახვის ხეობაში და ბოლო დროს მეფე ირაკლიმაც იმათ ყმა და მამული ჩამოართო, მაგრამ მაინც კიდევ ეს გუარი აღარ მოასვენეს შეჩენილებმა; ბევრი ტყუილი მტრობის ამბები უზიდეს მეფის ირაკლისა იმათ და დაუძინებელ მოსაქმე მტრები გახადეს ქსნისერისთვიანნი მეფისა“.¹

„გივი ამილახუარის ამბებიც ხომ იცით, რა საქმე უყო საქართულოს? – ესეც სულ რუსეთის შეჩენილმა კუდიანებმა აქმნევინეს, მითამ ქართლის მეფობის ასადგენათ. ასე აგონებდნენ გივსა და ამ აზრზედ ასაქმებდნენ, მაგრამ ამაში საქართულო დასუსტებინეს დასაღუპათ“.

უბედური მეფე ვახტანგ რა რიგათ მოტყუებული ჰყოლიათ რუსეთის ცფიერებსა? – იქამდისინ უეშმაკიათ, რომ ჯერ რუსეთში წამოუყვანიათ, მასუკან დალისტნისაკენ გაუგზავნიათ, მითომ თავიანთის საქმისათვის, მაგრამ იქიდგან საქართულოში შფოთები ჩამოუგდია შანშე ერისთავის შემწეობით და მერე ლეკების ასევით საქართულოზე, სადაც ასეულნიც იყვნენ, მაგრამ მეფე ვახტანგს უფრო კიდევ გაუმნებია, რომლებიცა თურმე შერიგებას აპირებდნენ მეფეს თეიმურაზთან. აი ასე დაუბრმავებიათ გონებითა მეფე ვახტანგ. ამის შემდგომ წარმოიდგინე, როგორი ცფიერები უნდა იყვნენ რუსები, რომ იმისთანა გონიერი კაციც ასე მოტყუებული ჰყუანდათ იმათ. – ამ მეფის ვახტანგის შემდგომ, მას უკან ამის შვილი ბაქარ ჩაუყენებიათ იმის ადგილს და ახლა ამას უღელებია ქართულები ერთმანეთზე, გივი ამილახვარის წინამძღოლებით საქართულოში, სადაც ქართულები ერთმანეთსა სწყუეტდნენ სოფლების გაოხრებამდისინ: მეფე თეიმურაზ სპარსელების შემწეობით და გივი ამილახვარი ლეკ-ოსმალოს მოხმარებით. ამ

¹ მეფე ირაკლი ერთხელ ასე შეაშფოთეს შეჩენილებმა, რომ დიდი სამჯავრო განაჩინა იმათზე და იმ სამჯავროთი ასე დაისაჯნენ ისინი დიდი აღთქმა ფიცით: იმათ ყმა და მამული არასდროს აღარ დაებრუნოსთო.

წყეულებისაგან და ამ შეჩვენებულებისაგან დაინახეთ, რა ანბავი ყოფილა საქართულებიში იმ გულმართალს ქართულებზე?.. არა, ის პატარა ბატონიშვილი, მეფის ვახტანგის ბუში სადღა მოაგონდათ, რომელიც იმ დროს ქ. ტფილისში იყო და მეფე ირაკლი დიდის პატივით აცხოვრებდა, როგორც მეფის ვახტანგის შვილს ეკადრებოდა. – იმას ცვიერი კაცები შეუჩინეს, მოატყუეს და მეფეს ერეკლეს ცოლ-შვილებით განყვეტას უპირებდნენ. ამ საქმისათვის ბევრი მომხრეები იშოვა, ანუ უფრო აშოვნინეს, მაგრამ მეფის ირაკლისა-გან ისინი ძალიან დასჯილი შეიქნენ. დიას კარგათაც ქნა, ამისთვის რომ თუ ასე არ ექნა, მასუკან გაფთხილებით სრულიად ამოსწყვიტნენ.¹

„ბოლოს დროს რომ ამით დავისრულოთ, ბაქარ ბატონიშვილის შემდეგ, მასუკან სომხების არაჩნურთი ოსეფა არღუთაშვილი, უფრო წრფელი კაცი ჩაყენეს იმის მოადგილეთ და იმას ხომ ძირით ამოაღებინეს საქართულო, აღამამადხახის მოყვანითა.

„ხედავ მამაო დეკანოზო, მეც სულელი როგორი გაბრიყვებული ვყოფილვარ რუსების ხელქვევითებისაგან, რომ მეფეს ერეკლესა ყუელგან ვაგინებდი და რაც შემეძლო, ვთხრიდი იმას, იმ ჩუენი მშობლის მამულის მონამეს ერეკლესა! ღმერთმა იმას მშვიდობა მისცეს, ვინც ესეები ყუელა სწორეთ მიანბო და მეფეს ერეკლეზედ ეს საძაგელი აზრები გამომიცუალა. მე ესენი მოკლეთა ვთქვი, თორემ იმ პირისაგან ნაამბობი ბევრი არის; მომატებულად აღარ გავავრცელე, ესეც კმარა, მაგრამ შენს მადლს, ამ წერილსა გაუფრთხილდი და მეფეს ირაკლისაც დიას საიდუმლოთ მიართი. ეს წიგნი დიას სარწმუნოს კაცს გამოვატანე, იმედი მაქვს, უთუოთ მოგივა. ვაიმე რომ რუსების ჯავრი საფლავში ჩამყუება.

გულით და სულით შენი პატივისმცემელი. (მოწერილი არ იყო სახელი).²

ამ წიგნის კითხვა რომ გაათავა მამა ეგნატიმ, დეკანოზსა ჰკეითხა:

–მიკვირს ეს წიგნი აქამდისინ რატომ არ მიართვი მეფეს ერეკლესა?

–ახლახანს მამივიდა და ესეც მითხრეს, რომ მეფე ერეკლე შეუ-

¹ მე ეს დაბეჭდილიცა მაქეს ცისკარში.

² დარეჯან დედოფალი რუსეთში რომ წაიყვანეს, მამაჩემიც იმას გაჰყვა; ნათე-საობის გამო დამიტერი ბაგრატიონი ენახა, თურმე ძალიან იამა მამიჩემის ნახვა და იმასთან დარჩენილიყო რამთხვიმე დღე. ბოლო დროს იქ ყველა ელაპარაკა და იმ წიგნების ამბავიც ეთქუათ, რომელსაცა ძალიან სიამოვნით მიეღო და დიდათ ეთხოვნა საშვილიშვილიდ შენახულიყო. ბატონიშვილსაც ასე სთხოვე ჩემაგიერ-ათაო(დედა ჩემსა).

ძლებლობს და არავის ინახვინებსო, დეკანოზმა უთხრა.

ამის შემდგომ სოლომონ მსაჯული და მამა ეგნატი მეფეს ერ-ეკლესთან შეიყარნენ, მამა ეგნატიმ ის წერილები წარუდგინა. მასუკან რაც ზევით ნაამბობი იყო მამა ეგნატისაგან, სოლომან მსაჯულმაც ისე უანბო და ბოლო დროს ესეც დაატანა: საქართულოში ის დიდი ჭირიანობა რომ იყო, სადაც აუარებელი ხალხი გაწყდა, მასუკან რამდენსამე წელინადს უკან კიდევ რომ გაჩნდა; რუსებისაგან მოსყიდულ ვაცებს ოსმალოში იმათ შემოუტანიათ ის ჭირი ჭირიანის ძონქებითაო. თურმე გლეხის ხიზნებში უყრიდნენო. საქართულოში ხალხი ამით რომ დასუსტდებოდა, მერეთ თვითონ ადვილად დაინარჩუნებდნენ საქართულოს რუსები¹.

მეფე ერეკლემ შეძრნუნებით ჰკითხა:

—როგორ რაო ვინ გითხრა მაგისთანა მოუფიქრებელი საქმე? —

—ჩემ მეგობარმა მისკარბაშია იოსებ ბერუთაშვილმა. საიდუმლოთ შევიყვანე, გავტეხე, დიდ სვინიდისში ჩავაგდე და სუსუელა წვრილათ დიდის სინაულით ცრემლით მიანბო.

—არ შეიძლება რომ მისკარბაში აქ მოვიყვანოთ? — მეფემ უბდა-

ნა.

—ისიც გევედრებათ ინახვინოთ.

საჩქაროთ კაცი გაგზავნეს მოიყვანეს. რა შემოვიდა, მეფის წინ დაემხო, ქეჩიოზედ აკოცა და მასუკან ორ მუხლზედ დაჩოქებულმა ცრემლით მოახსენა:

—ჩემო ხელმიწფე, ჩასაქოლავი ვარ, როგორ მოვტყუვდი, როგორ გამაბრიყვეს თქვენზე, ტვინი აღარ დამრჩა თავში. — თქუენ რომ მაპატიოთ, ღმერთი გადაძახდევინებს. ისევ თქუენ დამსაჯეთ, ღმერთი გადლეგძელებს, და სხუანი.²

¹ მამა ეგნატი და სხუები ერთად რომ იყვნენ ხოლმე და რუსებზე უკმაყოფილოდ დაიწყებდნენ ლაპარაკსა, ის ამის მეტს არას იტყოდა: ძნელი თესლი არიან რუსები და გაჩუმდებოდა. ამ ფაკტებით კარგათ იცოდა, რაც იყვნენ რუსები და ამიტომ ამას იტყოდა, აზრებით სამსეს ამ თოსს სიტყუას: ძნელი თესლი არიან რუსებიონ. იმ პირველი დიდი ჭირიანობის მშებები ბევრი გამიგონა, იმისი საშინელი მოქმედება, რომ ბევრი სოფელი თურმე ამონცდა და ყოველს სულსა მკვდრის ფერი ედოთ სახეზე, მეც სადაც არის გამიტანს ჭირი. მთელი საქართულოს სოფლები სულ ტყეებში დახიზნული ყოფილან და ერთი ერთმანეთს ძნელათლა უდგებოდნენ, ისიც შორიდგან დაძხებით. მეფის ირაკლის სიკედლის დროსაც გააჩინეს ჭირი თელავები (იყო კი მსუბუქი), რომ ხალხში შეყრილობა არა იყოს რა და კარგი საქმე არა დაწყონ რაო, მაგრამ მაინც კიდევ ხალხი თავისას არ იშლიდა და მეფის ერეკლეს გვამსა გარსა ეხვეოდნენ დიდის მონინების პატივისცემით და დიდის გულის მტკიცნულობითა, კაცები თუ დედაკაცები.

² ამას ხომ ასე ამბობს ეს მისკარბაში იოსებ, ბოლო დროს მეფის გიორგის დროს კიდევ შეაცდინეს და სამეფოს ოჯახობის დასამხობათ კიდევ რუსებს მიუდგა. ამ

მეფემ ირაკლიმ უბძანა:

—მისკარბაშო, ვინც უნდა მოტყუებულიყო, აშხართბეგის შვილები კი არ უნდა მოტყუებულიყავით, იმისი დანთხეული სისხლი ჩუენთვის თვალთ წინ უნდა გქონოდათ, ის იმისი მსხუერპლი. მე რომ ეხლა ბევრი ვილაპარაკო, რა იქნება, აღარა გაეწყობა რა. რაც მოგვივიდა, სულ ჩუენმა სიმართლემ გვიყო, სუყუელანი ამან დაგვაბრმავა, მე ამასა ეხლა ცხადათ ვხედავ, არაჩნურთი იოსებ არლუთაშვილი, ის მართალი კაცი დიდ პატივცემულს წიგნებს რომ მწერდა და მეც ისეთს წიგნებს ვწერდი, ბევრს დაპირებას ეკატირინა ხელმწიფისაგან და მეც მადლობას განუცხადებდი ხოლმე, თურმე ეს ნდომიათ რუსებს ჩემთვის და ჩუენის ქუეყნისათვის. ამის შემდგომ მისკარბაშო, არამც თუ შენთვის, ყუელასთვის მიმიტევებია და სხუანი...

გასუკან მიშეარბაში დაითხოვა და ისიც ნახევარ მკვდარი წამოვიდა. ეგნატე კიდევ მოჰყვა.

—ის რომ წამოვიდა მეფემ ჩუენ გვიბძანა: ამ ოცდაათის წლის წინათ, ასე სწორათ და დარწმუნებით უნდა შემეტყო, რუსეთისთვის მეჩუენებინა, ვინა ვარ მე, რომ სპარს—ოსმალოს დავმეგობრებოდი და მთელი კავკაზია რუსეთზე ამემხედრა, მაშინა ნახავდნენ ისინი თავის ყოფას, მაგრამ მოხუცებულობაში მე ეხლა რაღას მოვასწროფ, ნამეტნავათ სწეულობასაც ვგრძნოფ, განჯიდვანვე ავათა ვარო. მაინც მეფემ მეორე დღეს ჩუმათ კაცები გაგზავნა და ახალციხიდგან ფაშის პირველი კაცი დაიბარა, ¹ მაგრამ დღითი დღე ძალიან მოემატა სწეულობა ჯავრით და წყალმანკი შეუვიდა გულში, რომელმაცა დედოფალს მისწერა წიგნი თელავში დიახ მცირეასე.

„ოჳ, ჩემო უსაყვარლესო დედოფალო დარეჯან! დილაზე რომ გამოვალ, ტფილისისაკენ გადვიხედამ, საშინელი მწუხარება ამიტანს, მაშინვე თავბრუ დამეხვევა, თუალთ დამიბნელდება, ბარბაციო შინ შევალ, ტახტზე დავეცემი და მნარეს ქვითინს ამოუშვებ მე უბედური. თუმცა სხუა და სხუა ბევრს წუგეშს ვეუბნები ქალაქის მცხოვრებთ, მაგრამ ეს-ეს არის, მე ვერ გამოვდგები. ახლა ამის მეტი წუგეში მე აღარა დამრჩმია რა ჩემო უსატრფიალესო დედოფალო, რომ ჩქარა მოვალ თელავს, შენთან ღმერთს მივართმევ სულსა და ვისგნითაც უბედური ყოფილა ჩუენი ქუეყანა, ანუ ჩუენი

მისკარბაშს მე კარგათ ვიცნობდი, მეტი წრფელი და გულჩვილი კაცი იყო.

¹ ახალციხიდგან ის ელჩი თელავში მოუვიდა, დიდის პატივითაც მიიღო, კარგი პირობითაც შეიკვრნენ და საუცხოვო საჩუქრებითაც გაისტუმრა, მაგრამ რაღა დროსი იყო, მეფეც ჩქარა გარდაიცუალა.

ოჯახი, იმასაც წვრილათ შეიტყობ.“

შენი ერეკლე¹

აქედგან ამ ქ. ტფილისიდგან ნოემბრის თვის დამდეგს წავიდა თელავისაკენ ტახტრევანდით წყნარ-წყნარა მოსვენებით, და იქ თელავში გადიცუალა 1798-სა წელსა იანვრის 11-სა დღესა. განჯის ციხიდგანაც ქ. ტფილისში მოვიდა, როგორც ზევით ვთქვი, ან სეკ-ტემბრის გასულს და ან ოკტომბრის დამდეგს 1797-სა, მაშასადამე როგორც დუბროვინი ამბობს: წელინადები (გოდა) იყო ავათაო. არა, უფალო დუბროვინო, არა წელინადები (გოდა) იყო ავათ დედოფალს დარევანთან, არამედ ორი თვე. ცილის მწამებელნო, თქუენს სახე-სა განითლების წაცლათ, შავი გადაკრია ზედა.

ეს ამთენი აღნერილობა დუბროვინის იმის დოკუმენტებისთვის ავნერე, წამკითხველმა ეს აღნერილი რომ წაიკითხონ, ყოველი ნათლად დაინახონ, მამულის მონამეს მეფეს ერეკლესა რა უყვეს მოტყუებით თავიანთი მსხვერპლი როგორ გახადეს და ბოლოს თავისთავის დასაფარავათ, როგორ უსვინდისოთ თავს იმართლებს, რომ მეფისა და საქართულოს ამოფხვრა როგორმე მიჩქმალონ თავისგრით და ის თავიანთი საშინელი ცფიერება, წმინდას პატიოსანს დედოფალს დარიას დააბრალონ, მითამ მეფის ირაკლის ოჯახობის დაქცევის მიზეზი ის იყო. უსირცხვილოთ გაკეთებულის დოკუმენტებითაც ამტკიცებენ ამას, რომ იმათზე ეჭვი არავინ არ მიიტანოს.

აბა ამ საქმეების შემდგომ, სულის ამოსვლამდინ საქართულოს მართველობაზე ხელი რომ არ აუღია მეფეს ირაკლისა, სადაცა აქვე ამ წერილში კარგათა ჩანს უკანასკნელს უამამდინ იმისი მცდელობა, მაში ის მოგონილება რა საკადრისია, ანუ თუ ფაკტია რამე იმაზედ? იცოდეთ, რომ თავიანთის თავის გასამართლებლათ არ დარიდებიან ამ უსვინიდისოს მოგონილებას, იმათვის ტყუილი კარგი ტკბილი არშატია დასალევი. ოლონდ ყველგან კარგათ გამოჩენილი კი იყვნენ ისინი, მითამ ყველაფერში მართალი არიან, როგორც წმინდა წათელი ღვთისა (!), თორემ სხვები იმათვის სულ არაფერი, როგორც მდინარეში ჩაგდებული ჩალა.

იქვე ამბობს დუბროვინი: თუმცა რჯულისდებით მეფობა საქართულელოში არა ყოფილა, მაგრამ მემკვიდრეობით უფროს შვილსა მისცემია და გარემოებისა გამო ძმასაც მართებლობა მიუღია და ქალი თამარ მეფათაც იყოვო. აი აქვე ჩანს, რომ საქართულოში მეფობა არეულათ ყოფილა, უწესოთა, ამისთვის აქაურის ჩუეულობიდგან აუღია მეფობა – მეფეს ირაკლისა, სადაც თავის ანდერ-ძში საუცხოოთ არკვევს საქართულოსთვისა მეფობასა და წესს

¹ ეს წიგნი „თელავის“ აღნერაში მაქვს დაწერილი 1857-სა წელსა.

უდებს. 58-ი პუნკტი არის წესდებულება საქართულელოს მეფობის და როგორიც წესი დაუდვია, კარგი რიგიანი მეფობის აზრი არის გამართვისა! დღესაც ოსმალოში ამ წესდებულობით ასე არის, რომ სახლში ხნით უფროსსა მიეცემა მეფობა ამ განათლებულს დროში და აქედან რა ცუდი გამოდის ხელმწიფობისათვის ოსმალოში? –

ცოტა რომ ვთქუა, ის ანდერძის ნამდვილი პირი მგონია შვიდჯერ ან რვაჯერ წამეკითხოს, იმაში სწერს მეფე ირაკლი, აღთქმით ფიც-სა იმ ანდერძის არავისგან ცოდნას და მე ეს ჩემის გონებით დავწერე მარტომან და სხუანი.

მინამ მეფე ირაკლი მოკვდებოდა, წინა დღეს თავის შვილები და შვილიშვილები თავისთან მაყვანინა, გულმოდგინეთ დალოცა ისინი და ყუელას სთხოვა გიორგი ბატონიშვილს მორჩილებდნენ: მეფეთ ეს უნდა აღიაროთ ყველამ და შემდგომ ხნით უფროსი ვინც იყვნეთ, იმათ მიიღონ. ყუელანი ერთპირათ თანახმანი შეიქნენ და ბოლოს უთხრა.

– „მე ამაზედ ანდერძი მაქუს დაწერილი, იმისი არავინ არა იცის რა და ის ანდერძი მცხეთის დეკანოზს წიკოლოზთან არის ჩემის ბძანებითა, მინამ მე არ დამასაფლავებენ, არ გამოაჩენს და შემდგომ მოგართმევსთ. შეუდექით ისე, რაც იქ სწერია და უთოთ ყუელა წმინდათ აღასრულეთ ის ანდერძი, თუ თქუენი ოჯახის ბედნიერება გინდათ“, და სხუანი. ამის მეტი მეფეს ირაკლის ფიქრში სულ არა მოსვლია რა, არამც თუ მ. გიორგისათვის სხუა რამ წიგნი მიენეროს. ის სხუა წიგნი მტრებმა გააკეთეს. აბა ყური დაუგდევით, ვითარ და როგორ – ის წიგნი 28-ს მაისიდგან 1794-ს წელსა, მითამ მეფე ირაკლი თავის შვილს გიორგისა სწერდეს სამკვიდროს მეფობაზედ: ჩემი ნება არ იყო, ისე დამაბეჭდინეს ის წერილიო. ის წერილი იმათგან არის გააკეთებული, რომლებისაც სახელები ზევით ითქუა, ესენი ჩუქენ ყუელა კარგათ ვიცით, მეფის ირაკლის ცხედარი რომ დაასაფლავეს მცხეთის ეკლესიაში, ის წერილი იმ ღამეს საიდუმლოთ გააკეთეს, მეფის ირაკლის ბეჭედის დასმით და ასე უსირცხვილოთ დაამტკიცეს.¹ ესენი ჩუქენთვის სულ ცხადია, მაგრამ მინამ სულერთიანათ მეფის ირაკლის სახლეულობა რუსეთში არ გადაიყვანეს, იმ დაბეჭდილის წერილისა არავინ არა იცოდა რა და შემდგომში დაიწყეს ლაპარაკი მაზედ, მითამ რუსეთის მთავრობა სრულიად უმანკოა საქართულოს დალუპაში. ესე იგი იმ 51-ს გვერდზედ რომ არის მაშინდელი რუსეთის მთავრობის ჩინოვნიკის კოსტანტინოვისაგან მეფის ირაკლის წიგნი თავის შვილს გიორ-

¹ ეს ბეჭედი პეტერბურღში მტრებმა გააკეთებინეს მეფის ირაკლის ბეჭდისთანა. ეს უფრო გარკვევით ზევით ითქუა.

გისთან დიდი რწმუნებისა; სიტყვითი-სიტყვით გადათარგმნილი ქართულიდგან რუსულათა. აბა კარგათ, გულისხმიერათ წაიკითხეთ მაცოტურებისაგან გაკეთებული ის წიგნი. – აი კარგი რიგიანი ოსტატური გაკეთება, რომელსაცა ვერა ცბიერი იმისთანას ვერ მოიგონებს, რომ სულ ეჭვი ვერა მიიტანოს რა იმათზე, ვინც წამდვილად ის იმათი ანბები არ იცის.

მეფე ირაკლი რომ გარდაიცუალა, იმის მესამე დღესვე მეფის ირაკლის სახლეულობაში სამდურავი უნდა ჩამოეგდოთ და მასუკან იქიდგან შფოთიც დაიწყობოდა იმათში. დააგდეს ხმა მალე დამჯერებელს ქართულებში, გიორგი ბატონიშვილს პირობა აქვს რუსეთის ხელმწიფესთან, რომ საქართულო იმას უნდა მისცეს, რადგან თვითონ სნეულობს; ამაზედ ყუელას ჩუმათაც რწმუნება დაუწყეს, ამის გამო ბევრი შეითქვნენ: გიორგის მეფობაზედ არ დავითიცოთ, იულონ დავსვათ მეფეთა. ეს სულ ოსტატობა იყო რუსეთის აგენტებისაგან, რომ მეფის სახლობა ორათ გახეთქილიყო, იმათში არეულობა მომხდარიყო. ეს ხმა რამდენსამე დღეს უკან ბატონიშვილს ანგონი ქათალიკოზს მოახსენეს. იმან დედოფალს დარეჯანს ჩუმათ განუცხადა, იმანაც ეს პასუხი უთხრა.

– „უკანასკნელად მაინც კიდევ არ ეშვებიან ჩუენის ოჯახის დალუპასა? – ეხლა რა თავი მაქვს, ყველა გითხრა შვილო, რაც მამაშენმა მეფე ირაკლი იმის სიკვდილის წინა დღეებში მითხრა რუსეთის ეშმაკობა ჩუენზე და ან რაც წერილები მამცა ჩუენი დალუპისა რუსეთისგან, ბოლოს სულ შეიტყობ. ეხლა ეგ ყველა შენს ძმას ბატონიშვილს გიორგის აცნობე, მაგრამ რუსებისაგან ჩუენის ოჯახის დალუპას კი ჯერ დრომდისინ ნურას ეტყვი, თორემ იმის მოუთმენელი გული ვერ დაიტევს, ამიტომ ყველანი სულერთიანათ გადით და ბატონიშვილის გიორგის მეფობაზედ ხალხი დააფიცეთ, იმისია მეფობა, ღმერთმა იმას მოახმაროს და ყველამ კიდეც მიულოცეთ.

მაშინვე თავის ძმას ბატონიშვილს გიორგის შეატყობინა; მოუთმენელიბის მრისხანებით კარზე გამოვიდა. ქათალიკოზი და ბატონიშვილებიც თან გამოჰყვნენ; ხალხში პირველად დარჩია მელიქი დაინახა და მრისხანედ შემოსძახა:

– დარჩია მელიქო, შენ არ გინდა დაიფიცო ჩემს მეფობაზედ? –

– „არა ჩემო ხელმწიფეო, ტყუილად მოუხსენებიათ“ (მაგრამ პირველი კი ის იყო).

კიდევ დაიძახა ბატონიშვილმა გიორგიმ.

– „შემოსილი ღვდელი მოიყვანეთ სახარებით და ჯვარითა.“ მოიყვანეს. –

„მელიქო, მიდი პირველად შენ დაიფიცე ჩემს მეფობაზე და ჩუე-

ნის ოჯახის ერთგულობაზე“.

მივიდა, დაიფიცა და მასთან მთელმა ქართლ-კახეთმა. პირველ რუსობის დროს საქართულოში როცა ის მთავრობის რუსი კოსტანტინოვიც აქ მოვიდა, მაშინვე გამოკითხუაში შევიდა მეფის ირაკლის ოჯახობისა, რომელსაცა ბევრი ავი უთხრეს მეფეს ირაკლიზედ და ნამეტანვად დედოფალს დარეჯანზედ იმათ დაუძინებელთა მტრებმა, იმასაც ის უნდოდა, დაეწერა რამე, მოჰყუა, დაწერა მეფის ირაკლის დამდაბლება და დარეჯან დედოფლის მოთხრა. ის იმათი მტრობის სიცრუუ და სხუებთა შორის, როგორც ზევითა ვთქვი, ის წიგნიც მტრებისაგან გაკეთებული, კონსტანტინოვი რომ ამბობს 51-ს გვერდზედ, სწორედ ისა.¹

ახლა ამის შემდგომ, ესეც გავიგონოთ, ეს უფრო კიდევ სახარბიელო, ნასაკითხი არის.

პირველი, თა ნიკოლოზ (კიკოლა) არღუთოვი, თუმცა ჩემი ისეთი მახლობელი მეგობარი არ იყო, მაგრამ რადგან ჩემ დეიდ-აშვილთ მუხრანიანთა² მოყვრობა ჰქონდა, ამის გამო მე იმათის მიზეზითა მახლობლად მიცნა და ბოლო დროს იქამდისინ, რომ ბევრჯელ მეტყოდა, ამ დაუნდობელს დროში ვერავის ვერ ვენდობი შენის მეტსა, თუმცა შენ ჩემი ისეთი მახლობელი მეგობარი არა ხარ, მაგრამ სწორეთ სანდო კაცი ხარ და შენთან შემიძლიან უუელა ვთქუა. ის ჩემთან არცარას მაღავდა. რაზედ მამყავს ეს ლაპარაკი, ახლა გამოჩენდება.

ხანდისხან ჩენ ძველს მართებულს დარბაისლებთან, მეც იმათთან ერთად ფულს გამოვიდებდით, გაზაფხულზე ბახმი სადმე სადილს გავაკეთებინებდით და გაზაფხულის სიამოვნით ბახში შევექცეოდით ხოლმე და ხანდისხან ერთმანეთსაც დავპატიჟებდით. ერთს იმისთანას დროსა კოსტანტინე მუხრანის ბატონი (ჩემი დედიდაშვილი იმ დავითის უფროსი ძმა, ოთხი ძმანი იყვნებ ესენი: კოსტანტინე, თეიმურაზ, გრიგოლ და დავით), ის კიკოლა და ბევრი სხუა ძუელი თავადები მე ჩუენს გარეთუბნის ბახში დავპატიჟე სადილათ, სადაც გაფორთვლილს დიდრონს კაკლების ქვეშ უცხოთ შევექცით. სადილს უკან ზოგი ნამოწვა, დაიძინა, ზოგმა ლაპარაკი საუბრობა დაიწყეს, მე და კიკოლა კი ხეივანში დავიდოდით ლაპარაკით. ჩუენი ლაპარაკი იქამდისინ მივიდა, რომ მე იმას ვკითხე.

— „კიკოლი, მე შენზედ დარწმუნებული ვარ მენდობი, მაში სწორეთ მითხარ, დედოფალს დარეჯანსა რა მიზეზით დასდეს ბრალი, რომ

¹ ამ კოსტანტინოვის ამბავი ადრევაც მითქუამს, ამ თექვსმეტს წელიწადს წინათ.

² იმისი სახლის ქალი სოფიო ჩემი დედიდაშვილის დავითის ცოლი, კიკოლას ძმის სწული იყო, სოლომან მიმპაშის ქალი, რომლისაცა ამის სახელი ზევით ითქვა.

ბიძაშენი პატრიარხი დედოფალმა მოწამლა?!

—მოკლეთ გეტყვი ამ საიდუმლოს საქმეს და მე შენზედ დარწმუნებული ვარ, ამას შენ არავის ეტყვი. ბიძაჩემი პატრიარხი ოსეფა, რუსეთიდგან აქ პატრიარხად რომ მოვიდა, კარგა ხანი გამოვიდა და მასუკან დარეჯან დედოფლის სანახავათ გავიდა ავლაბარში შუადღის დროს. იყო ცოტა ხანი და მასუკან წამოვიდა. ორს თუ სამს დღეს უკან სადილათ დაპატიჟა და მეც ყმაწვილი თან წამიყვანა. ყავის შემდეგ დედოფალმა სთხოვა: პატრიარხო, ვიცი, რუსეთის ხელმწიფესთან მახლობელი ხართ, ჩევენი ოჯახის პატივისცემისათვის ეცადენით, რომ ჩუენს ოჯახს მეფობა დაუბრუნოს და სხვანი. ბიძაჩემმა პატრიარხმა აღუთქავა, მაგრამ შინ რომ მივედით, ძალიან დაღონებული შექენა და ბოლო დროს წამოიძახა: ვაი ჩემს თავს, ხედავთ, იმ უსვინდისო ეკატერინა ხელმწიფამ და იმისმა მინისტრებმა როგორის ეშმაკობით მამატყუეს, რომ მეფის ირაკლის ოჯახი და საქართულელო დამაღუპინეს? — ესა თქუა, გადაბრუნდა და მაშინვე მოკვდა წვეთით. აი, ჩემო ძმაო ა... ასე მოტყუებით დაგვალუპინეს ჩუენი ქვეყანა ამ წყეულმა რუსებმა. ჩვენ მართალი გულწრფელები ვიყავით და ისინი კი ეშმაკები — ეშმაკურად თურმე გვატყუებდნენ. იმ ბიძაჩემის სიკვდილის ხმა მაშინვე გამოვიდა.² ეს რაც გიანძე, ამის ხმა რომ არა გამოვიდეს რა, რუსების ჩაგონებით ზოგიერთმა სომხებმა და თვითონ ქართულებმაც ჩუმათ ლაპარაკი შექენს აქა-იქ: პატრიარხი ოსეფა დარეჯან დედოფალს მოუწამლავსო. რომელსაც ყოვლისფრითა რყვნიდნენ დედოფალსა და რაც უარესი იყო, იმასაც ლაპარაკობდნენ იმაზედ.

კიკოლამ რომ მითხრა, ეს საიდუმლო არავისთვის მეთქუა, აგერაქამდისინ შევინახე, არ გამოვაცხადე. ამისთვის არ გამოვაცხადე, რომ ჩემი პატიოსნება ითხოვდა, იმის თხოვა აღმესრულებინა,

¹ ამაზედ ადრე კიდევ სხვებისაგან გავიგონე და მასუკან ივანე კარაევისაგანაც ასე, რომელიცა იმათი იჯახის აქიმბაში ის იყო და ჩუენი სახლისაც. ეს იმას საიდუმლოთ ვკითხე და გულმონდგინედ ვთხოვე მართალი ეთქუა. აი იმის პასუხი: ჩუენს ეკლესიაშე შევაღ, ჯვარს, სახარებას ავიღებ ისე დავიფიცავ, რომ სომხების პატრიარხი წვეთით მოკვდა და არა მონამლითა. ეგ რა არის, იმ საწყალს პატიოსანს დედაცაცასა მაგისთანბეს უგონებდნენ და დღევანდლადის კიდევ უგონებენ, ის მეფის ირაკლის ოჯახობის და საქართულელს დამღუპველნი: იმათ ის თავიანთი კუდანი მოქმედება უნდა დაპოვნონ და ყოველი ცბიერული საქმეები რაც იმათა ჰქმნეს, დარეჯან დედოფალსა დაბპრალონ? — მაიცავ ა... ღმერთი დიდია, ის თავის დროზედ თავის სამართალს გადმოავლენს იმათზე, ვინც მეფის ირაკლის ოჯახი და ან საქართულელ დაღუპეს: უსამართლობა შვილითი შვილამდეო.

² პირველად ეს პატრიარხი აქ ქალაქში რომ მოვიდა, ჩუენი პირველი თავადები სანახავად წავიდნენ და იქ რაც ლაპარაკი ჰქონდათ, ისიც სახარბიელო წასაკითხია, რომელიც სხუა ამბავში მაქეს დანერილი.

ამიტომ, რომ რაც მე მეფის ირაკლისა და დარეჯან დედოფლის გამართლება მითქუამს სხუა წერილებში, ისიც კმარა, მაგრამ ახლა დუბროვინისათვის ამ წერილსაც წარსულ წერილებში შევაერთებ, ისტორიისათვის უფრო კარგი არის, უფრო ნათლად დაიხახავენ ყოველს საქმეს და აღარც ჩემი სინდისის საგრძნოდ შესაწუხებელი არის, რომ მე იმ კიკოლას საიდუმლო გამოვაცხადე, იმის შემდგომ როგორც მეფეს-დედოფალსა ამდაბლებენ.

მეორე. ზევითაც ითქუა ამის სახელი. თავი გარსევან ჭავჭავაძე იყო მეფის ერეკლეს ეშკალაბაში და მახლობელიც. ეს გარსევან, ამის სიმამრი, ქაიხოსრო ავალიშვილი, ალექსანდრე მაყაშვილი და არქიმანდრიტი ეფთიმე იყვნენ ახლო მეგობრები. ამათ ჰყუანდათ სხუა დამოკიდებული დასი, სადაც ასაქმებდნენ ყუელგან საქართულოში, რომ რუსეთს მისცემოდა საქართულო ხელალებით. თვითონაც ხომ რასაკვირველია, ამ აზრზედ საქმობდნენ და ყუელას ჩუმადაც ამას ურჩევდენენ. იქამდისინ, რომ ბოლო დროს საქართულო რუსეთმა წაიღი და ერთიანათ მეფის ირაკლის ოჯახობა რუსეთს გადიყუანეს, მაშინ გარსევან ეშკალაბაშიც იქ იყო, პეტერბურლში, სადაც დიდათ თურმე სტანჯავდა სვინდისი მეფის ირაკლის ოჯახობის დაღუპვაზედ, სადაც ამან კიდეც მოკლა. სიკვდილის დროს სულერთან ბატონიშვილები თავისთან მიიწვია, იმათში ჯერ ბევრი იტირა და მასუან ყველას შეეხვენა: „მაპატიეთ, თქუენი ოჯახი მე დავღუპე და საქართულოც მე მივეცი რუსეთსაო. ამ წყეულმა რუსებმა, ამ ღვთის მტრებმა როგორ მომატყუეს, როგორ დამაბრმავეს გონებითა, რომ ვერ მივხვედრილიყავ. ღმერთმა მშვიდობა მისცეს დიმიტრი ბაგრატიონს, იმან გონებაზე მამიყუანა, იმან ყუელა დამანახუა ამ რუსების უსამართლო საქმეები ჩუენზე, თორემ აქამდისანაც არ მეცოდინებოდა და კიდევ შეცდარი ვიქენებოდი.“ ამ სინანულის შემდეგ იმათაც მიუტევეს.¹ არაჩინურთს იოსებს და იმას დიდი ერთობა პქონდათ, ნამეტნავად უფრო რუსეთში, სადაც იმ ორ გულწრფელებს აჩქარებდნენ, რომ ჩეარა მოახერხონ, საქართულო დროით რუსებს მისცენ და წაიღეს კიდეც.

ბოლოს დროს ამ გარსევანის შვილმა, თოთხმეტის წლისამ ალექსანდრემ, თავის მამის გამყიდველობა რომ გაიგონა, მაშინვე გაიქცა, გადგომილს კახელებში გავარდა და რუსებს ომი დაუწყო. ეს ახალი რუსობის დროს იყო და ამ დროს ამის მამა გარსევან პე-

¹ ამის გამოისობითა თავის სანუგეშოთ იმ გარსევან ჭავჭავაძემ თავის ცოლის ძმას თავი გიორგი ავალოვსა ურჩია, რომ დიმიტრი ბაგრატიონის ქალი შეირთოს და კიდეც შეირთო.

ტერბურლში იყო. მაგრამ ის გადგომილი კახელები რუსის ჯარმა და თვით რუსების მიღომილმა ქართულებმა დაამარცხეს, რომელიცა იმ დროს გაძალიანებული ალექსანდრე ილივს დაიჭირეს, საიდგანაც მკაცრად დაჭერილი ტფილისის ციხეში მოიყუანეს, იქ სულერთიან თავი გადაპარსეს, როგორც სახელმწიფოს შემცოდესა, სალდათური ტანისამოსი ჩააცვეს, ისე კარგა ხანი იყო დაჭერილი მკაცრად და შემდგომ რუსეთისაკენ გაისტუმრეს, მაგრამ მამის თხოვით პეტერბურლში მიიყუანეს, იქ, მამის პატივისცემისათვის, პაჟების კორპუსში გაიზარდა. ბოლოს შეიქნა რუსეთის ლენერალი. მაგრამ 1832-ს წელსა, ჩუენ რომ დაგვიჭირეს, იმანაც ჩუენსავით გამოსცადა საპყრობილე და ისიც ჩუენსავით რუსეთისაკენ გაისტუმრეს. თუმცა გამოძიების კამისიაში ჩუენ ის გავამართლეთ, მაგრამ ახლა ცხადათ ვიტყვი, რომ იმ ჩუენს ამბებში ისიც შორიდგან დაფარულად ერია ჩუენში, იმის ცოლის ძმის, ლუარსაბ ორბელიანის პირით მოგვდიოდა იმისი დარიგება, ჩუენს პირველს ამხანაგებს.

ალექსანდრეს მამამ, გარსევანმა რაც უბედურობა უყო თავის გულწრფელობით მამულს, იმ ალექსანდრემ კი თავის მამულისთვის თავი დასდო და ამისთვის იმისი სახელი დაუვიწყარი უნდა იყოს ჩუენ შვილიშვილებში მარადის; ჩემი აზრით, მონუმენტიც უნდა გაუკეთონ იმას, ამიტომ, რომ თავის მამულისა დიდი პატრიოტი იყო ისა, მე ეს სწორეთ ვიცი.

მესამე. მელიქი დარჩია ბებუთაშვილი ხომ გუახსომს ზევით? – ეს ხანდისხან რამთენიმე თავადებით, მამიჩემის სიცოცხლის დროს ხომ რასაკვირველია და იმის შემდგომაც ბატონიშვილის დედიჩემის სანახავათ მოვიდოდნენ და სხუადასხვის ლაპარაკით დროს ატარებინებდნენ ბატონიშვილის დედიჩემის ნუგეშისათვის.

ერთს საღამოს კიდევ მოვიდნენ და ლაპარაკით დროს ატარებინებდნენ. ბოლოს რუსებზე და იმათ სამართალზე ჩამოვარდა ლაპარაკი, სადაც დარჩია მელიქი მოჰყუა და ბევრი აუგი თქუა რუსებზე: რუსების სამართალი სამართალი ხომ არ არის, მოჩივრების დასაჭლეულებელი არის, ისე ზეზეულად ადნობენ მოჩივარსა და კარზედ ვინცა ვხედავთ ამისთანას უსამართობასა, მწუხარებით ვიხოცებით. იმათ ნაჩალნიკებთან რომ მივდივართ ხოლმე, სულ ბუზღუნით გველაპარაკებიან და თუ ალერსით გვეტყვიან რასმე, ისე სასაცილოთ მასხარად გვიგდებენ. დღესასწაულებში როდისაც მთავარმართებელთან წავალთ პატივის საცემლათა, იქ შეყრილი რუსები სულ ბლვერით გვიყურებენ და ხმის გაცემას არცერთი არ კადრულობს ჩუენთან, ისე გაბერილი გვიყურებენ. თუ რომელიმე მოვა და სიტყვას გვეტყვიან, ისე ნისიათ და საჩქაროთ გატრიალდებიან, წავლენ. მთავარმართებელი ხომ როდისაც გამოვა, ისე

უბრალოთ თავს დაგვიკრამს, იქნება ესეც ვისმე ჰკითხოს: როგორა ხარ კნიაზოვო? – სხუა კი აღაპარაკი მოვა და თავს შეგაწყენთ. იმთენს ამბებს შორის, ამ ერთს მაინც მოგახსენებთ. ეს ახალი ამბავიც არის. – გუშინ სადილს უკან კარზე მოაჯირზე ვიჯექი, ამდროს რუსის ჩესტის(მითამ ჩასტის) აფიცერმა ერთი ვეება თაბახი ქუჩიდგან ნაგავი შემოიტანა და კალთაში ჩამიყარა: რატომ შენი სახლის წინ ქუჩა დაგვილი არა გაქვსო. ის ჩემი შვილიც ასლან იმდროს შინ არ იყო, ეთქუა რამე და ის აფიცერი გინებით გატრიალდა, წავიდა და პატარა ხანს უკან ჩემი შვილიც მოვიდა. მწუხარებით შევჩივლე და მასუკან ვუთხარ: მთვარმართებელთან იმსახურები, წადი, შეატყობინე, რომ ასე გამაბიაბრუა ჩესტის აფიცარმა-მეთქი. ამაზედ იმან შამამხედა გაჯავრებით მითხრა:

„რაო მამავ? – არ იცი, რომ ეგ სულ თქუენი ცოდვისაგან არის, რაც მეფის ორაკლის ოჯახს და საქართულოს უყავით, ეგ იმის სამართალი არის ღვთისაგან? – რა გიჭირდა მამავ, მეფეს ორაკლის ისე შვილსავით უყვარდი და მთელი ქალაქი შენს ხელში იყო. ამის ნაცვლად მეფის ორაკლის ოჯახი დაღუპეთ შენ და შენმა ამხანაგებმა და საქართულოც იმას ჩაყოლეთ. კარგი არის ესა?“

აშ ლაპარაკში მეც იქ ვიჯექ. ეს უკანასკნელი სიტყვა რომ თქვა მელიქმა, თვალებზე ხელსახოცი მიიღარა და ტირილი ამოუშო. ბოლოს, თვალების მომშრალებისა და გულის დამშვიდების შემდგომ, ამით გაათავა თავის ლაპარაკი:

„ასე როგორ მოგვატყუეს, ასე გონება როგორ დაგვიხშეს, რუსეთის საიდუმლო ცფიერებმა, რომ რას ვშვრებოდით და რას არა, იმათი ვერა გაგვევო რა. ჩუენ გულით მართლები და ისინი ეშმაკები, ჩუენ იმათ საქმეს რომელ მივხვდებოდით? – მაგრამ ვიცი, ამას ღმერთი არ დაიდუმებს და ოდესმე მკითხამს.“

ესა თქვა გულალელვებულმა, მასუკან სულერთიან წამოდგნენ, დედაჩემს მდაბლათ თავი დაუკრეს და წავიდნენ.

თუ ყველა გამყიდველების ამბებს თითოეულათ შევდგომოდი, ვის რა უთქუამს ანუ რომელს რა დაემართა ღვთის განგებულობა, ბევრი მოვიდოდა და მეტათაც დამლაშდებოდა. ამიტომ ამ სამი პირების ამბავი იმათგან გავაცალკევე, რომ ამ სამი პირების მოქმედება საკმაოდ გვქონდეს საქმის შესატყობად, სხუებს კი თავი დავანებოთ, საჭირო აღარც კია და იმ დამლაშებასაც მოვერიდნეთ.

მე ამ ჩემს წერილში 50 გვერდი გაუშვი დუბროვინის წიგნისა და 51-ის გვერდის პასუხი გავათავე აქ, ზევით. ამისთვის დავაგდე ის 50-ის გვერდის პასუხი, რომ აი ეხლა უფრო შესაფერი იქნება, აქ ითქუას და ამ ამბავს დამოვკიდოთ. დუბროვინი ამბობს: მეფის

ირაკლის შვილი მირიან 1784-ს წლიდგან რუსეთში იმყოფებოდა რუსეთის სამსახურში ღენერალ-მაიორათაო. ესე იგი, მაშინდელს აქეთ, როდისაც ტრახტატი შეიცრა რუსეთსა და საქრთულოს შორის (ეკატერინასა და ირაკლის შორის).

მეფის ირაკლის ავანტყოფობის ამბავი პეტერბურლში რომ მისულა, მაშინვე დოხტური გერცეზიუს და მირიან ბატონიშვილი საჩქაროთ გამოუგზავნიათ, მაგრამ მირიანს ვეღარ მოუსწრია ცოცხლისათვისა, მეფე მკვდარი იყო. ეს ჩუენც ვიცით, რომელიცა 15-ს თებერვალს მოსულა და 10-ს მარტსა რუსეთის ხელმწიფესა სწრეს მირიან ბატონიშვილი ჩემი უფროსი ძმა, გიორგი მეფედ დაუდგენია თავის სამმობლოს სამკვიდროსა ტახტზე და ამის შემდგომ ბატონიშვილი იულონო.

ახლა აქაც ცხადათა ჩანს, რომ ის მეფის ირაკლის ნამდვილი ანდერძი სრულის გულით მიუღიათ ბატონიშვილებს და მოკლეთა ვთქუათ, სულერთიან დიდპატარათ საქართულოში. რასაც ამას ვანბობ, სწორეთ ასეც იყო. მაგრამ დედოფალს დარეჯანს რუსეთის მთავრობა რომ აბრალებს იმათ ოჯახის არეულობასა და ამას ფაკტებითაც ამტკიცებენ, მართალია ესა? –

რაოდენი სათხოვრისა და ვედრების წიგნი რომ არის მირიან ბატონიშვილისაგან რუსეთის ხელმწიფესთან, ეგოდენი ფალშიობა ტყუილია ისა: თუ საჩქაროთ შემწეობა არ მოხდა ჩუენის მამულისა, მაჰმადინებს ჩაუვარდებათ საქართულო ხელშიო. მითამ: ჩქარა დაეპატრონე, საქართულო შენიაო. ამისთვის, რომ აგენტი იყო ის მირიან ბატონიშვილი რუსეთისა. ეს ადრითვე ვიცით. ჯერ ადრითვე, როდისაც ყმაწვილი კაცი იყო მირიან, ეკატერინა ხელმწიფემ გაიკეთა აგენტათ საქართულოზედ, საიდგანაც ის აგენტობა იქიდან აქამდისინ ჰქონდა და ასრულებდა რუსეთის არა ბძანებლობას, არამედ ეშმაკურსა გარემზომლობასა, რომელიც რუსეთს გაძრახვა ჰქონდა საქართულოზე. მაგრამ ვერ კი მიმხვდარიყო, ასე რიგათ ჰქონდა თავი გამოყენებული რუსების ეშმაკობისაგან და ასაქმებდნენ ისე, როგორც თვითონ სურდათ. მანამდის, მინამ მირინ ბატონიშვილი მოვიდოდა, რა კარგათ დამშვიდებული და დაწყნარებული იყო ის მეფის ირაკლის ოჯახობა, ის რომ მოვიდა და ოჯახი არია. რაც მეფის ირაკლის ოჯახის მფრები იყვნენ, ესე იგი რუსეთის მთავრობის აგენტები, სულერთიან ბატონიშვილს მირიანს შემოეხვივნენ და ჩურჩული დაუწყეს იმის გამოყენებულს თავსა, დიახ, ჩქარა დაითანხმეს, რომ მეფე გიორგი გადავაგდოთ და იულონ დავსვათ მეფეთაო. რა არის? – ოჯახი აირიოს და ამ არეულობითა როგორმე მოიტაცოს რუსეთმა საქართულო.

პირველად მირიან ბატონიშვილი საქართველოში ანუ თელავში

რომ მოვიდა რუსეთიდგან, როგორც ზევითა ვთქუი, მაშინვე რუსეთის აგენტები შემოხვივნენ. იცოდნენ, რომ რუსეთის მთავრობა იმას ცხვირით ატარებს, ამისთვის საქართულოში ხმა დაუგდეს მირიანსა: საკვირველი მსნავლული და საკვირველი კაცი არის ყოვლისფრით მირიანი. გულით მართალმა ქართველებმა მალე დაიჯერეს და თავისი ნახევარ ღმერთი ეგონათ: ეს ეს არის, საქართულოს ჯიღას დაადგამსო. ჯიღის ნაცვლად საქართულოს ბოლო მოუღო და იმისთანა თავხედი საქმეები მოახდინა საქართულოში ანუ უფრო მოახდენინეს, რომ უფრო ჩქარა მოიტაცეს რუსებმა საქართულო, თორემ თუ ეს მირიან არ მოსულიყო, საქართულო დღესაც საქართულოდ იქნებოდა, ამისთვის, რომ მეფე ირაკლიმ ის თავისი ანდერძი შვილებს რომ გამოუცხადა თავის სიკვდილის დროში: ჯერ გიორგი იყოს მეფეთ, მასუკან იულონ და შემდეგ ხნით უფროსებიო. ამაზედ ყველანი სიმშვიდეში შევიდნენ და ერთმანეთის სიყუარულის მეტსა სხუას აღარას ფიქრობდნენ ბატონშვილები.¹

მინამ მეფის ირაკლის ცხედარს თელავიდგან გაასვენებდნენ (ლვთაების ეკლესიაში ესვენა და იმ დროს ჭირიც იყო). ორმოცდაერთი დღეც გავიდა და მასუკან გაასვენეს, ამ ამბებში მირიან ბატონშვილიც მოვიდა, მაშინვე რუსეთის აგენტების მოხმარებითა შეუდგენ საქმეს ოჯახის ასარევათ. გიორგი გადააგდონ და იულონ დასონ მეფეთ. მაზედ ჯერ არჩიეს, დედოფალს შეატყობინონ, რას ბძანებსო? –

ამის კითხვისათვის მირიან ბატონიშვილი მიგზავნეს დედოფალს დარეჯანთან შუალამის დროსა, მაშინ როდესაც რომ გლოვისაგან დაწყნარებული იყვნენ მთელი სახლეულობა ანუ შეკრებილება სულერთიან და დარეჯან დედოფალი, ტირილისაგან დაოსებული, ცალკე ოთახში ნამონლილი, მუთაქაზე თავი ედვა და გვერდით დედაჩემი ეჯდა გულხელდაკრეფილი დაღონებით. ამ დროს მირიან ბატონიშვილი შევიდა ამ სიტყვით

– „ დედოფალო, თქუენ და ჩემი დის, თეკლას მეტი არავინ ხომ არ

¹ დუბროვინი რომ ამბობს ბატონიშვილს გიორგისას 52-ს გვერდზე: მეფე ირაკლიმ თავის სიცოცხლეშივე განიშორა და ქ. ტფილისში გამოგზავნა თვალყურის დასაჭერათაო. ნიმინდა გამონასკული ტყუილია ესა. მინამ მეფის ირაკლის ცხედარი თელავიდგან არ გაასვენეს, ესე იგი, ორმოცდაერთი დღე, იმას თავისი მამისათვის ტირილი და გლოვა არ დაეწყიარება. მერე ასე თურმე გულმტკვინეულად ტირიდა და იგლოვდა იმ უერთოს მამას, რომ მოელო სახლეულობა და შეკრებილება დუღდენ ტირილით იმის მშვენიერს სიტყვებზედან. და როდისაც მეფის ცხედარი თელავიდგან გაასვენეს, გიორგიც იმას გაჰყუა მცხეთამდისინ და იქიდგან ქ. ტფილისში ჩამოვიდა.

არის აქა?“

- „შვილო მირიან, შენა ხარ?“ დედოფალმა ჰკითხა.

- „მე გახლავარ, შეინჭიმე.“

- „ჩუქუნის მეტი არავინ არ არის აქა. იმ დიდის სახლიდგან მე აქ, პატარა ოთახში გამოველ და ეს შენი დაც თან გამოვიყვანე. წამოვწექ, პატარა მოვისვენო, მეტად მოვწყდი შვილო, ტირილითა და გლოვითა.“

- „დედოფალო, თქვენთან საიდუმლო საქმე მაქუს მოსახსენებელი.“ მირიანმა მოახსენა და გვერდით დაუჯდა.

- „თქვი, შვილო, რა საქმე გაქვს?“ დედოფალმა.

- „პირველმა საქართველოს თავადებმა გამომგზავნეს თქვენთან, ბატონიშვილი გიორგის გადაგდება უნდათ მეფობიდგან და თქვენის შვილის, ჩემი ძმის იულონის გამეფება. ეს რუსეთის ხელმწიფესაც სურს.“

დედოფალი გაჯავრებით წამოჯდა და უკმაყოფილოთ უთხრა:

- „შვილო მირიან, პირველად მე რომ თქვენს ოჯახში შამოვედი, თქვენი ძმა ვახტანგ¹ ექვსისა და გიორგი ოთხის წლისანი დამხვდნენ. იმათ გაზდაზე დღე და ღამე თავი არ მოვასვენე, სადაც მე და მეფეს ირაკლის საწოლი გვქონდა, იმის გვერდით ოთახში ორივ იქა მყუანდა და რაც შემეძლო, იმათ ვუვლიდი, მაშინ როდესაც რომ ჩემი ნაშობი შვილები კი იქით შორს ოთახში გამდლები ვზდიდნენ, ამ შენის დის, თეკლას მეტსა, ეს რომ მეფეს ისე უზომოდ უყუარდა, ესეც ჩუქუნ გვერდით ოთახში გაიზარდა, თორემ სხუები ჩვენზე მოშორებით. ახლა ჩემი შვილო, მე ის იმდენი ჩემი ჭირნახული უნდა ვგმო, ნამეტნავად შეფის ირაკლის ანდერძი, უკანასკნელად თავის შვილებს რომ უთხრა და მაგ უსვინდისოს საქმეში გავერიო? - ლმერთმა დამიტაროს. თუ უნდა ესენიც არ იყოს, თქვენი უფროსი ძმა არის გიორგი, უთუოთ ის უნდა იყოს მეფეთ. მე შენ გიორჩევ, მაგ განძრახვაზე ხელი აიღო და შენი ძმა გიორგი მეფეთ აღიარე“.

ეს რომ თქვა დედოფალმა, ბატონიშვილი მირიან განბილებული წამოდგა და წამოვიდა. ის რომ წამოვიდა, დედოფალმა დედაჩემს უთხრა:

- „გაიგონე, შვილო თეკლავ? – აბა რა ჭკვა ვთხოვო მაგას, მაგ შენს ძმას მირიანს, გუშინწინ მოვიდა რუსეთიდგან და დღეს რა ანბავი დაუწყვია? – სწორე გითხრა, რუსეთისგან ჩვენი დამხობისა მინდა მეამბო, მაგრამ მე მაგას ველარ ვენდობი, ძნელი სანდო შექნილა რუსეთში.“

¹ ეს პირველი ვახტანგ არის, პირველს ცოლს ქეთევანთან წაშობი, იმერეთის თავადის, ხეიძის ქალი იყო.

ეს ბძანა, მუთაქაზე მიწვა მწუხარებით და დედაჩემსაც უბძანა, ნამოწლოლილიყო. არა, დედოფალს დარეჯანსა რას ჰკითხავდნენ და ან რაში გარეული ჰყვანდათ? – როგორც უნდოდათ და ან ვისაც რა უნდოდა, თვითონ საქმობდნენ, თვითონ აკეთებდნენ და თვითონვე სწრდნენ, რომ დედოფალს არას ატყობინებდნენ.¹

თვით მეფის ირაკლის დროსაც ან იმას რაღას ჰკითხავდნენ? მხოლოდ პირათ მეფე ირაკლი, დაფარულად რუსეთის აგენტების დასალუპი სამფლობელო იყო საქართულელო, რომ ბოლო დროს დასუსტებული ეს ქუეყანა რუსეთისთვის ჩაებარებინათ და ჩააბარეს კიდეც. რას ამბობენ, სადღა იყო მეფე ირაკლი ანუ მეფე გიორგი? – ყოვლის ჯოჯოხეთურის ცოტიერებით ძალამიღებულნი იყვნენ ეს ორნივ და ამათის გამო მთელი საქართულელოც. ამაების შემდეგ როგორ არ ირცხვენენ და იმ საწყალს დედოფალს დარეჯანსა სდებენ რასმე ბრალსა, მაგრამ უსვინძისოს რისა შერცხვება? –

ბოლო დროს ანტონი ქათალიკოზის როგორდაც მოსვლოდა, რომ თავის ძმის, მირიანისათვის ცოტათ ეანბო საქართულელოს და თავიანთი ოჯახის დამხობა რუსეთისგან, რომელსაც დიდის წყენით შორს დაეჭირა და გაექარწყლებინა: სიცრუე, ტყუილი მოგონება არისო.²

¹ ასე გასისჯეთ, რომ მირიან ბატონიშვილს თავის დედის დედოფლისათვის ბეჭედი მოეპარ და დედოფლის მაგირით წიგნი გაეკრატებინა და ჩუმათ თურქე ატყრებდნენ იმისთვის რიგანის გავამებში ოჯახის შფოთისათვის: მეფე გიორგი ნუ გინდათ, იულონ დასვით მეფეთაო. რომელსაცა საწყალს გონებაშიაც არ მოსვლია. რაც ამაზედ მოახდინა მირიანმა, ის შემდგომში იქნება აქევ. დედოფალს ეს რიმ მოახსენეს, გაიკირვა, ყუთი და გასალები მოატანინა, გააღო, ნახა, ბეჭედი იქვე იყო, ჰკითხა მოახლეს: ეს ყუთი და გასალები ხომ არავის ჰკინიაო? – მოახლებ მოახსენა: სადილს უკან თქვენი ძილის დროსა, მირიან ბატონიშვილი შემოვიდა, გასალები გამაბროთ, ყუთი გააღო, ეს ბეჭედ გაიტანა, მაგრამ ისევ ჩქარ მოიტანა, ჩადო, დაეკეტა და მე მიძანა, თქვენთვის არ მომესხენებინა. შენიჭიმე, ნუ გამინწყებით, თქვენი შეილი იყო და უარი ვერ უთხარიო. აი ამისთანა ეშმაკობები ჰკონდა რუსეთს ქართულებზე. ამაზედ დედოფალმა ვერ გაუბედა, თავის შეილისათვის ეთქო და ან რა იქნებოდა?

² როდისაც სულერიანის შეფის ირაკლის ოჯახობა რუსეთში გადაასახლეს, დედოფლის დარეჯანის შვილებში შეუჩინეს რუსეთის მთავრობამ ბატონიშვილი მირიან და მეფისი გიორგის შვილებში ბატონიშვილი თეომურაზ. ეს ორნი მეორეს მხარეზე აშფოთებდა და მეორე პირველს მხარეზე. იყო იმათში დიდი სამღლურავი და ერთი ერთმანეთის ლანძრუა-გინება. ისე რიმ, თვალით დასანახათ სძაგდათ ერთმანეთი, რომლებიცა ერთმანეთისა აბრალებდნენ თავიანთი ოჯახობის დაღუპასა და ნამდვილობას ვა არას ეძებდნენ. იმ უბედურს ოჯახს იქაც არ ასვენებდა რუსეთის მთავრობა.: არ მოცალონ, რომ ჩვენ დავკემდურნენო, მხოლოდ ამისთვის. ის ორნიც, გონებით დაბრმავებულები, უჯერდნენ და აშფოთებდნენ ერთი ერთმანეთზე ოჯახს, რომლის მიზეზითაც ბატონიშვილი თეომურაზ აკადემიაში შერიცხეს მსნავლულებთა შორის მეცნიერად და ამასთან რუსეთის

დუბროვინი ამბობს მეტეხის ხიდის დაწუას სპარსელებისაგან. როგორც ამბობს, ის მართალი არ არის. აბა გავიგონოთ, როგორ და ვითარ იყო? – მინამ აღამამადხან ქალაქიდგან გავიდოდა, ექვ-სი ათასი მეტი სპარსეთის ჯარი მტკვარს გალმა, სოფლის ლილოს ბოლოში იდგა და კახეთის გზასა ყარაულობდა: იქიდგან ჯარი მო-მავალი ხომ არ იქნებაო, რადგან იქიდგან ჯარების შიში ჰქონდათ. როდისაც აღამამადხან ქალაქიდგან გავიდა, იმ დღეს ის ჯარიც ქალაქში შემოვიდა, აღამამადხანს თან გაყვნენ და ის ხიდი მაშინ დაწვეს, მაგრამ აი მეფე ირაკლიმ რა ქნა? – როდისაც აღამამადხ-ანი ტფილისიდგან გავიდა და მეფე ირაკლიმ თავის სახლეულო-ბა თელავში მიიყვანა, მაშინვე აქ ჩამოვიდა, ქალაქს ავლაბრის დედოფლის სახლში ჩამოხდა და ხალხიც იმასთან ერთად შემოვ-იდნენ. მეფე ირაკლიმ გზიდგანვე კაცები დაატარა და შეუთვალა, ყველანი მოსულიყვნენ, სადაც იმ შემოდგომაზედ ქალაქი ისევ ქალაქათ იყო და არც იმთენი სახლები იყო დამწვრები, რასაც ამ-ბობენ. მეფე ირაკლიმ ოთხსავ კუთხიდგან მუშები და ხელოსნები მოაყარა ტფილისში, საციინანდგანაც ტივები საჩქაროთ და ქა-ლაქი გაიმართა პატარა შენობებითა, ასე რომ ყველას ჰქონდა მო-სათავსებელი სადგომები, რომელმაცა ის დამწვარი ხიდიც მაშინვე საჩქაროთ გააკეთებინა ისე, როგორც ადრე იყო. ერთი მოსუცებუ-ლი იოსება ხური იყო, თვითონ იმისაგან გამიგონია: როდისაც აღამ-ამადხან ქალაქიდგან გავიდაო, ის ხიდი მეფე ირაკლიმ მაშინვე ისევ გაგვაკეთებინაო და თვით პირველი ხური მე ვიყავ იმისი გამკეთე-ბელიო. აი გიდი, ჩემო პატარა ბიჭო ერეკლე, ფრანცია და ანგლია შენს საქართულელოს გვერდით უნდა ყოფილიყვნენ მეზობლათ, რომ მაშინ ენახათ, შენი საქართულელო რა იქნებოდა!... სად გაჩნდ-ნენ ის დაწყევლილი რუსები ჩუენს საუბედუროთ, ის მეცხრე დასი ზეციდგან გადმოყრილები? – უფალო დუბროვინო, გაიგონე ესა.

ახლა მოკლეთ სჯობია დუბროვინს უთხრათ, რომ იმის ისტო-რიაში ამთენი ტყუილი სხერია. უსვინდისობის, სირცხვილის მეტი

მთავრობაშ სახელი განუთქუა: დიდი მეცნიერი არისომ!(!) იმანაც ამით დიდად მონონა თავი. შემდგომ ზოგიერთი ძუელი ანბება დაწერა და აღამამადხანის შე-მოსვლაც ქ. ტფილისში. ისინი სულ რუსეთის მთავრობის მიმართულების აზრზედ არის დაწერილი: რუსეთისგან საქართულოს დალუპა არავინ შეიტყოს. სადაც არაფრისთანა არა ჩანს რა იმ აღნერილობაში და თუ ჩანს რამე, ისიც სულ ტყუილი. საქართულოს ისტორიაც დაწერა თეიმურაზ ბატონშვილმა, მაგრამ გამოუსა-დევი. აკადემიის წევრი რომ იყო და მაშ როგორ იქნებოდა, უნდა დაეწერა რამე, ანუ პირდაპირ ვთქუათ, დააწერინენ. მირიან ბატონშვილსაც იმაზედ მოსწონდა თავი, რომ რუსეთის ხელმწიფე ეკატერინას ლენერალი იყო და შემდგომში დიდს მსნავლულსაც უძახდნენ, რადგან დერფავინის ღმერთზე ოდა თარგმა ქართუ-ლად. აი ასე მოტყუებული იყვნენ დიდით პატარამდინ ქართულები რუსეთისგან.

სხუა იმაში არა არის რა ამთენი გაკეთებული სიცრუის და არც ყურადღების ღირსი არის, ყუელაზედ პასუხი ვთქუათ. ამისთვის ასე მოკლეთ გაუთავებთ.

რომ რუსეთის მთავრობა გულიშვი, პირად თეთრად ეჩვენება ყუელას, ისე იმათი ყოველი წერილების საქმეებიც ისე არის. ყოველი იმათი წერილების საქმეები, ოღონდ წმინდათ მართალი გამოვიდნენ ყუელასთან, თორემ არას მოგონილებას, არას გაკეთებულობას არ დაერიდებიან და თუ იმისთანა იქნება რამ იმათ არსივებში ანუ ისე საქმეებში, ცოტა მაინც კომპრომეტი რომ შეეხოს იმათ მთავრობასა, სულერთიან ხევებ და ცეცხლში სწუენ.

აქამდისინ ასეა და ამას იქით ღმერთმა იცის, იმთენი ქუეყნები იძულებული რომ გაგვხადეს, ამისი სიმართლე იქნება თუ კიდევ არა?—

როდესაც მეფე გიორგი აღარ იყო, ბოლო დროს საქართულოც დამშვიდებაში შევიდა. ამ დროს ქართულებმა ცხადათ დაინახეს, რუსეთი თავისთვის ზრუნავს, რომ საქართულო ხელადებით თავიანთი ყოფილიყო. ეს დრო იყო მაშინ, როდესაც რომ ღენერალი კრონინდა აქ იმყოფებოდა. ამაზედ საქართულოს პირველ თავადები სარდალს ივანე ორბელიანთან შეიყარნენ. დავით ბატონიშვილიც მიიწვიეს და თათბირში გადაწყვიტეს, რომ ქართულების ჯარით რუსებს დაუცნენ, მასუან დავით ბატონიშვილი დასონ მეფეთ, შემდეგ მთელი სახანოები და კავკაზიის ხალხი აღძრან რუსეთზე. ამ თათბირში აქაური რამდენიმე შპიონები გარეულიყვნენ, რუსეთის ქვეშქვეშა მხარენი, რომელთაცა ეს ამბავი მაშინვე საიდუმლოთ აცხობეს ღენერალს კრონინდს და იმანაც საჩქაროთ სარდალი ივანე, ამის სიძე (და ჰყუანდა), მეითარი სოლომონ თარხნიშვილი, ალექსანდრე მაყაშვილი, კიდევ ზოგიერთები მიიყუანა და იმათი ყოველი განძრახუა განუცხადა. ესეც დაატანა, ეს თქუენი განძრახუა, თვით დავით ბატონიშვილი მოვიდა, ეს ანბავი საიდუმლოდ მითხრა და ესეც დაატანა, აი, როგორი ერთგულია რუსეთის ხელმწიფისა დავით ბატონიშვილით. ამას თუ იმას აცნობებთ, უფრო ცუდია თქვენთვის, ამისთვის, რომ მასუან მისი ხებით თქუენ დაგაჭერინებთ და ასე დაჭერილს რუსეთში გაგისტუმრებთო. იმ საწყალმა ქართულებმა დაიჯერეს, სულ მართალი ეგონათ და ამის მეორე დღეს საქართულოს პირველი კაცები კრონინლთან მივიდნენ ძალიან გაჯავრებულები და გამოუცხადეს, რომ დავით ბატონიშვილი რუსეთში გაისტუმროს, აღარ გვინდა მეფეთაო, თორემ მთელი საქართულო ავიშლებითო. დავით ბატონიშვილს უკვირდა, თუ რა ანბავი იყო და ან რა მოხდა?

ზევით ხომ გვახსომს მირიან ბატონიშვილის ამბავი, ახლა კიდევ

იმისი ამბავი გავიგონოთ? – თუმცა მირიანმა ის ქალალდი თავის დედის მაგიერათ დაატარებინა რიგიან გუამებში, მაგრამ არც თავისი ძმები, დარია დედოფლის შვილები და არც რიგიანი გუამები არ აჰყვნენ იმას. ყუელანი ამას მოერიდნენ: რიგიანათ დამშვიდებული სამეფოს ოჯახი არიოს. ამის გამო გაჯავრებული გადმოვიდა, მეფეს გიორგის შეუჩნდა და მერეთ ურჩია: მთელი ქუეყნის წესით, შენი შვილი დავით უნდა იყოს მეფეთ და არა შენი ძმა იულონიო. შეუდგნენ და რუსეთის ხელმიწიდებან დაუმტკიცეს ესა.¹

ამაზედ არც დედოფალი დარია, არც ძმები და არცა ვინ წინ არ აღუდგნენ მეფეს გიორგის. ეს რომ მირიანმა ნახა და იმის მესაიდუმლე დასმა, ამით ოჯახი არ აირია, ახლა სხუაგუარად შეუჩნდნენ მეფეს გიორგის. იმთენი ავი უთხრეს დავით ბატონიშვილზე და იქამდისინ მიიყვანეს იმის გონება, რომ განიძრახა, საქართულო რუსეთი მისცეს და ბოლო დროს კიდეც მისცა, საიდგანაც ეს ანბავი განგებ ჩუმათ გამოიტანეს, მეფე გიორგის ძმებსა ჩუმათ შეატყობინეს და ოჯახში სამდურავი ჩამოუგდეს. ეს რომ ასე მოუხდათ, მასუკან ბატონიშვილი მირიან თავის ძმებს მიუდგა და ქვებულანობით აიყოლია ისინი მეფე გიორგის სანინაალმდეგოდ, რომელთაცა ბოროტგამძრახველებმა იქით მხარეს: მინამ ბატონიშვილი დავით გაამზადეს მეფეთ და აქეთის მხრით იულონ, რომელმაცა ეს ანბავი დავითმა სულ არა იცოდა რა, კიდევ მეფეთ ეგონა თავი შემდგომ გიორგისა, სადაც შეიქნა ერთმანეთის ცხადი წინაალმდეგობა. მეტი ლონე რომ ალარ იყო, კეთილგონიერი დედოფალი დარიაც გაერია ამ საქმეში. უფრო ამიტომ, რომ ცხადათ იცოდა, რუსეთი დავითს არ დასომდა მეფეთ და ამის გამო, რადგან მეფის ირაკ-

¹ დუბროვინი ამპობს 97-ს გვერდზე ბატონიშვილის იულონისაგან ლვინის მსმელობას. საძაგელი მოგონილება. ინისთანა კარგი ზნეობანი კაცი, ანუ ფხიზელი და ანუ მშვიდობის მყოფელი განა კიდევ იქნება? – ამასთან დიდი მლოცვავი იყო და საწყალთ შემწე, რომელსაცა ჩუენი ქუეყნის დამღუპველები შესჩენდნენ, ტკბილსა ერთგულობას აჩუენებდნენ, უმისონი, რაც უნდოდათ, იმას შერებოდნენ და შერებოდნენ ჩუენის ქუეყნის დასაქცევას: მოძატებული კეთილი ბოროტება არის, ის სწორეთ ასე იყო, თორემ იმის დვინის მსმელობა ვის გაუგონია? – პოლ, ესეც ერთი ეშმაკური მოგონება არის. სხუა რომ ვერა მოეგონათ რა იულონზე, იმისთანა უზაკველი კაცი რომ იყო და იმისთანა მშვიდობიანი ფხიზელი: ეს ლოთობა მაინც მოუგონითო, რომ ის ამის გამო მეფობის ღირსა არ იქნებოდათ. ეს ჩუენ ყუელა კარგათ ვიცით, რაც ამბები იყო იმათ ოჯახში შეჩენილებისაგან. არა, რატომ თვით ქლიერმა რუსეთმა არ წარუმართა მეფობა საქართულოს, ხომ ადვილად შეეძლოთ, თუ კარგი უნდოდა რუსეთს ჩუენთვის? – ანუ კავალევსკის რომ უნდოდა რეგულიანის ჯარის გაწყობა და 1783-ს წლის ტრახტატის განახლებით დამტკიცება, რატომ ესენი არ მისცეს? – განა ესენი იმიტომ არ მისცა, რომ რუსეთისა უნდა ყოფილიყო საქართულო?

ლისაგან გიორგის შემდეგ იულონ უნდა ყოფილიყო მეფეთ, ამისთვის, ამ კანონიერის მიზეზით: ეგება, როგორმე ოჯახს არ დაეკარგოს მეფობა და ამიტომ გამოიდო თავი, ოჯახი არ დაიღუპოს. ამ საქმის დამწყობი შემდგომში ქვემოთ იქნება.¹

უფალი დუბროვინი ღენერალ ლაზარევს რომ ამართლებს და კავალევსკის ამტყუნებს მართულობაში: მითამ ლაზარევის ქცევა პირდაპირი ყოფილიყოს და კავალევსკის მოქმედება თავის პატივისთვის. ეს დიას მართალია, რომ ლაზარევს ნდომია, ბაგრატიონთ ოჯახი პირდაპირ ჩქარა დაიღუპოს და კავალევსკის მკვიდრად აღადგინოს (დუბროვინის 85-ს და 91-ს გვერდზე). ესე იგი კავალევსკის ნდომია, როგორც სხოლიოში ვთქვი, რეგულიარნის ჯარის განყობა და მეფე ირაკლის 1783-ს წლის ტრახტატის მკვიდრად განახლება, რომელსაცა ამით საქართულოს მეფობა დაუმკვიდრდებოდა და კავალევსკიც ამის საქმეების წარმართული იქნებოდა. აქ რა პატივისმოყვარულობა კავალევსკისაგან? – მაშინ როდესაც რომ ღენერალ ლაზარევს კი ჩაუშლია ესენი, მეფე გიორგიც თავისაკენ მიუბირებია და ბოლო დროს ამის გამო დაუღუპამთ ბაგრატიონთ ოჯახი, ერთად საქართულოთი. ამ განძრახვის თავის მომყვანელი ანუ ამ საქმისა აღმასრულებელი ღენერალი ლაზარევი იყო, ეს საქმითაც ადრე ასე ვიცით და ამ დუბროვინის აღნერაშიც ასე ჩანს, მაგრამ მიკვირს, დუბროვინს როგორ მოსვლია, რომ ეს ფაქტი თავის თხზულებაში ჩაუწერია, მაშინ, როდესაც რომ ყოველს მაშინდელსა ჩუენსა სიმართლესა მაღავს რუსეთის მთავრობა? – მირიან ბატონიშვილი, ის გასულელებული რუსეთისაგან, მითამ ის თავის მამის, მეფის ირაკლისათვის მოვიდა საქართულოში? – მოვიდა, თავიანთი ოჯახი საქართულოთი ერთად დაამხო, მასუკან გატრიალდა და თავის ძმისნულებით (მეფე გიორგის შვილებით) ბაგრატით და მიხეილით, ეს ორნივ თან გაიტაცა: ეგება სხვებიც უკან დაგვედევნონ და გამარჯვებული, საქართულოს დამხობისთვის პეტერბურლისაკენ წავიდა, რომ ხელმწიფას ეკატერინას საფლავზედ ილოცოს ხოლმე, რადაგან იმისი ერთგული ღენერალი იყო...

¹ მინამ რუსეთის ინტრიგებისათვის საჭირო იყო დავით ბატონიშვილის მეფობა, რომ ოჯახში მტრობა ჩამოეგდოთ, მეფეს გიორგის აღმარებინეს თავისი ძე დავით მეფედ და როდისაც დაიდასტურეს: ეხლა საკართველო ჩუენ ძლიერი საქართულოშიო, მაშინ ამთენი უმსგავსო ამბები უზიდეს მეფე გიორგის ბატონიშვილს დავითზე და დავითს მეფე გიორგიზედ, რომ მამა-შვილს ერთმანეთი თვალის დასანაბათ სძაგდა, რომელმცა ამის გამო მეფე გიორგისა ხელი ააღებინეს საქართულოზე და რუსეთის ხელმწიფესა მისცა თავის შვილის დავითის გამოჯავრებული, მაგრამ დავითმა კარგა ხანი ამ ამბისა სულ არა იცოდა რა. ისე გაკვრით კიდეც უთხრეს, მაგრამ არ დაიჯერა.

უფრო კეთილშობილური პატიოსნება არ იქნებოდა რუსეთის მთავრობისაგან, რომ პირდაპირ ეთქუა: საქართულო ჩუქნოვის საჭირო იყო და ამის გამო წავიღევითო, მინამ უმანქობს აბრალებდნენ, ანუ სხუა და სხუის გაკეთებულის მოგონებით თავს მართლულობდნენ, მითამ ისინი ამაში სრულიად მართალი იყვნენ და მითამ მეტი ღონე რომ არა იყო რა: ამისთვის მივიღევით საქართულოო. ასეთი ფაქიზია და წმინდა რუსეთის მთავრობა, რომ იმათ არასდროს რწყილი არ დააჯდებათ, ყველაფერში ამისთანა წმინდანი არიან ისინი. თუ რომ რუსეთის ხელმწიფეს გადაწყვეტით ეთქვა: ან იულონ და ან დავითი უნდა იყოს მეფეთაო, მაშინ ვერც ისმალო, ვერც სპარსეთი და ვერც მთის ხალხი ვეღარას გაბედავდნენ საქართულოზედ. არამც გაბედავდნენ – დიდათაც იამებოდათ, თუ არადა, თვითონ რუსეთი იმათ ძალზედ ალელებდა საქართულოზე, რომელიცა ეს ცხადი. გარდა ამისა, იმ ერთ-ერთს ამორჩეულ მეფეს, ან კავალევსკი და ან იმისთანა სვინიდისიანი ჩინოვნიერი რომ მიეჩინათ, მაშინვე საქართულო დაშვიდდებოდა და ევროპიულს გუარზედ გამართუას დაუწყებდნენ ქუეყანასა, თუ არადა ცფიერულსა კამედიას მოჰყვნენ და ამ კამედიის თამაშობით საქართულო მოიტაცეს იმ მართალის და წრფელის ხალხისაგან. სადღესასწაულო ტაში დაუკარით იმათ იმისთვისა მთელო ქუეყანაო (!!!)

101-ს გვერდზე სწერია დუბროვინის თხზულებაში, რომ დარია დედოფალს ნდომია წასვლა და თავის შვილებთან შეერთება. ეს სწორეთ მართალია, მაგრამ აი როგორ? – ის ცხადათ მიდიოდა და არა ჩუმათ, ამისთვის მეფეს გიორგის სთხოვა, ნება მისცეს, თავის ქალის შვილს, მეფე სოლომონთან წავიდეს იმერეთში იმიტომ, რომ რადგან მეფე გიორგი ხელადებით საქართულოს რუსეთს აძლევს, იმას ნება ჰქონდეს იმერეთში ცხოვრებისა თავის შვილიშვილ მეფე სოლომონთან, რომ იმის ოჯახის დალუპა არა ნახოს რა რუსეთისაგან, ესე იგი გიორგი მეფის ოჯახი. ეს ცხადი იყო ძუელს საქართულოს პირებში, ეს ჩემთან ბევრჯელ ულაპარაკიათ იმათ და დედაჩემს ხომ რამთენჯერ უთქუამს, რომელიცა განუშორებლად თავის დედასთან იყო და რომელმაცა ყოველი თავიანთი ოჯახის ამბავი წვრილად იცოდა.

დედოფალი დარია სწორეთ ამ განძრახვით მიდიოდა, მაგრამ რუსებმა აღარ გაუშვეს და წასასვლელი გზები შეუზღუდეს ყარაულებით, შეეშინდათ: არ გაიქცესონ და იმერეთი იმის იქ მისვლით არ აირიოსო.

როგორც რუსებს მოყავთ ის ლვთიური დედაკაცი, დედოფალი დარია იმისთანა ინტრიგანკათ, თუ მართლა ის იმისთანა ყოფილი-

ყო, არც იმათი ოჯახი დაიღუპებოდა და არც საქართულო. კიდევ ეს არის ჩუენი უბედურობა, რომ ჩუენს ქუეყანაში ევროპიული ინტრიგებისა არა იცოდნენ რა, იმ წმინდა სახარების ხალხმა. თუ ის სცოდნოდათ, არამცთუ რუსეთისა იქნებოდა ეს ქუეყანა – რუსეთი ჩუენზედ ძალიან შორს დარჩებოდა, როგორც განათლებით, ისე ქუენის სამძღვრებითა: ერთს მართალს ადამიანის სულსა ბევრმა ეშმაკებმა რომ მოასწორონ, რასაკვირველია, მაშინვე დაიჭერენ და ჯოჯოხეთში ჩააგდებენ, თუ იმას გამომხსნელი ანგელოზები არ მიემველებიან. სწორეთ ამ მაგალითში იყო ჩვენი მართალი მამა-პაპა და დიდის რუსეთის ბრჭყალებქვეშა.

როდისაც რო ქალაქ ავლაბრიდგან დედოფალი დარია ალარ გაუმვეს და ყოვლის მხრით შემოუზღუდეს იმისი წასასვლელი გზები, ეს ამბავი შვილებამდინ მივიდა. უფრო დამატებით: დედოფალი დედათქუენი დაიჭირეს საპყრობილები და ყარაული დააყენესო.

ამის გამონენი, ძმები წამოვიდნენ ჯარით, დედოფალი ძალით გამოიხსნან, მაგრამ მართლა ახლა რუსებმა ყარაული დააყენეს დედოფალსა დაშეზღუდეს მკაცრათ. ეს ამისთანა უსამართლოება რომ დაინახა თავის თავზედ, მასუკან კი თავი გამოიდო, რომ მეტი ლონე ალარ იყო, მოინდომა, როგორმე დაეხნიოს და იმერეთისაკენ წავიდეს,¹ მაგრამ ვერაფრით ვერ შეიძლო, ამის გამო რუსეთის ხელმისაფერისა სთხოვა მეფის ირაკლის ანდერძის შესრულება ოჯახის მეფიობისა ხნით უფროსზე, უფრო ამისთვის, რომ ეგება როგორმე ჩუენს ოჯახს მეფობა არ დაეკარგოსო. სადაც მე ამ წიგნისას არას ვიტყვი. ვისაც ნებავს, დუბროვინის წიგნში წაიკითხონ 103-ს გვერდზე, რასაცა სწერს, სიმართლით თხოვაა თუ არა? დედოფალ დარიას მინამ რუსეთში წაიკვანდნენ, სოლომონ მსაჯულის რჩევით, ამაზედ ძალიან ცდილობდა, მაგრამ ყოვლის ცფიერებით ჩაუმალეს. იქნება გეგონოთ, რაც გიორგი მეფისაგან წყენა ჰქონდა დედოფალ დარიასა, მეფისაგან ყოფილიყოს? – არა, ის მართალი კაცი იყო და სწეული. თუმცა სწეულობდა, მაგრამ ის მაინც იცოცხელებდა კარგა ხანი, რომლებიცა იმის გარეშენი იმის სახელზედ ბძანებლობდნენ: ღენერალი ლაზარევი, თავი გიორგი ციციმვილი (მეფის გიორგის სიმამრი), არქიმანდრიტი ეფთიმე, გარსევან ჭავჭავაზე (მაგრამ ამ ამბებში რუსეთს იყო), თავი ალექსანდრე მაყაშვილი და სხუანი. ამ უკანასკნელს განძრახვის აზრსა კავალევსკიც იმათ მიუდგა, ერთათ დაინტეს საქმობა დედოფალ დარიასი და იმის

¹ ამ საქმეების დამწყობი და მრჩეველი დედოფალ დარიასი იყო გონიერი მსაჯული სოლომონ ლეონიძე, რომელმაცა იმან სულ იცოდა რუსეთის ცფიერი ამბები მეფის ირაკლის ოჯახობაზედ. ზევით სწერია მსაჯული სოლომონისა, ხომ გახსომთ? –

შვილების საწინააღმდეგოთ, იქამდისინ, რომ ბოლო დროს ოჯახი და საქართულელო რუსეთმა გადაყალაპა თავის დაღრენილს ვეშაპის პირით და ჩაიგდო თავის დიდ მუცელში. გაიგონეთ.

უეცრად მეფე გიორგი შემძიმდა. დილაადრიან თვით მეფე გიორგი, დედოფალს დარიას აცნობა, მიბძანებულიყო და ჩემი დაი თეკლაც თან მოიყვანეთო (დედაჩემი). დაუყოვნად მივიდნენ. შესვლისთანავე მეფე გიორგიმ ხელი სთხოვა დედოფალსა, ცრემლით დაჰკოცნა და მასუკან მოახსენა:¹ დედოფალო ჩემო დედავ, რაც თქუენ ჭირნახული გაქუთ ჩემზედ, მე იმისი მავიერი უსიამოვნებით გადგიხადეთ და ამისთვის მაპატიეთ ჩემო მოჭირნახულე დედავ. ამასთან, ვინც იქ იყვნენ, ყველანი დაითხოვა, გასულიყვნენ. მერე თავის დას, თეკლას კარები დაერაზა, არავინ შემოსულიყო. შემდეგ დედოფალი მახლობლად დაისო და მეორეს მხარეს თავის დას თეკლას მარცხენა ხელი მისცა, ხელი ხელზედ წაუსო. მერეთ კიდევ დედოფლისაკენ: „ჩემო დედავ! ჩუენი ოჯახი დაიქცა ათასის წლის მეტი საქართულოში“ და ცრემლები გადმოყარა, იმასთან დედოფალმაც. მასუკან კიდევ მეფე გიორგიმ:

-„ერთხელ მე რომ მამაჩემს მეფეს ვეახელ და საიდუმლოთ მოვახსენე, რუსეთის ხელმწიფე ოჯახს გვიღუპამს-მეთქი, იმ დროს ამ ჩემის დითა თქვენც ხომ იქ ბძანდებოდით და თქვენს ასე დამემოწმენით, მეც აგრე გავიგონეო. მაგრამ მამამ მეფემ არ დაიჯერა. ესენი ხომ კარგად გახსომს, შენიჭირიმე?“

-„კარგათ მახსომს, აგრე იყო სწორეთ, ჭეშმარიტათ“. დედოფალი დაემოწმა.

-„ეს ჩემი მოხსენებული მამას მეფესთან დამავიწყეს შემოხვეულთ მაცთურებმა. ისინი ყოვლის ფიცით მარწმუნებდნენ რუსეთის ხელმწიფის დიდს მოწყალებაზედ, ამის გამო ფიქრში აღარ გამივლია ის ჩემი მოხსენება მამას მეფესთან და ამისთვის ყოვლის ჩემის გულით მინდობითა რუსეთის ხელმწიფეზედ დიდი ნდობა მქონდა და ყოველი, რაც კი მთხოვეს, სულერთიან შევუსრულე, მაგრამ არ იქმარეს ესა. ამ ერთის კვირის წინათ ღენერალ ლაზარევმა მითხრა რუსეთში წასვლა მთელის სახლეულობითა, რომელმაცა ამისი უარი კი უთხარ, მაგრამ ამის გამო ჩემი გული გულათ აღარ არის. მეტის წყენით ვკვდები უსამართლო რუსებისაგან.² ეხლა

¹ ბევრჯელ თურმე აკოცებდა და იმ ზევით სიტყვას ეტყოდა.

² ზოგიერთს კიდეც უთქვამს, მითამ ღენერალ ლაზარევს ყავაში მოენამლინებინოს მეფე გიორგი, მაგრამ იმისი მონამდა საჭირო აღარ იყო, ამიტომ, რომ ჯერ პირველად, სნეულობდა, მასუკან ყოველდღე ასეთს იმის სასიკვდინოს ახალს ამბებს უზიდავდნენ, რომ იმის წრფელსა და მრისხანეს გულსა, როგორც აპრიალებულსა ცეცხლსა, ისე აანთებდნენ. იცოდნენ, რითაც გაეანჩელებინათ, რომელსაცა უდანობა

ყოველს ცხადათ ვხედავ რუსების განძრახვას ჩუენს ოჯახზედ. ესენი კარგად დაისწავლე დედავ და შენც ჩემო დაო თევლავ, ეს იმათი უწყალოება ჩუენზედ დასავინყარი არ არისო.“ ამასთან როგორც ისა, ისე დედოფალი და დედაჩემიც მწარეთ ატირდნენ. იმათ ამ ამბავში გარეთ ჩუმი ალიაჩოჩქოლი შეიქნა მაცთურებისაგან და ჩუმათ კითხუა: რაო, რა ანბავია, რა საიდუმლო უნდა ჰქონდეთ იმათაო? – მაგრამ ვერა შეიტყეს რა. მასუკან მეფე გიორგიმ დედაჩემს კარები გაალებინა, სადაც საჩქაროთ მაცთურები შევიდნენ და მეფეს, დედოფალსა ყურება დაუწყეს. შეემცნიათ რამე, მაგრამ ვერა გაიგეს რა და ეს იმათი საიდუმლო იმ სამშივე დარჩა იმ დროს და აქამდისინაც არავინ არა იცოდა რა იმ ამბისა. ახლა იძულების გამო დუბროვინის ისტორიისაგან, მეც საყოველთაოდ ვაცხადებ ამას.

მეფე გიორგი კიდევ საკმაოდ იცოცხლებდა, მაგრამ დააშურეს, საქართულებროით მიეღო რუსეთს და შესდგომოდა, როგორც თავის ქვეყანასა. მეფის გიორგისა და დედოფალ დარეჯანის ამ ამბისა შემდგომ, ერთის კვირის განმავლობაში ანუ ცოტა მეტ-ნაკლებისა, წმინდა მეფე გიორგი გარდაიცვალა, მსხვერპლი რუსეთის მთავრობისა, რომ უფრო ჩქარა მოეტაცა საქართულო იმ მოუთმენელს მთავრობასა, რომელიცა დაბადებიდგანვე სიკვდილამდინ, როგორც სულით, ისე ხორციელად წმინდა იყო ისა. თუ რომ შეცდომილება რამ მოუვიდა იმას, რუსეთის შეჩენილის აგრძელებისაგან, რომელიც იმ თავის უკანასკნელს უამში დიდს სინაცულში იყო: შეჩვენებულმა იმ ლაზარევმა ეს რა მიყო, რომ მამიჩემის, მეფის ირაკლის ანდერძი ვერ აღვასრულეო და მეტის სინაცულით თურმე ცხარედ ტიროდა. გარდა დედიჩემისა, თავის ასლან ორბელიანმაც მიანბო ეს ამბავი, მეფის გიორგის ქვისლმა. დუბროვინიცა სწრეს ამას ცოტათ, მაგრამ უფრო სხვარიგათ და ცივათაც: მითამ არაფერი (დუბროვინის წიგნში 165-ს გვერდზე). იმ აღმოსავლეთის ბარბაროსებისაგან გადარჩენილი საქართულო, ის ათასობითის წელიწადის დამკვიდრებული მამული ქართულებისაგან, მასუკან რუსეთის პოლეტიკისაგან წყნარა, ნელა დასუსტებული, მერეთ სულერთიან მეფის ირაკლის დრო, ის სამოცდასამის წელიწადისა, იმ ქართულების ხმლითა, იმ თავიანთის სისხლით შენაცული მამული, ახლა მეფის ირაკლის შემდეგ, ასე ჩქარა მოიყვანეს ალ-

ყელსა სჭრიდნენ და უნდოდა, რომ ჩქარა მომკვდარიყო უფალს ლაზარევსა, რომ დროით მოეტაცათ საქართველო. გარდა ამაებისა, მეფის გიორგისა და ბატოშვილ დავითისა (მამა-შვილში) შორის ასეთი შფოთი ჩამოუგდეს, რომ საცოდავთ არ ასევებდნენ, ასეთი საშინელი გაკეთებული სიტყვები დაჰჰონდათ ერთმანეთში. ზოგიერთი კიდეცა მაქვს დაწერილი ენამტანიების ის ჭორები ჩემს სხუა წერილში.

სრულებაში საქმე ქრისტიანმა რუსებმა, რომ სულ სამის წლის გან-
მავლობაში საქართულელო იმათი იყო და ქართულების მცირედი
კვალიც აღარ ა ეტყობოდა რა ჩუენს ქუეყანას. ასეთის ეშმაკურის
ძლიერებით გაგლისეს დედამიწაზედ ის მეფე ირაკლის ხელგა-
მომავალი ვაჟკაცი ქართულები, რომელიც რუსეთის ხელმწიფე
პავლე ამისთვის მზადებაში შევიდა, რომ ჩუენის დანთქმისთვისა
დიდი დღესასწაული გადაიხადოს: ძლიერი ამთენის საუკუნოების
ჩუენს ზრუნვის საწადელსა მივეხნიერით და გადაწყუეტით ახლა კი
საქართულო ჩუენი, რუსეთისა არისო, იდღესასწაულე, გაიჭიმე,
გაბტყელდი რუსეთოვო(!!!). ამიტომ ასე შეუკლიმად იმ დუბრო-
ვინის წიგნში ესეც არის მოხსენებული: იმ ძუელის ქართულების
სრულიად დავრდომილება პირველს რუსობის დროს საქართულ-
ოში. მაგალითად მოვიყვანოთ: ერთი კაცი ერთს დიდ მთის კლდეს
რომ მიადგეს წერაქვითა და სამასი წელიწადი წვრილ-წვრილად ან-
გრიოს ყოველს ცისმარეს დღესა, იმასაც კი ძირიანათ ამოაგდებს
ამთენს დროში, თორემ ჩუენი მამა-პაპანი ხომ კაცნი იყვნენ?— იმ
ჩუენის მეფის ალექსანდრეს პირველიდგან, რუსების პირველს
დაფუძვნამდისინ საქართულელოში, სამასი წელიწადი მეტი ანგრია
რუსეთმა საქართულელო დანგრევას შეიძლებდა თუ არა?— რას
ამბობენ, როგორ დავრდომილება? ჩუენი თესლიც ალარ უნდა ყო-
ფილიყო ჩუენ ქუეყანაში იმთენი ცოდნის ამბებითა რუსეთისაგან
ჩუენზედ. არამცულ დასაძრახნი არიან ისინი, დიდათ გასაკვირვე-
ბელია, რომ თავიანთი თესლი კიდევ შეინახეს საქართულოს მამ-
ულზედა ქართულისა, რუსეთის ეშმაკურსა მახეში გაბმულებმა იმ
მართალმა ხალხმა.

ახლა ამისთვის სჯობია, რომ მოკლეთ მოვჭრათ. ესეც უთხრათ
პირდაპირ, რომ რუსეთის მთავრობა, გულით სავსე მზაკვრებითა,
პირათ ნათლათ ეჩვენება ყუელას, ისე იმათი ყოველი წერილების
საქმეებიც ასე არის. ყოველი იმათი წერილების საქმეები, ოლონდ
წმინდათ მართალი გამოვიდნენ ყველასთან, თორემ არა მოგო-
ნილებასა არას დაერიდებიან და თუ იმისთანა იქნება რამ იმათს
არხივებში ანუ საქმეებში, ცოტა მაინც წყენა რომ შეეხოს იმათ
მთავრობასა, სულერთიან ხევენ და ცეცხლში სწუენ, თუ როგორმე
არა სცდათ რა. ყოველი იმათი ისტორიები ისტორიები კი არ არის,
თავიანთ არანამდვილს მოქმედების ფაკტებზედ შედგენილებია.
რა არის? ეს არის, რომ ჯერ გარეშეებთან მართალი გამოვიდ-
ნენ, თუ ვინიცობაა, ეს ასე ვერ მოუხდათ, მასუკან ოლონდ თავის
ხალხთან ნათლად მართალი იყვნენ, თორემ მთელს ქუეყანას სულ
არას დასდევენ, ამისთვის, რომ თავის აზრისამებრ, რადგან მთელს
ქუეყანას უდრის რუსეთი, ამის გამო თავის ხალხთან ყველაფერ-

ში მართალი უნდა იყოს. ამით რუსეთის მთავრობამ თავის აზრი შეასრულოს და თავის დროზედ მთელს ქუეყანას თავზედ დააჯდეს ამ სახით, რომ ბოლოს თავის გასამართლებელი ჰქონდეს თავის ხალხთან: მართლები ვიყავით, გარეშე ხალხმა უსამართლობით იძულებული გაგვხადეს და ამიტომ შევიძინეთ სხუა ქვეყნებიო. აი რუსეთის მთავრობის აზრის მიმართულება მთელის ქვეყნის დასაპყრობლად, რომლებიცა თავის შპიონებსა ისე ასაქმებენ ყოველს მხარეს, რომ მე არა მგონია, რომელსამე სახელმწიფოს ჰყუანდეს იმათთანა შპიონები. რუსეთის შპიონები ზედმინევნით სწორეთ მაცურებელი არიან. ვერას იმათ მცირეს საქმეს ვერა რომლები დიდი გონიერნი საქმის კაცნი ვერ მიუხვდებიან, თუ იმათით ძალიან გამოცდილნი არ არიან.

თუნდა ესენიც რომ არ იყოს, ეს ჩემი ამთენი აღწერილი ნამდვილი სიმართლეები, სადაც მე კრიტიკულად დუბროვინის თხზულებისა მაგდენი არა გამირჩევია რა, იმის თხზულებაშიც ცხადათა ჩანს, რომ ჩემი გულმართალი მეფები და თვით ქართულები როგორ მოტყუებული ყოფილან რუსეთისაგან. ვისაც მიხვედრა აქუს, ნათლად დაინხავს ამას იმ დუბროვინის თხზულებიდგან. მაშასა-დამე, სადაც ეს განძრახვა რუსეთს ექნებოდა, არა თავის ხასიათის უსამართლოების საშუალებასა არას დაერიდებოდა საქართულოს მოსატაცათ, რომ ბოლო დროს მთელს აზიას ხელი გადაავლოს – ავლებს კიდეც და იმისთვის ამის კლიტეთ მთელი კავკაზია ხელში უნდა ჰქონდა და აქუს კიდეც.

მინამ რუსეთი ამისთანა ძლიერებაშია ანუ ამისთანა დაფარულს პოლეტიკის მდგომარეობაში, არაოდეს ნურსად კაცობრიობა ნუ მოელის კარგსა რასმე განათლებას კაცობრიობისათვის. ის, რომლებიც რეფორმები მოახდინა რუსეთმა რუსეთში ანუ თუ კიდევ მოახდენს, ისინი სულ მოჩვენება-მანევრები არის რუსეთისაგან, რომე რუსეთზე არავინ არა იფიქროს რა, რას ჩუმობით ძლიერდება რუსეთი თავის შიგნით ქუეყანაში და ამისთვის არავინ არა იცის რა, სად როგორ მოქმედებს თავის აგენტებით ოთხსავ კუთხივ ქუეყნის შარზედ, რომ კაცობრიობა წინ არ წავიდეს და დამშვიდებულის გონებით იყვნენ რუსეთზე ყუელანი, სადაც ამაებში კი თვითონ ძლიერებაში შედიოდეს – შედის კიდეც განუსაზღვრელს და უძლეველს ძლიერებაში, რომ ბოლო დროს თავის საშინელების ქუებ კაცობრიობა გასრისოს, თავის ამაოების დიდების სახელის დასაგდებად!!!!)

ვაი ევროპის ბრალი. როგორც პოლშა და ეს ჩემი ქუეყანა რუსეთისგან მნარეთ ჭირის, ისიც ელოდეს ამას, რუსეთისა აზრისამებრ თავის დროზედ: ათს მილიონს მეტს გაწყობილ ჯარ-

სა კისერზედ რომ დააყენებს, აი მაშინ. ჩუენი გაუნათლებელი უდიპლომატო მამა-პაპები მოტყუებულნი რომ არიან რუსეთისაგან, იმათ უმანკოთა სიმართლესა მიეტევებათ, მაგრამ გონიერს და ბრძენს ევროპის დიპლომატიას კი არ შეშვენის რუსეთისგან მოტყუება. განათლებულო ევროპიავ, კიდევ გეტივი, რომ ნუ ტყუევდებით, ნუ ბრძავდებით ვონებითა რუსეთისაგან, თორემ თქუენი შეიღიშვილების საგიები დაიდებით. ამის შემდგომ ეს ორიოდ სიტყუაცა ვთქუათ აქა და ამითი დავასრულოთ. ის ქართულები და ის სომხები, ვინც ერივნენ მეფის ოჯახობის და საქართულოს დაღუპაში, როგორც მეფე ერეკლემ იმათ მიუტევა, ისე ჩუენც მიუტეოთ იმათ და ჩუენმა შვილიშვილებმაც. მე ამ თქმას ვერ გაბეჭდავდი ამისთვის, რომ მამულის მოლალატე დიდი სასჯელის და გიების ღირსი არის, მაგრამ იმ ლვთიურის ქრისტიანის და მამულისთვის თავდადებულ მონამის მეფე ერეკლეს გულისთვისა, იმის სიტყუას პატივი უნდა ვცეთ, იმ გულმართლების შეცთომილება აღარა გავიგონოთ რა, როგორც მეფე ირაკლი ზევით ეუბნება იმ პირს: მამიტევებიაო. ისე ჩუენც მიუტეოთ და ესეც იმას დაუმატოთ, ეს მეფის ირაკლის სიტყუა, იქვე ზევით ნახსენები.

„ჩუენ ჩუენმა სიმართლემ და ჩუენმა უმანკოებამ მოგვატყუა, ყოველი პლუტი აზარქარი ვაჭარი მართალს უმანკოსა მოვაჭრესა მოატყუებს თავის უსვინდისოს სარგებლობის შეძინებისთვისა, ისე მოგვივიდა ჩუენა. მხოლოდ მე მარტო, მე ამას ჩემს თავს ვერ მიუტევებ, სულ დამნაშავე მე ვარ, არავისი დამდურება მე არ მართებს, მეფე ვიყავ, ქუეყნის გამგე, მე არ უნდა მოვტყუებულვიყავ: ეს ტვირთი მხოლოდ მე ერთს კისერზედ მაწევს, სხუას არავის.“

დიდსულოვანო მეფე ერეკლე! ციფერებისაგან შენის ქუეყნის დაქცევისთვის თავი დაიჭლექ და მონამისა ტანჯვით მოკვდი, მაგრამ შენსა და შენის ქართულ-სომხების უმანკოების შეცთომილებაზე ღმერთი არ განრისხდება, იმედია, სამართალსა თვით ის უმანკოების შეცთომილება იპოვის. ამისთვის ის დუბროვინის თხზულება მეფეს გიორგიზედ ამ სახელით რომ ყოფილიყო, მინამ მეფის გიორგის სახელზედ გამოეცათ ის თხზულება, ჭეშმარიტად უფრო შესაფერი იქნებოდა ესა: მოტყუებით საქართველოს დაღუპა რუსეთის მთავრობისაგან. აი, სწორე და მართალი იმ წიგნის სახელი ეს არის.

თ ა. ვახ. ძე ჯ. ორბელიანი

თვესა იანვარსა, 1868-სა ნელსა. ქ. ტფილისს.

პირველი ხოლერა აქ ტფილისში /საქართულოში (1830-სა წელსა რაც ვიცი ანუ შემხვედრია)

ამ წელინადის ორი თუ სამი წლის წინათ ამბები მოდიოდა ინდოეთისა: ერთი რაღაც სნეულობა გაჩენილა, ძალიან სწყვეტს ხალხსა, რომელსაცა უწოდებენ ხოლერასაო.¹

ამის შემდგომ კარგახანი გავიდა, ბოლოს თქვეს: ის ხოლერა ყიზილბაში მოსულა ხალხს ძალიან ხოცის, ამის პასუხათ ერთმა სასაცილოთა თქუა: ქარავანი ხომ არარის ისა, აქლემების საპალნებით მოდიოდესო. რომლებმაცა იმის ხმასა არა დასდიესრა ხალხმა. შემდგომ ამისა, კიდევ კარგახანი დრო რომ გამოვიდა, მასუკან თქვეს: ის ხოლერა ყარაბალში მოსულა, ხალხს მუსრს ავლებსო. ახლაკი ჩვენმა ხალხმა თავები ჩამოჰკიდეს და დაღონდნენ: ვაი თუ აქაც მოვიდესო? – და მოდიოდა კიდეც ნელანელა. ბოლო დროს წინა დღეს აქაც დაიძახეს: კოდის სოფელში მოსულაო. (სამი საათი სავალია მოკლე გზაზედ ცხენით ტფილისიდგან კოდა, სამხრეთისკენ.)

ამის მეორეს დილაზედ, დედიდაჩემს ბატოიშვილს ქეთევანსა, თავის დაი დედა ჩემი და მე ჩემი ცოლით სადილათ დავეპატიუნეთ; გადავედით და ყველანი ერთიან სადილზედ უფიქრელათ ვიყავით, ასე რომ ერთი სიტყვა ხოლერაზედ არა თქმულა. (როგორც მახსომებს, ეს დრო იყო აგვისტოს თვის დამდეგი, ჩვენებურათ მარიამობისთვე.)

სადილი რომ გავათავეთ, მე ნამოველ და ჩემი ცოტა ძილი, ან ოცი მინუტი და ან ნახევარ საათი დავიძინე. (სადილთ უკან მე ამაზედ მეტს არ დავიძინებდი. ლამეც თერთმეტი საათიდგან დილის შვიდ საათამდინ, მაგრამ ამათ შუაში ან საათ ნახევარი და უფრო მეტათ ორი საათი მეღვიძა ხოლმე. ასე რომ ოცდაოთხს საათში, ხან შვიდი და ხან ექვს საათ ნახევარი მეძინა. ეს ჩემი ჩვეულობა იყო ჩემი ყმანვილკაცობიდგანვე, მაგრამ ესეც მოხდებოდა, რომ სამი საათი ძილი არ მქონებოდა და იშვიათათ სულაც არა.)

ამ ჩემი ძილის შემდეგ რომ გამეღვიძა, სახლის ბალკონზედ გაველ² და აქეთ იქით სიარული დავიწყე. დღე იყო მზიანი და კარგათაც ცხელოდა, ამდროს ამ მეიდანზედ, ქვემოთი ბაზრის მხრიდგან ერთი დასტახალხი, ზოგი წინ, ზოგი უკან მორბოდნენ გაფანტულები და ერთმანეთს უძახოდნენ.

¹ ამის ძალას და მოქმედებასაც ლაპარაკობდნენ.

² უნინ ჩვენს მეფებს სასახლე რომ ჰქონდათ, იმის მეიდნისა პირზედ აქეთ მხარეს დედა ჩემმა სახლები გააკეთა 1819-ს წელსა, რომელშიაც შიგ ვიდექით და დღესაც მე აქ ვდგევარ, ჩემის ძმებიდგან წილში მერგო, ჩვენი გაყრის დროსა.

— „არ იქნა ჩქარა გასწით, თათრის მეიდანში შემოვიდა.“ იმ თა-თრის მეიდანში ყოველთვის ხალხი ბევრი არის ხოლმე, სადაც ქ. ტფილისისთვის იქ სანუზლე ბევრი იყიდება. იმ მორბენალს ხალხსა დავუძახე მაღლის ხმით ბალკონიდგან.

— „რა ანბავია, მითხარით კაცო? — “

— რაღა რა ანბავია, ხოლერა თათრის მეიდანში შემოვიდა, კაცები წაიქცნენ და იხოცებიან. “ ეს იმათ რომ დაიძახეს, მაშინათვე გაიქცნენ.

ამათ უკან კიდევ სხუანი მორბოდნენ და ისინიც ამას იძახოდნენ, თან ამასაც.

— „უნდა მთელი ქალაქი აიყაროს, დაყიფანტეთ სოფლებში, მთებზედ და ტყეებში.“ და თან მიემურებოდნენ. ბოლოს კიდევ სხვები მორბიოდნენ და ისინიც ამას იძახოდნენ.

სწორეთ უნდა ვთქუა, პირველმა იმათმა ამისთანა შიშმა, მე იმათმა ამისთანა სახემ, მეც ასეთმა ზარმა ამიტანა, რომ შინ შამოვ-ელ, სულ ერთიან ოთახის კარები და ფანჯრები მივხურე იმ სიცხე-ში და დავიწყე სიარული აქეთ იქით ფიქრში. გამეგონა: დახურვილს ოთახში ხოლერა ვერ შემოვაო. ამიტომ მეც დავხურე ის ოთახი.

პატარაბანს უკან ბატონიშვილი დედა ჩემი და ჩემი ცოლი მოვიდნენ, სადაც ვიყავ, პირდაპირ იმ ოთახში შემოვიდნენ; მივიდნენ, ჭახტზე დასახდნენ და ბატონიშვილმა დედამ მკითხა.

— „ალექსანდრე, ამ ოთახის კარები და ფანჯრები რათ არის მიხურვილი, ამისთანა სიცხეში? — “

მე გავლილი ამბავი ყველა მოვახსენე და ამასთან ესეც.

— „ასე მოგახსენეს, ვინც მიხურვილს ოთახში არის, იქ ხოლერა თურმე ვეღარ შევა.“

— „რაო ალექსანდრე? — აკი თქვეს რომ ალექსანდრე ვაჟუაცი არისო. რაზე გეტყობა შენ ესა? — სიკვდილისა გეშინიან, როგორ გეკადრება კაცსა? — ბიჭო, ეხლავ ფანჯრები გააღევით და კარებიც, ჰაერმა იმუშაოს სახლში.“ და მაშინვე გააღეს. მეფის ირაკლის შვილობაკი ეტყობოდა დედა ჩემსა.

მე იმისმა ამისთანა სიტყვამ გამაქეზა და მოვახსენე.

— „რახან აგრე არის შეინჭიმე, ეხლავ თათრის მეიდანში ჩავალ.“ საჩქაროთ შინიდგან გამოვედი კარზედ და ჩავედი იქა.

ჯერ ბაზარში ჩავიარე, სულ დუქნები დაკეტილი იყო და დუქნების პატრონები გაქცეულიყვნენ, მასუკან თათრის მეიდანში გაველ, იქ, აქა იქ წაქცეული იყვნენ კაცები, ზოგს რკინის ფერი ედო სახეზე და იკვლანჭებოდა, ზოგს პირიდგან ზაფრა ამოსდიოდა, სამი კაცი კიდევ მამკვდარიყო და სულ სხუადა სხვის სახით ეყარნენ. იქ პოლიციის ჩინოვნიკები იდგნენ და პოლიცმეისტარს

ელოდნენ გარემზომლობისთვის. იმათ მკითხეს.

– „კნიაზო, რისთვის ჩამოსულხართ, ამისთანა ლვთის რისხვის დროს აქა?“ –

– „სანახავათმეთქი.“

– „ეს ამისთანა საშინელი სანახავი, რა სანახავია? – ჩქარა წა-დით შინა, თქვენც არ მოგხვდეთ ხოლერის ქარი. –“

– „ეგ ლვთის ნება იყოს, მე არ მეშინიან. მაგრამ ამ ქალაქში არის სადმე ამისთანა საცოდაობა?“

– „სახლებში ბევრს ადგილას და ხალხის მეიდანი ხომ არსად არის ამის მეტი. ბევრი ქალაქის ხალხი კიდეც აიყარა და აქა იქ დაი-ფანტნენ.“

შემდგომ წამოვედი, მოვედი შინ, დედამ მკითხა: რა ნახეო? – მე სულ მოვახსენე. იმან მიპასუხა.

– „ეს შვილო, რაც რომ არის ჩვენზედ მოვლენილი, ჩვენი ცოდ-ვის გამო ლვთისაგან. როდისაც მთელს ქვეყანას ადიამიანისა ცოდ-ვა მოერევა, მაშინ თავის რისხვით ღმერთი კაცს რითიმე დასჯის, რომ გონებაზედ მოვიდნენ და გული განინინდონ ბიწიერებისგან.“ ამასთან ცოტა კიდე მელაპარაკა და მერეთ თავის დის ქეთევან ბა-ტოშვილის კაცი მოუვიდა, შემოეთვალა.

– „მე ეხლავ დილომში! ვაპირებ წასვლას, თქვენც თქვენის რძლით საჩქაროთ წამოდით, ერთი მოახლე და ერთი ბიჭიც თან წამოიყვანეთ, რომ ერთად ვიყვნეთ ამისთანა დროში. მე დილომში ბიჭი კიდეც გავაქციე, საჩქაროთ ურმები გამოაგზავნონ, რომ ამა-ლამცე ბარგი მოგვივიდეს იქა და სხუა დანარჩენი კერძობაც ურმე-ბზე მოგვივლენო.“

ეს რომ დედას მოახსენა, მასუკან დედა მე მამიბრუნდა.

– „შენ რას იტყვი ალექსანდრე? –“

– „უთუოთ, უთუოთ წაბდანდით შეინჭირიმე.“

– „შენ რომ აქ დარჩები? –“²

– „ვეცდები დამითხოვონ და მეც იქ გიახლებით.“

– „მაშ წავიდე? –“

– „უთუოთ თქვენმა მზემა.“

ოთხი ჩვენი ცხენი და კალასკაც სულ მზათ იყო ჩვენის ქუჩრით, რომელმაცა მაშინვე შევაბმევნე, დაუყოვნად ჩავსხი და დილომში გავისტუმრე, საითკენაც სწრაფათ წავიდა კალასკა. იმ საღამოზე-დაც ბარგისურმები მოგვივიდა, ბარგი და დანარჩენი კერძობაც

¹ დილომი ქეთევან ბატოშვილის მზითევია და ტფილისზე 9-ს ვერსზედ არის.

² მე მაშინ რუსების სასამართლოში ვიმსახურებოდი სოვეტნიკათ, ლუბერსკისპრავ-ლენიში.

ჩქარა გავისტუმრე და შინ დავრჩით გრიგოლ დიაკვანი¹, ჩემი გამ-დელი ლომისახარ, ჩემი ძმის დიმიტრის გამდელი წაისახარ და მე. სხუა სულ იქ წავიდნენ, რომელმაცა მე ჩემს ოთახში კარები, ფან-ჯრები სულ ერთიან გავაფარლალე და ჩემს ტახტზე მოსვენებით დავიძინე.

მეორეს დილაზე გრიგოლ დიაკვანს დავუძახე, ვკითხე.

– „აბა დღეს სადილათ რა გვექნება? – “

– „ამ მარიამობის მარხვაში, სხუა რა იჭმება თუ არა სამარხო, და სამარხო ყოველივე გვაქვს საკუჭნაოში, ბევრის ლვინო პურით. რას მიბძანებ გავაკეთო? – “ მიპასუხა.

– მუხუდო და ზეთის ფლავი გააკეთე და კიდევ მოწვი რამე. ჩვენს გამდლებაც არა დააკლორა, მაგრამ ლვთისმშობლის დღეს რომ გახსნილდება, სახსნილო რა გვექნება?“

– „ერბო, ბრინჯი და ყველი სახლში ბევრი გვაქს, ქათმები და კვერცხებიც ბევრი. აი რასაც მოგახსენებ, ამითი დაგხვდებით იმ დღესასანაულს დღესა.“

მასუკან ჩაის შემდეგ ჩავიცვი და გამოვედი, რომელიცა ჩვენზე ახლოს იდგა ღუბერნატორი ზავილეისკი და ჩვენი სასამართლოს პრედსედატელი იგივ იყო. იმასთან მივეღ, ის იყო, ისიც სხუაგან ემზადებოდა წასასვლელათ. მითხრა.

– „კნიაზო, ხოლერისა ხომ არ ეგშინიანთ? – “

– „არ მეშინიან, მაგრამ გუშინ ჩუენი სახლეულობა ს. დილომში წავიდნენ ბატოიშვილ ქეთევანთან, მეც ნება მამეცით, იქ წავიდე.“

– „ჯერ მოიცადეთ, ვნახოთ, რა იქნება? – “

ის კარზედ გამოვიდა, კალასკაში ჩაჯდა, სადღაც წავიდა და მეც ჩემი სახლისაკენ წამოვედი. მეიდანზედ რომ გამოველ, იქ სამი პოვოსკა მოჰკონდათ ტილო გადაფარებული, რაზედაც საძაგელი სუნი დასცემოდა და კვარტალი, რამდენი დესეტნიკებით მოუძღვნებ; იმ კვარტალს ვიცნობდი, ვკითხე.

– „მაგ პოვოსკებით, რა არის, რომ მიგაქვთ? – “

– „ლარიბების მკვდრები, სასაფლაოსკენ მიგვაქს.“ მწუხარე-ბით მიპასუხა.

– „ბევრი იხოცება ამ ხოლერით? – “

– „ბევრი, ძალიან ბევრი. ასე შეშინებულია ამ ქალაქის ხალხი, რომ წუხანდელს აქეთ, უფროსი ერთი ხალხი ქალაქისა აიყარა და აქ იქ დაიფანტნენ.“ ამ სიტყვასთან გასწია, წავიდა და მეც ჩვენს ღუბერსკისპრავლენის სეკრეტარ ტიხანოვთან წავეღ, ისიც ახლოს იდგა. რა შევედი, მარტო იყო, მკითხა.

¹ ეხლა ის, ალგეთის მდინარეზედ, ს. ენაგეთში ლვდლათ არის ანუ ს. ბოგვში.

- „როგორ შეხვდით იმ ხოლერას? – “
- „პირველ შიშით და მასუკან სულ არაფრათ მიმაჩინია.“
- „აგრე უნდა სწორეთ.“

ეს რომ თქვა, გადაბრუნდა და გულს შამოეყარა. მაშინვე წამოვარდი, ერთი კოკა ცივი წყალი ამოვარბენინე სარდაფიდგან და თავპირზედ მივუშვი; მოვასულიერე და კითხვა დავუწყე.

- „რა დაგემართამეტქი? – “
- „რავიცი, გული მიმდის კნიაზოვო.“
- „თქვენი ბიჭი ხომ არსად გაგიგზავნიათ? – “
- „როგორ არა, ბაზარში სასყიდლათ, სადილი გამიკეთოს რამე.“ დიდი ღვინის მსმელი იყო, ლოთი არა, ვუთხარ.
- „თუ მეტყვით, კარგს წითელს ღვინოს მოგიტანთ, დალიეთ, გარგებსთ.“

- „მადლობელი ვიქწები კნიაზოვო.“

მაშინვე საჩქაროთ ერთს ცარიელს თუნგიანს წამოვავლე ხელი, შუა ბაზარში ავირბინე და იქ ერთი გალებული დუქნის მეტი არ იყო სირაჯისა, მიველ, კარგი კახური წითელი ღვინო ვიყიდე, საჩქაროთ მოვირბინე, სტაქანი რომ ვიპოვე, ავუმსე და იმანაც სულ დალია. შევხედე, ცოტა სახე გაუკეთდა, მეორეთაც მივიტანე და მესამეთაც. მერე, ცოტა ხანი რომ გამოვიდა, ვკითხე.

- „როგორ ხარ მეტქი? – “
- „უკეთ, უკეთაო.“ მაგრამ სუსტის ხმით მიპასუხა.

რაოდენიმე ხანი კიდევ ვიჯექ იქა, ამაში ხან ველაპარაკებოდი და ხანდისხან ღვინოს ვასმევდი, რომელიცა კარგათ მოსურიელდა და ბევრი მადლობა მითხრა: თუ თქვენ არ შემსწრებოდით, უთუოთ მოვკედებოდიო. შემდეგ წამოვედი. გზაზედ ვთქვი: მოდი, ქვემოთ ბაზარში გავივლი და იქიდგან გავალ თათრის მეიდანშიმეტქი.

ბაზარში რომ ჩავედი, სულერთიან დუქნები დაკეტილი იყო თვითოთ ოროლას მეტი, ეტყობოდა პატრონები აყრილიყვნენ; მერეთ მეიდანში გაველ, იქაც დუქნები მიკეტილი იყო, სადაც პოვოსკები მოდიოდნენ მკვდრებით ჩაწყობილი სავსე და სასაფლაო-საკენ მიჰქონდათ დასამარხათ.

მასუკან იქიდგანაც, ყასაფხანაში ჩაველ, იქ ერთი დუქნი იყო გალებული და რამთენი შაყა ცხვრის ხორცი ჰქონდათ ჩამოკიდებული და ორი ყასაბი გვერდით უდგნენ. ერთმა მკითხა.

- „კნიაზო ალექსანდრე, მიკვირს ამისთანა ხოლერაში, როგორ ჩამოსულხართ? – “

- „ღვთის წინამძლომელობით მე არ მეშინიან. მაგრამ თქვენ რალას აკეთებთ აქა? – „ვუთხარ.

- „პოლიციამ გვიბანა, რიგით უნდა ვიყვნეთ ყასპები აქ, ამი-

ტომ ვართ აქა, რომ ვინც რუსის უფროსები დარჩენენ აქა, ან კიდევ რიგიანი სახლობანი, იმათ ხორცი ვაძლიოთ.

თურმე სხვა ამერიკიც პოლიციას ასე ამ პირობით შეეკრათ.

შემდგომ, იქიდგან რომ წამოვედი, ქუჩებს შემოვუარე, ვნახე ქალაქის აყრილი ხალხი, ზოგი აქეთ და ზოგი იქით მიდიოდნენ დიახ ჩქარა. წამოველ, მოველ შინ, ჩვენ ოჯახის ხატების წინ დავვემხე, რომლებსაცა ცრემლით ვევედრებოდი იმ სენის განქარვებას. მე იმ დროს ჩემი საჯდომი ცხენი ქალაქს მყუანდა, ჩემი მეჯინიბეც თავის ცხენით, რომელიც ხანდისხან იმ ჩემს ცხენზე შევვადებოდი და მარტო მინდოოში ვსეირნობდიხოლმე სხუა და სხვის ფანტაზიებითა. ის ცხენები და ის მეჯინიბე დილომში გავისტუმრე, ჩემი პატარა ბარათით: ჯერ მე ღუბერნატორმა არ გამამიშვა; მანამდისინ ეს ცხენები მეჯინ [იბ]ით მანდ შეინახეთ და როდისაც დამითხოვენ, გიახლებითმეთქი.

რა ის გავისტუმრე, სადილობის დრო მოვიდა, დავჯექ, კარგათ შევექეცი და სადილს უკან კარგათაც დავიძინე, ჩემი ჩვეულობის ცოტა ძილით. ჩაიც რომ დავლიე, მოხუცი გამდლები ვნახე, კარგათ მასვენებით იყვნენ¹, მერეთ გამოვედი და ჩვენს სეკრეტართან წავედი; ისიც სრულებით კარგათ დამხვდა. პატარა ხანს ვიყავ იმასთან, მასუკან წამოვედი და გზაზედ ვიფიქრე: ნეტავ ვიცოდე, ჩემი მცნობებთავანი ვინ დარჩებოდა აქა და არ აიყრებოდა, რომ წავიდე ვნახომეთქი. მაგრამ ვისაც ცოტა რამ შეძლება ექნებოდა, ვინ დარჩებოდა? – ამბავიც ისე განითქუა: სულ აიყარენო.

იმდამეს ჩვენი გამდლები ვახშმათ ჩემთან ისხდნენ და სხვა-დასხვის ძველის ლაპარაკით შემაქცევდნენ. ამის მეორეს დღეს შუადღეზედ ადრე კიდევ სეკრეტართან წაველ, მითხრა.

– „ამდილით ღუბერნატორთან ვიყავ და ყოველი გუშინდელი თქვენი შემწეობა ჩემზე, სულ ვუანდე, რომელიცა თქვენი მადლობელი არის ჩემის მოვლისათვის.“ ამასთან ერთად გამოვედით, ის ღუბერსკის პრავლენიეში წავიდა და მე შინ ამოველ.

ის დღეც ისე გავატარე, სადილსუკან ჩემი ძილის და ჩაის შემდგომ, ფანჯარაში გავიხედე ქუჩაზედ, ვნახე ერთს ყმანვილს კაც-სა, ფიცრის კუბო მხარზე ედო და მწარეთ დალონებული მოდიოდა. დავუძახე.

– „კაცო, ვისი არის ეგ კუბი.“

¹ იმათ ბევრი ამგვარი აყრადაყრა ენახათ უნინდელსა დროში, ნამეტნავად დიდ-ჭირიანობას და ამიტომ არას დასდევდნენ და არც სიკვდილი მიაჩნდათ არაფრათ. მეფის ირაკლის სასახლეში იყვნენ გაზდილები და რასაკვირველია ასე მაგრა იქნებოდნენ ისინი.

შემამხედა მწუხარებით.

– რაღა ვისი არის, გუშინ დილას ჩემი დედმამანი დამეხოცნენ, გუშინვე დავმარხე, დღეს დილას ერთი წლის ჯვარდანერილი ჩემი საყვარელი ცოლი მამიკვდა, ისიც ეხლა უნდა დავმარხო. ახლა დავრჩი ერთი ღერი კაცი მარტო სახლში. აი ეს კუბო იმისათვის მინდა.“ ამასთან ატირდა და მეც გული ამემლვრია. მასუკან ვკითხე.

– „სადა დეგხარ, თუ ღმერთი გნამს, მითხარ? – “

მითხრა, სადაც იდგა და ისევ ისეთი დალონებული წავიდა.

კარგათ რომ დალამდა, ვთქვი: უთუოთ წავალ, იმ ყმანვილს კაცს ვნახამმეთქი და გავმგზავრდი.

მიველ, ვიპოვე იმის სახლი, კარს მივაწექ, ღია იყო, შეველ, რომელიც ერთს პატარას ოთახში ხალიჩაზე იჯდა გულხელდაკრეფილი, ანთებული ჭრაქი გვერდით ედგა და მწარეთ მოსთქვამდა თავის მკვდრებსა. დავუძახე.

– „კაცო, ღმერთი მოიგონე, აგრე საცოდავათ ნუ მწუხარებ.“

შემამხედა: „ოჳ, ჩემთვის რა ნუგეშიხართ ეხლა.“ და პირს ღიმილი მოუვიდა. ვუთხარ.

– „დამარხე საცოდავი შენი ცოლიც? – “

– „პოლიციის შემზებით, ისიც დავმარხე ჩემს დედმამასთან და ეხლა იქიდგან მოველ.“ ამასთან მოჰყვა კიდევ ტირილს. ვუთხარ.

– „ტირილის დრო აღარ არის, უნდა მხნეთ იყო და ერთი საქმე ქნა რამე.“

– „რა საქმე, მიბანე შენი ჭირიმე? – “

– „ნათესავი გყავს ვინმე თუ არა? – “

– „მყავს ერთი ნათესავი ცოლშვილიანი და ისინი პირველ ხოლერაში მაშინვე გაიქცნენ.“

– „საითკენ არ იცი?“

– „მარტყოფისკენ.“

– „შენი მეზობელი აღარავინ არის შენს მახლობლათ აქა? – “

– „აღარავინ; სულერთიან სახლები როგორც იყო, ისე დააგდეს და თვითონ მარტო თავით, ვინ იცის საითკენ გაიქცნენ.“

– „მერე იმათ ფული ჰქონდათ რამე? – “

– „რასკვრელია, ყველას შესაფერი ცოტა.“

– „თქვენ რიღასთვისლა დარჩით? – “

– „უფულოთ ვიყავით და იმისთვის დავრჩით.“

– „კაცო, სოფლის ქართველები ხომ მოწყალენი არის, ისინი შეგინახვენ.“

– „მართალია შენიჭირიმე, მაგრამ ცოტა ოდენი ფული ჩვენც უნდა გვქონოდა, თორემ ხელცარიელი ვერსად მივიდოდით.“

- „მაშ ახლა რაღას აპირებ? – “
- „არაფერსა, აქ მოვკვდები მეცა.“
- „ფული რომ იშოვო, წახვალ? – “
- „წავალ, ეგება თავი მოვირჩინო.“

ამდროს ხუთი მანათი საიდგანლაც გაუჩნდა, იმანაც ხურჯინს ხელი წამოავლო, მხარზე გადიკიდა, ჭრაქს შეუბერა, გაქრა და ორივ ერთად ქუჩაში გამოვედით, თავის ქუჩისკარები კლიტით დაკეტა, მერე მამიბრუნდა, თავი დამიკრა და თავის ნათესავისაკენ მარტყოფში გასწია.

მეც წამოველ, დავინცე ქუჩაში ხეტება სხვადასხვის ფიქრებითა, ვის ვნახამდი, აღარავინ აღარ ჩანდა, თუ კიდევ ვინმე იყო დარჩენილი, კარები მაგრა დაკეტილი ჰქონდათ და სანთლის შუქი ფანჯარაში ძლიერს ანათებდა. ასე გაშინჯეთ, ძალლის ყეფაც აღარ-საიდგან აღარ ისმოდა, ისე ყოველი ბუნების ხმა გაკმენდილი იყო, და სიჩუმე დასწოლოდა ქალაქს მაშინ, როდესაც რომ მხხარული ქალაქის ხალხი სიმღერ ძახილითა აივლიდნენ ჩაივლიდნენ, ანუ დაფ-ნაღარა, ანუ დაირარა და ჭიანური თავის თარით, ვინდა დაუკრავ-და ამ საკრავთა, ყოველი ეს იმდროს მკვდარი იყო, ნაცვლად ამის რაღაც დაპურვილი მწუხარების სიჩუმე აწვა ამ ჩურთა ქა-ლაქს ტფილის.

ამ ქუჩების ხეტებიდგან გამოვედი გარეთ უბანს, იქ პოვოსკა მოდიოდა, კიდევ ჩანყობილი მკვდრებით; იქიდგან გავიარე, ვნახე ერთი დედაკაცი თმა ჩამოწენილი მორბოდა გულსაკვდავის კვნე-სით და ხელით მივწვდი, დავაყენე.

- „დედავ, სად მირბიხარ დედავ?“ –
- „შენიჭირიმე გამიშვი, თავი მინდა წყალში გადვიგდო.“ სასო-წარკვეთილმა მითხრა.

- „რათა დედავ, მითხარ რათა? – “

- „გუშინ ქმარი და ერთი ვაჟკაცი შვილი მამიკვდა, მაშინვე პოლიციამ დამამარხვინა, ეხლა კიდევ ერთი ვაჟიკაცი შვილი წამეტცა, მიკვდება, სრულად ვწყდები, აღარა მყავს შვილი. გამიშ-ვი, ღმერთი გადლეგრძელებს.“ და ძლიერ გაიწია, მაგრამ მაგრა და-ვიჭირე. ვუთხარ.

- „დედაკაცო, შორსა დგეხარ? – “
 - „ახლოს შენიჭირიმე.“
 - „წამო წავიდეთ, მაჩვენე შენი სახლი.“
 - „აქამდისინ მოკვდებოდა.“
 - „წამო, წამო დედავ.“ და გამამყვა.
- საჩქაროთ მივედით იმის მდარეს სახლში, ის ყმაწვილი კაცი გულაღმა ეგდო ხალიჩაზე და ურიგოთ არ ქმინავდა, მაგრამ გონე-

ბაკი ალარ ჰექონდა. ვკითხე.

- „ცივი წყალი ხომ არა გაქვს? – “
- „როგორ არა შენიჭირმე, სარდაფში მაქვს.“
- „აბა ჩქარა მოიტანე.“

საჩქაროთ სურით ამოარბენინა.

ის გონება დაკარგული ყმაწვილი კაცი, ცოტა აქეთ გადმოვწიე დედამიწისაკენ, იმის თავი მაგრა ხელში დავიჭირე და იმის დედას ვუთხარ: ერთიანათ ეგ სურით წყალი პირზედ მიუშვი.

უეცრათ პირზედ რომ მიუშო, მაშინვე შეხტა, დაიძახა: აჲ. და დედამ მიატანა.

- „შენამც გენაცვლება ჩემი თავი შვილო, თვალები აახილე.“
- აახილა და წყალიც ალარ დავასხმევინე. ახლა მე ჩავდახე.
- „კაცო გონებაზე მოდი, ამ საცოდავს დედაშენსა ნუ ჰელავ.“
- თვალები მიატრიალმოატრიალა და ბოლოს დედას ჰკითხა.
- „დედავ, ეს კაცი ვინ არის? – “
- „შვილო შენიჭირომე, რიგიანს გონებაზედ მოდი და თვითონ ეგვე გეტყვის.“

ამაში თავი ავუნიე, ბალიშზე გადმოვუდე და საბანი გადმოვხურე. მცირედ, მცირედ გონებაზედ მოვიდა და ბოლოს კარგათ რომ გამარჩია, მიცნა და ხელზედ კოცნა მოიხდომა, მე არ მოვუშვი და ვკითხე.

- „ახლა როგორ ხარმეთქი? – “
- ახლა იმედი მაქვს, არ მოვკვდები.“ სუსტის ხმითა მიპასუხა.

მასუკან იმის დედას ვუთხარი მე.

- „დედავ, კარგი წითელი ღვინო ხომ არა გაქვს? – “
- „დიახ, ღვთის წყალობა არ მაკლია.“
- „მაშ აბა მოიტანე.“

არ ვიცი, ამისთანა წამლობა მე საიდგან მამაგონდა? – ის წითელი ღვინო ერთი სტაქანი რომ დალია, მერე ვკითხე.

- „ახლა როგორ ხედავ თავსამეთქი?“
- „ღვთით კარგათაო“. – „მაშ ფიქრი ნულარა გაქვს. მხოლოდ ეს წითელი ღვინო ცოცოტა სვი და ხვალ სრულებით კარგათ იქნები.“ იმისი და იმ სეკრატარის სენა ერთი გვარი იყო.

იქიდგან რომ წამოვედი, იმის დედა თან გამამყვა, მაგრამ მაშინვე დავაბრუნე: წადი, შენს შვილს მოუარე, ნულარ მამდევ მეთქი. გამოვწიე და წამოველ. ბნელა გზაში რალაცას წამოვაწყდი და ზედ გადავიქეც, წამოვდეგ, ვნახე, ახლათ ვილაც წაქცეულიყო და იქვე სულ ამოსვლოდა. თუ დღე ყოფილიყო, პოლიცია უთუოთ მიეშველებოდა და ამის გამო უთუოთ ღამე უნდა შემთხვეოდა ის ხოლ-

ერა. შინ რომ მოველ, გრიგოლ დიაკვანმა მითხრა.

— „შე დალოცვილო, ამისთანა ღვთის რისხვის დროს, სად და-დიხართ? — “

— „არსად. აქ მახლობლად ჩვენს სეკრეტართან ვიყავი.“

მე ესენი სულ დავუმალე და დღევანდელამდისინაც არავისთვის მე არ მითქუამს ის ჩემი შემთხვეულებანი; ეხლაც იმისთვის ვანპობ, რომ რადგან იმ ხოლერის ამბავსა ვწერ, რაც მე მინახამს ან გადამხდა, უნდა მართლად ითქვას, თორემ წერილს არ შეეფერება დაფარვა. ამიტომ უკლებლივად აღვიარე.

მართალია: შემწეობა და წყალობა ჯერ არს დაფარულად იყოს. მაგრამ როდისაც კაცი დაჯდება და თავის გარდასავალს დასწერს, იქ სულ მართალი უნდა ითქვას თავის ავკარგობა. მე ასე მესმის ამისთანა შემთხვეულებანი.

ამის მეორეს დილაზე, დილმიდგან მეჯინიბე და ცხენები მა-მივიდა, მოეწერათ: რადგან დღეს შაფათია და ხვალ კვირას სა-სამართლო არ იქნება, დღეს საღამოზე აქ ჩვენთან ამოდი, ხვალ, კვირას ჩვენთან იყავ და ორშაფათ დილა ადრიან ისევ წადი, რომ სასამართლოს არ მოსცდეო.

რასაკვირველია დიდათ მიამა მე ეს, მაშინვე სეკრეტართან წაველ და ვუანძე: კარგი იქნება, წადით, მაგრამ ორშაფათს ადრი-ანათ ჩამოდით, რავიცი ღუბერნატორმა არ მოგიყითხოსთო.

სადილს უკან, მზე რომ დაეწვერა, ცხენზე შავჯექ, მეჯინიბეც ცხენით თან მამდევდა და ქალაქის პირში გაველ, იქ ხუთი შინლიანი სალდათები მოღიოდნენ, როგორც დაგვიახლოვდნენ, იმათგანი ორი წაიქცნენ, პირის ლებინებას მოჰყვნენ და თან ტანის გრეხა შექნეს. პირველად თავში მიშველება მამივიდა, მაგრამ მამინვე მამაგონდა: ამათ ბევრი და კარგი პატრონი ჰყავთ მეთქი. ამასთან გავწიე და საჩქაროთ წაველ.

მიველ დილომს. კიდევ დღე იყო, ყველას ჩემი ნახვა დიდათ ია-მათ, მკითხავდნენ ქალაქის ამბავს, მეც იმისი ხალხის დიდი შეწუხ-ება ვუანძე და ბოლოს ხალხის აქეთიქით დაფანტვა. შეწუხდნენ, ძალიან შეწუხდნენ. შემდეგ მკითხეს.

— „ჩვენი გამდლები და გრიგოლ დიაკვანი როგორ არიან? — “

— „ძალიან კარგათ გახლავან და არც ეშინიანთმეთქი.“

— „აბა მეფის ირაკლის სასახლეში გაზდილებს, რისა შეეშინ-დებათ.“ ქეთევან ბატონიშვილმა ბძანა და თან სიამოვნით გაიცინა: მასუკან დედა ჩემმა.

— „ცხელა ქალაქში ალექსანდრე? — “

— „დიდათ. სიცხისა და მტვერის კორიანტელი ასდის. მძიმე ავანტყოფის ჰაერიც დასწოლია ქალაქს.“ მოვახსენე.

- „შენ სულ შინ იყავი?“
 - „ჩვენ სეკრეტართან დავდიოდიხოლმე, ჩვენზე იქვე ახლოს დგას.“
 - „შენს გულში შიში ხომ აღარ იყო? –“
 - „არა, აღარ შეინჭიმე.“ გაცინებით მოვახსენე.
 - „აგრე უნდა, აგრე. ღმერთი უნდა შეინიოს ადამიანმა და შიში არ შეუშოს გულში.“
- იმ დამეს ვახშმათ ერთად ვისხედით, ქეთევან ბატონიშვილი, იმის შვილი თეატრაზ, ამის დაი ბარბარე თავის გაუთხოვარი ქალის ნინოთი, ბატონიშვილი დედა ჩემი, ჩემი ცოლი, მე და ჩემი ძმა ვახტანგ, სადაც სხუა ლაპარაკი არა იყორა, თვინიერ ხოლერისა. ბოლოს თეიმურაზმა თქეა.
- „ქ. ტფილისიდგან ბევრი სახლობა ამოვიდა, აქ დაიხიზნენ; აქ ედგანაც ზოგიერთი ისინი და აქური ზოგი ერთი სახლობაც მთის ტყეებში წავიდნენ, იქ დახიზნულან, მაგრამ დღეს იქიდგან ამბავი ჩამოვიდა, იქაც გაჩენილა ხოლერა, მარამ სუბუქათ: არავინ იხო-ცებაო.“ ამ სიტყვასთან ბატონიშვილმა ქეთევანმა ჰკითხა.
 - „სწორეთა თქვი შვილო, აქ დილომშიაც არის? –“
 - „დიას არის შეინჭიმე, მაგრამ აქაც სუბუქათ უვლისთ, რომ ჯერ არავინ მომკვდარაო. ამასაც ამბობენ გამოც-დილი მოხუცებული გლეხი კაცი: ყველა სულ ავათ არისო, ჰაერი, წყალი, დედამინა, ყოველი ბალახი, ყოველი ტყის ხეები, ყოველი ხეხილი და ყოველი საჭმლის მინის მოსავალით.“
- ის ვახშამი სულ იმ ლაპარაკით გავატარეთ და მეორე დღესაც კიდევ იმ ლაპარაკით.
- მე რომ ოშაფათ დილაზედ წამოსვლა დავაპირე ქალაქისკენ, ჩემმა დედიდაშვილმა ბარბარემ, იმისმა ქალმა ნინომ და ნამეტ-ნავად ჩემმა ეკატირინემ მთხოვეს, როგორმე დავეთხოვეთ და იმ სნეულობის დროსა, მეც იმათთან ვყოფილიყავ. ამასთან ბარ-ბარემ მითხრა: უთუოთ ეცადე, რომ დაგითხოვონ და შენი ჰატარა ჩონგურიც (ყოფუზი.) თან ამოიტანეო ჩემო ალექსანდრე¹!
- ამ სიტყვასთან გამოვნიერ და საჩქაროთ ტფილისში ჩამოვედი, ცხრა ვერსტი გზა, ერთს საათზე, რომელიცა მაშინვე ღუბერსკის პრავლენიეში (იქვე ჩვენს პირდაპირ იყო.) წაველ და იქ ვნახე სეკ-რეტარი, სტოლთან იჯდა, რაღასაც სწერდა. ვკითხე.
- „ღუბერნატორს ხომ არ ვუკითხავარ? –“

¹ მაშინ ჰატარა ჩონგურს ძალიან კარგათ ვუკრავდი მე, ყოველს ყიზილბაშურს ხმება და ეხლაკი აღარას დავდევ. ახლა დიას იშვიათათ დავუკრამხოლმე, მაგრამ ისიც ცოტას ხანსა.

– „არა, არაო.“ მიპასუხა.

მასუკან ჩემი დათხოვისა ველაპარაკე, ჯერ ის დაფიქრდა და მერეთ მითხრა.

– „რატომ არა. მაინც ღუბერნატორის ნებით ჩლენები (წევრნი.) არავინ არ მოდიან აქა და არც სხუა ჩინოვნიკები ვისაც არ დავიბარებ; მე ღუბერნატორს მოვახსენებ მაგ თქვენს აზრსა და ჩემის მხრითაც ვურჩევ კიდეც. ვნახოთ რას მეტყვისო? – “

– „მაშ მე როდის გნახოთ თქვენ? – “ ვკითხე.

– „დღეს მე ვერ მოვიცლი ღუბერნატორი ვნახო, ხვალ მობანდით აქა. მე ახლა აქ ღუბერსკის პრავლენიში ვდგევარ, დღეც და ღამეც და აქ ვსაქმობ; ჩემი მოსამსახურეც აქ თანა მყავს საჭმლების გასაკეთებლად და თქვენი დოხ[ტ]ურობის კარგს წითელს ღვინოსაც კარგათა ვსვამ, აგერ იქით არხივის ოთახში ცალკე, სადაც იქვე დავიძინებხოლმე და ძალიან კარგათაც ვარ.“

იქიდგან მოველ შინა, ჩემი მეჯინიბე ცხენებით დიღომში გამოვისტუმრე ამ სიტყვით, რომ შაფათს საღამოზე კიდევ მოეყვანა ცხენები და ესეც შევუთვალე, გამდლებისა და გრიგოლ დიაკვინის: კარგათ გახლავან და თქვენს სიმრთელესა ღმერთსა სთხოვენ ერთობ თქვენსას მეთქი.

ამის მეორე დღეს შუადლეზე ცოტა ადრე, ღუბერსკის პრავლენიში ჩაველ სეკრეტართან, მე რომ იმას ვკითხე ჩემი დათხოვისა, იმან მიპასუხა.

– „დღეს დიღით ღუბერნატართან ვიყავ, თქვენი დათხონვისა ველაპარაკე, იმან მითხრა: დათხოვნა არ შეიძლება, ისევ ავანტყოფობის რაპორტი მოსცეს ღუბერსკი პრავლენიეს და იმ რაპორტის გამო შეუძლიან წავიდესო. ახლა კნიაზო, მე თქვენ მაგიერ რაპორტს გავაკეთებ, თვითონ იმას მე ამოგიტანთ შინა, ხელი მოაწეროთ და როდისაც იმაზედ შურნალს ავაშენებთ, პროკურორიც რომ გამოუშვებს, მასუკან შეგიძლიანთ წახვიდეთ. ახლა შინ მელოდეთ, პატარახანს უკან იქ ამოვალ!“

¹ ჩემს გარდა, სხუანი სოვეტნიკებიც იყვნენ სხუა სასამართლოებში ქართველები. როდისაც პირველათ ხოლერა გაჩნდა ტფილისში, ის ქართველი სოვეტნიკები მაშინვე აიყარენ ცოლშვილებით სოფელში წაგიდნენ. როდისაც ის ხოლერა გადაწყდა და ისევ სასამართლოებში შემოვედთ, ერთს დოლაზედ ღუბერნატორმა, მთავარმართებელის პასკევიჩის წინადაღება მოიტანა ღუბერსკის პრავლენიში, სადაც ქართველი სოვეტნიკები იქ შეჰყარა და ის წინადაღება იქ წაგვიკოთხა და ზედაც ხელ მოვაწერინა გამოცხადებისა: ქართველმა სოვეტნიკებმა იმ ხოლერის დროსა სასამართლოს თავი დაანებეს და სოფელში წავიდნენ, ამისთვის ყველას საყვედური გამოეცხადოსო და სხვანი. თუმცა მე შემეძლო თავი გამემართლებინა, მაგრამ თანა წავრხდი აღარა დავდიერა.

გამოვწიე, წამოველ, ველოდი იმასშინა; ცოტახანს უკან ისიც ამოვიდა, რომელმაცა ხელი მამანერინა იმ ჩემს რაპორტზე და პირდაპირ ლუპერნატორთან იმანვე წაილო.

ამის შემდგომ, დღეცა და ღამეც ხშირათ დავიდოდი ქალაქში, კუკიისაკენ, ავლაბრისაკენ, ხართუხისაკენ და გარეთუბანს უფრო ხშირათ, ხომ რასაკირველია სადაც იმ დედაკაცს თავის შეილით ვნახამდი ხოლმე, ორივ კარგათ იყვნენ. მე ამ ჩემს სიარულში შესანიშნავი აღარა მინახავსრა, ამის მეტი, რომ ზოგიერთი ბაზრის კაცები თავის საქმეებზე ზევით ქვევით აივლიდნენ ჩაივლიდნენ ქუჩებში და პოლიციის მოსამსახურენი ხომ რასაკვრელია.

ამაში ერთს დილაზედ, სეკრეტ[არ]ის კაცი მამივიდა, დავებარებინე, ჩაველ და რამწამს დამინახა, მითხრა: შეგიძლიანთ ახლა წახვიდეთო.

ამოველ შინ, გამდლებს და გრიგოლ დიაკვანს ვუთხარ: დამითხოვეს, უნდა დილომში ზავიდე, კარგახანი აქ ველარ ჩამოვალმეთქი. იმათ ყველას დიდათ იამათ. მასუკან რაც იმათთვის რიგი იყო, იმათი მშვიდობის ცხოვრებისთვის, ის რიგი მივეც და მერეთ მეჯინიბეს დაუუწყე ლოდინი. თავის დროზედ ისიც მოვიდა; სადილთ უკან მზე რომ გადენვერა, წამოვედით და ჩემი პატარა ჩონგურიც მეჯინიბეს მივე, წამოვალებინე.

საბურთალოს მინდოოში რომ გამოვედი, სიმღერა ამოვუშვი და დაბლის ხმით მოვიმღერებოდი, ამ სიმღერით საბურთალოს ქვემოთ გზაზე ჩამოვედი და დილმის ვინწროებისაკენ მივიდოდი კიდევ იმ სიმღერით. იქ ვინწროების ყელში რომ მივედი ასე სიმღერითა, იქ ვინწროდგან უეცრათა, ერთი ლურჯი ცხენიანი კაცი გამოვიდა შარა გზაზე პირმრგვალი და ჭაღარანვერიანი, რომელსაცა ლურჯი რუსულათ შეკერილი ხალათი ტანზე ეცვა, თეთრი რუსული კალფაკი თავზედ ეხურა და ქართული მათრახი მარჯვენას ხელში ჰქონდა დაჭერილი; ისე უეცრათ რომ გამოვიდა, შევკრთი და მაშინვე ის სიმღერა გავკმინდე. იმან ის შემკრთალება შემამცნია, მათრახისა ქნევით გამიარა გვერდით ამ ნუგეშის სიტყვით.

– „ნუ გეშინიან, ნუ გეშინიან.“ და საჩქაროთ გასწია.

მე მაშინვე გონებაზედ მოველ და მეჯინიბეს ვკითხე.

– „გიგოლი ვინ იყო ის? –“

– „არ ვიცი შეინჭიმე.“ მაგრამ ისიც შემკრთალი იყო და პირზედ რიგიანი ფერი აღარ ჰქონდა.

ჩემთვისა ვთქვი: ნეტავ ის თავხედი კაცი ვინ უნდა იყოს, რომ ამისთანა გაძლიერებულს ხოლერაში ქ. ტფილისში მიდის? –

მასუკან ვთქვი: წავალ მოვენევი, ქალაქის ამბავს სულ ვუანბობ, ეგება დაბრუნდესმეთქი. ამასთან გამოვუდექ და კარგა გზა

გამოვარბენინე ცხენი. ბოლოს დავაყენე, აქეთ იქით ბევრი ვუყურე, მაგრამ ვეღარავინ ვეღარ დავინახე და ისევ მეჯინიბესთან მოველ. ვკითხე.

— „კაცო, რა იქნა ვიღაც იყო ის კაცი? — “

— „არ ვიცი შეინჭიმე, მეც ბევრი ვუყურე, მაგრამ ვეღარ დავინახე.“

გამოვწიე, ნამოვედი და ვფიქრობდი: ეგება მგზავრი ვნახო ვინმე ვკითხო, ვინ იყო ის გიში კაცი, რომ ამისთანა ხოლერაში ქალაქს მიდისმეთქი. მაგრამ ის დიღმის ვიწროები ისე გამოვიარე და დიღომშიაც ისე მივედი, რომ ერთი მგზავრი არ მინახავს.

რა შინ ჩემი მოსვლა გაიგონეს, ბატონშვილებს გარდა, სულ კარზე გამოვიდნენ და ამბავს კითხუა დამიწყეს. მეც რაც შევძელ, მოკლეთ ვუთხარ.

ამასთან შინ შავედით და იქიდგან ბატონშვილებს ვახელი. ბატონშვილებმა ბევრი ქალაქის ამბავი გამამკითხეს, მე მოვახსენე: ქალაქი თითქმის დაიცალა; პოლიციის მოსამსახურების მეტი და კიდევ ზოგიერთი ბაზრის კაცებისა, სხუა აღარავინ აღარა ჩანს ქუჩის გზებში მეთქი.

— „არ იქნა არ უსუსტა ხოლერამა? — “ მკითხეს.

— „ჩევნს სეკურეტარს ვკითხე, იმან იმისი ამბავი კარგათ იცის ყოვლის მხრიდგან, იმანა თქვა: კიდევ ძლიერია, ასე რომ უფრო მომატებულსა ხოცს, მინამ იმ სენისგან რჩებიანო.“

— „ისე კიდევ სიცხე არის ქალაქში და იმისთანა კიდევ მძიმე ჰაერი, როგორიც იყო? — “ დედიდამ მკითხა.

— „დიახ შეინჭიმე, კიდევ იმისთანა.“

— „შენ როგორლა იყავ ჩემო ალექსანდრე? — “ იმანვე მიბძანა.

— „მე ძალიან კარგათ და კარგათაც მეძინა ხოლმე. მაგრამ უცნაურს რასმე მოგახსენებთ.“

— „რასა ჩემო ალექსანდრე?“ კიდევ დედიდამ.

მე იმ კაცის ამბავი სულ წვრილათ ვუანდე, რომელიც შემხვდა გზაში. ყველამ გაიკვირვეს: რაო ვინ უნდა ყოფილიყოვო?“ ბოლოს ზოგმა რა თქუა და ზოგმა რა, ასე რომ ვერ შაიტყეს, ვინ უნდა ყოფილიყო ისა? — და ამიტომ ყველა თავის ფიქრში დარჩა. სადაც ცოტა ხანი კიდევ ვიჯექი, მერეთ მეორეს ოთახში გამოვედი და კიდევ ისინი თან გამამყვნენ, რომლებმაცა ერთობრივა მთხოვეს ჩინგურისა დაკვრა. მეც ავიღე, კარგი ხმები დავუკარი, ასე რომ სიამოვნის ფიქრით ისინი დავაფიქრე და შემდგომად ცრემლიც მოერიათ თვალებში.¹

¹ მე რომ სამხედრო სამსახურიდგან გამოვედი, ერთი გამოჩენილი ხნიანი ჩინგურის

ვიყავით ყველანი კარგათ. თუმცა იმ ხოლერის ხმები საშიში ბევრი რაღაებიც ისმოდა, მაგრამ ჩვენ მაგთენი იმ ხმებს არას და-ვდევდით და სადაც კარგი ბუნება იყო დილმის გარეშემო, მე ჩემი ჩონგურით, ბარბარე თავის ქალი ნინოთი, ჩემი ეკატირინე და ჩემი ძმა გახტანგი წავიდოდით, იქ საღამო უამს ჩაის დავლევდით, მერე მე ჩემს ჩონგურს ავილებდი; სხუადასხვის ხმითა შევაქცევდი იმათ და ბინდზედ წამოვიდოდით შინ. მასუკან ბატონიშვილებთან შევი-დოდით, იქ თეიმურა[ზი]ც მოვიდოდა (თეიმურაზ მინდორში არ გა-მოგვყვებოდა, ის უფრო ხნიანი იყო მაშინ და ისეც ეჭირა თავი.) და საერთოთ დაგინებდით ლაპარაკსა.

ამისთანა ჩვენს ერთობის დროსა, ბარბარეს თავის ქრის თორნიკე ერისთავიდგან, ცხენიანი კაცები და უნაგირიანი ცხენები მოუვიდა, მოენერა: ლამისყანასა ვარ, აქ მოდით, აქ უფრო სნეუ-ლობა არარისო, რომლებმაცა მეორე დილაზე გასწიეს, წავიდნენ. იმათ მოშორებაზედ, ჩვენც და ისინიც შეწუხდნენ.

ამის რამდენისამე დღის უკან, ჩემს დედიდაშვილს თეიმურაზს კაცი მოუვიდა სოფელის ძალისიდგან და შვილის ავანტყუოფობა მოუტანა, რომელიცა მაშინვე ბატონიშვილებს იახლა და ეს ამბავი მოახსენა. ახლა ჩვენი ერთობისა სიამოვნე ბრაზად გადაგვექცა.¹

აბა თეიმურაზ რაღას დაიყოვნებდა, ცოტა ოდენი ხანის შემ-დეგ, ცხენისა შეჯდა და მესამის ცხენიანის მოსამსახურითა, ჩქარა გაემგზავრა, სადაც ყველანი ერთობით დიდი მწუხარენი დავრჩით, თეიმურაზისგან ამბის მომლოდნელი.

გავიდა სამი დღე, თეიმურაზის ამბავი ვერა გავიგეთრა², იმ სამი დღის საღამოზედ, ჩემი მოსამსახურე შემოვიდა ჩემთან და ჩუმათ მანიშნა გავსულიყავ კარზედ. მეც შეუმცნევად წამოვდექ და გაველ. ჩემმა ბიჭმა თეიმურაზის კაცი მაჩვენა, ვკითხე.

– „რა ანბავი იცი მეთქი? – “

დამკვრელი ვნახე, რომელმაცა გამაკვირვა და ასეთი სურვილი მამცა იმისმა ჩონგურის დაკვრამ, რომ ორის ნელინადზე, მე იმაზედ ნაკლებ არ ვუკრავდი და შემდგომად ვაზც გამოჩენილ ჩონგურის დამკვრელები ვნახე, იმათის ჰაზე-ბიდგან, ჩემი დაკვრა უფრო კიდევ კარგათ გავაკეთე, მაგრამ არ გეგონოთ, რომ სულ ამ ჩონგურის დაკვრაში გართული ვყოფილყავ; არა, სხუა ჩემს საქმეებსაც არ ვივინებდი.

¹ თეიმურაზს გაუიკაცეშვილი ჰყენდა ლევან, იქნებოდა ოცდა ორის წლისა, კარგი ყმანვილი კაცი იყო, როგორც მამასავით ჰაეროვან-თვალტანადობით, ისე გონებით და კარგის ხასიათით.

² იმ ხოლერაში ასე შეიკრ ერთმანეთის ანბავი, რომ ერთსა მეორესთვის კაცი წიგნით ვედარ გაეგზავნათ შიშით და ვერ ეკითხათ: როგორა ხართ, როგორ იმყ-ოფებითო. ამის გამო ერთმანეთისა აღარავინ აღარა იცოდარა, მინამ ის ხოლერა არ გადაწყდა.

— „ეხლა ეს არის თქვენი დედიდაშვილი თეიმურაზ მოვიდა, სა-დაცა დგას კიდევ იმ გლეხი კაცის სახლში ჩამოხდა და გთხოვათ ნახოთ.“ მითხრა.

მე გულმა ჩირქოლი დამიწყო, ვეღარა ვკითხე რა და საჩქაროთ ნაველ დალონებული.

როდისაც იმ გლეხი კაცის სახლში შეველ, თეიმურაზ კუთხი-საკენ იჯდა და ანთებული სანთელი შორი ახლოს ედგა, რომელმა-ცა შემამტირა: ძმაო ალექსანდრე გებრალებოდე, ჩემი შვილი ლე-ვან ჩემი ხელით დავმარხეო და სხუანი... ბოლოს ჩვენი ტირილისა შემდგომ რომ დავწყარდით, გულმტკივნეულად მიანბო, კიდევ ცოცხლისათვის მიესწრო, მაგრამ გონებაკი აღარ ჰქონოდა, ჩქა-რაც მომკვდარიყო და მეორე დღეს ფიცრის კუბოში ჩასვენებული, ერთი ღვდელითა და რამდენიმე კაცით, ისე სიღარიბით, იქვე ზალ-ისის¹ ეკლესიაში დაესაფლავებინა. იმის მეორე დღეს გამოენია, წა-მოსულიყო საღამოზე, ვეღარ გაეძლო იქა მეტის მწუხარებით მარ-ტო უნათესაოდ და საღამოზე დიღომში მოსულიყო. რომელსაცა ამ დროს გვერდით გუჯეჭი. შემდეგ დავაწყევით, იმ ღამეს იმისი მოსვ-ლა არავის შეეტო და დილაზე ყველას ტანით რომ ჩაეცოთ, ჩუმათ დედიჩემისათვის მეთქვა, ვნახოთ ის რას იტყოდა? — ამასთან მე გამოვწიე, მოველ შინა, რომლებმაცა ყველამ მკითხეს.

— „სად იყაო? — “

— „აგერ აიქ, სოფლის კაცებს ვეღაპარაკებოდი მეთქი.“

როდისაც მეორეს დილაზედ ყველამ ტანით ჩაიცვეს, ლია კარე-ბიდგან დედაჩემს გაფრთხილებით ვანიშნე, ჩემს ოთახში გამო-სულიყო, ისიც ფთხილად ოსტატობით გამოვიდა, მკითხა: რა ან-ბავიაო? — მეც ყველა მოვახსენე. დიდათ შეწუხდა და მსხვილი ცრემლები გადმოყარა თვალებიდგან. მასუკან მითხრა.

— „ჩემს დისნულს თეიმურაზს უთხარ ჩემაგიერ, ვიცი, იმის გულში რა ცეცხლია ეხლა, რომელიცა ამის მონანილე მეც ვარ. ეხლა ამისთანა დროში მოთმინება უნდა, სადაც თვისტომები ურთ-იერთმანეთსა ვეღარ ვუდგებით და აღარც ვიცით ვინ სად არის, ანუ ვინ როგორ იმყოფება, ერთმანეთისა ვეღარ გაგვიგიარა. ამისთვის ამისთანა დროში გაძლება უნდა და ღმერთს შევევედროთ, განაქა-რვოს ეს თვისი რისხუა, ჩვენზედ მოვლენილი, ჩვენი ცოდვის გამო, რომ უფრო უარის არ მოგვივიდეს. უთხარ ჩემაგიერ, შემოვიდეს და დიდსულოვნად თვითონვე მოახსენოს დედას, ჩემს დასა: შენი ჭირიმე ჩემო დედავ, ლევან აღარ გახლავს, თქვენი ჭირის სანაცლო იყოსთქო. გასწი და ეხლავ მოვიდეს, მაგრამ შენ ისევ ჩქარა მოდი

¹ ზალისი მუხრანბატონების სოფელია იქვე სამუხრანოში.

და იქ დახვდი ჩვენთან.“

გამოვწიებ და სულ ცუთხარ, რომელიცა მე მაშინვე გამოვბრუნდი, მოველ და ბატონიშვილებთან შეველ. სკამზედ რომ დავჯექი, დედიდაბატონიშვილმა უთხრა.

– „ჩემო დაო თეკლავ, თეიმურაზისა ველარა გავიგევითრა? –“

– „შეინჭიმე ბატონიშვილო, (კარგა უფროსი იყო დედა ჩემზედ.) ეხლა კარზედ რომ გიახელ, თეიმურაზ იმ გლეხიკაცის სახლიდგან გამოვიდა, სადაცა დგას.“

ამაზედ მეტი არა თქვა რა და გაჩუმდა.

– „ჩემო დაო თეკლავ, თუ ერთი უბედურობა არა იყოს რა, თეიმურაზ პირდაპირ აქ მოვიდოდა.“

მასუკან დედა ჩემმა კარებს შეხედა და მერე დაიძახა.

– „აი შეინჭიმე, თეიმურაზიც კიდეც გიახლებათ აქა.“

ამასთანვე თეიმურაზ შამოვიდა ამ სიტყვით.

– „შეინჭიმე დედავ, ლევან აღარ გახლავსთ, თქვენი ჭირისანაცლო იყოს.“

მივიდა თეიმურაზ, დედის გვერდით შორიახლოს დაჯდა და ხელცახოცი თვალებზედ მიიფარა;

ბატონიშვილმა ქეთევანმა ეს რომ გაიგონა, ღვთაება უცვალებელის ხატის წინ დაიჩიქა, მერე დამხობით ღმერთს მადლობა შესწირა და შემდეგ დიდსულოვნად, გულმებურვალედ თქუა ეს სიტყვები.

– „საწყალო ყმანვილკაცო ჩემო უსაყვარლესო ლევან! მე ამაზედ მომატებულად ველარ გიტირებ, რომ ჩემის მომატებულის მწუხარებით, მე ღმერთი არ განვარისხო. მხოლოდ იმ ერთმა იცის, ეს იმისი რისხუა რისთვის არის მოვლენილი ჩვენს დასასჯელად. ჩემი თეიმურაზ და შენ ეს იმისი რისხუა, სხუებთა შორის შეზედაც მოიწია, ესე იგი მთელს ჩვენს ოჯახზედ, ამისთვის ღვთისადმი მადლობით, შენცა და ჩვენმა ოჯახმაც უნდა მივიღოთ, უნდა მოვითმინოთ და ის მსხვერპლი ღვთისა ლევან, ღმერთს დავუთმოთ და იმასვე კეთილ ძლვენად მივართოთ, ეგება საქართველოზედ მოვლენილი იმის რისხუა, იმანვე შეაყენოს, რომ ამთენი ხალხის მუსერა მოსწყდეს. და ამისთვის ის ჩვენი კარგი ლევან, ერთობ ჩვენი ხალხის მსხვერპლი იყოს, ოლონდ განაქარვოს ეს საშინელი სენი და აკმაროს თავის რისხუა ჩვენს ხალხს. აი ერთობით ჩვენ ამას უნდა ვთხოვდეთ ღმერთსა და ამას ვევედრებოდეთ.“

ეს რომ გაათავა, შემოგვხედა, გვნახა, რომ ყველანი ერთობრივ ცრემლით ვიღვრებოდით იმის სიტყვებზედ, მდუმარებით მჯდომარე დედიჩემის მეტი, რომელმაცა გულდარღვეულის სიტყვებით დაიძახა ბ. ქეთევანმა.

– „თეიმურაზ, შვილო თეიმურაზ, ნუ იკლავ თავს, პირველი

მაგალითი ხომ არა ხარ ქვეყანაზედ შენა. შენიჭირიმე თეიმურაზ ლმერთს ნუ დაიმდურებ, რაც იმან ჰქემნა, იმან უფრო კარგათ იცის.“

ამაზედ ყველანი მდუმარებით გავჩუმდით.

იმ დღეს და იმ დამეს, ვიღა რაღას ვიტყოდით, სულ დალონ-ებულები ვისხედით, კიდევ თუ იტყოდა ვინმე რასმე, ისევ ბატოიშ-ვილები, ისევ ნუგეშის სიტყვებს და გონიერ ჩაგონებას.¹

დავრჩით ასე დალონებულები, მე თეიმურაზს აღარ ვშორდებოდი, ბატოიშვილებთან სადილს ერთად ვჭამდი, სადილს უკან მეც იმას გავყვებოდი, ის იქით ტახტზე დაიძინებდა და მე მეორეს ტახტზე, ვახშმათ უკან კი ჩემს სანოლში მეძინა ჩემს სიცოცხლესთან.

ჩემი ასე მიდევმოდევნით თეიმარაზ გამოვაფხიზლე, იქამდის-ინ, რომ ბევრს გაგონილს ძველს ამბებს იტყოდა, რომელსაცა დი-დათ უყვარდა იმ ძველი ამბების ლაპარაკი და ბევრიც იცოდა, ნახული და უფრო მომატებით გაგონილი.²

რას ვიფიქრებდით, იმის გამობრუნების დროს, ერთს დღეს სადილს წინათ, მე და ის ვსხედვართ გალმა გამოლმა ტახტებზე, ფეხზედაც სამი გლეხი კაცი დგანან და ვლაპარაკობთ, ამდროს თეიმურაზმა დაიძახა.

– „ტაშტი მოიტანეთ, გული მერევა.“

ტაშტი რომ მოუტანეს, პირიდგან ზაფრა აღებინა, მე მივეშველე და თავი მაგრა დავუჭირე. მეორეც კიდევ ზედ დაატანა და ტანიდგანც გასწია. მე ჩუმათ ბატოიშვილები დავიბარე, რომლებიცა მაშინვე ამოვიდნენ, მაშინვე იმათ დალაქი მოაყვანინეს და კარგა სისხლი გამოაშვებინეს მკლავიდგან, მაგრამ ხოლერამ თავისი არ დაიშალა, ხან პირიდგან, ხან ტანიდგან შოაყოლა³, ამასთან ოფლის ხვითქსა ტანზედ და თავზედ ასხამდა, მეც გვერდით ვუდევ, მშრალის ხელცახოცით თავიდგან ოფლსა ვწმენდდი და პერანგებსაც ხშირათ უცვლიდნენ, ასე ჩქარა ალორტებდა ოფლით.⁴ ბრგე მოსული ძლიერი კაციც იყო და მაგთენი ვერას სძალავდა ის სენი იმ ძლიერს თეიმურაზს. ბატოიშვილები ლვთის ინაბრობაზე, ხან რას

¹ მე ბევრი ჩინებული დედაკაცები მინახავს, მაგრამ მეფის ირაკლის ქალებისთანა მე არავინ მინახავს, ყოვლისფრით კარგნი: გიორგებით, ლაპარაკით, შორს დანახვით, მნერლობით, მოთმინებით, ენერგიით, პატოოსნებით, სიწმინდით, ზდილობით, ქცევით, კეთილობით და ყოვლისფრით სიკარგით სრულნი.

² იმისა ამ ცოტა გამოფხიზლებში, უურჩიე ქალაქ ტფილისიდგან თავის ხასა ამოეყვანა, თავის დროს გასატარებლად. მაშინ ორი ცოლი მკვდრები ჰყვანდა და ის ხასა მშვენიერიც იყო და ძალიანაც უყვარდა. დამიჯერა, ჩუმათ კაცები გაგზავნა, ღამე მოაყვანინა და დიდათაც იამა. იმსა ერქვა: ალვისტოსახარ. უშვილო იყო.

³ ის იმისი ხასა იმდროს, სხუაგან დამალული იყო.

⁴ ასე ამბობდნენ: ხოლერა სხუადასხუა გვარი არის, სხუადასხუა რიგათ ეყრებათო და სხუადასხუა მოქმედება აქვსო.

კაპლსა და ხან რასა ასმევნდნენ; რა გვონიათ, დაუწყნარეს კიდეც სულერთიან ის სენი, ასე რომ საღამოზედ უკეთ იყო და ბატონშვილებიც მოსვენებით იყვნენ, ისე ჩვენ ყველანი. ბოლოს რამთენს-ამე დღეს უკან, სრულებით კარგათაც შეიქნა და ის ხოლერაც აღარავის აღარ შეეყრა, ისე მშვიდობაზად გაიარა. ამაში ის ხოლერა სუსტდებოდა, ხალხიც შეეჩვია იმ სენს და თამამად მიდიოდმოდიოდნენ აქეთ იქით.

ამდროს მაგთენი ხანი აღარ გამოვუშვი, ბატონიშვილებს ვთხოვე ქალაქში ჩასვლა და ღუბერსკის პრავლენიები შესვლა: თორემ ღუბერნატორი დამემდურებამეთქი. (მაინც ხომ ვერ ავცდი, ამაზედ ზევით ითქვა.) ბატონიშვილებმა ნება მამცეს, მაგრამ თეიმურაზ კი შენუხდა, რადგან სხვადასხუა ლაპარაკით შევაქცევდი, ეს იმას დიდს ნუგეშსა ცემდა და ამიტომ პირობა მივეცი: ყოველს შაფათს სადილთ უკან ამოვალ, კვირაც აქ ვიქნები და ორშაფათს დილით წავალმეთქი სასამართლოსათვის. ამდროს ჩემს ცოლს გაეცინა, იქიდგან თვითი თეიმურაზმა სიამოვნის გაღიმებით.

– „ოჰ, ჩემმა რძალმა გაიცინა.“ ამასთან ყველამ გაიღიმეს, მაგრამ ამ დროს თეიმურაზმა უნებურად ასეთი ამოიოხრა, რომ ასე მეგონა: გული მოსწყდამეთქი. ამაზედ ყველას ცრემლები მოგვერია თვალებში და ცოტახანს მდუმარებაში ჩავცვივდით, რომლებმაცა ბოლოს კიდევ ბატონიშვილებმა თავიანთი ნუგეშის სიტყვებით, იმ მდუმარებიდგან გამოგვიყვანეს!“

ამის მეორეს დილაზე ქ. ტფილის ჩამოვედი, გამდლები და გრიგოლ დიაკვინი კარგათ დამხვდნენ ყოვლის უნაკლულოდ, დაუყოვნად, რომ არ დამგვიანებოდა ღუბერსკის-პრავლენიები წაველ, სეკრეტარს ჩემი ნახვა ძალიან იამა, ვკითხე.

– „ჯერ სოვეტნიკებს (ჩლენებს) სიარული არ დაუწყვიათ აქა?“

– „დღეს დაიწყე შენ.“ მიპასუხა.

– „ღუბერნატორი? –“

– „ჯერ არ მოვა ისა; ხელის მოსაწერი უურნალები იმასთან მიმაქვს და სოვეტნიკებთანაც. (ისინიც მოახლოვოდ იდგნენ.) იქ თავიანთი კაბინეტში სჩერეკენ და ისე აწერენ ხელსა.“

– „სოვეტნიკებს და იმას აზრებში წინააღმდეგობა ხომ არ მოსდიოთ? –“

– „ჯერ იმისთანა განსხუაებული საქმე არ გაუჩერეკიათ; ისე

¹ თეიმურაზს ის თავის შვილი ლევან ძმასავით მოესწრო და იმისგნით ჰქონდა დიდი იმედი თავის სიბერის დროსა. ლევანის შემდეგ, ისიც მესამე წელიწადზე მოკვდა, ერთი პატარა შვილი დარჩა არჩილ, ისიც ვაჟი კაცი რომ შეიქნა და ცოლი შეირთო, ისიც მაშინ მოკვდა უშვილო, რომელიცა თეიმურაზის ნილობა სულ ამოწყდა.

იმისთანა სუბუქს საქმეებს ვაგდებ ჟურნალში, რომ იმაზედ წინააღმდეგობა არ მოუხდებათ.“

– „მაშ ახლა მე რაღას მეტყვით? – “

– „დღეს მძიმე დღეა, ორშაფათი, ხვალ მოდით და ხვალიდგან დაიწყევით სიარული აქა.¹“

დავიწყე სიარული ყოველს დღე ისპოლნიტელის ექსპედიციაში, დილით ცხრა საათიდგან, ვიდრე შუადღის შემდეგ ორ საათამდინ, სადაც ორი რუსის სოვეტნიკი და მე ერთი ქართველი სოვეტნიკი დავიდოდით, მე ზეპირათ სიტყვით განსჯისათვის და ის ორი სოვეტნიკი, როგორც სიტყვით განსჯისათვის, ისე ქალალდებში საქმეებისათვის. იმ ორთ სასამართლოს საქმე ორ წილად გაყოფილი ჰქონდათ, მეკი არა მებარარა, სიტყვით განსჯის მეტი. როდისაც განსხვაებული საქმე შეგვხდებოდა, ღუბენატორი უფრო მაშინ მოვიდოდა და სიტყვით ვსჯიდით იმ საქმესა. თუმცა ღუბენატორი მოვალე იყო, რომ ყოველდღეს ევლო, მაგრამ ის იმ თავის მოვალეობას არ მისდევდა და ხანდისხან მოვიდოდა ხოლმე.

იმ ხოლერის მოქმედებაც ასე იყო, რომ ეტყობოდა სუსტდებოდა, ხალხი მაშინ უფრო თამამათ დადიოდნენ აღმადაღმა და ბაზარში მომატებული დუქენებიც ლია იყო, რომელიცა მე ყოველს შაფათს საღამოზე მზის დაწვერის დროს ს. დილომში წავიდოდი, იქ ის შაფათი ღამე და კვირა, ორშაფათ დილამდისინ ჩემთვის კარგი იყო, დიდი ბედნიერება!..... ამაში ხოლერაც უფრო და უფრო გადავარდებოდა და ხალხი ქვეყანაზედ აუიუინდებოდა სარჩის მოსაპოვად. ბოლო დროს ესეცა თქვეს, რომ სრულებით აღარ არის ხოლერა, გადავარდა და სულერთიან ხალხიც თავთავის ბინებზე დადგნენო. სადაც ჩემი დედიდა და დედა ჩემი ქ. ტფილისში ჩამოვიდნენ და თავთავის სახლებში დადგნენ. ამ დროს თეიმურაზიც კარგა მოსურიელებული იყო, თავის დედასთან ერთს სახლებში იდგა, რომელთანაც თავადები მიდიოდმოდიოდნენ, სხუადასხვის ლაპარაკით ნუგეშს სცემდნენ და მაშინდელი ხოლერის მოქმედების ძალაზედაც, რაღა ბევრი ვიღლაპარაკო, ამას ამბობდნენ ხოლმე: დიდი დასაკლისი უყო საქართულოს ხალხსა ხოლერამარ. ისეთი დასაკლისი, რომ მართლაც ძალიან დაუვინყებელი იქნება.

წარმოიდგინეთ, მე იმისთანა საშინელს ხოლერას გადვურჩი,

¹ თუმცა მე ზევით ვახსენე ის სასამართლო: ღუბერსკისპრავლენიად, მაგრამ მაშინ: ისპოლნიტელნი ექსპედიციათ, უწოდებდნენ და ეხლაკი ღუბერსკისპრავლენიე უწოდებენ, ჟამთა ვითარების ცვლილებისაგამო.

მშვიდობით ვიყავ. 1847-სა¹ წელსა ზაფხულის დროს, კიდევ ხოლ-ერა რომ გაჩნდა საქართველოში, სადაც კიდევ ხალხი ბევრი დაიხო-ცა, კიდევ მშვიდობით გადვურჩი. შემდგომ კიდევ იყო ორი თუ სამი ხოლერა საქართველოში, იმასაც მშვიდობით გადვურჩი. მაგრამ 1865-ს წელსა², შემოდგომას რომ გაჩნდა ხოლერა, მაშინ მეც მამ-ნახა იმან და თავისი ძალა ამოქმედა ჩემზედ პირიდამ და ტანიდგან, სხუაკი არა. მარამ ოროლი კარგი აქიმები, ჩევნი სახლის დოხტური საბოლჩიკოვი, ჩემი კარგი მცნობი ამბარდანოვი საჩქაროთ მოვიდ-ნენ ჩემთან და მაშინვე ყოველი ნამლობის გარემზომლობა ჩემზედ მოიხმარეს და ღვთით საღამოჟამზე უკეთ ვიყავ. კიდევ კარგი აქ, ქ. ტფილისში შემეყარა ის ხოლერა, რომ აქიმები და სამკურნალო ნამლები სულ საჩქაროთ მოხერხდა, თორემ თუ სოფელში ვყო-ფილიყავ და ის ხოლერა იქ შემყროდა, უთუოთ ტყავსა გავჭიმავდი.

სხუებთა შორის, რამდენს ჩემს გამოცდილებაში, ესეც გამოვ-ცადე. ჩვენშია ნათქუამი: ერთი წისქვილი ჩემს თავზედ არ დატრი-ალებულაო, თორემ სხუა სულ გამამიცდიაო.

ჩემი მდგომარეობაც სწორეთ ასეა: მე ყოველთვის გამოც-დილების მდგომარეობაში ვყოფილვარ და დღესაც გამოცდილების მდგომარეობაში ვიმყოფები..... რა ვქნა, მეც ვითმენ.

თ ა ა. ვახ. ძე ჯ. ორბელიანი.
9-ს პრილს 1869-სა წელსა ქ. ტფილისს.

¹ ამდროს აღარც ქეთევან ბატონიშვილი იყო, აღარც დედა ჩემი და აღარც თეიმუ-რაზ. მე ჩემი სახლობით ამ ზაფხულს სოფელს კაზრეთში ვიყავი.

² ის იყო დიდყაბართოს ნალჩიკიდგან ახალი მოსული ვიყავით. ჩემი სიძე დავითი იქ იყო ნაჩალნიკათ და ამდროს სამსახურიდგან გამოვიდა.

ჩერქეზები ანდაზად დარჩენილი

როდესაც ჩერქეზი ჩერქეზს შეებაასება საქმეს რაზედმე და ერთი მეორეს ვერ დააჯერებს, ეტყვის: „ნიმუსი არ არის, მეფის ირაკლის სიტყვა აღარ იციო?“¹

ეს სიტყვა, რისთვისაც არის შემოლებული იმათში, მოკლეთ ავწერ. მეფის თეიმურაზის და მეფის ირაკლის დროსა, აჯიჩალა-აბ რომ გამძლავრებულა ამ მეფეების პირველს დამარცხებაზედ, განძვინებული ნამოსულა ამ ორს მეფეებზედ (მამა-შვილზედ). მაშინ მეფეებსა ჩერქეზის ჯარი მოუხმიათ და ერთათ ქართველებით ამხედრებულან აჯიჩალაბზე, სადაც განჯის მახლობლათა დიდი ომი მოხდენიათ, რომლებიცა იმ ცხარესა ომში, ოსნი და ჩერქეზები დაუწევიათ უკან, მაშინ მეფე ირაკლი გადასდგომია იმათ წინ და ხმამაღლა შემოუქახია: ნიმუსი არ არის. ამ სიტყვაზედ იმათ ბატონშვილს ქერუეს² ასეთი მაღლა დაუძახნია, იმ ხმის გაუგონარი არავინ არ დარჩენილა იმ ჯარში: სულ აქ უნდა გავწყდეთ, სად მი-დიხართ?!

ამის დაძახებაზედ, ორს ძმებს ჩერქეზის უზდენებსა (აზნაურიშვილებს) უშიშვლებიათ ხმლები, აჯიჩალაბის ჯარში დარეულან და რამთენიმე გადმოუგდიათ ცხენით, მაგრამ ისინიც იქვე დაეხოცათ, სადაც გამარჯვების შემდგომ იმ საქართველოს მეფეებს, იქვე გზის პირზედ, ის ორი ძმები დაესაფლავათ და ზედ რიგიანი გუმბათი დაუდგამთ ქვიტყირისა, რომლებიცა მგზავრი ამვლელ-ჩამვლელი ეტყვის იმათ: ღმერთმა გაცხონოთო ორნო ძმებო.

ამ ხუთი წლის წინათ, ჩემი სიძე თავი დავთ ქობულოვი³ დიდყაბართოს ქ. ნალჩიკში რომ ნაჩალნიკათ იყო, ბევრი ვეცადე, იმ ორი ძმების ჩერქეზების სახელები და ან რომლის სახლისანი იყვნენ, შემეტყო, მაგრამ ვერას ცდით ვერ შავიტყვე, არავინ აღარ იყო, რომ სცოდნოდა და ამის ნაცვლად ესა თქვეს: „იმ ომში ჩვენი ჩერქეზების ჯარი რომ დაუბრუნებია მტერსა, მაშინ მეფე ირაკლი გადმოსდგომია ჩვენს ჯარსა წინა და შემოუქახნია“: „ნიმუსი არ არის“, რომელიცა დღეს ანდაზად დარჩენილი არის ჩვენში ეს სიტყვა და თუ ჩვენ ერთმანეთში მოგვივალაპარაკი, ხშირადაც ვეტყვით ერთმანეთსა: „ნიმუსი არ არის, მეფის ირაკლის სიტყვა აღარ იცი“? ამის მეტი იმ ომის ამბისა სხვა აღარა ვიცით რაო.

¹ მითამ: ნამუსი არ არის.

² პაპუნა ორბელიანი თავის ისტორიაში 446-ს გვერდზე ძალიან აქებს იმას და ჩვენს ძველებისაგანაც გამიგონია იმ ომისა.

³ ჯერ პოლკოვნიკი და შემდეგ ლენერალი, რუსების სამსახურში იყო.

⁴ იმათ ის სიტყვა ნამუსი, ნიმუსი გაუკეთებიათ.

ამის გარდა სხვა ვისაც ნებავს, თავი პაპუნა ორბელიანის ისტორიაში წაიკითხონ ის ანბები, ვითარ და როგორ იყო, საინტერესო ნასაკითხია.

თავი ა.ვახ.ძე ჯ.ორბელიანი

9—ს მაისს 1869—სა წელსა ს. ყარაბულახს, ჩემს ახლო ნათესავის სახლში, მდინარეს ივრის პირის მახლობლად თავი ნიკოლოზ ჩოლაგავთან.

მეფის ირაკლის 2-სა უკანასკნელის ზამების ამჩავი აღა- მამადხანის შემოსვლის შემდეგ საქართველოში

პირველი. ვინაიდგან ქ. ტფილისის წახდენის მიზეზს განჯისხანს ჯავათს აბრალებდენ. ვითომც აღამამადხანმა იმის ჩაგონებით წახდინა ტფილისიო. რასაკვირველია, ეს ხანიც ერია საქართველოს უბედურებაში, ვინაიდგან მეფის ირაკლისა დიდი მტერი ყოფილა, ამისათვის რომ მეფეს ირაკლის და ყარაბალის ხანსა იბრეიმს დიდი დამოკიდებულება ჰქონიათ ერთმანეთში და ჯავათხანსა ეს თურმე სწყინდა. რადგანც იბრეიმხანსა ზოგიერთი მამულები წაერთმია ჯავათხანისათვის, ამის გამოისობით თურმე მტრობდა იბრეიმხანსა და ამისათვის არც მეფე ირაკლი უყვარდა. ეს აქ დაუტეოთ და მეფის ირაკლის ამბავსვე მოვყვეთ.

მეორეთ რომ წამოვიდა აღამამადხან საქართველოზე და გზაზედ ყარაბალში რომ მოკლეს. ამ მეორეთ აღამამადხანის წამოსვლასა კიდევ ჯავათხანს აბრალებდენ. სამაგიეროდ ამისა, მეფე ირაკლიმ თავის შვილი ალექსანდრე და შვილიშვილი დავით ბატონიშვილები, ძლიერის საქართველოს ჯარებით გაგზავნა ჯავათხანზე განჯას. ჯავათხან ამის გამგონემ, განჯის ციხე გაამაგრა და თვითონ ჯარით შიგ ჩადგა. ბატონიშვილები ციხეს გარს შემოადგნენ ჯარებითა,¹ მაგრამ ვერას ღონით ვერ აიღეს. ამაობაში სამი თვე გავიდა და ბოლოს მეფეს ირაკლის აცნობეს. „ციხე საშინლათა აქვთ გამაგრებული და ვერას ღონით ვერ აიღებაო.“ ამ ამბის მიმღებმა ბძანა. – „ვაი! ვაი! ივერიავ, რომ სხვა მეფე ირაკლი აღარ გეყოლება ჩემ შემდგომად.“ ამ სიტყვასთანვე მოხუცებული საჩქაროთ წაბძანდა განჯისაკენ. ჩასვლის უმალ, საქართველოს შენუხებულმა ჯარმა და უიმედოდ ქმნილთა ფრიალი დაიწყეს სიხარულით და ყველამ ერთპირად დაიძახეს. – „ახლა რეინის ციხეც რომ შეიქნას, სულერთიან კბილით დავლენთ.“ მართლა რომ ასეც იყო; მესამე დღეს ციხეზე გადვიდნენ ქართველის ჯარი, მთელი განჯა აიკლეს და მრავალი შიგ განვყიტეს, მაგრამ არა სრულიად, არამედ ხუთი წილიდგან მეხუთედი ძლივს დახოცეს გულლმობილთ საქართველოს ჯართა. ციხეზე რომ მოემზადნენ ქართველები გადასასვლელადა, განჯის ხანმა ციხე დაანება და მეფე ირაკლიმაც აღარ წაახდენინა ციხე. განჯისხანი ცოლ-შვილებით გამოიყვანეს და ქ. ტფილისიდგან წაყვანილი შვიდასი მეტი ტყვე, რაც იყო აღამათხანისაგან, განჯის ციხიდგან გამოასხეს და თან წამოიყვანეს.

¹ საქართველოს ჯარის გარდა ლეკის ჯარიც ჰყვანდა მოწვეული მეფეს და ადრითვე ბატონიშვილებთან ერთათ მისულნი, განჯის ციხეს ადგნენ, ექვსი ათასი ლეკი.

– მგონია მეფის ირაკლის ადგილას სხვა ყოფილიყო, განჯის ხანს, დიახ მკაცრათ დასჯიდა? მაგრამ მეფე ირაკლიმ ყოველი იმისი და-ნაშაული მიუტევა; განჯის სახანოც სულ ერთიან დაუბრუნა და თვითონ ტფილისისაკენ გამოემგ ზავრა (ზაფხულში იყო ეს გარე-მოება; სწორეთ მაშინ, როდესაც აღამამადხანმა ტფილისი წაახდი-ნა, იმის მესამე წელინადზე.)

მეორე. თუმცა განჯა დათრგუნა მეფე ირაკლიმა, მაგრამ ამან ვერა ანუგება რა აღამამადხანისაგან გაოხერებულს ტფილისს და ამის მწუხარებას ვეღარ გაუძლო. აქ ტფილისშივე შეიქნა ცოტათ უქეიფოთ, სამკურნალო აქ არა მიიღო რა და ამის მგრძნობელი მაშინვე თელავისაკენ წაბდანდა თავის ცოლ-შვილში. თელავში მოემატა სენი, წყალმანკი. ამთენის შრომაში გამოვლებულს და ტფილისის გაოხერების მწუხარებას მოხუცებულმა ვეღარ გაუძლო და უბრალო ციება წყალმანკათ გადაექცა და უკანასკნელს ჟმებში მიახნია. ამ დროს ოსმალოდგან ელჩი მოუვიდა თელავში. მოხუცე-ბული, ამისთანა განწირული მდებიარე ავანტყოფი ქვეშსაგებიდგან წამოდგა და ძვირფასი ტანისამოსი ჩაიცო და ბძანა. – „ჩვეულები-სამებრ ჩემის დიდებით უნდა მივიღო ოსმალოს ელჩი, ამისათვის რომ თუ ჩემი დასწულება გაიგონეს და მდებიარეთ ყოფნა, მტერი განვიძლიერდება და აღამამადხანმა რაც გვიყო, იმაზე უარესი მოუვა საქართველოს. თუ შაიძლებოდეს, მე რომ მოვკვდე, ჩემს სიკვდილს კარგა ხანი ნუ გამოაცხადებთ, მინამ საქართველოს საქმეს, როგორც მე ანდერძში მითქომს ისე არ დააწყობდეთ.“¹ ამის შემდეგ, როგორც ბძანა, ოსმალოს ელჩი სრულის თავის დიდებით მიიღო; კარგა ხანი იმასთან იმუსაიფა და რაც საღაპარაკო ჰქონდა, ყოველი მოილაპარაკა და რამთენსამე დღეს უკან კარგის ფეშქაშე-ბით გაისტუმრა. –

მესამე. დიახ დიდათ შემძიმდა მეფე ირაკლი და ყველანი უიმე-დონი შეიქნენ. ნათლილების წინადღეს ქათმის შორვა გაუკეთები-ნა დედოფალმა ყუათისათვის. სადილობის დროს მოსამსახურემ რომ მიართო; სუნზე იცნა რაც იყო. იკითხა – „დღეს სადილათ რა გამიკეთებინეთ?“ დედოფალმა მოახსენა – ყუათისათვის ქათმის შორვა გაგიკეთებინეთ.“ მეფე ირაკლი წამოჯდა ქვეშაგებში და დედოფალს უთხრა უკმაყოფილოდ.

– „დედოფალო დარეჯან, რომელს გაჭირებაში მიჭამია მარხვა-ში სახსნილო, რომ დღესაც შევიბლალო თავი? – ამ დღის ჩემის დი-დის სნეულობისათვის სწორეთ რომ სახსნილო გიახლოთ, ეს ჩემი

¹ მეფის ირაკლის ანდერძი რამთენსამე მეფის ირაკლის შვილებს და შვილიშვილებ-საცა აქვთ და თავის დროზე ისინი ანუ იმისი მომავალი გამოაჩენენ.

გაზდილი მოსამსახურები რას იფიქრებენ? ბოლოს ამას იტყვიან, მეფე იყო; თუ იმან ჭამა, ჩვენ ხომ მოსამსახურები ვართ, ჩვენ რატომ ალარ უნდა ვჭამოთო? მასუკან ამათგან სხვა ქართველები რომ ნახვენ, მერე ისინი იტყვიან. თუ მეფის ირაკლის მოსამსახურები სჭამენ, ჩვენ უფრო არ შეგვერგება? და ეს მცირე მიზეზი ქრისტიანობას ავნებს, ამისთვის რომ მცირედიდგან დიდი შეიქნება; გავრცელდება და გადიდდება, დიდი შედგება და ამის გამო არა გარყვნილებას ალარ მოერიდებიან ქართველები. – სხორც უნდა მოგახსენო დედოფალო დარეჯან, რაც თავს მოვსწრებივარ, ჯერ მე ურიგონბის მაგალითი არა ვყოფილვარ არავისი, არამც თუ ჩემი ცუდი ქცევა ენახოს ვისმე. რასაც უფალისაგან იმის ხელქვეითი მაგალითს ნახამს, ავს თუ კარგს, ისიც ისე მოიქცევა და ამისათვის უფალს მართებს, თავის ხელქვეითთან ყოველთვის კეთილად მოიქცეს, რომ უფლისაგან მცირედი ურიგო არანახოსრა.“

ეს 5-ი იანვარი ასე მარხულობით გაატარა. 6-ს ამისთვის რიცხვსა უფრო მეტად შემძიმდა, და 10-ს დილის იანვარსა აღსარება აღიარა მოძღვრის წინაშე. მერე გულმეურვალის სასოებით წმინდა საიდუმლო მიიღო მრავალის ცრემლის დაღვრით, შემდეგ ზეთი აკურთხებინა სრულის გონებით, განსვენებულის გულით, მასუკან სულთმბრძოლის ლოცვა წააკითხა რომელსაცა ყოველს თვითვეულსა იმის სიტყვებს ეპილის გულისხმიერებით ისტნდა. ამის აღმასრულებელმა შემდგომ დამშვიდებით ბძანა. – „მე ეხლა გზასა შორსა მივდივარ და სოფელსა ჭეშმარიტსა. მე ჩემის სიკვდილისათვის მცირეთაცა არა ვწუხვარ; კაცი ვარ მომაკვდავი და უნდა მოვკვდე. წინაშე ღმერთთან აღვიარებ და ვინც ეხლა აქ ჩემთახა ხართ, თქვენ გეტყვით, რომ მე არავისთან დანაშაული არა მაქვს; ვინც დამისჯია? დიდათ გაუჭირებიათ ჩემთვის და დიდის მიზეზისათვის მეტი ლონე არა მქონია და ამისათვის გადამიხდევინებია, მაგრამ ასე არავინ გამიუბედურებია, სისხლით გადამეხდევინებინოს და ამასაც ვიტყვი, უნუგეშოთ არავინ გამიშვია, რომ საცხოვრებელი არ მიმეცეს. მე საქართველოს ჯავრი ორის რისამე მიმდევს; ერთი ჩემი დაფარულის მტერისა, რომ მე იმისი განძრახვა ამ ახლო ხანებში შევიტყე, თორემ თუ ადრითვე შაბეტყო, ასე არ მოვიდოდა საქართველოს საქმე, მაგრამ ვაიმე, რომ გვიან შევიტყე და წარსულს აღარა ეშველებოდა რა. მეორე ჯავრიც აღამამადხანისა მიმდევს, რომ თუ ჩემი დაწყობილი არ ჩაეშალათ გიუებს და სულელებს მთელის სპარსეთის ხელმწიფე შევიქნებოდი აღამამადხან რომ მოვიდა, იმ წელიწადსვე. მე მაინც განსვენებით და წმინდას სვინდისით კვედები, მაგრამ ამისთვის კი ვწუხვარ, რომ ჩემ შემდეგ საქართველოს ვეღარავინ უპატრონებს ჩემსავითა და ბოლოს სხვა

უცხონი წაიღებენ.“ ამ უკანასკნელს სიტყვასთან გაჩუმდა.

ამ 10-ს იანვრის საღამო უამს თავის ცოლ-შვილს გამოესალ-მა სურვილის სიყვარულით. ვინც იქ იყვნენ ქართველები შემდეგ იმათ გამოესალმა და ყველანი დალოცა. მასუკან დაიძახა გულმტ-კივნეულად. – „ყოველს საქართველოს ხალხთ უთხარით ჩემაგი-ერ, რომ იმ სიფელშიაც ღვთის წინაშე ვიქენები მვედრებელი მათის ბედნიერებისათვის და იმედიცა მაქვს ღმერთი არ დააგდებს თავის მოწყალებით ყოველს საქართველოს ერთა. ვინაიდგან ღვთისმშობლის საუფლისნულონი ვართ, მარადის იმას არ მოვასვენებ ჩე-მის ვედრებითა, რომ თავის ძესა სთხოვოს თქვენი გაბედნიერება. ნუ შენუხდებით ჩემის სიკვდილისათვის; როგორც აქ ვზრუნავდი თქვენის ბედნიერებისათვის, არც იქ დავცხრები და ყოველთვის ღმერთს შეგავედრებთ.“ მეფის ირაკლის ამისთანას უკანასკნელს ჟამის გამოსალმებაზე, ასეთი მწარე ქვითინ იყო იმის გარეშემო სახლში, რომ მოუწყვეტელი ცრემლი გადმოსდიოდათ ყოველთ და ვაება გამრავლდებოდა! მაგრამ უკანასკნელის ჟამის მგრძნობელი მეფე ირაკლი დიას დამშვიდებით და გულგანსვენებით იყო და ყვე-ლას ეხვენებოდა დამშვიდებას. რაღა გავაგძელო სამწუხარო ესე ამბავი. 11-ს იანვრის გარიურაჟის დილას ზეცას ენვია მეფე ირაკ-ლი. დავით ქნარით მოეგება და გიმნსა სცემდა გალობითა. დავით აღმაშენებელი გადაეხვია სიყვარულით, თამარ დედოფალმა სურ-ვილით ჩაიკარა გულში, ქეთევან დედოფალმა გვირგვინი დაადგა წამებულისა, თავის წინაპარი წათესავნი გარს შემოეხვივნენ და ყველანი ეტრფალებოდენ. იქით მოშორებით მეფის ირაკლის საყ-ვარელი და კარგი სარდალი თავით ჯამბაკურიანი ორბელიანი დახვდა მოწინავე ქართველების დასტითა, რომლებისაც იმათი მოკაზმულობა ზეცას აშვენებდა, რომელთაცა სალამი მოართვეს სიამოვნით. ამათ ყოველთა, წინ ანგელოზნი გაუძღვნენ დაღადებით და სასუფეველსა შინა დაამკვიდრეს მეფე ირაკლი.

გარიურაჟის დილას მეფის ირაკლის გარდაცვალება; სამწუხა-რო ზარმა დაიძახა მეფის ირაკლის სახლში და საქართველოში საჩ-ქაროთ მოიფინა მისი გარდაცვლილება. მთებმა ზრიალი დაწყეს და მინდვრები შეძრნუნდნენ. მშვენიერნი მთიელნი ქალნი მაღალს ბორცვზე გადმოდგებოდნენ; ზოგი მშვენიერთა დაწვთა იხოვდენ ფრჩხილებითა, ზოგნი ლამაზის თითებითა თმა სუმბულსა იგლე-ჯდენ და მწარის ცრემლითა მეფეს ირაკლის მოსთემიდნენ. ხნიანი დედანი თავსა და პირსა იცემდნენ და მეფის ირაკლისათვის საშინ-ლად სტიროდნენ. გამნარებული ვაჟკაცები თოფს იარაღს ამტვრე-ვდნენ და იძახდენ. – „უირაკლოთ რათლა გვინდა სიცოცხლე და იმის მაგიერ ვიღა მიგვიძღვება ომის ცეცხლში.“ მინდვრის მცხოვრებნი

და მათი დედანი ზარიფულის და ნაზის ქალებითა, რაზმ-რაზმობით შეიყრებოდენ მინდორში, მგლოვიარის ზარსა გაამრავლებდენ სავალოს გადაცემითა და მეფის ირაკლისათვისა გულმხურვალედ ცრემლს აფრქვევდენ¹, საწყალნი ვაჟკაცნი, თოფ-იარალს შავსა ძაძებსა დაახვევდნენ და საცოდავის კოცნით ესალმებოდნენ იარალსა და მნარეს მოთქმითა იტყვოდნენ. – “თუმცა მეფე ირაკლი მოკვდა, მაგრამ ეს ჩვენი იარალი იმასთანვე მოკვდება და მეფის ირაკლის შემდეგ ჩვენც აღარა ვიქნებით რა.” აი ამისთანა საყვარელი მეფე იყო საქართველოს ერისათვის. ასე გაშინჯეთ, თვითონ ლექნიც და გარეშე მტერნიც დიდათ შეწუხდნენ მეფის ირაკლის გარდაცვალებაზე, ამისთვის რომ კარგი და ჩინებული კაცი მტრებისათვისაც საყვარელია.

მცხეთის ეკლესიაში რომ შებძანდებით; ამბიონს გვერდით, სამხრეთის მხარეს მეორე მეფე ირაკლი მარხია და დიახ დარბი ლუსკუმა ადგას იმის საფლავს რომელსაცა იმის დიდკაცობას ერთი საცოდავი ლუსკუმა არ შესვენის.

მეფის ირაკლის სიკვდილის შემდეგ კახელებმა მოინდომეს ალავერდის ეკლესიაში დაემარხათ, მაგრამ ქართლელებმა² უარ ჰყვეს. “მცხეთის ეკლესიაში უნდა დავასაფლავოთო.” ამაზედ ერთ-მანეთის წინააღმდეგები შეიქნენ; კახელებს უნდოდათ, კახეთის მხრისაკენ დაემარხათ და ქართლელებს ქართლის მხრისაკენ. ამის გამო ძალა მოინდომეს ერთმანეთზე და ორივ მხრის ხალხთა ეკლესისაკენ შეიწიეს. უნდოდათ, მეფე ირაკლი კუბოთი მოეტაცათ. აქ ეკლესიის კარზე თავადთ აზნაურებს შვილი მოუხდათ და ერთ-მანეთს მიწევ-მოწევა დაუწეუს კარებთან. იქით შოედანზე ორთა მხრის ჯარებმა იარალი მოიმზადეს და ერთმანეთს პირდაპირ დაუდგენენ. თუ ერთი მცირედი დრო კიდევ გასულიყო, თოფი გავარდებოდა და მასკვან ველარავინ ველარ იხსნიდა იმათ ერთმანეთის სისხლის მეტი, მაგრამ ეს ამბავი მეფის სახლამდისინ მიეხნია, საიდგანაც ანტონი ქათალიკოსი თავის სამღვდელოთი, – გიორგი მეფე თავის ძმებით და შვილებით გამობძანდნენ და რას ყოფით დაამშვიდეს ალელებული ხალხი. შემდეგ თათბირი მოახდინეს, სად დაემარხათ? – ხალხის დამშვიდებისათვის ასე გადაწყვიტეს. და ასე დაამტკიცეს, ვინაიდგან საქართველოს მეფები მცხეთაში იმარხებანო, ამისთვის კახელებმა ველარა თქვეს რა და მცხეთის ეკლესიაში დაასაფლავეს საქართველოს ხალხისაგან დიდი საყვარელი მეფე ირაკლი!

¹ თუმცა მაშინ ჭირი იყო, მაგრამ სულერთიან საზოგადო და ხალხი მაინც დიდათ იგლოვდა მეფეს ირაკლისა.

² ჩვენ სომხითსაც ქართლი ერქო მაშინ.

1

მეფე ირაკლი მრავალჯერ თვე გავიდოდა იარალს არ მოიხსნი-და ტანიდგან, ვინაიდგან მტერსა სდევდა დაუცხრომელად.

2

მეფეს ირაკლის ერთხელ ეთქო დარეჯან დედოფლისათვის – „დედოფალო, ჩემ შვილებს და შვილიშვილებს უნდათ მეფე ირაკლის ითამაშონ, მაგრამ ჩემ შემდეგ არაფერი იქნებიან და თავი-ანთ სახლსაც დააქცევენ.“

3

აი მეფე ირაკლი რა შრომაში იყო, რომ დაუცხრომელათ მტერ-სა სდევდა, საითკენაც კი გაიგონებდა. „აქ გაჩნდა ლეკიო.“ – დღეს რომ ქართლში ყოფილიყო და ამბავი მოსვლოდა, კახეთში გამოვი-და ლეკის ჯარიო, დაუყოვნად შეჯდებოდა; ქართლიდგან მეორეს დღეს კახეთში მიიჭრებოდა, იქ მტერს დაამარცხებდა, მასკვან იქ მიუვიდოდა ამბავი, ქართლში გამოვიდა ლეკის ჯარიო. ახლა იქ შეჯდებოდა, მეორეს დღეს ქართლში მიირბენდა; ახლა იქ დაა-მარცხებდა მტერსა. რაღა უნდა ვთქო. ბევრჯველ ექვსჯერ ხან კახეთისკენ გავიდოდა დაუსვენებლად, და ხან ქართლში გამოირ-ბენდა, რომ ყველანი გაკვირვებულნი იყვნენ: რას შვრება ეს კაციო! რომელსაცა სადაც ვერ ვიფიქრებთ მეფის ირაკლის მოსვლას, იქ ელვასავით გამოჩნდება, – მტერს საჩქაროთ დაამარცხებს და იქიდგან სხვა მხარეს გავა, ამბავი რო მოუვა და იქაც სწრაფათ დაამრცხებსო.“ თვითონ ლეკიც გაკვირვებული ყოფილან. – „სა-დაც არ გვგონია, იქ ჩნდება და არ ვიცით რა ვუყოთ იმ ძალლსაო.“ უშვერს სიტყვას იტყოდნენ ხოლმე.

1.

მეფე ირაკლის თათრები ქართველებზე ნაკლებ აღარ ჰყავარე-ბია და ქართველებზე ნაკლებ პატივს არა სცემდა, ამისთვის რომ როგორათაც ქართველები მემამულის შვილებათ მიაჩნდა, ისე თათრები. ბევრი ამბავია ამაზედ, მაგრამ მე სამს რასმე მოვიტან. პირველს ამას, რომ რაკი თავი ეცნა მეფეს ირაკლის, თავის დღეში ღორის ხორცსა არა სჭამდა და სანამდისინ ცოცხალი იყო, მეფის ირაკლის სასახლეში ღორის ხორცს ვერავინ ვერ გაბედავდა მიტა-ნას, არამც თუ მოეხარმათ. მეორე, მეფის ირაკლის საკუთარსა და საყვარელს მოსამსახურე ქურდაშვილს თათრისათვის ეთქო ჩხუ-

ბის ლაპარაკში. – “შე რჯულძალლო თათაროვო.”¹ მეფეს გაეგონა, დაეძახა და ეთქო.

– “როგორც შენ გიყვარს შენი რჯული და პატივსა სცემ, ისეთი სიყვარული და პატივისცემა აქვსთ ყუელას თავის რჯულისაო.”

ხმამაღლა დაეძახა იასაულებისათვის – “ეხლავ ენა დაუჩხ-ვლიტე წემსით მაგასაო.”

კარგად რომ დაუჩხვლიტეს, შემდეგ თავის სახლიდგან გაეგდო, რომ თვალით ალარ ენახა თავის დღეში. მესამე, ყოველს თათრის ალალარებს ისეთს პატივს სცემდა მეფე ირაკლი, როგორათაც თავის თავადებსა და პირველს აზნაურებსა, მაგრამ ყველას თავის ღირსების გვარათ. ვინც როგორის ღირსი იყო. ზოგიერთი ასეთი თათრის ალალარები ყოფილან, რომ სარდლებს პირდაპირ დაუსხ-დებოდენ მეფესთან. შამშადილის სულთანი ხომ რასაკვირველია.

ესეც გამიგონია, ზოგიერთის ეხლანდელის კაცებისაგან ვითამ საქართველოს მეფები მტრები ყოფილიყვნენ სომხებისა და ამის გამო სომხები დამდაბლებული ყოფილიყვნენ. ტყუილია, ამისთვის, რომ საქართველოს მეფების წყალობითა რამთენი გათავადებული სომხები არიან და აზნაურნი და მეფების წყალობა ყმები ჰყავთ და მამულები აქვთ. გარდა ამისა, როდისაც მეფეს მეჯლიში ექნებოდა, მარჯვნივ მხარეს ჩინებულნი თავად-აზნაურნი დაუსხდებოდნენ და მარცხნივ ჩინებულნი მოქალაქე სომხები. საკურველი არის, რაც საქართველოს მეფობა ამოიხოცა საქართველომი, პირველი სომხების მოქალაქეებიც ნახდნენ მსგავსად თავადებისა. ძლივსღა უდგათ სული, ეხლა სულ უბრალოები შეიქნენ პირველნი: როგორათაც. – “უკანანი წინა და წინანი უკან”. საქართველოს მეფები კი არ იყვნენ სომხების მტრები, სომხებმა კი ბაგრატიონების ოჯახი და საქართველო დაღუპეს. ეს კი მართალია.”

მეფე ირაკლის ასე დაეღალა ლეკები დევნით, რომ ვეღარ კადრულობდენ თამამათ გამოსვლას ამისთვის, რომ სადაც მოასწრობდა, მუსარს თურმე ავლებდა ეს რომ შეემჩნია ლეკებისთვის, მაშინვე. სამო-ოთხი წლის წინ, ალამამადხან რომ მოვიდა, შუაკაცობაში მეფე ირაკლი სიღნაღმი გაბძანებულიყო, ჭარბელაქნიდგან და დაღისტნიდგან პირველი კაცნი დაებარებინა მოენვია სტუმრად და ხალათების შემდეგ უბძანებია იმათვების².

“მე თქვენგნით მიკვირს, ამდენს აკლებას როგორ არ იშლით

¹ დილა ადრიან ყოფილიყო ქალაქში და თვით მეფეს გაეგონა ეს სიტყვა ქურდაშვილისაგან.

² აღამამადხან რომ მოვიდა იმის სამიოთხის წლის წინათ ყოფილა ეს ამბავი. –

საქართველოსას? ქართველებში და თქვენში რა მტრობა უნდა იყოს? თუ სარწმუნოებას იტყვით, თქვენ მაპმადიანი ხართ და ქართველები ქრისტიანი; ეს ჩვენს ერთობას და სიყვარულს რას დაუშლის? თქვენ თქვენი სარწმუნოება დაიცევით და ჩვენ ჩვენი, ოღონდ თქვენ და ჩვენ გავერთდეთ და ჩვენი საერთო მამული და-ვიცოთ საშინელის გარეშე მტერთაგანა. როგორ არ იცით ქართ-ველები და მთელი კავკაზიის ხალხი ერთი ჩამომავლობისანი ვართ და ყველას ერთი სისხლი გვიდგას დიდი მამის ჩვენის თარგამოზი-სა და ამისთვის გვმართებს ერთათ ვიყვნეთ და ერთათ დავიცოთ ჩვენი საკუთარი მამული, რომ გარეშე მტერმა არ წარიტაცოს ჩვე-ნი უთანხმობის გამო. ეს ჩემი რჩევა დაიცევით, თორემ ჩემს უკან ბევრს ინანებთ და იქნება კიდეც იტიროთ.” თუმცა დიდის აღთქმით წავიდნენ ლეკები, მაგრამ ისინი თავისას არ იშლიდნენ და საქართ-ველოს აოხრებდნენ. გარდა ამისა სხვაც ბევრი ებძანებინა. ზოგი განრისხებით და იმათვის საშიშარი, ზოგი იმათი სასარგებლო, ზოგი ალერსით, ზოგი ჩაგონებით და კიდევ სხვანი. თუმცა დიდის აღთქმით წასულიყვნენ ლეკები და კიდეც აღესრულებინათ, მა-გრამ მაინც თავისას არ იშლიდენ და ცოტათ კიდევ თულაობდენ. უფრო კი დაფარვით.

რადგანც მეფე ირაკლი ყოველს საქმეზე ყურადღებით ყოფილა და ხალხისთვის დიდათ უზრუნვია, არა რაიმეზედ არ შენუხებდული-ყვნენ, ამისთვის ეს მცირედიც უნდა ითქვას იმის ანეგლოტებში (ამ-ბავში) აქა.

ყველიერის კვირაში ბაყალთ ერბოში ცხვრის დუმა გაერიათ. და მაშ რადგან მეფეს ძნელად გამოაპარებდნენ საქმეს თუ ამბავს, მეფეს ეს ამბავი შეეტყო. მაშინვე ის ბაყალნი მოეყვანინებინა და მოედანზე დიდი ხეები ყოფილიყო ჩასმული; იმაზედ ყურებით მიელურსმინებინა დილით საღამომდისინ. სადაც მიდიოდა ხალხი და არცხენდენ იმათ. –

ნადირშას სიკვდილის შემდეგ, როდისაც ქერიმხან ამაღლე-ბულა სპარსეთში. მოუნდომებია საქართველოს დამხობა; არ-აერთხელ, არამედ რამთენჯერმე და მეფეს ირაკლის ყოვლის ღონისძიებით დაუმშვიდებია ყოველი იმისი აღელვება. ერთხელ კიდევ განუძრახავს, რომ უთუოთ საქართველო წაახდინოს და თითქმის გააოხროს. მეფეს ირაკლის ეს ამბავი მაშინვე მოსვლოდა სპარსეთიდან] და ქერიმხან რომ აღარ მოშვებია, მალე შეუტყვიათ. ამის წინააღმდეგათ ეს მოუგონებია მეფეს ირაკლის.

ერთი აქაური თათარი და სპარსეთში გაზდილი, საუცხოვოთ

გაზდილი იქაურს სასწავლებელში და ახლადმოსული თათარი, რომ ჯერ ვერავინ ვერ იცნობდა. მეფეს უთქომს საიდუმლოდ მისთვის (მოუპირებინა მეფეს იგი ქ. ტფილისში და იგიცა დიდის სიხარულით თანხმობიყო ჯერ თავის მეფის ერთგულობისათვის და მერე თავის მშობლის მამულის ამაღლებისათვის, იგი ყიზილბაშში ნამყოფი თათარი) დიდის დიდებით მოუყვანია ქ. ტფილისში, ვითამ ნადირ-შას შვილი არის სპარსეთიდგან გამოქცეული, რომელსაცა ყოვლის კმაყოფილებით აცხოვრებდა ტფილისში. ამაობაში ქერიმხანს მოხ-სენებია ეს ამბავი და მაშინვე დაუშლია თავისი განძრახვა და მე-ფის ირაკლისათვის ელჩი გამოუგზავნია მეგობრობისა და დიდის პირობით შერიგებია. მაგრამ მეფე ამით კმაყოფილი არ შექმნილა; ადრიბეგანის ხანები სრულიად მიუბირებია, რომ დიდის ჯარებით დახვედრიყვნენ, იქიდგან უნდა გაეწიათ, ქერიმხან გადაეგდოთ და ტყუილი ნადირ-შას შვილი ყაენათ დაესოთ. ამით ქერიმხანს დააჭ-ერინებდა და საქართველოში ტყვეთ გამოგზავნიდა, მაგრამ ამ თაბეტებში იგი ტყუილი ნადირ-შას შვილი მომკვდარიყო სათლი უამით და მეფე თურმე დიდათ შეწუხებულა.

ერთს დღეს კარგი ლევან ბატონიშვილი თავის მამა მეფე ირაკ-ლის თურმე ხლებია და სხვადასხვა ლაპარაკსა შორის ტყუილი ნადირ-შას შვილის ამბავი ჩამოვარდნილიყო. მაზედ ლევან ბერი უცინია შაზადაზედ. მეფეს შვილისათვის უკმაყოფილოთ უთქომს, რომ მაგთენი ჭკვა არა ჰქონია რა ტყუილს შაზადას, რომ საქმე რამ აღესრულებინა, თუ მეფე არას უბძანებდა, იმას არა შაეძლო რა.. მეფეს ირაკლისაგან ეს ამბავი გაუცონია ბატონიშვილს დედაჩემს. ესეც რომა, როდისაც მეფე ირაკლი სპარსეთს დაიპყრობდა და გახელმწიფებოდა, ივერიისათვის და სპარსეთისათვის ეს სახელი უნდა დაერქმია – „სპარს-ივერია“.

ამასთან ორმოცი ათასი კაცი ყიზილბაშის ჯარი განუშორებ-ლად თავისთან უნდა ჰყოლიყო; ოცდაათიათასი ქვევითი და ათი-ათასი ცხენოსანი. გარდა ამისა, მრავალნი დიდრონი და მდიდარ-ნი ყიზილბაში აქ, ტფილისში უნდა დაესახლებინა, რომელთაცა ზოგიერთს ადრიბეგანის დიდრონს კაცებს პირობაც ჰქონიყოთ. მეორეც ესა, რომ ინდოეთიდგან და სხვა ქვეყნებიდგან მრავალნი მდიდარნი სომხები მოდიოდნენ ტფილისში დასასახლებლათ, მეს-ამე ესა, რომ ყოვლის ღონისძიებით უნდა ცდილიყო, ძველის სომხ-ეთის საძღვრამდისინ ივერიის მამული გაევრცელებინა. და ამის შემდგომ რაც მოხდებოდა, ის კი აღარ ვიცი. კარგმა და მიუფერ-ბელმა ისტორიკოსმა (ნამკითხველმა) გაჩერიკოს?

სომხეთის აოხრებისათვის მეფე ირაკლი მომატებულად თურმე არა სწუხდა, ამისთვის, რომ რამთენ სამი ათას კომლს აისორებს პირობა მიეცათ მეფისათვის, რომ უთუოთ უნდა მოსულიყვნენ და სადაც საქართველოში ცარიელი ადგილები იყო, ისინი უნდა დაესახლებინა, მაგრამ შეჩვენებულის აღამამადხანის მოსვლით ჩაშლილიყო ეს განძრახვა. –

საქართველოს მეხუთედი შემოსავალი გადადებული ჰქონია მეფეს ირაკლის შენუხებული ქვრივებისათვის, უნუგეშო ობლები-სათვის, ლარიბ-დაცემულთავის და ტყვეების გამოსახსნელადა, რომელიცა მარტო ქიზიყის ტყვეების გამოსახსნელადა უანგარი-შიათ, ოცდაათს წელიწადში რომ ოცდაჩვიდმეტი ათასი თუმანი თეთრი ფული გასვლია მეფეს ირაკლის. და სხვა კიდევ ვინ იცის, რა ერთი უნდა ყოფილიყო?

მეფის ირაკლის სასახლე ქ. ტფილისში, დიახ ჩინებული რამ ყოფილა, თავდაპირველ მეფე როსტომს აუშენებია, შემდეგ მეფე ვახტანგს შეუმატებია და უფრო გაულამაზებია, მასკვან მეფე თემურაზს და დასასრულ მეფე ირაკლის უფრო მოუმატებია და გაუმშვენიერებია, რომელიცა ყიზილბაშურს გვარზე ყოფილა გა-კეთებული ანუ შემკობილი. ოთხ ატაჟიანიც ყოფილა, სამ ატაჟი-ანიც, ორატაჟიანიც და ერთატაჟიანიც; თავის სარდაფებით და საყინულოთი. ბევრჯველ უბძანებია ბატონიშვილს დედაჩემს. – „ერთხელ მოვინდომე მთელი სასახლის ოთახების დათვლა. ორასი რომ დავთვალე, მასკვან თავი დავაზებე ამიტომ, რომ დავიღალე.“ და ამასთან უბძანებდა. – „მგონია სულ ერთიან სამას ოთახამდის-ინ იყოვო.“ რომელიცა აღამამადხანის მოსვლის დროს ჯავათხანს დაეწო.

ვინაიდგან მეფის ირაკლის სახელი განთქმული იყო და ამის გამო მრავალნი ეძებდენ იმის მახლობლობას; სხვათა შორის ინ-დოეთში ყოფილა დიახ სახელგანთქმული მდიდარი სომეხი შამირ-ალა. იმას დიდი მეგობრობა დაუწყვია მეფის ირაკლისათვის და ამასთან მრავალს ფეშქაშებს თურმე უგზავნიდა. მეფეც რასაკვირ-ველია მაგიერს მიანიჭებდა.

იმათ მეგობრობაში შამირ აღას მოუწერია მეფის ირაკლისათ-ვის.

„თუმცა ხორცით აქა ვარ, მაგრამ სული თქვენთან არის, ამი-ტომ ჩემი მეფე შენ ხარ და არა სხვა ვინმე. მინდა ეგ ჩვენი მშობელი ქვეყანა მაღალს ხარისხში ამაღლდეს, მაგრამ ჯერ არ იქნება. უნდა

კიდევ რამთენიმე წელიწადები მოვითმინოთ; და მინამ მე მანდ გი-ახლებოდეთ, რამთენიმე მსნავლული ყმანვილი კაცები უნდა დამხ-ვდნენ, ამისთვის ათმ თავადიშვილის ყმანვილი, ათმ აზნაურიშ-ვილისა, ათმ მოქალაქისა, და ათმ გლეხი კაცისა. ესენი გაგზავნეთ, მოსკოვის სასწავლებლებში გაიზარდნენ და მსნავლული რომ მოვ-ლენ, თვითონ ისინი დაგანახვებენ მამულისათვის სარგებლობას და მამულის ამაღლებას. ამაობაში მეც გიახლებით და მასკვან ერთათ დავაწყოთ, როგორ ავამაღლოთ ჩვენი მშობელი მამული.“ ამასთან მრავალს სხვას თურმე სწერდა, მაგრამ ფულის შემძლებელი რომ არ იყო, ამთენი ყმანვილები ვერ გააგზავნა¹ და ამათ სამაგიეროდ, მინამ შამირ აღას ეს უკანასკნელი წიგნი მოერთმეოდა, ორი-სამი თვის წინათ ანტონ ქათალიკოზი და თავის შვილი ლევან რამთენიმე თავადებით გაესტუმრებინა, რომ იმათ უნდა გადმოეტანათ რუსუ-ლი ჯარის დაწყობილობა ანუ სხვა წესი.² ამასთანავე გაესტუმრე-ბინა პაატა ენდრონიკაშვილი, რომელსაცა პეტერბურლში ესწავლა არტილერია და მართლა რომ კარგი ნასწავლი მოსულიყო, მაგრამ ჯერ ის უნდა ვთქო; დიდი ანტონი ქათალიკოზის და ლევან ბატონიშ-ვილის მოსვლაზე რა ცულილობა მოხდა.

მაგთენი ხანი არა გამოსულიყო რა, მთელი საქართველოსთვის მორიგე³ შეეწერა მეფეს საქართველოს დასაცველად, და ამით ასე ამოეგდოთ მტერი, რომ ვერა ბილიკზე ვეღარ გაივლიდა მტერი, არ შეეტყოთ, რომლისაგანაცა ამ დაწყობილობით ასეთი მშვი-დობა მომხდარიყო საქართველოში, ორი დედაკაცი გორიდგან აქ მარტო ჩამოვიდოდა. და აგრეთვე თელავიდგან. სომხითსაც ხომ შენობა დაეწყო, მაგრამ ვაი ვაი! ამისთანა მშვიდობიანობაში რომ ივერია გაბედნიერებას აპირებდა; უკაცრავად მეფის ირაკლის უსაყვარლესი და ჩინებული შვილი ლევან მოკვდა, მთელი ივერია სიმწარით ადუღდა, და ყველამ სამწუხარო შავი ძაძები ჩაიცვეს და აღარავის აღარ აგონძებოდათ აღარც სახლი და აღარც მშო-ბელი მამული. ყველანი კარგს და ჩინებულს ლევანს სტიროდნენ.

¹ თუმცა ფულის შემოსავალი ჰქონია მეფეს ირაკლის ვიდრე ორმოცი ათას თუმ-ნამდის თეთრი ფული და რადგანც სხვა და სხვა აუცილებელი ხარჯი ჰქონდა, ამისთვის იმის ფულის შეუძლებლობა ვთქვია აქა.

² ეკატირინა იმპერატრიცას დრო ყოფილა.
³ მორიგე უნდა გავარეკიოთ რა არის. თვითინი მოხუცებულთ გარდა, ყოველს საქართველოს მცხოვრებთ თავადიდგან გლეხამდისან ვალი ჰქონიათ სამსახური-სა. სახლში რომ ხუთი ძმა ყოფილიყო და მეორე სახლში ერთი, ყველას რიგით უნდა ემსახურათ. სახლის მარტო ერთი რომ ნასულიყო, სოფელს ვალი ჰქონდა იმის სახლის შენებისა ანუ მოხმარებისა. ხუთი კაცი და უნდა წასულიყო: ზოგისაგან გამიგონია, ექვსი თვის ვადითაო და ზოგისაგან ერთის თვითაო. ამ მორიგე უნდა ჰქონდათ მთელი საქართველოს საზღვარი შემოზღუდული.

მართლა რომ საკურველი რამ ყოფილა!... მამას თურმე ბევრით სჯობდა. ლევანის სიკედილზე ლევებს ეთქოთ.

– „ახლა რიღასი გვეშინიან? ლევან მოკვდა და მეფე ირაკლი მოხუცდა. თუნდა კიდევ ცოტა ჯანი ჰქონდეს მეფე ირაკლისა, ასე შენუხებულია შვილზე, თავი არ ახსომს.“ მავრამ არა, ლევან მოკვდა, დიდმა ანტონი ქათალიკოზმა მამაცობა შემოირტყა და ყველანი ისევ გაამნევა და მტერს პირი ისევ დაუდუმეს. ამ უბედურებაში სხვა მეფის ირაკლის შვილებს ესე იგი ძებებში წინააღმდეგობა დაეწყოთ მამისათვის. ერთი სთხოვდა ქიზიყს, მეორე ბორჩალოს, მესამე ყაზახს, მეოთხე შამშადილს, და ყველა თითო რასმე. რომელიც თავადები მტერი ჰყოლია მეფეს, ამათ უარესი უქნიათ და ამაში ყოფილა საძაგელი ჩუმი მითქმა-მოთქმა, და ამის გამო შემოსულა საშინელი უთანხმობა. თავად-აზნაურნი და გლეხნიც აუღავლავებიათ და მორიგე მოუშლიათ. საწყალს მეფე ირაკლის აღარავინ აღარ გაუგონა. მეფე ირაკლი რომელსამე თავადს და ან აზნაურს გაუწყრებოდა; ერთ-ერთი იმის შვილი პატივით მიიღებდა, რომ იმას მომატებული შემნე ჰყოლიყო. მეფე ირაკლი შვილების კეთილი მამა ყოფილა და ისინი ამას თურმე ვერა გრძნობდენ და ყოველთვის აწუხებდნენ. ამის გამო უმორჩილობა შემოსულა და კიდევ დაუწყიათ ლევებს გაოხრება საქართველოსი. რაღა უნდა ექნა მეფე ირაკლის? ამაზე მეტი ვედარა შეეძლორა რომ მოხუცებულს კიდევ დევნა დაუწყიათვის¹.

მეფეს ირაკლისა თავის სალარო დიახ მდიდარი ჰქონია, ასე რომ თითქმის არც ერთს ივერიის მეფებსა არა ჰქონიათ იმისთანა მდიდარი სალარო. საიდგან არ მოსვლია მეფეს ირაკლის ძვირფასი ფეშქაშები. ინდოეთიდამ, ჩინეთიდამ, ხივიდამ, ბუხარიდამ, ყიზილბაშიდამ, ოსმალოდამ, მისირიდამ და კიდევ სხვებიდგან. რამთენის სახელმწიფოდამ უკლებლივ მოსდიოდა ფეშქაშები. უკანასკნელად ყიზილბაშების მოსვლის დროს თვით აღამამადხანს ენახა მეფის ირაკლის სალარო და გაკვირვებული ეთქო ჯავათხანისათვის². – „თითქმის ამისთანა მდიდარი სალარო არ გამიგონია, არამცთუ მე მქონდეს. მიკვირს ამ პატარა მეფეს, სად შეუძინებია ამთენი სიმდიდრე!“ რაც ნდომია, თითონ აუღია, სხვა სულ თავის ხანებისთვის

¹ შამირ აღას რომ შაეტყო ეს ამბავი; ჯერ ბევრი ეტირა, მასკვან სინაწულში ყოფილიყო, რომ მაშინვე არ წამოვიდა... მნარეთ ატირებულიყო მეფის ირაკლისათვისა, და ამასთანვე დევშალა წამოსვლა. იკოდა, რომ ვედარას იქმოდა. – ქართულად კარგათ არის ნათქომი. „ციხე შიგნიდან გატყდებაო.“ – შინაური უთანხმობა უთუთ სახელმწიფოს დაამხობს. –

² განჯის ხანი იყო.

და ჯარისათვის მიუცია.

აღრე რომ ითქვა, თა პაატა ენდრონიკაშვილი პეტერბურღ-ში გაგზავნა არტელერიის სასწავლებელშიდ მეთქი. ვნახოთ იმის მოსვლით რა იქნება.

რაც არტილერიას შეშვენის, დიახ გავითარებული მოსულა და მაშინვე არტილერია გაუწყვია. ოცდაოთხი ზარბაზანი ჩამოუსხამს, ათასამდისინ არტილერისტები გაუწყვია, რამთენიმე ბარაბანშიკები გაუსწავლებია. ერთი ლენერალი, მაიორები, კაპიტნები და აფიცირები; და მართლა რომ კარგათაც თურმე საქმობდა არტილერია. რეგულის ჯარის დაწყობაც ნდომია მეფე ირაკლის და ამისთვისაც დიდათ ცდილა, მაგრამ ქალაქის წახდენამდისინ რაც ზევით ითქვა, ამაზე მეტი ველარა მოუმატებია რა და ქალაქის წახდენასთან არტილერიაც სულ დაშლილა.

**რაც რუსები მოსულან საქართულოში იქიდგან
აქამდისინ ეართულების შეთქმა ნინეაღმდეგ
რუსეთისა**

**(ესა შეთქმის ამპაზი, პრინც ნაკალიონისა პრატესტი
რომ არის, იმაში უნდა იყოს)**

საქართულოს მეფის გიორგის პირველს მეფობაში ქართულებში განითქა: მეფე გიორგი საქართველოს რუსებს აძლევს სრულიად ხელაღებითა. ამაზედ ქართულები შეითქვნენ, მეფის გიორგის ძმა, იულიონ ბატონიშვილი მოინდომეს მეფეთ და მეფის გიორგის გადაგდება განიძრახეს. რასაკვირველია, ეს შეუტყობელი არ დარჩათ რუსეთის მხარეთ, რომელთაცა მაშინვე მეფე გიორგის აცნობეს. მეფე გიორგიმ სარდალი თა ივანე ორბელიანი (ეს სარდალი იყო თვით მეფე გიორგის დისწული), ტფილისის ქალაქის მელიქი თა დარჩია ბეჭუთაშვილი და სხუა დიდრონი კაცები დაიბარა თავისთან და ყოველი უთხრა იმათი განძრახუა. თუმცა უარი ჰყვეს, მაგრამ მაინც ერთგულებაზე შემოიფიცა და ეს პირველი შეთქმა მითამ ამით გათავდა.

მეორე.

ამ პირველს შეთქმას მაინც არ მოეშვნენ და ამასთანავე მეორე განიძრახეს, რომელთაცა დარეჯან დედოფლის შეუტყობლათ იმის მაგივრათა ნიგნი შეადგინეს ხალხთან სათხოვარი იულონ მეფის გამეფებისათვის და რამდენადაც შეიძლებოდა, კარგად მოიყანეს საქმე. ეს ანბავი აცნობეს დარეჯან დედოფლალს, რადგან მისი საკუთარი შეილის შესახებ იყო ეს საქმე. იმ მიმსვლელი დიდრონი კაცებისაგან რომ მოისმინა ეს ანბავი, დიდათ შენუხდა და კარგახანი გულმტკივნეული ცრემლი სდიოდა თვალებიდგან (იულონ იყო სწორე შეილი და გიორგი - გერი. დედაჩემი ამ დროს გვერდით სკადომია თავის დედას დარეჯან დედოფლალსა). ბოლოს მოიხოცა ცრემლი და გულმტკივნეულად უთხრა ყველას:

-არ ვიცი, მაგისთანა ულმერთო საქმე როგორ განგიძრახავთ? მეფე გიორგიც მეფის ირაკლის შეილია, როგორც იულონი. ლვთის გულისათვის, თუ დმერთი გიყუართ, მაგ განძრახვაზე ხელი აიღვით.

მოახსენეს.

შენი ჭირიმე დედოფლალო, ასე გვესმის, საქართველოს რუსებს აძლევდეს მეფე გიორგი, მეორეც ეს, რომ იულონ თქუენი შეილია და გიორგი - გერი.

-რას მეუბნებით, მეფე გიორგიც ჩემი შვილია, როგორც იულონ. უნამტნევესი ჭირნახული უფრო მეფე გიორგიზედა მაქვს, იმ ჩემს

გაზდილზედ, მინამ იულონზედ. ამისთვის ყველამ ხელი აიღეთ მაგ თქუენს განძრახვაზედ და მეფის ნინააღმდეგობას ნუღარას იფიქრებთ, აგრემც დმერთი გიყუარსთ. მეორეც ეს, თვით მეფე გიორგიმ იცის თავისი საქმე და არა ჩუენ. ჩუენ ნუ გავერევით ნურაფერში. თვით იმან იცის, როგორც მოიქცევა და მეფობა როგორ დაიმკიდროს.

მის შემდეგ ყველამ ხელი აიღეს ამ განძრახვაზე, მაგრამ მირიან ბატონიშვილი, მეფის ირაკლის ძე შემოსწყრა თავის დედა დარეჯან დედოფალსა ამ საქმის ჩაშლისათუის და სხუა დიდორონი კაცებიცა ხომ დიდათ დაემდურნენ. რა გაენყობა მომეტებულს კეთილს გულსა, რომელსაცა ბევრს შემთხუევაში კარგი და სასარგებლო საქმე ცუდი ჰგონია (მეფეს ირაკლის ბევრი შვილები ჰყუანდა სამის ცოლიდვან).

შენიშვნა.

ესც უნდა იყოს, რომ რუსეთი თვლის და ცდილობს, რომ ომი როგორმე არ იყოს [მინამ] გზებს შეასრულებდეს ყოველს მხარეს რუსეთში და ჯარისკაცისთვისაც მინამ სრულს იარალ დაამზადებდეს და შემდგომ რუსეთზე მთელი ევროპია რომ მივიდეს, რუსეთს არავისო არ ეშინიან. ამისთვის ევროპიამ უნდა დააშუროს რუსეთის ფრთხების დაკვეცა. ამ სახით, პოლშა აღადგინონ ლამბურსკის ხელმწიფის გვირგვინით და ამ ხელმწიფეს სლავინებ-მადიარების ხელმწიფობაზე დაგვირგვინდეს ევროპის თანხმობითა. გარდა, ამისა, პრუსიამ სრული ბძანებლობა უნდა მიიღოს მთელს გერმანიაზედ და ფრანციას ევროპიამ დიდსულოვნად გამომეტებით რეინის პირამდისინ მისცეს, რომელსაცა ამაზედ ანგლიას ფიქრი ნურა აქვსრა, იმან ამით თავის ინტერესი დაკარგოს რამე. ლერმანია ყარაული იქნება ფრანციაზედ და სხვის ინტერესის მოშლას ამ გარემზომლობით ფრანცია გულში ვეღარას გაივლებს. ამ სავნების დასამტკიცებლად ბევრი დამტკიცება უნდა, რომ ყოველი ეს დაიჯეროს ევროპიამ, თორემ ასე მოკლე თქმით არასდროს არ დაიჯერებს, რომელიცა ამ აზრისა გავრცელება ახლა მეტისმეტი არის. მხოლოდ დიდმა გონიერამან ამ აზრს კარგათ უნდა გახედოს და ამაზედ კარგათ შემოავლოს გონება, მაშინ იმედი მაქვს უთუოთ დაიჯერებს ამას. თუ არადა ევროპიას თავის დროზედ ათას მილლიონ კაცს დაუყენებს რუსეთი კისერზე, იმისთანას განყობილს ჯარსა და აბა მაშინ რაღასა იქს? შიშით უნდა თრთოდე ევროპიავ და დღედაღამე არ გეძინოს რუსეთის შიშით...

კიდევ შენიშვნა.

ესც უნდა იყოს, რომ მთელის ქვეყნის შარზედ, რუსეთის აგენტებიდა შპიონები გავრცელებულები და გაბნეული არიან რუსეთის

ამაღლებისათვის და ასეთი ეშმაკური მოსაქმეები არიან, რომ იმათას ვერავინ ვერასა გაიგებს. ისინი არათუ ხმელეთის ქვეყანაზედ არსებობდნენ, უცხო ქვეყნების ხომალდებშიაც შეპარულები იმყოფებიან. არა სახელმწიფოს დიდი საქმეები არა არის, რომ იმათ ნინაშე დამალული იყოს. იმათ სულ იციან.

კიდევ შენიშვნა.

ესეც უნდა იყოს, რომ როგორც პოლშა გამოხსნილი იქმნას, ისე ეს ქვეყანა ყაზახების მდინარეს დონის პირამდისინ და ეს ქვეყანა ერთ სამეფოთ უნდა დაადგინოს. მაზედაც ბევრი ლაპარაკი უნდა, მაგრამ იმის გავრცელებას მოვერიდენით.

პირველი.

როდისაც მეფე გიორგი გარდაიცვალა და ხანი რომ გამოვიდა, მაშინ ცხადად დაინახეს ქართულებმა სრულიად მოტყუებული იყვნენ რუსეთისაგან, რადგან თავისითვის იმკვიდრებდნენ საქართულოს. რაღა უნდა ექნათ ქართველებსა მაშინვე შეითქუნენ. მეფის გიორგის პირველი ძე დავით ბატონიშვილი უნდა ხელდახელ გამოეყვანათ ქართულებს, მეფეთ დაესოთ და რუსებისთვის გამოეცხადებინათ საქართველოდგან გასულიყვნენ, მაგრამ ყოველი ეს შეთქმა ღენერალს ლაზარევს შეეტყო მპიონებით, მაშინვე ივანე სარდალი (ორბელიანი), სხუა ზოგიერთ დიდრონი კაცები და ებარებინა და დიახ საიდუმლოთ დაეფიცებინა რომ არავისთვის არ ეთქოთ. –

– რაც თქუენ განძრახუა გქონიათ, რუსები აქედგან დაითხოვოთ და ჩუენს ქუეყანაში წავიდეთ, ყოველი თქუენი ესე ამბავი წვრილად ვიცი და დამალული არაარის ჩუენთან.

ივანე სარდალს ეთქო.

– ვინ მოგახსენათ თქუენ ეგ ამბავი? –

– დავით ბატონიშვილი მოვიდა და იმან მითხრა ყველა. ღ. ლაზარევს უპასუხია.

მასუკან აელო პირი და სულ წვრილათ ეანბო იმათი შეთქმის ამბავი და ბოლოს ეთქო.

– რასაკვირველია სულ გენიშნათ თქუენი ამბავი და ამასაც გეტყუით: ეხლა რომ წახვიდეთ და ეს ჩუენი ლაპარაკი დავით ბატონიშვილს უანბოთ, ასეთი ერთგულია რუსეთისა, რომ ამაღამვე მოვა და ყველას მიანბობს თქუენს ლაპარაკსა. ამის შემდგომ ყველანი დაეთხოვა და სულ ერთიან ივანე სარდლისას მოსულიყვნენ; დავით ბატონიშვილზე მეტათ გაჯავრებულები, რომელთაცა დავით ბატონიშვილზედ ხელი აიღეს და ალარ მიეკარნენ. დავით ბატონიშვილს თურმე უკვირდა იმათი მიუკარებლობა, მაგრამ ვერა

შეუტყორდა და ან ვინ რაღას ეტყოდა.

ნრფელის და მართალის ადამიანისათვის რა საშინელებაა, რო-
დისაც ყოველი იმისი საქმე, ძლიერის ეშმაკის ხელში ჩავარდება?

მეორე.

ახლა გიორგის მეფის ცოლის შეთქმის ამბავი, რომელმაცა გა-
ნიზრახა თავის სიძის თავად ასლან¹ ორბელიანით და თავიანთის
დამოკიდებულებით გაიქცნენ და ხევსურეთში შევიდნენ, საიდგა-
ნაც იმოქმედონ რუსების გარეკისათვის საქართულოდგან, მა-
გრამ ეს ანბავი და ეს საქმე, შეეტყო კნიაზ ციციანოვს² მაშინდელს
საქართველოს მთავარმართებელს, რომელსაცა მაშინვე დაეპყ-
რობინებინა და პატიმარ ეყო. ამის დაწვრილებით ამბავში აღარ
შევალთ, ამისთვის რომ ეს ანბავი განთქმულია ყველგან, ან ღენ-
ერალი ლაზარევი როგორ გაგმირეს ხანჯლით, ან დედოფალმა
მარიამმა როგორ დიდსულოვნად იკისრა იმისი სიკვდილი და ან
როგორის ტანჯვით წაიყვანეს ეს დედოფალი რუსეთში; ყოველი
ცხადია ესე, ამისთვის საჭიროდ აღარა ვრაცხთ დაწვრილებით მო-
ვიხსენოთ აქა.

მესამე.

ეს გარემოება რომ ნახა კნიაზ ციციანოვმა, ახლა დარეჯან
დედოფლისა შეეშინდა, რომელმაცა ყოველი გარემზომლობა
მოიხმარა იმის გაგზავნაზე პეტერბურლში. ესე დიდის შეფიცებით:
როდისაც ხელმწიფესთან მიხუალთ, დაგარნებუნებთ, იქ ხელმწიფე
დიდის დღესასწაულით თქვენს შვილს იულონს მეფეთ აკურთხ-
ებს მეფის ირაკლის ანდერძისამებრ, თავის ხელით გვირგვინს
დაადგამს საქართულოს მეფობისას და მასუკან დიდის დიდებით
გამოგისტუმრებსთ საქართულომში. ეს თქვენს ოჯახს უფრო მტ-
კიცეთ დაუმკვიდრდება მეფობა, თორემ თუ ეს ასე არ მოხდა, სხუა
მეტი ღონე არარისო. და კიდევ სხუა ამგუარებით დაერწმუნებინათ
დედოფალი დარია.

რა უნდა ექნა საწყალს დედოფალსა ამ შეფიცების და იმთენი
დარწმუნების შემდგომ? – ჭეშმარიტი მართალი ქრისტიანე ეგონა
რუსები, რომელიცა დამორჩილდა და იმათაც მითამ პატივისცე-
მისათვის რეგულის რუსის ჯარის შემოხვევით გაისტუმრა, დიახ
გაფრთხილებით. როდესაც კაიშაურში ავიდნენ და იქ ჩამოხტენენ
დასადგომათ, იმ პირველ დამეს, ერთი ხელჯოხიანი მოხუცებული

¹ ამას მარიამ დედოფლის დაი ჰყვანდა ცოლათ.

² შპიონის აზნაურის იოსებ კალატოზისშვილის პირით.

კაცი მოვიდა და დიახ საიდუმლოთ მოახსენა დედოფალსა.

– მთელი მთიულეთი დიდი ხანია მზადებაში ვართ; ეხლა სულ შეყრილი გახლავართ აქ მოახლოვოდ; თუ თქუენ ნებას მოგვცემ, გათენებისას დავესხმით, ამ რუსის ჯარს გავწყვეტთ; თქუენ ერთიან მთაში შეგიყვანთ და მასუკან რაც მოხდეს, ის ღვთის ნება იყოს დედოფალო.

მინამ დედოფალი პასუხს მისცემდა რასმე, იმისმა ახალ გათხოვილმა ქალმა თეკლამ, მოახსენა გულმოდგინედ.

– ჩემო ხელმწიფე, ჩემო დედავ დედოფალო, მაინც მე მამაჩემს მეფეს ირაკლისთან გახლავარ დასწრობილი ბევრს სროლაში; თვით თქუენც იციო ესა რომლისაგანაცა ნება მქონდა კაცურათ ჩაცმული ვყოფილიყავ და იმათთან მევლო, მინამ სრულს წელიწადში მოვიდოდი ხნითა. ახლა თუ თქუენი ნება იქნება, კიდევ კაცურათ ჩავიცვამ, თოფს იარაღს შემოვირტყამ; ამ ჩემს ქმარსაც თან წავიყვან და ამ მოხუცებულს კაცსა ქვევითი თან გავყვებით ეხლავ, მე და თქუენი სიძე, ეს ჩემი ქმარი. დანარჩენი ღმერთმა განაგოს, ჩემო ხელმწიფე ჩემო დედავ! ეს აზრი იმის ქმარსაც დაემტკიცა, მარამ დედოფალს სულ სხუა ეთქუა.

– რასაც ანბობთ, შენ და შენი ქმარი ეგ დიახ მძიმე საქმეა; ჩემი რუსეთისკენ გამოგზავნა რომ განეზრახათ ციციანოვს, ჩემთან მოვიდა და რუსეთში გამგზავრება მითხრა ჩემი და ამასთან დამარწმუნა დიდის ფიციოთ, როგორც ქართველმა: პეტერბურლში რომ მიხვალთ, თვით ალექსანდრე ხელმწიფე დაგიმტკიცებსთ მეფობასა თქუენს ოჯახსა დიდის დღესასწაულითაო. თუ ის ციციანოვი რუსი ყოფილიყო, არ დაუჯერებდი, მაგრამ როგორც მართალი ქართველი ისე მელაპარაკებოდა და ისეც დამარწმუნა, მაშინ რახან ასეა, ისევ იქ პეტერბურლში მივალ და იმან დაუმტკიცოს მეფობა ჩუენს სახლს; ეს ასე სჯობიაო. მინამ ქრისტიანების სისხლი დაიკცეოდესო. ასე სჯობია ჩემო თეკლავ და ჩემო სიძე ვახტანგ(ესეც ორბელიანი).

ამასთან დედოფალსა, ისეთი ქართველები მისდევდნენ თანა, რომელნიცა დიდის დარწმუნებით არწმუნებდნენ, აუცილებელს იმათ სახლის მეფობაზე პეტერბურლში, მაგრამ როდესაც მივიდნენ, ამაშიაც მოტყუებული დარჩა დედოფალი, სადაც უბედურად ხადდა თავსა, სადაც მწარეს ცრემლით გაატარა თავისი უკანასკნელი დროები და ბოლოს უიმედოდ დარჩომილი, მწუხარებით მოკვდა საწყალობელი, ლარიბების და დავრდომილების მანუგეშებელი.

ერთს დღეს თურმე დააქუთ ყაზაფებით ლამაზი ჩიტები პეტერბურლში გასასყიდად და დარეჯან დედოფლის სახლების წინ გაატარეს, ამ დროს დედოფალს დაენახა, საჩქაროთ ამოეყვანები-

ნა და რაც ფასი ეთქუათ, მიეცა. ისინი რომ წამოსულიყვნენ, მოახლესთვის ებძანებინა, ფანჯრის გაღება და სულ ერთიან იმ ჩიტების გაშვება ყაფაზიდგან. ის ჩიტები რომ გაფრენილიყვნენ, აქ დედოფალს ეთქუა ცრემლით.

– წადით საწყალო ჩიტებო თქუენს მამულში, თქუენ მაინც განთავისუფლდით უბედურის ქართველების მაგირათ რუსეთისაგან.

ესა სთქუა და საცოდავი ცრემლი გადმოუშო თურმე საწყალო-ბელმა.

ახლა ჩუენ ვიკითხამთ: იმ ლთიურის დედაკაცის ცრემლი ესე, უნდა ღალადებდეს ღმერთან ანუ ძლიერის მართლმსაჯულების წინაშე, თუ როგორ? – ჩუენ პირზე ხელს დავითარებთ და ახლა თქუენ იცით დიდო მსაჯულებავ?

ამისთანა სვინიდისი იქნება რუსეთის მთავრობისაგან? – თავიანთი ყოველ ცბიერული მოქმედება და დაუნდობლობა რომ უნდა დაეფარა რუსეთის მთავრობას, რაც საქართველოში ქნეს მაშინ; სულ ის უმზგავსო საქმე, სულ ის უწესობა და ის იმთენი ერთმანეთის წინააღმდეგი, მეფის სასახლისა, თუ თავადებისა, სულ ერთიან დარეჯან დედოფალსა სდებენ ბრალსა, მითამ გიორგი მეფის საწინააღმდეგოდ თავის შვილების გულისათვის მოახდინა ეს ამთენი უწესო საქმეებით, ის მთავრობა რუსეთისა, ის დაუნდობელი და ის გარეშე ქუეყნების დამთქმელი უსამართლიდ. არამცთუ სიტყვით ჰემობდნენ დარეჯან დედოფალსა, არამედ ქაღალდზე დაწერითაც ახსენებდნენ უმზგავსოდ, თუმცა დაწერით საიდუმლოდ, რომლებმაცა მაშინ ბევრი აღავლავეს რუსებმა დარეჯან დედოფალზე, თორემ მტრებისა ხომ, რაღა მოგახსენოთ, ასეთი სიტყვით, რომ არცერთი არ დაიწერება აქა. ერთი სიტყვით, რაც უშვერს დედაკაცს შეეფერება, სულ ისეები ათებევინება.

აბა ვინ უნდა გაამტყუნოს რუსების დიდი მთავრობა? – ძალა იმათშია და ძლიერება! მაგრამ ზევით ხომ წაიკითხეთ, დარეჯან დედოფალი როგორი დედაკაცი ყოფილა ანუ რა გულისა? – ის ზევითი დიახ ცოტაა, იმისი კარგი დედაკაცობა. როდისაც სრულად დაიწერება იმისი ანბავი, მაშინ უფრო კარგი და ქეშმარიტება იქნება. რისთვის მოგვყავს ეს ავდენი ლაპარაკი დარეჯან დედოფალზე? აი ეხლა მოგახსენებთ, თავის თავის გამართლებისათვის და თავიანთ საქმის დაფარვისათვის ყოველს საქართველოს უმზგასოებას და ერთმანეთის წინააღმდეგობას, სულ დარეჯან დედოფალს აბრალებენ დღესაც რუსეთის მთავრობა, ამისთვის რომ მეფეს ირაკლის ხომ ვერ დასდებენ ბრალსა საქართულოს უწესობაზე, რადგან იმისი ყოველი საქმე განთქმული იყო ყველგან, ამისთვის დარეჯან დედოფალი იმისათვის მოიგონეს და ამიტომ დასდეს

ბრალი იმას, რომ თავიანთი დაპფარონ და დარეჯან დედოფალზე აყაყანონ ხალხი, რომელიც კიდეც ეწივნენ ამ საწადელს და დღე-ვანდლამდისაც ასე არწმუნებენ ყველას.

ორო, რუსეთის მთავრობა! ღმერთმა დაგიფაროთ ყველანი, იმის შურის ძიებისაგან. დარეჯან დედოფალი, თუ მართლა შურის მძიე-ბელი და ცბიერი დედაკაცი ყოფილიყო, არც ათქმევინებდა იმაზე, ეცოდინებოდა კიდეც, როგორ მოქცეულიყო, მაგრამ საწყალი და კეთილი დედაკაცი რომ იყო, მაგრამ სიკეთილის მეტი რომ იმას არა სჭირდა რა, იმისათვის ააღავლავეს ხალხი ძლიერათ და ააყბე-დეს იმაზედ, ყოვლის უმზგავსობითა და საძაგლობითა, ვინაიდგან იცოდნენ რომ ვერას შეიძლებდა, ის წრფელი და კეთილი დედაკა-ცი. აი ეს არის რუსეთის მთავრობა.

მეოთხე.

იმერეთში გადაცვივნული მეფის ირაკლის ძენი, იულონ ბა-ტოიშვილი, ამის ძმა ფარნავაზ და ამათი დამოკიდებული, რო-მელთანაც მინერმონერა ჰქონდათ, ქ. ტყილისიდგან მეფის ირაკ-ლის ქალს, თა ივანე ბაგრატიონ-მუხრანბატონის მეუღლეს ქეთევანს (მაშინ ქვრივსა) და ამის ძეს თეომურაზს. ქართლიდგა-ნაც ბევრსა და კახეთიდგანაც ბევრს. ეს ბატოიშვილები ნამოვიდ-ნენ იმერეთიდგან, იმ განძრაცხვით, რომ როდისაც საქართველოში გადმოვიდოდნენ, აუცილებელი აღრეულობა უნდა მომხდარიყო, მაგრამ ეს ანბავი, რუსებმა იცოდნენ თურმე. იმერეთის და საქა-რთველოს სამძღვარზე დაახვედრა რუსის ჯარები. მოტყუებული რუსებისგან დავით ბატოიშვილი თავის კაცებითა იმათში ერთად დახუდა. იულონ ბატოიშვილი დაიჭირეს და ფარნავაზ იმათის ხე-ლიდგან გაქცეული, მთიულეთში შევიდა, სადაც აღრეულობა მოხ-და, მაგრამ უნდოდა, რომ უფრო დიდი აღრეულობა მოეხდინა, ამისათვის კახეთში გადმოვიდა და იქაც რომ უნდოდათ არეულობა დაეწყოთ, ამ დროს რუსის ჯარი დაესხათ, ფარხავაზ ბატოიშვილი გაქცეული, ბოლოს დაიჭირეს, მაგრამ რაერთიც იმ დროს, ქართ-ველები იქ იყვნენ, ხელი გამოილეს და სროლა აუტეხეს რუსებს, რა უნდა ექნათ მცირე ქართველებსა, ზოგი დახოცეს და ზოგი დაი-ჭირეს. იმ დაჭერილებთა შორის, ერთი თოთხმეტის წლის დაჭრილი ყმაწვილი კაცი დაიჭირეს თა აღექსანდრე ჭავჭავაძე, რომელმაცა ამის მამამ თა გარსევან ჭავჭავაძემ მისცა საქართველო რუსებს მეფის ირაკლის პირველმა სანდო საყვარელმა კაცმა, რომელიცა იყო რუსეთის აგენტი საქართველოს მიტაცებისათვის.¹ მამამ მშო-

¹ ამის ამბავს და სხუებისაც, თუ ოდესმე დროს ვიპოვი, წვრილად აღვწერ.

ბელი ქუეყანა მისცა უცხო თესლსა და თოთხმეტის წლის შვილმა კი სისხლი დაღვარა მამულის მოპოებისათვის, რომელსაცა თავი გადაპარსეს რუსებმა, ვითარცა მამულის მოღალატეს და ციხეში დააპყრობილეს, ვითარცა მამულის ავაზაკი, საიდგანაც რუსეთში გაისტუმრეს დიახ მკაცრად, სადაც მამის გულისათვის, პოდლობისათვის შვილი კარგს სასწავლებელში მიიღეს პეტერბურლში და დიახ კარგათაც აღიზარდა. ბოლოს გენერელიც შეიქნა, მაგრამ ეს გენერალი, შემდგომ კიდევ საქართველოს შეთქმაში გაერია რუსების გარეკისათვის საქართველოდგან და მეორეთ ამისთვისაც აჩუენეს ვრცელი რუსეთი. ეს ამბავი მასუკან ითქმის, როგორ და ვითარ იყო? –

ცნობის მოყვარულს ადამიანს გვინდა შევიტყოთ ბატონშვილს ქეთევანს და ამის ძეს თეიმურაზს, რაღა მოუვიდათ? – ბოლო დროს ამათი საქმეც სულ შეეტყოთ რუსებს. ჯერ დაიჭირეს ორივ, და მასუკან ესენიც გაისტუმრეს რუსეთისაკენ.

მეხუთე.

არც ერთსა დღესა არ დასცხერებოდნენ ქართულელნი რუსებისაგან განთავისუფლებასა, რადგან ძუელადგანვე ეს მცირე ხალხნი ქართული გაუტეხელი ხასიათისაზე ყოფილან, რაც უნდა შეინროებში ყოფილიყვნენ მტრისაგან, ამისთვის იმათი შვილნიც იმ მამების მიმზგავსებულნი უნდა ყოფილიყვნენ უთუოთ, თორემ დიდი სირცხვილი იქნებოდა იმათვის.

მეფის გიორგის სიცოცხლის დროსვე გაქცეული მეფის ირაკლის ძე ალექსანდრე ბატონიშვილი, თავისი ძმის გიორგი მეფის შემომწყრალი: რად აძლევ საქართველოს რუსებსაო, ლეკებში გავიდა ბევრის ქართველებით, საიდგანაც ომარხან მოიყვანეს ოცი ათასის ლეკით და ნიახურაზედ შემოებნენ რუსეთის ჯარს, მაგრამ დაამარცხეს. რომლისაცა ამისი ამბავი ქვევით ითქმის. ბოლოს ბატონიშვილი ალექსანდრე სპარსეთში ჩავიდა, სადაც დიდის პატივისცემით ჰყვანდათ მიღებული სპარსეთის ხელმწიფეს, რომელთანაც მიწერ მოწერა ჰქინდათ ქართველებსა დიახ ხშირი და კიდეც სთხოვდენ შემოსვლასა საქართველოში, მაგრამ ჯერ მოიმედე სპარსელებისა: ესენი წაართმევენ საქართულოს რუსებსაო და ჩუენს სახლს აღადგენენ საქართველოში ისევაო.

ამის მოიმედე ბატონიშვილი ალექსანდრე აღარ წამოვიდა და დარჩა სპარსეთში სპარსელების მოიმედე. თუმცა სპარსელები რავდენჯერმე ამხედრდნენ რუსებზე და ჯარებით წამოვიდნენ, საქართულოს გამოსახსნელად, ალექსანდრე ბატონიშვილის გასამეფებლად, მაგრამ ადამიანი რომ უბედური იქნება, იმას არა

წარემართება რა საქმე. ყოველთვის ამარცხებდნენ რუსები და ბატონიშვილი ალექსანდრეც, დამარცხებულს სპარსელებთან მიიქცეოდა სპარსეთში, დალონებულ-შენუხებული.

იმედგადაწყვეტილმა ბატონიშვილმა ალექსანდრემ, რომ სპარსელები ვეღარას უშველიდნენ, მოსწერა ქართველებსა: სპარსელებმა ვეღარა გვიშველესრა და ახლა ღვთის მადლობით მოთმინებით იყავით ყველანიო, მოხდა შეცოტომილება. თუ ბატონიშვილს ადრითვე მოენერა, სპარსელები მოდიან და კარგი დრო გვეწებაო, მაშინ ქართველებიც მიუდგებოდენ და აუცილებელი იქნებოდა, რომ რუსებს საქართველოდან გარეკადნენ, ამისთვის რომ თვით რუსები არ იყვნენ აგრე რიგათ კარგათ დამკვიდრებული საქართველოში და ესეც, ევროპის ბრძოლაში იყო გართული შეგნითი რუსეთის ჯარები. საქართველოსთვის ვიღა მოიცლიდა მაშინ? რა გაეწყობა, მოხთა შეცოტომილება. ბატონიშვილს ალექსანდრეს ასეთი იმედი ჰქონდა სპარსელებზე, რომ რა დროსაც სპარსეთის ჯარი რუსებზე მივიდოდნენ, უთუოდ გარეკადნენ კიდეც, მაგრამ ეს კი აღარ იცოდა, ევროპის განყობილსა ჯარსა მოკრეფილი სპარსეთის ჯარი ვერას უზამდა... რომელთაცა ქართულებმა ახლა სწორეთ დაინახეს, რომ სპარსელები სულ არა იყვნენრა, ამისთვის ეს ცოტა ქართულები, თვით შეუდგნენ და თვით განიძრახეს არეულობა, მაგრამ დროს ექვებდნენ, როგორ მოეხდინათ და ან საიდგან? – ბოლო დროს იპოვეს დრო: 1812-სა წელსა, პირველი ნაპალიონი, რომ აღიძრა რუსეთზე, აქ ქართველები წამოდგნენ, მაგრამ სამჯობინაროდ რომელი ადგილი უნდა ყოფილიყო რომ იქიდგან დაეწყოთ? – ამოარჩიეს თიანეთი.

ეს თიანეთი, ასეთი ადგილია, მართლათ შესაფერი, ერთპირობის აღრეულობისათვის შავი ზღვიდგან მოკიდებული კასპიის ზღვამდისინ, რომელსაცა მარჯვნივ მომხრეთა აქუს მთელი მარჯვენა მხარე კავკაზია, და მთელი ქართლი იმერეთით, მარცხენა მარჯვეს მთელი დალისტნის კავკაზია და მთელი კახეთი მთელი სახანოებით; თვითონ მიმჯდარი კავკაზიის ძირში, რომელსაცა აქეთ იქით მომხრეთა ჰყავს, მარჯვნივ კავკაზიის მთიულეთი ოსეთითა და მარცხენივ კავკასის ხევსურ თუშეთი, რომელიცა ეს თიანეთი გადმოჰყურებს ქ. ტფილისს ვითა ზევიდგანა, სიშორით ერთი დღის სავალზე და სომხითს არარატსაც ხელსავითა აწვდის პირისპირა. -ესენი სულ შენი ძმები ვართ, მოდი, შენ გვაკლიხარ ჩუენო ძმაო, მოდი და გავერთდეთ.

ქართველებისაგან ამორჩეული ეს ადგილი, მართლად დიდი პლანი არის, ამისთვის რომ აქ რაც მოვიხსენეთ ეს ქუეყნები; მაშინდელი იმ ქართველების განძრახუით, სულ ერთიან ამ ქუეყნებ-

ში აღრეულობა უნდა მომხდარიყო და ერთის აზრით ემოქმედათ, მარამ ამაშიაც არ მოემართათ ხელი: ადგილი პლანი საკურველი იყო და ევროპიული ცოდნა კი აღარ იცოდნენ, როგორ მოქცეული-ყვნენ, ნამეტნავად ცბიერის და ევროპიულის საქმეების მცოდნეთ, რუსების საწინააღმდეგოთ? – აი ასე დაიწყეს.

მთელი თიანეთი აპრიალდა; ეს აპრიალებული ხალხი კახეთში გადავიდა და მთელი კახეთი ამათთან აპრიალდნენ, მაგრამ სხუა კი ვედარა მოაგვარეს რა, ასე ეგონათ: უპირობოთ სულერთიან ეს ქვეყნები ჩუენ მოგვიდგებიანო, მაგრამ მღვიძარე რუსებმა, ყოველი გზები შეუკრეს და ყოველი გარემზომლობა მოიხმარეს, რომ კახეთის აღრეულობა ვეღარსად გავიდა. დარჩა კახეთი მარტო, რომელთაცა ბატონიშვილი ალექსანდრე მოიყვანეს სპარსეთიდგან და ერთი წელინადი მეტი ებრძოლნენ რუსეთის მხედრობასა, რაც შეეძლოთ თავ გადადებით, მაგრამ ბოლო დროს იძლივნენ რუსები-საგან, ისევ ქართველების შემწეობით, იმათგან, რომელთაცა დიდი ხმა ჰქონდათ საქართველოში და რომელნიცა იმათი ცოლშვილები, თითქმის ტყვესავით შეინახეს რუსებმა, სხუაგან თუ ქ. ტფილისში, მოლერებულ შტიკსა ქვეშე შეშინებულები.

საწყალი კახეთი, დასწვეს დასდაგეს რუსებმა და აოხრეს, რომელნიცა ბევრი დედაკაცი, წვრილი ყმანვილები შტიკებზედ ააგეს და განძლიერებულს სახლის ცეცხლში ყარეს ცოცხლები ანთებულს ალში უწყალოებმა, საიდგანაც ბევრი კახეთის თავადიშვილები გაგზავნეს ციმბირში, ზოგი სპარსეთში გაიქცნენ, ზოგი ბატონიშვილს ალექსანდრეს გადაჰყვნენ კავკაზიის დალისტანში, ზოგი რუსებმა გახათავისუფლეს და შათ შორის ეგრეთვე ორი ქალი, კარგი კაცის ცოლები; მხნედ იდგნენ თავიანთის ქართულების სიმართლისათვის. ესენი იყვნენ ორნივ დანი, თა აობელიანის ქალები, უფროსს ერქუა ეკატირინე (თა ჩოლაყაშვილის ცოლი) და მეორეს გუქა (აზნურის ცოლი ნათალიშვილისა), რომელიცა ამითი დასრულდა ეს მეხუთე ანბავი.

მეექვსე.

რაც რუსები მოვიდნენ საქართულოში, იქადგან 1812-ს წლამდისინ, ექვსი შეთქმა გაუკეთეს რუსებს საწინააღმდეგოდ იმათი სიძულვილისათვის [და] გარეკისათვის საქართველოდგან. ვგონებთ თოთხმეტი წელინადი არ გამოვიდა შუაში, ეს ექვსი შეთქმა მოახდინეს ქართველებმა, რომლითაცა ამითი სცნობთ, ქართულებსა რუსები ნდომებიათ თუ არა? – მაგრამ რა გაეწყობა იმათ ცბიერობას?

იქნება იფიქრონ: ამით გადაწყდაო? არა, ჩუენ ქართულნი იმისთანანი არა ვართ, რაც უნდა გარემზომლობა მოიხმარონ ჩუენ-

ზე რუსებმა, ამისთვის რომ ჩუენი მამაპაპების შვილიშვილები-სათვის, დიდი სირცხვილი იქნება ჩუენთვის. ვინ მოსთვლის, რა-ვდენჯერ ნავუხდენივართ საშინელს მტრებსა ან რავდენჯერ იმათ ხელში ეყოფილვართ, მაგრამ ღვთის შემწეობით, ყოვლის სა-შუალების მოხმარებით, რითაც შესძლებიათ ანუ რითაც კი მოუხ-ერხებიათ, კიდევ აღუდგენიათ ჩვენთა წინაპართა თავიანთი მამა-პაპის ნაანდერძები მამული და გვირგვინი დაუდგამთ კიდევ თავის მშობლის ქუეყნისათვის. არაბებს რავდენიმე საუკუნოები ეჭირათ ჩვენი ქუეყანა, მაგრამ ღვთის ძალით, როდესაც კი დრო მოვიდა, დედაკაციც აღარ დარჩა შინა. თავის მამულისათვის ერთმანეთს ნინ უსხრებდნენ, თავიანთის მამულისათვის სისხლი დაეღვრათ და მტრის ხელით დახოცილიყვნენ

დიდო ევროპიაგ! დაგვეხმარეთ და ჩუენ აქამდისინ ნუ მიგვიყ-ვანთ, რომ თავი გამოვიდოთ და რუსეთს ვადაუდგეთ, თორებ ჩუენ ვიქებით თუ ჩუენი შვილები თუ ჩუენი შვილიშვილები, ჩუენი ის უმანკო და ნმინდა სისხლი დაიქცევა სრულიად კაცისა და დედაკა-ცისა, დიდისა და პატარასი, რომ ქართველების თესლი ამოვარდეს სრულიად, რომ ღვთის მტრებსა რუსებს აღარ უყურონ ჩუენმა უბედურმა თესლმა და აღარც ჩუენი შვილები იყვნენ სადმე საქა-რთულოში. მაშინ თუ ჩუენთვის კარგი არა გინდათ რა, მართლმ-საჯულების მძიებელო ევროპიავ, ეს მაინცა ქენით, რომ ევროპია გამოიხსნათ რუსეთისაგან, რომ თავის დროზედ თავის ვეშაპი პირი არ დაავლოს რუსეთმა ევროპიას და სრულიად არ ჩანთქას თავის დიდ მუცელში.

ჩუენი მამაპაპების ძუელსა დროსა აღარ ვიტყვით, ქართველნი რა საკვირველნი კაცნი ყოფილან ანუ როგორ დაუცავთ თავიან-თი მამული და სარწმუნოება? ახლანდელსა რუსებისა დროსა ვი-ტყვით, ქართველებმა რას მდგომარეობაში ჩავდეს რუსები საქა-რთულოში?

ჰირველად რუსები რომ მოვიდნენ საქართველოში და საქა-რთველოს დაჭრა განიზრახეს სრულად, მაშინვე ქართველები შეუჩნდნენ კავკაზიის დაღესტნის ლეკებს, რომელთაცა თციათა-სი მეტი ლეკი მოიყვანეს ნიახურაზედ და რუსებს შემოაბრძოლეს (ზევით რომ ითქვა, ბატონიშვილი ალექსანდრე და ბევრი ქართ-ველები გავიდნენ, ეს ამბავი არის). მართალია, რუსებმა დაა-მარცხეს და თავის ქვეყანაშივე გავიდნენ ლეკები, მაგრამ ქართუ-ელებმა კარგად იცოდნენ, აქედგან რაც ნარმოდგებოდა. ამ ერთი საქმით ჩამოუვარდათ სისხლი და დაუწყეს დევნა ერთმანეთსა. ამ მიზეზისაგამ დაღისტანი აღარ დასცხრა და სამოცი წელინადი ებრძოლა გამძლავრებულს რუსეთსა, რომელთაცა ქართველები

ამხნევებდნენ ყოველთვის დაღისტნელებს და აძლიერებდნენ რაც შეეძლოთ სიტყვით რუსებზედ.

ნადირშას უთქუამს: ქართულებს დავეხსნათ, მტრად ნუ გადავიკიდებთ, თორებ დიდს ვნებას მოგვცემენო.

თუ ჩუენ ამთენს ვტყუით რასმე რუსეთზე, სულ ცრუდ დაგვდევთ და ცუდ, მაგრამ თუ მართალი ვიყვნეთ და ჩუენი საჩივარი მართალი იყოს, მართლმასავაულებასა გთხოვთ და ჭემმარიტებასა. თუ ჩუენის გულისათვის არ მოინდომებთ, იმ ღვთის გულისათვის მაინც მოინდომეთ, იმ საკვირველს ღმერთს გაფიცებთ, დიდო ევროპიავ, რომ ბოლო დროს მთელი ქვეყანა არ დანთქას რუსეთმა...

უკანასკნელს დროსა ბატონშვილი ალექსანდრე დალისტანში რომ გადავიდა, 1812-სა წელსა კახელების აღრეულობის შემდგომ, იყო 1813-ი წელი, რომელიცა ანწუხელებმა მიიღეს დიდის პატივისცემით, სადაც დარჩა, ექვსი წელიწადი მეტი. ამ ანწუხიდგან კახეთი დიახ ახლოს არის, საიდგანაც მიწერმონერა ჰქონდა კახელებთან და მთელს დალისტანში, მაგრამ რუსების შპიონები უკან სდევნიდნენ და იცოდნენ რაც ამბავში იყო, რომლებიცა ყოველს გარემზომლობას ხმარობდნენ და ყოველი იმისი განძრახვანი დახლართული ჰქონდათ რუსებს. თუმცა იმისი ყოველი საქმე ჩაშლილი ჰქონდათ, მაგრამ მაინც შიშას ქუეშე იყვნენ ალექსანდრე ბატონშვილისაგან რუსები: მთელი კავკასიის მთა არ აურიოს და მთელი საქართულო. ამის გამო რამდენჯერმე შეუჩინეს კაცები; უნდა მოენამლათ; ან მოეკლათ და ან როგორმე დაჭერილი მოეყვანათ რუსებთან, მაგრამ ყოველთვის ღმერთი განარიდებდა რუსების დაგებულის მახებისაგან და შეუტყობელი არ დარჩებოდა არც ერთი რუსების მომზადებული საფრთხე იმაზედ.¹

¹ ჯერ პირველად შეუჩინეს თვით ბატონშვილის ნაახლები კახელი ქიტესა, მაგრამ შეუტყეს იქ ბატონშვილის ნაახლებმა ქართველებმა, ის სანამლავი ნაართვეს და ბატონშვილს მიართვეს. ამაზედ იქ პირველი ლეკები აღლდნენ, ბატონშვილს ალექსანდრესაც აღარ გაუგონეს, ის ქიტესა მიიტაცეს, ორივ ხელი სანჯლებით დააუკრევეს, მარჯვენა, და ისე დასჯილი რუსების სიახლოვეს გაუშვეს ამ სიტყვით: წადი და რუსებს ასე უანდეო. რომელსაცა რუსებმა იმას პენსია განუწესეს ას მანათამდინ და იმითი ცხოვრებდა. მეორე თვით ბატონშვილის ნაახლებივე, მოქალაქე გოგია ბასტამაშვილი, იმან კი პირდაპირ სანამლავი მიუტანა ბატონშვილს: აი აშ სანამლავით გამამგზავნეს რომ მოგნამლო. გაჲევირდა ბატონშვილი ჰკითხა: გოგიავ (სომეხი) ახლა რა ვქნათ? – დაჭერილი უკაზვე გამისტუმრე და მასუკან მე ვიციო. აქ რომ მოვდა რუსებს უთხრა: შემიტყეს კინალამ მომქმლეს და რას ყოვით ჩუმათ გამოვიქცო. მაგრამ არ დაუჯერეს და თოვების რკინის (რუსულის) ზუმბებით სცემეს და მასუკან ციხეში კარგა ხანი ჰყვანდათ დაჭერილი. მესამეთ გაგზავნეს აზაური ზორაშვილი, იმანაც ისე მიიტანა

რაღა უნდა ექნა ბატოიშვილს ალექსანდრეს, იცოდა ასეთი ეშ-მაკები იყვნენ რუსები, რომ უთუოთ როგორმე მოაკვლევინებდნენ, ამისთვის ველარ დადგა იქა; კახეთის ბოლო გამოიარა, ბორჩალოში გავიდა, იქიდგანაც ოსმალოში და ოსმალოდგან სპარსეთში ჩავიდა, რომელთანაც იქაც ჰქონდათ, მიწერმონერა ქართულებსა და იმედსა არ იწყუეტდნენ საქართულოს აღდგენისათვის.¹

ამაში გავიდი ათი წელინადი მეტი, ბოლოს მოთმინებიდგან გამოვიდნენ ქართულები, ზედატანებით ნასწავლი ყმანვილი კაცებიც მოვიდნენ პეტერბურლიდგან და საერთოს შეთქმას შეუდგნენ ქართულები, 1830-სა წელსა. ეს შეთქმა ასე უნდა ყოფილიყო, რომ მთელი კავკაზია შავი ზღვიდგან მოკიდებული კასპიის ზღვამდისინ, სრულიად მთებისა და ბარის ხალხი, უნდა გავერთებულიყავით და ერთიანი აღრეულობა მოგუებდინა, რომელიცა ამ შეთქმაში-

სანამღვივი და ისიც ისე მოიცა როგორც გოგია ბასტამაშვილი, რომელიცა აქ რომ მოვიდა, ამასკა არა სცემს და ციხეში კი დაიჭირეს, კარგახანი; ეს ზაქარიაც ბატოიშვილის ალექსანდრეს ნაახლები იყო. და მეოთხეთ გაგზავნეს აზნაური ივანე ყორდანოვი (სომეხი). კაცი ცბიერი და ძალიანი ოსტატი. ესკი სწორეს განზრაბთ მივიდა, რომ უთუოთ მონამლოს, მაგრამ შეუტყეს რომელიცა კოშკში დაიჭირეს და ლეკები სიკვდილს უპირებდნენ, მაგრამ რადგან მეფის ირაკლის ნამსახურის კაცის შევილი იყო ივანე, (ოსეფა ყორდანაშვილისა) ამისთვის თვით ბატოიშვილმა ალექსანდრემ თავის კაცებს გამოაპარებინა და რუსების სამდვარზედ გამოიწვეს. ეს ამბები სულ ცხადი იყო აეგძისნ და დღესაც ასე ბევრმა იციან. აქ ხსენებულთ ამ ოთხავე კარგა ვიცხდით. ეს ამბები მოხდა ღერძრალის ერმალოვის დროსა, აქ მთავარანთებლად რომ იყო.

¹ 1827-სა წელსა სპარსეთის ომის დროსა, პასკევიჩი ქ. თავრიზში რომ ჩავიდა და იქ რუსეთისა ჯარით დაბინავდა, მაშინ თავის სვიტიდგან თავი გრიგოლ ბაგრა-ტიონ-მუხრანსკი გაგზავნა სალმასტში ბატოიშვილს ალექსანდრესთან ამ სიტყვით: ბატოიშვილი ალექსანდრე დედიშვინის ძმა, შენ უფრო დაგიჯერებს, ურჩივ, რომ აქ ჩემთან მოვიდეს, მე დღიდის პატივით მივიღებ, ეს იმას ასე დაარმმუნეო და სხუანი. ამიტომ გაგზავნა, რომ კიდევ ეშინოდათ იმისა და არც შესცდა პასკევიჩი, ამისთვის რომ დაღისტანში ყაზიმოლასთანა მიწერმონერა ჰქონდა ბატოიშვილს ალექსანდრეს და რუსებზე აღლებდა იმას. გრიგოლ რომ მივიდა ბიძასთანა, ბევრს ეცადა იმის ნამოყვანას, მაგრამ არ გამოჰყევა და ამ სიტყვით დაბრუნა: ჩემო დისნულო გრიგოლ, მე აქ მირჩევნა სიკვდილი ამ სპარსეთში, მინმ საქართველოს და ჩევინის ოჯახს დამღუპელს რუსებთან სიცოცხლეს, იმ ტყუილს ქრისტიანებთანაო და სხუანი. მოვიდა, პასკევიჩს ყველა მოახსენა, რომელმაცა თვით ამ გრიგოლს და თავის კიდევ სვიტას თავი ისახ იოსების ძეს ანდრონიკოვს, ბატოიშვილის ალექსანდრეს მავიერათ ქართული ნიგნი დაანერინა იმის ხელზედ, იმათ კარგად იცოდნენ ბატოიშვილის მიწერმონერა, მითამ პასკევიჩთან თხოვა შერიგებასა და მითამ პასკევიჩი უარსა სწერს სხუა წიგნში: არ შეიძლებათ. რა არის? - ბოლოს ისტორიაში გამოადგეთ ესა, რომელთაცა თვით გრიგოლმა მიანბო ეს ანბავი და შემდგომად იასესა ვკითხე, იმანაც ასე მიანბო. ამას რუსეთის მთავრობისაგან წუ გაიოცებთ, ყოველი რუსეთის მთავრობის მართველობის საქმეები, სულ ასე ფალშივობით არის და სიცრუით.

აც გარეულიყო, ზევით რომ ვთქვით, გენერალი თა ალექსანდრე ჭავჭავაძე. არა მარტო ეს გენერალი, არამედ სრულიად საქართულოს დიდი კაცნი და მცირენი და ბევრი სასულიერო წოდებანი, რომლებსაცა ხნიან დედაკაც და ყმანვილ ქალთა, ერთი აზრი ქონდათ ყველას ჩვენთან: ან უნდა გავწყვეტილიყავით სულ ერთიან, ან არადა მამული გამოგვეხსნა, საშინელის ჩუენის მტერის რუსეთისაგან. ბევრმა პატიოსანმა გვამმა დედაკაცებმა დაიფიცეს: კაცურათ ჩავიცომთ და ჩუენს უკანასკნელს სისხლს დავღვრითო, ჩუენის მამულის გამოსახსნელათო. ზოგიერთმა ყმანვილმა დედაკაცებმა, ბაირახებს კერვაც დაუწყეს და აღრეულობის ნიშნათ მოამზადეს, მაგრამ ამ წმინდას და პატიოსანის საქმიდგან, ერთი გამცემელი გავიდა და რუსებს აცნობა ყოველი ჩუნი საქმე და განძრახვა: ესე იგი თა იასე ფალავანდოვმა, რომელშიაც ბევრი კაცი და დედაკაცი გაეხნენ ამ საქმეში; იმათგანი ერთი პატივცემული გვამს საქართულოს მეფის ირაკლის მეორის ასული თეკლა, (ამის სახელი ზევით იყო, ამ დროს კი ქვრივი.) გაგზავნეს თავის ორის შვილით ქ. კალულაში და ამის მესამე უფროსი შვილი ქ. ორენბურლში. მეორე პატივცემული გვამი ბატიოშვილის იულონის ქალი თამარი გაგზავნეს რუსეთში და სხუანი პირველი მოთავენი, მითანტ მოფანტეს რუსეთშივე; გენერალი ჭავჭავაძეც იმათში.

იქმდისინ თსტატნი არიან რუსეთის მთავრობა, რომ იძულებულ ქმნილთა და შენუხებულებს, ყველას ათქმევინეს შემთქმელებს, სხუანიც მრავალნი აალაპარაკეს. რაც მოხდაო, ეს მამულის გამოხსნის შეთქმა არ არისო. სხუას მნიშვნელობას აძლევდნენ რალასაც და სხუას მიზეზებს. ეს რუსეთის მთავრობის საიდუმლო არის, რომელიცა სხუა არავინ არ უნდა იცოდეს, რაისათვისაც სდებდა სხუა მიზეზებს.

და ახლა მეშვიდე შეთქმა

ესეც ჩუენი მეშვიდე შეთქმა, იმ მეექვსის შეთქმის დამოკიდებული, რომელთაცა უმორჩილესაც მოგვიხსნებია ჩუენი ესე ანბავი. მაგრამ დიალ მცირედ და არასრულად, რომ თავის მოსაწყენი არ იყოს თქუენთვის. ჩუენი უბედურება ახლა დიდო მართლმსაჯულებავ თქუენ იცით და თქუენგნით მოველით სამართალსა სწორეს ჩუენის სამეფოს აღდგენისათვის. ახლა თქუენ იცით დიდო ევროპიავ და თქვენმა მართლმსაჯულებამ! თუ ჩუენთვის კარგი არა გინდათ რა ევროპიავ, თქუენს თავს მაინც გაუფთხილდით, ბოლო დროს პირი არ დააღოს ვეშაპსავით რუსეთმა და თავის დიდ მუცელში არ ჩანთქას მთელი ქუეყანა. ამისი გაფთხილება გმართებს,

დიდო უკროპიავ! ამის გამო ვითხოვთ შემწეობას ძლიერის
მართლმსაჯულებისაგან, ამგუარათ რომ ჩუენი ესე მოხსენება
დაფარვით საქმის მოქმედებაში იქონიოთ ალსადგენელად ჩუე-
ნის ჭეშმარიტებისა, ისე რომ ჩუენი ესე მოხსენება ვერა გაიგონრა
ჩუენმა დიდმა მტერმა, ვინადგან გაფთხილებით წამოვდგებით,
ჩვენს სურვილს მივეხწევით და გაუფთხილებლობით კი ყოველი
კარგი განძრახუა მოისპობა. თავდახრით თქვენ წინაშე, მიიღეთ ეს
და მოველით თქვენგნით სამართალსა.

უსახელოთ ვაწერთ.

ხუთი ცლის გატოიშვილი ირაკლი (შემძებ საქართველოს მაფე ირაკლი მეორე.)

წინასიტყვაობა

საქართველოს მეფე ირაკლი მეორე ღირსია ცალკე ისტორიისა,¹ ამიტომ რომ იმის დროს ასეთი საშინელება ეხვია საქართველოს ოთხსავ მხარეს და ეგრეთვე ასეთი საშინელება ტრიალებდა შინაგანს საქართველოში, რომ თუ მეფე ირაკლი არ მოსწრობიყო საქართველოს, უთუოთ ქართველნი გათათრდებოდნენ და საქართველოს სხვანი წარიტაცებდნენ, მაგრამ მეფე ირაკლიმ ორმოცთოთხმეტ წლამდისინ იმეფა და არა რომლის მტრისაგან თავი არ დაიჩაგრა. მე იმის ამბავები რაც გამეგონა, ცალ-ცალკის აღნერით დავწერე, მაგრამ რაც იმისი ამბავები მე დამიწერია, სწორეს და ნამდვილის გამოკვლევით არის დაწერილი. ამისგან ტყუილი განმორებული არის. ესე ჩემი აღნერილები არა თუ ისტორია არის, არამედ ისტორისათვის აღვწერე. ოდესმე მეისტორიემ რომ დაწეროს მეფის ირაკლის ისტორია, ჯერ ყოველი მეფის ირაკლის მეფიობის წერილები ყოვლის მხრიდან უნდა შემოკრიბოს და რომელიც ღირსი წერილები იყოს, მათგან და აქედგან შეადგინოს. ყველას ვარწმუნებ; თუ კარგი მეისტორი შექვდა ამ საგანსა, ყველანი გაჰკვირდებიან მეფეს ირაკლის მეორეს.

I

თურმე იმავ სიყრმითვე ეტყობოდა ჭკვა, ვაჟუაცობა და მაგარი ხასიათი. ჭკვა ამაზე ეტყობოდა, რომ შინაურობაში გაკვირვებული ყოვილიყვნენ ხუთი-ექვსი წლის ყმაწვილის და იმის პასუხის მიგებაზე და ქცევაზედ სრულს გაზდილს კაცსავით. ვაჟუაცობა ამაზე ეტყობოდა თურმე, რომ როდისაც ჯარი წავიდოდა სადმე და ან მდევარი გამოუდგებოდა, მცირე ყმაწვილი ტირილს დაიწყებდა, მეც წამიყვანეთო. აპა ვინ წაიყვანდა? მაგარი ხასიათიც ამაზე ეტყობოდა, რომ თავის პაბას მეფე ვახტანგს მოენდომებინა თავის ქალის, თამარის შვილების ნახვა, რომელიცა კახეთიდგან მოსული ავლაბარში ჩამომხტარიყო. მეფე ვახტანგის კაცებს წამოეყანათ და-ძმა; ანა ბატოიშვილი ექვსის წლისა და პატარა ირაკლი

¹ მეფის ირაკლის მდივნის სოლომონ მსაჯულისაგან არის დაწერილი მეფის ირაკლის ისტორია, მაგრამ ისტორიათ არ შეირაცხება და სწორის ისტორიისათვის კი კარგი რამ არის ამისთვის, რომ თითქმის ყველგან დასწრებია. მ.[ეფე] ი.[რაკლის] და რაც აღუწერია, სწორე არის.

ხუთის წლისა. ქალი ერთმა კაცმა აიყვანა ხელში და ვაჟი მეორემა. მცირედი რომ გამოევლოთ, ვისაც პატარა ირაკლი სჭეროდა ხელ-ში, მისთვისვე ეთქო, ირაკლისათვის. „ოჳ! რა დასათხრელი თვალე-ბი გაქვს.“ ასეთის მრისხანეს თვალებით შეეხედა პატარას ირაკ-ლის, რომ ვეება კაცსა, დიდად შერცხვენილს, ხმა ვეღარ ამოელო. მეტეხის შუა ხიდზე რომ მოსულიყვნენ, გულმძრძო ღვარძლიანს კაცსა ვეღარ მოეთმინა და კიდევ ეთქო ირაკლისათვის. „წყალში გადაგაგდო ამ ხიდიდგან?“ – უშიშრათ მიეგო პასუხი პატარა ირაკ-ლის. – „ძალლი იყო თუ არ გადამაგდო.“ შერცხვენილსა კაცსა გაე-ცინა, მაგრამ ხმა კი აღარ გასცა.

მეფე ვახტანგთან რომ შეეყვანათ და-ძმანი, მეფე ვახტანგს ხუმრობით ებძანებინა. „ეგ ჩემი ქალი ანა ჩემთან მოიყვანეთ და მაგ ჩემი მტრის შეილს ირაკლის კი ნუ მოიყვანო ჩემთან.“¹ – მართლა, შემდეგ თურმე რამდენს ხვეწნიყო მეფე ვახტანგ, მაგრამ აღარ მი-სულიყო და გულმტკივნეული წამოსულა შინა.

მისულიყო და წვრილათ უანბო თავის დედას. წყნარს, მშვიდო-ბიანს და კეთილს დედას დაემშვიდებინა საყვარელი შვილი პატარა ირაკლი კეთილის ჩაგონებით.²

ეს გამიგონია, რომ ვახტმის შემდეგ ზოგიერთს სოფელში რომ გამოვიდოდა ვინმე კარში, ბევრჯველ ლეკები დახვდებოდენ და ტყვეთ წაიყვანდნენ. აი ამისთანა დრო დახვდა საქართველო-ში მეფეს ირაკლის, მაგრამ როდისაც თავს მაესწრო, მაღვე მტერი წამკითხველს დაეთრგუნოს, ღმერთმა მალე ამოაკვეთინა ლეკებს ფეხი საქართველოდამ. თუმცა კიდევ ებრძოდნენ ხოლმე მარამ არა ასე კადნიერად არამედ უფრო დაფარვით.

როდისაც თხუთმეტი წლისა შეიქნა პატარა ირაკლი, ოთხსავ კუთხივ ტყვევნა ნახა საქართველოში ქართველებისა. გულმტ-კივნეულმა მამასა მოახსენა. „ან ჩემი თავი უნდა შევაკლა ქართ-ველების მტერს და ან გაოხრებისაგან საქართველო გამოვიხსნა.“ ამის შემდეგ ვეღარავინ ვეღარ დაიჭირა და დევნა დაუწყო ლეკებს. ასე გამიგონია მომსწრე კაცებისაგან, რომ სადაც ეხლა ხემცე-ბიდგან ან როყეზე, ავლაბრის მთის ძირში, იქიდგან ტყვე მიპყვან-დათ ლეკებს, არც კი დააღამებდნენ და შუადღისას იტაცებდნენ. ასე გათამამებული ყოფილან ლეკები საქართველოზე. აღარც დღე მოასვენა თავი და აღარც ღამე. ვერა საშინელი ავდარი გზას ვერ შაუკრევდა: საშინელს მლელვარე წყალს რომ მისდგომოდა, არა-

¹ თუმცა მეფის ვახტანგის ქალი თამარ ჰელლათ მეფეს თეიმურაზს, მაგრამ მაინც დაუძინებელი მტერი ყოფილან ერთმანეთისა.

² ეს ამბები თვით მეფის ირაკლისგან გაუგონია ბატონიშვილს დედაჩემს.–

ფრათ ჩააგდებდა, ჰკურამდა მათრახს ცხენსა და მკვირცხლად გავი-დოდა; ყინვა იმისათვის საგოგმანებელი იყო და სიცხე მოსასვენ-ებელი. საბნად როგორ ლეკური ნაბადი ჰქონდა, დოშაქად ცხენის ყაჯარი და ბალიშათ კარგი მაგარი სიპი ქვა. ბევრჯველ სამი-ოთხი დღე გავიდოდა, იმის პირი პურის ნაწილს ვერ ნახაშდა. სადღა ჰქონ-და რიგიანი ძილი, სადღა ნებიერობა, სადღა განცხრომა და სადღა სიხარული. ესენი სულ შრომათ გადაექცა. საკურველს ვაჟაცს ქართველებსაც ამისთანა მეფე უზიდოდათ; ოთხსავ მხარეს გარს ეხვეოდნენ და საყვარელს მეფეს ინახავდენ და იმისთვის სულს გასწირავდნენ. სადაც მტერსა შახვდებოდნენ არა თუ მხოლოდ დაამარცხებდენ, არამედ ჩაყლაპამდენ.¹ ასე შეეძრნუნა და შეემ-ინებინა ლეკები, რომ მარტო ირაკლის სახელის გაგონება იმათთ-ვის საშინელი იყო, გაგონებით თრთოდნენ და კადნიერათაც ველარ ჩაფაულობდენ საქართველოში, თუ არ დაფარვით. ქართველიც იმის სიცოცხლისათვის ღმერთს ევედრებოდნენ. განუშორებლად გარს ევლებოდნენ და საყვარლის ირაკლისათვის მარადის სულს გასწირვიდნენ მხიარულებით, მაგრამ ასე მოუსვენებლად მტრის დევნით რა სარგებელი იყო ძველის საქართულოსთვის? – რომელი გზა უნდა დაეჭირა ლეკებისთვის, საქართველოსთვის არ დაეკრათ, რომლებიცა იმათვის აუარებელი შემოსვალი გზები ჰქონ-დათ, რომ ქართველებისთვის ემზინათ? – ირაკლის ამბავს ნადირ-შასთან ნუდარას ვიტყვით, ინდოეთის ამბავს ნუდარას ვიტყვით იმისთვის, რომ ისტორიით ვიცით და იმით მიხვდებით, ირაკლის ნადირშასთან ყოფნა როგორ უყვარდა და ან როგორც სწყალობდა. ის ცხადია. ხოლო შემდეგნი დავიწყოთ, ირაკლი შეფერისათვის, იმას მოვყეთ.

სახელმწიფოს ანუ სამეფოს დასაცველათ მტრისაგან (სამი რამ არის), ხუთი უპირველესი საგანი არის. ესენი არიან: პირველი. სარ-ნმუნოების ქეშმარიტი მოსაობა ხალხისგან. ქართველებისათვის ქრისტიანობაზე ჩაგონება საჭიროდ აღარ მიაჩნდა მეფეს.

მეორე. სამოქალაქო შინაგანი რჯულის რიგი ანუ ნესი. მესამე. სამხედროს ჯარის დაწყობილობა და სამეფოს რიგიანს ადგილებში დაყენება. მეოთხე. საზღვრებზედ ანუ სადაც საჭირო იყოს, ციხეების გაკეთება და ციხეში ჯარის დაყენება. და მეხუთე. განათლები-

¹ ჩაყლაპა ნურავის ეგონება, რომ ქართველები ვისაც დაიჭირდნენ, მოესრათ და ან ტანჯვით ტყვე მოეკლათ; ქართველები ამ სიმდაბლეს თავის დღეში არ იკადრებ-დენ ხოლმე. გაცხარებულს ომში კი მტერს არ დაზოგავდნენ სასიკვდილოდ, მაგრამ ომის შემდეგ ვინც ტყვეთ დარჩებოდა, არაოდეს აღარ მოჰკლავდნენ და პატივსაც მიაპყრობდენ. ამით ჩაყლაპავდენ, რომ სწრაფათ და საჩქაროთ დაამარცხებდენ მტერსა.

სათვის სასწავლებლები და ენისათვის ლიტერატურა. აი სამეფოს მაგარი საფუძველი და იმისივე მცველი ესენი არიან, რომელიცა შემატებს სამეფოს ხაზინასა, ვაჭრობასა, კეთილმდგომარეობასა და სხვას მრავალს კეთილსა. მაგრამ კარგი ჭკვაც უნდა იყოს სამეფოში, რომ ხუთი ესე საგანი მოიხმაროს და ძრიელაც უნდა სტკიოდეს გული თავის მშობლის ქვეყნისათვის. ასე რომ, როდესაც ესაჭიროებოდეს, მხოლოდ ერთი საყვარელი შევილი რომ ჰყვანდეს, ისიც მსხვერპლად მიართოს (დაუკლას) მამულს სიხარულით. ამაებით გაძედნიერდება მშობლი ქვეყანა, მაგრამ კარგ ჭკვას კარგი ხელქვეითი აღმასრულებელი კაცნიც უნდა ჰყვანდეს, რომ მარტო ერთი ჭკვა ვერასა იქს, თუ იმას თანამემწენი არ ეყოლება, მარამ მათაც ისე უნდა უყვარდესთ თავისი მამული, როგორათაც პირველ კაცსა და ამათ ხალხი უნდა შეუდგნენ თავგანწირვით, რომლებითაცა მშობელი მამული აჰყვავდება მაშინ სიხარულითა და ხალხის დღესასწაულობა ყოვლის ბედნიერებით.

ზევით ხუთ საგანს თითეულად დიახ ადვილად განვმარტებდი როგორ და ან რაგვარად, მაგრამ მე იმისათვის არ ვლაპარაკობ და ვინც იცის, იმან მოინადინოს (შეიძლოს), იმან განმარტოს თითვეულად დაწვრილებით, მხოლოდ ჩემი ლაპარაკი მეფე ირაკლია და იმის ამბავსვე მოვყვები.

ზევითი ხუთი ესე საგნები მეფე ირაკლის მიენერება და ამისთვის ადრითვე ვთქვი, რომ უსწავლელმა კაცმა როგორ დაინახა მამულის ნაკლებულება და ან როგორი კეთილმდგომარეობა უნდოდა ივერიისათვის, იმას მოვყვეთ.

პირველი ნაკლებულება მეფის ირაკლისა ეს იყო, ევროპიურს გვარზე არ იყო განათლებული, თორემ აზიის ნაპალიონი მექქებოდა, მეორეც ესა, რომ კაცნი არა ჰყვანდა და თუ კაცნი ჰყოლიყო, მაინც მაღალ ხარისხზე აიყვანდა ივერიას.

და მეორე უბედურობა ეს იყო, ზოგიერთი თავადები ორგულნი იყვნენ ქართლის და სომხითისანი; ვისთვის? მეფის ვახტანგის გადაგდებისათვის. მეფე ირაკლის სურვილი იყო, ივერია ჭემბარიტ სახელმწიფოთ აეყვანა. ქართლის და სომხითის დიდი კაცები წყინობდნენ მეფის ვახტანგის გადაგდებას. რომელია მართალი? მეფე ირაკლი ამასა სწუხდა. „ძველი ივერია რა გასაყოფი ყოფილა, და უთუოთ, ისევ უნდა შეერთდესო.“ – ქართლის და სომხითისა თავადი ამაზედ იყვნენ ორგულნი მეფის ირაკლისა, რომ რავდენის ასი წლის მეფეების ჩამომავლობანი აღარ მეფობენ ქართლში და სომხითში და მეფის ვახტანგის ერთგულებაზედ დაფიცებულნი, რავდენის ასი წლის ქართლის მეფეებზედ იყვნენ დამყარებულნი

გულითადის სიყვარულით. ფიცი ვეღარ გაეტეხათ, ამ მიზეზით ორგულობდნენ მეფეს ირაკლის.

ამ ყველაფრისათვის ეს აღარ იცოდნენ, ივერია ჭეშმარიტ სახელმწიფოთ რომ აღწევნილიყო, რა იქნებოდა!.. აი, მეფის ირაკლის აზრი.

მაგრამ თავიანთ დიდება კი საჭიროთ არ მიაჩნდათ, რომ ივერია მაღალს ხარისხში აეყვანა და ან კარგ სახელმწიფოთ გაეკეთებინა!... ბოლოს შიშით იყო ანუ ალერსითა და ანუ წყალობითა; ქართლელები და სომხითელები გაიერთგულა მეფე ირაკლიმა, მაგრამ რამთენიმე წელიწადები მოუნდა იმათ გაერთებისათვის. როდესაც გაიერთა მეფე ირაკლიმა ქართლელები და სომხითელები, უეცრად ასპინძის ომის შემდეგ კიდევ გამოიცვალა საქართველოს მდგომიარობა. ახლა ვინც აწონა იცოდეს, იმათ გაშინჯონ. მეფე ირაკლი მართალია თუ ქართლის და ან სომხითის ზოგიერთი თავადები. მაშ ახლა ჩუენ ისევ მეფის ირაკლის ამბავს მოვყეთ, რაც განძრახვა ჰქონია ივერიისათვის, რომელიცა ცხადათ ვიცი და სხვათ ზოგიერთებს მეფე ირაკლი არაფერი ჰქონიათ.

ამდენს მწუხარებასთან საქართველოში ასეთი ჩუმი მტრობა შემოსულა, რომ ზოგიერთი თავადი აპარვინებდენ თავიანთ კაცებს და ახალციხეში ჩუმათ აყიდვინებდენ. თავადნი მიხაილ, მირმანოზ, და ელიზბარ¹ ერისთვისშვილები გაქცეულან ახალციხეს და ზაქარია ციციშვილთან წაუყვანით. იქიდებან ჯარები შეუყრიათ ლეკი და ოსმალო; მასუკან ჩუმათ თუმანიანთ სოფელს ხელთუბანს დასცემიან და წაუხდენიათ (გამიგონია. თუმანიშვილების მტრობითა ქნეს ერისთვიანთაო; თუნდა ეს ასე იყოს. და მიკვირს რაისათვისა ქნეს ამისთანა უმზგავსო საქმე და მამულის მუხანათობა – აქ გაშინჯეთ კარგი და ჭკვიანი პატრიოთნი?...). ერისთვიანები ამითი მართლულულობდენ თავსა, რომ თუმანიშვილების მტრობითა ვქენითო. კარგი. თუნდა ეს ასე იყო რა, მაშ ახალციხიდან დაფარვით ლეკებს რათ გზავნიდენ და ქართლიდგან ტყვებს რად ატაცებინებდენ? – კარგი. თუნდა ესეცა ვთქოთ, ტყუილი არისო. მაშ მეორეთ დიდი ჯარი რომ შეყარეს ლეკ-ოსმალოელებისა, წამოვიდნენ და ქართლის სოფლების მორბევას რომ აპირებდენ? ესეც ტყუილი არის? – მეფე ირაკლიმ თავის შვილი იულონ რომ გაგზავნა ჯარითა და ზედაველაზე რომ დაამარცხეს იგი ერისთვიანნი? – ესეც ტყუილი არის? –

¹ ეს ელიზბარ იყო იასეს შვილი.

სწორე უნდა ითქვას, ერისთვიანი ასე ტყუიან მეფეს ირაკლისთან, რომ მეტი აღარ იქნება, მაგრამ ამისი მიზეზნი იგინი არ არიან. ჯერ ქართლის მეფეების ერთგულობა ინკვედა ამას, მეორეთ ესა, რომ მეფის ირაკლის შვილები და შვილიშვილები ყოფილან მიზეზნი.

გარდა ამისა, სომხითის და ქართლის დიდრონ კაცებს მოუნდომებიათ, მეფე ირაკლი გადაეგდოთ. მეფეს იმათთი განძრახვა შეეტყოდა ასეთი შფოთი ჩამოეგდო იმათში (იმ დიდრონ კაცებში), ერთმანეთს ველარ ეკარებოდნენ და სისხლის თვალებით უყურებდნენ ერთმანეთსა. რამთენი ამისთანა ამბავი ყოფილა საქართულოში მაშინ და რა კეთილიღა დაემართებოდათ ქართულებსა. კიდევ ვიტყვი, რომ ყოველი ამისი მიზეზნი სულ მეფის ირაკლის შვილები და შვილიშვილები ყოფილან.

იმ გაეცეულთ ერისთვიანთ მიზეზით დიდი ეჭვი შევიდა აქ დარჩომილთ ერითვისშვილებზე და ამის გამო ქსნის ერისთავებისათვის თავისი საყმო ჩამოურთმევია მეფეს ირაკლის, ვითარცა მუხანათებისათვის, მაგრამ უფრო ბევრი შესმენით ყოფილა ერისთვიანთ ყმისა და მამულის ჩამორთმევა. კიდევ მეფის ირაკლის შვილები და შვილიშვილები ყოფილან მიზეზნი.

ეს ხომ შევიტყვეთ, რომ თავადებთაგანი მეფის ირაკლის დიდნი მტერნი რომ... უფრო ქსნის ერისთვიანნი და ყაფლანიანნი ყოფილან. თუმცა მეფეს იმათვანის ერთისათვის ქალი მიუცია, მაგრამ სხვები რითდა მოემადრიელებინა? თუმცა ცხადათ ვერ გამოუჩენიათ მეფის მტრობა, მარამ ჩუმათ რაც შესძლებიათ, ბევრი უმზნიათ (უმტრიათ) მეფისთვის.

მეცის ირაკლის სახერელი

ეს საწერელი მეფის ირაკლისა არის, დარეჯან დედოფალს ბატონიშვილის დედიჩემისათვის უბოძებია¹ და ბატონიშვილმა დედაჩემია მებობა 1845-ს 14-ს იანვარსა, რომელსაცა განდათა მაქვს შენახული. მაგრამ ნადირშას ერთი საწერელი უჩუქებია მეფის ირაკლისათვის და მისი საწერლის ჩუქების მიზეზი ამის ქვემოთ აღმინერია. ბატონიშვილმა დედაჩემია მიანძო.

ერთს საღამოჟამს მეფე ირაკლი ნადირშას დაუბარებია. ამ დროს რაღაც უწერია, წერა რომ გაუთავებია, მეფის ირაკლისათვის უკითხამს სინდეტის ამბავი, მაშინ როდესაც რომ სინდეტისკენ გალაშქრული ყოფილა. მეფეს ირაკლის ჭკვიანურ გვარზედ მოუხსენებია ყოველი, რომელსაცა დიდად მოსწონებია. მასუკან ნადირშას უთქმოს: – „ჩემო ვალი, მაშ უთუოთ გავიმარჯვებთ, საღაც მივდივართ?“

– უთუოთ ჩემო ხელმწიფევ!

– დაჭეშმარიტებით იცი, ჩემო ვალი, რომ უთუოთ გავიმარჯვებთ?

– ეჭვი არ არის ჩემო ხელმწიფევ! ამისთვის რომ დიდი ჭკვა თქვენა გაქვსთ! კარგი ძლიერი განწყობილი ჯარი თქვენა გყავთ! და უნამეტნავესად საკვირველი ბედიც თან გახლავსთ, რომელისაგანაცა მალე დასთრგუნამთ თქვენს მტერსა.

– ჭკვა და ჯარი მართალია, მაგრამ თუ ბედი განმშორდა, ჭკვა და ჯარი ბედს ვერდა დამიპრუნებს და მას უკან რაღა ვქნათ?

– არა შეინტირე, ის თქვენი ბედი მაგ თქვენს საწერელში იმყოფება და ამისათვის ვერ მოგზორდებათ თქვენა.

დიდათ თურმე იამა და ბევრი იცინა. მასუკან საწერელი აეღო, მეფის ირაკლისათვის ებოძებინა და სიამოვნით ეთქო – ჩემო ვალი, მაშ ეგ საწერელი შენთვის მიჩუქებია, მაგრამ ჩემს ბედს კარგათ გაუფთხილდი და ყოველთვის ჰყარაულობდე.

იმ საწერლის ამბავი ვკითხე ბატონიშვილს დედაჩემსა, მიბანა: „არ მინახამს და ეს ამბავი თვით მეფე ირაკლიმ ბძანა შინაურობაში თავის უკანასკნელს დროებში სხვადასხვის ლაპარაკსა შორისო.“

თ ~ ალექსანდრე ვახტანგის ძე ჭ. ორბელიანი.

¹ მეფის ირაკლის სიკვდილის შემდეგ.

მეცის ირაკლის პატარა ჯიბის პოხეა

მეფე ირაკლი მეორე ჯარიანობაში არის, გადამხტარი გაფოთ-ვლილს ხის ქვეშ ზის ნაბაზზე, აქეთ იქით ჩამწერიებით უსხედან თავისი გამოჩენილი კაცები, თავზედაც ადგანან მთიელი ოჯახის შვილები, ეგრეთვე ბარის კარგი ქართველები და სხუა და სხუას ამ-ბავს იტყვოლდიან. ესენი სულ იარაღით არიან.

ამ დროს მეფე ირაკლი კაბაზე დაიხედავს, ნახამს რომ წინ კალთა ცოტათ გარღვევია, აიხედავს და იტყვის.

— დღეს გამოჩინებული საქართველოს ვაჟეკაცები, სულ აქ ჩემ-თანა ხართ. აბა ვინ უფრო ვაჟეკაცია თქვენში?

ყველამ ერთმანეთს ყურება დაუწყეს, ვერავინ ვერა თქვა რა და გაჩუმებამ მოიცო ეს ყრილობა. ბოლოს ერთმა თუშმა მოახსენა.

— ჩვენო ხელმწიფევ ერეალე! რას გვიბძანებ, აქ ვინც გახლავს, სულ კარგი ვაჟეკაცია, ერთიერთმანეთზე უკეთესი. თუ შენ იქ ხარ, ვინ დაგვიდგეს ჩუენ წინ მტერი?

— მაშ მე თქვენ გჯობივარ ყველას. ერეკლემ თქუა. ამასთან ჯიბიდგან პატარა ლამაზი, ჯიბის შეკრული ბოხჩა ამოიღო ზონარ-მოხველი, რომელშიაც იყო: სხუა და სხვა ფერი ძაფი, შიგ გარჭო-ბილი ნემსები, პატარა მაკრატელი, პატარა კალმის საჭრელი დანა, ნუმნუმა, კერასი, ტალი, კვესი, აბედი, პატარა დასაწერი ქაღალდი, იაზან ფოზანი¹, კიდევ სხუა სულ ცოცოტა პატარები ილი, დარი-ჩინი, რევანდი, გვარჯილა, შაქრისყინული და სხუა, სულ ცოცოტა. ესენი სულ იმათ აჩვენა და უთხრა.

— ესენი უთუოთ ყოველს ჯარისკაცას უნდა ჰქონდეს, იცოდეს კიდეც მოხმარება, რა ვიცით როდის და როგორ დასჭირდება იმას, ამაში სულ არის რაც საჭიროა იმისათვის გარეობაში. მე ესენი გამოცდილებითა მაქვს და კიდეც დამჭირებია ბევრჯელ, მაშინ როდესაც რომ ორის სამის მოსამსახურითა ტყეში დავრჩომილვარ, ერთი დღე და ლამე, მინამ ჯარი მოკრეფილან კიდევ.

მასუკან ნემსზე ძაფი ააგო და ის თავისი გარღვეული კაბა კარ-გათ გამოკერა. ამის შემდგომ ყველამ გაიჩინეს, ისე განყობილი ჯიბის ბოხჩა ერეკლესი.

თავისი განდრე ვახ. ძე ჭ. ორბელიანი.

¹ იაზან ფოზანი, თათრული სიტყვა, ახლა: კარანდაში.

მაფის ირაკლის მეორის სიყვარული ქალისა პირველად

ეს ყმანვილი კაცი, მხნე გულოვანი, მტერთა მიმომზნეველი, სრული ნათელის გონიერი, მიიწვია ნადირშამ მაშინ ჩვიდმეტის წლისა, ვისთანაც დიდად, საკვირველად გამოიჩინა თავი ინდოეთში თავის ქართველებით.

ერთს საშინელს ბრძოლის ჟამსა, შუაგულს ოში შევიდნენ ქართველები თავიანთის სასურველის ირაკლითურთ, რომელთაცა ხმლებგასმულები შევიდნენ შუაგულს ოში, მიმოაბნიეს ინდოეთის რაზმები ვითა გავაზმა გუნდი ტრედისა. სჭვრეტდა ნადირშა შორიდგან და ხმა მაღლად იძახდა. – „აფერუნ გურჯი, აფერუნ, გურჯი!“ ქართველებისთანა ვაჟუაცნი არც მინახამს, არც გამიგონია. მას აქ დავანებოთ თავი. ამ დროს ერთ ბრძოლაში ვაჟუაცთ ქართველებმა ერთი ინდოელი მხედარი შეიძყრეს; რომელსაცა აძარცეს საჭურველი ძვირფასი, ამასთან მოკვლასა უპირებდნენ შუა ომში შესულნი გაფიცხებულები იმისგან. ამის მნახველმა მეფე ირაკლი¹ თითქმის ყმანვილმა ესე კაცმა ცხენი მიაგდო, იმათ ზედ, უბძანა: არ მოეკლათ თორემ ჩემს წყრომას მიიღებთო. ამ სიტყვას-თან იმათ ხმლები ჩააგეს ქარქასში. აძარცეული საჭურველი თვით თავისივე ხელით მიატანინა; მეფე ირაკლიმ გამოართო იმათ. მოუბრუნდა და ინდოელს მხედარს მისცა ამ სიტყვით.

– „ინდოელო მხედარო, აპა შენი საჭურველი; ნუ გეშინიან სანამდისინ ჩემთან ხარ, ვერავინ ვერ გაბედავს შენს სიკვდილს.“

გაკვირვებულმა ინდოელმა მხედარმა მდაბლა თაყვანისცა ყმანვილს. და მაშინვე თავის ჯარში გაეშურა. მჯდომარე ცხენზე მიარბენდა სწრაფსა გამქცევსა.

მასუკან თავის მხედართ მიუბრუნდა ირაკლი.

– „რას ემართლებოდით, რადა ჰკულამდით ამ შეპყრობილს მხედარს? როგორათაც მოღალატეს მამულისას? – ის იპრძოდა თავის მამულისათვის, თავის მამულის გამოსახსნელად, და ამისთვის უნდა მოგეკლათ ეს შეპყრობილი მხედარი? ეს ამგუარი საქმე უკადრისია ქართველებისათვის ქართველებო.“

ნადირშას ხმლით შემუსვრილი ინდოეთის პყრობილი ინდოელი მიიქცა თავის სახლში მეფის ირაკლისა დიდი მაღლობელი, სადაც ირაკლისა ხშირად იგონებდა თურმე, იმის სიცოცხლის მონატრე.

ინდოეთით დაბრუნებული ნადირშა ისპაანში ბძნდებოდა; აქ ამ ქალაქში, ერთს დიდს სასახლეში ჩამოახდინეს ირაკლი, ნადირშას ბძანებით ვისაც დიდ პატივსა მიაპყრობდენ საკმაოდ.

¹ მაშინ ბატოიშვილი.

ამ სასახლის პატრონი იყო, დიახ მდიდარი დიდი კაცის ქალი ვინძე, გასათხოვარი, ახალ მოწიფული, მშვენიერი სახისა, საუცხოვო ტანივანი, რომელსაცა არც ძმა ჰყვანდა, არც და და არც დედ-მამა. (მომიტევეთ, ამ ქალის სახელი ვერ შევიტყვე)

ამ ქალს გაეგონა ამ ყმაწვილის კაცის ირაკლის, საკურველი ამბავი ინდოეთისა ნადირშასთან, ვისაც თურმე მოსწონდა სახელი ირაკლისა, მარამ ჯერ თვალით არ ენახა, ახლა თავის თვალით დაინახა და კიდეც შეიყვარა ძლიერ, შეიყუარა დროგაუტარებლივ, ამ ქალმაც... ხანგამიუბრვებლივ, სადაც მოიხელა ამ ქალმა დრო და თავისი მშვენიერი სახე დაანახუა ირაკლისა. ყმაწვილს კაცს ირაკლისა, ყმაწვილის ქალისაგან გამოტყორცილი ისარი სიყვარულისა დაესო გულზე.

შეიპყრა გადარეულმა სიყვარულმა ორივე ეს ყმაწვილები, დაუწყეს წიგნების მიწერ-მოწერა ერთმანეთს, უცხადებდენ ძლიერსა სიყვარულსა ერთმანეთს; ბოლოს კიდეც მოინდომეს ერთმანეთი ცოლ-ქმრათ, მარამ ეს აღარ იცოდნენ იმ ყმაწვილებმა რა გადუგალი მთა იდო შუაში? – ფანატიზმის სარწმუნოება.

ეს ამათი ანბავი გამოვიდა სახალხოთ, რომელთანაც შეიყარნეს მოლები და უქადაგეს ქალს, რომ თავიანთი სარწმუნოების წინააღმდეგია და ამისთვის დაუტეოს ფიქრი ქრისტეანისა.

მეფე ირაკლიც ხომ ვერ გათათოდებოდა, დამყარებული თავის სარწმუნოებაზედ, რის მიზეზითაც განშორდნენ მწარეს ვაების ცრემლით ეს ქალ-ყმა.

მეფე ირაკლი რომ ემზადებოდა საქართველოსაკენ წამოსასვლელად, წინა დღეს იმ ქალისაგან მოუვიდა ბარათი ირაკლის, რომელსაცა გულსაკლავსა სიყვარულსა სწერა; თან გულმომწყვლელის სიტყვებით ესალმებოდა და ამასთან სხუა ბარათზე მოეწერა სახსომრად ორიოდ ლექსი. იმ ასოებით სპარსულათ თუ თათრულად?

სიყვარულისაგან აღტაცებულმა მაშინვე პასუხი მისწერა ქალს ირაკლიმ და საუკუნოდ გამოესალმა მწარეს სიტყვებით.

მე იმ ქალის სახელი ვერ შევიტყვე, რა რქმევია; თუ იცოდეთ, ან შეიტყოს ვინმემ, წერილებში მოიხსენეთ, ისტორიისათვის კარგი იქნება.

საქართველოში რა მოვიდა ირაკლი, ბეჭედზე ამოაჭრევიანა იმ ქალისაგან მოწერილი ის ლექსი თათრულის ასოებით. ამის შემდეგ რაც მეფის ირაკლისაგან თათრული სიგელი, თუ ოქმი, ანუ

სხვა წერილები გაცემულა საქართველოში მაჰმადიანებზე, სულ
იმ ბეჭდით არის დაბეჭდილი; ნურავის გეგონებათ, რაც თათრული
გაცემული წერილები ნახოთ ირაკლი მეფისგან, სხუა ბეჭდით იყოს
დაბეჭდილი. იმ ბეჭედზე იმ ქალის ლექსს ამოიკითხამთ თათრუ-
ლად ამ სიტყვებით ასე და ქართულათ მითარგმნეს ასე:

...

პველი მოზღუდვილება ქ. ტფილისისა

როგორც ჩემი ყმაწვილობით მახსოვს, საქართულელოს დედა ქალაქის ტფილისის მცხოვრები იდგნენ ოთხეუთხედის დიდს ქვიტკირის გალავანსა შუა, და დგანან დღესაც თითქმის იმ ადგილსვე უფრო მომატებულნი. რომელსაცა იმ გალავნის კედელს უნდა ჰქონოდა, მგონია სამიდგან ითხ საუენამდის სიმაღლე და სიგანე ერთი ანუ მეტნაკლები.

ჩრდილოეთის მხრიდგან სამხრეთის კედლამდისინ სიგძე ერთ ვერს ნახევარი, ანუ მეტნაკლები და სიგანე აღმოსავლეთის მხრიდგან ვიდრე დასავლეთის კედლამდისინ, ერთს ვერსზე კიდევ მეტნაკლები. ახლა აღნერილობა. ამ მოზღუდულებას, ანუ ამ ქალაქს, ჩამოუდიოდა აღმოსავლეთისკენ, მკვირცხლი მდინარე მტკუარი, თუმცა ახლაც იმ სახითა ჩამოუდის, მაგრამ რადგან ვრცელი შეიქნა ქალაქი და გაიშალა ყოველს მხარეს მოსახლენი, ამის გამო სხვა სახე მიეცა. სხვა სახე მიეცა ქალაქსა ამას და თითქმის მდინარე მტკვარსაც მიეცა სხუა სახე.

დასავლეთით ამ გალავნის კედლის ძირში, იყო თხრილი, კარგა მოლრმო და მინდორი ჰქონდა წინ გაშლილი, სადაც ბოლოს უამსა ბაღები გაეკეთებინათ და მინდორი მაგდენი აღარ ჰქონდა, ისიც ქოხმახებით აშენებული ზოგიერთის მცხოვრებისაგან, ისევ მეფის ირაკლის დროსა, იმის ძძანებითა რომლებშიაც სცხოვრებდენ ერნი, მოსახლენი.

ჩრდილოეთის მხრისაკენ ჰქონდა ეგრეთივე კედელი, ეგრეთივე თხრილი და მინდორი წინ ეშალა კარგათ დიდი, სადაც ქალაქ ტფილისის მცხოვრები თუ მოსულნი ერნი დამდგარიყნენ ბევრი, მგონია მეფის ირაკლის მეორისა დროსა, მაგრამ სწორეთ კი ვერ დავამტკიცებ ამას? – (ამაზედ ზევითაცა ვთქვი, მაგრამ ისე გაკვრით).

ხოლო სამხრეთისა მხარეს შეივლის კლდიანი მთა მაღალი. იმის წვერზედ, რომ დადგება კაცი, იქით მხარეს ფრიალოა ღრმა ხევი კლდე, რაზედაც გავლებული იყო განიერი და მაღალი კედელი, რომელსაცა ამის თავსა და ბოლოსა ჰქონდა სიმაგრენი დიდი.

დასავლეთის მხარეს კლდეზედ, უფრო ნაკლები სიმაგრე თავისი ბურჯებითა და აღმოსავლეთის კლდეზედ, დიდრონი ბურჯები, თავ-თავისი დიდრონი მაღალი კოშკებითა, საიდგანაც დიდი შენობა ესე ორ ტოტად ჩამოივლიდა. ერთი ქალაქის მხარეს ქალაქს ჩამოებჯინებოდა და მეორე პირდაპირ მტკვარსა, რომელშიაც თავიდან გავლებულიყო შეგნით კლდეში, გრძლად ამოკვეთილი ხვრელი, ზევით მაღლა მთიდგან, ვიდრე მტკვრამდის. მე ეს ხვრელი არ

მინახავს, მარამ ასე უთქუამთ. აქ ვიწროთ მოსჩქეფს მტკვარი, რაზედაც გადებულია ხეფიცრისა ხიდები ქვითკირის კედლებზე; ერთია მეფის ირაკლის დროინდელი ხიდი, ძველს ნახიდურზე დამდგარი და შეორე ამის ცოტა ზევით ჩრდილოს მხარეს, ეგრეთივე ხე ფიცრისა, ლენერალის ერმალოვის ბძანებლობით აშენებული, იმის მართებლობის დროსა.

მეფის ირაკლის დროინდელს ხიდზე რომ გახვიდოდით და პატარას ნაივლიდით ზევით შარა გზაზე, დაგხვდებოდათ ალაყაფის დიდი კარი, რომელსაცა სამხრეთის მხრისაკენ მოძმული ჰქონდა განიერი და მაღალი კედელი და ეს კედელი იქვე კარებთან კლდეზე აივლიდა კარგა მაღლა და როდესაც კლდის დასასრულზე დადგებოდი, იქ ნახავდით მომგრგლოს ორმოცს კალოს ოდენას გასწორებულს კლდესა, რომელსაცა გადმოჰყურებს მტკვარს მდინარეს ზევიდგანა და მთელს ქალაქსაცა. იქ იმ კლდეზე მეფის ვახტანგის გორგასლანის ეკლესია არის, ლვთისმშობლის სახელზედ იმისაგან აშენებული. ... რაც ამ მეტების ეკლესიას კარგი უნახავს, მოგცეთ იგი და ავისაგან განვარინოთ ღმერთმა.

ამ ეკლესის მახლობლათა კლდეზედ იყო შენობანი ქვიტკირისა მომრგლოთ მოყვანილი, მტკვრის პირის მახლობლად მომალლოზედ მაგარის ბურჯებითა გამაგრებული და შიგნით გალავანში კომლეული მოსახლენი იდგნენ, ვარნენ ბამოცამდინ ანუ სამოცდაათამდისინ. აქედგანა ამ ალაყაფის კარებიდგან შეივლის ანუ შეივლიდა გზა აღმართად და როდესაც ახვიდოდით ანუ ახვალთ, იქ გაივაკებთ მინდვრად, სადაც იმ ვაკეზედ დგანან დღესაც ნანილი ქ. ტფილისისა, რომელსაცა ჰქვიან ავლაბარი (ეს ორი სიტყვაა: ავლა-ბარი.), რომლისათვისაცა ერქუა იმ კარებსა: ავლაბრისკარები.

ამ ერთიანს მოვლებულსა გალავანსა ჰქონდა ხუთი ალაყაფის კარი რკინისა და წინ ფიცრების ხიდები გადებული თხრილებზედა, ანუ კლდიანს ხევზე. ერთი ჩრდილოეთის მხარეს, ორი დასავლეთით, ერთიც მდინარეს მტკვარს გაღმა, რომელიცა ზევით ითქუა იმისი ანბავი და მეხუთე სამხრეთ აღმოსავლეთისაკენცა, კლდიანი ხევის პირზე, სადაც ამის გაღმა სასიამოვნო ტფილი აპანოებია, ქვიტკირის ტალანებით შეკრული.

ამ ალაყაფის ხუთსა კარსა ერქუა ეს სახელი: ჩრდილოეთის კარებს წყალის კარი, ამისთვის რომ მტკვარზედ მახლობლად იყო. დასავლეთის ჩრდილოეთის მხრისა კარებს დიღმის კარი; დიღმის ხეობასა გაპყურებდა და ამისთვის ერქუა. ამის მეორესა დასავლეთის კარებს კოჯრის კარი; ეს კარები კოჯრის მთისაკენ მიმართული იყო და ამიტომ უწოდებდნენ კოჯრის კარსა. პირდაპირ აპანოებისა კარსა განჯის კარი, რადგან განჯიდგან და ქვემოდგან იმაზედ

მოდიოდნენ მგზავრნი, ამის გამო უხმობდენ ამ სახელსა. მტკვრის გაღმითი კარებისა ზევით ითქუა, რომელსაცა გაჰყოფს მტკვარი, ქ. ტფილისს და ავლაბარს და რომელსაც უნინდელსა დროში მტკვარს გაღმითსა უწოდებდნენ კახეთად და გამოღმით ქ. ტფილისისაკენა ქართლად.

ეს ერთიანი მოზღუდულება შემუსრა მაშინდელმა მთა[ვა]რმართებელმა დენერალ ერმალოვმა 1824-ს – თუ 1823-სა წელსა. და არ ვიცი რაისათვის შემუსრა. იმის დაქცეული აგურები, შტაბის სასახლეს რომ აშენებდენ, იმას მოახმარეს, მარამ მე არა მგონია, შტაბის სასახლის აშენებისათვის დაექციათ. ბოლო დროს დაქცევის მიზეზის ხმა ეს გამოვიდა: ასეთი მშვიდობა მოახდინა დენერალ ერმალოვმა, რომ საჭიროდ აღარა რაცხს საქართულოში ციხეებსაო. თუ მართლა მიზეზი ეს იყო, დიდი შეცოომილებაა. ქალაქის გარშემო გალავანი რომ დაექცია ქალაქის გავრცელებისათვის, შესაბამი იყო, მარამ ის დიდი, მედიდური შენობაები, იმ აღმოსავლეთის კლდეზედ, ვინ დააქცევდა ანუ რომლებმა შემოსულთა დიდთა მტარვალთ დააქციეს, რომ იმ განათლებულმა დენერალ ერმალოვმა იკადრა, იმისი, საქართველოს ძვირფასი განძის, შემუსრა? მსნავლულო მეცნიერებო, ის დანარჩენი ნახეთ, იმ ციხისა სწორეს თვალებით შეხედეთ, თუ იმ დანარჩენმა კიდევაც არ გაგაკვირვოს!

ტფილისის შუა ქალაქისა მტკვარის პირზე ყოფილა დიდი სასახლე¹ მეფეებისა: ოთხი, სამი, ორი და უკანასკნელი ერთი ატაჟა ამ გამოჩენილს შენობასა მეტათ თურმე აშვენებდა, მომცრო ასპარეზი სამხრეთისა მხრისაკენა, იქვე სასახლის ეზოს მობმული, სადაც ასპარეზის დასასრულმი იყო, მაღალი და განიერი ტრიუმვარის კარები ქვიტკირისა, საცა უწოდებდნენ ნაღარახანად, რაზედაცა დაუკრამდნენ დილას საღამოსა, დაფაბდაბსა და ქოს-ნაღარსა, სადაც შეკრძებოდნენ დიდნი და მცირედნი, გულოვნები.

ბარემ ეს ამას ჩავამატოთ ამ სხოლიოს, რომ სხუაგან აღარსად გადვიტანოთ. წარსულს რომელსამე ცისკარში ვთქვი: ოდესმე ვიტყვი ჩუენ ძუელს სახლის პატრონობასა-მეთქი. ჩემს ყმაწვილობაში თვით მე მახსოვს ეხლა. დიახ კარგი გუამნი (ცოლ-ქმარნი.) დილის სინათლესთანვე ადგებოდნენ, თუ ზამთარი იყო, ზამთრის სათბუნარი ტანისამოსით გამოვიდოდნენ და თუ ზაფხული, სუბუქით. კაცი თავლისაკენ წავიდოდა, სადაც თავისი შესაჯდომი აზნაურიშვილებისა, თან მხლებლების, ბიჭების ცხენები და ბარგის ჯორები ებნენ, იმათ კარგად დააურვებინებდა მეჯინიბეებს, თვი-

¹ აღამამადხანისა ჯარსა დაეწოთ სულერთიან.

თონაც თავზე დაადგებოდა და მინამ ამ საქმეს არ მორჩიებოდნენ, არ გამოვიდოდა იქიდგან. ეს უნინდელი დარჩომილი კიდევ ასე იყო ჩემს სიყმანვილეში, რომელსაცა კარგად მახსოვს ესენი¹. ცოლიც ორის მოახლეებით საკუჭნაოში შევიდოდა; იქ გამოსაცხობს ფქვილსა ამოაღებინებდა რაერთიც საჭირო იყო იმ ერთ დღესა, იმდენი პური უნდა გამოეცხო ხაბაზს თონეში. ყოველს დიდი კაცის სახლში ყოველს დღე ცხუებოდა პური და ლავაში, სადილ-ვახშმის-ათვის. მასუკან მზარეულსა ფულსა მისცემდა იმ დღის ნუზლისათვის და ბაზარში გაისტუმრებდა.

¹ ამდენი ცხენების და ჯორების შენახვის მიზეზი ეს იყო, რომ ყოველს დრო და უამს, სულ მზათ იყვნენ მტერზე გალაშქრისა, თავის უნაკლულოს ბარგით და სამზარეულოთი, ასე რომ ოც მინუტზე მოემზადებოდნენ და გზაზედაც მიდიოდნენ.

შეინარჩუნო

კომიტარები

საქონლები

ტექსტისთვის

მესამე ტომში შესულია ალექსანდრე ორბელიანის ისტორიული თხზულებანი და დოკუმენტური პრობა.

ტექსტები დალაგებულია ქრონოლოგიური პრინციპით. ტომში შესულ ტექსტთაგან მხოლოდ ერთს („ხუთი წლის ბატონიშვილი ირაკლი“) აქვს ვარიანტი, რომელსაც ვპეტდავთ შენიშვნებსა და კომენტარებში. სხვა ყველა ტექსტი ძირითადია.

პასპორტში მითითებულია მონაცემები:

ა) ტექსტის ხელნაწერის დაცულობის შესახებ გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი (ქლსმ), კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი (ხეც). დაცულობის ადგილი მითითებულია პირობითი ნიშნებით – ლიტერებით; ბ) პირველნაბეჭდის შესახებ; გ) სათაურის, თარიღისა და ხელმოწერის შესახებ.

თუ ტექსტი უსათაუროა, ვასათაურებთ და სათაურს ვსვამთ კვადრატულ ფრჩხილებში; როცა ტექსტი უთარილოა, დადგენილ ან სავარაუდო თარიღს ვსვამთ კვადრატულ ფრჩხილებში, ხოლო აუცილებელ განმარტებებს ვიძლევით შენიშვნებსა და კომენტარებში. თუ ავტორი თარიღთან ერთად უთითებს დაწერის ადგილსაც, პასპორტში შეგვაქვს ორივე მონაცემი.

ტომში შესული თხზულებანი, რომელთა ხელნაწერებიც შემონაბულია, ნინამდებარე გამოცემაში იბეჭდება **დედნის** მიხედვით. თუ ხელნაწერი არ გვაქვს, ვაქვეყნებთ პირველნაბეჭდის მიხედვით.

ძველი, ხმარებიდან ამოღებული (ე. წ. ფუნქციადაკარგული) ასოები შევცვალეთ და სიტყვებს მივეცით თანამედროვე დაწერილობა. ალექსანდრე ორბელიანი ხმირად იყენებს ამა თუ იმ სიტყვის პარალელურ ფორმებს (ზოგ შემთხვევაში, ამა თუ იმ პარალელურ ფორმას ერთსა და იმავე ტექსტშიც კი: უთქუამს/უთქვამს, ამბავი/ანბავი, ერთმანეთი/ერთმანერთი, მასუკან/მასკვან, უთუოდ/უთუოთ, ბრძანება/ბძანება, რასაკვირველია/რასაკვრელია, შეინჭიმე/შენიჭირიმე და სხვა); ასეთ ფორმებს, ისევე, როგორც მისი ნაწერების სხვა გრამატიკულ თუ ორთოგრაფიულ თავისებურებებს, ვთქვათ, კომპოზიტების დაწერილობას და სხვ. ვტოვებთ უცვლელად (ვასწორებთ მხოლოდ აშკარა ლაფსუს კალამს). მხოლოდ ზოგან (სადაც ორაზროვნება ან სხვა სირთულე წარმოიშვა) აღვადგინეთ პირველი სუბიექტური პირის ნიშანი ვ-

თავისებურია ალექსანდრე ორბელიანის მიერ პუნქტუაციის გამოყენებაც. სადაც მძიმის (,) უადგილოდ, ზედმეტად დაწერა ან დაკლება, ცვლის ან ძნელად გასაგებს ხდის აზრს, გავასწორეთ,

ხოლო სადაც არ აძნელებს შინაარსის გაგებას, როგორც მწერლის სტილის მახასიათებელი, შევინარჩუნეთ. უცვლელად დავტოვეთ აგრეთვე წერტილი (.) ფრჩხილის წინ და ფრჩხილში [მაგ.: (განსაც-დელი.)].

ალექსანდრე ორბელიანის წერის თავისებურება ისიც არის, რომ იგი არ ხმარობს გაორმაგებულ ასოებს (მაგალითად, წერს: **მოქალაქები**, ნაცვლად **მოქალაქეებისა**, **სათი**, ნაცვლად **საათი-სა**, **მოსამსახურები** და არა **მოსამსახურეები**, **ჩემა** და არა **ჩემმა**, **ზალ** და არა **ზაალ** და სხვა; ზოგიერთ ნაწარმოებში პარალელურად იყენებს ორივე ფორმას ან მხოლოდ გაორმაგებული ასოებით წერს სიტყვებს. შევეცადეთ, დაგვეტოვებინა ეს ვითარება უცვლელად.

ავტორი ხმირად იყენებს ქარაგმებს, რომლებიც გახსნილი გვა-ქვს: შ~ა/შინა, შ~ს/შორის, ზ~ა/ზედა, შ~დგ/შემდეგ (შემდგომ), რ~ლიც/რომელიც, კ~დ/კვლავად, ვ~ა/ვითარეცა, მ~რ/მიერ, ღ~თი/ღლერთი და სხვ.; გამონაკლისია **თ~ა** [თავადი], რომელიც დავტოვეთ უცვლელად. მკითხველისთვის არავითარ სირთულეს არ წარმოადგენს ქარაგმის გახსნა და მასში თავადის ამოკითხვა.

ქართულად ნაწერ რუსულ სიტყვებს შესაბამის კომენტარებსა და შენიშვნებში განვმარტავთ ცალკე.

ტომს დართული აქვს პირთა და გეოგრაფიულ სახელთა საძიებლები.

ტომში ჩართულია ფოტო ალექსანდრე ორბელიანისა და მისივე ხელნაწერის ასლი.

პირობითი ნიშნები

K – კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

T – გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი.

Z – საქართველოს ეროვნული არქივი.

კომენტარებში პირველი ციფრი აღნიშნავს გვერდს, მეორე – კო-მენტარის ნომერს.

[აღამამადხანის შემოსვლა ქ. ტფილისში
(1795-სა წელსა სეკტენბრის 11-სა დღესა)] (7)

ხელნაწერი: ავტოგრაფი K S:1649-ბ (A).

ნაბეჭდი: ქ. „მოამბე“ 1895 წ., აგვისტო, სათაურით „აღა-მაპმად-ხანის შემოსევა ტფილისში“ (B). გამოცემულია ცალკე წიგნად ე. თაყაიშვილის წინასიტყვაობით (იხ. ამონაბეჭდი „მოამბიდამ“, 1895 წ., გამოცემა ქართველთა ამხანაგობისა).

თარიღი: 1844; 1850 (A).

ხელმოწერა: თა ა. ვახ. ქ. ჯ. ორბელიანი
მინაწერი: ქ. ტფილისს.

1895 წელს, კრწანისის ომის ასი წლისთავთან დაკავშირებით ამ თხზულების ორჯერ დაბეჭდვა (ერთხელ უურნალში და მეორედ – წიგნად) მონმობს იმას, რომ საზოგადოება დიდად აფასებდა ალექსანდრე ორბელიანის ნააზრევს. საყურადღებოა, რომ ექვთიმე თაყაიშვილი წიგნის სქოლიობში მოთავსებულ წინასიტყვაობაში თითქმის მთლიანად იზიარებს თხზულების ავტორის შეხედულებებს.

ალექსანდრე ორბელიანის „შესავალი“ 1850 წელსაა დაწერილი. მწერალმა ის უფრო ადრე, 1844 წელს დაწერილ თხზულებას წაუმძღვარა და საგანგებოდ შენიშნა, რომ თეიმურაზ ბაგრატიონი იმავე თემაზე შექმნილ ნაწარმოებში არაფერს ამბობს საკუთარი ბიძის (დედის ძმის), რევაზ ანდრონიკაშვილის მოღალატეობისა და სხვათა შეცდომებისა თუ შეცოდებების შესახებ. ალექსანდრე ორბელიანის აზრით, წარსულის უარყოფით მოვლენებს მიჩქმალვა კი არა, გულახდილად გამომჟღვნება სჭირდება. აქაც და მრავალგზის სხვაგახაც მწერალი მოითხოვს ისტორიული ფაქტების დაუმახინებელად, მართლად აღწერას.

ალექსანდრე ორბელიანის ნაამბობი სანდოა. მწერალი დამაჯერებლად, ცოცხლად და მიმზიდველად გვიხატავს, უპირველესად, ერეკლე მეფესა და მერე სხვა ისტორიულ პირებს. „აღამადხანის შემოსვლის“ ავტორს ინფორმაციას თვით ერეკლე მეფის ახლო მცნობები აწვდიდნენ. ზოგი მათგანი უშუალოდ კრწანისის ომის მონაწილე იყო. ამიტომ ალექსანდრე ორბელიანს რჩევა-კონ-

სულტაციებისთვის მიმართავდნენ ხოლმე თანამედროვენი. მაგ., გრიგოლ ორბელიანი პოემა „სადლეგრძელოს“ სქოლიოში რამდენ-ჯერმე შენიშნავს: „ნათქ. თ. ალექ. ვახ. ორბელიანისაგან“. საყურ-ადლებოა, რომ სამასი არაგველის შესახებ ინფორმაცია სწორედ ალექსანდრე ორბელიანის ნაამბობით დამკვიდრდა ლიტერატურ-აში. მწერლის მიერ მონოდებულ ცნობებს არაერთგზის ეყრდნობი-ან და იმოწმებენ თავიანთ კვლევებში თანამედროვე ისტორიკოსე-ბი.

7. „ალამამახანის შემოსვლა ქალაქ ტფილისში აღვწერე მე 1844 წელსა და შემდგომ მეფის გიორგის ძის ბატონიშვი-ლის თეიმურაზისაგან დაწერილი ვიშოვე“... – თეიმურაზ ბატონიშვილის (ბაგრატიონის) ნაშრომი „ალა-მაჲმად-ხანის მიერ შეპყრობა ტფილისას“ დაიბეჭდა 1846 წელს დავით ჩუბინაშვილის მიერ პეტერბურგში გამოცემულ „ქართულ ქრესტომათიაში“ (ნან. I).
- 7.1. **თეიმურაზ ბატონიშვილი** – თეიმურაზ ბაგრატიონი (1782-1846). გიორგი XII-ისა და ქეთევან ანდრონიკაშვილის ვაჟი. ესეც მოღალატედ და რუსოფილად მიაჩნდა ალექსანდრე ორბელიანს, რუსეთის აგენტს უწოდებს მას. თეიმურა-ზის აღმზრდელი იყო პეტრე ლარაძე, მოძღვარი – დავით რექტორი. თეიმურაზი ჯერ სპარსეთში გაიქცა, მაგრამ შემ-დეგ გამოცხადდა ტორმასოვთან, რომელმაც პეტერბურგში გაგზავნა. იყო ცნობილი მეცნიერი. მისი გარდაცვალების გამო მარი ბროსემ დაწერა ნეკროლოგი და დაბეჭდა „კავკა-ზში“. თეიმურაზის ოჯახს შეეკედლა და პეტერბურგში მისი ხელმძღვანელობით იზრდებოდა, შემდეგ მისი მდივანი იყო სოლომონ რაზმაძე, 1832 წლის შეთქმულების მონაწილე. თეიმურაზმა შვილივით გაზრდილი სოლომონი შერისხა და მოიძულა, როგორთუ რუსების წინააღმდეგ აჯანყების სამზადისში გაერიეო.
- 7.2. **ივანე ბატონიშვილი** – ივანე (იოანე) ბაგრატიონი (1766-1830). დიდი სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე. „კალმასობის“ ავტორი. 1799 წელს თავის მამას, მეფე გიორგი XII-ს ნარუდ-გინა მოხსენება სამეფოში აუცილებლად გასატარებელი რეფორმების შესახებ. ითვალისწინებდა პერიოდული პრე-სის გამოცემასაც. მეფემ მოიწონა, მაგრამ განხორციელება ვეღარ შეძლო რუსეთის აგრესის გამო. იოანე ბატონიშვი-ლი თავდედებულად იპრძოდა კრწანისის ომში. საკუთარი

სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდებით, თანამებრძოლებთან ერთად, ალყიდან გამოიყვანა თავისი პაპა, ერეკლე II და დატყვევებას გადაარჩინა.

- 8.3. დავით ბატონიშვილი** – გიორგი XII-ისა და ქეთევან ანდრონიკაშვილის უფროსი ვაჟი(1767-1819), საქართველოს სამეფო ტახტის კანონიერი მემკვიდრე. ფაქტობრივად, გაიზარდა რუსეთში. პერიოდულად ჩამოდიოდა საქართველოში და მერე ისევ რუსეთში ბრუნდებოდა. მონაწილეობდა კრწანისის ოში. ერეკლეს განსაკუთრებით ჰყვარებია დავითი. მამა-შვილს, გიორგი XII-სა და დავითს შორის კი უკამაყოფილება სუფევდა თურმე. მამის გარდაცვალების შემდეგ რუსეთის ხელისუფლების ნებართვას ელოდებოდა საქართველოს ტახტზე ასასვლელად. რამდენიმე თვე (1801 წლის იანვრიდან ივნისამდე) ითვლებოდა საქართველოს მმართებლად. ამას მალე მოჰყვა ჩვენი სახელმწიფობრიბის გაუქმება. ნერდა მხატვრულ თხზულებებს, თარგმნიდა, ეწეოდა სამეცნიერო მუშაობას. გარდაიცვალა პეტერბურგში.
- 8.4. რევაზ ანდრონიკაშვილი** – გიორგი XII-ის პირველი ცოლის, ქეთევანის, ძმა. არსებობს ეჭვი, რომ შესაძლოა იგი მონაწილეობდა 1781 წელს ლევან ბატონიშვილის მკვლელობაში. 1795 წელს, კრწანისის ომის დროს, უკან გააბრუნა ქიზიყელები, რამაც ბრძოლის შედეგზე უარყოფითად იმოქმედა. მნერლის თქმით, დიდი გავლენა ჰქონდა თავის სიძეზე, გიორგი ბატონიშვილზე, რომელიც სწორედ რევაზ ანდრონიკაშვილმა მოატყუა და გამოითმა ბრძოლიდან. რევაზ ანდრონიკაშვილის ღალატზე საუბრობს ალექსანდრე ორბელიანი „დუბროვნის მიმართ პასუხშიც“ და სხვა თხზულებებშიც.
- 8.5. „ხათა-გოგია“** – გიორგი ციციშვილი, გიორგი XII-ის სიმამრი, საქართველოს უკანასკნელი დედოფლის, მარიამ ციციშვილის მამა. ერეკლეს მიერ ყურები ჰქონდა დასხეპილი ღალატის გამო. „ხათა“ იმის გამო შეარქვეს, რომ საქართველოს ბევრი ხათაბალა დაატეხა თავს.
- 9.6. იულინ ბატონიშვილი (1760-1816)** – ერეკლე II-ისა და დარეჯან დადიანის ვაჟი, რუსებს დაუსხლტა ხელიდან და იმერეთში გადავიდა. ახალციხის ფაშის მემვეობით მოლაპარაკება გამართა ოსმალეთთან რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. ერთ-ერთი მეთაური 1804 წლის მთიულეთის აჯანყებისა. შეიპყრეს და 1805 წელს პეტერბურგში გადაას-

- ახლეს. იქვე გარდაიცვალა. დასაფლავებულია ალექსანდრე ნეველის ლავრაში. მისი შვილია 1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთი წამომწყები – დიმიტრი ბატონიშვილი.
- 9.7. „სომხების არაჩნურთს (მასუკან ორქივატერი ეჩმიაძინის პატრიარხი.) იოსებ არღუთიანს შეერთება ჰქონდა რუსეთიდგან“** – იოსებ (ოსეფა) არღუთიანი (1743-1801) – სომხები საეკლესიო და პოლიტიკური მოღვაწე. 1800 წლიდან სრულიად სომხეთის კათალიკოსი. ალექსანდრე ორბელიანის ცნობით, აფინანსებდა ერეკლეს მტრებს და ხელს უწყობდა აღა-მაპმად-ხანის გამოლაშქრებას საქართველოს წინააღმდეგ. მართალია, მწერალი აქ ერეკლეს მოწინააღმდეგ „სომხების დასს“ ახსენებს, მაგრამ ნაწარმოებში საუბარია ზოგიერთ სომებზე და არა ყველაზე. აღა-მაპმად-ხანი ვერაფერს დაგვაკლებდა, „თუ ის ზოგიერთი სომხები არ ყოფილიყვნენ“, ან: „ზოგიერთის სომხებისაგან და ზოგიერთის ქართველის თავადისაგან საქართველო დაიღუპა“ და სხვა.
- 9.8. გარსევან ჭავჭავაძე (1757-1811)** – ერთ-ერთი ხელმძღვანელი იმ 24-კაციანი დელეგაციისა, რომელიც მონაწილეობდა გეორგიესკის ტრაქტატის დადებაში. ტრაქტატზე ერთ-ერთი ხელისმომნერი. 1784-1801 წლებში იყო ქართლ-კახეთის სამეფოს ელჩი რუსეთში. 1803 წელს აირჩიეს საქართველოს თავად-აზნაურთა საკრებულოს წინამდლოლად. ცოლად ჰყავდა მარიამ ავალიშვილი, გიორგი ავალიშვილის და. 1804 წლის მთიულეთის აჯანყებაში მონაწილეობის გამო მისი ვაჟი, 18 წლის ალექსანდრე გადასახლეს ტამბოვში. შვილს მამაც თან გაჰყვა. 1806 წლიდან გარსევანი ცხოვრობდა პეტერბურგში. გარდაიცვალა იქვე. დასაფლავებულია ალექსანდრე ნეველის ლავრაში. ალექსანდრე მას, სხვებთან ერთად, ერეკლე მეფისა და საქართველოს მოღალატედ მოიხსენიებს.
- 10.9. ივანე ორბელიანი (1765-1808)** – ერეკლე II-ის შვილიშვილი, დავით რევაზის ძე ორბელიანისა და თამარ ერეკლეს ასულ ბაგრატიონის ვაჟი.
- 11.10. მიმპაში სოლომონ** – ისეფა (იოსებ) არღუთინსკის ძმიშვილი.
- 11.11. იოსებ ბებუთაშვილი** – მისკარბაში. ისეფა ყორღანაშვილის(მილახვრის) სიძე. მის სახლში იკრიბებოდნენ ერეკლეს მოწინააღმდეგებები და საქართველოს დაღუპვას გეგმავდნენ.

- 11.12. დარჩია ბებუთაშვილი** – ბებუთოვი (ბებუთაშვილი). თბილის უკანასკნელი მელიქი (მამასახლისი) 1795-1801 წლებში. მონაწილეობდა მეფის წინააღმდეგ მოწყობილ შეთქმულებაში, რისთვისაც მეფემ დასაჯა, თუმცა მალევე შემოირიგა.
- 11.13. ოსეფა ყორლანაშვილი** – მილახვარი. დარეჯან დედოფლის სახლთუხუცესი და მისი ნათლული. ოსეფა იყო მილახვარი და კარგადაც უვლიდა სამეფო რემას (მისი სიძე იყო იოსებ ბებუთაშვილი, მისკარბაში). ოსეფა მეფის ერთგული იყო, მაგრამ ბოლო დროს ისიც მოდალატე შექნილა. ერეკლესა და საქართველოს მტრებმა ხმა გაავრცელეს, დარეჯან დედოფლს ჰყვარობდა, რაც სრულიად ნარმოუდგენელია და არაფრითაა დასაბუთებული. ეს ჭორი უამბეს ანდრია მურავიოვს პლატონ იოსელიანმა და გიორგი იასეს ძე ქსნის ერისთავმა. ალექსანდრე ორბელიანი თხზულებაში „პლატონ იოსელიანსა“ მრავალი არგუმენტის მოხმობით სრულიად აქარნყლებს ამ ჭორს.
- 11.14. სულხან თუმანიშვილი** – მდივანბეგი; მანუჩარ, სულხანის ძმა; სულხანის შვილი შიომშ – ერეკლეს ფარული მოწინააღმდეგები.
- 15.15. ივანე მუხრანის ბატონი (1755-1801)** – ერეკლე II-ის სიძე. ქეთევან ერეკლეს ასულის მეუღლე. ივანეს და, ქეთევანი, დანიშნული იყო ერეკლეს უფროს ვაჟზე, კარგ ვახტანგზე, რომელიც 14 წლისა გარდაიცვალა. ხოლო ქეთევან მუხრანბატონი სამეფო ოჯახში ცხოვრობდა, როგორც რძალი (ბატონირძალი – ასე მოიხსენიებს მას ალექსანდრე ორბელიანი).
- 15.16. „უფროსი ერთს დავატაცებინებ..“** – იგულისხმება უმრავლესობას დავატაცებინებ.
- 15.17. დავით ორბელიანი** – სარდალი დავით რევაზის ძე ორბელიანი, მეფის სახლთუხუცესი 1768 წლიდან. ერეკლეს სიძე. ცოლად ჰყავდა ერეკლე II-ისა და ანა აბაშიძის ასული, თამარი, გიორგი XII-ის და. ყაფლანის მეორე ვაჟის, ასლან ორბელიანის შთამომავალი. მათ სახლს ჰქონდა სარდლობა. იყო ბესარიონ გაბაშვილის მეგობარი. თვითონაც წერდა ლექსებს. სპარსეთიდან ჩამოიტანა და ქართულად თარგმნა „ყარამანიანი“.
- 15.18. ყაზახის ვექილი ფანაალა** – ერეკლესდროინდელი რეალური პირი. მისი ნათქვამის მსგავსი გვხვდება მიხეილ ჯავახიშვილის უბის წიგნაკში: „სიმკომ მტრის ბანაქში ჭაკი ცხენები

შერეკა. იქ ულაყები იყვნენ. აირივნენ“.

- 17.19. „ადრიბეჟანის ხანებსა, დიდათ ნდომიათ აღამამადხან დაიღუპოს“** – ალექსანდრე ორბელიანი საგანგებოდ აღნიშნავს თბილისის დაცვაში აზერბაიჯანელთა მონაწილეობას. აზერბაიჯანელმა ხანებმა დიდი დახმარება გაუწიეს თურმე ერეკლეს კრწანისის ბრძოლაში. „იმ დროებში დიდი ერთგულნიც იყვნენ ქვემევრდომი თათრები ირაკლისაო“, – გვეუბნება მწერალი. აღა-მამად-ხანის დაღუპვის ამბავიც თურმე აზერბაიჯანელმა ბაიდრის ალმას სულთანმა შეატყობინა. თუმცა, ცხადია, ყველა ერთნაირად განწყობილი არ გახლდათ და ერთს – ჯავათ-ხანს – სულაც აღა-მაჰმადის ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ გამოლაშქრებაში სდებს ბრალს ავტორი.
- 18.20. ლენერალი ლუდოვიჩი (1741-1820)** – ივანე ვასილის ძე გუდოვიჩი. საქართველოს მთავარმართებელი 1806-09 წლები. მერე ჩაანაცვლეს გენერალ ალექსანდრ ჭორმასოვით. გუდოვიჩმა კრწანისის ომის დროს აღა-მაჰმად-ხანის მიერ დასაზვერავად გამოგზავნილ ელჩებს გააგებინა, რომ რუსეთი საქართველოსთვის მიშველებას (ჯარის გაგზავნას) არ აპირებდა.
- 21.21. დარეჯან დედოფალი** – დარეჯან დადიანი(1738-1807), ერეკლე II-ის მესამე ცოლი (1750 წლიდან). სამეგრელოს მთავრის, ოტია დადიანის ძმის, კაციას ასული. მაქსიმე ბერძნიშვილი წერს, ამ კაციას შვილის, გიორგის, ასულიაო. 1803 წელს დარეჯანი რუსეთში გადასახლეს. დასაფლავებულია იქვე, ალექსანდრე წეველის ლაგრაში. იყო ჭკვიანი, გონიერი, პოლიტიკაში კარგად გარკვეული ქალი, მეფის ერთგული და ლირსეული მეუღლე. უშუალოდ მისი დამსახურებაა, რომ რუსებმა ერეკლეს გარდაცვალებისთანავე ვერ დაიპყრეს საქართველო, რაც 1801 წელს, გიორგი XII-ის გარდაცვალების შემდეგ მოახერხეს.
- 21.22. ანტონი კათალიკოსი** – ერეკლე II-ისა და დარეჯან დადიანის ვაჟი, ანტონ II.
- 23.23. ზაქარია ენდრონიკაშვილი** – ქიზიყის მოურავი, ერეკლეს სიძე, ელენეს მეორე ქმარი. პირველი ქმარი იყო იმერეთის მეფის, სოლომონ I-ის ძმა – არჩილი, მათი შვილია სოლომონ II, იმერეთის უკანასკნელი მეფე. ზაქარიასა და ელენეს

შვილია ხორეშანი, გრიგოლ ორბელიანის დედა. ერეკლემ, შეატყო რა ორგულობა ქიზიყის მოურავ რევაზ ანდრონიკაშვილს (გიორგი XII-ის ცოლისძმას), დასაჯა იგი, მოურავობა ჩამოართვა და თავის სიძეს უბოძა. ზაქარია ანდრონიკაშვილმა თავი ისახელა კრწანისის ომში და მისმა შვილიშვილმა, გრიგოლ ორბელიანმა პოემა „სადლევგრძელოში“ დამსახურებულად უკვდავყო კიდეც: „და ზაქარია, მიწისა მგელი...“

23.24. სოლომონ II – იმერეთის უკანასკნელი მეფე (1772-1815).

ეკლესიის მიერ შერაცხულია წმინდანად. იმერეთის მეფე სოლომონ I-ის ძმის, არჩილისა და ერეკლე II-ის ასულის, ელენეს ვაჟი, დავითი. უშვილო სოლომონ I-ის გარდაცვალების შემდეგ იმერეთში გამეფდა მეფის ბიძაშვილის შვილი – დავით გიორგის ძე. ერეკლე მეფის ხელმძღვანელობით, ფაქტობრივად, იმერეთის სამეფო კარზე სამხედრო გადატრიალება მოხდა. 1790 წელს გადააგდეს დავით გიორგის ძე და გაამეფეს დავით არჩილის ძე, რომელსაც სოლომონ II ეწოდა. 1810 წელს რუსებმა მოტყუებით ჩაიგდეს ხელში, მაგრამ გაიქცა. ახალციხიდან ტრაპიზონში გადავიდა და იქვე გარდაიცვალა. დაკრძალეს ტრაპიზონის ბერძენთა ეკლესიის ეზოში. 1990 წელს სოლომონ II-ის ნეშტი საქართველოში გადმოასვენეს და დაკრძალეს გელათის მონასტერში. 2005 წელს ქართულმა მართლმადიდებლურმა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა. ალექსანდრე ორბელიანის თქმით, ნაცვლად 10 000 კაცისა, სოლომონ მეორემ 3 000 კაცი ჩამოიყვანა საბრძოლვებლად. ამათგანაც ნანილმა კრიტიკულ მომენტში უდალატა ქვეყანას, მიატოვა ერეკლე და იმერეთისკენ გასწია (ეს ეპიზოდი გვიჩვენა შემდეგ აკაკი წერეთელმა პოემაში „კიკოლას ნაამბობი“). თუმცა ალექსანდრე ორბელიანი დიდად უფასებს იმერეთს დახმარებას და მათ გმირობას საგანგებოდ აღნიშნავს.

27.25. ბატონიშვილი მარიამი – სოლომონ II-ის და. 1810 წლის მერე სოლომონის მეუღლე, მარიამ დედოფალი და დაი, მარიამ ბატონიშვილი რუსეთში, ვორონეჟში გადაასახლეს.

29.26. არტემ არარაცკი – (არუთინ არარაციან). არტემ არარაცკი მდ. 1795 წ., კრწანისის ომის დროს დარჩია ბებუთოვთან ერთად პატიმრობიდან გააპარა აღა-მაჰმად-ხანის ელჩი, რომელიც ერეკლეს დაჭერილი ჰყავდა. ბნელი წარსულის მქონე ადამიანი, ყალბისმქნელი, ისტორიის ფალსიფიკა-

ტორი. არტემ არარატელის ყალბისმქნელობა დღის სინათლეზე გამოიტანეს არისტაკე სედრაკიანმა, ნიკო მარმა და სხვებმა, უფრო ადრე – ალექსანდრე ორბელიანმა, რომლის თქმითაც არტემი ოსეფა არღუთოვისაგან იყო მოსყიდული და შემოჩენილი საქართველოს დასაღუპად. არტემ არარატელის წიგნი, რომელიც ორი ნაწილისაგან შედგება, 1813 წელს დაიბეჭდა პეტერბურგში. ითარგმნა გერმანულად 1821 წელს, ინგლისურად 1822 წელს. 1885 წელს „ივერიაში“ დაიბეჭდა არასრული ქართული თარგმანი, 1892 წელს ითარგმნა სომხურად. არტემ არარატელის ცრუ ინფორმაციები (მისი წიგნის დაუსახელებლად) უხვადა გამოყენებული ბუტკოვის ნაკვეპში „მასალები კავკასიის ახალი ისტორიისათვის“, რომელმაც თავის მხრივ ბევრი ისტორიკოსი შეიყვანა შეცდომაში.

- 29.27. ესტატე ციციშვილი** – დავითის ძე. ერეკლეს შვილიშვილი. 1796 წლიდან თბილისის მოურავი. დავით ციციშვილს ცოლად ჰყავდა ერეკლე II-ისა და დარეჯან დადიანის ასული, მარიამი. მარიამი ლექსებს ნერდა. ამათი შვილია ევსტათი (ესტატე), შემდეგში ანტონ II-ის მოურავი.
- 30.28. აზნაური ნიკოლოზ ელიოზისშვილი** – ანტონ კათალიკოსის (1762-1827) ნაზირი. ანტონ კათალიკოსს ახლდა რუსეთშიც. ქალაქიდან აყრის დროსაც მასთან იყო.
- 31.29. ალავერდეგ ელიგარაშვილი** – ალექსანდრე ორბელიანი მას ერეკლეს ერთგულ პირად მოიხსენიებს.
- 33.30. ყათლანი** – მოკვლა, ამოხოცვა.
- 34.31. მაიორი თავიორგი გურამიშვილი (ქუმელა)** 17 ?-1795 – დედის მხრიდან ერეკლე II-ის ნათესავი. მეფემ გაგზავნა რუსეთში საარტილერიო საქმის შესასწავლად. გახლდათ არტილერისტთა მეთაური კრწანისის ომში. თაბორის მთაზე იდგა და თავვანიირულად ებრძოდა მტერს. სამი ყიზილბაში მოკლა და მერე ხმალი გადაუტყდა. ზედ ზარბაზანზე აკაფეს სპარსელებმა.
- 40.32. ვახტანგ (ალმასხან) ბატონიშვილი** – ერეკლეს ვაჟი. ამან ჩამოიყვანა სამასი არაგველი, რომელებიც ერთიანად კრწანისის ომში დაიხოცნენ.
- 42.33. თავანე აბაშიძე** – ბორჩალოს მოურავი. ერეკლე II-ის მეუღლის, ანა აბაშიძის ძმა. ერეკლეს ერთგული. მონაწილეობდა კრწანისის ბრძოლაში. ნიკოლოზ ბარათაშვილი ახ-

სენებს „ბედი ქართლისაში“, როგორც იოანე კახთ აბაშიძეს. ივანე აბაშიძისა და ერეკლე II-ის ნერილები გამოაქვეყნა პოლიევეტოს კარბელაშვილმა.

42.34. ოთარ ამილახვარი (1756-1828) – პოლიტიკური მოღვაწე XVIII საუკუნის ბოლოს. მონაწილეობდა კრწანისის ბრძოლაში. ტახტის პრეტენზითაგან მხარს უჭერდა საკუთარ სიძეს, იულონ ბატონიშვილს.

44.35. ბაიდარი – სოფელი მარნეულის მუნიციპალიტეტში.

45.36. ჯავათ-ხანი – განჯის უკანასკნელი ხანი. ალექსანდრე ორბელიანის თქმით, აღა-მაჟმად-ხანი მან აღძრა საქართველოზე რუსების ჩაგონებით. აღა-მაჟმად-ხანის ნათესავი. 1896 წელს ქართველებმა დალაშქრეს განჯა. მალე ამის შემდეგ რუსმა გენერალმა პავლე ციციანოვმა იერიშით აიღო განჯა. ჯავათ-ხანი ბრძოლაში დაიღუპა. განჯის სახანო გაუქმდა და მისი ტერიტორია რუსეთმა მიიერთა.

45.37. თაველიაზარ ფალავანდიშვილი – ცოლად ჰყავდა ალექსანდრეს სიმამრის, დავით ბარათაშვილის, და, ბარბარე. გიორგი XII-ის მდივანი. მეფემ გაგზავნა პეტერბურგში, საიდანაც ჩამოვიდა 1801 წელს, როცა გიორგი XII უკვე გარდაცვლილი იყო. მისი სახელი და გვარი იხსენიება ბევრ საბუთში.

45.38. დავით ბარათაშვილი – ალექსანდრე ორბელიანის სიმამრი.

45.39. ნინია მელიქიშვილი – იგივე ივანე მელიქიშვილი (?-1830) ალექსანდრე ორბელიანის მამიდაშვილის, მაკა ჩოლოყაშვილის მეულლე.

45.40. ივანე ყარაევისშვილი – მეფის ექიმი. მაქსიმე ბერძნიშვილის ცნობით, ივანეს მამა, იოსები, ასევე ექიმი იყო, შვილი ექიმ ანგონ ყარაევისა. ანგონს ექიმობა უსწავლია იტალიელი კათოლიკებისაგან. მან ეს პროფესია შეასწავლა თავის ვაჟს, იოსებს, რომელმაც თავის მხრივ, თავის ვაჟებს – ივანესა და ანდრიას – ასწავლა ექიმობა. ყარაშვილები კათოლიკები იყვნენ. იოსებ ყარაევის ქალი (და ივანე ყარაევისა) ცოლად ჰყავდა ექიმ ივანე ანგონის ძე პრიბილს. „იოანე აქიმი ყარაევი“ გამოყვანილია იოანე ბატონიშვილის „კალმასობაში“. სამჯერ იყო წარგზავნილი პეტერბურგს, როგორც ექიმი. 1803 წელს გადასახლებაში გაჰყვა დარეჯან დედოფალს, დედოფლისავე თხოვნით. ასევე ახლდა ბაგრატ და თეიმურაზ ბატონიშვილებს.

ასპინძის ომი 1770-სა წელსა (47)

ხელნაწერი: ავტოგრაფი K H:3123. (A).

ნაბეჭდი: ქურნ. „მნათობი“, 1869 წ. №1. (B).

შესულია აგრეთვე 1879 წელს ზაქარია ჭიჭინაძის მიერ გამოცემულ კრებულში „თ. ალექსანდრე ჯამ.-ორბელიანის ნაწერი და ოთხი ლექსი თ. ვახტანგის-ძის ორბელიანისა“.

თარიღი: 1845 წელი. (A).

ხელმოწერა: თავალი ალექსანდრე ვახტანგის ძე ჯ. ორბელიანი. 1845-ს წელსა ქ. ტფილისს. (A).

ამ ისტორიული ომის შესახებ ქართულ ლიტერატურაში არაერთი ნაწარმოები დანერილა: ბესარიონ გაბაშვილის (ბესიკის) პოემა „ასპინძისათვის“, ალექსანდრე ორბელიანის მოთხოვნა „ასპინძის ომი“, რაფიელ ერისთავის პოემა „ასპინძის ომი“, იაკობ გოგებაშვილის მოთხოვნა „ასპინძის ომი“, ვახტანგ ორბელიანის პოემა „ირაკლი და კოხტა ბელადი“ და სხვა. მათგან ალექსანდრე ორბელიანის მოთხოვნა იმითავა გამორჩეული, როგორც მისთვის დამახასიათებელია, ავტორი სხვადასხვა პირის ნაამბობს ემყარება. მოთხოვნის ბოლოს ასახელებს კიდეც იმ მოხუცებულებს, რომელთაგანაც ეს ამბები გაუგონია (მეითარი სოლომონ თარხნიშვილი, ერეკლეს მდივანბეგი ზაალ ბარათაშვილი და მეფე გიორგის მდივანი ელიაზარ ფალავანდიშვილი – სამივე ასპინძის ომის მონაწილე). ცალკეული ეპიზოდების შესახებ სხვებისგანაც მოუსმენია (ისინიც დასახელებული ჰყავს). ცოცხალი ინფორმატორების ჩვენებებს, ცხადია, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

ნაწარმოების მიხედვით, მცირერიცხოვანი ქართველების გამარჯვება მთლიანად ერეკლეს მხედართმთავრული ნიჭის, სტრატეგიული უნარის, შორსმჭვრეტელობის, სიმტკიცისა და გონიერების დამსახურებაა. ომში თავი გამოიჩინა დავით სარდალმაც (ორბელიანმა), იგი ხშირად ერეკლესთან ერთად იხსენიება. მაგრამ თავი ვერ ისახელა გიორგი ბატონიშვილმა.

ომის დაწყების წინ მეფის მიმართვა თანამებრძოლებისადმი ერთგვარად გვაგონებს კრწანისის მიმართვას მებრძოლთადმი ნიკოლოზ ბარათაშვილის პოემიდან „ბედი ქართლისა“.

საყურადღებოა, რომ ალექსანდრე ორბელიანი უშუალოდ ომის გარდა, გვიხატავს ზურგში, თბილისში დარჩენილთა ყოფას – მათ

მძიმე ადამიანურ განცდებს, იმედებსა თუ უიმედობას, მოლოდინს, შიშსა და ძრნოლასა და ბოლოს სიხარულს.

მოთხოვთ მოეწონა იმდროინდელ მკითხველ საზოგადოებას. კირილე ლორთქიფანიძე სწერდა ერთ მეგობარს (მათე იოსების ძეს): „ძალიან მომეწონა აღ. ჯამბაკურ-ორბელიანის სტატია „ასპინძის ომზედ“. უდრტვინველად ვერ წაიკითხავს კაცი ამ სტატიას. მარტო ამ სტატიის წაიკითხვისთვისაც გამოიწერდა კაცი „მნათობს“ (ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ხელნაწ. ფონდი №569).

- 47.1. „ტოტლებენის და მეფის ირაკლის ნახვის შემდეგ დაწყობილება მოახდინეს, რომ ოსმანებზე გაილაშქრონ“ – 1768 წელს დაიწყო რუსეთ-თურქეთის ომი, რომელიც დასრულდა 1774 წელს ქუჩუკ-კაინარჯის საზავო ხელშეკრულების დადებით. რუსეთის ხელისუფლებას სურდა, ომში ჩაება საქართველოც (ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოები). 1769 წლის აგვისტოს ბოლოს დარიალის გზით საქართველოში შემოვიდა რუსეთის საგანგებო რაზმი, რომელსაც გოტლიბ ტოტლებენი მეთაურობდა (ჩანს, ამ ისტორიული ფაქტის 100 წლისთავთან დაკავშირებით დაიბეჭდა მოთხოვთა „მნათობში“). ერეკლემ შესთავაზა ტოტლებენს, რომ ქართულ-რუსული არმიით ახალციხეზე გაელაშქრათ. მისი მიზანი იყო მესხეთის გათავისუფლება ოსმალთა ბატონობისაგან. ტოტლებენი დაეთანხმა და ფარისევლურად ეკატერინა ხელმიწისაგან მრავალ წყალობასაც დაპირდა.**
- 47.2. ტოტლებენი** – გოტლიბ (1715-1773), რუსეთის არმიის გენერალ-მაიორი (წარმოშობით გერმანელი). ავანტიურისტი და ბენელი წარსულის მქონე. სანამ საქართველოში გამოაგზავნიდნენ, რამდენიმე წლით ადრე დაპატიმრებული იყო ლალატის ბრალდებით. მერე იმპერატორიცამ შეიწყალა (წარმოშობით გერმანელი იყო ეკატერინე II-ც). ტოტლებენმა ასპინძაში სწორედ გადამწყვეტი ბრძოლის დაწყების წინ, 19 აპრილს მიატოვა ქართველთა ჯარი და გაბრუნდა. ამით ზუსტად შეასრულა საკუთარი იმპერატორის ბრძანება. დარწმუნებული იყო რა ერეკლეს დამარცხებაში, ემზადებოდა და თბილისში ჩამოსასვლელად და ქართლ-კახეთის ტახტის დასაუფლებლად.
- 47.3. ეკატერინა მეორე – ეკატერინე II, დიდად წოდებული, რუსე-**

თის იმპერატორი ოცდაათ წელზე მეტი ხნის განმავლობაში – 1762-1796 წლებში. ცბიერულად ცდილობდა ერეკლეს მოტყუებას. მისი ჩანაფიქრით, ქართველები ასპანძაში უნდა დამარცხებულიყვნენ 1770 წელს, რის შემდეგაც დამოუკიდებლად არსებობას ვეღარ განაგრძობდნენ. ის, რაც ვერ განახორციელა ეკატერინე ხელმწიფე 1770-ში, მოახერხა 1795-ში, კრწანისის რმის ინსპირაციით.

- 47.4. კოხტაბელადი** – იგივე მალაჩილა, განთქმული დაღესტნელი მეომარი. ლეკ-ოსმალთა ლაშქარში სარდლობდა ცენტრალურ ფლანგს. ბრძოლაში გამოიწვია და მოკლა ერეკლე მეფემ. ამან დააბნია მტრის ჯარი და არევ-დარევა შეიტანა მასში.
- 47.5. „თქვენის გულისათვის ოსმალო ჩემი მოსისხლე მტერია, თორემ თოსმალოს ჩემთან რა მფრობა აქვს?“** – ამ სიტყვებში ამოიკითხება რუსეთის ხელისუფლების ნამდვილი პოლიტიკა, რომელსაც ის საქართველოს საწინააღმდეგოდ და ხელში ჩასაგდებად მიმართავდა. რუსეთი ცდილობდა, მთელი მაჰმადიანური სამყარო განეწყო და აღეძრა ერეკლეს წინააღმდეგ, რათა მეფე დარწმუნებულიყო, რომ შველა მხოლოდ ერთმორწმუნე, ძლიერ სახელმწიფოს შეეძლო.
- 48.6. ომან ხერხეულიძისაგან დაწერილი ისტორია** – ერეკლე II-ის მდივანბეგი, ავტორი ისტორიული თხზულებისა, „მეფობა ირაკლი მეორისა, მეფის თეიმურაზის ძისა“. ავტორი ეყრდნობა სეხნია ჩეხიძისა და პაპუნა ორბელიანის ნაშრომებს და შემოიფარგლება 1722-82 წლებით. ბევრი რამ გამოტოვებული აქვს და ამიტომაც უზოდებს, როგორც ჩანს, „შემოკლებულ ისტორიას“. ალექსანდრე ორბელიანიც უკმაყოფილო ჩანს იმით, რომ ნაშრომში არ ასახულა მეფე ერეკლეს ცხოვრების არაერთი მნიშვნელოვანი ეპიზოდი.
- 49.7. ანტონა აქიმბაში** – ივანე ყარაევის (კარაევის) პაპა. იხ. „აღამადხანის შემოსვლა“, კომენტარი № 40.
- 51.8. „თავადმა რ... ა... და იმისმა დამოკიდებულებმა“** – იგულისხმება, ალბათ, რევაზ ანდორნიკაშვილი, რომელიც ალექსანდრე ორბელიანის სხვა თხზულებებშიც გამცემადა და მოღალატედა წარმოჩენილი. იხ. „აღამადხანის შემოსვლა“, კომენტარი № 4.
- 54.9. მეითარი სოლომონ თარხნის შვილი** – დავით სარდლის (ორბელიანის) სიძე. დავითის ასული, თინათინი ჰყავდა ცოლად. დავით ორბელიანზე იხ. „აღამადხანის შემოსვლა“,

კომენტარი №18.

- 54.10. **მდივანბეგი ზაალ ბარათაშვილი** – ერთ-ერთია იმ ოთხი ზაალიდან, ვისი იმედიც ჰქონია ერეკლეს ყველა განსაცდელში. თითო ზაალი თითო ჯარად ღირსო, – ამბობდა თურმე მეფე.
- 54.11. **ელიაზარ ფალავანდიშვილი** – იხ. „ალამამადხანის შემოსვალა“, კომენტარი №37.
- 55.12. „**მამიჩემის მამა დემეტრე და მეფე ირაკლი მესამე ნათესავები იყვნენ**“ – ერეკლე II-ის დედა, თამარ ვახტანგ VI-ის ასული იყო ყაფლან ორბელიანის შთამომავალი – ყაფლანის ასული, როდამი, ცოლად ჰყავდა ვახტანგ V-ს (შაპ-ნავაზს). ალექსანდრე ორბელიანიც ყაფლანის შთამომავალია – ყაფლანის ერთ-ერთი ვაჟის, ვახუშტის (სულხან-საბა ორბელიანის ძმა, რომელიც ყანდარში დაიღუპა, როცა იქ გიორგი XI-ს ახლდა) შვილია ელიზბარ და მისი შვილია მწერლის პაპა, დემეტრე (დიმიტრი) ორბელიანი. ალბათ, მესამე თაობის ნათესაობაში ამას გულისხმობს ავტორი.
- 55.13. **დავითა დემურაშვილი, ბერელა კოპახიძე და სოლომანა ხატულაშვილი** – მწერლის მამის, პოლკოვნიკ ვახტანგ ორბელიანის მოსამსახურები. ალექსანდრე ორბელიანის მხატვრულ-დოკუმენტურ თხზულებათა პერსონაჟები.

პირველი ამბავი მეფის ირაკლის მეორისა (56)

ხელნაწერი: ავტოგრაფი K S:1649-ა

თარიღი: 1846 წ.

ხელმოწერა: თა ალექსანდრე ჯ. ორბელიანი, 1846-ს წელსა. ქ. ტფილისს

იბეჭდება პირველად

თხზულებაში საუბარია ერეკლეს მიერ ჯერ კიდევ უფლისწულობაში გადახდილ პირველ ომზე ლეკების წინააღმდეგ ნეიშნის მინდორზე. ამავე თემაზე აქვს დაწერილი პიესა „ბატონიშვილის ირაკლის პირველი დრო ანუ თავდადება ქართველებისა“ (იხ. ამ გამოცემის I ტომი), ამ ბრძოლასთან დაკავშირებულ მოვლენებს საგანგებოდ ეხება წერილში „ქართველების ძველი დრო, გად-

მოსული ახლად“ (იხ. ამ გამოცემის II ტ.), აგრეთვე თხზულებაში „დაღისტნიდგან ლეკების გამოსვლა ახალციხეში“ (იხ. ეს ტომი). უნდა გავითვალისწინოთ, რომ ალექსანდრე ორბელიანს აქვს წერილებისა და ნარკევების მთელი სერია ერეკლე მეფეზე. რომანტიკულ იდეალიზებასთან ერთად, ამ თხზულებებში მთელი პასაჟები რეალისტურად, დამაჯერებლადა გადმოცემული და მათ პირველწყაროს მნიშვნელობაც ენიჭება.

„პირველი ამბავი მეფის ირაკლის მეორისა“ დედის, თეკლა ბატონიშვილის ნაამბობის მიხედვითაა დაწერილი. ფშავიდან ერეკლე ბატონიშვილის ალავერდში ჩამოსვლის შესახებ სწორედ თეკლა ბატონიშვილისგან იცის მწერალმა და ამ ვერსიას სხვა თხზულებებშიც იმეორებს.

მეფის ირაკლის მეორის მეულე დარია ანუ დარეჯან (58)

ხელნაწერი: ავტოგრაფი K S:1651

თარიღი: 1851 წ.

ხელმოწერა: თ ა. ვახ. ძე ჯ. ორბელიანი. 1851-სა წელსა. ქ. ტფილისა.

პირველი პუბლიკაცია: სარგის კაკაბაძე, წერილები და მასალები საქართველოს ისტორიისათვის, წიგნი 1, თბ. 1914.

ალექსანდრე ორბელიანს წაუკითხავს რუსულად დაბეჭდილი წიგნი, ანდრეი მურავიოვის მოგზაურობა საქართველოში და აღმფორებულა იმის გამო, რომ ჩვენი ისტორია საშინლად ყოფილა დამახინჯებული, ფაქტები გადაკეთებული, გაყალბებული. განსაკუთრებით აღმფორებია დარეჯან დედოფალზე ნათქვამ ურიგობებს.

სახელოვანი ბებიის, ერეკლე II-ის თანამეცხედრის, დედოფალ დარეჯანის დამცირებას, შეურაცხყოფას მისი შვილიშვილი არავის აპატიებდა. მწერალი უკომპრომისოდ უპირისპირდება რუსეთის მთავრობის მიერ გავრცელებულ სიცრუესა და ცილისწამებას დარეჯან დადიანის შესახებ სხვა წერილებშიც („დუბროვინის მიმართ პასუხი“, „პლატონ იოსელიანსა“). ალექსანდრე ორბელიანის რწმენით, რუსეთის ხელისუფლებამ რადგან ერეკლე ვერ გამოიყვანა საქართველოს დამღუპველად (ამას არავინ დაიჯერებდა),

ყველაფერი მის მეუღლეს, დარეჯანს დააბრალა.

ალექსანდრე ორბელიანი სიმართლეს არსად დალატობს. გვიყვება ნამდვილ, მართალ ისტორიას, რომელიც დედის, თეკლა ბატონიშვილისა და სხვა მოხუცებულთა ნაამბობიდან იცის. ცდოლობს, აღადგინოს და დაიცვას დარეჯან დედოფლის ღირსება და მრავალ, მკითხველისთვის სხვა წყაროებიდან უცნობ ამბავს გადმოგვცემს.

- 58.1. ხეიძის ქალი – ერეკლე II-ის პირველი ცოლი – ქეთევან ზაალის** (ზოგი წყაროთ – გიორგის) ასული მხეიძე (ფხეიძე), იმერეთიდან. ამასთან ჰყავდა კარგი ვახტანგ, რომელიც 14 წლისა გარდაიცვალა.
- 58.2. აბაშიძის ქალი – ერეკლე II-ის მეორე ცოლი.** პირველ მეუღლესთან დაშორების შემდეგ, 1745 წელს შეირთო ცოლად. 1749 წელს ანა აბაშიძე გარდაიცვალა. დასაფლავებულია მცხეთაში. მასთან ჰყავდა გიორგი და თამარ.
- 58.3. დადიანის ქალი – დარეჯან დადიანი, ერეკლე II-ის მესამე და უკანასანელი მეუღლე.** მასზე 1749 წელს იქორწინა და თითქმის ნახევარი საუკუნე ერთად ცხოვრობდნენ.
- 58.4. მურავიოვი – ანდრეი.** გარდ. 1874 წელს. მოგზაური, მზერალი, ეკლესიის ისტორიკოსი. აქვს ნიგნი „საქართველო და სომხეთი“ – სიცრუითა და სიყალბით სავსე.
- 58.5. ალექსანდრე I – რუსეთის იმპერატორი 1801-1825 წლებში.**
- 59.6. ქეთევან, ეკატერინე, ანასტასია და თეკლა – ერეკლე II-ის ასულები.**
- 59.7. გიორგი იასეს ძე ქსნის ერისთავი (1759-1863) – ლენერ-ალ-ოტინიფატერი, სენატორი, „დიდი კნიაზი“. ცოლად ჰყავდა გიორგი XII-ის ქალი, გაიანე.**
- 60.8. თონიკე – გიორგი ქსნის ერისთავის ძმა. ცოლად ჰყავდა ერეკლე II-ის შვილიშვილი, ქეთევან ბატონიშვილისა და ივანე მუხრანბატონის ასული, ბარბარე. ბარბარეს ჰყავდა ორი ქალი – ელენე და ნინო. ელენე ცოლად შეირთო გენერალმა პაპოვმა. ნინო ცოლად ჰყავდა ივანე თამაზის ძე ორბელიანს.**
- 60.9. ელისბარი – ელიზბარ ქსნის ერისთავი, გიორგისა და თონიკეს ძმა.**
- 61.10. პლატონ იოსელიანი – (1809-1875).** ისტორიკოსი, ფილოსოფოსი, ღვთისმეტყველი, რედაქტორი. ათენის არქეოლო-

გიური საზოგადოების ნამდვილი წევრი. აღწერა და წიგნად გამოსცა გიორგი XIII-ის ცხოვრება. თანამშრომლობდა მარი ბროსესთან. არის ილია ჭავჭავაძის „გამოცანების“ პერსონაჟი („ცხვირდიდა და თვალდიდრონა...“); ეხუმრებოდა ნიკოლოზ ბარათაშვილი – ბაკენბარდებზე კატა დასწოლია ღამეო... ჩვენში ვირების ღმერთი (ბოგ ასლოვ) ეგ არისო (იხ. ნიკოლოზ ბარათაშვილი, პირადი წერილები, მოამზადა, შესავალი, კომენტარები, შენიშვნები, საძიებლები და გენეალოგიური ტაბულები დაურთო მაია ცერცვაძემ, არტანუჯი, თბ., 2015, გვ. 75).

- 60.11. ოსეფა ყორლანაშვილი** – იხ. „აღამამადხანის შემოსვლა“, კომენტარი №12.
- 63.12. ქოლაგირის ციხე** – ან დედოფლის ციხე-სიმაგრე. მდებარეობს ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ ცურტავში. აგებულია 1788-98 წლებში დარეჯან დედოფლის მიერ. 2006 წელს მიენიჭა კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი.
- 66.13. დავით სარდალი** – ორბელიანი. იხ. „აღამამადხანის შემოსვლა“, კომენტარი № 18.
- 70.14. ქეთევან ანდრონიკაშვილი (1754-1782)** – გიორგი XII-ის პირველი მეუღლე. ამისი ძმაა რევაზ ანდრონიკაშვილი, ერეკლეს მოღალატე.
- 70.15. ბატონირძალი ქეთევან** – ერეკლეს სიძის, ივანე მუხრანბატონის და. ვახტანგ კარგზე დანიშნული.
- 70.16. რევაზ ანდრონიკაშვილი** – იხ. „აღა-მამად-ხანის შემოსვლა“, კომენტარი №3.
- 73.17. თქვენს სიძეს ზაქარიას.** – იგულისხმება ზაქარია ანდრონიკაშვილი, ქიზიყის მოურავი.
- 77.18. იულონ ბატონიშვილი** – იხ. „აღა-მამად-ხანის შემოსვლა“ კომენტარი №6.
- 77.19. ბატონირძალი სალომე** – იულონ ბატონიშვილის ცოლი.

კაპუცინთა პატრების შეთქმა (79)

ხელნაწერი: ავტოგრაფი H:2412-დ

თარიღი: [1854 წ.]

ხელმოწერა: თა ალექსანდრე ჯ. ორბელიანი

მინაწერი: ს. კაზრეთს ია-ს დეკემბერს. ჩყნდ-ს [წელსა].

იბეჭდება პირველად.

79.1. **კაპუცინტა პატრები** – კაპუცინები ყველაზე მეტად მის-
დევილნენ დატაკურ ცხოვრებას და ვატიკანში ეგონათ, რომ
საქართველოში მათ ნაკლები დანახარჯი ექნებოდათ.

79.2. **მეფე თეიმურაზი** – თეიმურაზ მეორემ (1700-1762) კათო-
ლიკე მისიონერებს ეკლესია ჩამოართვა და სამეფოდან
გააძევა.

79.3. **ანტონი ქათალიკოზი** – ანტონ პირველი (1720-1788) ქართ-
ლის მეფე იქსესა და თეიმურაზ მეორის ასულის -ელისაბე-
დის – ვაჟი, ერისკაცობაში თეიმურაზი. 1755 წელს საეკლე-
სიონ კრებამ გაკათოლიკება დასწამა და თანამდებობიდან
გადააყენა. ამის შემდეგ რუსეთს გაემგზავრა და ვლადი-
მირის ეპარქიის მთავარეპისკოპოსად დაინიშნა. ერეკლე
მეორის მოწვევით საქართველოში დაბრუნებული ანტონი
კვლავ კათალიკოსი ხდება. დაკრძალულია სვეტიცხოველში.

79.4. **ფრანგები, ფრანგების ეკლესია** – კათოლიკებს ეძახდნენ
ფრანგებს, კათოლიკურ ეკლესიას – ფრანგულ ეკლესიას.

შეთქმა მეფეს ირაკლის მეორეზე საქართველოში (80)

ნაბეჭდი: „ცისკარი“, 1859 წ. №4. (A).

თარიღი: [1859].

ხელმოწერა: თ. ალექსანდრე ვახტანგის ძე ჯ. ორბელიანი

შესულია აგრეთვე 1879 წელს ზაქარია ჭიჭინაძის მიერ გამოცე-
მულ კრებულში „თ. ალექსანდრე ჯამ.-ორბელიანის ნაწერი და
ოთხი ლექსი თ. ვახტანგ ვახტანგის-ძის ორბელიანისა“. (B).

აქ მოთხოვთ ამბების სისწორე დადასტურებულია თანა-

მედროვე ისტორიკოსთა გამოკვლევებით.

- 80.1. პაატა ბატონიშვილი** – პაატა ბაგრატიონი (1720-1765), ქართლის მეფის, ვახტანგ VI-ის უკანონო შვილი. მამასთან ერთად წავიდა რუსეთში, იქ იზრდებოდა, შეისწავლა საარტილერიო საქმე. საქართველოში დაბრუნებული ცდილობდა ქართლში გამეფებას. ამ მიზნით ებრძოდა ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II-ს. 1765 წელს მოაწყო შეთქმულება ერეკლეს წინააღმდეგ. შეთქმულებაში მონაწილეობდნენ როგორც მაღალი, არისტოკრატიული კლასის წარმომადგენლები, ასევე დაბალი ფენის შვილები.
- 80.2. დავით ბატონიშვილი** – აბდულა-ბეგის შვილი. აბდულა ბეგი (არჩილი) იყო ქართლის მეფის, იესეს ძე, ანტონ კათალიკოსის ძმა. პრეტენზია ჰქონდა ქართლის სამეფო ტახტზე. ებრძოდა ერეკლე II-ს. ბრძოლების მერე ერეკლემ და აბდულა-ბეგმა მოილაპარაკეს და კიდევ შერიგდნენ. თუმცა 1765 წელს დავით ბატონიშვილი შეთქმულებაში პაატა ბატონიშვილის გვერდით აღმოჩნდა. აბდულა ბეგს ცოლად ჰყავდა ერეკლე I-ის ასული, ქეთევანი. ამიტომ ამბობს თხზულებაში ერეკლე დავითზე, ჩემი ახლო ნათესავი, ჩემგან შვილივით გაზრდილიო.
- 81.3. დათუნა ფეიქარი** – მისი ცოლი ძიძად მუშაობდა სასახლეში. მან აღსარებაში გაანდოკარის ეკლესიის მღვდელს აჯანყებისთვის მზადების შესახებ. მღვდელმა მეფეს მოახსენა და ასე გაიხსნა შეთქმულება. ამისთვის დათუნა ფეიქარს მეფემ აზნაურობა და ყილიჯ-ყორჩობა უბოძა (ყილიჯ – ხმალი, ყორჩი – მცველი).
- 81.4. დიმიტრი ამილახვარი** – პაატა ბატონიშვილის შეთქმულების მონაწილე (1722-1773). ზემო ქართლის სამეფოს სარდალი. ეჭირა სახლთუხუცესის თანამდებობაც. დიმიტრი და გივი ამილახვარი ბიძაშვილები იყვნენ. „1744-წლიდან 1765 წლამდე ერეკლე მეფესა და დიმიტრი ამილახვარს შორის ურთიერთობები მრავალგზის შეიცვალა... 1759 წელს ერეკლემ დიმიტრი ამილახვრის უფროს ძეს გიორგის თავისი უმცროსი და – ელისაბედი მიათხოვა“ (ვაჟა კიკნაძე, ბოლოსისტყვაობა რჩეულთა ბიბლიოთეკის სერიით გამოცემული №26-ე კრებულისა: ალექსანდრე ამილახვარი, ბრძენი აღმოსავლეთისა, „ლომისი“, თბ., 1997 წ.). შეთქმულებაში მონაწილეობის

გამო დიმიტრი ამილახვარს ყმა და მამული ჩამოართვეს და თბილისში შინაპატიმრობაში დატოვეს.

- 85.5. **იმის შვილი ალექსანდრე** – ალექსანდრე ამილახვარი (1750-1802). ქართველი ფილოსოფოსი და ისტორიკოსი. დაწერილი აქვს ტრაქტატი „ბრძენი აღმოსავლეთისა“, რომელშიც წარმოსახავს იდეალური მონარქის სახეს, და ავტობიოგრაფიული თხზულება „გეორგიანული ისტორია“, რომელშიც დაწვრილებითაა მოთხრობილი პაატა ბატონიშვილის შეთქმულებისა და მასში მონაწილე პირთა შესახებ. ალექსანდრეს ცხვირი მოაჭრეს და ფეხის ძარღვები გადაუჭრეს.
- 85.6. **დიმიტრი ციცისშვილი** – 1765 წლის პაატა ბატონიშვილის შეთქმულების მონაწილე. დასაჯეს ენის მოჭრით.
- 85.7. **ელისბარ თაქთაქიშვილი და ამის შვილი იასე** – ორივე პაატა ბატონიშვილის შეთქმულებაში მონაწილეობდა. ელიზ-ბარი ცეცხლში დაწვეს და იასეს ცალი თვალი ამოთხარეს.

ვარანცოვთან ჩემი დაბეზღება (86)

ხელნაწერი: ავტოგრაფი K S:1653-ა

თარიღი: 1862 წ. 24 ივლისი

ხელმოწერა: თ~ ა ალ. ვახ. ძე ჯ. ორბელიანი, 24-ს ივლისს 1862-ს წელსა ს. კაზრეთს

პირველი პუბლიკაცია: ალექსანდრე ორბელიანი, „სიტყვა მამულის ტრაპეზიედ“, „ლომისი“, თბ., 1999.

- 86.1. **ვარანცოვი** – მიხაილ ვორონცოვი (1782-1856), კავკასიის მეფისინაცვალი 1844 წლის დეკემბრიდან 1854 წლის ნოემბრამდე, კავკასიის ცალკე კორპუსის მთავარსარდალი. ბრიტანული დიპლომატიის მცოდნე ვორონცოვმა რუსეთის ხელისუფლების ე. წ. „ცეცხლისა და მახვილის“ პოლიტიკა საქართველოში შეცვალა მოქნილი, ლიბერალური პოლიტიკით. ცბიერი მმართველის საბოლოო მიზანი იგივე იყო, რაც ადრინდელი მთავარმართებლებისა – ქართულ სხეულში რუსული სულის ჩანერგვა. ბევრი ჩვენი მოღვაწე – აკაკი

წერეთელიც კი – მიხაილ ვორონცოვს მიიჩნევდა ქართველთა კეთილისმყოფელად. ალექსანდრე ორბელიანი არ მოტყუუ-ებულა მეფისნაცვლის მოჩვენებითი კეთილგანწყობით. მისი აზრი ვორონცოვზე ფაქტობრივად ემთხვევა თანამედროვე ისტორიკოსთა შეხედულებებს.

- 86.2. ერასტი სტეფანიჩი ანდრევსკი** – ერასტი სტეფანეს ძე ანდრეევსკი (1809-1872). მეფისნაცვალ ვორონცოვის პირადი ექიმი. სამედიცინო განათლება მიიღო ბერლინში. ხარკოვის უნივერსიტეტში მოიპოვა მედიცინის დოქტორის ხარისხი. მეუღლე – ბარბარე გიორგის ასული თუმანიშვილი (1819-1876), ერთ-ერთი პირველი სცენისმოყვარე გახლდათ. გიორგი ერისთავის „გაყრაში“ 1850 წლის 2(14) იანვარს კნეინა მაკრინეს როლი შეასრულა. ანდრეევსკებს ორი ქალიშვილი ჰყავდათ – ნინო და ელენე. ნინო მტკვარში დაიხრჩო. დაკრძალულია მთაწმინდაზე, მამადავითის ეკლესიაში. ელენე იყო მწერალ გიორგი შარვაშიძის მეუღლე. ანდრეევსკებთან სტუმრობას ოდესაში იგონებს აკაკი წერეთელი „ჩემ თავგადასავალში“.
- 86.3. შამილი (1797-1871)** – ჩრდილოეთ კავკასიელი ხალხების მეთაური რუსეთის დამპყრობლური პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლაში. შამილმა მისცა მთის ხალხს (ძირითადად, დაღესტნელებსა და ჩეჩენებს) ახალი რელიგია, მებრძოლი ისლამი ანუ მიურიდიზმი, რომლის ლოზუნგიც გახლდათ ბრძოლა ყველა ქრისტიანისა და განსაკუთრებით რუსების წინააღმდეგ. შამილს კავშირი ჰქონდა სხვა სახელმწიფობთან – თურქეთთან, ირანთან, ინგლისთან, საფრანგეთან... იღებდა მათგან დახმარებას – იარაღს, ფულს. სიცოცხლე-შივე ლეგენდაში გადავიდა. აკაკი წერეთელს აქვს ლექსი „შამილის სიზმარი“. შამილის მხარესაა ალექსანდრე ყაზბეგის სიმპათია („მამის მკვლელი“). დაუმორჩილებლობის სიმბოლოდაა წარმოდგენილი გრიგოლ რობაქიძის ნოველაში „იმამ შამილი“. შამილისადმი მიძღვნილი ლექსების მთელი ციკლი აქვს ტიციან ტაბიძეს. უკრაინელი პოეტი ტარას შევჩენკო პოემაში „კავკასი“ მიესალმა კავკასიის მთიელთა ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობას. შამილს კარგად ახასიათებენ თვით მისი ტყვეები – ილია ორბელიანი („რვა თვე შამილის ტყვეობაში“, თბ., 1991) და ანა დრანსე („შამილის ტყვე ქალები“, თბ., 2010).

- 87.4. იმის ცოლს** – მიხაილ ვორონცოვის ცოლი, ელისაბედ ქსავ-ერევნა (ქსავერის ასული) ვორონცოვა (ბრანიცვაია). ახალგაზრდობაში ეტრფოდა და ლექსებს უძღვნიდა ალექსანდრ პუშკინი. ამის გამო მიხაილ ვორონცოვი მტრობდა პუშკინს. პოეტიც ვალში არ რჩებოდა და ეპიგრამებს წერდა ვორონცოვზე. ელიზავეტა ქსავერევნას ჰქონდა თბილისში სალონი (იხ. იაკობ ბალახაშვილი, ლიტერატურული წრეები და სალონები საქართველოში, თბ., 1940).
- 87.5. ოლია ორბელიანი** (1818-1853) – გრიგოლ ორბელიანის უმცროსი ძმა, ნიკოლოზ ბარათაშვილის ტოლი და ძეგობარი. ოლიას ბებია – ელენე ბატონიშვილი და ალექსანდრე ორბელიანის დედა – თეკლა ბატონიშვილი დები იყვნენ.
- 89.6. თამამშევის ქარვასლა** – გაბრიელ თამამშევი (18??-18??), ნარმოშობით სომეხი, პირველი გილდიის ვაჭარი, მეცენატი, თბილისისა და სტავროპოლის საპატიო მოქალაქე. მისი სახსრებით აშენდა თბილისში ოპერის თეატრის პირველი შენობა, რომელსაც საფუძველი 1847 წელს ჩაეყარა და მშენებლობა საბოლოოდ 1851 წელს გასრულდა. მშენებლობას სპეციალურად მოწვეული იტალიელი არქიტექტორი ჯოვანი სკუდიერი ხელმძღვანელობდა. ახლანდელი თავისუფლების (მაშინ პასკევიჩ-ერევანსკის ანუ, როგორც თბილისელები მოიხსენიებდნენ, ერევნის) მოედანზე კავკასიის მთავარმართებელმა მიხაილ ვორონცოვმა გამოყო მიწის ფართობი (იაფად იყიდა ქართველი მემამულის, ესტატე ციციშვილისგან) თეატრის ასაშენებლად. გაბრიელ თამამშევმა იქ ააგო ოთხსართულიანი შენობა, სავაჭრო სახლი – ქარვასლა, რომლის მეორე და მესამე სართულებზე განთავსებული იყო თეატრი. ამიტომ თეატრს ქარვასლის თეატრადაც მოიხსენიებდნენ. 1874 წელს თეატრი მთლიანად დაიწვა. თავისუფლების მოედნის რეაბილიტაციის დროს მიწის ქვეშ აღმოჩნდა ყოფილი თეატრის შენობის ნანგრევები. ალექსანდრ დიუმა „კავკასიაში“ წერდა, თბილისის სათეატრო დარბაზისთანა თვალწარმტაცი დარბაზი ჩემს სიცოცხლეში არსად მენახაო.
- 89.7. ზუბალოვის გოსტინიცა ევროპა** – 1859 წელს იტალიელმა კომერსანტმა ვილამ, ერევანსკის (ახლანდელი თავისუფლების) მოედანზე, ივანე ზუბალაშვილის სახლის მეორე სართულზე გახსნა სასტუმრო „იტალია“. 1864 წელს სასტუმროს სახელი შეეცვალა და დაერქვა „ევროპა“. 1859 წელს,

სასტუმროს გახსნამდე რამდენიმე თვით ადრე ამ სახლში უმასპინძლეს ალექსანდრ დიუმას. 1970 წელს ეს სახლი დაანგრიეს, რათა ადგილი გაეთავისუფლებინათ ცეკავშირის შვიდსართულიანი შენობისთვის (დავით ხოშტარია, თბილისის ძველი სასტუმროები, თბილისი, „არტანუჯი“, 2011).

- 89.8. ვასილი ოსეფიჩი ბებუთოვი – ვასილ იოსებ ძე ბებუთაშვილი (1789-1858) – გენერალ-ინფანტერი. 1847-56 წლებში ამიერკავკასიის მხარის სამოქალაქო სამმართველოს უფროსი და მთავარი სამმართველო საბჭოს თავმჯდომარე. ხელს უწყობდა კავკასიაში რუსული მმართველობის დამყარებას.

მეფის ირაკლი II-ის ისტორიაზე (91)

ნაბეჭდი: „ცისკარი“, 1862 წ. №11. (A).

თარიღი: [1862 წ.]

ხელმოწერა: თ. ალექსანდრე ვახტანგის ძე ჯ. ორბელიანი.

შესულია აგრეთვე 1879 წელს ზაქარია ჭიჭინაძის მიერ გამოცემულ კრებულში „თ. ალექსანდრე ჯამ.-ორბელიანის ნაწერი და ოთხი ლექსი თ. ვახტანგ ვახტანგის-ძის ორბელიანისა“. (B).

ვათარიღებთ პირველნაბეჭდის მიხედვით.

ალექსანდრე ორბელიანს მიაჩნია, რომ წარსულის შესწავლა საჭიროა მომავლისათვის. ნამდვილი ისტორიის აღდგენა, მისი აზრით, ან დოკუმენტების შესწავლითაა შესაძლებელი, ან მომსწრე პირთა ნაამბობის მიხედვით. ეს უკანასკნელი ხერხი აქვს მომარჯვებული თვითონ. უმრავლესობას თუ მოსწონდა მისი ნაწერები, იყვნენ ისეთებიც, რომლებსაც ზღაპრად, სიცრუედ, ჭორად მიაჩნდათ მწერლის მონათხორბი ისტორიული ამბები. ასე განუსჯელად დაპირისპირებულები ჰყავს განზოგადებული ერთი მოპაექრის სახით და ყველას ერთად სცემს პასუხს ამ წერილით.

- 91.1. „ან შენსა მოველ, შენსა ტანადობასა ვეტრფიალები და შენი უდასტურო კი არ წავალ“ – ზმებით მიმართავს მოსაუბრე მოსაუბრეს. მასში შეფარვით იკითხება: შენ სამოველ, შენ

სატანა, შენ იუდა. გავრცელებული ზმა ყოფილა საქართველოში და ალექსანდრე ორბელიანის ცნობით, ცოცხლად ყოფილა შემონახული იმერეთში. აკაკი წერეთელსაც აქვს გამოყენებული.

- 91.2. **ბისტიანი თვალი** – ბისტი თეთრი ლაქაა თვალის გუგაზე. ხელს უშლის მხედველობას. ბისტიანი თვალი, ფაქტობრივად, ბრმას ნიშნავს.
- 91.3. **გამოსურმული** – გაშავებული.
- 91.4. **ომან ხერხეულიძე** – იხ „ასპინძის ომი“, კომენტარი №6.
- 91.5. **ზაალ მდივანბეგი** – უკვე მოხუცებული ზაალ მდივანბეგის ნაამბობს სხვაგანაც იხსენებს მწერალი და ისტორიული წყაროს მნიშვნელობას ანიჭებს მას. იხ. „ასპინძის ომი“, კომენტარი № 10.

რუსების დასი ქართულები ჩემზედ (96)

ხელნაწერი: ავტოგრაფი K S:1662

თარიღი: [1862-1868]

ხელმონერა: არა აქვს

პირველი პუბლიკაცია: გაზ. „საქართველო“, 1998 წ. 21 იანვარი.
შესულია აგრეთვე კრებულში: ალექსანდრე ორბელიანი,
„სიტყვა მამულის ტრაპესზედ“, „ლომისი“, თბ., 1999 წ.

სტატიაში ნახსენებია მეფისნაცვალი მიხაილ ნიკოლოზის ძე რომანოვი, რომელიც ამ მოვალეობას ასრულებდა 1862-82 წლებში. თხზულება დაწერილი ჩანს „ველიკი კნიაზის“ (დიდი მთავრის) საქართველოში ჩამოსვლიდან ახლო ხანებში. სქოლიოში ერთ შენიშვნას უზის ავტორისეული თარიღი: 2-ს მაისს 1868-სა წელსა ქ. ტფილის. ამიტომ თხზულებას პირობითად ვათარილებთ ასე: [1862-1868].

- 96.1. **სარდალ ივანეს შვილი ლუარსაბი** – ივანე იყო დავით სარდლის შვილი (იხ. „ალამამადხანის შემოსვლა“, კომენტარი №18). ივანეს ორი ვაჟი ჰყავდა – დავითი და ლუარსაბი. მათი უფროსი და, სალომე გახლდათ პოეტ ალექსანდრე ჭავჭავაძის მეუღლე. მათივე დისპვილია ელიზბარ ერისთავი, 1832

- წლის შეთქმულების ერთ-ერთი მეთაური.
- 96.2. მთავარმართებელ ტორმუსოვთან – ალექსანდრ ტორმასოვი** (1752-1819), საქართველოს მთავარმართებელი 1809-11 წლებში.
- 97.3. ლომისახარ (ხვარამზე) – ალექსანდრე ორბელიანის გამდელი, რომელიც ყმანვილს რუსების (დამპყრობლების) სიძულვილს ასწავლიდა თურმე.**
- 97.4. „დავით აღმაშენებლის დრამაშიც გამოვთქვი მე ის ჩემი გამდელი“ – „დავით აღმაშენებელში“ არაერთი პატრიოტი, სამშობლოს თავისუფლებისათვის მებრძოლი ქალია დახატული, მაგრამ კონკრეტულად რომელ პერსონაჟში იგულისხმა ავტორმა საკუთარი გამდელის თვისებები, ძნელი სათქმელია.**
- 97.5. „ამ ამბებისთვის დავდიოდი ძველ კაცებში... – ალექსანდრე ორბელიანი წარსულს ცოცხალი ინფორმატორების მეშვეობით აცოცხლებდა. ერთსა და იმავე ამბავს სხვადასხვა ადამიანისგან ისმენდა, მათ მონათხრობს ერთმანეთს ადარებდა და ასე ალადგენდა სიმართლეს. ამბებს მწერალს ისინიც უყვებოდნენ, ვინც თავის დროზე ლალატობდა მეფესა და ქვეყანას. ზოგი თურმე სინაულს გამოთქვამდა, რომ მეფის მტრობის გამო ქვეყანა დაღუპა.**
- 98.6. „... საქართველოს განთავისუფლება მითხრეს...“ – იგულისხმება მზადება 1832 წლის შეთქმულებისთვის.**
- 98.7. „როდისაც ვარანცოვი ნამესტნიკათ მოვიდა... დამაბეზღეს იმას...“ – ალექსანდრე ორბელიანს 1862 წელსვე დაწერილი აქვს „ვარანცოვთან ჩემი დაბეზღება“ (იხ. ამავე ტომში).**
- 99.8. „ვითმენდი მხოლოდ ჩემის მამულისათვის“ – გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ ალექსანდრე ორბელიანმა, ერთადერთმა, უერთვულა 1832 წლის შეთქმულების იდეებს. მიაჩნდა, და არც უსაფუძვლოდ, რომ თვითონ რომ არ ყოფილიყო, მამულის გამოხსნის, სახელმწიფოებრიობის აღდგენის იდეას გაქრობა ემუქრებოდა.**
- 100.9. „...სხუა გვარი მოსატყუებელი დრო იყო ჩვენი ვარანცოვისაგან“ – ალექსანდრე ორბელიანის შეხედულება მეფისნაცვალ მიხაილ ვორონცოვისა და მისი ცბიერული პოლიტიკის შესახებ გაზიარებულია ჩვენს თანამედროვე ისტორიოგრაფიაში.**
- 103.10. „როდისაც მურავიოვი მოვიდა აქა...“ – ნიკოლოზ მუ-**

რავიოვი კავკასიის მეფისნაცვალი იყო 1854-1856 წლებში, ვორონცოვის შემდეგ. ადრე იგი მსახურობდა კავკასიაში, როგორც სამხედრო მოხელე. მას უშუალოდ იცნობდა ალექსანდრე ორბელიანი. ალბათ, პირადი ნაცნობობა განაპირობებს მწერლის შედარებით კეთილგანწყობას მეფის ამ მოხელის მიმართ.

- 104.11. **გრიგოლ ბაგრატიონ-მუხრანსკი** – გრიგოლ ივანეს ძე მუხრანბატონი (1797-1861). ქეთევან ბატონიშვილისა და ივანე მუხრანბატონის მესამე ვაჟი. თანამშრომლობდა „ცისკარში“. გარდაიცვალა უშვილო.
- 104.12. „**განათლება ის არის, რომ თქვენი შვილები კარგს სასწავლებლებში გაიზარდნე...“ – ალექსანდრე ორბელიანი არაერთგზის აღნიშნავს თავის თხზულებებში ევროპული განათლების უპირატესობას და ცხოვრების ყველა სფეროში ევროპეიზაციის მომხრეა.**
- 104.13. **ჯუზეპე გარიბალდი (1807-1882)** – XIX საუკუნის იტალიის ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი მეთაური. განსაკუთრებით უყვარდათ ილია ჭავჭავაძესა და სხვა ქართველ სამოციანელებს. იტალიელთა ბრძოლას თავისუფლებისათვის თვალყურს ადევნებდა ალექსანდრე ორბელიანიც და საქართველოში ეროვნული იდეების საქადაგებლად იყენებდა მას. დაწერილი აქვს „სიტყვა იტალიისათვის“ (იხ. ეს გამოცემა, ტ. II).
- 105.14. **კნიაზ ბარატინსკი** – ალექსანდრ ბარიატინსკი 1856-62 წლებში კავკასიის მეფისნაცვალი. შამილის დაპატიმრების გამო მიიღო გენერალ-ფელდმარშლობა და რუსეთის იმპერიის უმაღლესი სამხედრო ჯილდო – ანდრია პირველ-ნოდებულის ორდენი. ცოლად შეირთო ალექსანდრე ორბელიანის ძმისნული – ლიზა (ელისაბედ) დიმიტრის ასული.
- 105.15. „...ნამდვილი ქართულებისთვისა კეთილგამძრახველი დიმიტრი ყიფიანი...“ – დიმიტრი ყიფიანის (1814-1887) ნამდვილქართველობას ჯერ კიდევ 60-იან წლებში ხედავდა და ალინიშნავდა ალექსანდრე ორბელიანი. მოგვიანებით, 70-იან წლებში, ილია ჭავჭავაძე „გამოცანებში“ იტყვის დიმიტრი ყიფიანის შესახებ: „მარტო მას, ვგონებ, ქვეყანა ფეხებზე არა ჰყიდიაო“.
- 106.16. „**ამ გრიგოლის დროსა სრულიად მოვისვენე**“ – გრიგოლ ორბელიანი ალექსანდრე ორბელიანის ნათესავი იყო დედ-

- ის მხრიდანაც და მამის მხრიდანაც.
- გრიგოლ ორბელიანი ბარიატინსკის მეფისნაცვლობის დღის რამდენიმე თვე (როცა ბარიატინსკი საქართველოში არ იმყოფებოდა) ასრულებდა მეფისნაცვლის მოვალეობას.
- 107.17. „გრიგოლს თავისი გაუბედაობით...“** – ალექსანდრე ორბელიანისეული დახასიათება გრიგოლ ორბელიანისა ემთხვევა ილია ჭავჭავაძისეულ დახასიათებას: „მაგრამ გაუბედავია...“
- 107.18. „ზაქარია თავის პირდაპირის ენერგიის გამო...“** – ასე ახასიათებს მწერალი გრიგოლის ძმას, ზაქარია ორბელიანს (1806-1835).
- 107.19. „ილია თავის ყიზილბაშურის ბუნებით...“** – უაღრესად საყურადღებოა მწერლის მიერ ილია ორბელიანის (1815-1853), ბაშკადიკლარის გმირის, სწორედ ამ თვისების – ორბირობის, მედროვეობის, კონფორმიზმის – აღნიშვნა.
- 107.20. „მასუკან ხელმწიფის ალექსანდრეს ძმა მიხეილი დაგვინიშნეს ნამესტნიკათ აქა“** – 1862 წლის ბოლოდან 1882 წლამდე საქართველოს მეფისნაცვალი იყო მიხაილ ნიკოლოზის ძე რომანოვი, იმპერატორ ალექსანდრე II-ის ძმა.

1811-ის წლის ჭირი საქართულელოში (109)

ხელნაწერი: ავტოგრაფი K S:1652-ბ

თარიღი: 1864 წ. 24 აპრილი

ხელმოწერა: თ ~ ა ალექს. ვახ. ძე ჯ. ორბელიანი, 24-ს აპრილს 1864-სა წელსა ქ. ტფილისს

პირველი პუბლიკაცია: XIX საუკუნის ქართველი მოღვაწენი, ქართული ბიოგრაფიული ცენტრი, 25-ტომეულის მთავარი რედაქტორი ზაზა აბზიანიძე, თბ., 2009.

- 109.1. მარტყოფი** – სოფელი აღმოსავლეთ საქართველოში, ქვემო ქართლში, გარდაბნის რაიონში. დასახლებული ყოფილა უძველესი ხანიდან. XV საუკუნიდან აქ იყო კახეთის მეფეთა ერთ-ერთი რეზიდენცია. 1625 წელს მარტყოფის ველზე გაიმართა ქართველთა და სპარსელთა ბრძოლა, რომელიც ქართველთა გამარჯვებით დამთავრდა.

- 110.2. ჩევნი სიძე ბეჟან** – ცოლად ჰყავდა მწერლის მამიდაშვილი, გიორგი ჩოლოყაშვილისა და ეკატერინე ორბელიანის ასული ახუა (ანა).
- 110.3. ჩემი მამიდაშვილი ახუა** – ანა (ახუა) ჩოლოყაშვილი, ეკატერინე ორბელიანის ასული, თადია ჩოლოყაშვილის და.
- 111.4. ყარაბულახი** – სოფელი დმანისის რაიონში.
- 112.5. პატარძეული** – სოფელი საგარეჯოს მახლობლად. იხსენიება ვახუშტი ბატონიშვილის, ომან ხერხეულიძის, თეიმურაზ ბაგრატიონისა და სხვათა ნაშრომებში (გიორგი ლეონიძის მშობლიური სოფელი).

საქართველოს მეფის ირაკლის ძე ლევან (114)

ხელნაწერი: ავტოგრაფი K S: 1655-ბ

თარიღი: 1865 წ., 27 აგვისტო

ხელმოწერა: თ ა. ა. ვახ. ძე ჭ. ორბელიანი, დიდყაბართოს ნალჩიკში.
მინაწერი: ჩემი სიძე დავით ქობულოვი იქ ნაჩალნიკათ რომ გაგზავნეს, ბოლოს მე და ჩემი ცოლიც იმათთან წავედით.

პირველი პუბლიკაცია: „წერილები და მასალები საქართველოს ისტორიისათვის“, I. ს. კაკაბაძე; თბ., 1914 წ.

- 114.1. „...მოურავს დავით ციციშვილსა ჰყუანდა“** – იგულისხმება ერეკლე II-ისა და დარეჯან დადიანის ასული მარიამი (დაას. 1750-1829), რომელიც ცოლად ჰყავდა თბილისის მოურავს, დავით ციციშვილს.
- 114.2. ელენე ბატონიშვილი** – ერეკლე II-ისა და დარეჯან დადიანის ასული (1753-1786). იმერეთის მეფის, სოლომონ I-ის ძმის, არჩილის მეუღლე. მისი შვილია იმერეთის უკანასკნელი მეფე სოლომონ II. შემდეგში ელენე ცოლად გაჰყვა ქიზიყის მოურავს, ზაქარია ანდრონიკაშვილს. ელენეს და ზაქარიას შვილი იყო ხორეშან ანდრონიკაშვილი, დედა გრიგოლ ორბელიანისა.
- 114.3. ანტონ ქათალიკოზი** – ანტონ I (ერისკაცობაში თეიმურაზ ბაგრატიონი. 1720-1788), ალმოსავლეთ საქართველოს კათალიკოსი 1744-56 და 1763-88 წლებში. ქართლის მეფის, ვახტანგ VI-ის ძმის, იესესა და კახეთის მეფის, თეიმურაზ II-ის

დის, ელისაბედის ვაჟი. ერეკლე II-ის მამიდაშვილი. ანტონ კათალიკოსი ევროპული ორიენტაციის მომხრე იყო. იზრდებოდა თელავში, სამეფო სასახლეში. მიიღო ფართო განათლება. იყო მეცნიერი, მწერალი, გრამატიკოსი – სასულიერო და საერო მოღვაწე. გვერდით ედგა ერეკლე II-ს მეფის ხელისუფლების განმტკიცებისათვის ბრძოლაში, ილვწოდა საქართველოს გაერთიანებისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნებისთვის. იმის გამო, რომ ძალიან დაუახლოვდა თბილისში მყოფ კათოლიკე მისიონერებს (კაპუცინელებს), დაუპირისპირდა მეფე თემურაზ II და ანტონი რუსეთში გაიხიზნა (თემურაზის მიერ კათოლიკეთა წინააღმდეგ ბრძოლა აღწერილი აქვს ალექსანდრე ორბელიანს თხზულებაში „კაპუცინთა პატრიების შეთქმა“). თემურაზის გარდაცვალების შემდეგ მისმა ვაჟმა, ერეკლე II-მ ანტონი დაბრუნა საქართველოში და საეკლესიო კრებამ იგი კვლავ კათალიკოსად აირჩია. „... მგონია, ისიც სანამლავით გაათავეს“, – ვარაუდობს მწერალი. ანტონ კათალიკოსის მონამვლის ვერსია მეცნიერულად დადასტურებული არ არის, მაგრამ ალექსანდრე ორბელიანის ვარაუდი თავისთვად ძალიან საგულისხმოა.

114.4. ბატონიშვილი ლევან – ლევან ბატონიშვილი (1756-1781) ერეკლე II-ისა და დარეჯან დადიანის უფროსი ვაჟი (მანამდე ცოლ-ქმარს რამდენიმე ქალი ჰყავდა). ერეკლეს იგი ემდებოდა სამეფო ტახტზე თავის შემცვლელად. 1772-74 წლებში ანტონ კათალიკოსთან ერთად მივლინებული იყო რუსეთში. ამ ელჩობის შემდეგ ლევანი დაინიშნა „რეგულის“ (მორიგე ჯარის) უფროსად. ამ ასპარეზზე განსაკუთრებით ისახელა თავი. თითქმის შეწყდა ლევანისნაბა. ლევან ბატონიშვილი კი ფოლებორის გმირადაც იქცა. 25 წლისა, 1781 წლის 12 თებერვალს მოულოდნელად გარდაიცვალა სოფელ ვეჯინში (ალექსანდრე ორბელიანის ცნობით, სოფელ ველისციხეში). მწერლის მტკიცებით, ეს იყო პოლიტიკური ბკვლელობა – ლევან ბატონიშვილი მონამლეს ერეკლესა და საქართველოს მტრება.

114.5. „ორნი გონიერები რუსეთში გაგზავნა ეკატერინა ხელმწიფის კარზედ“ – იგულისხმება ქართული დელეგაციის რუსეთში ელჩობა 1772-74 წლებში.

114.6. „მოიგონეს მორიგე წესიერი ჯარი“ – მორიგე ჯარი ანუ რეგული ჩამოყალიბდა 1774 წელს და მას მეთაურობბდა ლე-

ვან ბატონიშვილი. ლევანის მკვლელობის (1881 წ.) შემდეგ ფაქტობრივად მორიგე ჯარმაც შეწყვიტა არსებობა.

- 115.7. ბატონიშვილი გიორგი – შემდეგ საქართველოს მეფე გიორგი XII (1746-1800).** ერეკლე II-ის უფროსი ძე, ანა აბაშიძისგან ნაყოლი. მამას გიორგი არ მიაჩნდა ლირსეულ მემკვიდრედ. ფიქრობდა, რომ იმ უაღრესად რთულ ვითარებაში, რომელშიც საქართველო იმჟამად იმყოფებოდა, გიორგის რბილი ხასიათი, გადაჭარბებული ლვთისმოსაობა, მიმნდობლობა და სხვა ვერ შეუწყობდა ხელს სახელმწიფოს მტკიცე ხელით მართვაში. ამას ემატებოდა ისიც, რომ ტახტზე ასვლამდე გიორგი უკვე მძიმედ ავადაც იყო. ამიტომაც გადაწყვიტა ტახტის მემკვიდრეობით გადაცემის წესის შეცვლა. სურდა, გიორგის მერე მომდევნო ვაჟი, ლევანი გამეფებულიყო.
- 115.8. „თავის გონიერის ცოლით ქეთევანით“ – ქეთევან ანდრონიკაშვილი (1754-1782), გიორგი მეთორმეტის პირველი მეუღლე. მის ძმას, რევაზ ანდრონიკაშვილს, არაერთხელ ახსენებს ალექსანდრე ორბელიანი, როგორც ერეკლესა და საქართველოს მოღალატეს. მწერლის ცნობით, მეფე-დედოფალს განსაკუთრებით ჰყვარებიათ თავიანთი ჭკვიანი, მამაცი, ერთგული რძალი – ქეთევანი.**
- 117.9. „ენდრონიკანთ ქალი ელენე“ – ლევან ბატონიშვილის მეუღლე, ქაიხოსრო ანდრონიკაშვილის ასული, ზოგ წყარში მოხსენიებულია, როგორც ნინო. ალექსანდრე ორბელიანი მას ელენედ იხსენიებს. ეს ქალი გიორგი XII-ის ცოლის, ქეთევან ანდრონიკაშვილის ნათესავი ყოფილა და ლევანისთვისაც მას გაუცვნია.**
- 117.10. „დედიდა ჩემი ქეთევან ბატონიშვილი და დედაჩემი“ – ქეთევან და თეელა ბატონიშვილები, დეიდა და დედა მწერლისა. ორივე წერდა ლექსებს. ქეთევანი, იოანე მუხრან-ბატონის მეუღლე, დაპატიმრებული იყო 1804 წლის მთიულეთის აჯანყების მზადებაში მონაწილეობისთვის, კერძოდ, ბრალად ედებოდა ძმასთან, ალექსანდრე ბატონიშვილთან მიმოწერა და თხოვნა, რომ მალე ჩამოსულიყო საქართველოში.**

1829-სა ნელსა არეულობა საქართველოში (123)

ხელნაწერი: ავტოგრაფი K S:1656-ა

თარიღი: 1865 წ. 27 ნოემბერი

ხელმოწერა: თ~ა ალექსანდრე ვახტანგის ძე კ. ორბელიანი
27-ს ნოემბერს 1865-სა ნელსა

ქ. ტფილისს.

მინაწერი: ეს ძრიელ საჭირო და სასარგებლო ჰაზრი არის, მარამ
ორი თევზი რომ ერთს ტაფაში იყვნენ, მაინც ერთობა უნდა ერ-
ქვათ. საქართველო შესდგება ქართველთა და სომეხთაგან და
სჯობს, რომ ერთის ხმით იყოს ერთგულობის გამოჩენა და საქმის
წარმოება.

ძნელი სათქმელია, ეს მინაწერი ვისია. იმავე მკრთალი ფანქრითა
და ხელნერითაა, როგორითაც მეორე სქოლიო. ტექსტში სქოლიოს
ნიშანი არ უზის. ის სქოლიო და ეს აბზაცი ერთმანეთს ავსებს და
ძირითად ტექსტს არ უკავშირდება.

პირველი პუბლიკაცია: ჟ. „საისტორიო მოამბე“, 1960 წ. (ავთანდილ
იოსელიანის პუბლიკაცია).

**123.1. „1826-სა ნელსა უეცრათ დიდი სპარსეთისა ჯარით წამოვ-
იდა აბაზმირზა“** – აბას-მირზა (1789-1833). ირანის დიდი
სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე. ირანის ტახტის მემ-
კვიდრე. ფაქტობრივად ირანის საშინაო და საგარეო საქმეთა
გამგებელი. მთავარ ამოცანად მიაჩნდა ამიერკავკასიდან
რუსების განდევნა. სარდლობდა ირანის არმიას რუსეთ-
ირანის პირველი (1804-13 წლები) და მეორე (1826-28 წლები)
ომების დროს.

123.2. „თ~ა ნიკოლოზ ფალავანდოვს დაეწერა“ – ნიკოლოზ იოსე-
ბის ძე ფალავანდიშვილი (1790-1855). თბილისის სამოქალაქო
გუბერნატორი. ძმა 1832 წლის შეთქმულების გამცემის, იასე
ფალავანდიშვილისა. რუსული ენის კარგი ცოდნისა და რუსე-
თის ერთგულების გამო საქართველოს მთავარმართებელთა
ნდობით სარგებლობდა. ცოლად ჰყავდა მარიამ ლუარსაბის
ასული ორბელიანი.

123.3. ერმოლოვი – ალექსი პეტრეს ძე (1777- 1861). რუსი სამხე-
დრო და სახელმწიფო მოხელე. 1816-27 წლებში საქართვე-
ლოს მთავარმართებელი. ბოროდინოს ბრძოლის მონაწილე.

გენერალ-ინფორმატიკერი.

- 124.4. **პასკევიჩი** – ივან თედორეს ძე (1782-1856). საქართველოს მთავარმართებელი 1827-31 წლებში. 1826-28 წლებში რუსეთ-ირანისა და 1828-29 წლებში რუსეთ-ოსმალეთის ომების დროს კავკასიის ჯარების მთავარსარდალი. 1828 წელს ომში მიღწეული წარმატებების გამო მიენიჭა ერევნის გრაფის წოდება. მოხსენიებდნენ პასკევიჩ-ერევანსკიდ.
- 124.5. **რომან ბაგრატიონი** – რომან (რევაზ) ივანეს ძე ბაგრატიონი (1778-1834). რუსეთის არმიის გენერალ-მაიორი. მხედართმთავარ პეტრე ბაგრატიონის უმცროსი ძმა. 1828 წელს დაინიშნა თბილისის მაზრის გუბერნატორის თანაშემწედ. 1832 წელს მის სახლში დაიდგა ალექსანდრ გრიბოედოვის „ვაი ჭკუისაგან“. რომან (რევაზის) შვილია ნიკოლოზ ბარათაშვილის გიმნაზიისდროინდელი მეგობარი პეტრე ბაგრატიონი.
- 124.6. **პეტრე ბაგრატიონი** – პეტრე ივანეს ძე ბაგრატიონი (1765-1812). რუსეთის არმიის გენერალ-ინფორმატიკერი. 1812 წლის საფრანგეთ-რუსეთის ომის (ბოროდინოს) გმირი.
- 125.7. „**ნაჩალნიკს შტაბს სუხტილინსა უბანა**“ – მოხსენიებული არ ჰყავს რუს ნაცნობებში (იხ. [ჩემი რუსი ნაცნობები], ამ გამოცემის ტ. IV).
- 125.8. „**უეზდის კეთილშობილთ წინამძღოლელი ვიყავ**“ – 1828 წელს ალექსანდრე ორბელიანი აირჩიეს თბილისის მაზრის თავადაზნაურობის წინამძღოლად, 1829 წელს – საქართველოს უმაღლესი მთავრობის სააღმასრულებლო ექსპედიციის მრჩევლად ანუ, როგორც მაშინ ეძახდნენ, „სოვეტნიკად“.
- 125.9. „**ღუბერსკის წინამძღოლელად იყო ღენერალ-მაიორი თა კონსტანტინე ბაგრატიონ-მუხრანს კი**“ – კონსტანტინე მუხრან-ბატონი (1779-1842). ალექსანდრე ორბელიანის დეიდაშვილი, ქეთევან ბატონიშვილისა და იოანე მუხრან-ბატონის უფროსი ვაჟი, შემდეგ მამა თბილისის გუბერნიაში ყველაზე შსხვილი მემამულის, ივანე მუხრან-ბატონისა. 1830 წელს აირჩიეს გუბერნიის მარშლად (წინამძღოლად). გარდაიცვალა ამ თანამდებობაზე ყოფნის დროს, 1842 წელს.
- 125.10. **ღენერალ-ლეიტენანტი თა გიორგი იასეს ძე ქსნის ერისთოვი** – სხვა გიორგი ერისთავებისაგან გასარჩევად წოდებულია „სენატორად“ (1760-1863). ქსნის ერისთავის, იასე ყულარალასის შვილის, იესეს ვაჟი. ცოლად ჰყავდა გიორგი XII-ის ასული გაიანე. „ეს გიორგი ბოლოს ღენერ-

ალ ოტინფატერი შეიქნა რუსეთისაო“, – წერს ალექსანდრე ორბელიანი სტატიაში „მეფის ირაკლის მეორის დროს ცოცოტა ამბები“ და ერევლეს მონინააღმდეგეთა დასში მოიაზრებს მასაც.

- 125.11. **ლენერალ-მაიორი თავანე აფხაზი** – ივანე ნიკოლოზის ძე აფხაზი (1785-1831). ეს ის ივანე აფხაზია, რომელთან დიალოგიც დაწვრილებითა აქვს გადმოცემული გრიგოლ ორბელიანს მხატვრულ-დოკუმენტურ თხზულებაში „მგზავრობა ჩემი ტფილისიდამ პეტერბურლამდის“. პოლონეთის აჯანყების ჩასახშობად იქ მიმავალი ივანე აფხაზი და ნოვგოროდში სამხედრო დავალებით მიმავალი გრიგოლ ორბელიანი გზაში შეხვდენ ერთმანეთს. ივანე აფხაზმა პოლონეთამდე ვერ მიაღწია და გზაში გარდაიცვალა.
- 125.12. **თავადნი: ლუარსაბ, ასლან, იაკობ, ქაიხოსრო ჭა. ორბელიანები** – ყველანი ალექსანდრეს ნათესავები არიან. ნახსენები ჰყავს იმ თხზულებებშიც, რომლებშიც საგვარეულო გადმოცემებს გვაცნობს.
- 125.13. **თავადნი: დავით, მელიტონ, გოგია ბარათაშვილები, თავრიგოლ ჩოლოყაშვილი** – ალექსანდრე ორბელიანი თანამედროვენი. მათ შორის, მელიტონი ნიკოლოზ ბარათაშვილის მამა.
- 126.14. **ლუბერნატორს ზავილეიცის** – პეტრე დემიანის ძე ზავილეისკი (18??-1843), რუსი მოხელე, წარმოშობით პოლონელი. 1829 წელს დაინიშნა საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორად. ახლო ურთიერთობა ჰქონდა ოქროპირ ბატონიშვილთან, ალექსანდრე ჭავჭავაძესთან, ალექსანდრე ორბელიანთან და სხვებთან. მონაწილეობდა 1832 წლის შეთემულებაში. არ დაუპატიმრებიათ, მაგრამ გადაიყვანეს პეტერბურგში და დაუწესეს საიდუმლო მეთვალყურეობა. გარდაიცვალა პეტერბურგში, 1843 წელს.
- 126.15. „პატრიარქის ნერსესის შკოლა რომ არის“ – იგულისხმება სომხური სასულიერო სემინარია თბილისში. დღევანდელი კავკასიის უნივერსიტეტის შენობა (პაატა სააკაძის 1).
- 127.16. **ქალაქის კამერალიის აღნერა** – იგულისხმება, კამერალური აღნერა, რომელიც რუსეთის ხელისუფლების თაოსნობით რამდენჯერმე ჩატარდა. ამ აღნერებში მოცემულია კომლები, მათი სულობრივი, ეროვნული შემადგენლობა, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და სხვა.

- 131.17. თეიმურაზ მუხრანბატონი** – მწერლის დეიდაშვილი, კონსტანტინე მუხრან-ბატონის ძმა. დედასთან ერთად მონაწილეობდა 1804 წლის მთიულეთის აჯანყებაში. თეიმურაზი, მისი და ბარბარე, მათი დედა – ქეთევან ბატონიშვილი ალექსანდრე ორბელიანის დედასა და ცოლ-შვილთან ერთად იყვნენ გახიზნულნი ქალაქიდან ხოლერის დროს (იხ. ამ ტომში „პირველი ხოლერა აქ, ქ. ტფილისში“).

- 131.18. ნაქულბაქევის მთა** – დიღმის ველის ჩრდილოეთით.

დალისტნილგან ლეკების გამოსვლა ახალციხეში (134)

ხელნაწერი: ავტოგრაფი K S:1655-ა

თარიღი: 1865 წ.

ხელმოწერა: დეკენბერს 1865-სა წელსა, ქ. ტფილისს.

პირველი პუბლიკაცია: ცალკე წიგნად გამოსცა სარგის კაკაბაძემ 1914 წელს.

„მეფე“ სადაც შემოკლებულიადა წერია „მ.“, ყველგან გავხსენით და სიტყვა სრულად დავწერეთ. თუმცა მწერლის სტილისთვის დამახასიათებელია: „ზალ“ ფორმა, მაგრამ ხელნაწერში სადაც შეგვხვდა „ზალ“, შეუცვლელად გადმოვიტანეთ. ქარაგმები გავხსენით გარდა სიტყვისა „თა“. მკითხველისთვის არანაირ დაბრკოლებას არ წარმოადგენს ქარაგმაში სიტყვა „თავადის“ ამოკითხვა. ეს ერთი შევინარჩუნეთ, როგორც განსაკუთრებული მახასიათებელი მწერლის სტილისა.

135.1. „ირაკლი, თხუტმეტის წლისა...“ – იგულისხმება თხუტმეტი წი წლის ერეკლე ბატონიშვილის მიერ გადახდილი პირველი ბრძოლა ლეკოსმალთა წინააღმდეგ წეიშნის მიხდორზე და ქართველთა გამარჯვება. ეს ისტორიული მოვლენა უდევს საფუძვლად ალექსანდრე ორბელიანის პიესას „ბატონიშვილის ირაკლის პირველი დრო...“ ამავე თემაზეა დაწერილი აკაკი წერეთლის „პატარა კახი“. მცირე ასაკის გამო მაშინ შეარქვა ხალხმა სიყვარულით მომავალ მეფეს „პატარა კახი“ და ეს სახელი, ნდობისა და პატივისცემის გამომხატველი, შერჩა სიცოცხლის ბოლომდე.

- 137.2. „იმერეთიდგან დესპანები რომ მოუვიდა მეფეს ირაკლი-სა“** – 1790 წელს თბილისში დაიდო „ივერიელთა ერთობის ტრაქტატი“, რომელიც ითვალისწინებდა ქართლის, კახეთის, იმერეთის, ოდიშისა და გურიის გაერთიანებას საერთო მტრის წინააღმდეგ. ექვსი მუხლისგან შემდგარ ტრაქტატს ხელს აწერდნენ მეფე ერეკლე, დედოფალი დარეჯან, კათალიკოსი ანტონ და ვიცე-კანცლერი სოლომონ ლიონიძე.
- 139.3. „მოვალენი ვართ სიმართლისა“** – ეს ალექსანდრე ორბელიანის მწერლური კრედოა. საკუთარი წინაპრების ნაკლსაც არ მალევდა და მოითხოვდა, წარსულის შეულამაზებლად, შეუფერადებლად გადმოცემას, რათა მართლად გვცოდნოდა ჩვენი ავიცა და კარგიც.
- 140.4. „თუ ერევანი... ისე ადვილათ შეიძინა“...** – 1749 წელს ნადირ-შაპის მკვლელობაში მონაწილე მაჰმად ხანმა ერევნის სახანოს წინააღმდეგ გაილაშქრა. ერევნელებმა დახმარება სთხოვეს ერეკლე II-ს, ქართველმა მეომრებმა ბრძოლაში დაამარცხეს სპარსელები და ერეკლემ ერევანი საქართველოს მოხარედ აქცია.
- 140.5. „მეფე ირაკლიმ მორიგე რომ შემოიღო...“** – 1774 წელს ერეკლე მეორემ შემოიღო რეგულარული სამხედრო სამსახური – მორიგე ჯარი, რომელსაც რეგულს უწოდებდნენ. სათავეში ჩაუყენა ლევან ბატონიშვილი. ამ ჯარის მეოხებით მართლაც მოხერხდა ლეკითა თარეშის ალაგმვა საქართველოში. 1781 წელს მოკლეს ლევან ბატონიშვილი, რის შემდეგაც მორიგე ჯარმა რამდენიმე წელით კიდევ იარსება და 1787 წლიდან კიდეც გაუქმდა.
- 141.6. „მარკოზაშვილის დარბაზი“** – 1765 წელს გამუღავნდა ერეკლეს წინააღმდეგ მოწყობილი შეთქმულება, რომელსაც ქართლის მეფის, ვახტანგ VI-ის ვაჟი, პაატა ბატონიშვილი (1720-1765) მეთაურობდა. მარკოზაშვილის დარბაზი იყო შეთქმულთა თავშეყრის ადგილი – სავარაუდოდ, ერთ-ერთი გლეხის, მარკოზაშვილის, საცხოვრებელი სახლი. შეთქმული თავადები მეფემ სასტიკად დასავა, თავი მოპკვეთეს პაატა ბატონიშვილსა და სხვებს, ხოლო დაბალი ფენების წარმომადგენლებს, რომლებიც აგრეთვე მონაწილეობდნენ შეთქმულებაში, სასჯელი არ შეხებიათ.
- 142.7. დავით ბატონიშვილი** – იხ. „აღამამადხანის შემოსვლა ქალაქ ტფილისში“, კომენტარი 3.

- 143.8. სოლომონ მსაჯული – სოლომონ ლიონიძე (1754-1811), მეფის მრჩეველი. იბრძოდა საქართველოს გაერთიანებისათვის, მონანილეობდა საქართველოს საშინაო და საგარეო საქმეების გადაწყვეტაში, ზრუნავდა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური, სამხედრო, კულტურული განვითარებისთვის. მოშურნეებმა უკამაყოფილება ჩამოაგდეს ერეკლესა და სოლომონს შორის. კრწანისის ომის შემდეგ ერეკლემ შეირიგა სოლომონი. გიორგის გარდაცვალების მერე კი ისევ იძულებული გახდა, იმერეთში გადახვენილიყო. 1811 წელს იმერეთიდან გაქცეული სოლომონი ახალციხეში მონამდეს და იქვეა დაკრძალული.**
- 145.9. „მეფე ვახტანგმა დაანგრია საქართულო“ – ვახტანგ VI-ის საგარეო პოლიტიკას სხვა თანამედროვენიც ინუნებდნენ და აკრიტიკებდნენ. „მესამე კიდევ მოიპა, ორი საბელი თავს ებაო“, – წერდა გურამიშვილი. „ბევრნი ბევრს რასმე იტყოდენ, მაგრამ ვინ მოუსმინებდა?/ მეფე იყო იყო და ბრძანებდა, იქმნდა, რასაც ინებდა!“ (დავით გურამიშვილი, დავითიანი, ქართული მწერლობა, ტომი მევიდე, თბილისი, 1989, გვ. 382).**
- 146.10. „ის ამბავი „ცისკარში“ მაქვს ალწერილი“... – იგულისხმება „ცისკარში“ 1859 წლის №4-ში გამოქვეყნებული წერილი ალექსანდრე ორბელიანისა „შეთქმა მეფეს ირაკლის მეორეზე საქართველოში.“**
- 146.11. აბდულაბეგი – იესე ქართლის მეფის (ვახტანგ VI-ის ძმის) შვილი, არჩილი, გამაჰმადიანების შემდეგ – აბდულა-ბეგი. სპარსეთის ხელისუფლებამ აბდულა-ბეგი სხვადასხვა დროს დანიშნა ჯერ გორის, შემდეგ კი თბილისის ნაიბად ანუ გამგებლად. ხოლო 40-იანი წლების დამდეგს თბილისში მჯდომი სპარსეთის ხანის მრჩევლად. 1744 წელს საუფლისწულო მამულად ქვემო ქართლი გადასცეს. 1747 წელს ქართლის მეფე თეიმურაზ II სპარსეთში ნადირ-შაჰთან გაემგზავრა, ქართლის მმართველად კი თავისი ძე, ერეკლე II დატოვა. ხოლო მის დამხმარედ აბდულა-ბეგი დანიშნა. აბდულამ გამეფება მოინდომა და უცხოტომელთა დახმარებით ერეკლე II-ს დაუპირისპირდა და ერთნელიან ომში დამარცხდა (ამ საკითხის შესახებ იხ. ნიკო ჯავახიშვილი, 1765 წლის შეთქმულების მონაწილეთა იდენტიფიკაციისათვის, ისტორიის ინსტიტუტის შრომები, VII, თბ., 2013).**
- 149.12. იოსებ არლუთაშვილი – იხ. „აღამამადხანის შემოსვლა“,**

კომენტარი №7.

- 152.13. ოთხი ზაალი – ეს ოთხი ზაალი, რომლებიც დასახელებული ჰყავს ალექსანდრე ორბელიანს, ქებით ჰყავს აგრეთვე მოხსენიებული გრიგოლ ორბელიანს „საფლეგრძელოში“: „და მეფის ძალნი, ოთხი ზაალნი, / თითო ერთ ჯარად დაფასებულნი!“

მეფის ირაკლის მეორის დროის ცოცოტა ანბები ანუ ზოგიერთი მაშინდელი პირნი (155)

ხელნაწერი: ავტოგრაფი K S:1654

თარიღი: 1866 წ. სექტემბერი

ხელმოწერა: თა ა. ვახ. ძე ჯ. ორბელიანი, სეკტენბერს 1866-სა წელსა. ქ. ტფილისს.

პირველი პუბლიკაცია: სარგის კაკაბაძე, „წერილები და მასალები საქართველოს ისტორიისათვის“, წიგნი I, თბ., 1914.

„რასაკერძოა“ ფორმის ნაცვლად ყველგან გამოვიყენეთ „რასაკეირველია“

პარალელური ფორმები: ანბავი || ამბავი; ამილახუარი || ამილახვარი დავტოვეთ, როგორც ხელნაწერშია.

მიმბაში – ათასისთავი;

მისკარბაში – მონადირეთუხუცესი;

ეშიკალასბაში//ეშიკალაბაში – მეფის კარზე წესისა და რიგის მეთვალყურე, სასახლის გამრიგე, ადრინდელი მანდატურთუხუცესი.

განმარტებები ამოღებულია წიგნიდან „მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის“, დანართი, შეადგინა მამისა ბერძნიშვილმა, თბ., 1957 წ.

155.1. ქაიხოსრო სარდალი (?-1747). – ქართლის მდივანბეგი. ლუარსაბის ძე. ასლანის შვილიშვილი. სომხით-საბარათიანოს სარდალი. ქაიხოსრო სარდლის (ორბელიანის) შვილი იყო რევაზი, რევაზის შვილი – დავით სარდალი, ერეკლე მეფის ასული, თამარი ჰყავდა ცოლად. მისი შვილია იოანე სარდა-

- ლი, ამისი შვილი – სალომე ორბელიანი, რომელიც ალექსან-დრე ჭავჭავაძეს ჰყავდა ცოლად.
- 155.2. დიმიტრი ეშვალაბაში** – ორბელიანი (?-1776), თამაზ ჯამბაკ-ურ-ორბელიანის შთამომავალი, მამუკას ძე. ცოლად ჰყავდა ანა ბატონიშვილი, თეიმურაზ II-ის ასული(1722-1788), ერ-ეკლე II-ის და.
- 158.3. მეითარი სოლომონ თარხნიშვილი** – იხ. „ასპინძის ომი 1770-სა წელსა“, კომენტარი 9.
- 158.4. გიორგისა და მის ძმებზე საუბრობს** – მყვირალად და ქალ-ალდის (კარტის) მოთამაშედ იგულისხმება ზურაბ (დიმიტრი) ორბელიანი – გრიგოლ ორბელიანის მამა.
- 158.5. დიმიტრი ორბელიანი** – ალექსანდრე ორბელიანის პაპა. მოკვდა საგურამოში ლეკების წინააღმდეგ ომში.
- 158.6. ლევან ბატონიშვილი** – იხ. „საქართველოს მეფის ირაკლის ძე ლევან“, კომენტარი 4.
- 159.7. თამაზ ეშვალაბაში** – ერეკლე II-ის დის, ანასა და იმისი ქმ-რის, დემეტრე (დიმიტრი) ეშვალაბაშის შვილიშვილი. მამამი-სი, მამუკა, ახალგაზრდა გარდაიცვალა.
- 159.8. ჭაბუა დიანბეგი** – იხ. „პლატონ იოსელიანსა“, კომენტარი №27.
- 159.9. ქეთევან ქობულაშვილი** – თამაზ ორბელიანის მეულლე.
- 159.10. ზაალ ორბელიანი** – ზაალ დემეტრეს ძე ორბელიანი (ყაფლანიშვილი). ასპინძის ბრძოლის (1770 წ.) აქტიური მონაწილე. მერე ვახტანგ VI-ის შთამომავლებთან გააბა საიდუმლო კავშირი და დაუპირისპირდა ერეკლეს. მეფემ დააპატირა. მოგვიანებით აპატია დანაშაული და პატიმ-რობიდან გაათავისუფლა. ცოლად ჰყავდა სოფიო, იესე ქსნის ერისთავის ასული, დავით ქსნის ერისთავის დაი. ერთ-ერთია იმ ოთხი ზაალიდან, რომელთა იმედიც ყველ-გან ჰქონდა ერეკლეს.
- 159.11. დავით ქსნის ერისთავი** – ამის და ჰყავდა ცოლად ზაალ ორბელიანს.
- 160.12. რევაზ ენდრონიკაშვილი** -იხ. „აღა-მამად-ხანის შემოსვ-ლა“, კომენტარი 3.
- 161.13. ზაქარია ენდრონიკაშვილი** – იხ. „აღა მამადხანის შემოსვ-ლა“, კომენტარი 23.
- 161.14. ელიაზარ ფალავანდიშვილი** – იხ. „აღამამდხანის შემოსვ-ლა“, კომენტარი 37.

- 161.15. გიორგი ციციშვილი** – ხათა გოგია. ყურები ჰქონდა დასხე-
ეპილი დალატის გამო. მისი შვილი, მარიამი იყო გიორგი
XII-ის მეორე ცოლი. იხ. „აღა მამადხანის შემოსვლა“, კო-
მენტარი 5.
- 163.16. ასლან ორბელიანი** – იხ. „მამიჩემისაგან დალატი მეფე
ირაკლისა“, კომენტარი 15.
- 163.17. დავით სარდალი** – იხ. „აღა მამადხანის შემოსვლა“, კომენ-
ტარი 17.
- 163.18. ივანე სარდალი** – იხ. „აღა-მამადხანის შემოსვლა“, კომენ-
ტარი 9.
- 164.19. გაიანე ბატონიშვილი** – გიორგი XII-ისა და ქეთევან ან-
დრონიკაშვილის ასული. ცოლი იყო გიორგი ქსნის ერი-
სთავის შვილისა.
- 164.20. გარსევან ჭავჭავაძე** – იხ. „აღა-მამადხანის შემოსვლა“,
კომენტარი 8.
- 165.21. არაჩიურთი იოსებ არლუთაშვილი** – იხ. აღა-მამადხანის
შემოსვლა“, კომენტარი 7.
- 165.22. მირიან ბატონიშვილი ერეკლეს ძე**. მოლალატედ და რუ-
სოფილად მიაჩნია ალექსანდრე ორბელიანს. მას გამოატა-
ნა „დავითიანი“ საქართველოში დავით გურამიშვილმა.
- 165.23. იულონ ბატონიშვილი** – იხ. „აღა-მამადხანის შემოსვლა“,
კომენტარი 6.
- 167.24. მთავარმართებელი კნიაზ ციციანოვი** – პავლე დიმიტრის
ძე (1754-1806). რუსეთის არმიის გენერალ-ინფანტერი. საქართველოს მთავარმართებელი 1802-06 წლებში.

თავი ამილახვრის გაქცევა ქ. ტფილისიდგან (179)

ხელნაწერი: ავტოგრაფი K S:1653-პ
თარიღი: 1867 წ. 9 მაისი.

ხელმოწერა: თავა. ვახ. ძე ჯ. ორბელიანი, 9-ს მაისს 1867-სა წელსა
ქ. ტფილისს.

პირველი პუბლიკაცია: სარგის კაკაბაძე, „წერილები და მასალები
საქართველოს ისტორიისათვის“, წიგნი I, თბ., 1914.

179.1. ელიზბარეშვალაბაში-ვახუშტისძე, ორბელიანი(1703-1744).

ალექსანდრე ორბელიანის წინაპარი – პაპამისის, დიმიტრის, მამა. ნადირშაპმა შეიცყრო და ჩამოახრჩო.

179.2. გეფე ვახტანგი – იგულისხმება ვახტანგ VI.

180.3. ქაიხოსრო სარდალი – იხ „მეფის ირაკლის მეორის დროის ცოცოტა ანბები“, კომენტარი 1.

181.4. ნადირშა – (1688-1747). მის ძმისნულს ჰყავდა ცოლად ერკელე II-ის და, ქეთევანი. 1736 წლიდან ირანის შაჰია. 1735 წელს დაამყარა ყიზილბაშობა ქართლის სამეფოში და მძიმე ხარკი შეაწერა ქართლს. ამ მდგომარეობამ 1747 წლამდე გასტანა. ნადირ-შაჰის მხარდაჭერით სარგებლობდნენ თეიმურაზ II და ერკელე II. ყმაწვილი ერეკლე ნადირ-შაჰს ახლდა ლაშქრობებში. მათ შორის – ინდოეთშიც. 1747 წელს მოკლეს ხორასანში შეთქმულებმა.

181.5. გივი ამილახვარი – ანდუყაფარის ძე(1689-1754). ცოლად ჰყავდა ელიზბარ ორბელიანის და, ბანგუა ვახუშტის ასული.

181.6. ბაქარი – ვახტანგVI-ის ძე (1699-1750). 1724 წელს მამასთან ერთად რუსეთში წავიდა და შერე იქ დასახლდა. რუსეთის არმიის გენერალი და ამავე დროს ქართველი საზოგადო მოღვაწე. რუსეთში ვახტანგი და ბაქარი გრუზინსკებად იწოდებოდნენ. ბაქარმა მონანილეობა მიიღო მოსკოვში ქართული სტამბის აღდგენაში. დაკრძალულია მოსკოვის დონის მონასტერში.

182.7. პაპუნა ორბელიანი – ისტორიკოსი, გიორგი ყაფლანის ძე ორბელიანის შთამომავალი(შვილიშვილი). ყაფლანი – გიორგი- გორჯაასპი – პაპუნა.

მამიჩემისაგან ღალატი მეფის ირაკლისა (183)

ხელნაწერი: ავტოგრაფი K S:1652-ა

თარიღი: 1867 წ. 24 მაისი.

ხელმოწერა: თავი ალ. ვახ. ძე ჯ. ორბელიანი, 24-ს მაისს 1867-ს წელს ქ. ტფილისს

პირველი პუბლიკაცია: სათაური – „მოგონება ალექსანდრე ორბელიანისა თავის მამის ვახტანგ ორბელიანის შესახებ“, თბ., 1914 წ. („სორაპანი“). ნაწყვეტი ამ თხზულებიდან გამოქვეყნდა გაზ. „კვალში“, 1895 წლის №39-ში სათაურით „ირაკლი II-ის შვილიშვი-

ლის თ. ალ. ჯამბაკ. ორბელიანის დღიურიდან“ [აღა-მაჰმად-ხანის მიერ თბილისის აღების შესახებ].

- 183.1. აღა-მაჰმადხან – აღა-მაჰმად-ხანი (1742-1797).** ირანის გამგებელი 1794 წლიდან, შაჰი – 1796 წლიდან. ყავართა დინასტიის დამაარსებელი. გამოირჩეოდა თავისი ულმობლობით. 1795 წელს გამოილაშქრა საქართველოს წინააღმდეგ. დაარბია თბილისი (კრნანისის ომი). 1797 წელს, ამიერკავკასიაზე მეორედ ლაშქრობის დროს მისმა მსახურებმა მოკლეს შუშაში.
- 183.2. მეფე ირაკლი – ერეკლე II (1720-1798), თეიმურაზ II-ის ძე. 1744-62 წლებში კახეთის, ხოლო 1762-98 წლებში ქართლ-კახეთის მეფე.**
- 183.3. ნადირშა – იხ. „თა გივი ამილახვრის გაქცევა ტფილისი-დან“, კომენტარი 5.**
- 183.4. მამაჩემი – პოლკოვნიკი ვახტანგ ორბელიანი.**
- 183.5. ყარაბულახი –** სოფელი ივრის პირას. ახლა საგარეჯოს მუნიციპილიტეტის სოფელი ხაშმი. შემორჩენილია ჩოლოყაშვილების სასახლე და წმ. ნიკოლოზის კარის ეკლესია.
- 184.6. ბატონშვილი გიორგი – ერეკლე II ისა და ანა აბაშიძის შვილი. მეფის უფროსი ვაჟი. შემდეგ ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფე გიორგი XII (1746-1800).**
- 184.7. რევაზ ანდრონიკვაშვილი – იხ. „აღამამადხანის შემოსვლა“, კომენტარი 4.**
- 184.8. ეკატერინე და გუქა –** პოლკოვნიკ ვახტანგ ორბელიანის დები, მნერლის მამიდები. ეკატერინეს (1771-1817) მეუღლე იყო გიორგი ჯამასპის ძე ჩოლოყაშვილი. გუქას მეუღლე – აზნაური გორჯასპი ნათალიშვილი. ორივე ქალი იღებდა მონანილეობას 1812 წლის კახეთის აჯანყებაში.
- 184.9. არჩეურთი არლუთოვი – იხ. „აღამამადხანის შემოსვლა“, კომენტარი 7.**
- 184.10. კუზიანი ზაალის შვილი ნინია –** ზაალ ანდრონიკაშვილი (ზედმეტსახელად – კუზიანი), მარტყოფის მოურავი. მოხსენიებულია იოანე ბატონიშვილის „კალმასობაშიც.“ ერთ-ერთი იყო იმ ოთხი ზაალიდან, რომელთა იმედი ჰქონდა ერეკლე მეორეს ყველა ბრძოლაში (თითო ზაალი თითო ჯარად ღირსო, -ამბობდა თურმე).
- 184.11. თა გიორგი გივის ძე ჩოლოყაშვილი (1773-1806) – ერ-**

ეკლეს დროს იყო სახლთუხუცესი. მეფის სიძე. ეკატერინები ბატონიშვილი ჰყავდა ცოლად. ალექსანდრე ორბელიანის (ცნობით, საგარეჯოს მოურავიც ყოფილა. ჩოლოყაშვილების იყო საგარეჯოს მოურავობა. ეკატერინე მობელიანის ქმარი იყო გიორგი ჯამასპის ძე ჩოლოყაშვილი, საგარეჯოს მოურავი, რომელიც 1799 წელს გარდაიცვალა. ეკატერინე მობელიანის შვილი, თადია, ვიდრე პატარა იყო, მოურავის მოვალეობას ეკატერინეს ძმა, პოლკოვნიკი ვახტანგ მობელიანი ასრულებდა. შემდეგ კი მოურავად თადია ჩოლოყაშვილი იყო. მისი შთამომავალია მელიტა ჩოლოყაშვილი, ტიციან ტაბიძის მუზა.

- 186.12. მარკიზი პაულუჩი (1779-1849)** – საქართველოს მთავარმართებელი 1811-12 წლებში. წარმოშობით იტალიელი. საფრანგეთიდან ნაპოლეონის მმართველობას გამოექცა და თავი რუსეთს შეაფარა.
- 187.13. გამდელი** – ალექსანდრე მობელიანის გამდელი იყო გლეხის ქალი ლომისახარი. მწერალი მას სიყვარულითა და პატივისცემით იხსენიებს სხვა თხზულებებშიც.
- 187.14. ბერელა** – პოლკოვნიკ ვახტანგ მობელიანის მოსამსახურე. ალექსანდრე მობელიანის მხატვრულ-დოკუმენტურ თხზულებათა პერსონაჟი.
- 187.15. სქოლიოში** მოთავსებული ინფორმაცია პოლკოვნიკ ვახტანგ მობელიანის მოსამსახურების შესახებ ძალიან ჰქავს ალექსანდრე მობელიანის სტატიას „მამიჩემის მოსამსახურები“. თუმცა რადგან მთლიანად იდენტური არ არის ეს ჩანართი და სტატია, ამიტომ „მამიჩემის მოსამსახურებს“, როგორც დამოუკიდებელ თხზულებას, ვპეჭდავთ ამავე გამოცემის IV ტომში.
- 191.16. ასლან მობელიანი (1767-1835)** – მეფის ეშკალაბაში. ასლან ნიკოლოზის ძე იყო გიორგი მეთორმეტის ქვისლი. პირველ ცოლად ჰყავდა თიხათინ გიორგის (ხათა გოგიას) ასული ციციშვილი. თინათინის და, მარიამ ციციშვილი იყო გიორგი მეთორმეტის მეორე ცოლი, საქართველოს ბოლო დედოფალი. კარგად იცოდა სპარსული.
- 192.17. თამაზ ეშკალაბაში (1769-1815)** – ჯამბაკურ-მობელიანი, ერეკლე მეორის დისმვილის, მამუკა ეშკალაბაშის შვილი. დიმიტრი მამუკას ძეს ცოლად ჰყავდა ერეკლე II-ის დაი, ანა ბატონიშვილი. მათი შვილია მამუკა და მამუკას ვაჟია

თამაზი.

- 193.18. **ალექსანდრე ბატონიშვილი** – ერეკლე II-ისა და დარეჯან დადიანის ვაჟი (1770-1844). მთელი ცხოვრება იბრძოდა საქართველოს დამოუკიდებლობისთვის. გაიქცა სპარსეთში და რუსებმა ვერაფრით ჩაიგდეს ხელში. მისი სახელი მთელ კავკასიაში გაუთანაბრდა თავისუფლების სულის აღზევებას. პავლე ინგოროვას ვარაუდით, მას ეძღვნება ნიკოლოზ ბარათაშვილის „მერანი“. 1832 წლის შეთქმულების გამარჯვების შემთხვევაში ნაგულისხმევი ჰყავდათ მეფედ. ჰყავდა ერთი ძე – ირაკლი. ალექსანდრე ბატონიშვილი გარდაიცვალა თეირანში. დაკრძალულია იქვე, სომხური ეკლესიის გალავანში.
- 195.19. **ნიკოლოზ ელიოზისშვილი** – იხ. „აღა-მამადხანის შემოსვლა“, შენიშვნა №29.
- 195.20. **მლვდელი ზეგედე** – **შატბერაშვილი**, ალექსანდრე ბატონიშვილის თანამებრძნობი და თანამებრძოლი. გიორგი შატბერაშვილის წინაპარი. 1812 წლის კახეთის აჯანყებაში მონაბილეობის გამო გადასახლება მიუსაჯეს და არც მერე მისცეს საქართველოში დაბრუნების უფლება. გარდაიცვალა გადასახლებაში. ვრცლად იხ. ვახტანგ სუხიტაშვილის „ალექსანდრე ბატონიშვილის პოლიტიკური მოღვაწეობა“ – გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ., 2006.
- 195.21. **დიმიტრი თარხნიშვილი (1773-1842)** – სამხედრო პირი.

პლატონ იოსელიანსა (197)

სელნაწერი: ავტოგრაფი K S:1646-გ

თარიღი: [1867]

სელმონწერა: არა აქვს

მინაწერი:

პირველი პუბლიკაცია: ალექსანდრე ორბელიანი, „სიტყვა მამულის ტრაპესზედ“, „ლომისი“, თბ., 1999.

- 197.1. **პლატონ იოსელიანი (1809-1875)** – ისტორიკოსი, ფილოსოფოსი, ლიტერატურისტი, რედაქტორი. ათენის არქეოლოგიური საზოგადოების ნამდვილი წევრი. ალწერა და წიგნად

გამოსცა გიორგი XIII-ის ცხოვრება. თანამშრომლობდა მარი ბროსესთან. არის ილია ჭავჭავაძის „გამოცანების“ პერსონაჟი; ეხუმრებოდა ნიკოლოზ ბარათაშვილი – ბაკენბარდებზე კატა დასწოლია ღამეო... ჩვენში ვირების ღმერთი (ბოგ ასლოვ) ეგ არისო. იაკობ მანსვეტაშვილისთვის უთქვამს ერთ სასულიერო პირს, პლატონი დიდი ჭკუისა და ცოდნის პატრონიაო. რაში შეატყვე დიდი ჭკუაო, – უკითხავს იაკობს. იმის პასუხი: ვერაფერი გავიგე მისი ნაწერიდან. დიდი ჭკუა სწორედ იმაშია, კაცმა სავსებით ვერ გაიგოს, რაც დაწერილია. ძველი ფილოსოფოსებიც ეგეთი ძნელი გასაგები არ არიანო?! პლატონი ბოლო წლებში წერდა მხოლოდ რუსულად.

- 197.2. ანდრეი მურავიოვი –** ალექსანდრე ორბელიანს წაუკითხავს რუსულად დაბეჭდილი წიგნი, მურავიოვის მოგზაურობა საქართველოში და აღმფოთებულა, რომ ჩვენი ისტორია საშინლად ყოფილა დამახინჯებული, ფაქტები გადაკეთებული, გაყალბებული. განსაკუთრებით აღუშტოთებია დარეჯან დედოფალზე ნათქვამ ურიგობებს. მურავიოვის წიგნი გამოიცა პეტერბურგში 1867 წელს.
- 197.3. დედოფალი დარეჯანი –** იხ. „აღამამადხანის შემოსვლა“, კომენტარი 21.
- 197.4. ოსეფა ყორლანაშვილი –** იხ. „აღამამადხანის შემოსვლა“, კომენტარი 13.
- 197.5. ფარნავაზ ბატონიშვილი –** ერეკლეს ძე. გადაასახლეს ჯერ ვორონეჟში (1805წ.), შემდეგ პეტერბურგში ცხოვრობდა. ცდილობდა, შეერთებოდა 1804 წლის აჯანყებას. პეტერბურგშიც პატრიოტად დარჩა და გეგმავდა საქართველოს გათვისუფლებას რუსეთისაგან. მის სახლში გაიცნო გრიგოლ ორბელიანმა იარალი შანშიაშვილი, რომელსაც უძღვნა მძაფრი წინააღმდეგობის სულით გაუდენთილი ლექსი „იარალის“.
- 197.6. მირიან ბატონიშვილი –** იხ. „მეფის ირაკლის მეორის დროის ცოცოტა ანბები“, კომენტარი 22.
- 197.7. იულონის შვილი დიმიტრი (1803-1845) –** დაიბადა პეტერბურგში. 1832 წლის შეთქმულებაში ცნეს I კატეგორიის დამნაშავედ.
- 197.8. ...და ფარნავაზის ქალი სალომე –** მშობლებთან ერთად გადაასახლეს რუსეთში. გარდაიცვალა პეტერბურგში 1860 წელს. ახლო ურთიერთობა ჰქონდა დიმიტრი ბატონიშვილთ-

- ან. ერთად გეგმავდნენ შეთქმულებას. ალექსანდრე ორბე-ლიანი გულისხმობს, რომ როცა ესენი შეთქმულებას გეგმავდნენ, მაშინ პლატონ იოსელიანი იქ არ იყო და შეთქმულების ჩავარდნის შემდეგ კი ამათ „თავის ნიავისაც“ ეშინოდათო.
- 197.9. დავით ბატონიშვილი – იხ. „აღამამადხანის შემოსვლა“, კო-მენტარი 3.**
- 198.10. ივანე ბატონიშვილის შვილი გრიგოლი (1789- 1830) –** 1812 წლის კახეთის აჯანყების გამარჯვების შემთხვევაში მეფედ დამკვიდრდებოდა. რამდენიმე თვის განმავლობაში მაინც გამოაცხადებდნენ მეფედ, როგორც გვამცნობს დავით ბატონიშვილის მატიანე. დამარცხების შემდეგ გადაასახლეს ოლონეცში. მგზავრობისას თან ახლდა მელიტონ ბარათაშვილიც. გარდაიცვალა პეტერბურგში. წერდა და ლექსებს.
- 198.11. თეიმურაზ ბატონიშვილი – იხ. „აღამამადხანის შემოსვლა“ კომენტარი 1.**
- 198.12. მიხეილ ბატონიშვილი (1785-1861) –** გიორგი XII-ისა და მარიამ ციციმვილის ვაჟი. 1803 წლიდან ცხოვრობდა მოსკოვში. გარდაიცვალა პეტერბურგში. მოსკოვში იგი ნახა ფილადელფოს კიკნაძემ. ალექსანდრე ორბელიანი ცრუმიხეილად მოიხსენიებს. მწერლის თქმით, მიხეილი ბავშვობაში ტყუილებს იგონებდა ხოლმე და მამამისს, მეფე გიორგის, ტყუილების გუდა შეურქმევია.
- 198.13. ილია ბატონიშვილი და ირაკლი ბატონიშვილი –** ოქროპირის ძმები. ოქროპირი (1795-1857) 1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთი სულისჩამდგმელი იყო დიმიტრი იულონის ძესთან ერთად.
- 199.14. ბერი კიკნაძე – ფილადელფოსი (1793-1833).** 1832 წლის აქტიური მონაწილე. შეთქმულებს შეუდგინა საიდუმლო ანბანი და წესდება – „აკტი გონიური“. შეიპყრეს შუამთის მონასტერში, სადაც მსახურობდა და აწამეს (ცხენზე გამოაგეს და ასე ათრიეს თბილისამდე). აღესრულა თბილისში, გამოძიების პროცესში. დაკრძალულია დარეჯანის ეპლესიაში.
- 198.15. თამარ გიორგის ასული ბატონიშვილი (1788-1851) –** გიორგი XII-ისა და მარიამ ციციმვილის ასული. საქართველოდან რუსეთში გადასახლებისას უდელტეხილზე ფეხები მოეყინა და ორივე ფეხით დაკოჭლდა. 1850 წელს

საქართველოში დაბრუნების ნება მისცეს. გზად ვორონე-ჟში გარდაიცვალა და იქვე დაკრძალეს 1851 წელს. რამდენ-იმე თვეში გადმოასვენეს და დაკრძალეს მცხეთაში, დედის გვერდით.

- 199.16. **ანასტასია ბატონიშვილი** – ერეკლეს ასული. ალექსანდრე ორბელიანის დეიდა. გათხოვილი იყო გიორგი ქსნის ერი-სთავზე. ჰყავდა ოთხი ვაჟი და ერთი ქალი. 1825 წლიდან, უკვე დაქვრივებული, ცხოვრობდა პეტერბურგში. იქვე აღესრულა. ჰქონდა მიმოწერა დასთან, თეკლასთან...
- 199.17. **იარალი შანშიაშვილი** – ფარნაოზ ბატონიშვილის კარის პოეტი, მომღერალი, იმპროვიზატორი. პეტერ-ბურგში გაიცნო გრიგოლ ორბელიანმა და უძლვნა ლექსი „იარალის“, რომელშიც პირდაპირი მოწოდებაა იარალით „ვეშაპის“ დაცემისკენ. ეს ლექსი თითქმის ყველა შეთქმულს უპოვეს. ამ ლექსის გამო პირველი დაკითხვისას საგანგებოდ ეკითხებოდნენ გრიგოლს: „- თქვენ დასწერეთ „იარალის“?.... - რა გინდოდათ გამოგეხატათ ამით?“ „-ის, რაც გამოხატულია მასში, - ვითომ გულუ-ბრყვილოდ უპასუხა პოეტმა, - ქართული ლხინი და შექცევა.“
- 199.18. **ეგნატე იოსელიანი (1766-1843)** – გიორგი XII-ისა და თეკლა ბატონიშვილის მოძღვარი, პლატონ იოსელიანის მამა. 1832 წლის შეთქმულების საგამომძიებლო კომისიამ მიაკუთვნა დამნაშავეთა IX კატეგორიას.
- 201.19. **ელიაზარ ფალავანდიშვილი** – იხ. „ალამამადხანის შემოსვლა“, კომენტარი №37.
- 204.20. **გიორგი დავითის ძე ერისთავი (1813-1864)** – ქართველი დრამატურგი. მე-19 საუკუნის 50-იან წლებში პირველი ქართული პროფესიული თეატრის დამაარსებელი. 1852-54 წლებში გამოსცემდა უურნალ „ცისკარს“. გიორგი ერისთავის „გაყრა“ ცალკე წიგნად 1850 წელს დაიბეჭდა პლატონ იოსელიანის წინასიტყვაობით, რომელშიც გიორგი გამოცხადებულია დამწყებად ახალი ქართული ენისა.
- 204.21. **არისტოფანი** – არისტოფანე, ძველი ბერძენი დრამატურგი. დაახლოებით ქრისტეს დაბადებამდე V საუკუნე. კომედიის მამად წოდებული.
- 204.22. **ვორონცოვი მიხაილ** – იხ. „ვარანცოვთან ჩემი დაბეზლება“, კომენტარი 1.

- 205.23. გენერალი რიადი – ნიკოლოზ რეადი – 1854 წელს გენერალი ნიკოლოზ რეადი იყო ამიერ და იმიერ კავკასიის სამოქალაქო ნაწილის ხელმძღვანელი („კავკაზისკი კალენდარ ნა 1869 გოდა“, 1868).**
- 205.24. ნიკალაი ნიკალაიჩ მურავიოვი – 1854-56 წლებში კავკასიის მეფისნაცვალი. თავისი მკაცრი პოლიტიკით დიდი უკამაყოფილება გამოიწვია ადგილობრივ მოსახლეობაში.**
- 214.25. სარდალი დავით ორბელიანი (რევაზის ძე) – იხ. „აღამაძადხანის შემოსვლა“, კომენტარი 17.**
- 214.26. მდივანბეგი ჭაბუა (მზეჭაბუკ) ორბელიანი – გარდაიცვალა 1794 წ. წერდა ლექსებს. გარეგნულად მახინჯას, ხასიათიც ავი დაჰყოლია. ცნობილია ბესარიონ გაბაშვილის სატირა, მიძღვნილი ჭაბუა ორბელიანისადმი. 1777 -91 წლებში ერეკლე II-ის მდივანბეგი. გრიგოლ ბატონიშვილის დახასიათებით, ჭაბუა განათლებული, გონიერასხარტი და ენამოსწრებული, „შემაქცევარი კაცი“ ყოფილა.**
- 214.27. პატარა სოლომან გავამეფოთო – იგულისხმება სოლომონ II, იმერეთის უკანასკნელი მეფე (1772-1815).**
- 214.28. მსაჯული სოლომონი – სოლომონ ლიონიძე (ლეონიძე). იხ. „დაღისტნიდგან ლეკების გამოსვლა“, კომენტარი 8.**
- 214.29. ერეკლე II-ის ცოლები – ახალგაზრდა ერეკლეს მშობლებმა საცოლედ შეურჩიეს ანა ვახტანგის ასული ორბელიანი (ვახტანგი იყო ალექსანდრე ორბელიანის უშუალო წინაპრის, ელიზბარის ძმა). ავდანეთიდან და ინდოეთიდან დაბრუნებულმა ერეკლემ არ იქორწინა ამ ქალზე. პირველი ცოლი იყო იმერელი ქეთევან ფხეიძე (მხეიძე), მასთან დაშორების შემდეგ, 1745 წელს შეირთო ზაალ აბაშიძის ასული, ანა. ანა აბაშიძისგან ჰყავდა გიორგი (შემდეგში მეფე გიორგი XII) და თამარი. ანას გარდაცვალების შემდეგ, 1749 წელს ცოლად შეირთო დარეჯან დადიანი და მასთან გაატარა თითქმის 50 წელი.**

**1867-სა ნელსა გიორგი მეთორმეტე¹ უკანასკნელი მეფე
საქართველოსი და მისი შეერთება რუსეთთან.
(ამის მთხზველის დუბროვინის მიმართ პასუხი) (220)**

ხელნაწერი: ავტოგრაფი K S:1646-ა (ავტორიზებული) (A); K S:1646-ბ (B).

თარიღი: თვესა იანვარსა, 1868-სა ნელსა

ხელმოწერა: თა ა. ვახ. ძე ჯ. ორბელიანი ქ. ტფილისს

იბეჭდება პირველად

S:1646-ბ ალექსანდრე ორბელიანის ხელითაა წანერი და ნას-ნორები, შევი პირია S:1646-ა ხელნაწერისა. S:1646-ა გადაწერილია სხვისი ხელით, ნასწორებია ალექსანდრე ორბელიანის მიერ. ავტორიზებულია და, რადგან აქ გამოხატულია ავტორის ბოლო ნება, მას ვირჩევთ ძირითად ტექსტად.

1895 ქართული უურნალ-გაზეთები გამოეხმაურნენ კრწანისის ომის 100 წლისთავს. „ივერიის“ ორ ნომერში (№199-№200) დაიბეჭდია ზაქარია ჭიჭინაძის ნერილი „მართალია თუ არა იმერლების ღალატი აღა-მაჟმად-ხანის შემოსევის დროს?“ პუბლიკაციის ავტორი ალექსანდრე ორბელიანსაც იმოწმებს კრწანისის ომის პერიპეტიების სწორად, მართლად აღდგენის მიზნით. ხოლო დუბროვინს მოიხსენიებს რუს ისტორიკოსად, რომელიც საკუთარ მოსაზრებებს არ ასაბუთებს ფაქტებით და „რომლის ცნობებიც მტკნარს სიცრუვეს წარმოადგენს და თან მეტად საოცარს და გა-საკვირველსაც...“ („ივერია“, 1895 წ., №200)

220.1. დუბროვინი ნიკოლოზ თედორეს ძე (1834-1904) – რუსი სამხედრო ისტორიკოსი, პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. გენერალი. მისი ძირითადი ნაშრომია ექვსტომეული: „კავკასიაში რუსების ომისა და მფლობელობის ისტორია“. 1867 წელს სანკტ-პეტერბურგში გამოსცა წიგნი „გიორგი XII, უკანასკნელი მეფე საქართველოსი და მისი შემოერთება რუსეთთან“. ამ წიგნს გამოეკამათა ალე-

¹ თუნდა ახლა ასე ვთქვათ რომ მეფე გიორგი მეთორმეტე იყო.

- ქსანდრე ორბელიანი.
- 222.2. **ჯავათ-ხანი** – იხ. „აღამამადხანის შემოსვლა“, კომენტარი 36.
- 223.3. **რევაზ ანდრონიკაშვილი** – იხ. „აღამამადხანის შემოსვლა“, კომენტარი 4.
- 223.4. **არტემ არარაციი** (არუთინ არარაციან) – იხ. „აღამამადხანის შემოსვლა“, კომენტარი 26.
- 223.5. **არაჩინურთი არლუთოვი** – იხ. „აღამამადხანის შემოსვლა“, კომენტარი 7.
- 223.6. **მელიქ მეჯლუში** – მელიქ არაბული სიტყვაა და მფლობელს, გამგებელს წიშნავს. ყარაბალელი (სომეხი) მელიქ მეჯლუში კრწანისის ომში იბრძოდა ქართველების წინააღმდეგ ირანელთა მხარეს. დაიღუპა ბრძოლაში. დავით ბატონიშვილის არტილერიამ გაანადგურა ის და მისი ცხენოსნები.
- 225.7. **ქაიხოსრო ავალოვი** – ავალიშვილი, ალექსანდრე ჭავჭავაძის სიმამრი.
- 225.8. **აზატხანის თეთრი ალმასი და პოტიომკინის საათი** – ნადირშაჰის გარდაცვალების შემდეგ დასავლეთ ირანის ტახტის ერთ-ერთი მთავარი პრეტენდენტი აზატ-ხანი იყო. ინგლისის, საფრანგეთის, ავსტრიის პრესა წერდა იმ გაუგონარი გამარჯვების შესახებ, რომელიც 1851 წელს ქართველთა 1500 კაციანმა ლაშქარმა ერეკლეს მეთაურობით მოიპოვა აზატ-ხანის 18 000-იან ლაშქართან ბრძოლაში.
- 225.9. **პავლე სერგეის ძე პოტიომკინი** – ეკატერინა ხელმწიფის მიერ იყო ერეკლე მეფესთან გამოგზავნილი მოსალაპარაკებლად. ერთ-ერთია, ვინც ხელი მოაწერა გეორგიევსკის ტრაქტატს. დამთავრებული ჰქონდა მოსკოვის უნივერსიტეტი. ამ საათითა და თვლით ფიქრობდა ერეკლე ტყვეთა გამოხსნას...
- 228.10. **ნადირ-შაჰი** – იხ. „თავი გივი ამილახვრის გაქცევა ტფილი-სიდან“. კომენტარი 4.
- 228.11. **დავით ბატონიშვილი** – იხ. „აღამამადხანის შემოსვლა“, კომენტარი 3.
- 228.12. **ალექსანდრე ბატონიშვილი** – იხ. „მამაჩემისგან ღალატი მეფის ირაკლისა“, კომენტარი №17.
- 229.13. **ივანე მუხრანის ბატონი** – იხ. „აღამამადხანის შემოსვლა“, კომენტარი №16.
- 231.14. **იბრეიმ-ხანი** – ყარაბალის ხანი. აღა-მაჰმად-ხანის ყველაზე დიდი მონინააღმდეგე აზერბაიჯანში. 1795 წლის

ივნისში აღა-მაჰმად-ხანის წინააღმდეგ ბრძოლაში იპრე-იმ-ხანს ერეკლე II დახმარებია 6000 მებრძოლით (ალექსან-დრე და ოულონ ბატონიშვილების მეთაურობით) და ფი-ნანსურადაც.

- 237.15. **მიმპაში სოლომონ** – ოსეფა არაჩინურთის (იოსებ არლუთ-აშვილის) ძმიშვილი.
- 237.16. **მისკარბაში იოსები** – ბებუთოვი – ოსეფა ყორდანაშ-ვილის(მილახვრის) სიძე. მის სახლში იკრიბებოდნენ ერ-ეკლეს მოწინააღმდეგები და საქართველოს დალუპვას გეგმავდნენ.
- 237.17. **დარჩია მელიქი** – ბებუთოვი (ბებუთაშვილი). თბილისის უკანასკნელი მელიქი (მამასახლისი) 1795-1801 წლებში. მონაწილეობდა მეფის წინააღმდეგ მოწყობილ შეთქმულე-ბაში, რისთვისაც მეფემ დასაჯა, თუმცა მალევე შემოირი-გა.
- 237.18. **სულხან, მანუჩარ და შიოშ თუმანიშვილები** – სულხან მდივანბეგი, მანუჩარ – სულხანის ძმა და შიოშ – სულხანის შვილი – ერეკლეს ფარული მოწინააღმდეგები.
- 241.19. **ივანე ყარაშვილი (კარავი)** – იხ. „აღამამადხანის შემოსვ-ლა“, კომენტარი №40.
- 242.20. **მირზა გურგენა ენიკოლოფაშვილი** – ენიკოლოფაშვ-ილთა (ენაკოლოფაშვილთა) წინაპრები სომხები ყოფილან, რომლებიც საქართველოში ჩამოსულან და მეფის კარზე დაწინაურებულან აღმოსავლური ენების სრულყოფი-ლად ფლობის წყალობით. მირზას წოდება ნიშნავდა მეფის კარზე საქმის წარმოებას. ერეკლე II-ისა და გიორგი XII-ის კარზე დაწინაურებულან მირზა-გურგენა და მისი ძე, მირზა-აფრიამა ენიკოლოფაშვილები (ამ უკანასკნელის ასული, სოფიო, ცოლად ჰყავდა ნიკოლოზ ბარათაშვილის მეგობარს, მიხეილ თუმანიშვილს).
- 246.21. **დიმიტრი ბაგრატიონი** – ცხოვრობდა რუსეთში. ამისი შვილი ცოლად ჰყავდა გიორგი ავალიშვილს, გარსევან ჭავ-ჭავაძის ცოლისძმას და ალექსანდრე ჭავჭავაძის ბიძას.
- 246.22. **პირველ ალექსანდრე** – ალექსანდრე I, კახეთის მეფე 1476-1511 წლებში. ცდილობდა, მმვიდობიანი ურთიერ-თობა ჰქონდა როგორც საქართველოს სამეფო-სამთავ-როებთან, ასევე სხვა სახელმწიფოებთან. ამ მიზნით სხვა-დასხვა საშუალებას იყენებდა – იქნებოდა ეს დათმობა,

ფორმალური ყმობა, ხარკი თუ სხვა. 1483 და 1491 წლებში ელჩები გაგზავნა მოსკოვის დიდი მთავრის ივანე III-ის კარზე, რითაც დაწყო რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის მნიშვნელოვანი ეტაპი.

- 256.23. ნიკოლოზ (კიკოლა) არლუთოვი** – სოლომონ მიმბაშის ძმა. ამ სოლომონის ქალი, სოფიო ცოლად ჰყავდა ივანე მუხრან-ბატონისა და ქეთევან ბატონიშვილის უმცროს ვაჟს, დავითს.

პირველი ხოლერა აქ ტფილისში [საქართულოში] (1830-სა წელსა რაც ვიცი ანუ შემხვედრია) (276)

ხელნაწერი: ავტოგრაფი K S: 1665

თარიღი: 1869 წლის 9 აპრილი

ხელმოწერა: თავი ა. ვახ. ძე ჯ. ორბელიანი, 9-ს აპრილს 1869-სა წელსა. ქ. ტფილისს.

იბეჭდება პირველად

276.1. დედიდაჩემი ბატონიშვილი ქეთევანი – ქეთევან ბატონიშვილი (1764-1840). სახლთუხუცეს ივანე მუხრან-ბატონის მეუღლე. ჩვენამდე მოღწეულია მისი ერთი ლექსი – „ჰო, ვითარ ვსთქუა“, დაწერილი 1805 წელს, შინაპატიმრობისას. 1804 წლის მთიულეთის აჯანყების დროს კავშირი ჰქონდა აჯანყებულ ძმებთან.

276.2. დედაჩემი – თეკლა ბატონიშვილი

276.3. ჩემი ცოლი – ეკატერინე(კატინო) დავითის ასული ბარათ-აშვილი

277.4. „მეფის ირაკლის შვილობა კი ეტყობოდა დედაჩემსა“ – თეკლა ბატონიშვილის მტკიცე წებისყოფისა და გაუტეხელი ხასიათის შესახებ წერს ალექსანდრე ორბელიანი თავის ავტობიოგრაფიულ თხზულებებშიც (იხ. ამ გამოცემის IV ტომი).

278.5. კალასკა – რუს. ეტლი

278.6. ქუჩერი – რუს. მეეტლე

279.7. ლომისახარ – იხ. „რუსების დასი ქართულები ჩემზედ“, კომენტარი 3.

279.8. ნაისახარ – ალექსანდრეს უმცროსი ძმის, დიმიტრი ორბე-

ლიანის გამდელი.

- 279.9. **გრიგოლ დიაკვანი** – ორბელიანთა კარის ეკლესიის დიაკვანი.
- 279.10. **ლუბერნატორი ზავილეისკი** – იხ „1829-სა წელსა არეულობა საქართულოში“, კომენტარი 14.
- 280.11. **ყასაფხანა** – ადგილი, სადაც საქონელს კლავდინები ან ხორცს ინახავდნენ.
- 280.12. **შაყა** – იოსებ გრიშაშვილის ქალაქური ლექსიკონის მიხედვით, დაკლული და გატყავებული ცხვრის ერთი ნახევარი.
- 286.13. **თეიმურაზი** – ქეთევან ბატონიშვილისა და იოანე მუხრანბატონის შვილი.
- 290.14. **ბარბარე თავის გაუთხოვარის ქალის ნინოთი** – თეიმურაზის დაი და დისშვილი.
- 290.15. „**თეიმურაზის კაცი მოუვიდა და... შვილის ავანტყოფობა მოუტანა**“ – თეიმურაზ მუხრან-ბატონის ქოლერის ეპიდემიის დროს გარდაეცვალა შვილი, ლევანი.

ჩერქეზებში ანდაზად დარჩენილი (297)

ხელნაწერი: ავტოგრაფი K H:2452

თარიღი: 9-ს მაისს 1869-სა წელსა.

ხელმოწერა: თა ა. ვახ. ძე ჯ. ორბელიანი.

მინაწერი: ს. ყარაბულახს, ჩემს ახლო ნათესავის სახლში, მდინარეს ივრის პირის მახლობლად თა ნიკოლოზ ჩოლოყავთან.

იბეჭდება პირველად

- 297.1. **აჯი-ჩალაბი** – ჰაჯი ჩალები ყურბან-ოლლუ (1703-1755). შაქს სახანოს დამაარსებელი. იბრძოდა განჯისა და ყარაბაღის სახანოების დასამორჩილებლად. ხელმძღვანელობდა ანტირანულ მოძრაობას. აღიარებდა ქართლ-კახეთის პოლიტიკურ უპირატესობას და ქართველ მეფეთა მოკავშირე იყო, მაგრამ შემდეგ უღალატა და მტრად მოეკიდა საქართველოს. 1752 წელს განჯის ბრძოლა აჯი-ჩალაბის წინააღმდეგ ქართ-

ველთა (თეიმურაზ Ⅱ-ისა და ერეკლე Ⅱ-ის) დამარცხებით დამთავრდა.

- 297.2. პაპუნა ორბელიანი** – ავტორი საისტორიო თხზულებისა „ამბავი ქართლისანი“, რომელიც 1739-58 წლების საქართველოს ისტორიაა. ორბელიანის თხზულება სანდოა იმიტომ, რომ აღნერს იმას, რისი მონაწილეც თვითონვე იყო ან სანდო წყაროებსა და თვითმხილველთა ნაამბობს ემყარება. ზოგი ერთ შემთხვევაში ქვეყნის მარცხს ქართველების ცოდვათა სიმრავლით ხსნის (მაგ., აჯი-ჩალაბთან ომის წაგებას 1752 წ.). თხზულება მდიდარია გენეალოგიური და გეოგრაფიული ცნობებით.
- 297.3. დავით ქობულოვი (ქობულაშვილი)** – ალექსანდრე ორბელიანი ასულის, დარიას (დარეჯანის) მეუღლე.
- 297.4. ნალჩიკი** – ქალაქი ყაბარდოს ტერიტორიაზე. ყაბარდო-ბალყარეთის დედაქალაქი.

უთარილობი

მეფის ირაკლის 2-სა უკანასკნელის უამების ამბავი აღა
მამალხანის შემოსვლის შემდეგ საქართველოში (299)

ხელნაწერი: ავტოგრაფი K S:1649-ა

თარიღი: დაუთარილებელია

ხელმოწერა: არა აქვს.

იპეჭდება პირველად

305.1. აღალარი – ალექსანდრე ნეიმანის სინონიმთა ლექსიკონის
მიხედვით – მემამულე. იოსებ გრიშაშვილის ქალაქურ ლე-
ქსიკონში – უფროსი, ზედამხედველი, ბატონ-პატრონი...

306.2. ქერიმხან – სპარსეთის შაჰი 1750-79 წლებში.

307.3. სათლი-ჯამი – ავადმყოფობა. ქალაქური ლექსიკონი: შე-
ცივება. შეიძლება იგულისხმებოდეს ანთება.

309.4. პაატა ენდრონიკაშვილი – XVIII საუკუნის 60-იან წლებში
ერეკლე II-მ რუსეთში გაგზავნა საარტილერიო საქმის შეს-
ასწავლად. გახდა რუსეთის არმიის არტილერიის ოფიცერი.
70-იანი წლების დამდეგს დაბრუნდა საქართველოში და
სამხედრო წარმოების გარდაქმნა დაიწყო ევროპულ წესზე.
1778 წლიდან სამეფო არტილერიის მეთაური (თოფჩიბაში)
იყო. ერეკლე II-ის ერთგული.

რაც რუსები მოსულან საქართველოში იქიდგან აქამდისინ
ქართულების შეთქმა წინააღმდეგ რუსეთისა (312)

ხელნაწერი: ავტოგრაფი K S:1656-ბ

თარიღი: დაუთარილებელი

ხელმოწერა: უსახელოთ ვაწერ

მინაწერი: სათაურის ქვეშ ფრჩხილებში ჩასმულია: (ესე შეთქმის
ამბები, პრინც ნაპალიონისა პრატესტი რომ არის, იმაში უნდა
იყოს).

იბეჭდება პირველად

რას გულისხმობს მწერალი „ნაპალიონის პრატესტში“, ჩვენთვის უცნობია. სავარაუდოდ, რაღაც ჰქონდა დაწერილი, რომელსაც ჩვენამდე არ მოუღწევია.

ტექსტი ნასწორებია. ავტორს ბევრი ადგილი გადაუხაზავს, მაგრამ რადგან ამ გადახაზულ მონაკვეთებს განსაკუთრებული მნიშვნელობა (დატვირთვა) აქვს თხზულებაში, ისინი დავტოვეთ და ვბეჭდავთ დახრილი ასოებით.

საყურადღებოა, რომ მწერალი სხვა ქვეყნების თავისუფლება-საც უჭერს მხარს. კერძოდ, რუსეთისგან პოლონეთის გათავისუფლების აუცილებლობას ხედავს და აღიარებს და, სავარაუდოდ, საუბრობს უკრაინის თავისუფლებაზეც („...ისე ეს ქვეყანა ყაზახების მდინარეს დონის პირამდისინ და ეს ქვეყანა ერთ სამეფოთ უნდა დაადგინონ“).

312.1. მეფე გიორგი – იგულისხმება საქართველოს უკანასკნელი მეფე გიორგი XII (1746-1800).

312.2. იულონ ბატონშვილი – იხ „აღამამადხანის შემოსვლა ქ. ტფილისში (1795-სა წელსა სეკტენბრის 11-სა დღესა), კო-მენტარი 6.

312.3. სარდალი თა ივანე ორბელიანი – ივანეს მამას, დავით ორბელიანს (სარდალს) ცოლად ჰყავდა გიორგი XII-ის და, თამარი. ასე რომ, ივანე სარდალი გიორგი XII-ის დისმვილი გახლდათ. პლატონ იოსელიანის ცნობით, ივანე სარდალი რუსეთის მმართველობის ერთგული იყო. ამასვე ადასტურებს ალექსანდრე ორბელიანი.

312.4. თა დარჩია ბებუთაშვილი – ქალაქის მელიქი. იხ. „დუბროვინის მიმართ პასუხი“, კომენტარი 17.

312.5. დარეჯან დედოფალი – იხ. „აღამამადხანის შემოსვლა“, კო-მენტარი 21.

312.6. დედაჩემი – მწერლის დედა, თეკლა ბატონიშვილი (1776-

1846) ერეკლეს უსაყვარლესი ასული. თვითონაც და სამივე ვაჟიც – ალექსანდრე, დიმიტრი, ვახტანგი – მონაწილეობდნენ 1832 წლის შეთქმულებაში. თეკლამ ბევრი ისეთი რამ იცოდა ერეკლეს სამეფო კარისა და იმდროინდელი საქართველოს შესახებ, რაც სხვებისთვის უცნობი იყო. ყველაფერს დაუფარავად, მართლად უყვებოდა თავის შვილებს. თეკლას განათლებულ, ჭკვიან, სიბრძნითა და სათნოებით შემკულ, მხნე და გამჭრიას ქალად მოიხსენიებს ილია ჭავჭავაძე ერთ ნერილში („მოკლე ბიოგრაფია ვახტანგ ვახტანგის ძის თავ. ჯამბაკურ-ორბელიანისა“, თხზ. სრ. კრებ., ტ. V, 1991, გვ. 562). გარდაიცვალა თბილისში 1846 წელს, დაკრძალულია სვეტიცხოველში, მამის გვერდით.

313.7. მირიან ბატონიშვილი – მირიან ბატონიშვილი (1767-1834).

მეცნიერი, ლიტერატორი. 1787 წელს დავით გურამიშვილმა მას გადასცა თავისი „დავითიანი“. ახალგაზრდობიდან რუსეთში ცხოვრობდა. ფაქტობრივად იქ გაიზარდა. 1798 წელს ჩამოვიდა საქართველოში, 1801 წელს სამუდამოდ წავიდა რუსეთში. 1812 წელს ცეცხლმოკიდებული მოსკოვიდან გამოიტანა და გადაარჩინა სენატის არქივი. გარდაიცვალა და დაკრძალულია პეტერბურგში (ალექსანდრე ნეველის ლავრაში).

314.8. დავით ბატონიშვილი – იხ „აღამამადხანის შემოსვლა“, კომენტარი 3.

315.9. ლენერალი ლაზარევი – ივანე პეტრეს ძე (1765-1803).

1799 წელს თბილისში შემოსულ რუსეთის ლეგიონს სარდლობდა. გიორგი XII-ის გარდაცვალების შემდეგ ლაზარევი საქართველოს მმართველი იყო, 1801 წლიდან – დროებითი მმართველობის თავმჯდომარე. 1803 წელს შეიქრა გიორგი XII-ის ქვრივის, მარიამ ციციშვილის ოთახში, რათა ძალით გამოეყვანა იგი და სასწრაფოდ გადაესახლებინა რუსეთში. მარიამმა ხანჯლით განგმირა ლაზარევი (ზოგიერთი მოსაზრებით, მკვლელი ერთ-ერთი ბატონიშვილია, მარიამმა კი შვილის მაგივრად თავისთავზე აიღო მკვლელობა. „დედოფლალმა მარიამმა როგორ დიდსულოვნად იკისრა იმისი სიკვდილიო“, – წერს ალექსანდრე ორბელიანიც).

315.10. ასლან ორბელიანი – ასლან ნიკოლოზის ძე ორბელიანი (ეშიკალაბაში), რევაზ სარდლის შვილიშვილი. მარიამ ციციშვილის დაი (გიორგი ციციშვილის – ხათა გოგიას ქალი)

ჰყავდა ცოლად. იოანე ბატონიშვილს მოხსენიებული ჰყავს „კალმასობაში“, „როგორც ენების მცოდნე, განათლებული ადამიანი.“

- 315.11. **აზნაური იოსებ კალატოზისშვილი** – ანდრიას ძე. პლატონ იოსელიანის ცნობით, იოსებ კალატოზისშვილმა გასცა მარიამ დედოფლალი, გაქცევას აპირებს. ალექსანდრე ორბელიანიც „შპიონს“ უწოდებს მას. „ამან დაასმინა სოლომონ თარხნიშვილი (მეითარი), ალექსანდრე ბატონიშვილთან აქვს მიწერ-მოწერაო“ (მაქსიმე ბერძნიშვილი, მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, II, თბ., 1983, გვ. 61).
- 316.12. „**თან გავყვებით ეხლავ, მე და თქვენი სიძე, ეს ჩემი ქმარი**“ – თეკლა ბატონიშვილის ქმარი, ალექსანდრე ორბელიანის მამა იყო პოლკოვნიკი ვახტანგ ორბელიანი (176901812), რომელიც 1812 წლის კახეთის აჯანყების ჩაქრობის დროს მოკლა ერთმა გლეხმა. მამის შესახებ დაწვრილებით საუბრობს მწერალი ამ ტომში შესულ სხვადასხვა თხზულებაში.
- 316.13. **ალექსანდრე ხელმწიფე** – ალექსანდრე I, რუსეთის იმპერატორი 1801-1825 წლებში.
- 317.14. „**არამცუ სიტყვით გმობდნენ დარეჯან დედოფალსა...**“ – რუსეთის ხელისუფლება შეეცადა, დარეჯან დედოფლის სთვის გაეტეხა სახელი. დააბრალა, თითქოს მან შეაცვლევინა ერეკლე მეფეს ტახტის გადაცემის წესი, რამაც გამოიწვია ბატონიშვილთა დაპირისპირება და საქართველოს დასუსტება. თითქოს დარეჯანი უწყობდა ხელს საკუთარი შვილების გამეფებას და ოპოზიციაში ედგა გერს – გიორგი XII-ს. თითქოს უზნეო ქალი იყო და სასახლეში თავის მსახურს ყვარბდა და სხვა. ალექსანდრე ორბელიანი დარეჯანის ნამდვილ სახეს ხატავს თხზულებებში: „პლატონ იოსელიანსა“, „დუბროვინის მიმართ პასუხი“ და სხვაგან.
- 318.15. **თა ივანე ბაგრატიონ-მუხრანბატონის ქვრივი** – იგულისხმება ქეთევან ბატონიშვილი. იხ. „საქართველოს მეფის ირაკლის ძე ლევან“, კომენტარი 10.
- 318.16. **ამის ძე თეიმურაზი** – იხ. „პირველი ხოლერა აქ ჭყილისში“, კომენტარი 13.
- 318.17. **თა ალექსანდრე ჭავჭავაძე** – პოეტი (1786-1846). მონაწილეობდა 1804 წლის მთიულეთის აჯანყებასა და 1832 წლის შეთქმულებაში. შეთქმული მას მომავალ პრემიერ-მინის-

- ტრად გულისხმობდნენ.
- 318.18. გარსევან ჭავჭავაძე** – იხ. „ალა-მამადხანის შემოსვლა“, კომენტარი 8.
- 319.19. ბატონიშვილი ალექსანდრე** – იხ. „მამიჩემისაგან ღალატი მეფის ირაკლისა“, კომენტარი 18.
- 319.20. ომარ-ხან** – დალესტნელი, ხუნდახის მფლობელი და ავარიის სახანოს გამგებელი (1761-1801). ნურსალ-ბეგის ვაჟი. როცა 1800 წელს საგარეჯოსკენ დაიძრა იმ მიზნით, რომ ბოლოს თბილისი აელო, მას ალექსანდრე ბატონიშვილიც შეუერთდა რუსეთზე გამარჯვებისა და მათი ჯარების აქედან გაყვანის იმედით.
- 319.21. ნიახურას ბრძოლა** – 1800 წლის 7 ნოემბერს მდინარე ივრის პირას, სოფელ კაკაბეთთან გაიმართა ნიახურას ბრძოლა, რომელშიც გიორგი XII-ისა და ომარ-ხანის რაზმები დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. ომარ-ხანი დამარცხდა, ბრძოლაში დაიჭრა და ამ ჭრილობის შედეგად მალე გარდაიცვალა.
- 321.22. ეკატერინე** – ორბელიანი ეკატერინე დიმიტრის ასული (1772-1817). ალექსანდრე ორბელიანის მამიდა. საგარეჯოს მოურავის, გიორგი ჩოლოყაშვილის მეუღლე. 1812 წლის აჯანყების მონაწილე. ამის გამო დაპატიმრეს და გააგზავნეს ბელგორძოდის მონასტერში. გარდაიცვალა იქვე, 45 წლისა.
- 321.23. გუქა** – ორბელიანი გუქა დიმიტრის ასული. ალექსანდრე ორბელიანის მამიდა. გორჯასპი ნათალიშვილის მეუღლე. კახეთის აჯანყების დროს გორჯასპი ნათალიშვილი ასრულებდა ალექსანდრე ბატონიშვილის მითითებებს. აჯანყებაში მონაწილეობდა გუქაც. ამის გამო იგი ბელგორძოდის მონასტერში გააგზავნეს.
- 323.24. ქიტესა, გოგია ბასტამაშვილი (სომეხი), ზაქარია ჯორაშვილი, ივანე ყორლანაშვილი (სომეხი)** – ალექსანდრე ორბელიანის ცნობით, ესენი ალექსანდრე ბატონიშვილის მსახურები იყვნენ. ყველა რუსეთის ხელისუფლებამ მოისყიდა ალექსანდრე ბატონიშვილის მოსაკლავად. უმრავლესობამ თვითონვე თქვა უარი დავალებაზე. ივანე ყორლანაშვილი ყოფილა შვილი ერეკლესთან დაახლოებული ოსეფა ყორლანაშვილისა. ოსეფაზე საუბრობს მწერალი თხზულებაში „მეფის ირაკლის მეორის მეუღლე დარია ანუ

დარეჯან“.

- 324.25. „ზედატანებით ნასწავლი ყმანვილი კაცებიც მოვიდნენ პეტერბურლიდან“... – პეტერბურგის უნივერსიტეტ-დამთავრებული სოლომონ დოდაშვილი იყო 1832 წლის შეთქმულების იდეოლოგი და ერთ-ერთი მეთაური. საერთოდ, 32 წლის შეთქმულების იდეა მოსკოვსა და პეტერბურგში გადასახლებულ ბატონიშვილთა წრეში გაჩნდა.
- 324.26. გრიგოლ ბაგრატიონ-მუხრანსკი – იხ. „რუსების დასი ქართულები ჩემზედ“, კომენტარი 11.
- 324.27. ერმოლოვი – ალექსი ერმოლოვი (1777-1861). გენერალ-ინფანტერი. კავკასიის მთავარმართებელი 1816-27 წლებში.
- 324.28. პასკევიჩი – იხ. „1829-სა წელსა არეულობა საქართულოში“, კომენტარი 4.
- 324.29. იასე იოსების ძე ანდრონიკოვი – ანდრონიკაშვილი იასე იოსების ძე (1798-1863). გენერალ-ადიუტანტი. ქიზიყის მოურავის, ზაქარია ანდრონიკაშვილის შვილიშვილი.
- 324.30. იასე ფალავანდოვი – იასე ფალავანდიშვილი. 1832 წლის შეთქმულების გამცემი. ჩარიცხეს დამნაშავეთა მე-2 კატეგორიაში. გადასახლებული იყო ციმბირში, სოფელ უსტ-ცილმაში. მიუხედავად იმისა, რომ ნება მისცეს სამშობლოში ჩამოსვლისა, არ დაბრუნდა და იქვე გარდაიცვალა. მნერლისა და ეთნოგრაფის სერგეი მაქსიმოვის ცნობით, პეჩორის მხარეში მოიპოვა დიდი ავტორიტეტი. მისი სიტყვა კანონი იყო ყველასათვის და ამბობდნენ: როდესაც გარდაიცვლება, წმინდანად შევრაცხავთო.
- 325.31. ეს მამულის გამოხსნის შეთქმა არ არისო – ცნობილია, რომ რუსეთის ხელისუფლება შეეცადა, დაეკინიებინა შეთქმულების მნიშვნელობა, ხოლო შეთქმული თავქარიან ახალგაზრდებადა და ქვეყნის წინაშე დამნაშავეებად გამოეყვანა და არა მამულის ერთგულ შვილებად და დამოუკიდებლობის აღდგენისათვის თავგადადებულებად.
- 325.32. და ახლა მეშვიდე შეთქმა – 1832 წლის შემდეგ XIX საუკუნეში საქართველოში შეთქმულება აღარ ყოფილა. ქართველი ხალხი შეეგუა არსებულ ვითარებას და რუსეთის შემადგენლობაში მყოფი კულტურული ავტონომიისათვის-და განაგრძობდა ბრძოლას. მხოლოდ ალექსანდრე ორბელიანი არ დაცხრა. ეს სტატია, ეტყობა, შეადგინა, როგორც ოფიციალური დოკუმენტი – ევროპაში წარსადგენად (არ

ჩანს, კონკრეტულად რომელი ქვეყნის მმართველობას გულისხმობს). და მეშვიდე შეთქმად სწორედ ამ წერილს თუ დახმარების თხოვნას მოიაზრებს.

ხუთი წლის ბატონიშვილი ირაკლი (327)

ხელნაწერი: ავტოგრაფი K S:1649-ა

ხელმონერა: არა აქვს.

თარიღი: არ უზის.

იპეჭდება პირველად

„ესე ჩემი აღწერილები არა თუ ისტორია არის, არამედ ისტორისათვის აღვწერე. ოდესმე მეისტორიემ რომ დაწეროს მეფის ირაკლის ისტორია, ჯერ ყოველი მეფის ირაკლის მეფობის წერილები ყოვლის მხრიდგან უნდა შემოკრიბოს და რომელიც ლირსი წერილები იყოს, მათგან და აქედგან შეადგინოს.“ – წერილის დასაწყისშივე გაცხადებულია ალექსანდრე ორბელიანის მიზანი – დაიწეროს ერეკლე II-ის ისტორია. ამისთვის კი უტყუარცნობებს, მასალებს ფასდაუდებელი მნიშვნელობა ექნება.

ერეკლეს მიერ ჩამოყალიბებული ხუთი მუხლი არსებითად იგივეა, რასაც მერე ილია იტყვის და დაამკვიდრებს: მამული, ენა, სარწმუნოება.

ალექსანდრე ორბელიანის არქივში ინახება ცალკე ფურცელზე დაწერილი „ხუთი წლის ბატონისშვილი ირაკლი (შემდგომად საქართველოს მეფე ირაკლი მეორე)“. ეს თხზულება მთლიანად შედის ამავე სათაურის იმ ტექსტში, რომელიც დავბეჭდეთ ძირითად ნაწილში. მოკლე ვერსია მივიჩნიეთ ვრცელი ნანარმოების რედაქციად და ვბეჭდავთ სრულად.

რედაქცია

ხუთი წლის ბატონისშვილი ირაკლი
(შემდგომად საქართველოს მეფე ირაკლი მეორე)

იტყოდნენო, ბატონისშვილმა ჩემმა თეკლამ მიამბო, რომ მცირენლოვანს ირაკლის სიყრმიდანვე ეტყობოდა ჭკუა, ვაჟკაცობა და შეუპოვარი ხასიათი.

ჭკუა ამაზედ შესტყობია: შინაურობაში გაკვირვებული ყოფილან ხუთის წლის ყმანვილის გონიერს ლაპარაკზედ და ვინც რასმე ჰქოთხავდა, იმის სიტყვა-პასუხის მოგებაზედ. ვაჟკაცობა თურმე ამაზედ ეტყობოდა, როდისაც ჯარი წავიდოდა სადმე და ან მდევარი გამოუდგებოდა, პატარა ირაკლი ტირილს დაიწყებდა, მეც წამიყვანეთო. შეუპოვრობა ამაზედ შეუმცნევიათ, რომ პატარა ირაკლის დედა, დედოფალი თამარ კახეთიდან ჩამობძანებულა და ავლაბარში ჩამომხტარა. ამ დროებში მეფე ვახტანგ¹ ქ. ტფილისში ბანებულა. მეფე ვახტანგს რომ შეუტყვია თავის ქალის თამარის ავლაბარში ჩამოსვლა, მაშინვე კაცი გაუგზავნია თავის ქალის თამარის შვილები დაუბარებია სანახავათ. ექვსის წლის ბატონისშვილი ანა² ერთს კაცს აუყვანია და ხუთი წლის ირაკლი მეორეს, ცოტა გზა რომ გამოუვლიათ, ვისაც ირაკლი ხელში სჭერია, ირაკლისთვის შეუხედავს და გულღრძოდ უთქვამს – „ოჳ, რა დასათხრელი თვალები გაქვს“. ხუთწლოვანს ირაკლის ასეთის მრისსანეს თვალებით შეუხედავს იმ კაცისთვის, რომ შერცხვენილს ველარა უთქვამს რა და ხმა ჩაუკმენდია. ამაობაში საჩქაროთ წამოსულან ეს კაცები და მეტეხის ხიდზედ რომ მოსულან შუა ადგილს, გულღრძოს ველარ მოუთმენია და კიდევ უთქვამს: – „გინდა, წყალში გადაგაგდო ამ ხიდიდგან?“ პატარას უშიშრად შეუხედავს და მრისსანედ შეუძახია – „ძალლი იყო, თუ არ გადამაგდო“. ამ სიტყვაზედ იმ კაცს თუმცა გაუცინია, მაგრამ კი ველარა უთქვამს რა.

როდესაც ეს ყმანვილები მეფე ვახტანგთან შეუყვანიათ, მეფე ვახტანგ დორზე ყოფილა წამონოლილი და რა წამს დაუნახავს, მაშინვე სიამოვნოთ წამომჯდარა და ხუძრობით დაუძახნია: – „ეს ჩემი ქალი ანა ჩემთან მოიყვანეთ და მაგ ჩემის მტრის შვილს, ირაკლის კი ნუ მოიყვანთ ჩემთან³ ყმანვილს უფრო გაფრთხილება უნდა,

¹ ქართლის მეფე ვახტანგის ქალი თამარ, ჰყვანდა კახეთის მეფეს თეიმურაზს, ირაკლის მამას.

² ბატონიშვილი ანა შეირთო მეფის ირაკლის ეშველაბაშმა თა დიმიტრი ქ. ორბელიანმა.

³ ქართლის მეფეს ვახტანგს და კახეთის მეფეს თეიმურაზს დიდი მტრის ჰქონიათ ერთმანეთში.

უგვანი არა გაიგონოს რა ანუ არა ნახოს რა, თუნდა ხუმრობა იყოს, თორემ სიკვილის მეტი ვეღარა დაავიწყებს რა. შემდგომად რამდენს თურმე ხვეწნოდა მეფე ვახტანგ, მაგრამ აღარ მისულიყო, თავი გაეკლა და გულმტკივნეულად მისულს დედისათვის შეეჩივლა ცრემლით, და ყველა ეთქვა.

წყნარს, მშვიდობიანს, კეთილს და დიდსულოვან დედას დაემშვიდებინა კეთილგონიერებით და ბევრი კარგი რამ ეთქვა თავის პატარა შვილის ირაკლისათვის.

თავის ალექსანდრე ვახტანგის ძე ჯ. ორბელიანი.

ხუთი ნლის ბატონისშვილი ირაკლი (შემდგომად საქართველოს მეფე ირაკლი მეორე)

ხელნაწერი: ავტოგრაფი K H:2412-ბ

თარიღი: დაუთარილებელი

ხელმოწერა: თავის ალექსანდრე ვახტანგის ძე ჯ. ორბელიანი.

მინაწერი: სათაურის ზემოთ აწერია: „მართლწერა მიეცით“. ავტორის ხელია და მართლაც მელნით სხვას ჩაუსწორებია ასე:

მცირენლოვან...ეტყობოდა] იმავ სიყმანვილით ეტყობოდა პატარა ირაკლის ჭკვა. გადახაზულია (406.5).

შეუპოვარი] გაუტეხელი. გადახაზულია (406.6). შეუპოვრობა გაუტეხელი ხასიათი გადახაზულია (406.12).

ცოტა[მცირე] (406.18).

ხუთწლოვანს] ხუთი ნლის (40620), შეუხედავს] შეუხედამს (406.21).

უთქვამს] უთქომს (406.22).

უგვანი]უმზგავს (407.1).

327.1. დედოფალი თამარ – ერეკლე II-ის დედა. ქართლის მეფის, ვახტანგ VI-ის ასული, კახეთის მეფის, თეიმურაზ II-ის მეუღლე.

327.2. ვახტანგ – ქართლის მეფე ვახტანგ VI.

327.3. ბატონიშვილი ანა – თეიმურაზ II-ისა და თამარ დედოფლის ასული, ერეკლე II-ის და.

მეფის ირაკლის საწერელი (333)

ხელნაწერი: ავტოგრაფი K H:2412-გ

თარიღი:

ხელმოწერა: თავი ალექსანდრე ვახტანგის ძე ჯ. ორბელიანი

იბეჭდება პირველად.

333.1. ნადირშა – იხ „თავი გივი ამილახვრის გაქცევა ტფილი-სიდგან“, კომენტარი 4.

333.2. სინდეთი – ინდოეთი.

მეფის ირაკლის პატარა ჯიბის ბოხჩა (334)

ხელნაწერი: ავტოგრაფი S:1649-ა

თარიღი: დაუთარილებელი

ხელმოწერა: თავი ალექსანდრე ვახ. ძე ჯ. ორბელიანი.
მინაწერი:

იბეჭდება პირველად.

ალექსანდრე ორბელიანი საგანგებოდ აგროვებდა მასალებს ერეკლე II-ის ცხოვრების შესახებ, რათა შემდეგ ნამდვილი, დაუმახინჯებელი ისტორია დაწერილიყო. მიაჩნდა, რომ ისეთი დიდი ადამიანის ცხოვრებაში, როგორიც ერეკლეა, არაფერია წვრილ-მანი და უმნიშვნელო. ამიტომ შემოუნახა მკითხველს ეპიზოდი, რომელშიც ნათლად ჩანს ერეკლეს წინდახედულება, საზრიანობა, გამოცდილება.

მეფის ირაკლის მეორის სიყვარული ქალისა პირველად (335)

ხელნაწერი: ავტოგრაფი K S:1649-ა

თარიღი: დაუთარილებელი

ხელმოწერა: არა აქვს

შენიშვნა: დაუმთავრებელია. სიტყვების „ქართულად მითარგმნეს ასე:“ მერე ფურცელი ცარიელია.

იბეჭდება პირველად.

ეს თხზულებაც იმ რიგისაა, მასალად რომ უნდა გამოადგეს ერ-ეკლე II-ის ისტორიკოსს.

ხელნაწერში სათაურში გადახაზულია სიტყვები „კეთილშობი-ლური პატიოსნება“. მნერალს ჯერ დაურქმევია „მეფის ირაკლის მეორის კეთილშობილური პატიოსნება“, შემდეგ კი – „მეფის ირაკლის მეორის სიყვარული ქალისა პირველად“.

335.1. ისპაპანი – ქალაქი ირანში. XVI-XVII საუკუნეებში ირანის დედაქალაქი. მოსახლეობის ეროვნულმა და რელიგიურმა სიჭრელემ არქიტექტურასა და მხატვრობაში ქრისტიანული და ისლამური კულტურის საინტერესო შერწყმა განაპირობა. ისპაპანის ერთ-ერთი ულამაზესი ხიდი, რომლის სახელწოდებაც ქართულად ითარგმნება, როგორც ოცდამეტი ხიდი, აგებულია შაჰ-აბასის ჯარის ყულარალასის, გამაპმადიანებული ქართველის, ალავერდ-ხან უნდილაძის მიერ.

ძველი მოზღვულება ქ. ტფილისისა (338)

ხელნაწერი: ავტოგრაფი K S: 1634-17

თარიღი: დაუთარიღებელი

ხელმოწერა: არა აქვს

იბეჭდება პირველად.

როგორც ალექსანდრე ორბელიანისთვის ნიშანდობლივია, ამ წერილშიც მძაფრადა აღბეჭდილი ეროვნული სულისკვეთება. ძველი თბილისის საზღვრების აღწერისას ძირითადად უშუალოდ ნანახს ეყრდნობა. საყურადღებოა, რომ მწერალი არ არის ქალაქის გაფართოების ან ახლებურად განაშენიანების მონინააღმდეგე. უკავყოფილოა მხოლოდ მთავარმართებელ ერმოლოვის მიერ ციხე-ებისა და გალავნების დანგრევით. მიიჩნევს, რომ ეს აქტი პირდაპირი გამოხატულებაა რუსეთის დამპყრობლური პოლიტიკისა და განხორციელდა თბილისის უძველესი ისტორიის წაშლის მიზნით და არა გაფართოება-განახლების კეთილშობილური განზრახვით.

340.1. „წარსულს რომელსამე ცისკარში ვთქვი: ოდესმე ვიტყვი
ჩუენ ძუელს სახლის პატრონობასა-მეთქი“ – ალექსანდრე ორბელიანი, ალბათ, მიგვანიშნებს „ცისკრის“ 1861 წლის №10-ში გამოქვეყნებულ წერილზე „რედაკტორო უფალო ი. კერესელიძე!“ სადაც ნათქვამია: „ეხლა დრო არ არის და თავის დროზედ კი ვიტყვი, რომ უნინდელი ჩუენი მებატონენი, ქალნი და კაცნი, როგორი სახლის პატრონები ყოფილან რომ დავინახოთ, არც იმაში იყვნენ ისინი უმეცარნი“ (იხ. ამ გამოცემის ტ. II). ეს გარემოება მაინც არ გვაძლევს წერილის „ძველი მოზღვულების ქ. ტფილისისა“ თუნდაც მიახლოებით დათარიღების საშუალებას, რადგან ავტორის ფრაზა: „წარსულს რომელსამე ცისკარში“ ძალიან ზოგადია და არ გამოხატავს რამდენი წლის წინანდელ პუბლიკაციას გულისხმობს.

პირთა საძიებელი

۳

- აბაზ-მირზა – 123, 376
აბაშიძე ანა – 218, 351, 354, 361, 375, 386, 392
აბაშიძე ზაალ – 218, 392
აბაშიძე ივანე – 42, 225, 354, 355
აბაშიძის ქალი – 58, 115, 158, 217, 218, 361
აბდულა-ბეგი (არჩილი) – 80, 82, 85, 145, 146, 173, 364, 381
აბზიანიძე ზაზა – 372
ადრიბეჟანის ხანი – 17, 28, 41, 233, 307, 352
ავალიშვილი (ავალოვი) გიორგი – 350, 395
ავალიშვილი მარიამ – 350
ავალოვი (ავალიშვილი) ქაიხოსრო – 225, 226, 258, 394
ავარიის ხანი – 222, 228, 229, 230, 231, 403
აზაფხანი (აზაფ-ხანი) – 26, 225, 227, 394
ალექსანდრე I – 58, 59, 246, 247, 248, 273, 316, 361, 402
ალექსანდრე II – 107, 372
ალექსანდრე ნიკალაი პავლოვიჩის მემკვიდრე – 103
ალვისტოსახარი – 293
ალისკანგი (ავარიის ხანის შვილი) – 228, 229, 230
ამბარდანოვი – 296
ამილახვარი ალექსანდრე (დიმიტრის შვილი) – 364, 365
ამილახვარი დიმიტრი – 80, 83, 85, 364, 365
ამილახვარი გივი – 5, 145, 155, 156, 169, 170, 171, 172, 173, 179,
181, 182, 249, 364, 384, 385, 386, 394, 408
ამილახვარი გიორგი – 364
ამილახვარი ოთარ – 42
ამილახვარი ოთარ – 42, 225, 355, 400
ამილახვარი რევაზ – 400
ანა (თეიმურაზის ქალი) – 155, 159, 383, 387, 406, 407
ანასტასია ერეკლეს ასული – 59, 177, 199, 221, 361, 391
ანდრეევსკები ნინო და ელენე – 366
ანდრეევსკი ერასტი სტეფანიჩი – 86, 366
ანდრონიკაშვილი ზაქარია – იხ. ენდრონიკაშვილი ზაქარია
ანდრონიკაშვილი ნინია (კუზიანი ზაალის შვილი) – იხ. ენდრონ-
იკაშვილი ნინია

- ანდრონიკაშვილი პაატა – იხ. ენდრონიკაშვილი პაატა
- ანდრონიკაშვილი რევაზ – 8, 9, 19, 21, 23, 27, 35, 70-74, 160, 161, 177, 183-186, 223, 239, 241, 243, 347, 349, 353, 358, 362, 375, 383, 386, 394
- ანდრონიკაშვილი ქეთევან – 70-75, 115-117, 161, 348, 349, 362, 375, 384
- ანდრონიკაშვილი ხორეშან – 106, 353, 373
- ანდრონიკაშვილი ზაალ (კუზიანი) – იხ. ენდრონიკაშვილი ზაალ
- ანდრონიკოვი (ანდრონიკაშვილი) იასე იოსების ძე – 324, 404
- ანტონა ექიმბაში – იხ. კარაევი ანტონ
- ანტონ II – 21, 22, 30, 31, 32, 45, 46, 195, 248, 255, 264, 303, 352, 354
- ანტონ ქათალოკოზი (ანტონ I) – 79, 84, 114, 115, 143, 144, 146, 147, 216, 309, 310, 363, 364, 373, 374, 380
- არაგვის ერისთავისშვილი უთრუთ – 169
- არარაცყი (არარაციან) არტემ (არუთინ) – 11, 29, 30, 32, 33, 175, 223, 224, 225, 227, 232, 239, 353, 394
- არველაძე გაია – 4
- არისტაკე სედრაკიანი – 354
- არისტოფანე – 204, 391
- არსენი – 42, 239
- არქიმანდრიტი ელეფთერ – 166
- არქიმანდრიტი ეფთვიმე – 164, 166
- არღუთაშვილი სოლომან – იხ. მიმპაში სოლომან
- არღუთიანი (არღუთინსკი) იოსებ (ოსეფა) – არაჩნურთი – 9, 11, 29, 145, 149, 165, 174, 184, 185, 223, 131, 239, 250, 252, 350, 354, 381, 384, 386, 394
- არღუთინსკი-დოლგორუკოვი ნიკოლოზ – 125, 129
- არღუთოვი (არღუთაშვილი) ნიკოლოზ (კიკოლა) – 126, 127, 129, 130, 256, 396
- არჩილ ბატოიშვილი – 364, 381
- არჩილი (თეიმურაზის შვილი) – 294
- არჩილი (სოლომონ I-ის ძმა) – 23, 114, 352, 353, 373
- ასლანი – იხ. ორბელიანი (ყაფლანიშვილი) ასლან
- აფხაზი ივანე ნიკოლოზის ძე – 125, 378
- აფხაზი შერმაზან – 121
- ალალუა (თოფჩი) – 39
- ალამამადხანი – 5, 7, 8, 11-35, 38, 42-46, 63, 74, 76, 77, 93, 137, 144, 149, 153, 156, 157, 158, 174, 175, 177, 183-186, 200, 204, 221,

222-233, 237, 139, 240, 243, 247, 250, 265, 299-301, 305, 308, 310, 340, 347, 348, 352, 358, 359, 362, 369, 380, 381, 383, 386, 389-392, 394, 395, 400, 401

აშხართბეგი – 252

აჯი-ჩალაძი – 297, 397, 398

პ

ბაგრატიონი დიმიტრი – 171, 246, 248, 250, 258, 395

ბაგრატიონი თამარ ერეკლეს ასული – 15, 58, 156, 158, 218, 350, 351, 361, 382, 392, 400

ბაგრატიონი პეტრე – 124, 377

ბაგრატიონი რომან (რევაზ) ივანეს ძე – 124, 377

ბაგრატიონ-მუხრანბატონი ივანე – იხ. მუხრან-ბატონი ივანე

ბაგრატიონ-მუხრანსკი გრიგოლ – იხ. მუხრან-ბატონი გრიგოლ

ბაგრატიონ-მუხრანსკი კონსტანტინე – იხ. მუხრან-ბატონი კონსტანტინე

ბაიდრის ალმას სულთანი – 44, 352

ბალახაშვილი იაკობ – 367

ბარათაშვილი – 180

ბარათაშვილი (ამილაბარი) – 179

ბარათაშვილი გოგია – 125, 378

ბარათაშვილი დავითი (ალექსანდრე ორბელიანის სიმამრი) – 45, 125, 355, 378

ბარათაშვილი ეკატერინე (კატინო) დავითის ასული – 97, 286, 290, 396

ბარათაშვილი ზაალ (მდივანბეგი) – 54, 55, 92, 93, 152, 356, 359

ბარათაშვილი ივანე ზაალის ძე – 182

ბარათაშვილი მელიტონ – 125, 378, 390

ბარათაშვილი ნიკოლოზ მელიტონის ძე – 143, 354, 356, 362, 367, 377, 378, 388, 389, 395

ბარამ ნაზირი – 110

ბარბარე (ელიაზარ ფალავანიშვილის ცოლი) – 71, 201, 355

ბარბარე (ქეთევან ბატონიშვილის შვილი) – 61, 286, 290, 361, 379, 397

ბარიატინსკი ალექსანდრე (კნიაზ ბარატინსკი) – 105, 106, 371, 372

ბასტამაშვილი ბეჟანა – 22, 175, 237, 239

ბასტამაშვილი გოგია – 239, 323, 324, 403

- ბატონირძალი** (ბატონირძლები) – 118, 119, 197
ბატონირძალი სალომე – 77, 362, 400
ბატონირძალი ქეთევან (ივანე მუხრანბატონის და) – 70, 71, 75, 76, 77, 116, 351, 362
ბატონიშვილები – 14, 46, 64, 118, 119, 121, 140, 142, 157, 197, 211, 216, 230, 255, 258, 261, 262, 289, 290, 292-294, 299, 318
ბატონიშვილი – 51, 73, 111, 135, 160, 184, 187, 188, 190, 193, 195, 196, 221, 292, 323, 335
ბატონიშვილი (ბატონიშვილი) ლევან – 114, 115, 117, 118, 120, 121, 143, 152, 153, 158, 193, 204, 307, 309, 349, 373-375, 380, 383, 402
ბატონიშვილი ალექსანდრე – 30, 98, 166, 186, 193, 195, 196, 299, 319-324, 388, 394
ბატონიშვილი ალმასხან (ვახტანგ) – 9, 40, 41, 77, 354
ბატონიშვილი ანა – 327, 328, 159, 327, 383, 387, 406, 407
ბატონიშვილი ანასტასია – 199, 221, 361, 391
ბატონიშვილი ანტონი – იხ. ანტონ II
ბატონიშვილი არჩილ – იხ. არჩილ **ბატონიშვილი**
ბატონიშვილი ბაგრატ – 198, 355
ბატონიშვილი ბაქარ – 9, 172, 181, 250, 385
ბატონიშვილი გაიანე – 61, 164, 177, 361, 377, 384
ბატონიშვილი გიორგი (მეფე გიორგი, გიორგი XII) – 5, 8, 9, 19, 23, 35, 49-51, 54, 70-75, 115-117, 157, 158, 160-167, 178, 183-185, 197, 201, 202, 210, 211, 220, 239, 240, 254, 255, 261-264, 266-269, 271, 272, 312, 313, 348, 349, 351-353, 355, 356, 361, 362, 375, 377, 381, 384, 386, 387, 389-393, 395, 400-403
ბატონიშვილი გრიგოლ – 198
ბატონიშვილი დავით – 8, 9, 34, 35, 39, 46, 142, 161, 164-166, 197, 198, 225, 228, 266-268, 272, 299, 314, 318, 349, 380, 390, 394
ბატონიშვილი დედაჩემი (დედა, დედათქვენი) – 22, 46, 54, 55, 57, 62, 65, 67, 119, 191, 210, 240, 241, 250, 259, 277, 286, 307, 308, 328, 333
ბატონიშვილი დიმიტრი – 350, 389, 390, 400
ბატონიშვილი ეკატერინე – 59, 64, 184, 221, 361, 387
ბატონიშვილი ელენე – 19, 23, 73, 74, 87, 114, 161, 214, 352, 353, 367, 373
ბატონიშვილი თამარ (მეფე გიორგის ქალი) – 198, 390
ბატონიშვილი თეიმურაზ – 7-9, 11, 198, 225, 226, 264, 265, 348, 355, 373, 390

- ბატონიშვილი თეკლა** – 67, 80, 110, 159, 183, 191, 210-212, 221, 236, 262, 263, 271, 272, 292, 316, 325, 360, 361, 367, 375, 391, 396, 400-402, 406
- ბატონიშვილი ივანე** – 7, 9, 40, 41, 77, 142, 198, 225, 348, 390
- ბატონიშვილი ილია** – 198, 390
- ბატონიშვილი ირაკლი** – 6, 134, 169, 170, 172, 180, 181, 198, 327, 345, 359, 379, 390, 405-407
- ბატონიშვილი იულინ** – 9, 10, 77, 165, 166, 197, 255, 261, 262, 264, 267-269, 312, 313, 315, 318, 325, 331, 349, 355, 362, 384, 389, 390, 395, 400
- ბატონიშვილი მარიამ** – 114, 221, 354, 373
- ბატონიშვილი მარიამ (სოლომანის ქალი)** – 176, 177, 240
- ბატონიშვილი მარიამ (მეფე სოლომანის და)** – 27, 353
- ბატონიშვილი მირიან** – 165, 197, 198, 201, 261-268, 313, 384, 389, 401
- ბატონიშვილი მიხეილ** – 198-203, 268, 390
- ბატონიშვილი ოქროპირ** – 198, 378, 390
- ბატონიშვილი პაატა** – 80-83, 85, 145, 146, 173, 240, 250, 364, 365, 380
- ბატონიშვილი ფარნავაზ** – 197, 199, 318, 389
- ბატონიშვილი ქეთევან** – 59, 61, 76, 77, 117-119, 156, 221, 233, 276, 278, 279, 285, 286, 292, 296, 318, 319, 351, 361, 371, 375, 377, 379, 396, 397, 402
- ბატონიშვილი ქერუყ** – 297
- ბატონიშვილი ალექსანდრე** – იხ. **ბატონიშვილი ალექსანდრე**
- ბატონიშვილი ანა** – იხ. **ბატონიშვილი ანა**
- ბატონიშვილი ბაგრატ** – იხ. **ბატონიშვილი ბაგრატ**
- ბატონიშვილი ბაქარ ვახტანგის ძე (გრუზინსკი)** – იხ. **ბატონიშვილი ბაქარ**
- ბატონიშვილი გიორგი** – იხ. **ბატონიშვილი გიორგი**
- ბატონიშვილი დავით (აბდულა ბეგის შვილი)** – იხ. **ბატონიშვილი დავით**
- ბატონიშვილი დიმიტრი** – იხ. **ბატონიშვილი დიმიტრი**
- ბატონიშვილი ელენე** – იხ. **ბატონიშვილი ელენე**
- ბატონიშვილ ივანეს შვილი გრიგოლ** – იხ. **ბატონიშვილი გრიგოლ**
- ბატონიშვილი ვახტანგ (ალმასხან)** – იხ. **ბატონიშვილი ალმასხან (ვახტანგ)**
- ბატონიშვილი თამარ** – იხ. **ბატონიშვილი თამარ**
- ბატონიშვილი თეკლა** – იხ. **ბატონიშვილი თეკლა**
- ბატონიშვილი ივანე (იოანე ბაგრატიონი)** – იხ. **ბატონიშვილი ივანე**

ბატონიშვილი ილია (ოქროპირის ძმა) – იხ. ბატონიშვილი ილია
ბატონიშვილი ირაკლი (ოქროპირის ძმა) – იხ. ბატონიშვილი ირაკლი
ბატონიშვილი იულინ – იხ. ბატონიშვილი იულინ
ბატონიშვილი მარიამ – იხ. ბატონიშვილი მარიამ
ბატონიშვილი მირიან – იხ. ბატონიშვილი მირიან
ბატონიშვილი მიხეილ (ცრუმიხეილი) – იხ. ბატონიშვილი მიხეილ
ბატონიშვილი ოქროპირ – იხ. ბატონიშვილი ოქროპირ
ბატონიშვილი ფარნავაზ – იხ. ბატონიშვილი ფარნავაზ
ბატონიშვილი ქეთევან ერეკლეს ასული – იხ. ბატონიშვილი ქეთევან
ბატონიშვილი (ბაგრატიონი) დავით – იხ. ბატონიშვილი დავით
ბატონიშვილი (ბაგრატიონი) პატა – იხ. ბატონიშვილი პატა
ბატონიშვილი (ბაგრატიონი) თეიმურაზ მეფის გიორგის ძე – იხ.
ბატონიშვილი თეიმურაზ
ბებუთაშვილები – 243
ბებუთაშვილი არსენ – 239
ბებუთაშვილი იოსებ (მისკარპაში) – 11, 42, 175, 201, 225, 232,
240, 251, 350, 351, 395
ბებუთაშვილი (ბებუთოვი) დარჩია – 11, 20, 32, 175, 232, 235, 237,
238, 242, 255, 259, 312, 351, 353, 395, 400
ბებუთოვი ვასილი ოსეფიჩი (ბებუთაშვილი ვასილ იოსების ძე) – 89,
368
ბეგთაბეგი – 233
ბეგთაბეგიანთ ქვრივი – 55
ბეგთაბეგი სულხან – 96
ბეჟანი – 110, 373
ბერელა (მოსამსახურე) – იხ. კოპახიძე ბერელა
ბერი პორფირი – 198
ბერძნიშვილი მამისა – 382
ბერძნიშვილი მაქსიმე – 352, 355, 402
ბროსე მარი – 217, 348, 362, 389
ბუტკოვი – 354

გ

გაბაშვილი ბესარიონ (ბესიკი) – 351, 356, 392
გაბოძე ჯულიეტა – 4
გაიანე გიორგი XII-ის ასული – იხ. ბატონიშვილი გაიანე
გარიბალდი ჯუზეპე – 104, 371

გერცეზიუსი – 261
გიბონი – 203
გიორგი მეოთხე – 211
გიორგი მეცამეტე – 197, 362, 389, 395
გიორგი ყულარალაზი – 176, 177, 249
გიორგი XI – 359
გიორგი XII – იხ. ბატონიშვილი გიორგი (გიორგი XII)
გოგებაშვილი იაკობ – 356
გორჯასპი – 385
გრიბოედოვი – 377
გრიგოლა დიაკვანი – 98, 279, 285, 287, 288, 294, 397
გრიშაშვილი იოსებ – 397, 399
გურამიშვილი დავით – 381, 384, 401
გურამიშვილი გიორგი (ქუმელა) – 34, 36, 37, 354
გურიელის ქალი – 218
გუქა (ცოლი აზნაურ ნათალიშვილისა) – 196, 321, 386, 403

დ

დადიანი გიორგი – 352,
დადიანი დარეჯან – 5, 21, 29, 30, 52, 54, 57, 58-65, 67, 68, 70-72,
74-77, 114-117, 121, 171, 197, 200-203, 206-215, 219, 221, 225,
228, 229, 236, 245, 246, 249, 250, 252, 253, 255-258, 261, 262,
264, 267, 269-272, 300-302, 304, 312, 313, 315-318, 333, 349,
351, 352, 354, 355, 360, 361, 373, 374, 380, 388, 389, 390, 392,
400, 402, 404
დადიანი კაცია – 352
დადიანი ოტია – 352
დადიანის ასული – 117, 218
დადიანის ქალი – 58, 115, 361
დავიდოვი – 106
დავით (არჩილის ძე) – 82-85
დავით აღმაშენებელი – 97, 302
დავით (გიორგის ძე) – იხ. ბატონიშვილი დავით
დავით და კოსტანტინე – 218
დავით რექტორი – 348
დათუნა ფეიქარი – 80, 81, 85, 364
დარჩია მელიქი – იხ. ბებუთაშვილი (ბებუთოვი) დარჩია

დედოფალი თამარ – იხ. თამარ დედოფალი
დემეტრე (ანუ დიმიტრი) ეშკალაბაში – 55, 115, 155, 159, 211, 383, 406
დემურაშვილი დავითა – 55, 359
დიმიტრი ბაგრატიონის ქალი – 258
დიუმა ალექსანდრე – 367, 368
დოდაშვილი სოლომონ – 404
დრანსე ანა – 366
დუბროვინი ნიკოლოზ თედორეს ძე – 5, 220, 221, 223-228, 245,
253, 258, 260, 262, 265, 267, 268-270, 172-175, 349, 360, 393,
400, 402

ც

ედიგარას შვილი ალავერდპეგ – 31, 39, 354
ეკატერინა ხელმწიფა (ეკატერინა მეორე, ეკატერინე II) – 47, 55,
114, 174, 242, 243, 252, 257, 261, 265, 268, 309, 357, 358, 374,
394
ეკატერინე (ერეკლეს ასული) – იხ. ბატონიშვილი ეკატერინე
ელენე ელიზბარ ეშკალაბაშის ცოლი – 179
ელენე ერეკლეს ასული – იხ. ბატონიშვილი ელენე
ელიზბარ გიორგი ყულარალაზის ძე – 175-177, 240, 241
ელიოზისშვილი ნიკოლოზ (ანტონ ქათალიკოზის ნაზირი) – 30,
45, 195, 354, 388
ელისაბედ თეიმურაზ II-ის ასული – 363, 364
ელისაბედ (თეიმურაზ II-ის და) – 374
ელისაბედ (ოსეფა ყორლანაშვილის ცოლი) – 62
ენა კოლოფაშვილი (ენი კოლოფაშვილი) მირზა გურგენა – 242, 395
ენდრონიკაანთ ქალი ელენე//ქაიხოსრო ანდრონიკაშვილის
ასული ნინო) – 116, 375
ენდრონიკაანთ ქალი მარიამი – 75
ენდრონიკაანთ ქალი ქეთევან (გიორგი XII-ის პირველი ცოლი) –
იხ. ანდრონიკაშვილი ქეთევან
ენდრონიკაშვილი აბელ – 8, 19
ენდრონიკაშვილი ზალ (კუზიანი) – 23, 152, 161, 184, 386
ენდრონიკაშვილი ზაქარია – 23, 42, 73, 74, 114, 161, 223, 225, 352,
353, 362, 373, 383, 404
ენდრონიკაშვილი თამაზ – 23
ენდრონიკაშვილი თომა – 118

ენდრონიკაშვილი ნინია – 23, 161, 177, 184, 386
ენდრონიკაშვილი რევაზ – იხ. ანდრონიკაშვილი რევაზ
ენდრონიკაშვილი (ანდრონიკაშვილი) პაატა – 50, 114, 309, 311, 399
ენიკოლოფაშვილი (ენაკოლოფაშვილი) მირზა აფრიამა – 395
ენიკოლოფაშვილი (ენაკოლოფაშვილი) სოფიო – 395
ერეკლე მეფე (ერეკლე II) – იხ. მეფე ირაკლი//მეფე ერეკლე
ერისთავიანნი – 167, 168, 248
ერისთავი გიორგი – 59, 60, 125, 126, 129, 130, 132, 164, 177, 202,
240, 249, 361, 377, 384, 391
ერისთავი გიორგი, ელის(ზ)ბარ, თო(რ)ნიკე – 60, 361
ერისთავი დავით – 159, 248, 383
ერისთავი დათუნა – 168,
ერისთავი ელი (ს)ზბარ – 175-177, 240, 241, 361
ერისთავი ელიზბარ (შექმულების ერთ-ერთი მეთაური) – 369
ერისთავი თორნიკე – 249, 361
ერისთავი იასე – 377, 383
ერისთავი რაფიელ – 356
ერისთავი რევაზ – 177, 221
ერისთავი სოფიო – 383
ერისთავისშვილი მირმანოზ – 176
ერისთავისშვილი მიხეილ – 176
ერისთავისშვილი სოლომან – 176
ერისთვისშვილი უთრუთ – 169, 170
ერისთავი შანშე – 145, 155, 168-172, 176, 248, 249
ერისთოვი გიორგი – 100, 204, 207, 366, 391
ერმოლოვი (ალექსი პეტრეს ძე) – 102, 123, 196, 324, 339, 340, 376,
404, 410

3

ვარანცოვი (ვორონცოვი) მიხაილ – 5, 86, 87, 89, 90, 98-107, 204-
207, 365, 366, 370, 371, 391, 392
ვარდისახარი – 65
ვახანია ნინო – 4
ვახტანგ V (შაჰნავაზი) – 308, 359
ვახტანგ გორგასალი – 339
ვახტანგ (კარგი) – 58, 70, 75, 76, 218, 263, 351, 361, 362
ვახტანგ მეფე (VI) – 9, 81, 134, 136, 141, 144-150, 155, 160, 168,

- 169, 171, 173, 179-181, 240, 248-250, 327, 328, 330, 359, 364,
373, 380, 381, 383, 385, 406, 407
ვახუშტი – 149, 169, 373
ვილა (იტალიელი კომერსანტი) – 367
ვორონცოვა (ბრანიცკაია) ელისაბედ ქსავერევნა – 367
ვ... (ქ. თბილისის ისპრავნიკი) – 133

ზ

- ზავილეიცკი // ზავილეისკი პეტრე დამიანის ძე** – 126, 279, 378, 397
ზარდიაშვილი ელისაბედ – 4.
ზებედე ლვდელი – 195, 388
ზუბალაშვილი ივანე – 367

თ

- თაგაურები (დუდაროები)** – 167
თაგაური/დუდარო როსტომი – 167
თაგაური/დუდარო სიდამონი – 167
თადია – 111-113, 184, 185, 196, 373, 387
თავადი რ... ა... – 51, 358
თავადი ა... თ... – 99
თალია (მისკარბაშ იოსებ ბებუთაშვილის ცოლი) – 201
თამაზ ეშკაბალაში – იხ. ორბელიანი თამაზ
თამაზ ყული ალა – 193, 194, 195
თამამშევი გაბრიელ – 89, 367
თამარ (ალექსანდრე ორბელიანის ბებია – მამის დედა) – 211
თამარ გიორგი მეფის ქალი – იხ. ბატონიშვილი თამარ
თამარ დედოფალი (ვახტანგ VI-ის ასული) – 145, 170, 173, 179,
327, 328, 359, 406, 407
თამარ მეფე (დედოფალი) – 253, 302
თამარი (ერეკლეს შვილი, დავით ორბელიანის მეუღლე) – 15, 58,
156, 158, 218, 350, 351, 361, 382, 392, 400
თამარი (იულონ ბატონიშვილის ქალი) – 325
თარგამოზი – 306
თარხნიშვილი დიმიტრი – 195, 388
თარხნის შვილი სოლომონ (მეითარი სოლომონ) – 54, 158, 266,
383, 402

თაქთაქიშვილი ელისბარ – 81, 85, 365
თაქთაქიშვილი იასე ელისბარის შვილი – 85, 365
თაყაიშვილი ექვთიმე – 347
თეიმურაზ მეორე – 79, 134-136, 143, 145-147, 150, 155, 158, 169-173, 176, 179-182, 228, 248, 249, 297, 308, 363, 373, 374, 381, 383, 385, 386, 398, 407
თინათინი (ივანე სარდლის და) – 158, 358
თონიკე, გიორგი ქსნის ერისთავის ძმა – 60, 61, 290, 361
თულთანდილი – 133
თუმანიშვილები – 241, 243, 331
თუმანიშვილი ბარბარე გიორგის ასული – 366
თუმანიშვილი მანუჩარ – 11, 175, 237, 395
თუმანიშვილი მიხეილ – 395
თუმანიშვილი სულხან – 11, 175, 237, 351, 395
თუმანიშვილი შიოშ – 11, 235, 237, 240, 395

0

იაკობ (ორბელიანი) – 125, 133, 158, 378
იასე მსაჯული – 147
იბრეიმ ხანი (ყარაბალის ხანი) – 23, 231, 299, 394
იესე (იასე, ვახტანგ მეფის ძმა) – 145, 146, 173, 363, 364, 373, 381
ივანე III – 396
იოანე კახთ აბაშიძე – 355 (იხ. აგრეთვე აბაშიძე ივანე)
იოსება ხურო – 265
იოსელიანი ავთანდილ – 376
იოსელიანი ეგნატე – 199-202, 210, 214, 233-236, 238, 241, 245, 246, 250-252, 391
იოსელიანი პლატონ – 5, 59, 60, 61, 102, 167, 168, 197-210, 212-219, 224, 351, 360, 361, 383, 388, 390, 391, 400, 402
იუდა – 185

3

კავალევსკი – 267-270
კაკაბაძე სარგის – 360, 373, 379, 382, 384
კალატოზისშვილი იოსებ – 167, 315, 402
კარაევისშვილი (კარაევი, ყარაევი) ივანე(იოანე) – 45, 46, 49, 58,

- 59, 241, 257, 355, 358, 395
 კარაევი ანტონ – 49-51, 355, 358
 კარბელაშვილი პოლიევექტოს – 355
 კარგი ვახტანგი – იხ. ვახტანგ (კარგი)
 კეკელიძე კორნელი – 345, 346
 კიკნაძე ვაჟა – 364
 კიკნაძე ფილადელფოს (ბერი) – 198, 390
 კონსტანტინოვი – 60, 254, 256
 კოპასიძე ბერელა – 55, 187, 188, 189, 190, 191, 192, 359, 387
 კოხტა ბელადი (მალაჩილა) – 47, 51, 52, 356, 358
 კრონინლი (გენერალი კორინგი) – 266

ლ

- ლაზარევი ივანე პეტრეს ძე (ლენერალი) – 201, 268, 270-272, 314, 315, 401
 ლარაძე პეტრე – 348
 ლეონიძე გიორგი – 345, 346, 373
 ლევანი (თეიმურაზის შვილი) – 290-292, 294, 397
 ლეონიძე (ლიონიძე) სოლომონ – 144, 214, 216, 217, 243-245, 251, 270, 327, 392
 ლომისახარ (ხვარამზე) – 65, 97, 279, 370, 387, 396
 ლორთქიფანიძე კირილე – 357

მ

- მათე იოსების ძე – 357
 მათუა – 31
 მალაჩილა (კოხტაბელადი) – იხ. კოხტა ბელადი (მალაჩილა)
 მამა ქრისტესია – 80, 81
 მამუკა ეშკაძაბაში – იხ. ორბელიანი მამუკა
 მანსვეტაშვილი იაკობ – 389
 მარიამ დედოფლალი (ციციშვილი) – 163, 166, 167, 240, 315, 349, 384, 390, 401, 402
 მარი ნიკო – 354
 მარკიზ პაულუჩი (მთავარმართებელი) – 186, 187, 189, 191, 192, 387
 მარკოზაშვილი – 141, 146, 240, 380

- მაღალაშვილი თ. დ.** – 92
მაყაშვილი ალექსანდრე – 164, 166, 258, 266, 270
მაჩაბელი ზაალი (ბორტი) (ოთხი ზაალიდან ერთ-ერთი) – 152, 382
მელიქიშვილი ნინია (ივანე) – 45, 355
მელიქ მეჯლუმი – 223, 231, 232, 239, 394
მეფე გიორგი – იხ. **ბატონიშვილი გიორგი (მეფე გიორგი, გიორგი XII)**
მეფე ირაკლი//მეფე ერეკლე – 5, 6, 8-17, 19-77, 80-85, 87, 91-93,
 97, 110-112, 114-118, 120, 121, 134-147, 149-165, 167, 169,
 170, 172-186, 192, 197-204, 206, 208-233, 235-243, 245-258,
 260-265, 268, 270, 272, 273, 275, 277, 281, 285, 293, 297, 299-
 313, 315-319, 324, 325, 327-339, 347, 349-364, 373-375, 378-
 389, 391, 392, 394, 395, 398-403, 405, 407-409
მეფე როსტომი – 308
მეფე სოლომონი – 19, 20, 21, 23, 24, 26-30, 32-34, 176, 177, 185,
 214, 216, 217, 224, 240, 269, 352, 353, 373, 392
მზექალაშვილი ნინია – 114
მიმპაში სოლომან – 11, 174, 232, 237, 243, 256, 350, 395, 396
მიხეილ ნიკალაიჩი (ველიკი კნიაზი) – 106, 107, 369, 372
მონრეო – 206
მურავიოვი ანდრეი – 58-61, 197, 351, 360, 361, 389
მურავიოვი ნიკალაი ნიკალაიჩი (ლენერალი) – 102, 103-105, 205,
 370, 392
მურვან ყრუ – 218
მუხრან-ბატონი ბარბარე – 61, 286, 290, 361
მუხრან-ბატონი (ბაგრატიონ-მუხრანსკი) გრიგოლ – 104, 256,
 324, 371, 404
მუხრან-ბატონი (მუხრანის ბატონი, ბაგრატიონი) ივანე – 9, 15,
 40, 41, 61, 70, 75-77, 117, 156, 214, 218, 221, 225, 229, 230, 242,
 318, 351, 361, 362, 371, 375, 377, 394, 396, 402
მუხრან-ბატონი (ბაგრატიონ-მუხრანსკი) კონსტანტინე – 75,
 125, 126, 128-130, 155, 218, 256, 377, 379
მუხრან-ბატონი ქეთევან – 75, 76, 218, 351
მუხრანბატონი თეიმურაზ – 131, 132, 256, 379, 397
მუხრანის ბატონი დავით – 256, 396
მხეიძე (ფხეიძე) ქეთევან ზაალის (გიორგის) ასული – 218, 361, 392
მხეიძე გიორგი – 218
მხეიძე გრიგოლ – 218
მხეიძე დავით – 218

- მხეიძე კონსტანტინე – 218
 მხეიძე პეტრე (გიორგის შვილი) – 218
 მხეიძის ქალი – 181

6

- ნაბათ ხანუმ – 31
 ნადირშა (ნადირ-შაჰი) – 33, 57, 68, 136, 145-147, 155, 169-173,
 181-183, 204, 228, 306, 307, 323, 329, 333, 335, 336, 380, 381,
 385, 386, 394, 408
 ნათალიშვილი გორჯასპი (გოვჯასპი) – 196, 321, 386, 403
 ნაისახარ – 65, 279, 396
 ნაპალიონი (ნაპოლეონ ბონაპარტე) – 312, 320, 330, 387, 399, 400
 ნეიმანი ალექსანდრე – 399
 ნერსესი (პატრიარქი) – 126, 378
 ნიკალაი პავლოვიჩი – 102, 103
 ნიკოლოზი (კვართი საუფლო ეკლესიის დეკანოზი) – 246, 248, 254
 ნინო (ბარბარეს ქალი) – 61, 286, 290, 361, 397
 ნურსალბეგი – 403

7

- ომარ-ხანი – 140, 319, 403
 ონანაშვილი ვაჩინაძე ლუარსაბ – 121
 ონისიმე მღვდელი – 201
 ორბელიანი ალექსანდრე – 2, 3, 12, 55, 57, 78, 79, 85, 90, 95, 113,
 122, 133, 177, 178, 182, 196, 275, 296, 298, 333, 334, 344-349,
 351-361, 363, 365-382, 384-394, 396-398, 400-405, 407, 408, 410
 ორბელიანი (ყაფლანიშვილი) ასლან – 125, 133, 156, 158, 163, 164,
 167, 191, 239, 242, 243, 272, 315, 163, 164, 167, 191, 239, 272,
 315, 351, 378, 382, 384, 387, 401
 ორბელიანი ბანგუა – 385
 ორბელიანი გიორგი – 158, 385
 ორბელიანი გრიგოლ – 106, 107, 348, 353, 367, 371-373, 378, 382,
 389, 391
 ორბელიანი გუქა – 196, 321, 386, 403
 ორბელიანი (ყაფლანიშვილი) ანა – 96, 155, 180, 217, 392
 ორბელიანი დავით – 10, 29, 49, 51, 66, 156, 214, 216, 218, 237, 239,

- 242, 302, 350, 351, 356, 358, 362, 369, 382, 383, 392, 400
- ორბელიანი (ყაფლანიშვილი) დემეტრე (დიმიტრი)** – 155, 159, 211, 359, 383, 406
- ორბელიანი დიმიტრი** – 109, 396
- ორბელიანი ეკატერინე** – 321, 373, 387, 403
- ორბელიანი ელიზბარ ვახუშტის ქე (ეშკალაბაში)** – 155, 179, 384, 385
- ორბელიანი ვახტანგ** – 155, 192, 217, 286, 290, 316, 356, 359, 363, 368, 385-387, 402
- ორბელიანი ვახუშტი** – 204, 359, 384, 385
- ორბელიანი ზაალ** – 152, 159, 160, 164, 383
- ორბელიანი ზაქარია** – 106, 107, 372
- ორბელიანი ზურაბ (დიმიტრი)** – 106, 383
- ორბელიანი თამაზ (ეშკალაბაში)** – 96, 159, 192, 361, 383, 387
- ორბელიანი იაკობ** – 125, 133, 158, 378
- ორბელიანი ივანე** – 61, 96, 158, 201, 266, 312, 314, 350, 361, 369, 382, 400
- ორბელიანი ილია** – 87, 89, 106, 366, 367, 372
- ორბელიანი იოსებ** – 158
- ორბელიანი ლიზა (ელისაბედ) დიმიტრის ასული** – 106, 371
- ორბელიანი ლუარსაბ** – 96, 125, 127, 133, 259, 369, 378
- ორბელიანი მამუკა** – 133, 159, 192, 383, 387
- ორბელიანი მარიამ ლუარსაბის ასული** – 376
- ორბელიანი პაპუნა** – 182, 297, 298, 358, 385, 398
- ორბელიანი რევაზ** – 155, 351, 382, 401
- ორბელიანი როდამ** – 359
- ორბელიანი სალომე** – 369, 383
- ორბელიანი სამარალდო** – 158
- ორბელიანი სოლომან** – 158
- ორბელიანი სულხან-საბა** – 359
- ორბელიანი ქაიხოსრო (სარდალი)** – 125, 133, 155, 158, 179, 378, 382
- ორბელიანი ყაფლან** – 158, 359, 385
- ორბელიანი ჭაბუა (მზეჭაბუკ) დიანბეგი (მდივანბეგი)** – 159, 214, 392
- ოსეფა მილახვარი** – 11, 29, 42, 61-64, 66, 68, 69, 175, 197, 201, 225, 237, 238, 324, 350, 351, 362, 389, 395, 403

პ

- პავლე (რუსეთის ხელმწიფე) – 273
 პაპოვი – 61, 361
 პასკევიჩი (ივან თედორეს ძე) – 102, 124-133, 287, 324, 367, 377, 404
 პოლიცმეისტერი რ... – 127
 პოტენციი (პოტიომკინი პავლე სერგეის ძე) – 225, 228, 242, 394
 პრიბილი ივანე ანტონის ძე – 355
 პუშკინი ა. ს. – 367

ჟ

- ჟღენტი ნიკოლოზ – 4

რ

- რაზმაძე სოლომონ – 348
 რეადი (რიადი) ნიკოლოზ – 102, 205, 392
 რობაქიძე გრიგოლ – 366
 რომანოვი მიხაილ ნიკოლოზის ძე („ველიკი კნიაზი“) – 106, 107,
 369, 372

ს

- სალომე (იულიან ბატონიშვილის ცოლი) – იხ. ბატონირძალი სალომე
 სალომე (ორბელიანი, ლუარსაბისა და დავითის დაი) – 369, 383
 სალომე ფარნავაზის ქალი – 197, 389
 საბოლჩიკოვი (სახლის დოხტური) – 296
 სკუდიერი ჯოვანი – 367
 სოლომანი (იმერეთის მეფე) – 19-21, 23-30, 32-34, 185, 214, 217,
 224, 269, 352, 353, 373, 392
 სოლომონ, იმერეთის დიდი მეფე – 176, 177, 216, 240, 352, 353, 373
 სოლომონ მიმბაში – 11, 232, 243, 256, 350, 395, 396
 სოლომონ მსაჯული – იხ. ლეონიძე (ლიონიძე) სოლომონ
 სოფიო (ბარამ ნაზირის ცოლი) – 110
 სოფიო (სოლომან მიმბაშის ქალი) – 256, 396
 სტრეკალოვი – 128, 129
 სულეიმანი – 55

სულხან ბეგთაბეგი – 96, 233
სუხიტაშვილი ვახტანგ – 388
სუხტილინი – 125, 377

ტ

ტაბიძე ტიციან – 366, 387
ტიხანოვი (ლუბერსკისპრავლენის სეკრეტარი) – 279
ტორმასოვი (ტორმუსოვი) ალექსანდრ (მთავარმართებელი) – 96, 348, 352, 370
ტოტლებენი გოტლიბ (გენერალი) – 47, 48, 357

უ

უნდილაძე ალავერდ-ხან – 409

ფ

ფალავანდიშვილი (ფალავანდოვი) ნიკოლოზ იოსების ძე – 123, 125, 128, 129, 133, 376
ფალავანდიშვილი ელიაზარ – 45, 54, 71, 72, 161, 163, 166, 174, 201, 355, 356, 359, 383, 391
ფალავანდიშვილი იესე (ფალავანდოვი იასე) – 325, 376, 404
ფანაალა (ყაზახის მელიქი) – 15, 351
ფრიდერიკო – 92

ქ

ქალბალაი (ნახჩოვნის ხანი) – 221
ქალუა (ოსეფა მილახვრის ქალი) – 238
ქერიმ-ხან – 306, 307, 399
ქეთევან დედოფალი (ნამებული) – 248, 302
ქეთხუდოვი გოგია – 126
ქიტესა – 323, 403
ქობულაშვილი ქეთევან – 159, 383
ქობულოვი (ქობულაშვილი) დავით – 122, 297, 373, 398
ქსნის ერისთავი დავით – იხ. ერისთავი დავით
ქსნის ერისთავი ელიზბარ – იხ. ერისთავი ელი(ს)ზბარ

ქსნის ერისთავი გიორგი იასეს ძე (სენატორი) – იხ. ერისთავი გიორგი
ქსნის ერისთავი რევაზ – იხ. ერისთავი რევაზ
ქსნის ერისთავი შანშე – იხ. ერისთავი შანშე
ქსნის ერისთავი სოფიო – იხ. ერისთავი სოფიო
ქსნის ერისთვიანები (ერისთავები, ერისთვის შვილები) – 10, 60,
167-170, 176, 177, 248, 249, 332
ქურდაშვილი (ერეკლეს მოსამსახურე) – 138, 304, 305

ღ

ლამბურსკის ხელმწიფე – 313
ლუდოვიჩი (გუდოვიჩი) ივანე ვასილის ძე – 18, 20, 222, 352

ყ

ყაფლანიშვილი ასლან – იხ. ორბელიანი (ყაფლანიშვილი) ასლან
ყაფლანიშვილი გიორგი-გორჯასპი-პაპუნა – 385
ყაფლანიშვილი დავით – იხ. ორბელიანი დავით
ყაფლანიშვილი (ორბელიანი) ანა (ვახტანგის ქალი) – 180, 181,
217, 392
ყაფლანიშვილი ვახტანგ – 179, 180, 181, 189, 217, 392
ყარაევი იოსებ – 355
ყარაშვილი/კარაევი ანტონა (ექიმბაში) – 49-51, 355, 358
ყარაშვილი/კარაევი ივანე (აქიმი) – 45, 58, 241, 257, 355, 358, 395
ყაზბეგი ალექსანდრე – 366
ყაზიმოლა – 324
ყიფიანი დიმიტრი – 105, 371
ყორლანაშვილი ოსეფა (მილახვარი) – იხ. ოსეფა მილახვარი
ყორლანაშვილი სტეფანე – 62, 63
ყორლანოვი ალალუა – 63
ყორლანოვი ივანე იოსების ძე – 99, 324, 403

გ

შააბასი – 45, 248, 409
შამილი – 86, 87, 90, 98-100, 106, 204, 366, 371
შამირ-ალა (მდიდარი სომეხი) – 63, 308-310
შამშალილის სულთანი – 305

- შანშიაშვილი იარალი – 199, 389, 391
 შალბათაშვილი ავეტიქა – 11, 175, 237
 შალბათაშვილი იოსებ – 11, 29, 175, 225, 237
 შალბათაშვილი შიომშ – 11
 შარვაშიძე გიორგი – 366
 შაზადა – 307
 შევჩენკო ტარას – 366
 შუშანა – 63

Բ

- ჩიჯავაძე – 179
 ჩოლოყაევი (ჩოლოყაშვილი) ნიკოლოზ – 298, 397
 ჩოლოყაშვილი ახუა (ანა) – 110, 373
 ჩოლოყაშვილი გიორგი – 58, 110, 184, 196, 221, 321, 373, 386, 387, 403
 ჩოლოყაშვილი გრიგოლ – 125, 378
 ჩოლოყაშვილი მაკა – 355
 ჩოლოყაშვილი მელიტა – 387
 ჩოლოყაშვილი თადია – 111-113, 184, 185, 196, 373, 387
 ჩუბინაშვილი დავით – 348
 ჩხეიძე როსტომ – 4

Ը

- ცერცვაძე მაია – 4, 362
 ციციანოვი პავლე დიმიტრის ძე – 93, 167, 212, 315, 316, 355, 384
 ციციშვილი გიორგი (ხათა გოგია) – 9, 161, 163, 201, 240, 241, 243,
 270, 349, 384, 387, 401
 ციციშვილი დავით – 114, 221, 354, 373
 ციციშვილი დიმიტრი – 81, 85, 365
 ციციშვილი ესტატე – 29, 354, 367
 ციციშვილი ზაქარია – 176, 331
 ციციშვილი მარიამ – 9, 349, 384, 387, 390, 401

Ֆ

- წერეთელი აკაკი – 353, 366, 379
 წერეთელი ზურაბ – 224

ჭ

- ჭავჭავაძე ალექსანდრე – 318, 325, 369, 378, 383, 394, 395, 402
ჭავჭავაძე გარსევან – 9, 162, 164, 226, 239, 241-243, 258, 270, 318,
325, 350, 384, 395, 403
ჭავჭავაძე ილია – 362, 371, 372, 389, 401
ჭიჭინაძე ზაქარია – 356, 363, 368, 393

ბ

- ხაჩიშვილი ივანე (თოფჩი) – 114
ხათა გოგია – იხ. ციციშვილი გიორგი
ხატულაშვილი სოლომონა – 55
ხეიდის ქალი ქეთევანი – 58, 75, 181, 218, 263
ხერხეულიძე ანდრია – 88
ხერხეულიძე ომან – 48, 49, 51, 91, 92
ხორეშანი – 106
ხოშტარია დავით – 368
ხუდადბეგი – 193, 194

ჰ

- ჰ. ორბელიანი ალექსანდრე – იხ. ორბელიანი ალექსანდრე
ჰ. ორბელიანი ასლან – იხ. ორბელიანი ასლან
ჰ. ორბელიანი დემეტრე (დიმიტრი, ეშკალაბაში) – იხ. ორბელი-
ანი დემეტრე
ჰ. ორბელიანი ელიზბარ – იხ. ორბელიანი ელიზბარ
ჰ. ორბელიანი თამაზ – იხ. ორბელიანი თამაზ
ჰ. ორბელიანი იაკობ – იხ. ორბელიანი იაკობ
ჰ. ორბელიანი ლუარსაბ – იხ. ორბელიანი ლუარსაბ
ჰ. ორბელიანი ქაიხოსრო – იხ. ორბელიანი ქაიხოსრო
ჰანდიერიშვილი რევაზ – 85
ჰავათხან (განჯის ხანი) – 33, 40, 43, 45, 200, 222, 223, 228-232,
236, 299, 308, 310, 352, 355, 394
ჰავახიშვილი მიხეილ – 351
ჰავახიშვილი ნიკო – 381
ჰოლოგუა თამაზ – 4
ჰორაშვილი ზაქარია – 323, 403

გეოგრაფიულ სახელთა საპირალი

პ

- აბაზაბათის ციხე – 124
ავარიის სახანო – 222, 228-231, 403
ავლაბარი – 37, 39, 66, 84, 118, 119, 121, 130, 133, 151, 233, 235, 257,
265, 270, 288, 327, 328, 339, 340, 406
ავსტრია – 394
ავჭალა – 39, 57, 153, 352
აზერბაიჯანი (ადრიბეჟანი) – 17, 28, 41, 233, 307, 394
აზია – 226, 274
ალავერდი – 56, 134, 135, 155, 180, 217, 303, 360
ალაზანი – 57, 120, 135, 139, 140, 143, 150
ალექსანდრე ნეველის ლავრა – 350, 352, 401
ალგეთი – 98, 279
ამიერკავკასია – 368, 376, 386, 392
ანანური – 42, 170, 224, 225
ანგლია – 102, 217, 265, 313
ანწუხი – 137, 139, 170, 172, 323
არაგვი – 17, 18, 76, 167-170, 248
არგვეთი – 218
ასანხოფალო – 212
ასპინძა – 5, 47, 48, 49, 54, 55, 331, 356, 357, 358, 369, 383
ასტრახანი – 101
ათენი – 361
ალსტაფა – 24, 226
აწყური – 47
ახალციხე – 5, 134, 171, 172, 193, 195, 252, 331, 346, 353, 357, 360, 379, 381
ახალგორი – 169

პ

- ბაბატანთ კარი – 42, 225
ბაზალეთის ტბა – 169
ბალყარეთი – 398
ბაშკადიკლარი – 106, 372
ბერლინი – 366

- ბირთვიზის სიმაგრე** – 15
ბოლნისის მუნიციპალიტეტი – 362
ბოროდინოს ველი – 376, 377
ბორჩალო – 15, 18, 20, 193, 222, 223, 310, 324, 354
ბურდულიანთ კარი – 43, 225
ბუხარა – 310

გ

- განჯის კარი** – 339
განჯის ციხე – 33, 45, 200, 228, 232, 299
განჯა (განჯის ხანი) – 15, 28, 45, 200, 222, 223, 228-231, 235, 239,
 244, 252, 253, 197, 299, 300, 310, 339, 355, 397
გარეთუბანი – 212, 256, 288
გელათი – 353
გეორგიევსკი – 350, 394
გერმანია – 313, 357
გლდანის მხარე – 153
გორი – 13, 14, 152, 176, 309, 381, 388
გურია – 380

ღ

- დარბანდი** – 171, 181
დარიალი – 357
დაღესტანი – 322, 358, 366, 403
დიდო-ანწუხი – 137, 139, 170, 172
დიდყაბართო//ყაბარდო – 18, 398
დიდყაბართოს ნალჩიკი – 122, 296, 297, 373
დიღმის გზა – 39
დიღმის კარი – 339
დიღმის ველი (მინდორი) – 131, 379
დიღმის ვიწროები – 132, 288, 289
დიღმის ფონი – 193
დიღომი – 57, 207, 278, 279, 281, 285-291, 295
დონის მდინარე – 101, 314, 400
დონის მონასტერი – 385
დუშეთი – 167

0

- ევროპა – 16, 50, 59, 89, 93, 127, 142, 144, 148, 269, 270, 274, 275,
313, 320-323, 325, 326, 330, 371, 374, 399, 405
ერევანი – 124, 125, 140, 155, 182, 204, 221, 222, 367, 377, 380
ეფრატ-ტრაპიზონი – 101, 353

3

- ვატიკანი – 363
ვერის ხეობა – 42

0

- თაბორის მთა – 354
თათრის სოფლები – 18, 212
თავისუფლების (პასკევიჩ-ერევანსკის//ერევნის) მოედანი – 367
თელავი – 43, 44, 134, 135, 214, 215, 220, 225, 228, 251-253, 261, 262,
265, 300, 309, 374
თელეთი – 16, 32
თიანეთი – 186, 320, 321
თუმანიანთ სოფელი ხელოუბანი – 331
თუქურმიშას მინდორი – 166
თურქეთი – 357, 366
თუშეთი – 19, 320

0

- იალლუჯი – 16, 17
ივერია – 299, 307, 309, 310, 330, 331
ივრის მდინარე – 112, 214, 298, 386, 397, 403
იმერეთი – 10, 12, 13, 17, 19, 20, 23, 34, 58, 75, 91, 114, 137, 156, 157,
166, 169, 176, 177, 179, 181, 185, 214-218, 224, 240, 263, 269,
270, 318, 320, 349, 352, 353, 357, 361, 369, 373, 380, 381, 392,
400
ინგლისი – 366, 394
ინდოეთი – 63, 68, 169, 170, 172, 180, 276, 307, 308, 310, 329, 335,
336, 385, 392, 408

ირანი – 366, 376, 377, 385, 386, 394, 409

ისპაანი – 335, 409

იტალია – 355, 367, 371, 387

გ

კავკაზია (კავკასია) – 18, 20, 101, 134, 252, 266, 274, 306, 320-322,
324, 352, 365, 366-368, 371, 377, 378, 388, 391-393, 404

კაიშაური – 315

კასპიის ზღვა – 101, 320, 324

კახეთი – 8, 17, 19, 21, 23, 29, 35, 43, 56, 58, 70, 81, 134, 135, 137, 140,
145-147, 155, 156, 160, 167-172, 180, 181, 186, 187, 189, 193-
196, 204, 212, 214, 248, 265, 303, 304, 318, 320, 321, 323, 324,
327, 340, 372, 373, 380, 386, 388, 390, 395, 402, 403, 406, 407

კოდის სოფელი (კოდა) – 276

კოჯორი (იგივე ტაბემელის მთის გზები) – 32, 34, 339

კონსტანტინეპოლი – 63

კრწანისი – 11, 12, 36, 347-349, 352-356, 358, 381, 386, 393, 394

კუკია – 151, 153, 288

კუნძული კაპრიელი – 104

ლ

ლამისყანა – 290

ლიახვის ხეობა – 249

ლილო – 43, 265

ლომისის ეკლესია – 167

ლორეს ხეობა (ლორე) – 63

მ

მამადავითის ეკლესია – 366

მანვლისი – 193

მარაბდის მინდორი – 194

მარნეულის მინიციპალიტეტი – 355

მახათა – 40, 151

მცხეთა – 221, 145, 146, 254, 262, 303, 361, 391

მდ. დონი – იხ. დონის მდინარე

მდ. ოორი – 112, 214, 298, 386, 397, 403
მდინარე მაშავერა – 212
მდინარე ქცია – 63, 64, 175
მეფის ვახტანგის გორგასლანის ეკლესია – 339
მესხეთი – 357
მეტეხის ეკლესია – 339
მეტეხის ხიდი – 225, 265, 228
მისირი – 310
მოსკოვი – 199, 201, 209, 226, 309, 385, 390, 394, 396, 401, 404
მონამეთის მონასტერი – 218
მთაწმინდა – 366
მთიულეთი – 22, 30, 42, 167, 184, 225, 316, 318, 320, 349, 350, 375,
379, 396, 400, 402
მტკვარი (მტკუარი) – 9, 12, 16, 17, 20, 22-25, 28, 37, 38, 49, 53, 144,
151, 193, 194, 227, 265, 338-340, 366

6

ნაქულბაქევის მთა – 131, 379
ნაღარახანა – 340.
ნათლუბი – 38, 223
ნახროვანი – 221, 222
ნეიშინის მინდორი – 135, 136, 359, 379
ნიახურას ველი – 319, 322, 403

7

ოდესა – 366
ოდიში – 380
ორენბურგი – 89, 325
ოსეთი – 167, 320
ოსმალეთი (ოსმალო) – 10, 12, 18, 47, 48, 49, 53, 54, 56, 70, 102, 103,
106, 115, 125, 129, 132-138, 140, 145, 150, 152, 153, 156, 169,
172, 176, 180, 181, 193, 242, 249, 251, 252, 254, 269, 300, 310,
324, 331, 349, 357, 358, 377, 379

პ

- პეტერბურგი – 58, 105, 165, 197-199, 201, 209, 210, 218, 224, 226, 254, 258, 259, 261, 168, 309, 311, 315, 316, 319, 324, 348-350, 354, 355, 378, 389-391, 393, 397, 400, 401, 404
პეჩორა – 404
პოლონეთი (პოლშა) – 274, 313, 314, 378, 400
პრუსია – 313

რ

- რეინი – 313
რიყე – 84, 151, 328
რუსეთი – 5, 9, 14, 18-20, 29, 35, 46, 47, 50, 52, 55, 59, 86, 92-94, 96, 98-103, 105-17, 114, 115, 123-125, 133, 134, 142, 145, 148, 155, 160, 164-171, 177, 179-181, 183-185, 196, 200, 202, 203, 205, 210, 212, 220-227, 231, 232, 238-240, 242, 243, 245-250, 252, 254, 255, 257-275, 312, 325, 348-350, 352-355, 357, 358, 360, 361, 363-366, 371, 374, 376-378, 384, 385, 387, 389, 390, 393, 395, 396, 399-404, 410

ს

- საბურთალოს მინდორი – 132, 288
საგარეჯო – 18, 112, 184, 185, 188, 196, 373, 376, 386, 387, 403
საგურამო – 39, 41, 42, 115, 153, 158, 204, 225, 383,
სალმასტი – 324
სამეცნიელო – 218, 352
სამგორის მინდორი – 72, 111, 112
სამუხრანო – 9, 41, 75, 291
სარდარაბათის ციხე – 124
საფრანგეთი – 366, 377, 387, 394
საქართველო – 5, 7-11, 13, 14, 16-19, 27-30, 40-48, 50, 51, 55-61, 63, 64, 67, 69, 71, 74, 76, 77, 79, 80, 82, 84-87, 90, 92, 94-103, 106, 109, 114, 115, 123-125, 129, 131-134, 136-158, 160-185, 187, 188, 196, 197, 199, 201, 203, 208-210, 212, 216, 218, 220, 221-232, 235, 237-240, 242, 245-251, 253-258, 260-276, 292, 295-297, 299-303, 305-310, 312, 314, 315, 317-325, 327-329,

- 331, 332, 334, 336-338, 340, 346, 349-355, 357, 358, 360, 361, 363-365, 367, 369-378, 380-384, 386-391, 393, 395-397, 399-402, 404-407
- სეიდაბათის ბალები – 37, 38
- სინდეთი – 333, 408
- სიონი – 52, 53, 55, 144, 157, 189, 237
- სილნალი – 8, 19, 133, 137, 224, 305
- სოფ. ანაგი – 248
- სოფ. ბაიდარი – 44, 352, 355
- სოფ. ბოგვი – 279
- სოფ. ენაგეთი – 98, 279
- სოფ. ველისციხე – 120, 212, 374
- სოფ. ვეჯინი – 374
- სოფ. ძალისი (ძალისი) – 290, 291
- სოფ. კაზრეთი – 79, 90, 296, 363, 365
- სოფ. კაკაბეთი – 403
- სოფ. მარტყოფი – 109-111, 282, 283, 372, 386
- სოფ. პატარძეული – 110, 112, 113, 373
- სოფ. უსტ-ცილმა – 404
- სოფ. ქვეში – 180
- სოფ. ყარაბულახი – 111, 113, 183, 184, 298, 373, 386, 397
- სოფ. ცურტავი – 362
- სოფ. ხაშმი – 214, 386
- სოლოლაკი – 32, 37, 43, 212
- სომხეთი – 307, 308, 350, 361
- სომხითი – 56, 134, 140, 155, 170, 172, 173, 179, 181, 182, 303, 309, 320, 330-332, 382
- სოლალუხი – 12, 16, 17, 20, 22-24, 28, 31, 33, 36-38, 43, 207
- სპარსეთი – 14-16, 19, 24, 26, 28, 39, 40, 43, 44, 70, 74, 123-125, 145, 153, 156, 166, 168-170, 172, 181, 196, 228, 232, 248, 249, 252, 265, 269, 301, 306, 307, 319-321, 324, 336, 348, 351, 354, 372, 376, 380, 381, 387, 388, 399
- სპარს-ივერია – 307
- სურამის ციხე – 172
- სვეტიცხოველი – 363, 401

ტ

ტაბახმელა – 16, 34, 57
ტირიფონას მინდორი – 12, 43
ტრაპიზონი – 101, 353
ტფილისი//თბილისი – 5-7, 10-12, 14, 20, 21, 23, 29, 32, 43, 44, 52-55, 57, 71, 72, 76, 78, 83, 93, 98, 102, 106, 107, 109, 110, 112, 113, 115, 120, 123, 125, 129, 131-133, 135, 137, 151, 154, 157, 171, 178, 179, 181-183, 185, 186, 189, 190, 193, 196, 207, 212, 214, 224-227, 232, 233, 250, 252, 253, 259, 262, 265, 275-278, 283, 286-288, 293-296, 299, 300, 307, 308, 312, 318, 320, 321, 338, 339, 340, 347, 348, 351, 352, 354, 356, 357, 359, 360, 365, 367-369, 372-374, 376, 377-382, 384-386, 390, 393-396, 401-403, 406, 408, 410

უ

უეზდის ქალაქები – 132
უკრაინა – 366, 400

ფ

ფრანცია – 102, 265, 313
ფშავი – 56, 134, 135
ფშავ-ხევსურეთი – 19

ქ

ქ. ბელგორძი – 403
ქ. ვლადიმირი – 363
ქ. ვორონეჟი – 353, 389, 391
ქ. თავრიზი – 101, 324
ქ. ისპაჰანი – 335, 409
ქ. კალულა – 325
ქ. ნოვგორძი – 378
ქ. ოლონეცი – 390
ქ. სტავროპოლი – 367
ქ. ტამბოვი – 350

ქართლი – 9, 10, 12, 13, 17, 43, 56, 57, 77, 131, 134, 140, 145, 147, 149, 155, 159, 168, 170-173, 176, 179, 181, 182, 188, 195, 218, 249, 303, 304, 318, 320, 330-332, 340, 363, 364, 372, 373, 380-382, 385, 406, 407
ქართლის ტირიფონი – 43
ქართლ-კახეთი – 13, 83, 109, 145, 171, 176, 177, 186, 214, 216, 217, 224, 256, 350, 357, 364, 386, 397
ქაშუეთის ეკლესია – 106
ქვემო ქართლი – 172, 372, 381
ქიზიყი – 17-19, 22, 23, 26, 28, 40, 56, 70, 73, 114, 134, 135, 160, 161, 189, 210, 223, 225, 229, 248, 308, 310, 349, 352, 353, 362, 373, 404
ქიზიყ-კავკასია – 134
ქისტაური – 167
ქოლაგირის ციხე – 63, 175, 362
ქსანი – 41, 167, 240
ქუჩუკ-კაინარჯი – 357

გ

ყაზახ-ბორჩალო (ყაზახი) – 15, 18, 20, 27, 44, 123, 222, 223, 310, 351
ყანდაარი – 204, 359
ყარაბაღი – 23, 44, 45, 221, 222, 225, 227, 231, 276, 299, 394, 397
ყარაბულახი – 111, 113, 183, 184, 298, 373, 386, 397
ყარაია – 115
ყარაიაზი – 16, 57
ყიზილბაში – 10, 15, 18, 68, 155, 171, 186, 196, 239, 307, 310
ყუარელის ციხე – 140

გ

შამშადილი – 15, 18, 20, 23, 222, 223, 305, 310
შავი ზღვა – 101, 320, 324
შავნაბადას მთა – 24
შაქის სახანო – 397
შუამთის მონასტერი – 390
შუშა – 23, 386

Բ

- Բերետո – 366
Բյուջենի (Բյուջենիտո) – 5, 17, 18, 20, 102, 167, 297, 397
Բնետո – 310
Բրդոլողետ զազասու – 366
Բյումլապո – 189, 191
Բյուլուրետ-կուգո – 151
Բյուլուրետո – 151

Ը

- Ըօմծորո – 196, 321, 404
Ըօթու ժորու սոցյալո – 42, 225

Ծ

- Ֆալա – 16, 111, 112, 152
Ֆար-Ֆելայանո – 12, 13, 17, 134-139, 143, 150, 153, 160, 305, 224

Ծ

- Եարդյուեն – 288
Եարկուզո – 366
Եեզսուրետո – 19, 167, 315, 320
Եոզո – 310
Եռորասանո – 170, 171, 173, 385
Եղնձաեն – 403

Յ

- Յազանձուլաեն – 124

ქურთალ-გაზეთებისა და ნიგნების საპირალი

„აღა-მაჰმად-ხანის მიერ შეპყრობა ტფილისისა“.....	348
„აღა-მაჰმად-ხანის შემოსევა ტფილისში“.....	347
„ბედი ქართლისა“.....	355, 356
„ბრძენი აღმოსავლეთისა“.....	364, 365
გაზ. „კავკაზი“.....	348
გაზ. „კვალი“.....	385
გაზ. „საქართველო“.....	369
„გეორგიანული ისტორია“.....	365
„თ. ალექსანდრე ჯამ.-ორბელიანის ნაწერი და ოთხი ლექსი თ. ვახტანგ ვახტანგის-ძის ორბელიანისა“.....	356, 363, 368
„თბილისის ძველი სასტუმროები“.....	368
„ივერიელთა ერთობის ტრაქტატი“.....	380
„კალმასობა“.....	348, 355, 386, 402
„კავკასი“.....	366
„კავკასია“.....	367
„კავკასიაში რუსების ომისა და მფლობელობის ისტორია“.....	393
„კავკაზის კალენდარ ნა 1869 გოდა“.....	392
„ლიტერატურული წრები და სალონები საქართველოში“.....	367
„მასალები კავკასიის ახალი ისტორიისათვის“.....	354
„მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის“.....	382
„მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის“, II.....	402
„მეფობა ირაკლი მეორისა, მეფის თემურაზის ძისა“.....	358
„მგზავრობა ჩემი ტფილისიდან პეტერბურგამდის“.....	378
უ. „ივერია“.....	354, 393
უ. „მოამბე“.....	347
უ. „საისტორიო მოამბე“.....	376
„რვა თვე შამილის ტყვეობაში“.....	366
„საქართველოდასომხეთი“.....	361
„სიტყვა მამულის ტრაპესზედ“.....	365, 369, 388
„ქართული ქრესტომათია“, ნაზ. I.....	348
„ყარამიანიანი“.....	351
„შამილის ტყვე ქალები“.....	366
„წერილები და მასალები საქართველოს ისტორიისათვის“, ნიგნი I.....	360, 373, 382, 384

თხზულებათა ანგარიში საპიროლი

ასპინძის ომი 1770-სა წელსა.....	47-356
[აღამამადხანის შემოსვლა ქ. ტფილისში (1795-სა წელსა სეკტენბრის 11-სა დღესა)].....	7-347
დალისტნიდგან ლევების გამოსვლა ახალციხეში.....	134-379
ვარანცოვთან ჩემი დაბეჭდება.....	86-365
თა გივი ამილახვრის გაქცევა ქ. ტფილისიდგან.....	179-384
კაპუცინთა პატრების შეთქმა.....	79-363
მამიჩემისაგან დალატი მეფის ირაკლისა.....	183-385
მეფის ირაკლის მეორის დროის ცოცოტა ანბები	
ანუ ზოგიერთი მაშინდელი პირი.....	155-382
მეფის ირაკლის მეორის სიყვარული ქალისა პირველად.....	335-409
მეფის ირაკლის მეორის მეუღლე დარია ანუ დარეჯან.....	58-360
მეფის ირაკლის პატარა ჯიბის ბოხჩა.....	334-408
მეფის ირაკლის საწერელი.....	333-408
მეფის ირაკლის II-ს ისტორიაზედ.....	91-368
მეფის ირაკლის 2-სა უკანასკნელის ჟამების ამბავი	
აღამამადხანის შემოსვლის შემდეგ საქართველოში.....	299-399
პირველი ამბავი მეფის ირაკლის მეორისა.....	56-359
პირველი ხოლერა აქ ქ. ტფილისში [საქართულოში].....	276-396
პლატონ იოსელიანსა.....	197-388
რაც რუსები მოსულან საქართულოში იქიდგან აქამდისინ	
ქართულების შეთქმა წინააღმდეგ რუსეთისა.....	312-399
რუსების დასი ქართულები ჩემზედ.....	96-369
საქართულოს მეფის ირაკლის ძე ლევან.....	114-373
შეთქმა მეფეს ირაკლის მეორეზე საქართველოში.....	80-363
ჩერქეზებში ანდაზად დარჩენილი.....	297-397
ძველი მოზღუდვილება ქ. ტფილისისა.....	338-410
ხუთი წლის ბატონიშვილი ირაკლი.....	327-405
1811-ის წლის ჭირი საქართულოში.....	109-372
1829-სა წელსა არეულობა საქართულოში.....	123-376
1867-სა წელსა გიორგი მეთორმეტე (თუნდა ახლა ასე ვთქვათ რომ მეფე გიორგი მეთორმეტე იყო) უკანასნელი მეფე	
საქართველოსი და მისი შეერთება რუსეთთან. (ამის მთხველის დუბროვინის მიმართ პასუხი).....	220-393

ISBN 978-9941-9865-6-7



9 789941 986567